

959/13



114/3

მნათობი

1

5

მანისი



1959

სსრკ-ის მწიგნობრობის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უზრუნველყოფის განყოფილება

წელიწადი 36-ე № 5 მაისი, 1959 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობრობის კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

7772



დათა ავალიანი — ახალი პორტრეტი. რომანი. გვერდები	3
თამაზ კვიციანი — ლექსები	28
გიორგი ნაფეტვარიძე — ლექსები	30
ალექსანდრე აბაშელი — ლექსები	32
ირიდიონ გამახატურდია — ცეცხლის ზეზუე. მოთხრობა	34
კოლაუ ნადირაძე — ლექსები	51
თეიმურაზ ჯანგულაშვილი — ლექსები	52
მადონა მდიენიშვილი — ყურადღება, მოედითარი! მოთხრობა	54
ანტონ ჩუბოვი — მოთხრობები. თარგმანი გივი ციციქოშვილისა	57
შალვა მჭედლიშვილი — ლექსები	59
ნანული ქვბურია — ლექსი	60
რომენ როლანი — კოლა ბრონიონი, ნაწყვეტი რომანიდან. თარგმანი ფრანგულიდან	
გიორგი გეგელიძისა	61
ერნესტ მემინგუი — ჯარისკაცი დაბრუნდა შინ. მოთხრობა. თარგმანი ინგლისურიდან	
მერი იანქოშვილისა	67
პროფ. გერტრუდ ბენი — კავკასიური შთაბეჭდილებანი. თარგმანი გერმანულიდან	
ლ. სადრაძისა და თ. ჩიქოვანისა	71

კრიტიკა და კუბალინისტიკა

კ. ბაქრაძე — ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ და მისი მნიშვნელობა თანამედროვე სუბიექტური იდეალიზმის კრიტიკისათვის	78
ჯ. კორძია, რ. შენგელია — კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ნატურის თვალს“ გამო	89
არჩილ სულაიაშვილი — ახალი მოთხრობები	95

იხ. მეორე გვერდზე

ა. ნათიშვილი — დიდი და თავისებური ოსტატი	100
გიორგი მარგველაშვილი — ნიკოლოზ ზაბოლოცი და ქართული პოეზია	106
ზურაბ კაკაბაძე — ერის მარია რემარკის „შავი ობელისკი“	118
ვრიგოლ პლოტნიკი — გადმოცემა რუსთაველის საფლავის შესახებ	125



ლიბრაბურათმცოდნეობა

სარგის ცაიშვილი — რუსთველოლოგიური შენიშვნები	127
პროფ. ტ. ხუნდაძე — ქართულთა შორის წერა კითხვის გამეორებული საზოგადოება და შლია ქვეყნაძე	135

მეცნიერება

ა. ბუხნიკაშვილი — საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ზოგიერთი საკითხები	143
--	-----

ხელოვნების საკითხები

შალვა კვახხვაძე — ახალგაზრდა მხატვრები	150
კიტი მანაბელი — შთაგონებული შემოქმედი	154

ჩვენი მეცნიერები

გიორგი ძოწენაძე — აღექვანდრე ჯანელიძე	156
ვ. თოფურია — არსოდ ჩიქობავა	165

მეშუარული ლიბრაბურა

ექვთ. თაყაიშვილი — მოგონებები. გაგრძელება	175
---	-----

წიგნების მიმოხილვა

ს. ხუციშვილი — ქართული კლასიკური მწერლობის ძეგლი	182
აღ. ვვახარია — ქართული აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები	185
ვარლამ ქავთაია — ნ. კრუპსკიას შეხედულებანი აღზრდის შესახებ	187
ჯემალ შარაშიძე — ლუ სინის მოთხრობები	190
ბნალი წიგნები	გარყაიანის შესაშვ გე-

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ღ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VI-59 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12 შეკვეთა № 303. უე 02540. ანაწყობის ზომა 7 1/2 X 12 1/2. ქალაღდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 6700.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შთავაზოლოგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილი ქ. 5.



ახალი ჰორიზონტი*

რომანი

რაც ომი დაიწყო, სულიკომაც გამო-
ნახა საქმე მეშახტეთა ქალაქში. თუკი
რაიონში ვინმე თავს გამოიჩინდა, იქ-
ნებოდა იგი მეშახტე, კოლმეურნე,
დიასახლისი, სამეურნეო მუშაკი, გინდ
მოწაფე, სულიკო უმალ მასთან გაჩნდე-
ბოდა და არ მოეშვებოდა, აწვალებდა,
სანამ ორ-სამ პოხაში არ დახატავდა.
გულმოდგინება, მოთმინება და ხელოს-
ნური კირკიტო თავიდანვე ახასიათებდა.
ამ მხრივ მისი საქმიანობა ყოველთვის
ნაყოფიერი და შედეგიანი იყო, თუმცა
ამგვარი შრომის ნაყოფს მაინცდამაინც
დიდი ღირებულება არა ჰქონდა. თავის
ნახატებს სულიკო ხშირად ფენდა
მეშახტეთა თუ კოლმეურნეთა კლუბში,
სკოლაში. მეგობრულ შარკებს ათავსებ-
და კედლის გაზეთებში. ყველა ერთნაი-
რად აღტაცებული იყო მისი „ნიჭით“.
თავისივე ნამუშევრებზე ის მოხდენი-
ლად და მოხერხებულად აგრცელებდა
კარგ შეხედულებას და მალე ისეთი სა-
ხელი მოიხვეჭა, დამხატავი არავინ იყო,
თორემ რაიონში ყველაზე ცნობილი
ახლა თვითონ ის გახლდათ. ყველას სუ-
ლიკო ეკერა პირზე „რამდენადაც თა-
ვის მოხერხებით სულიკო სახელს უხ-
ვეჭდა თავის თავს და თავის ნამუშევ-
რებს, იმდენად სახელს უტეხდა ხელოვნე-
ბას, რადგან ახლა უმრავლესობას
უკვე ისე სწამდა, ისე სჯეროდა, ნამდ-
ვილად კარგი თურმე სულიკოსთანა
მხატვარიყო. დამოკიდებულებაში გადა-
ჭარბებული, თვალისამხვევი თავაზ-
იანობა, მოხერხებულად პირფერობა,
მუშაობაში კი ზერელობა და ეთეტი
მისი უეცარი წარმატების საიდუმლოე-
ბას შეადგენდა. იყვნენ ისეთებიც, სუ-

ლიკოსა და მის შემოჭმედებასაც ეჭვის
თვალთ რომ უყურებდნენ, მაგრამ
ხმას არ იღებდნენ. მათ კარგად იცოდ-
ნენ: სულიკოს აღზევებას თავისი ლო-
გიკა ჰქონდა. სანამ უმრავლესობას
სწამდა სულიკოს კეთილშობილება
გულწრფელობა და ნიჭი, შეუძლებელი
იყო მისი ავტორიტეტის გაქარწყლება.
ვიდრე მათი პირადი ინტერესები სუ-
ლიკოს ინტერესებს არ დაუპირისპირ-
დებოდა, არ გამოაშკარავდებოდა მისი
ნამდვილი სულისკვეთება, შეუძლებე-
ლი იყო ვინმეს ერწმუნა სულიკოს
ანგარება და უნიჭობა. მეშახტეთა ქა-
ლაქში მხოლოდ ორი-სამი ადამიანი თუ
მოიპოვებოდა, რომლებიც ნამდვილად
იცნობდნენ სულიკოს. ესენი იყვნენ
ნიკო არაბიძე, თამარელა და შეიძლება
ბუზალაძეც. დანარჩენებს ბრმად სწამ-
დათ მისი გულწრფელობა და ასეთი
დამოკიდებულებით, რა თქმა უნდა,
უპირველეს ყოვლისა თავიანთ გულწრ-
ფელობასა და გულუბრყვილობას ამე-
ლავებდნენ. მრავალმა შემთხვევამ, გან-
საკუთრებით კი ერთმა, არაბიძეს საბო-
ლოდ აუხილა თვალი ამ ყმაწვილზე;
სოფელ ტვერში ნაჩუქარი გოჭი სული-
კოს მეშახტეთა ქალაქში ჩამოყვანის-
თანავე რომ გაექცა და დაეკარგა, ბიჭი
დარღით აღარ იყო. მთელი ქალაქი
შემოიარა; მართალია, ერთი კვირა გა-
სულიყო ამ შემთხვევის შემდეგ, ახლაც,
თუ რომელიმე მოსახლეს ეზოში და-
ლანდავდა უმალ იმას ჰკითხავდა, ჩემი
გოჭისთვის ხომ არ მოგიკარავს თვა-
ლიო. სულიკოს გოჭი თვალთ არავის
ენახა, მაგრამ უკვე მთელმა რაიონმა
იცოდა: ბუნებაში ნამდვილად არსებო-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ №№ 1, 2, 3, 4.

ბდა ასეთი რამ: „სულიკოს გოჭი“. არაბიძის მეზობლებშიაც ერთთავად სულიკოს გოჭზე იყო ლაპარაკი. ზოგს უყვირდა, ზოგს გუნებაში ეცინებოდა, ზოგი კი გულწრფელად თანაუგრძნობდა, გოჭის დაკარგვას რომ ასე განიცდიდა ქალაქელი სტუმარი. მაგრამ საშველი არსაით იყო. მეზობლებში ამ ამბის გამომახილი დროდადრო ნიკოს ყურამდეც აღწევდა. თავმოყვარე მეშახტე ისე გამოიყვანა მოთმინებიდან ერთი შეხედვით ამ ფრჩხილისოდენა ამბის ასე გაქვეყნებამ, იძულებული შეიქნა ასმათს „საიდუმლოდ“ მოთათბირებოდა.

— ასმათ, ეტყობა, ეგ ბიჭი გოჭის ძებნას თავს არ დაანებებს!.. მე მგონია, არ ღირს, რაც მაგისტის მეზობლებს თავს აბეზრებს და ჩვენც გვარცხვენს! მოდი, ერთი, იაშას ბაზარში წავიყვან, იმ „ყაჩაღად გავარდნილი“ გოჭისთანას ავარჩევიან, ვიყიდი და... სულიკოს კი „ვხარებ“ — ვიპოვნეთქო! მეტი რა ვქნათ, ასეთი ტყუილი, არც კაცისა და არც ღვთის წინაშე დიდი ცოდვა არ იქნება, რას იტყვი?

— მაგისტთანა უბრალო და მოხერხებულ გამოსავალს, ნიკო, მარტო შენ თუ იპოვნილი!

— რაკი შენც მოგეწონა, შახტში მივალ თუ არა, მოგნახვ იაშას და შევიბირებ. ზეგ სწორედ ბაზრობის დღეა. ამ ჰირსაც თუ მოვრჩით, ცოტახანს მინც მოვისვენებ. თუმცა მაგის წასვლამდის რა მოგვასვენებს არ იკითხავ? თამარელა გამომოიტყდა: სახლიდან ჩემი წამოსვლა და მაგის მოსვლა ერთია. ხან რას იმიზეზებს, ხან რას. ძალიან გადაეკიდა ჩემს დაიკოსო!

ასმათმა ვაოცებით მიაპყრო თვალი ნიკოს; გაშლილი ხელი კი ნელა ჩამოსვა ლოყაზე. ამ ამბავმა ძალიან გააყვირვა ცოლ-ქმრის აზრით, მართალია, სულიკო მაიასთან ვერაფერს გახდებოდა, მაგრამ ის კი იყო საფიქრებელი, თავისი ქცევით, ტყუილ-უბრალოდ სახელი არ გაეტება ქალისათვის. სულიკო კი ცოტა სხვა აზრისა იყო. მას არც

არაფერი და არც არავინ არ ენალღებოდა ქვეყანაზე, მაგრამ, ^{ქმრის} ამგვარ სულისკვეთებას ის შეუცვალდა. ფერადდა, რომელსაც ტყბილი სიტყვა ჰქვია. აკი ხშირად უთქვამს თავისთვის: ვისი გასულღებაც ვინდა, ჯერ აქე, ტყბილი სიტყვით გააბრუე და მერე რაც გასურს, გააკეთებინეო. მართლაც, იშვიათია ადამიანი, რომელიც ამგვარ ცდუნებას აღუდგეს. სულიკოს ასეთი ჯერჯერობით მხოლოდ ორი შეხვდა — ნიკო არაბიძე და თამარელა. ტყბილი სიტყვით სულიკო ბევრს უმწარებდა ყოფას. მაგრამ ისინი უფრო თავის თავში ეძებდნენ ამის მიზეზს. სულიკოზე ძნელი იყო ეჭვის აღება — არც ისე იშვიათია, როდესაც ცუდისათვის კარგი სახელი შეურჭმევიათ, კარგისათვის — ცუდი. მაგრამ თუ კარგის ცუდ სახელს არავისთვის ვნება არ მოაქვს, სამაგიეროდ, ცუდის მიერ კარგი სახელის ოსტატურად მომარჯვებას დიდი ვნების მოტანა შეუძლია.

ასმათთან „საიდუმლო“ შეთანხმების შემდეგ ორი დღეც არ გასულა, ნიკომ „ნაპოვნი“ გოჭი სახლში მიაჭყვირა და სულიკოს ჩააბარა.

სულიკომ არც კი აცალა ნიკოს რიგინად ესაუბმა; დაწვრილებით გამოჰკითხა, სად, როგორ იპოვნა გოჭი. ამ გამოკითხვებით ნიკო ისე დაიღალა, თავიც კი ასტკივდა. ვაი უპოვნელობას და ვაი პოვნასო. თან იმას წუხდა — ამდენი ტყუილი ჩემს დღეში არ მითქვამს, რა ჩემი საქმე იყო ან გოჭის „პოვნა“, ან ზღაპრების თხზვაო.

რახან სულიკო მოუნელბებელ დარდს მორჩა — გოჭი იპოვნა, გამგზავრების თადარიგსაც შეუდგა. აყადემიაში სწავლა პირველი ოქტომბრიდან იწყებოდა. სულიკოს კი სექტემბრის დასაწყისამდე მეშახტეთა ქალაქიდან ფეხის მოცვლაზე არ უფიქრია. თავს აქ ძალიან კარგად გრძნობდა, პატივს სცემდნენ, ყველა სურვილს უსრულდნენ და მასაც მეტი არა უნდოდა-რა.

მეშახტეთა ქალაქიდან გასამგზავრებ-

ლად მომზადების სწორედ წინა დღეს ზიზზიბაძეებისას მისულ სულიკოს თამარელა ჭიშკარში შეხვდა. ვითომ შახტაში დაგვიანების შიშით თამარელას მასთან წუთიც არ მოუცდია. ძალიან სასურველიც რომ ყოფილიყო, ახლა მაინც რა ესულიკოებოდა. ერთი სული ჰქონდა, ვიდრე საგანრიგოში მივიდოდა და დარწმუნდებოდა, დღეიდან მეორე უბანს კვლავ არაბიძე უხელმძღვანელებდა. სულიკოს შეკითხვაზე — „ნატურა“ სახლშიაო, (ერთი კვირაა მაიას პორტრეტს ძერწავდა.) სწრაფად თავიდან მოშორების კილოზე ცოტა გულმოსულად უბასუხა თამარელამ — სახლში გახლავსო, ბოდიში მოიხადა და გზა განაგრძო. ასეთი, აშკარად გამოხატული მიუყარებლობით ცოტა გაწბილებულმა სულიკომ თამარელას თვალი გააყოლა და გადაწყვიტა, გულისჯავრი მაიაზე ეყარა.

ეზოში არავინ ჩანდა. სულიკომ წნევის ქნევით თხილის მოზრდილი ხის ფშანების სიგრილეში თავშეფარებული ქათმები დააფეთა. შეიქნა კაკანი და აღიაქოთი; მაგრამ ვერც ამ ხერხით მიიქცია ყურადღება. გარეთ არავის გამოუხედავს. ერთი კი გაიფიქრა: მომავალს თამარელამო, მაგრამ ექვი უმალ გაუქარწყლა მეორე სართულზე ოთახების ღიად დატოვებულმა კარ-ფანჯრებმა. სულიკო აივანზე დინჯად ავიდა; ოთახებში არ შესულა, ცალი თვალით შეიპყრიტა და გარედან ხმადაბლა უხმო მაიას. ხმა არავის გაუცია. აივანზე აღარ დაყოვნებულა, ისევ ქვევით, ეზოში ჩამოვიდა. ერთხანს სახლის ახლომახლო იწრიალა. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. გაკვირვებული ფიქრობდა: როგორ ეტყობა, რომ რაიონია, ყველაფერი ღვთის ანაბარა მიუტოგვეზიათო. წასვლას რომ აპირებდა, უცაბედად, აივნის ქვეშ, სწორედ კიბის უკან, თვალი მოჰკრა სარდაფის ღია კარებს. სარდაფში ბნელოდა, ღია კარი ხახასავით ამოღამებული ჩანდა. სულიკო აუჩქარებლად გაეშურა იქით. კა-

რებთან ყოყმანზე შეეტყო, ბნელში შესვლა ვერ გაებედა. ზღურბლზე შეჩერებულს ყნოსვა გაუღრზინა მიწისა და დაქცეული ღვინის სუნმა. სახეზე კი ამ სიტყვაში ძალზე სიამოვნებდა ნოტიო სარდაფის სიგრილე. სულ რაღაც ორი-ოდე წუთში თვალი ნელ-ნელა შეეჩვია სიბნელეს და სულიკომ ბუნდოვნად გააჩნია ორი მოზრდილი კასრი სარდაფის მოპირდაპირე კედელთან, ცოტა ზემოთ კი, კედლის ნიშაში — დოქი, ბოთლი და ჯამები. გაუბედავად შეაბიჯა, მიიხედ-მოიხედა და უეცრად, შეშინებულმა, ისე იყვირა, თავის ხმამ თვითონვე გააოცა და გონსაც მოიყვანა. სარდაფის მარჯვენა, საკმაოდ დაშორებულ კუთხეში რაღაც თეთრი მოეჩვენა. ის ერთბაშად შეიშარათა სიბნელეში... ქალის სიცილმა სულიკო უმალ ყველაფერს მიახვედრა. მაგრამ რაღა დროს.

— მაია?!

— არ მეგონა, თუ ასე შშიშარა იყავი! შენობით მიმართვამ სირცხვილნაქამ სულიკოს გუნება ცოტა გაუხალისა.

— როცა არ მოვლი, შეგეშინდება, მამ რა?

— რას ეძებდი?

სულიკომ ახლა კი გაბედა სარდაფში შესვლა, ნახევრად ბნელში რომ არაფერს დასტაკებოდა, მაიას ფრთხილად უახლოვდებოდა. ჩურჩულით ნათქვამზე — რას ეძებდი და... ამასო! — უეცრად ხელი სტაცა მკერდზე. მაიამ ერთი კი დიამბაზა, ვაიო, ხელი კი მაინცადამაინც მარჯვედ ვერა ჰკრა სულიკოს, და რახან ვერ მოიცილა, ერთი ისეთი ლეწა, რომ ნახვად ღირდა. სულიკოს კი ისე მოეჩვენა, მისი თვალეზიდან წამოცვენილ ნაპერწყვებს თითქო სარდაფი წამით გაენათებინოს. მეორე ლოყაზე ხელი მიიღო და საბრალოს ხმით უსაყვედურა:

— არა გრცხვენია?!

— ვისა?! მე უნდა მრცხვენოდეს, თუ შენ, შე მართლა უსინდისო! გამიშვი! — მაიამ კარისაკენ გაიწია, მაგრამ

სულიკოს მკლავებში გზა მოუჭრა, ვერ-საით გაექცა.

— გამიშვი, თუ არა... — მუქარით დაიძახა მაიამ და სარდაფის იმ კუთხისაკენ გაექანა, სადაც წელან მოელანდა იგი სულიკოს. სულიკოც ფეხდაფეხ მიჰყვა. მაია დაიხარა. გაკვირვებულმა სულიკომ დონჯი შემოიყარა. სანამ მაია წელში გასწორდებოდა, ღონიერად მოქნეული ხელით უეცრად ქვევინანვე სახეში ღვინო შეასხა ჩაის ჭიქით.

სულიკო ერთი კი შეცბა, ხელეშიც გაასავსავა ჰაერში და.. გაეცინა.

— ძუნწი მეგონე, — სიცილით უთხრა ვაჟმა, — შენ კი, არათუ დასალევად, ჩემი პირის დასაბანადაც გამოიმეტე ჩაის ჭიქა ღვინო.

მადლობელი ვარ! — მაია, მართალია, უსმენდა, მაგრამ უფრო იმაზე ფიქრობდა, როგორ გასხლტომოდა ხელიდან. სულიკო დინჯად განაგრძობდა, — იყო, ძველად თურმე, სადაც წყალი არ იყო, საქართველოში ხელ-პირს ღვინით იბანდნენო.

ეს ისე თქვა სულიკომ, გაგულისებულ მაიასაც კი გაეცინა. რახან ვაჟი წყნარად იყო, აღარ ეძალეობოდა, ქალის გულისწყრომა ცოტა კიდევ დაცხრა.

— მაია! — გაისმა სულიკოს მორჩილი და შემპარავი ხმა, — გეფიცები, არაფერს არ გერჩი. მიხედვ შენს საქმეს, წელან რაღაც... ალბათ სიბნელის „ხათრით“... ახლა კი ყველაფერს ვხედავ, აგერ შენა ხარ, ეგერ კასრებია, იქით ნიშაში მგონია ორი ბოთლი და დოქი ღვას... თუ ქალი ხარ, მამბარე სისულელე. სულ ჭკვიანი ხომ არ იქნება ადამიანი, მით უმეტეს, ჩვენს ასაკში... ოცისა ვარ, გოგო, მეტის ხომ არა! „ოცისა რომ ამდენს გაგიბედავს, წარმომიდგენია, ორმოცის რაღას იზამს!“ გაიფიქრა მაიამ, სულიკოს კი მწყურალად შენიშნა:

— არ მსურს შენთან ლაპარაკი.

— მაშ რად მიპასუხე?

მაიას ისევ გაეცინა.

ზოგჯერ გაგვივირდება, ადამიანებს

რა უბრალო რამე გააციუნებთ, ან მოეწონებათ ხოლმე; ასეთ ამბავს ახსნასაც ვერ უპოვით თუ თვითონ... ადამიანის ხასიათს, მის გონებრივ და სულიერ ავლადიდებას არ იცნობთ. სულიკოს შენიშვნებზე თამარელას მაინც არ გაეცინებოდა, ძალიანაც რომ ყოფილიყო სიცილის გუნებაზე. მაია კი რარბე გამწყრალი იყო ახლა, და თავს მაინც ვერ იკავებდა, არ გაეცინა, თუმცა სულიკო სასაცილოს არაფერს ამბობდა.

— კარგი, შენი ჭირიმე ფეხის ფრჩხილებიდან თმის ღეროებამდე! რა იყო, გოგო, რამ შეგამინა? თუ რამე გაწყენინე, უფროსი და ორი შვილის დედა ტყუილად ხარ?! მითხარი, დამარიგე და მეც მეცოდინება...

შემპარავმა, თილისმურად მოალერსე კილომ და სიტყვამ მაია არათუ დააშოშმინა, ცოტა კიდევ გააბრუა. აღერსი და მოფერება მაიასთვის საკმაოდ უცხო ხილი იყო; ადრე დაობლებულს, დედა არ ახსოვდა. ოჯახის უღელშიაც ადრე გაება და „უღელში“ გაბმულისათვის მიალერსება აზრად არავის მოსდიოდა. მართალია, მაია ცუდი „ხარი“ არ იყო, რომ სახრე ეგემა, მაგრამ ზოგჯერ პატრონსაც გააჩნია. ზოგი შეიძლება „ხარის“ მუშაობით კმაყოფილი იყოს, მაგრამ ფიქრობს — თუ დაჯერავ უფრო გაიარებო. და მაიას ბედიც ასეთი იყო. ოჯახში, ქალთან დამოკიდებულებების საკითხში კაცო ზიბზიბაძეს ძველებური უფრო ბევრი რამ მოსწონდა, ვიდრე ახლებური, და ამას არც მალავდა, არც თაკილობდა. ვიდრე დედა ცოცხალი იყო, კაცოს არაფერი ეფიქრებოდა; დედამთილს რძალი ისე ჰყავდა შებოქილი, როგორც ქსელში გაბმული ბუზი ობობას, მაგრამ მოკვდა თუ არა იგი, კაცომ მალე დაუმტკიცა მაიას, რომ ზოგ რამეში თავისი დედის ღირსეული მემკვიდრე იყო.

ერთხელ მაია სახლიდანაც კი გაექცა, მაგრამ ნათესავებმა მხარი არ დაუჭირეს და ძვირად დაუჯდა ეს „განავარდება“. კაცო ცოლს ტყუილ-უბრალოდ ოჯახს

გარეთ ცხვირს არ გააყოფინებდა, შინ კი საქმეს არ გამოუღევდა. მისი ცდის გარეშეც ოჯახში საქმეს მაინც რა გამოუღევდა. რაც გათხოვდა, მათა წელში ხეირიანად ერთხელაც აღარ გამართულა. ყოველდღე მატულობდა საზრუნავი — ცალკე ქმარი, ცალკე, ჯერ ერთი ბავშვი, შემდეგ მეორე, ცალკე თავისი თუ ქმრის ნათესავები, სტუმრები, მტერი და მოყვარე; ბოლოს ისე შეეგუა და შეეჩვია თავის მდგომარეობას, სხვაგვარად ყოფნა ვეღარც წარმოედგინა. მაგრამ ვიდრე შეეჩვეოდა, ბევრი ჩუმი ოხვრა აღმოხდა და ბევრი ცრემლი დაღვარა. დამ-დამობით, როცა ქმარს ეძინა, მათა ჩუმიად ტიროდა; დილით ადრე, თვალბედაწითლებული, კაკოს რომ ასწრებდა ადგომას, პირველად ჰის ცივი წყლით გულსაც გაიგრილებდა და თვალბედაც, რომ მას არაფერი შეემჩნია. დრო კი გადიოდა ბუნებრივ მდგომარეობად მათას, ახლა მარტო მუშაობა მიიჩნდა, წოლა და მოსვენება კი ძილისათვის აუცილებელ საათებშიაც დანაშაული ეგონა და ყოველთვის ცდილობდა, უთენია ფეხზე ყოფილიყო. ქმარი თუმც კოპებშეკრული, მაგრამ ფარული კმაყოფილებით ადევნებდა თვალს და, სიმართლე რომ ითქვას, არც თვითონ ჩამორჩებოდა, არც თვითონ ჩვეოდა შრომაში თავის დაზოგვა. კვირაში ერთხელ მაინც, კაკო გამურულ-გალაფული სპეცსამოსით და ცოტა გადაჯრულიც ბრუნდებოდა სახლში. მას ძალზე სიამოვნებდა — რა გულმოდგინედ, რა დაუზარელად უვლიდა მათა; უცვლიდა ჰუბუყიან ტანსაცმელს, საცვლებს, აბანავებდა და აწვევდა გაქათმებულ ლოგინში. კაკო ზიბზიბაძის თავმოყვარეობა ყველაზე მეტად ამ წუთებში პოულობდა კმაყოფილებას და შვებას. მათასთვის კი, მიუხედავად გარეგნული მხნეობისა და სიყვარულისა, სწორედ ეს წუთები იყო ყველაზე მეტად დამამცირებელი და დამტანჯველი.

რა გაეწყობოდა. ყველას თავისებურად ესმის ცხოვრებაში ავიც, კარგიც და ალბათ ესეც იყო მიზეზი, რომ მის არ ცდილობდა ქმრისთვის ზოგიერთი ჩვეულება მაინც მოეშლევინებინა. სხვანიირად ვერ გაძლებსო, ფიქრობდა მათა. და, მართლაც, როგორ გაძლებს.

მათას ახლა წამით თვალწინ წარმოუდგა ვალაფული კაკო და მალულად სულიკოსაც რომ შეავლო თვალი, გუნებაში მოეწონა ეს სუფთად გაპარსული და უცხოვრად ჩაცმული ყმაწვილი. ამ არახელსაყრელმა დაპირისპირებამ უცხოვრად აუხილა მათას თვალი და დაარწმუნა, ადამიანი ყოველთვის ადამიანს უნდა ჰგავდეს.

— კარგი ახლა, გადი გარეთ და მეც გამიშვი, — რალაც შემწყყნარებლის კილოთი უთხრა მათამ სულიკოს და ისევ სარდაფის იმ დაწყვეტილი კუთხისაკენ შებრუნდა ხელში შერჩენილი ჩაის ჰიქის დასადგმელად.

— მათა, რას აკეთებდი? — მშვიდობიანი კილოთი, უბრალოდ, თითქო აქ არაფერიყო, შეეხმინა სულიკო. მათას ლმობიერმა თხოვნამ კვლავ მისცა სულიკოს შერიგების იმედი.

— რას და... ღვინო უნდა ამომეღო, ავერ, ჰურს მოეხადე. სადამოს ნიკო არაბიძე უნდა გვეწვიოსო, თამარელამ გამაფრთხილა.

— მარტო არაბიძეს თვლის თქვენი ოჯახი საპატიო სტუმრად?

— რატომ?!

— მათ, რა მე სახეში შემასხი ღვინო, ხედავ, რა პერანგი „შემიღებე“! იმას კი, როგორც წესია, ისე მიართმევ და დაალევიანებ!

— ნიკო არაბიძესთან თავის გაყადრება შენ კი არა, ბევრს, შენზე უკეთესსაც, არ გამოადგება!

— რით დაიმსახურა იმ კაცმა თქვენი ასეთი სიყვარული?

— რომელი ერთი დაგისახელო? მაგას რომ ვხედავ, ქართველობით ვამაყოფ, ბუხალაძე რომ გამახსენდება, ასე მგო-

ნია, ან მე არა ვარ ქართველი, ან ის.

— რა, იცი?... ძველად რაც აქ თურქი დათარეშობდა, იქნებ მაგის რომელიმე წინაპარს კიდევაც წაეპარა... ბუზალაძისთანები გამოაჩეყინა და დაუტოვა... შთამომავლობას! ჯიშვიც ამიტომ უფრო ზნით და ხასიათით იცნობა, ვიდრე გვართ და სახელით! ისე... ავი და კარგი ყველგან არის, ყველას ჰყავს!

— გაანია, აესაც, კარგსაც!

— ეგ მართალია. შენ მარტო მომხიბლავი კი არა, ჭკვიანიც ყოფილხარ!

— ნუ ეშმაკობ! — მია თუმც ამას ამბობდა, მაგრამ სულაც არ ფიქრობდა, სულაც არ ეგონა, თუ სულიყო ეშმაკი იყო და ეშმაკობდა. არ ეგონა, რადგან თვითონ არ იყო ასეთი.

— მია, შენს ღვინოს არ გამასინჯებ?

— ამოვიღებ და მოგართმევ სუფრაზე.

— ამბობენ, ქურისთავზე ღვინოს სულ სხვა გემო აქვსო. მართალია?

— ეს კაცებმა უფრო უნდა იცოდეთ.

— საიდან მეცოდინება...

— რაეა, არ ხარ კაცი?!

— კაცი კი ვარ, მაგრამ... მამაჩემს ვაზი და ჭურით ღვინო არა ჰქონია და... მია, იმიტომაც, რომ დაგიმტკიცო, კაცი ვარ, მინდა სწორედ აქ შეესვა ემ ღვინო!

მიას გაეცინა.

— ამ სიბნელეში, მია, როგორ გინდა ამოიღო?

— სანთელი მენტო, მაგრამ წელან შენ რომ პირველად დაიძახე, ჩაეაქრე, მეგონა წახვიდოდი. თუ ვიპოვნე ასანთი. ნეტავი სად დავდე...

— აგერ, მეც მაქვს. — სულიცომ ასანთი გაკრა. მიამ ანთებული ღერი გამოართვა და ჭურის თავთან დამაგრებულ სანთელს მოუკიდა, მერე ორშიმითი ფრთხილად ამოიღო ღვინო და სულიცოს გაუწოდა.

— ასე როგორ დავლიო?!

— გვერიდები? ავადმყოფი ხომ არა ხარ?

— ავადმყოფი როგორ ვარ, მაგრამ, მაგით დაღვევასაც ალბათ ხერხი უნდა!

— თუმცა ორშიმითი დაღვევა წესი არ არის, ძნელი მოსახერხებელიცაა, მაგრამ იმიტომ შემოგთავაზე, ვიფიქრე, იქნება გუნებაში ასე ეხასიათება-მეთქი.

— გამიგონია — იმერეთში აღარ იციან ხოლმე, სტუმარს როგორ ასიამოვნონო! წელან იმიტომ ხომ არ „დამბანე“ ღვინით პირი?!

მია ისე იცინოდა, ეტყობოდა, უკვე კარგ გუნებაზე იყო.

— მანვენე ერთი, როგორ სვამენ და მეც დიდი სიამოვნებით დაგიღვევ...

მიამ ვაჟს ერთი კი შეხედა ექვის თვლით, მერე ორშიმოს ყელს ტუჩები მოაქდო და ასწია, ღვინის დაღვევას არ ფიქრობდა, მაგრამ სულიცომ ორშიმოს მოულოდნელად ხელი „შეაშველა“ და მიას საშუალება აღარ მისცა, მარტო ტუჩების შეხებით და პირის ოდნავ გასველებით დაკმაყოფილებულიყო; ერთბაშად მოძალებული და პირში უნებლიეთ დაგუბებული ღვინო ვეღარ გადმოაქცია, ამ ხუმრობაში კარგა ბლომად აგემებინა იგი სულიცომ. ცალკე ღვინომ, ცალკე თავი რომ გადაწეული ჰქონდა, როგორღაც თავბრუ დახვია მიას; ორშიმო სულიცოს შეაჩეჩა, თვითონ კი ხელის ზურგი შუბლზე მიიღო და თმებზე უღონოდ გადაისვა. თავიც რომ უკან გადასწია, მისმა მინახულმა თვალებმა, გახსნილმა ბაგემ ახლა სულიცოს დახვია თავბრუ. ვითომ ეშველებო, თავისუფალი მკლავი წელზე სწრაფად, მარჯვედ და, თანაც, ფრთხილად მოხვია, მეორე ხელიც უმაღლესი თავისუფლა ორშიმოსაგან და ღვინიან ტუჩებზე ქალს ერთბაშად დაეწაფა. სულიცომ იგრძნო, რა ღონიერად გაიქლავა ქალის წელი მის ხვიარსავით შემოჭობილ მკლავებში... მიამ სასოწარკვეთით დაიკვნესა, წამოიტირა, მაგრამ ხელი წინანდებურად აღარ უკრავს ვაჟისათვის... სულიცოს ამან იმედი

მისცა და გაათამაშა, იფიქრა: დამნებ-
დაო, და უფრო მოხერხებულად რომ
ჩაეკრა მკერდში, ცალი ხელი წელზე
უშვა... მკლავის შეშვების უმალ მიაიმ
მარჯვენა ხელის გული უცებ ნიკაპზე
მიაბჯინა სულიკოს და, რაც შეეძლო,
უბიძგა; მართალია, მეორე მკლავი ვე-
ლარ გააშვებინა, მაგრამ დასაკლავი ხა-
რივით თავგადაწეული წელშიაც საკ-
მაოდ გადახნიჭა... იქვე, ზურგს უკან,
ნიშაში მოფათურებულ თავისუფალ
ხელში ღიქი მოპყვა თუ არა, მყის
თავში უმარჯვა სულიკოს, დარეტიანე-
ბულმა ბიჭმა ნელა უშვა წელზე ხელი
მაიას და, მუხლებში უღონოდ ჩაეცი-
ლი, სარდაფის მოტყეპნილ მიწაზე გაიშ-
ხლართა. წაშით მიაი სიხარულით ცას
ეწია, რახან მოძალადისაგან განთა-
ვისუფლდა, მაგრამ კარგად დააკვირდა
თუ არა მიწაზე გაშხლართულ ბიჭს, შეე-
შინდა, ხომ არ მოვკალიო. სარდაფიდან
გარეთ გავარდნას რომ აპირებდა, აცახ-
ცახებული ისევ უკან შემობრუნდა. ჯერ
შორიახლოდან დააყურა სულიკოს, ერ-
თი ნაბიჯით დაუახლოვდა, მეორე მეორე
ნაბიჯიც გადადგა გაუბედავად და ხმა-
დაბლა უხმო — სულიკოო. ბიჭი ისევ
უძრავად იდო. მაიას კიდევ უფრო შეე-
შინდა. ამ შიშმა მალე სხვა განსაცდელი
გადააიწყა, კიდევ უფრო მიუახლოვდა
სულიკოს, კიდევ უფრო ხმამაღლა უხმო,
მაგრამ ამაოდ. მისი გულის გასახეთქად
სულიკო ხმას არ იღებდა, სიცოცხლის
ნიშან-წყალს აღარ იძლეოდა. ბოლოს
მაიამ გაბედა და მის წინ მუხლებზე
წამოიჩოქა, მკლავში ხელი ჩააელო,
ფრთხილად შეანჯღრია, თანაც ერთი-
ორჯერ უკიდურესად შეშინებული ხმით
ჩასძახა: სულიკო, სულიკო, თქვენც არ
მომიყვდეთ. სულიკოს მდგომარეობამ
არა სახუმროდ ჩააფიქრა საწყალი მაია.
აღარ იცოდა, რა ელონა. თან იმას ნატ-
რობდა, ნეტავი ვინმე გამოჩნდეს და
მომეშველოსო, თან იმის დარდი ჰქონ-
და, ასეთ ყოფაში როგორ შეიძლება
ვინმემ მნახოსო, როგორ გავამხილო ეს

ამბავიო. სხვა რომ ველარაფერი მოი-
ფიქრა, წამოვარდა, ნიშაში, საიდანაც
წელან, საბედისწეროდ იხსნებოდა და
დაითრია, ძმრის ბოთლი იპოვნა და
უმალ სულიკოსთან მიარბენინა — ძმარში
დასველებული ხელი სულიკოს ჯერ
ლავიწის ძელებს შესაყართან, მკერდზე,
შემდეგ ზედა ტუჩისა და ცხვირის ნეს-
ტობთანაც მოუსვა, კარგად მოუსრისა,
მაგრამ ვერც ამან უშველა მის გაჭირვე-
ბას. სასოწარკვეთილმა ერთი-ორჯერ
კიდევ ჩასძახა — სულიკოო. მერე დაა-
ყურა, და რაკი ბიჭი არ განძრეულა, მაია
დარწმუნდა — ნამდვილად შემომაცე-
დაო. ის იყო, გამწარებულმა გულისპირი
ჩამოიხია, თმებშიაც იტაცა ხელი და
უნდოდა დაეცილა, რომ სულიკოს სა-
ხეზე დაშტერებულს, თითქოს მოეჩვენა,
როგორ შეირხა ქუთუთოები... როცა
ბიჭმა თვალბიცი ოდნავ გაახილა, ამის
დანახვა და სიხარულით მაიას გაგიჟება
ერთი იყო. მან სწრაფად უმარჯვა ხე-
ლისგულები და თავი ოდნავ წამოუწია.
მეტისმეტი სიხარულისაგან მაიას ისტე-
რიკული სიცილ-ტირილი აუტყდა.

— სულიკო! ცოცხალი ხარ, ჩემო ძა-
მია? — ამ სიტყვებზე ის უფრო დააშ-
ტერდა „მკედრეთით აღმდგარს“.

სულიკომ კი გაიფიქრა — კმარა, მარ-
თლა ძალიან შემიშინებიაო და ერთხელ
კიდევ დაახამხამა ქუთუთოები, გაახი-
ლა თვალი და გაუღიმა მაიას. მაიამ ისე
ბედნიერად იგრძნო თავი, არც დაფიქ-
რებულა, დასწვდა სულიკოს და სულ
დაუყოცნა შუბლი, დაწეები, ტუჩები.
ტუჩებში მაინც გულით ისე აყოცა, გაბ-
რებულს მოასულიერებდა კი არა,
მკედარს გააცოცხლებდა. სულიკოს გა-
მოფხიზლების და მოსულიერების ჟამიც
იყო და არც დაუყოვნებია... თავის მხრი-
ვაც მაიას მკლავები დროზე „შეაშველა“,
ქალი მკერდში ჩაიყრა... მაია ჯერ კიდევ
ისე იყო სიხარულისაგან გაბრუნებული,
ანგარიშმიუცემლად დაპყვა ვაჟის ნე-
ბას...

სამუშაოს დასრულების შემდეგ სან-
გრევეში თამარელასა და სირბილამეს ცო-

ტა კიდევ შეიგვიანდათ. ერთი ბიგი ვერ იქნა და ხეირიანად ვერ გამართეს. მორიგ ცვლაში მოსული ბრიგადა, მართალია, ამხნევებდა მათ, მაგრამ ეს ხელისგაუნძრევლად „გამხნევება“ ახლა უფრო დაცივნვასავით ისმოდა. ამ საქმესაც რომ მორჩნენ, თამარელამ ერთი კი მოითქვა სული, მერე ხელი წამოავლო ბიგის ძირას მივდებულ ბრეზენტის ქურთუკს; სანგრევიდან გასვლა რომ დააპირა, ერთბაშად თვალი მოკრა ნახშირის ხვავზე გულადმა გადაწოლილ სირბილამეს და შედგა.

— შესვენება ჯერ აღრეა, ჩემო ძმაო!..

— ვიცი, მაგრამ... თუ ღმერთი გწამს, აგრე სულთამხუთავივით თავზე ნუ დამადგები! ერთი-ორი წუთი მაძალე. სახსრებში თუ არ გავიშალე, იცოდე, სულ მოვიშლები!..

— როგორც გინდა. მე მაინც მივეშველები...

— წადი... მე შეიძლება გზაშიაც დაგეწიო...

ქარქაშაძის ხელში მეორე უბანიც რომ არ გატიალებულიყო, ზოგიერთმა ბრიგადებმა, ვინც ნიკოს ამავსაც აფასებდა და საქმეც უყვარდა, თავად იკისრეს უბნის მოვლაც და ერთმანეთის პატრონობაც, თუ საღმე უბანი გადამაგრებას საქიროებდა, რიგრიგობით სამუშაო საათების გარეშე ამავრებდნენ ისინი. თუ რომელიმე ბრიგადას უჭირდა, რიგრიგობით ეშველებოდნენ დანარჩენები, ვიდრე საქმე არ გამოსწორდებოდა. ამ ღონისძიებამ ბრიგადებს მუშაობის უნარიც შეუნარჩუნა, ხალისიც, რაც ჩვეულებრივ ქარქაშაძის „ხელმძღვანელობის“ დროს მუშას ეკარგებოდა.

თამარელაც ახლა სწორედ ოცდამეათხუთმეტე ჰორიზონტისაკენ ეშურებოდა, სადაც ერთ-ერთ ლავში მომუშავე ბრიგადას გადამაგრებაზე უნდა მიშველებოდნენ ის და სირბილამე. თუმცა ნიკო თავის ძველ უბანს დაუბრუნდა, მაგრამ მეშახტეები ერთხანს ისევ იმ წესით განაგრძობდნენ მუშაობას, რომელიც ქარქაშაძის აქ ყოფნის დროს იყო

შემოღებული. ვიდრე ნიკო უბანს ხელახლა მოაწესრიგებდა, მუშებმაც თავისებურად დარაზმავდა, გადაჯგუფებულა არავინ არ უშლიდა მათ ძველი, ქარქაშაძისეული წესით მუშაობას. ორმოცდამეათე ჰორიზონტამდე, ვხადავხა ორორი, სამ-სამი კაცი კიდევ ხვდებოდა თამარელას კანტი კუნტად. მერე კი იჭაურობა თითქო გაუკაცრიელდა. მიდიოდა თამარელა მარტოდ-მარტო, ბნელ ჯურღმულში, ნათურის მოციმციმე შუქზე გზას აჩქარებით მიიკვლევდა. დროდადრო თუ შედგებოდა, უფრო იმიტომ. დაეყურადებინა — სირბილამის ფეხის ხმა ისმის თუ არაო. ერთხელ ასეთი რამ კიდევ მოეჩვენა, მაგრამ სირბილამე არსად ჩანდა: ერთგან, შტრეკში თამარელას გზა გუბემ გადაუღობა. ერთბაშად ვერ შეამჩნევდით, თუ გუბე იღვა, ისე გამოიყურებოდა ნახშირის მტვერწყაროლი წყლის ზედაპირი. თამარელამ უცაბედად ერთი კი შეტოპა, მაგრამ უმაღვე უკან დიხზია. საგონებელში ჩავარდნილივით თავისთვის წამოიძახა:

— როგორ გინდა, რომ გახვიდე? პასუხი მოულოდნელად გაისმა სიბნელეში:

— ე, მაგ მორის ნაჭერს, გუბეში რომ გდია, ფეხი დააბიჯე და გადახტი.

თამარელამ შუქი მიმოატარა... რაკი ახლომახლო ვერავინ აღმოაჩინა, იფიქრა, სმენამ მომატყუაო, და უფრო შიშის, ვიდრე კეთილი რჩევის წყალობით, ანგარიშმიუცემლად გადადგა ნაბიჯი, მორის ნაჭერს ფეხი დააბიჯა და მეორე მხარეს გადახტომის მაგივრად ღრმა გუბეში ისე სწრაფად გადაეშვა, შეკივლებაც ვერ მოასწრო. თითქო რამეს ებრძვისო, გუბეში ჩაყურყუმალავებული თამარელა ორიოდე წუთი გამწარებით ფართხალებდა. ბოლოს, ძლივს მოვიდა გონს... ჯერ ცალ მუხლს დაეყრდნო, მერე ფეხზედაც წამოდგა. ეს ყველაზე საშინელი წუთები იყო მის ცხოვრებაში... გუბეში გადავარდნისას ნათურაც დაკარგა, და ახლა უკაცრიელ წყვდიადში მარტოდმარტო დარჩენილს შიშისაგან ხმაც წართმეოდა. საშველად რომ ვინ-

მესთვის ეხმო, ამის ძალაც აღარ შესწევდა. ამ ყოფაში ერთ წუთსაც არ გაველო, ისევ იმ მხრიდან, საიდანაც წელან ის დამლუპველი რჩევა მოესმა, გარკვევით გაიგონა, რა გულამომჯღარი ხარხარებდა ის ვიღაც უხილავი.

შუა გუბეში გაშეშებულ თამარელას უფრო მეტად გაუდგა შიშის ქარი... ერთი კი გაიფიქრა — ნამდვილად გავგიყვდებიო, და თმებშიაც სწორედ გიყვივით იტაცა ხელები... უცებ თვითონვე გაუქვირდა, იმავე შიშმა; წელან რომ ენა დაუბა, ახლა ხმა ამოაღებინა და წამოაძახებინა:

— მართლა იცინის ვინმე, თუ მე უბედურს მეჩვენება?!
— მართლა ვიცინი!

— მერე არ გრცხვენია?! მე აქ რა დღეში ვარ, შენ კი, რომელიღაცა ხარ... — თამარელამ თავი ველარ შეიკავა. ტირილი დაიწყო.

— მოგიკვდა ბარემ ჩემი თავი! — უმალ მოესმა პასუხად და თამარელამ ახლა გარკვევით გაიგონა ფეხის ხმა. ტირილი შეწყვიტა, სმენად იქცა, თუმცა ყურში ცუდად ესმოდა... უცნობი, მართალია, ცდილობდა ფეხი ფრთხილად დაეხიჯებინა, ქვიშას მაინც ხრამხარტში გაუდიოდა. თამარელა ვერაფერს ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, როგორ უახლოვდებოდა ის უხილავი. წამით ფეხის ხმა მიწყდა და თამარელამ იგრძნო, სიბნელეში მოფათურებული ხელი იმ უხილავმა ბეჭზე რა ფრთხილად შეახო... თამარელამ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა იკვილა. ეს ახლა უფრო მეტ საშინელებად მოეჩვენა, ვიდრე წელან გუბეში ჩავარდნა. გულ-მკერდში ხელებჩახუტებული თამარელა დამაბული და აცახცახებული ელოდა, როდის შეეხებოდა კიდევ იმ უხილავის ხელი. თამარელას შეკვივლების შემდეგ წამიც არ გასულა, და თითქო იფეთქაო, ისე მოეფინა წყვდიადს ნათურის შუქი. სამიოდენ ნაბიჯზე გამოჩნდა კაცი. სიბნელეს შეჩვეული თვალთ, სინათლეში მისი სახე თამარელამ ერთბაშად ვერ გააჩინა.

ნახშირის მტკრიანი გუბის შავი წუმ-

პე მუხლამდე სწვდებოდა თამარელას; მისი ქურთუკის კალთებიდან წყალი ჯერ კიდევ წურწურით ჩამოდიოდა; თავით-ფეხებამდე დასველებულს ხელები მკერდზე შემოეკლო და შეცივული მთელი ტანით თახთახებდა.

უცნობი ხელი ნაბიჯით მიუახლოვდა. როცა გამოსაყვანად ხელიც გაუწოდა, თამარელამ მოსაჩრდილებლად სახეზე აფარებული ხელი ჩამოიღო, ვაჟს შეხედა, იცნო და შეკვირა:

— ბარდლა? — თანაც გუნებაში გაიფიქრა — „ახლა კი დავიღუპეო“, და ხელ-ახლა გააცია.

თამარელამ იცოდა, ახლა წახდომა საბედისწერო იქნებოდა მისთვის და უკანასკნელად მოიკრიბა ძალ-ღონე, ვაჟს თავი მხნედ მოაჩვენა.

— გადამიხადე, არა? თუმცა... ამისთანა გადახდა ვერაფერი ბიჭობაა! ვინ უნდა დაგიკრას ტაში...

— გაგეხუმრე!.. რა მეგონა, თუ დამიჯერებდი?.. გადასახდელი რა გქონდა?..

— გამოჩენით, არ სჩანდი, ხმაზე კი ვერ გიცანი!

— ალბათ ისე შეგეშინდა, რალა ცნობის თავი გეჭნებოდა?

— ახლა მაგ ხუმრობა იქით იყოს... ნათურა ველარ მიპოვნია!.. რითღა წავიდე?.. ვინ იცის, როგორ მულოდებიან ოცდამეფთხთმეცე ჰორიზონტზე. შენი გახუმრება გასამართლებელ საბუთად არ განომადგება...

— შენ ჩემი სახელი ახსენე და უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემს!

თამარელა თავს ახლა ბარდლას ისე აჩვენებდა, დამარტოხელებულს თითქო სულაც არა ჰქონოდა ამ თავზეხელაღებულის შიში. მართალია, გაფაციცებით ეძებდა გუბეში ნათურას, ხან ხელს აფათურებდა, ხან მარცხენა თუ მარჯვენა ფეხის ტერფს, მაგრამ ეს სულ მოსაჩვენებელი გარჯა იყო. თამარელას მარტომის ფიქრი აწუხებდა — ამ ავაზაკს ხელიდან როგორ გავესხლტეო. ნათურის ძებნაში თამარელას ბარდლაც შეეშველა. როცა მისი პოვნის იმედი ბარდლამაც დაკარგა, თანაგრძნობით შენიშნა:

— რისი გეშინია? — ჩემი ნათურით მიგაცილებს ოცდამეთხუთმეტე პორი-ზონტამდე და ის იქნება!

თამარელა გუბიდან ამოვიდა, ბრეზენტის ქურთუკი გაიხადა და უბრალოდ უთხრა ბარდლას:

— ნათურა ხომ დამაქარგვიე... ეს მაინც გამიწერი! — და წყლით გაყენებითი ქურთუკი ხელში შეაჩენა.

ეს დავალება ბარდლამ კმაყოფილებით მიიღო. ნათურა თამარელას მიაწოდა, თვითონ კი ქურთუკის გრეხას და წურვას შეუდგა. წყალი ჯერ ღვარებად გასდინდა ქურთუკს, მერე კი ოღნავ-ლა წვეთავდა. მაგრამ ბარდლა მაინც არ ეშვებოდა, თითქოს თავისი ღონე ამ საქმეს უნდა შეალიოსო, გრეხდა და წურავდა, სანამ ქურთუკი ბაგირს არ დაამსგავსა; ბოლოს გაშალა, მაგრად გაბერტყა და თამარელას გაუწოდა, თან ხუმრობით შენიშნა:

— ისე დასველდებოდი, ახლა შენც „გასაწური“ იქნები, მარა...

თამარელამ ხმა არ გასცა, წაუყრუა. ბარდლამ პასუხს აღარ დაუცადა:

— თუ შატბიას ელოდები, მეშინია, დიდხანს არ მოგიხდეს ცდა... გაცივდები...

— ბიძინა, მაგ თავს ახლა ცოტა ხნით ამ გუბეში რომ ჩაყოფდე, რაც სიცხე გაქვს, სულ გამოგიწვლდებოდა!..

— დაგიჯერებდი, მარა კარგად ვიცი ჩემი თავისაც და ჩემი „სიცხის“ ამბავიც.

— ჩემი გაჭირვება შენსაც ვერ უშველის, შენი ჩემსას!.. დამანებე ახლა თავი. არც მეხუმრება! ბიჭო, ხომ მითხარი, ჩემი ნათურით მიგაცილებო... რავე ხარ პირობაზე?..

— მე ჯერ პირობა არავისთან დამირღვევია, მაგრამ, ასე ადვილად რაფერ შეგელოი? ჩემს ხელში ხარ, გესმის, გოგო?..

თამარელას ელდა ეცა. ერთი გაფიქრება კი გაიფიქრა, ბარემ ამ, ბარდლას ნათურასაც გადავისვრი გუბეში და ვაიქცავი, მერე მეძებოს და მიპოვნოს, თუ ბიჭია, წყვდიადშიო, მაგრამ ვერ გა-

ბედა, გადაიფიქრა, ნათურა ბარდლას დაუბრუნა და წყნარად შენიშნა:

— შენზე ბევრს უთქვამს, ცვაკობაო, მაგრამ... ვაჟკაცობა მე ისე არ მწამს, მარტოხელა ქალი ჯერ გუბეში გადააგდო, მერე...

ნათურის დაბრუნებამ და ამ სიტყვებმა ბარდლა განაიარაღეს.

— კაი, ახლა... ეს ერთი მაპატიე!.. განა იმიტომ ვაგებუშრე, როგორც წეღან დამწამე — ჯავრი მეყარა... არა! მე სხვა ჯავრი მაქვს!..

— რა ჯავრი?! — გაიკვირვა თამარელამ.

ბარდლას მაშინვე არ უპასუხია. ცოტა შეიცადა და გრძნობით თქვა:

— მიყვარხარო!.. სხვა ქალს ასე არ „გუმღვრებდი“, ამდენს არ მოვებოდი-შებოდი!..

ბარდლას ამ უცეცარმა პასუხმა თამარელა საგონებელში ჩაავდო. ჯერ შემთხვევა არა ჰქონია, ვინმეს ასე აშკარად და ურცხვად გამოეცხადებინოს მისთვის — მიყვარხარო. ამ სიტყვას თამარელა აქამდე ოღნავ შერხეულ ბაგეზე და თვალეში კითხულობდა. რაც უნდა ყოფილიყო, ახლა ამ საგანზე და ისიც ბარდლასთან სერიოზულად ლაპარაკი არ შეიძლებოდა. თამარელაც სწორად მოიქცა, როცა ბარდლას სულ სხვა კილოთი უპასუხა:

— რა იყო, ბიჭო, ათნი ერთ ქალს რომ ამოიჩემებთ ხოლმე და სხვები კი, ზოგჯერ ჩვენზე უკეთესები, უყურადღებოდ რჩებიან! გაახილეთ თვალი, ქალების მეტი რა არი!

— რას დავეძებ, სხვა უფრო ლამაზია თუ არა! მე რომელიც მომეწონება და შემიყვარდება, ჩემთვის ყველაზე ლამაზიც ის არის!

— თუ შენი გული, ვთქვათ, ჩემკენ იწვეს, ახლა ერთი ჩემს გულსაც ჰკითხე! მაგრამ კაცებს ხშირად გაეიწყობათ, რომ ქალებსაც აქვთ გული! თუ ჩემმა გულმაც არ თქვა — პოო, რა გამოვა?! ვაჟკაცობაზე თუ სდებთ თავს. ძამია, უნდა იცოდეთ, ვაჟკაცობა და ძალადობა ერთი არ არის! ვინც ძალით

გომორჩილებს და რამეს გართმევს, ის ვაეკაცი კი არა, ყაჩაღია!

ბარდლა-ბიძინამ უყურა, უყურა და მოხიბლულის კილოთი შენიშნა:

— თამარელა! რაც მითხარი, მაგით თავი უფრო შემაყვარე!

თამარელამ გაიცინა, თან შიშით გაიფიქრა: „ამას რა ჭირს გადავეყარე, ისიც სადა?! დღეს ნეტავი რა ფეხზე ავდექი!“

— ბიჭო, ჩემი ხომ დამაქარგვინე, ახლა, როგორც შემპირდი, შენი ნათურით მაინც გამინათე ვხა! მეტი მოცდა აღარ შემიძლია. სადამდის გინდა მახვეწწინო?!

— ოღონდ ასე ტყვილად მელაპარაკე, ასე შენდღე და ცხოვრებაში სულ განათებული გზებით გატარებ!

— მის შეათედს მაინც ასრულებდეთ კაცები, რასაც თავიდან ქალებს ჰპირდებით...

— შენ რა იცი?

— გამიგონია!..

— რაც გაგიგონია, ყველაფერი მართალი ხომ არ არის?! თუ კაცები არ ასრულებენ, ისეთ კაცებს, ნუ გეშინია, არც ქალები რჩებიან ვალში!

— შენ რა იცი?

— „გა-მი-გო-ნია“!

ორივეს გაეცინა. ახლა ბარდლა-ბიძინა და თამარელა ისე ბაასობდნენ, ისე მიანჯებდნენ, გულთაღი მეგობრები გეგონებოდათ. თამარელა, მიუხედავად ამ „მეგობრული“ განწყობილებისა, სიფხიზლეს წუთითაც არ კარგავდა. ყოველ წამს მზად იყო, თუ ბარდლა ვაგლახად ხელს ახლებდა, წიწილებიანი კრუხებით როგორც ქორს, უმალ თვალბეჭდში სცემოდა.

მაგრამ ამჯერად ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ბარდლამ ისე მიაცილა ოცდამეთხუთმეტე კორიზონტის სანგრევამდე თამარელა, არათუ ხელი ავად უხლია, ოდნავადაც არ შეხებია, უბრალოდ, შეუფერებელი სიტყვაც არ წამოსცდენია. უკან რომ ბრუნდებოდა, გაციებული იყო — ქალის სიტყვა-პასუხმა ისე როგორ შემბოჭა, ხელიც ვერ გაეწიდა... თუ სხვა არაფერი, ეს ოხერი მეკოცნა მაინც! მე შენ გეტყვი, სად-

მე გაამხელდაო. — მეორე მხრივ კი, იდუმალ გულის სიღრმეში თავად ახლა თითქოს კიდევ მოსწონდი ბარდლა-ბიძინას: არც გონებას, არც ენას, არც ხელს რამე ზედმეტის ნება რომ არ მისცა; და თუ თამარელას აქამდე გაგონილი ჰქონია თავადაც დარწმუნდებოდა, ქალთან დამოკიდებულების საკითხში ბარდლა მართლა ვაეკაცი ყოფილაო. — „უნდა იცოდე, ბიძია, ვისთან როგორ მოიქეცი!“ — კმაყოფილებით შენიშნა თავის-თავს ბარდლა-ბიძინამ.

დონბასელმა ლტოლვილებმა საქართველოს რომ მოაშურეს, კმაყოფილი იყვნენ თავიანთი არჩევანით. მეშახტეთა ქალაქში მათ ნამდვილი სტუმართმოყვარული ხელი გაუწოდეს. ბევრმა ოჯახმა ლტოლვილები ისე მიიღო და შეითვისა, როგორც ახლობლები. არაბიძეს ევდოკიმ პობეგაი და მისი ქალიშვილი „ერვო წილად“, ზიზნიბაძის ოჯახში კი რა-ზუმიაკა მოეწყო თავისი მეუღლით. დაბინავებისა და ორიოდ დღეში სულის მოთქმის შემდეგ დონბასელებმა ბრიგადები შეადგინეს და შახტის იმ უბნებში, სადაც მუშახელი უფრო უჭირდათ, საქმეს შეუდგნენ. პობეგაი ყველაფრით კმაყოფილი იყო; ის კი არა, აქ ყოფნით თავს ბედნიერ აღამიანადაც ჩათვლიდა, იძულებით გადმოხვეწა რომ არ ხედომოდა წილად და, როგორც ადრე ჰქონდა განზრახული, (ბარათიც მოსწერა ნიკოს) შვებულების გასატარებლად ნებისმიერ სწვეოდა ქართველ ძმაცას, რომ დონბასი — მტრის სათარეშოდ არ ქეუულიყო, მეუღლე გზაში დაბომბვის დროს არ დაღუპვოდა და ერთადერთი მოსწრებული ვაეიშვილი ფრონტზე არ ჰყოლოდა.

მოხუცს გულს ახლა ისიც უღონებდა. შვილის გზაკვალი რომ დაეარგა. ვინ იცის, ის იქნებ გზავნიდა ბარათებს, ან იქნებ... მოკლეს. დილით ადრე გაედვიძებოდა თუ არა, პობეგაი მაშინვე იმის გახსენებას შეუდგებოდა, წუხელ, სიზმრად რა ნახა; შვილი თეთრ სამოსელში

ხომ არ გამოცხადებია, ან თვითონ უში ხორცი ხომ არ უქამია. პობეგაის ამ ორი რამის დიდი შიში ჰქონდა და, როგორც კი დარწმუნდებოდა, არაფერი ამის მსგავსი არ დასიზმრებია, შვეებით ამოი-
ოხრებდა ხოლმე. ქალიშვილი უკვე დი-
დი იყო. — დეკემბერში თექვსმეტი წე-
ლი შეუსრულდებოდა, მაგრამ მამა ისე
ეფერებოდა და თავს ევლებოდა, თითქო
ძუძუნეწოვარა ყოფილიყო. ეს ცისფერ-
თვალემა გოგონა იყო იმ იდუმალი ძა-
ლის მომნიჭებელი, რომელიც ახლა
უნერგავდა პობეგაის სიცოცხლის რწმე-
ნასა და აკავშირებდა ყოველივე ამქვეყ-
ნიურთან.

რაც გზაში გაჰირეება გამოეცლოთ, ამ
გოგონას მისი კვალი ერთხანს კიდევ აჩ-
ნდა. გამხდარს, ფერწასულს, შეწუხე-
ბულს მალე ფერიც მოუვიდა, ხორციც
შეივსო და გუნებაც შეეცვალა. პობე-
გაისაც გაეხსნა შუბლი. რაც შავი დღე
გამოეცლო, იმ გასაჰირზე თავისებურად
კიდევ იხუმრებდა ხოლმე ნიკოსთან;
მაგრამ მაინც ბუნებით ამ მხიარულ და
სიცოცხლის ტრფიალ ადამიანს დრო-
დადრო წარბი რომ არ შეკმუხვნიოდა,
არ შეიძლებოდა. ის ჭრილობები, რაც
მისთვის ომს დაემჩნია, თავს ხშირ-ხში-
რად ახსენებდა. სამოც წელს მიღწეული
პობეგაი წელთა სიმრავლეს ოდნავადაც
ვერ დაემორჩილებინა; მისი საქმიანობა,
სიტყვა-პასუხი, მოძრაობა რაღაც უპაუ-
კური დაუდგრომლობით და ხალისით
იყო აღბეჭდილი.

შახტიდან შინ დაბრუნებული, იმის
მაგივრად, წამოწოლილიყო, სახსრები
გაემართა, ძალ-ღონე მოეკრიბა, სულაც
რომ არ ყოფილიყო, საქმეს მაინც გა-
მოჩხრეკდა; თავს მოსვენებას არ აძლევ-
და. ამ ხნის კაცი ასმათთან ბოსტანში
მუშაობასაც არ თაკილობდა, პირიქით,
ძალიან მოსწონდა ასმათის გვერდით,
კვლებში ფუსფუსი. ასმათი მორიდებით
კი შენიშნავდა ხოლმე — ნუ სწუხდები-
თო, მაგრამ მისი სიტყვა, მისი თხოვნა
პობეგაისთან ამ შემთხვევაში არა სჭრი-
და. ხომ არ გიშლი, ჩემო დაო და, რა
გინდა, აქ ყოფნა ჩემთვის დიდი სიამოვ-

ნებაო, საზოგადო საქმეში თავგადადე-
ბულს, საოჯახო საქმეც უყვარდა ახლა
სულ იმას იგონებდა სევდამარტყმა-
ყოფილებით, როცა შინ იყო, თავისი ჩა-
რევით ცოლს როგორ უშლიდა ხოლმე
ხელს, სადილის კეთება იქნებოდა თუ
სხვა რამ. მოუსვენარა ხასიათის კაცი
იყო პობეგაი. ის უეტრად მაშინ მოიწ-
ყენდა და გაყუჩდებოდა, როცა თავის
ვაჟზე ფიქრს მიეცემოდა. ვაჟის ბედი
იყო ახლა ყველაზე დიდი საფიქრალი და
საზრუნავი. „ხმის მიწვდენა მაინც შე-
მეძლოსო“, — ისეთი გულისტყვილით
იტყოდა ხოლმე, ასმათსაც, ნიკოსაც
ტანში დაუვლიდა ამის გაგონებაზე. ჩვენ
რომ აქ შეგვეყარა ბედმა, რა სერიი იქ-
ნება, თუ ჩემმა და შენმა ბიჭმა იქ
ფრონტზე „იპოვეს“ ერთმანეთი, დაძ-
მობილდნენ და ისინიც ასე ფიქრობენ
ჩვენზეო.

— ყველაფერი საფიქრებელია, ჩემო
ევლოკიმე! — იტყოდა ხოლმე ნიკო, მაგ-
რამ კილოზე მაინც ატყობდა პობეგაი,
არაბიძეს ნაკლებად სჯეროდა ამგვარი
ვარაუდისა.

სულიკო შინ სახე დალურჯებული და
საშინლად დაკაწრული დაბრუნდა. რა-
საკვირველია, არაბიძისას არ წამოსცდე-
ნია, რაც მაიასთან შეემთხვა. თავისი და-
სახიჩრება რესტორანში ჩხუბს მიაწერა.
მის სიტყვას დამაჯერებლობას ისიც მა-
ტებდა, რომ ხალათი გულ-მკერდზე ღვი-
ნით ჰქონდა შეღებილი. სულიკოს „ჭრი-
ლობების“ მოშუშებას ნახევარი ლიტრი
არაყვი არ ეყო. ასმათი არაყს არ ჩიო-
და, ოღონდაც სულიკოს დაკაწრები არ
გამიხეზებოდა. სახე სულიკომ თავისი
ხელით შეიხვია. დაბინტულს თვალემა
და პირი-ლა უჩანდა. პირველ დღეს ას-
მათი სულ თავს დასტრიალებდა და „ეს
რა მოგსვლიას“ ჩურჩულით გულს უწყა-
ლებდა. ნიკოს დაზარალებული ვაჟბა-
ტონი თვალით არ უნახავს. სულიკოც
ნამუშევრების გადარჩევის და წასაღე-
ბად მოშადების საბაბით ორი დღე თავისი
ოთახიდან გარეთ არ გამოსულა.

მართალია, ამ შემთხვევის გამო წასვლა მას სამი დღით დააგვიანდა, მაგრამ მაინც არ ჩქარობდა. დონბასელებს რომ არა, სამ დღესაც სიამოვნებით მოიცილიდა. არ უნდოდა თავის საყვარელ დედინკოს ასე სჩვენებოდა. მეშახტეთა ქალაქში ჩამოსულ, ლტოლვილ დონბასელთაგან ერთი ოჯახი ნიკომ შეიფარა. სულიკომ შეატყო, არაბიძისას გაჩერება აღარ შეიძლებოდა. წასვლაც საბოლოოდ და მტკიცედ გადაწყვეტიანიკო აღარაფერზე შეუწყუხებია. მატარებლის ბილეთი ბუზალაძემ უშოვნა, ბარდლამ სახლში მოართვა. სულიკომ ბუზალაძეს რკინიგზის მთავარი ხაზის სადგურამდე, ოციოდე კილომეტრზე მანქანით გააცილებინა თავი. ლეონტი გამომშვიდობების წინ ერთხელ კიდევ დაიძვინა — შენს ბიუსტს თბილისში, უახლოეს გამოფენაზე გამოვიტან და მთელი ქვეყანა ნახავსო. ბუზალაძესაც ეს უნდოდა.

სულიკომ ლეონტი ორჯერ დახატა, ერთხელ გამოქრწა. მართალია, არც ნახატები, არც ბიუსტი მხატვრულად არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ სულიკომ ისე აუხსნა ბუზალაძეს ხელოვნების „ზოგიერთი თავისებურება“, ამის შემდეგ ლეონტისათვის ყველაფერი „გასაგები“ იყო. მისი აზრით, თუ მეორე კურსის სტუდენტს ასე ღრმად ესმოდა თავისი საქმე, რაღა იქნებოდა ბოლოს, როდესაც აკადემიას დაასრულებდა, დიპლომს მიიღებდა და თავისუფალ შემოქმედებას შეუდგებოდა. სულიკოს ახსნა-განმარტების შემდეგ ბუზალაძემ, როგორც თვითონ თქვა, ბიუსტში „აშკარად დაინახა“ ყველა „ღირსება“. ბუზალაძის მიერ სულიკოს, როგორც შემოქმედის, ამ აღიარებაში, გასაკვირველი არაფერი იყო. „მცოდნეთა“ იმ კატეგორიას, რომელსაც ბუზალაძე ეკუთვნოდა, სულიკოს ახსნის გარეშეც, სწორედ ასეთი ხელოსნური ნამუშევარი უნდა მოსწონებოდა — ქონწასმული ბატის ფრთასავით, გაპრიალებული და როგორც ოსტატობით, ისე შინაარსითაც ბატის ფრთასავით მსუბუქი. ვიდრე სულიკო

ბუზალაძეს გამოძერწავდა, შახტის მთავარ ინჟინერს — ლევანს ეთანხმებოდა, — „მატბიას ნამუშევრები სჯობსო!“ როცა უმაღლესში სწავლობდა, ლევანს ერთი-ორი მხატვარი ამხანაგიც ჰყოლია, თვითონაც გემოვნებას მოკლებული კაცი არ იყო, მხატვრობაშიაც ცოტად თუ ბევრად ერკვეოდა. ეს იცოდა ბუზალაძემ და ლევანს რომ გუნებაში არ ეფიქრა ლეონტიზე, უეცრად, ხშირად მის აზრს ემხრობოდა. მაგრამ გამოძერწა თუ არა სულიკომ ბუზალაძის ბიუსტი, მას მერე შატბიას სახელს და მის ნამუშევრებზე კარგს ველარ გააგონებდით. ყველას ასე გვეგონა, არაბიძის ბიჭი ნიჭიერიყო, მაგრამ... ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი — სულიკოს ვერავინ შეედრებო, — ირწმუნებოდა ბუზალაძე. რატომ უნდა, ვინც გულუბრყვილო იყო, ისევე ეკამათებოდა ბუზალაძეს და ამით თუმც ხელოვნებას ვერ შეელოდა, მაგრამ თავის საქმეს კი იფუქებდა; ვინც არა, მათ შორის ლევანიც, ვითომ თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა, გუნებაში კი ეცილებოდა და ეტრებოდა. ბუზალაძისთანა უეციების ხელში ან ჩვენ რა გვეშველება, ან ვისაც რამის გაკეთების შნო აქვს, როგორღა უნდა გააკეთოს რამეო. ბუზალაძე დიდი ხანია ამჩნევდა, მთავარი ინჟინერი ლევანი თავის აზრს პატივს სცემდა და შახტის უფროსის შეხედულებასაც კი ვაგლაზად არ იზიარებდა; მაგრამ როგორც ყოველი მშენებარა და ჩასაფრებული არამზადა, ბუზალაძე მოთმინებით ელოდა ხელსაყრელ მომენტს. ეს გამედიდურებული კაცუნა სამიში სწორედ იმით იყო, არასოდეს არ იცოდა ბრძოლაში აშკარად გამოწვევა და მოწინააღმდეგესთან პირისპირ შექილება. „თვალის გასწორება“ მას მხოლოდ მაშინ შეეძლო, როცა მოწინააღმდეგე ზურგიით იდგა.

რაკი ბუზალაძესთან დაპირისპირების მიზეზი სულიკო გახდა, ლევანს ისე შესძულდა ისიც და მისი ნამუშევრებიც, თვითონვე გაკვირვებული იყო. მუდამ ცდილობდა, სულიკოს პირისპირ არსად შეჰყროდა და, თუმცა ანდაზა კარგად

ახსოვდა — სალამს მტერსაც არ დაუკავებენო, ბუზალაძის სულიერი მეგობრისთვის სალამის მიცემა მაინც უჭირდა.

სულიკო, მართალია, ამჩნევდა და, როგორც ბევრ სხვა რამეს, არც ამას უწევდა დიდ ანგარიშს; პირიქით, თითქო ლევანის უფრო მეტად გაბრაზება და გამოწვევა სწადიაო, თვითონ დიდი ამბით მიესალმებოდა ხოლმე. რას იზამო, — ფიქრობდა ლევანი — ასე ყოფილა: თუ კაცს სინდისი აქვს, მაშინ ყველაფერი მოეთხოვება, თუ არა და...

ასე იყო, თუ ისე, სულიკო მშვიდობიანად გამოეთხოვა მეშახტეთა ქალაქს და, ცოტა არ იყოს, შიშით გაუდგა გზას თბილისისაკენ. არ იცოდა, რა ხდებოდა იქ (დღეა მოკითხვის მეტს წერილში არაფერს სწერდა ხოლმე), რა ამბები დახვდებოდა სახლში, სამხატვრო აკადემიაში, სადაც სწავლა უკვე დაიწყო და სულიკო მიაასთან შეხვედრილი „უსიამოვნების“ გამო რამდენიმე დღე გააცდინა.

მიაას გამოჩენა საგანრიგოში ნიკოს ვარდა, ყველას გაუკვირდა. ზიბზიბაძის სახლში დროებით კუთხემიჩენილმა ლტოლვილმა მეშახტემ რაზუმიაკამ ჯერ კიდევ პირველ ცვლაში უბნის უფროსს აუწყა — ჩემი მასპინძლის დაიკო, თამარელა ავად არისო. ნიკოს ეწყინა ეს ამბავი, მაგრამ უცხოსთან არაფერი შეიმჩნია. იფიქრა — „ცვლას რომ გავისტუმრებ, ავალ, დავხედავ ავადმყოფსო“, მაგრამ ნიკომ ვერც ცვლის გასტუმრების შემდეგ მოიცალა, ვერც დასრულებისას. მეორე ცვლის გასტუმრების წინ კი, აგერ ესაა, მიააც ესტუმრა.

ნიკოს ხელი არ ჩამოუერთმევია, გამოჩენის უშალ მიაა თავის გვერდით მოისვა და უბრალოდ, თითქოს სხვათაშორის, ჰკითხა:

— მართალია? თამარელა ავად ვახდამ?

— რა იცით, ნიკო ბიძია?!

— მე ვალდებული ვარ, ყველაფერი ვიცოდე. — ხუმრობით თქვა ნიკომ.

— ეს მართალია, მაგრამ...

— ეპ, ამხანაგო არაბიძე! ვერ შეიხვდი და ეგაა! მიაას უნდოდა მოსულად ნელად ემცნო...

— რას ვერ მივუხვდი, ამხანაგო რაზუმიაკა?

— იმას, რომ... დის მაგიერ, სამუშაოდ ეგ გამოცხადდა.. ზიბზიბაძეების ოჯახი პატრიოტების ოჯახია!

რაზუმიაკას სიტყვებზე მიაა ერთბაშად წამოწითლდა, ჯერ გაოცებით გაუშტერა თვალი დონხასელ მეშახტეს, მერე თავი დახარა და გაინაბა. წამწამების ხშირ ხამხამზე ადვილად შეატყობდით, ლელავდა. ნიკომაც შეხედა თუ არა მიაას, უშალ მიხვდა, ის ასეთი განზრახვით არ მისულა.

— აგრეთა, ამხანაგო არაბიძე! — ცვლავ თავისას გაიძახოდა რაზუმიაკა.

მიაას არც უფიქრია შახტში სამუშაოდ მოსვლა. მას მხოლოდ თამარელას ავადმყოფობის შეტყობინება ეწადა. რაკი საქმე ახლა ასე დატრიალდა, რაღას იზამდა, თან რაზუმიაკას შენიშნაც მოეწონა — ზიბზიბაძეების ოჯახი პატრიოტების ოჯახიაო. ბევრი ფიქრის დრო აღარ იყო; უარით თავის შერცხვენაც აღარ შეიძლებოდა, ისიც საგანრიგოში, ოცდაათიოდე მეშახტის წინაშე. მიწა რომ გასკდომოდა და შიგ ჩაეტანა, ალბათ უფრო ადვილი იქნებოდა მიაასათვის, ვიდრე რაზუმიაკას „მიხვედრილობის“ უარყოფა.

— მართლა, ქალო?! — გაოცებით იკითხა ჯერ კიდევ, ცოტა არ იყოს, დაეკვებულმა არაბიძემ.

მიაამ ძალაუნებურად ასწია თავი, ნიკოს თვალეზში შეხედა და ვითომ ნაწყენის კილოთი იკითხა:

— თუ არ შეიძლება, მაშინ...

ნიკო ერთბაშად წამოდგა, ხელებიც გაოცებით შეათამაშა და წამოიძახა:

— ნამდვილად შემშლის ამ ქალების საქციელი! თქვენ რაღამ აგშალათ ამ სავაჟაკო საქმეზე?!

საგანრიგოში შეკრებილი მეშახტეები ადვილად მიხვდნენ ნიკოს ეს შეძახილი მოწონებისა იყო და ერთსულოვანი სი-

ცილით უბასუხეს „გაოცებულ“ უბნის უფროსს:

— მაინც, რატომ უნდა გააკვირვებოდა ვინმეს მიახას ასეთი სურვილი? ეგ ქალი, ბიძია, თუ გახსოვთ, ომამდე რამდენიმე წლით აღრე სალამფეში მუშაობდა, იქ გაიცნო კაკო ზიბზიბაძემ... მერე შახტაშიაც შეჰყვა ბიჭს და... ბოლოს იმან შეირთო კიდეცა!

— ვითამ... — ის იყო წამოიწყო აფრასიონ უკლებამ, რომ უშალ ჩააჩუმა სოფრომამემ.

— მაგას რაღა „ვითამ“ უნდა? შორს წასვლა არ დაგვირდება... აგერ არის, ვისზედაც მოგახსენე და თვითონ გეტყუვის, ჩემო აფრასიონ!

— შე კაცო, რა ბზიკივით მეცი!.. „ვითამო“ ასე რომ დევიწყე, იმის თქმა მინდოდა, ახლა შეძლებს თუ არა მაგ ქალი... სახლში ცალკე ავადმყოფი, ცალკე ორი ბლარი, ცალკე ოჯახი და... სტუმარი... ისიც დონნასელი!

— თვითონ უკეთ იცის, ალბათ, შეძლებს თუ არა, — არ უთმობდა აფრასიონს სოფრომამემ, — არც ჯანით არი თამარელაზე ნაკლები და არც გამოცდილებით! ოჯახი ზომ ყველას თითქმის მიტოვებული გვაქვს და შინაურებიც ღვთის ანაბარადა!

რაკი ნიკო ფეხზე იდგა, მიაიკ ამასობაში წამომდგარიყო და თავდაბრილი, გულისმგერიით უსმენდა მეშახტეთა კამათს. ის ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული, დღეს აქ მოსვლა შახტში სამუშაოდ გამწესების ფასად თუ დაუჯდება. — „დამერეკა სახლიდან ნიკოსათვის და ის იქნებოდა, ან რაზუმიკასთვის დამებარებინა... სულ ერთია, ეტყობა, მაგის ნათქვამია, თორემ ნიკომ საიდან იცოდა...“

— სანამ თამარელა იავადმყოფებს, თუ მის ბრიგადაში იმუშავენ, რაღა აჯობებს, მაგრამ, აფრასიონის არ იყოს, ვინ მოუელის ან ავადმყოფ თამარელას, ან იმ გურამსა და ვიას? ვთქვათ, ბავშვები ჩვენთან ვადმოიყვანე, თამარელა ვიღრე მათა რამეს იტყვან, რაზუმიკამ სწრაფად შენიშნა: 2. „მნათობი“, № 5.

— ჩემი ქალი მაგ საქმისთვის მაინც გამოდგება! ერთ ავადმყოფს და ორ ბავშვს ველარ მოუელის?!

— მეც მგონია, უარს არ იტყვის შენი ქალბატონი.

— თუ გინდათ, ღამის ცვლაში მამუშავეთ, მაშინ სტუმარიც აღარ შეწუხდება.

— შეწუხდება თუ არა, გეტმანების ჩამომავალია! — რაზუმიკამ ახლა მეუღლეს აღარ დაზოგა.

— ღამის ცვლაში გაგიკირდება! — ბეჯითად თქვა ნიკომ.

მაიამაც დაიჯერა, სხვებმაც არ ურჩიეს. გადაწყვიტეს, მათა ხელიდან შესდგომოდა მუშაობას. მანამდე თამარელასა და ბავშვების მოვლის საქმეც მოგვარდებოდა.

შახტაში აფეთქების ამბავი ქალაქს თუმც უშალ მოედო, მაგრამ თამარელამ მეორე დღესაც არაფერი იცოდა.

პირველი ორი დღე-ღამის განმავლობაში ასმათი ერთი წუთითაც არ მოშორებია თამარელას. მართალია, რაზუმიკას მეუღლეს მზად იყო თამარელასათვის მიეხედა, მაგრამ იმ გოგოს თავს ვის დაანებებდა ასმათი. თამარელაზე ამოსდიოდა ცოლ-ქმარს — არაბიძეებს — მზე და მთვარე. როცა თამარელას უყურებდნენ, მის გვერდით მუდამ შატბია ელანდებოდათ; შატბიას და თამარელას სახელი მათს გონებაში განუყოფელი იყო; ერთს ისე ვერ ახსენებდნენ, მეორეს არ მოჰგონებოდათ. თამარელას თავისი ავადმყოფობის პირველი დღე და დამე არ ახსოვდა: არც ის იცოდა, რა გამწარებული დასტრიალებდა თავს ასმათი. ამ შიშისფეთებაში ორი დამე თეთრად გაათენა ასმათმა. მესამე დღეს, დილით, ავადმყოფს სიცხემ ცოტა დაუკლო და, როგორც იყო, ჩაეძინა. თამარელას ჩაძინება და ასმათის კისრის მოწყვეტა ერთი იყო. ოთახში რაზუმიკას ცოლს რომ უცაბედად კოვზი არ დაეპოვებოდა, ასმათს შეიძლება დიდხანს არ განმოდვიძებოდა. გაუკვირდა, საწოლის

221



საზურგეზე „ერთი წუთით“ ჩამოყრდნობილს ასე მაგრად რომ ჩასძინებოდა. უმალ თვალემა მოიფშენიდა, გარეთ ცივი წყალი შეისხა, ცოტა გამოფხიზლდა და, ოთახში შემობრუნებულმა, ფეხაკრეფით მიაშურა თამარელას. საწოლის აქეთ-იქით ფრთხილად ხელებდაყრდნობილმა დააყურა. თამარელა გამაღვებით სუნთქავდა ძილში. უცებ მან თვალი გაახილა, ასმათს გაუღიმა. მერე თვალი თუმც მთლულა ავადმყოფმა, მაგრამ ღიმილი ერთხანს შერჩა სახეზე.

რაც შეეძლო, არწმუნა რაზუმიაკას ცოლმა ასმათი — წადი, გამოიძინე, ადამიანის ფერი აღარ გადევს ორ-ღამენათევს, ავადმყოფს ახლა მეც მივხედავო; ასმათი ჯერ უარზე იყო, ბოლოს მაინც დაჰყვა მის ნებას. თამარელას ერთხელ კიდევ ჩააშტერდა სახეში, რაზუმიაკას ცოლს ზოგი რამ დაუბარა და შინ წალასლანდა. გარეთ რომ გამოვიდა, სუფთა ჰაერი ესაიპოვნა, მაგრამ შეუძნევლად თავბრუ დაესხა დაკიბის საფეხურზე ჩამოჯდომა რომ არ მოესწრო, წაიქცეოდა.

იმ დღეს თამარელას ასმათი აღარ უკითხავს. გარდა ასმათისა, თვალში რაც კიდევ ენაკლისებოდა, მაგრამ სიცხიან ავადმყოფს არ შეეძლო დიდხანს ფიქრი. მეოთხე დღეს, დილიდანვე შედარებით უკეთ გრძნობდა თავს თამარელა. სიცხემ დაუქლო; როგორც იტყვიან — თვალემაში გამოიხედა. თამარელას უკვირდა, დღე ისე გავიდა, ასმათმა ერთხელაც არ მოაკითხა. უკვირდა ისიც, დროდადრო თუ რაზუმიაკას ცოლი დახედავდა, რატომ არ ჩანდა მია. სხვა რაღა უნდა ეფიქრა; მიაას ალბათ იმდენი საქმე გაუჩნდა ოჯახში, ჩემთვის ვეღარ იცლისო. რამდენჯერ დააბირა, ეკითხა რაზუმიაკას ცოლისათვის — მია საღლა არისო, მაგრამ ხან გადაავიწყდებოდა, მისუსტებულს ხან ჩაეძინებოდა და ეს ამბავი შეუტყობელი რჩებოდა. სწორედ ავადმყოფობის მეოთხე დღეს დილით თამარელას ისე ჩაესმა, თითქოს კარს უკან ვილაც ტირიოდა. როგორც დათქმული ჰქონდა მეზობლებ-

თან, კედელზე ორ-სამჯერ დააკაენა. ერთი წუთის შემდეგ კარიც გაიღო და ზღერბლზე გამოჩნდა რაზუმიაკას ცოლის სილუეტი.

— ოქსანა, კარებთან ტირის ვინმე თუ სმენა მატყუებეს!?

— რაო, ჩემო კარგო? — რაზუმიაკას ცოლისთვის თამარელას შეკითხვა ისე მოულოდნელი იყო, ქალი დაიბნა, პასუხის მოფიქრება ერთბაშად ვერ მოახერხა.

— რა-და... ტირის ვინმე კართან თუ...

— ჰო... ტირის. — თქვა ოქსანამ და შიშით შეაქცერდა თამარელას. — ჰირვეული ბავშვი ყოფილა შენი უფროსი დისშვილი.

— რა ატირებს?... დაუძახე ერთი... მაგის ტირილი არ მომსწრებია.

— იტიროს, რა მოხდა?! ბავშვმა თუ არ იტირა, ისე არ გაიზრდება... თუ გინდა, წავალ, ვეტყვი, გაჩუმდეს... რაღა შენი ოთახის კართან ატუხულა!.. განა არ ვუთხარი, მაგრამ ისე ჩასციებია კარის კუთხეს, თითქოს ნაბრძანები ჰქონდეს, ფეხი არ მოიცივალაო.

— საკვირველია! უთხარი...

— ახლავე ვეტყვი, — აღარ დაასრულებინა სათქმელი ოქსანამ თამარელას. უმალ კარისაკენ გაეშურა. თამარელამ ძალღონე მოიკრიბა, ცალ იდაყვზე როგორც იყო წამოიწია და მიამახა ოქსანას:

— უთხარი, შემოვიდეს...

ოქსანამ ერთი კი მოიხედა, იდაყვზე წამოწეულ თამარელას მხერას რომ წააწყდა, ველარაფერი თქვა, კარი გააღო და ბავშვს მის გასაგონად უთხრა:

— დეიდა გეძახის...

ოთახში შემოსულ ბავშვს ოქსანამ ცრემლი მარჯვედ მოსწმინდა და ზურგზე ხელგადახვეული თამარელას საწოლთან მიიყვანა.

ბავშვი აქამდე თუ გაბუსუნებული და თავდაბრილი იდგა თამარელას საწოლთან, უცებ ისევ ატირდა და მოთქმისებური ხმით შესჩივლა დეიდას:

— დე-და მინ-დააა...

— დედა?!.. — თამარელამ არაფერი

იცოდა, რაც მოხდა. ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა და უფრო მეტის გაცემით იკითხა, — მერე სად არის ჩემი დაიყო?!

— არ ვიცო... — შესაბრალოსად შეხედა და შესჩივლა ბავშვმა თამარელას.

თამარელამ კი ოქსანას გადახედა.

— მაია სახლში არ არის?!

— არა ჩემო კარგო!

— სად უნდა წასულყო?! არაფერი დაუბარებია?

თამარელამ შეატყო ოქსანას, ძალიან უჭირდა იმის თქმა, რაც იცოდა.

— რა ამბავია!... ასმათიც რომ აღარ გამოჩნდა...

— ასმათს არა უშავს! — უნებლიეთ წასცდა ოქსანას.

თამარელამ უცებ ორივე იდაყვზე წამოიწია.

— მაიას... რაღა უშავს?!

— მაიას...

ცალკე ოქსანას ყოყმანმა, ცალკე ეჭვმა, შიშმა, რაღაც ავის წინათგორბობამ თამარელას ერთი წუთით ავადმყოფობაც დააფიქრა, თავიც. იდაყვებზე წამოწევა. აღარ იკმარა, სწრაფად წამოჯდა ლოგინში. თამარელა ახლა ისეთი სანახავი იყო, კიდევაც შეგაშინებდათ, კიდევაც მოგზიბლავდათ.

— თამარელა, დაწყნარდი... აჯობებს დაწვე. ძლივს სიცხემ დაგიკლო... უკვე მოსაკეთებელი პირი გიჩანს... არ ივარგებს ასე, დაწე...

— როგორღა ვიწვე!... მიმალავთ, ხომ, რაღაცას?!... თუ არ მეტყვი, ოქსანა, აგერ წამოვხტები და ტელეფონით დავრეკავ...

ოქსანა კრუხივით გადაეფოფრა ლოგინზე; ხეწნით რომ ვერაფერი გააწყო, ძალით სცადა თამარელას დაწვენა და დაშოშმინება.

— გეტყვი.. ყველაფერს გეტყვი, ოღონდ... — თვალთ ბავშვზე ანიშნა ოქსანამ.

— გურამ! — მოსიყვარულებით უთხრა თამარელამ, — წადი, გენაცვალე, გიას დაუძახე.

გურამმა უმალ შეისმინა დედის თხოვნა. ბავშვი რომ გავიდა და მისი

ძახილიც მოისმა აივნიდან — გია, გიაო, — თამარელამ კვლავ წამოიწია, ოქსანას ორივე ხელით მარჯვენა მკლავში ჩააფრინდა და ჩაჰკითხა:

— რა მოხდა?!

— ისეთი არაფერი... მაია, გუშინ მერე ცვლაში რომ წავიდა სამუშაოდ, აღარ დაბრუნებულა...

— სად, ქალო?! მაიას შახტში რა უნდოდა?!

— შენ ისე ავად იყავი, ამ სამი დღის წინ, აბა ვინ გეტყოდა, ან რას გაიგებდი, კიდევ რომ ეთქვათ... მაია ახლა შენს მაგივრად მუშაობს შახტში!

თამარელა ისე გააოცა ამ ამბავმა, ერთხანს გაშტერებული უცქეროდა ოქსანას. ვერ გაეგო რა მოხდა. მაშინ, როცა ორი ბავშვი და ავადმყოფი მოსაველელი ჰყავდა, როგორ უნდა წასულიყო მაია შახტში სამუშაოდ. ვის უნდა ერჩია მისთვის ასეთი რამე.

— მერე და... გუშინ ნაშუადღევს წასულს რა ღმერთი გაუწყრა, ჯერაც რომ არ დაბრუნებულა?..

— მარტვი მოსვლიათ... არაბიძის უბანში აფეთქე...

ოქსანამ სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, ერთბაშად სახეზე ქაღალდივით გადათეთრებული თამარელა, აქამდე ლოგინზე წამომჯდარი თუ უსმენდა, უცებ უხმოდ გადაიქცა ბალიშზე.

როცა ნიკო არაბიძე გონს მოვიდა, წამით თვალი გაახილა და გაოცდა. წამლების სუნმა მიახედრა, რომ საავადმყოფოში იყო. რისთვის მოიყვანეს, აქ როგორ მოხვდა, ეს მისთვის ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. პალატაში მასთან ერთად სხვებიც იწვნენ. ერთ-ერთმა დაინახა თუ არა, ნიკომ თვალი გაახილა, სიხარულისაგან თავი ვეღარ შეიკავა.

— მადლობა ღმერთს, არაბიძეც ცოცხალია!

ნიკოს ეს სიტყვები თუმც ჩაესმა, მაგრამ არ უცდია, მისი მთქმელი დაენახა, განძრევის თავი არა ჰქონდა. ყურებში ისეთი შხუილი ესმოდა, საფეთქლე-

ბიც ისე სტყიოდა, ხელახლა თვალის გახელაც კი ეძნელებოდა...

მის ხსოვნაში თანდათან მოეფინა ნათელი ყველაფერს, რაც უბანში შეემთხვა... შემახტებები ცვლაში ერთი საათის გასული იყვნენ, როცა ნიკომ უბანს მიაშურა. ნოლ ჰორიზონტზე, სწორედ შუროს თავთან დახვდა მას მარქშეიდერი ორი თანაშემწით, გზის მოხელე და სხვები. ნიკომ ათიოდე წუთი დაჰყო მათთან და გზა განაგრძო. ის იყო, გადადგა ფეხი შუროში, რომ აფეთქების ხმაც გაისმა. ეს შპურის აფეთქებას რალაც არ ჰგავდა. მისი ხმა უფრო მკაფიოდ და ძალუმად დაირხა შუროში. მარქშეიდერის და გზის მოხელის ჯგუფში ერთმა თქვა—აზვავებული ნახშირი თუ აფეთქებსო, მაგრამ მისი სიტყვებისათვის ყურადღება აღარ მიუქცევიათ; ნიკოს ძახილზე, ყველა შუროს თავთან მიიჭრა; დაქანებული სიღრმე ნათურებით ერთად გადაამუქეს. განათებულ არეში შუროს წყვდიადი ან მძიმედ შემოიჭრა შავი კვამლი, რომლის ბოლქვებიც თითქოს მოგორავდა... ყველა უშალ მიხვდა: სადღაც, ქვემოთ აირი აფეთქებულიყო. ერთ წამში შიშით დამგრთხალნი საით გარბოდნენ, თვითონ აღარ იცოდნენ, მაგრამ ნიკოს თავგანწირულმა ძახილმა გონდაბნეული ხალხი მყის გამოათხიზლა და ძალაუბნებურად მისკენ აბრუნებინა პირი. ნიკომ იფიქრა—კვამლი უთუოდ სავენტილაციო შტრეკს გაჰყვებოდა და, ამიტომაც მოპირდაპირე მხარეს, ყრუ შტრეკისაკენ წაუძღვა ხალხს. რაც კი შახტში შეიძლება კაცს შეემთხვეს, ნიკო ყოველგვარ განსაცდელში გამოვლილი და გამოცდილი იყო; ეს აფეთქება კი ჯერ არ ეგემა და ცოტა დაიბნა. ახლა, მართალია, ყრუ შტრეკისაკენ გარბოდა და ხალხიც მას მიყვებოდა, მაგრამ დარწმუნებული არ იყო, სწორად იქცეოდა. სხვა გამოსავალი, სულ ერთია, მაინც არ ჩანდა. აქ შეიძლებოდა მხოლოდ იმის იმედი გქონოდათ—ცდა ბედის მონახევრეა და იქნებ განწირული არ აღმოვჩნდეთო; თორემ, ვიდრე შახტში იქნებოდნენ გამოწყვდეულნი, სა-

ითაც უნდა გაქცეულიყვნენ, სულ ერთი იყო, თავს გადარჩენილად მაინც ვერ ჩათვლიდნენ.

ყრუ შტრეკში შეხიზნულები, ისე შეკრულიყვნენ ერთ მკიდრო ჯგუფად, თითქოს სცივათო. თანაც გაფაციცებით იცქირებოდნენ შუროს ყელისაკენ და ნათურების შუქზე ცდილობდნენ გაერკვიათ, საით მიიქცეოდა იმ შავი კვამლის, სანახავად ასე შემზარავი ბოლქვები. ერთმა მოულოდნელად იყვირა—აქეთ მოდისო! — ამ თავზარდამცემ შეძახილზე წამით ყველას თვალთ დაუბნელდა, თუმც ის არე წინანდებურად ნათურებით იყო გაჩირადდებული. ჯგუფი კიდევ უფრო შემკიდროვდა. მალე ნიკოც დარწმუნდა, აქ ლოდინი აღარ შეიძლებოდა და შემკიდროებული შურგში მოექცა, ერთბაშად უბიძგა ძახილით: — ხალხო! თუ აქ დაველოდეთ, ნამდვილად გამოგვახრჩობს აფეთქებული აირის კვამლი... გავიქცეთ სავენტილაციო შტრეკით! რაც შეიძლება, ჩქარა... ჩქარა...

თუმცა ნიკომ ღონიერად უბიძგა ასე საკვირველად შენივთებულ ჯგუფს. შთამავგონებლადაც უხმო, მაგრამ... ადგილიდან მაინც არავინ დაძრულა. ყოყმანის დრო აღარ იყო. ნიკომ შემახტის მუზარადი თავზე მკიდროდ მოირგო და პირველი გაიჭრა წინ. ამ თავგანწირულ კაცს ოცი ნაბიჯიც არა ჰქონდა გარბენილი, რომ დანარჩენებიც სათითაოდ აედევნენ. ნიკო აღარ შეჩერებულა, რაკი პირველ მოხედვაზე დაინახა, მას სხვებიც მიჰყვნენ. ის ძუნძულით ეშურებოდა წინ. მოხერხებულად წახრილს ცხვირზე ცალი ხელით ბრევენტის ქურთუკის კალთა მკიდროდ აფარებინა. მეორე ხელით კი ნათურას იქნევდა, თან ძუნძულში ფეხით ლიანდაგსაც სინჯავდა დროდადრო — გზას ხომ არ გადაეცლი, კედელს უცაბედად თავი არ შევანარცხოო. ასიოდე ნაბიჯი რომ გაირბინა, წამით შედგა. უკანაც მოიხედა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია... კვამლს ადამიანებიც ჩაენთქა, ნათურების შუქიც ამ წყვდიადის, მახრჩობელა კვამლის შა-

ვი ბოლქვების და უკიდვანო შიშის გარემოცვაში ნიკოც და, ალბათ, სხვებიც გრძნობდნენ, რა სიზმარი შეედრება თურმე ცხადს. ყველა ცდილობდა, მალე და უვნებლად დაეღწია თავი ამ უბედურებისათვის. ნიკო ჯერაც წინ უსწრებდა ყველას; ისევ ისე მიძუნძულებდა წინ წახრილი, ქურთუკის კალთა ახლა სახეზე მთლიანად ჰქონდა აფარებული. დროდადრო ესმოდა ფეხის ხმა. ამ განსაცდელში მართო რომ არ იყო, იმედით და მხნეობით მოსავდა მას. ნიკო სულ უფრო და უფრო გრძნობდა, სახეზე აფარებული ბრეზენტის ქურთუკის კალთა მომხუთველ კვამლს ველარ აკვებდა და იმის შიშით, რომ ამ კვამლში სამშვიდობოს გასვლამდე არ გაგუდულიყო, სირბილს უმატა. ის ახლა კიდევ უფრო წახრილიყო წინ. უკანასკნელ ძალ-ღონე მოკრებილი მიზნობდა თავგანწირვით... და უეცრად ისეთი ძალით შეენარცხა ლიანდაგზე მიტოვებულ ვაგონეტს, შენარცხებისას ისეთი ხმა გამოსცა ვაგონეტის წინა ფერდმა, და ყურებშიაც ისე ჩაესმა იგი ნიკოს, ეგონა, თავი გამისკდაო, მუზარადის ელასტიურ ცას რომ არა, ასეთ შენარცხებას თავი მართლაც ვერ გაუძლებდა. დატაკება და ხამპარასავით ნიკოს უკან გადმოტყორცნა ერთი იყო. წაქცეულმა დაიკვნესა და ვაგონეტიდან ორიოდ მეტრზე უღონოდ გაიშხლართა... იმავე წამს, თითქოს გონებაც იმ შავი კვამლის ბოლქვებში გაეხვიო, ნიკოსთვის ყველაფერი დაბნელდა.. გრძნობადაკარგული გონს მოიყვანა გულ-მკერდის და ფერდების უჩვეულო ტივილი... წაქცეულ ნიკოს, მის უკან მსრბოლნი წამოეწივნენ თუ არა, თითქმის ყველამ ფეხით გადაუარა, ორი-სამი კიდევ წამოედო და წაიქცა, მათ არ შეუნიშნავთ ნიკოს შენარცხება. ვაგონეტთან, და არც რელსებსშუა გაშოტილი უბნის უფროსისათვის მიუქცევიათ ყურადღება. მეწინავე მიეხალა თუ არა ვაგონეტს, დანარჩენები ისე ახლოს იყვნენ, ნათურის შუქზე უმაღლ გაერკენენ,

რამიც იყო საქმე და ამ საფრთხეს უვნებლად აუარეს გვერდით.

გავიდა წუთიც და ნახევრად მოხუთული, დაბეგვილი ნიკოც კვნესით, დიდი ვაი-ვაგლახით წამოდგა. სახეზე თვალბნებებით ხელის კანკალით აიფარა ქურთუკის კალთა და ალლოთი ბანცალბანცალით განაგრძო გზა წყვედიადში. თვალით ახლა, მართალია, ველარაფერს ხედავდა, მაგრამ ისე ეჩვენებოდა, თითქო ყველაფერი ტორტმანებდა, მიწაც, შტრეკის კედლებიც, ჰერიც... ასე იარა ასიოდ მეტრზე. თავს ძალას ატანდა, როგორმე შეექვსე კვერშლაგამდე მიეღწია. იქ ეგულვებოდა სუფთა ჰაერიც და ხსნაც. მაგრამ დარწმუნდა თუ არა, შეექვსე კვერშლაგშიაც კვამლი ამოდიოდა, უმაღ დაკარგა უკანასკნელი იმედი და თავწაჭრილივით წაიქცა...

გაიწმინდა თუ არა ჰაერი, დაზარალებულით პირველად შუროდან ამოსული ორი მუშა წამოეშველა. ისინი მიჰყვნენ და იმ ვაგონეტში, წელან რომ ნიკომ საბედისწეროდ შეანარცხა თავი, ვინც გზად იბოვნეს, ყველა განურჩევლად ჩაყარეს. ნიკოს ვაგონეტში ჩაგდებაც პირველად ერგო. მერე ზემოდან გზადაგზა სხვებიც დააყარეს. გამოქცეულთაგან ვერც ერთს ვერ დაეღწია კვამლისათვის თავი. ყველანი ერთმანეთის მიყოლებით, შორი-შორს ეყარნენ შტრეკში. ნახშირით გამოტენილი პირი ნიკოს ძლივს გამოუწმინდეს. ეტყობოდა, სადაც დაცემულიყო, დაფშვნილი ნახშირი ეყარა და შიგ სახე წარგულს სიმწრისაგან შეუქამია კიდევ იგი... პირველად, როცა გონს მოვიდა, ნიკოს ეგონა — გუშინდელი ნამთვრალევი ვარო... ასე ძალით რომ მალვიძებენ, რა გამოვიტყრეს საქმე, ხომ ხედავენ, სამუშაოზე წასვლა შეზარებიაო...

ბუნდოვანმა მოგონებებმა მალე მოქანცა ნიკო. მან ერთი კი გაახილა თვალი, მართლა გამოიყვანეს შახტიდან, მართლა გადავრჩი თუ არაო და, რაკი დარწმუნდა, თვალიც მიიღულა, ფიქრიც უფრო წყნარად განაგრძო.

ამ საყოველთაო უბედურების — შახტაში აფეთქების გამო ლეონტი ბუზალაძე გულის სიღრმეში სიხარულით ცას ეწია.

შახტის უფროსის მოადგილის სავარძელში უკვე არხეინად მოკალათებულ ქარქაშაძესაც ჩამოუგდო სიტყვა აფეთქებისა და სავარაუდებელი დამნაშავეების შესახებ, რაც ლეონტის გულში ჰქონდა, ყველაფერი ქარქაშაძეს ათქმევინა; ჯერ თავისი ცივი მზერა მიაპყრო, მერე გაუცინა და ბექზე ხელის მოხვევით უთხრა:

— ყოჩაღ, კოსტა! გულთმისნობაც ასეთი უნდა.

— გულთმისნობის რა მოგახსენო, ლეონტი სევასტიევიჩ, შენი ხმლის ქარქაში რომ ვარ, ეს კი იცოდე!

ქარქაშაძის მოსწრებულ სიტყვაზე ბუზალაძეს გუნება კიდევ უფრო გაუზაღისდა. სწორედ ისეთი კაცი მიპოვნია როგორც მჭირდებოდაო, — ფრთხილიცაა, თვინიერიცაა, მოშიშვიც, ცოტა შეიძლება მოქარაფშუტოა, მაგრამ იმდენი მაინც ესმის, უფროსთან შედარებით ყოველთვის ერთი საფეხურით დაბლა იდგეს და თანაც სულ თვალბში გიციქეროდესო. უფროსების თვალბში მორჩილად ცქერისა და მათი სურვილების გამოცნობაში მართლაც ისე გაიწაფა ქარქაშაძე, ნულარ იტყვიოთ. თუმცა ადრე ბუზალაძეს ეს კაცი უმაჟნისად მიაჩნდა, მაგრამ ეს ერთი ხანია აზრი მასზე საბოლოოდ შეიცვალა. სცოდნია თამაშიო — კმაყოფილებით ფიქრობდა ახლა ლეონტი. შახტის ეს „მთავარი რეჟისორი“ გულის სიღრმეში დიდად კმაყოფილი იყო, „როლებს“ რომ ასე „სწორად“ ანაწილებდა.

ბუზალაძე მოუთმენლად ელოდა ნიკო არაბიძის გამოჯანმრთელებას, გული აღარ უთმენდა... სასამართლო საქმეს დროულად შესდგომოდა. ეკვი არ არის, ლეონტის იდუმალ ნავარაუდები, სასამართლოს განაჩენს დაემთხვევა... ცვლის უფროსს — კვერნაძეს პასუხისგებაში

მისცემენ, მთავარ ინჟინერს გაათავისუფლებენ, ნიკო არაბიძეს კვლავთუ მაინცადამაინც ცოტას უშეღწევადებენ, უბნის უფროსიდან ბრიგადირად გადაიყვანენ რომელიმე სანგრევეში და... ეგდოს იქ. ამის მაღლობელიც იყოს. ეყოფა, რაც იხელმძღვანელო.

თამარელა რომ ჰიშვარს ალებდა, ასმათი ამ დროს აიენის კიბესთან შეშას აპობდა. ამ სანახაობის ბილვანზე თამარელას უფრო მეტად შემოაწვა გულზე დარდი: — „ჩემზე ნაკლებად, ეტყობა, არც ამათ უქირთ. ასეთ ყოფაში როგორღა ვეჩვენო, ჩემს უბედურებაზე როგორღა დაეუწყყო ლაპარაკი“. — გაიფიქრა თამარელამ და ის იყო, უკან გამობრუნებას აპირებდა, რომ ჰიშვარის ჰრიალზე ასმათი წელში გაიმართა, ეზო ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა. ჰიშვარის მომცრო ღია კარებში ვილაც ქალი რომ დაინახა, ხმადაღდა უხმო — ვინ გნებაეთ, მობრძანდითო. თამარელა მიხვდა, ამ სიშორეზე ასმათს მისი ცნობა გაუქირდა, მაგრამ მაინც ველარ იბრუნა ბირი. ჰიშვარიდან კიბემდე ეზო სწრაფად გადაიბრინა და ერთბაშად მკლავებგაშლილ ასმათს მკერდში ჩაეკრა. როცა მოსიყვარულებით გული იჯერეს, ასმათმა ახლაღა მიაქცია ყურადღება, თამარელას ბექები მთლად სველი ჰქონდა. ასმათმა აქამდე ბექებზე მოხვეული ხელები თავში წააელო, დაახრევინა, თმებზე ხელმეორედ აკოცა და შეიცხადა.

— ბარემ მოვკვდე... ასე უფრთხილები თავს? ტანისამოსი ხომ სულ დაგსველებია, ეს თავშიშველა სიარული რაღა! ახალი დაბანილივით, თმებიც სულ სველი გაქვს!.. ადი ახლავე, დედაშვილობას, აჰა, ეს ორი ნაჭერი შეშაც წაიღე და შეაკეთებინე ბუზარში ნიკოს. ჩემს ამოსვლამდის ცოტა შეთბით.

— რას ამბობ, დეიდა ასმათ? შენ აქ დაგტოვო და მე ბუზარს მივეფიცხო? ნუ გეშინია, შახტაში ისე გამოვიბრძმედეთ...

— გეტყობათ... ამას წინათ რანაირი ავად იყავი, შენ რა იცი, ძლივს მოგაბრუნეთ სწორედ იმ მახტაში გაცივებულნი..

— ისე... ყველა გაცივდებოდა... წყალში ჩავეარდი და...

— ჰოდა, ნულარ მალაპარაკებ, ადი მალლა, დედაშვილობას...

— მართლაც, ნულარ მალაპარაკებ, დეიდა ასმათ! — გათამამებული თამარელა ძირს დაგდებულ ნაჯახს წაებოტინა, მაგრამ ასმათმა ტარზე ფეხის დაბიჯება მოასწრო.

— შენ არ მომიკვდე...

— მახტაში რომ მიყურო, მაშინ რაღას იტყვი?.. ბიჭები იმხელა ბიგებს მაწყენებენ და მაპრევენებენ...

— შეარცხვინათ ღმერთმა!... ერთი ამოვიდე, ნიკოს ვუთხარა!..

ასმათის „მუქარაზე“ თამარელას კინაღამ გაეცინა მაგრამ უმალ მოაგონდა კაკოს წერილი და ერთბაშად შუბლი შეიკრა.

— ეტყვი თუ არა, გაუკვირდება, დეიდა ასმათ!

— აჰ, არ არის მაგ ჩვენებური ქალის საქმე, რას იზამთ შეილო... სანამ კაცები დასაქარგავში არიან... ყველას წაგვამწარა ამ ომმა... ვის შვილი ენაკლისება, ვის ძმა, ვის ქმარი, და ვინ იცის, კიდევ...

თამარელა თავდაბრილი უსმენდა ასმათს, ის თან დაბობილ შეშას კრეფდა და ცალ მკლავზე იწყობდა, თან ლაპარაკობდა. თითქოს ფიქრს გაეტაცოს, ასმათმა უცებ შეიცხადა — მომიკვდეს თავი ახლა რა დროს ეს არის, არ გამიცვიდე ბავშვიო, და თავის მკლავზე დაწყობილი შეშა უმალ თამარელას მიანჩნა და გაუმეორა — ადი ახლავე, ეს შეშა ნიკოს აუტანეო. თამარელამ გაძალიანება ვეღარ მოახერხა, უსიტყვოდ დაემორჩილა ასმათის ნებას და კიბეს ნელა შეუყვავა. ყოველ დაბიჯებაზე ფეხსაცმელში წყალს ქვაპაქუპი გაუდიოდა. დღეს დილიდანვე წვიმდა, ნიადაგი ღრუბელივით იყო გაქდენილი. ნაშუადღევს, მართალია, წვიმა შეწყდა, მაგრამ შემ-

დგ ამ უცნაურ თქორს ბოლო აღარ უჩანდა.

აიენის ბოლოში თამარელამ ფრთხილად შეაღო განაპირა ოთახის კარი. დაწმუნებული იყო, ნიკომ ეზოში შემოსვლისას თუ არა, ასმათს რომ ველაპარაკებოდა, მაშინ მაინც შემამჩნია და ახლა კარებში შემეგებებო. მაგრამ კარი ისე გააღო, არავინ შეპგებებია. გათოშოლ-გაწუწულ თამარელას კარის გაღების უმალ ეცა ოთახის საამო სითბო. თავჩაღუნული ნიკო ბუხართან კარისაკენ ზურგივით იჯდა. კარის გაღების უმალ ფიქრებიდან გამოერკვა, წელში გასწორდა, მაგრამ არ წამომდგარა, ისე თქვა სკამის საზურგეზე უღონოდ გადაწოლილმა:

— ასმათ ამ ერთხელაც მამატიე, კარებში ვერ შეგეგებე, შეშა ჩამომერთმია! რას მოვესწარი... ბიჭი ფრონტზეა, მე ბუხართან ვზივარ და... ვეღარ ვდგები, შენ კი შეშას გაპობინებ...

თამარელამ კარის მიხურვა კი მოასწრო, მაგრამ ნიკოს პირველივე სიტყვაზე იქვე გამშვდა. თან ეცინებოდა, თან ეტირებოდა, ნიკო რომ ასმათის მისამართით ლაპარაკობდა და თვითონ უსმენდა.

როცა ნიკო გაჩუმდა, თამარელამ ქუსლზე ჰვინტის მიბჯენით ჯერ ერთი ფეხსაცმელი გაიხადა კარებთან, შემდეგ მეორე და წინდების ამარა გაემშურა ბუხრისაკენ. ნიკოს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, შენიშვნაზე რომ არაფერი უპასუხეს. ის იყო, კარისაკენ შემობრუნებას აპირებდა, რომ უცებ თამარელა გამოეცხადა. კაცი სწორედ შეკრთა ამ უცარ ხილვაზე. რახან ფეხის ხმა არ გაუგონია, ეგონა, რასაც ვხედავ, მეჩვენებო.

— გამეცი ხმა... ყველაფერს მოველოდი და თუ შენ ასე, ანგელოზივით გამომეცხადებოდი, რა მაფიქრებებოდა!..

თამარელამ გაუღიმა.

— ძალიან გამახარე და... ცოტა ქეც შემაშინე... — ნიკო გაპირვებით წამოდგა და სანატრელ სტუმარს ხელი შეაგება, მაგრამ თამარელამ დაასწრო. სწრა-

ფად დაიხარა, შეშა ბუხრის პირას ფრთხილად დაყარა. წელში გასწორებული სიკომ ხელების გაბერტყევაც არ აცალა, ასმათივით მოიზიდა მისი თავი და ორჯერ აკოცა თმებზე. ხელი რომ გაუშვა, ერთხანს, პირისპირ მდგარნი, უხმოდ ღიმილით შესცქეროდნენ ერთმანეთს. სულ სხვაა ხნიერის და მოხუცის სიყვარული. თამარელა ახლა ცხადად ზედავდა, რარიგ უყვარდა ის ნიკოს — მამის, მზრუნველის სიფრთხილით, მოწინებით უანგაროდ და უშუალოდ. რომ იტყვიან, სწორედ მზე ამოსდიოდა თამარელაზე ნიკო არაბიძეს. არაფერია ქვეყნად უფრო ძვირფასი და მნიშვნელოვანი, როცა შეგიძლია სიყვარულში მიენდო ადამიანს; რამდენადაც კეთილშობილური გრძნობაა სიყვარული, იმდენად უფრო ანაირალებს იგი ადამიანს. განიარაღებულის დამარცხება კი ადვილია.

— თამარელა, ჭყინტი სიმინდის ულვაშისათვის ვიყნოსია?

— რაა არა, ნიკი ბიძია! რამდენჯერა! „თავზე რომ ვაკოცე, სველმა თმებმა სწორედ სიმინდის ულვაშის სურნელება გამახსენა...“ გაიფიქრა ნიკომ.

ნიკომ შეამჩნია, თამარელას ღიმილი სევდანარევი იყო და თვითონაც უმალ გუნება შეეცვალა. მართალია, პირველად მძიმე ავადმყოფი დაიკოს შესახებ უნდა შეჭკითებოდა, მაგრამ ნიკომ იფიქრა — დაზე ფიქრი არ აკლია, ცოტა გავამხიარულებო. ახლა ამ კითხვას შორიდან დაუარა.

— რა ამბავია ქვეყანაზე? — ნიკომ ეს ისე იკითხა, თამარელა ადვილად მიხვდა, მას ახლა უფრო საშინაო ამბები აინტერესებდა.

— ქვეყნის ამბებს ჩემზე ადრე გეზნებოდა, ნიკო ბიძია, და მე რაღა უნდა ვითხრაო...

თამარელამ ახლა-ღა მიაქცია ყურადღება, ბუხარი თითქმის გაცივებულიყო, შეშის უქანასკნელი ღერის ფერფლი-ღა ჩანდა. თამარელა სწრაფად დაიხარა, ღველფი გაქექა, ნაკვერჩხლებს სული შეუბერა, გამოაფხიზლა, თვალი გააჭყე-

ტინა, მერე შეშის ნაჭრებიც მიუწყო. ნიკომ ბევრი უშალა, მაგრამ თამარელამ მანამდე უბერა, სანამ აღმოაჩინებდა. მალე გაისმა ბუხარში გაღალღებული ცეცხლის გუგუნო, შეშის ნაჭრებზე აქა-იქ შემორჩენილი სველი კანის ტყაცატყუცი...

აქამდე სულ ესმოდათ, როგორ აპობდა შეშას ასმათი. ნაჯახის ცემის ყრუ ხმა მოსვენებას არ აძლევდა ნიკოს. მართალია, ის თამარელას ელაპარაკებოდა, მაგრამ ყური ერთთავად ასმათისაკენ ეჭირა.

— ერთი, შენს გახარებას, თამარელა, გადაძახე ჩემ მაგიერ ასმათს აიენიდან — ნუ ჭრი მეტს, თუარა შენი შემეყურე აღარ ვარ კაცი-თქვა!

თამარელა სწრაფად გაიჭრა გარეთ და, მანამდე არ დაბრუნებულა, სანამ ასმათი არ ამოიყვანა. შეშა ორივემ ამოატანა და გარეთ აივანზე დაახვავა.

შემოდგა თუ არა ოთახში ასმათმა ფეხი, ნიკო საყვედურით შეეგება:

— მოიკალი თავი და ის იქნება! რაა, შეშის დამჩხავს ვეღარ იშოვიდა ნიკო არაბიძე, უფასოს თუ არა, ფასიანს მაინც?!

— ნიკო არ იცი თუ რა? როცა გჭირდება, სწორედ მაშინ არავის სცალია? რას იზამ!.. კაცები, ვისაც ღონე ერჩოდა, წაიყვანეს და, ვინ იცის, ვინ ვის უჩხავს თავს შეშასავით!

— ამიხსენი ერთი შენებურად! — წყენით შენიშნა ნიკომ.

რამდენიმე წუთს ოთახში კრინტი არავის დაუძრავს. ასმათმა ცოტა მილაგ-მოალაგა ოთახი და თვითონაც ბუხართან ჩამოჯდა. უცებ შენიშნა თამარელა მოშორებით იჯდა, უმალ შეიცხადა:

— ღმერთო მომკალი! რა უცხოასავით გვერიდები, თამარელა! მოდი აგერ, შევილო, გათბი... თუმცა, რის გათბობა, სულ გასაშრობი ხარ!

ასმათი სწრაფად გავიდა მეორე ოთახში. მერე თამარელასაც უხმო.

— ნუ სწუხდები, დეიდა, ვიქნები ასე... რა მიშავს!

ასმათი მანამდე არ მოეშვა, სანამ სვე-

ლი ტანსაცმელი არ გახადა და მშრალეები არ ჩააცვა.

თამარელამ ისე დაიმორცხვა, მეორე ოთახიდან გამოსვლა ველარ მოეხერხებია — ასე, ამ კაბაში როგორ ვეჩვენო ნიკო ბიძისაო. ასმათმა სხვა რომ ველარაფერი ვააწყო, წელზე ხელი მოხვია და ძალით გამოიყვანა წინა ოთახში.

— ცოტა, ვითამ სრული გაქვს. ისე რა უშავს, მგონია კიდევ გიხდება, — გაიკვირვა ნიკომ.

თამარელამ უფრო დახარა თავი და გაიწია, ასმათს რომ ხელიდან გასხლტომოდა, მაგრამ დიასახლისმა სძლია ბუხართან ძალის-ძალით მიიყვანა და გვერდით მოისვა.

— გვერიდები? არ გრცხვენია?

ცოტა შეწყრომით და გაცუებით, მაგრამ გასამხნეებლად შენიშნა ასმათმა და, წელანდელივით მოესიყვარულა, სველ თმებზე ერთხელაც გადაუსვა ხელი თამარელას. — ბარემ თმებიც ვაგეშრო!

თამარელა ცივ უარზე იყო — ერთ-თავად გაიძახოდა — რა მიშავსო.

— კარგი, რახან ასე გერიდება ჩემი, წავალ ბატონო!

ნიკომ წამოიწია. თამარელაც უმაღლ თითქოს მისი მიბაძვით წამოიჭრა ზეზე. ნიკოს გაეღიმა და უსიტყვოდ დაჯდა. თამარელასაც სხვა გზა აღარ ჰქონდა, ისევე მორიდებით ჩამოჯდა სკამის ნაპირზე.

წელან, ასმათმა სკამის საზურგეზე რომ გადაკეცდა თამარელას სველი კაბა, სტუმარმა მაშინ არაფერი თქვა, გუნებაში კი გაიფიქრა — ასე როდის ვაშრებო! რამდენადაც სიამოვნებდა თამარელას ასმათის კაბა რომ ეცვა, იმდენად ეუცხოვებოდა, და იმეუშნებოდა. არ იცოდა, როგორ გამოიყურებოდა ამ სამოსში. იღუმალ, შატბიას მშობლები-სათვის თავის მოწონების სურვილით იყო გამსქვალული და ეშინოდა, შეუჩვეველ სამოსში არ დაეკარგა თავისი უბრალოება და მიწვიდევლობა. თუმცა ამ ოჯახიდან წასვლაზე გული არ აჩქარებდა, მაგრამ თამარელამ მაინც აიღო

სკამის საზურგეზე გადაფენილი კაბა და უფრო მალე რომ გაეშრო ბუხრის ცეცხლს მიუფიცხა. რამდენიმე წუთის წინ აივანზე გასული ასმათი ოთახში შემობრუნდა, ხელში, შუა გაპობილი კვახის ნახევარი, ჯამივით ეჭირა. ბუხარში დანაკვეთსლებული ცეცხლი ცალ მხარეს გასწია, ლადარში კვახი პირქვე დაამხო და მერე ზემოდანაც დააყარა ნაცარში არეული, წვრილად დაფშენილი ნაკვერცხლები. ჯიბეში უცაბედად ნაპოვნი სიმინდის რამდენიმე მარცვალი ნიკომ თამარელას უჩუმრად ცხელ ნაცარში ჩაფლო. როცა მარცვლები დასკდა და თეთრად გადაპენტილი მძლა აცვივდა, მოულოდნელობისაგან თამარელამ ერთი მსუბუქად შესძახა — ვაიო, და უკან სწრაფად გადაიწია. ქალიშვილის ამ შეკრთომით ნასიამოვნებმა ნიკომ ხმადაბლა გაიციხა.

— ჰო, რა გაცხარდებოდათ, გია და გურამიც რომ წამოგეყვანა! — ნეტა მოგეფიქრებინა!

— ნიკო ბიძია, მაგას რა მოფიქრება უნდოდა, მაგრამ ახლა სად მეცალა მაგათთვის.

— რატომ, რა მოცლა მაგას უნდოდა, ხომ აქეთ მოდიოდნი?..

— მოვდიოდი, მაგრამ...

— ისე ბორძიკობ, მგონია, რალაცას უნდა გვიმალავდე.

ასმათი არ განძრეულა, მაგრამ ქმრის ექვნარევე სიტყვაზე უცებ მკვდრის ფერმა გადაუარა.

— დასამალი რა მაქვს. სწორედ იმიტომ მოვედი, შემეწუხებინეთ, შემომეჩილა...

— თქვი-მერე... — ნიკომ ეს დინჯად თქვა, მაგრამ გულმა რალაც ცუდი ამბის შეტყობის მოლოდინში გამალებით უწყო ძგერა. ამ ბოლოს გულის ძგერა ისე დასჩემდა, წარამარა ახსენებდა თავს ძველ მეშახტეს.

სანამ რამეს იტყოდა, თამარელას მოულოდნელად ცრემლი მოერიო. ამის შემხედვარე ნიკოს გული უფრო აუძგერდა.

— აქამდე რატომ არ ამბობდი, ჩვენ-

თან მოსარიდებელი ნეტა რა გჭონდა? — ისევ ნიკომ უსაყვედურა. ასმათს, მართალია, ნიკოსავით გული არ უძგერდა, მაგრამ ხმას ვეღარ იღებდა. ენა, სწორედ ჩაუფარდა. ის ერთთავად განაბული იყო, და მოუთმენლად ელოდა, რას იტყოდა თამარელა, რა დარდს მალავდა იგი.

თამარელამ უბიდან მოკეცილი ქალღლი ამოიღო და ნიკოს გაუწოდა.

ნიკომ ჯობებები მოიჩხრიკა, სათვალე ძლივს გაიკეთა და ბარათის კითხვას შეუდგა. ზოგი სიტყვის ამოკითხვისთანავე თავს სინანულით აქნევდა, დიდხანს ბუტბუტით კითხულობდა თავისთვის. რომ დაასრულა, სათვალე მოიხსნა, ბარათი ისევ ხელის კანკალით დაეცა და დაფიქრა.

— რა იყო, კაცო, აღარ იტყვი, რა ამბავია, რაზე დაგემგლოვათ სახე ორივეს?!

— რა-და აგერ, კაკოს წერილი მიუღია თამარელას, მოკითხვას უთვლის ყველას! რა იცის ბიჭმა, რა დღეშია მისი მათა! ძალიან უსაყვედურებს მათასაც, თამარელასაც, რატომ ხშირად არ მწერათ წერილსო.

ასმათმა გადაიკითხა ბარათი. ბევრი იფიქრებდა, მაგრამ ბოლოს, თამარელას გასამხნეველად, ბეჯითად შენიშნა — უნდა გამაგრდე, რას იზამ, აგერ ჩვენც შენთან გვიგულე, ნუ გეშინიაო. წერილის კითხვის დროს ნიკოსა და თამარელას შუა, ბუხრის წინ დაბალ სკამზე ჩამომჯდარმა ასმათმა მოსაფერებლად თამარელას ტერფში რომ წაავლო ხელი, უცებ ხელახლა შეიცხადა:

— ნიკო, ერთი თუ კაცი ხარ, მოკიდე ხელი, გაუმეტებია თავი მოსაკლავად და ესაა!.. წინდაც სულ სველი არ სცმია?!

— დეიდა, შენგან არ მიკვირს?!.. ჩემს თავსლა ვჩივი, როცა გარშემო ამდენი უბედურებაა?!

— მერე შენ რომ კიდევ ავად გახდე, ამით ვის რას უშველი? თუ სხვისი შველა გინდა, ჯერ შენს თავს გაუფრთხილდი!

ნიკო ახლა გაჭირვებით სცემდა ბოლოს ოთახში და ნაბიჯის ტაქტურს ვასაც გაჭირვებით ამბობდა.

ვიდრე ნიკო ლაპარაკობდა და თამარელას გულისყურიც მისკენ ჰჭონდა მიპყრობილი, ასმათმა დრო იხელთა. თამარელას, ხელის ერთი გავლებით გახადა წინდები. თამარელა ძლიერ წუხდა, ასმათი რომ ასე ზრუნავდა მასზე.

— დეიდა, არ მოგეკარებოდი, რომ მცოდნოდა, ასე შეგაწუხებდით! — მოხერხებულად წასჩურჩულა თამარელამ ასმათს და შიშველი ტერფების დამალვა რომ სცადა სკამის სიღრმეში, ასმათმა არ დაანება, ძალით წამოაწვინა და ცეცხლს მიადიციებინა ისინი.

— ასე მაინც რაფერ დაისველე ფეხი, წყალში ხომ არ გივლია?!

— წყალში არ მივლია, მაგრამ...

თამარელა შეყოყმანდა. ნიკო მიხვდა ამის მიზეზს. სანამ ასმათი და თამარელა ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, შეუმჩნევლად კარებთან დატოვებული თამარელას ფეხსაცმელები მოიტანა, ბუხრის წინ დაიწყო და მერე საითთაოდ გასინჯა. მარცხენა ტუფლი რომ შეაბრუნ-შემოაბრუნა, გაიციანა.

— ასმათ, ხედავ? — ნიკომ ამ სიტყვებზე ფეხსაცმლის ლანჩას ხელმეორედ ჩავლო ორი თითი და გადასწია.

— წებან კაბას ვჩიოდი და ეს ფეხსაცმელი კი სულ წავსვლია ხელიდან!.. ნიკო, ვათხოვებ ჩემს დაბალქუსლიან ტუფლებს და ის იქნება:

— ვათხოვებ, რას ჰქვია! რაეა, არ გემეტება?

— ნიკო ბიძია, აქიდან ფეხშიშველი რომ მომიხდეს წასვლა, ის მირჩევნია...

— ასე გეთაყილება ასმათის ტუფლის ჩაცმა?!

— რაეა შეთაყილება, მარა... რატომ...

— დაჯექი, დაჯექი... რახან ასმათის ტუფლის ჩაცმა ასე გეთაყილება სხვა საშუალებას გამოვნახავთ.

— ნიკო ბიძია! — კვლავ წყენით წამოიძახა თამარელამ, როგორც კი სიტყვა „გეთაყილება“ მეთრეფ ასენა ნიკომ.

— ვიცი, ვიცი, რატომაც „დავილ-

ბია“ ეს შენი ფესსაცემლები... აქაო-და მშრალი არ დაკერდება!

— ნიკო ბიძია!..

— გამოტყდი, გამოტყდი.

— კაი, თუ კაცი ხარ! — შეაწყვეტინა სიტყვა ასმათმა, — რას აწუხებ შენი ხუმრობით, ხომ ხედავ... სწყინს!..

— მე მწყინს, დეიდა? ვიცი, ნიკო ბიძია ხუმრობს, მაგრამ... ამ ხუმრობაში მართლა აპირებს ჩემი ფესსაცემლის დაკერებას და, როგორ მივცე ამის ნება?..

— ჩემს სახლში ყველაფერი ჩემი ნება!

— ნიკო ბიძია, მაგისთვის ხომ არ ამოვსულვარ?

— კარგი, გამოტყდი... აქაო-და ნიკო ბიძია არ მიმიხალტურებსო...

— ნიკო ბიძია, — მესამედ წამოიწია და წამოიძახა თამარელამ, — აღარ ვიცი, რა გითხრათ, რა ვქნა...

— იჯექი, გაითბე ფეხები და მიუტრე, რავარი მეჯღანე ვარ!

— იჯექი, ყურს ნუ უგდებ! — ურჩია ასმათმა ნიკოს სახუმარო შენიშვნებით აწრიალებულ და დარცხვენულ თამარელას.

— მაინც ასე კარგად როგორ დაალებ, ა? — არ ცხრებოდა სახუმაროდ საღერღელ აშლილი ნიკო. მართალია, თამარელას ლანჩააგლეჯილმა ფესსაცემელმა ბევრი აცინა მასპინძელი, მაგრამ მის გულში რომ ჩაგეხედათ, სულაც არ იყო ხუმრობის გუნებაზე; თუ მაინც ხუმრობდა, უნდოდა თამარელა გაერთო.

— ნიკო ბიძია, ძალიან გთხოვთ, დაანებოთ თავი ჩემს ფესსაცემელს. — თამარელა გაუბედავად სწვდა ხელებში და სცადა, წაერთმია ლანჩააგლეჯილი ტუფლი, მაგრამ ნიკომ არ დაანება.

— მართლა არ გინდა დაგიკერო? — იკითხა ბოლოს ნიკომ.

— არა, ნიკო ბიძია!

— მაშინ... ასმათის ფესსაცემელი ჩაიცივ!

თამარელას ისე გაეღიმა, მიხვდებოდით, გზა მოკრილი ჰქონდა.

— წასასვლელი რომ არ იყო, ფესსაცემელი წყლით დაგბანდი და დარწმუნებული ვიქნებოდი, ხელახლა აღარ გამოცივდებოდი...

— ნუ გეშინიათ, დეიდა, არც ისე ვავცივდები... მარტო პატარაობისას ხომ არა, ახლაც სულ ფეხშიშველი არ დაედივარ, როცა სახლში ვარ, გინდა წვიმდეს, გინდა არა?

ნიკოს ამასობაში ხელსაწყოებიც მოეტანა და საქმეს შესდგამოდა. გასასათლავი ბამბის ძაფის ერთი ბოლო თამარელას დააჭერინა და წმინდა სანთელი დინჯად გაუსვა და გამოუსვა მსხვილად ნაგრეს ძაფს.

— ასმათ, რა წარამარა ახსენებ, წასასვლელი რომ არ იყო. შენც დაბანე და აღარ წავა, ესეც რომ არ იყო, რაეა, ჩემი დაკერებული ფესსაცემლის ჩაცმას დაუბანელ ფეხზე აპირებს თუ...

— რა ენა გაქვს, ნიკო... ერთხელ წამომცდა, შე კაცო — წასასვლელი რომ არ იყო-თქვა და შენც რა, ერთხელ ნათქვამი აქამდი გესმის გამოძახილივით?!

ნიკომ კმაყოფილებით ჩაიციინა და სადგისიც უმარჯვა ლანჩას.

დაკერებას რომ მორჩა, ნიკონ თამარელას გაახლებული ფესსაცემლები გასაშრობად ბუხარს მიუფიცხა.

თამარელა მორცხვად უხდიდა ნიკოს ბოდიშსაც და მადლობასაც.

ერთხანს სამივენი კვლავ სულგანაბული უცქეროდნენ ბუხარში ცეცხლის ენების ლალ თამაშს. სამივენი ახლა შატბიაზე ფიქრობდნენ.

ნიკომ მოულოდნელად ამოიხრა, სკამზე, წელში გასწორდა და თქვა:

— რომ იცოდე, თამარელა, რაფერ გამახარე, რაფერი!.. რა კაი გოგო ხარ!.. რაც შატბია ფრონტზეა, ასე მგონია, გამოვყრუვდი-თქვა!..

— შენი მტერი გამოყრუვდეს! — მყის მიაგება ასმათმა მეუღლეს.

(გაგრძელება იქნება)

თამაზ ჭილაძე



არც მიფიქრია, არც მინატრია —
მზეში მეძებნა საჩრდილობელი,
სულ შარავნაზე გამიტანია
ფიქრიც, სიმღერაც და ჭრილობებიც.

მომლანდებია — წყალზე გართხმული,
მთვარე მბზინავი დათვის ბეწვია

და ვარსკვლავების ოქროს თავთუხი
თვალის გუგებში გამიღეწია.

არ ჩამთვლემია მათ თბილ ლაღარში,
არ მიყვირია: მოდი, დამძარი! —
რადგან, ვით ტყეში, ანდა ყანაში
ჩემს სულშიც უცებ ჩნდება ხანძარი.



ღამე თბილია, როგორც ფარეხი,
ღამე სავსეა მთვლემარე ხმებით,
ჩრდილები მთების და გუდარეხის
გადაჭდობილან შიშველ ხმლებივით.

ანთია ცეცხლი და იწვის წუთი,
იწვის საათი,
ღამე,
წადილი...

რა ვუყოთ მერე თუ გუშინ მსურდი
და შენთან მოსვლა იყო ადვილი.

ღამე თბილია, როგორც ფარეხი,
ფარეხი სავსე დაღლილ ღრუბლებით,
კალიასავით ხტება მარიხი
და მთებს ეცემა წითელ მუხლებით.

რა ვუყოთ ისევ თუ ბრიალებენ
ვნებები, სულში მომწყვდეულები,
და თუ ზედ მკერდზე დამდის მდინარე —
სავსე გახლეჩილ ბროწეულებით.

ქარი

ჩუ!
აბუხუნდა მთვარიან ღამით
წამოვარდნილი შლეგი არაგვი,
განათებული კალმახის კვარით
და დაკარგული, ვით ამხანაგი.

ჩუ!
ნეკერჩხლებში წვიმის წვეთები
სკედებიან, როგორც სავსე გულები.
ნუთუ სიჩუმე არ გემეტება,
არ გემეტება ჩემთვის სრულებით!

ჩუ!
ზედაზენზე სუნთქავს ვარსკვლავი.
ღამე, გაბმული და დაბანგული,
გავსებულა და გაკავებულა
ტყის უსაშველო გულის ბაგუნით.

მიმოგიფანტავს, როგორც სიმღერა,
მეტეორები, დამსხვრეულები,
ჩუ!
ნეკერჩხლებში წვიმა იღვრება,
როგორც სათქმელი სავსე გულების.



ერთი და ორი,
ერთი და ორი —
მთვარე რაკუნობს ხავსიან ქვებზე,
ვით ჯოხის ცემით გამსკდარი დოლი,

აყრუებს ბალახს, ტალღას და თევზებს.
ვერ უდგებიან გემები ქარში
ნაპირს და სიმწრით იწყებენ წრიალს,
ლოდინი დედის, ცოლის და ბავშვის
დამგვანებია გადაბმულ წვიმას.

და თითქო მკერდით აწყვება კარებს
ზღვის ძახილი და მიწის ნალექი,
ქარსა და ჩინარს, ბალახს და მთვარეს
ვინ დაასწავლა ჩემი სახელი.

ვიღაცა შველას თხოულობს მგონი,
წამოვარდნილვარ დამეში ზეზე...
ერთი და ორი,
ერთი და ორი, —
მთვარე რაკუნობს ხავსიან ქვებზე.

კველი ტალინი

აქვე, სულ ახლოს ზღაპრებია:
ლუდის კათხებში
სძინავთ რაინდებს,
ვით უიღბლოდ მოსულ ვალეტებს.
სული ქუჩებში გაბნეულა,
განათებულა,
ცასავით ურიცხვ ვარსკვლავებად
მიმოფანტული.
და კრამიტებით გადაბურულ ქიშკრებზე
თითქო

შენი სახელი ამოუწვავთ
და მე ვაწყდები
ეზოებს,
სახლებს,
სამრეკლოებს,

გრანიტის სვეტებს,
ცივს, როგორც შენს ხმას,
ვით წვიმაში მოსმენილ ზარებს.

ამ ქვებში ცხოვრობს მკაცრი ღმერთი
და მე მგონია
სამრეკლოები ცად ასული მისი კივილი.
და ვგრძნობ კედლებში,
გრანიტებში
შენს ქალღურ აღმურს,
ვეკრობი მკერდით
და ქალაქი ცახცახებს თითქოს.
აქვე სულ ახლოს ზღაპრებია:
ლუდის კათხებში
სძინავთ რაინდებს,
ვით უიღბლოდ მოსულ ვალეტებს.



დაუმთავრებელი ვალადა

სალამი, ჩემო გამზრდელი მთებო!
ისევ გიხილეთ, ისევ მოვედი...
ცად აზიდულხართ და სანაქებოდ
გფარავთ სიმწვანის უდაბნოეთი!..
აქ მიწის სუნთქვაც საგრძნობი არი
ის ახლავს მუხის ფოთლების შრიალს,
დასაბამიდან დიოდნენ წყალნი
და ძველი სევდა ვერ წარუშლიათ
წარსულან წყალნი, დუღილით ზარით,

ჩაუნერგიათ ხევში ქვიშანი...
როგორც ლურსმული წარწერის კვალი
შემორჩენიათ ლოდებს ნიშანი!..
დიდება მარად იმ მთებს, იმ სერებს,
ჩანჩქერებს, ნისლებს — სათუთ
მანდილებს,
ტყის შრიალიდან გადმოვიწერე
მე ეს ზღაპარი და სინამდვილე.

გარემონი

„შრაპნელი ცეცხვა, შრაპნელი სკდება,
ხან ვერ მოგვაწვდენს,
ხან აგვიღდება“

(პარტიზანული სიმღერიდან)

არყების ჩრდილი დაეცა ტრამალს,
გულთეთრ რტოებში მთვარე ირწევა,
კენესის გარმონი და ასე ფრთაშალ
ნიავთან თეთრი ღამე იწვება...
იწვება ღამე და რაზმს პატარას
გარმონის ხმაზე ფიქრი შებურავს;
გარმონის ძალით — ცეცხლის გატანა
და ატირებაც რომ შეძლებულა.
დაუკარ, ძმაო: ღამე დავლიოთ!...
მოგისმენს რაზმი ველში მიყრილი,
თვალდია ხედება რამდენ ალიონს,
თავაწყვეტილი ცხენის ჭიხვინით...
დაუკარ, ძმაო! იმღერე ტკბილად
სევდის ნასახი არ იყოს, არა!
არ გისმენს გოგო აქ შენი კბილა
და იქნებ დარდი გადაგეფარა...
უკრავს გარმონი და არის ასე
სმენად ქცეული ხე და ბუნება,
უკრავს გარმონი, რომ გარიყრაუზე

გათელონ ველი ბედაურებმა,
რომ მახსოვლთა აშეებულ ბანდებს
მუღმივ სამარედ დარჩეთ სანგრები, —
პირმოელვარე ხმლებს სისხლი ბანდეს,
ტყდებოდეს ხმლები და უზანგები..
კედებოდეს გმირი,
სისხლით ნაწერი
რჩებოდეს ქვეყნად მისი ამბავი...
შენ გახდებოდე მისი დამცველი
და თქმულებები დაუსტამბავი...
თუ გიმღერია დაჭრილის გულთან
უკანასკნელი ლექსი გმირობის,
მას შეინახავს ელვაზე სუფთად
მშობელი ზეცის სანაპირონი...
მას შეინახავს შენი ჰანგები,
მას შეინახავს დაუსტამბავად
და სიმღერები დაუქანგველი
სხვა თაობების მხრებზე გადავა.

რაც თმში ხშირად მომლანდებია



დაგრეხილი მუხის ტანი
 ველში ფესვებ დახლართული,
 ბუჩქნარებში გაპარული
 ყვავილების ნაკადული,
 ორღობე და მაყვლის თვალი
 ფიროსმანის დახატული...
 ჩემი ყრმობის ოცნებები
 ფუტკრებივით დაფანტული,
 ფრთაცაცახა მთის ნიაფი
 ფოთლებში რომ დაფათურობს,
 ჩონგური და საზანდარი
 სალამური და ფანდური,
 მოჭახჭახე შაშვის ხმები,
 ტორთლების მოძახილი,
 ტანლატანა ალვის ზენი
 და ტირიფი რტოდახრილი.
 ოქროვანი დილის ცვარი
 ვარდზე ღამე ნათევარი,
 მთვარე ბინდში გახვეული —
 უზალთუნის ნახევარი

და კლდის ძირას ხაპოვარი
 მამაბაბის სატევარი.
 ჩანჩქერების ჩაძახილი,
 ჩამსხვრეული მთების ბროლი,
 შეკვირტული ბაღნარები
 და აპრილში ტყემლის თოვლი...
 ტანაყრილი სიმიანდები,
 ტაროები — ადლიანი,
 რქანაყარი ვენახები,
 კვახის ლერწი მადლიანი,
 უღრანები, მუხნარები,
 მთები კალთა მადნიანი...
 აწყვეტილი კრიმანჭული
 ბილიკივით დახვეული,
 წითელლოყა ზამთრის ვაშლი
 ქარიანში დარხეული,
 წამოსული სეტყვასავით,
 მიწა ჭრელად მოფენილი
 და პერანგა გლეხის გოგო
 ასაკრეფად მოფრენილი!

აღმოსაზრება აბაშაში



(გამოუქვეყნებელი ლექსები)



მე არ ვიცი, რა ძალებმა გამაჩინეს.
რომ ვიცოდე, განა ჩივილს დავიწყებდი?
მე სიკვდილი გარდუვალი არ მაშინებს,
მეშინია სიკვდილს შემდეგ დავიწყების.

მახსოვს მამა, პაპა — ოდნავ, მაგრამ
იქით
მე ჩემს წარსულს ბნელი ფარდა ვერ
აგხადე,
ვერც ოცნებით, ვერც სიზმარში,
ველარც ფიქრით
წინაპართა გამქრალ სახეს ვერ
აღვადგენ.
მათი ხსოვნა სამუდამოდ დამზობილა!
მე ამ ფიქრზე შიშის გრძნობა
გამიტაცებს:
არ არიან, თითქო ქვეყნად არც
ყოფილან!
მათი კვალი აღარა ჩანს ამ მიწაზე...

ნეტავ იმას, ვისი საქმეც დარჩენილა,
ვისი ხსოვნაც ქვეას თუ ქაღალდს
შეუნახავს.
მას რა უშავს, ის უკვდავად გაჩენილა,
მომავალსაც ის თავისი თვალით ნახავს.

ჩემს პატარა ლევანს



სიცოცხლის დღე ჩემი ვიდრე
დაჰკნება და დაილუვა,
ჩემი სახე ჩაიმკვიდრე
შენს თვალებში, ჩემო ლევან.

შენ სიცოცხლე სალამს გაძლევს,
მე სიკვდილი მჭდავება,
შენთან ვიყო, სანამ გავძლებ,
სხვა არ ვიცი უკვდავება.

თითქო ბედიც მესარჩლება,
ვთქვი, რაც შენთვის უნდა მეთქვა:
მე წავალ და შენ დაგრჩება
ჩემი გულის ჩემი ფეთქვა.

შენც ხანდახან მომიგონე,
მეგობრებთან გამიხსენე,
არსებობის მომე ღონე,
გაქრობისგან დამიხსენი.

15 ნოემბერი 1953 წ.



ცეცხლის ხაზზე

I

მედიცინის გენერალთან უსიამოვნო საუბრის შემდეგ პოდპოლკოვნიკმა ლევან არიშინიძემ მიწერილობის ქალაქი გახუთებული მაზარის ჯიბეში ჩაიძლო და უსიტყვოდ გამოემშვიდობა მაზარეთში გაცნობილ ოფიცრებს.

„ეშმაკმა დალახეროს! — ფიქრობდა მხრებში შესამჩნევად მოხრილი არიშინიძე და თავჩაღუნული მიდიოდა სადგურისაკენ, — მედიცინის გენერალს საეჭიო კომისიაზე გუშინ რომ გავეწიერე, დღეს ჩემი მდგომარეობა შეიცვლება“.

იგი ძლიერ მოქანცული ჩანდა; თანაც ცუდად მოქმედებდა ნაიარევეზე უამინდობა.

ლევა ღრუბლები მიიწევდნენ დასავლეთისაკენ. ისინი ბრძოლის ველზე დაფლეთილ მაზარებს მიაგავდნენ.

საღლაც გრგვინავდა და პირწმინდად იმსხვრეოდა პორიზონტი. ისევე დაიგუგუნებდა სამყაროს კიდესთან, უცნაურად შეიხუთებოდა ყოველივე და საოცრად თვალშეუდგამი ვახდებოდა სამყარო. ასე გვეგონებოდა: თითქოს ერთი მეორეს გამოეყო ზეცა და დედამიწა.

მსუბუქად, თითქოს ქალი წამწამებს აფახულებსო, ისე ირხეოდა მთვლემარე სიწითლე შორეთში. დიდხანს იწურებოდა ნოემბრის დაუსრულებელი მწუხრი ქვეყნის ძვიდესთან.

კვლავ ქვეყნის თარაშებს გადასწვდებოდა ელვა — დანდობილად დაუკლიდა ქუხილი ზეცას და ძალუმაღ ანჯღრევდა გარემოს. ძელზე ურის დარტყმისებური ხმა გაიღო ზეცის თავანმა ზედისზედ.

ნელი ნაბიჯით მიმავალ არიშინიძეს ყრუდ ესმოდა შორეული გრუხუნის. რა-

ტომლაც ბრძოლის ველის თავისებურ დრტივნებას მიამსგავსა მან ეს გრგვინვა.

სადგურის შენობაში შესვლისთანავე არიშინიძეს ეცა ის სუნი, რომელიც ხანდაცეში და მაზარეთებში ხანგრძლივად ნაცხოვრებ ადამიანებს აუღიო ხოლმე.

დარბაზის კუთხეში თვლემდნენ მაზარეთიდან გამოწერილი ჯარისკაცები. ისინი კვლავ მეწინავე ხაზზე მიდიოდნენ.

ისევე გაისმა საყვირის ხმა, ჯერ უწყვეტად, მერე ყამდაყამ. კვლავ ქარს მოჰქონდა მეზობლების სიმღერა, ბავშვის ტირილი, ბორბლების დაგადუგი და „დარილ... დარილ... კოლეჩკო“.

როგორ მოულოდნელად შეიცვალა არიშინიძისათვის ყოველივე?

ამ ორიოდ თვის უკან მან ბრძანება მიიღო, პოლკი მოადგილისათვის გადაებარებინა და თავად მოსკოვს გამგზავრებულყო. პირდაპირ ცეცხლის ხაზიდან სამხედრო აკადემიაში გზავნიდა სარდლობა პოდპოლკოვნიკ არიშინიძეს. სწორედ მეწინავე ხაზიდან გამოსვლის დროს დასჭრეს იგი მძიმედ.

„ერთი საათით ადრე რომ მომეგვარებინა საქმე, ჩემი ცხოვრება სულ სხვანაირად წარიმართებოდა“, — ფიქრობდა არიშინიძე.

იგი თავისთავად არ იყო კმაყოფილი, რადგან შეეძლო ყველაფერი შეეცვალა და ეს არ გააკეთა. ახლა კი ამაზე ფიქრი, უსიამოვნებას ჰგვრიდა მას.

ვილაც გაზინთულ მაზარიანმა ოფიცრმა მაზარზე ხელი დაადო არიშინიძეს და გამოძინებული თვალეზით შეხედა სახეში.

არიშინიძემ თავისი სტუდენტობის მეგობარი ვახტანგ ბედიანი იცნო, მაგ-

რამ რატომღაც არ გაუხარდა მისი დანახვა. მან თავად არ იცოდა, თუ რით იყო ეს გამოწვეული.

— შენ არიშინიძე არა ხარ? — შემოესმა პოდპოლკოვნიკს.

— დიახ.

— ლევან, ბიჭო! — ნაჩქარევად თქვა პოლკოვნიკმა ბედიანმა.

არიშინიძე სახეში მიაჩერდა ბედიანს და მშვიდად მიუგო.

— ვახტანგ, ძალიან გამოცვლილი ხომ არ გეჩვენები?

— არა, ლევან, — ბედიანმა ხელი გაუწოდა არიშინიძეს. — მე ძალიან ვამიხარდა, ერთმანეთს რომ შევხვდით.

— სასიამოვნოა ეს მოულოდნელი შეხვედრა, — მიუგო არიშინიძემ.

— სად მიემგზავრები?

— არმიის შტაბში, შენ?

— ერთი გზა გვჭონია.

არიშინიძის მონისლულმა გამობედვამ ბედიანი დაარწმუნა, რომ სტუდენტობის მეგობარი გულგრილობას იჩენდა არა მარტო მისადმი, არამედ ყოველივე იმის მიმართ, რაც ახლა ირგვლივ ხდებოდა.

— საიდან მოდიხარ, ვახტანგ.

— შატურის ლაზარეთიდან გამომწერეს.

— მაშ, სიკვდილს გამოქცევიხარ, — თქვა არიშინიძემ ერთგვარი ირონიით და უღიმვამოდ გაიცინა.

— სიკვდილი ხალთა-გუდით დაგვაქვს, ლევან, — ბედიანმა შუბლზე ხელი გადაისვა, — ხედავ როგორ დამეწვა სახე?

— ჰო, შენ ტანკში მოიწვებოდი უთუოდ. გაგივლის, ამას არა აქვს მნიშვნელობა, — ისევ მშრალად მიუგო არიშინიძემ.

ბედიანმა არაფერი თქვა. მან მხოლოდ თვალი შეავლო არიშინიძის ჭურვის ნამსხვრევებით გადახაზულ ცხვირპირს. ხოლო, როცა გვერდიდან შეხედა, მარჯვენა საფეთქელიდან დაწყებული ნიკაპის განაყოფამდის გაწოლილმა ნაიარევემა აფიქრებინა, ეს ჭრილობა კი არა, გვალებისაგან ამომშრალი ლეღეაო.

რადგან არმიის შტაბში ადგილის გადასაცემის თადარიგი დაწყებული იყო და ტანკისტების განყოფილება იქ არ აღმოჩნდა — ბედიანს არიშინიძესთან გამოთხოვება მოუხდა.

არიშინიძემ კი, მიიღო თუ არა ბრძანების ამონაწერი, არმიის შტაბში არ დააყოვნა, იმ დღესვე გავიდა ბრძოლის ველზე.

პოლკი, რომლის მეთაურად არიშინიძე დაინიშნა, მდინარე ნარეკს გაღმა ორ ეშელონად იდგა. ორ ათასეულს კარგად გამაგრებული წინა ხაზი ეკავა, ხოლო მესამე ათასეულს — თავდაცვის მეორე ხაზი.

არიშინიძემ წინა ხაზზე მისვლისთანავე პოლკის თავდაცვა მთლიანად შემოიარა. მან საჭიროდ სცნო პოლკის მარჯვენა ფრთის გაძლიერება ტანკსაწინააღმდეგო არტილერიით. ამ გადაწყვეტილებას შტაბის უფროსი მაიორი კურაკინი უკმაყოფილოდ შეხვდა. მისი აზრით პოლკის მარცხენა ფრთის გაძლიერება უფრო მიზანშეწონილი იყო. კურაკინი ამ ვარიანტს იმით ამართლებდა, რომ მტრის ტანკებს სოფელ პაბილკოვოდან გამავალი გზით შეეძლო შეტევაზე გადმოსვლა: ეს კი პოლკის მარცხენა მხარეზე იყო. კურაკინი ამით პოლკის ახალ მეთაურს აგრძნობინებდა, რომ ძალიან კარგად იყო გარკვეული საქმის ვითარებაში და შეეძლო საკუთარი აზრი გამოეთქვა.

„ხომ შეეძლო შტაბის უფროსს გაეკეთებინა აქამდე ის, რაც საჭიროდ მიაჩნია?“ — გაიფიქრა არიშინიძემ და კურაკინს არაფერი უთხრა.

მთელი ღამე თავდახრილები ისხდნენ მიწურში და პოლკის წინა ხაზი ახალ რუკაზე გადმოჰქონდათ.

გამუდმებით ახველებდა არიშინიძის აღიუტანტს. ხანგამოშვებით ბორგაედა ძილში ვიღაც ჯარისკაცი. სადღაც-სადღაც მოისმოდა ქვემეხების გრუხუნნი.

უამინდობა, ბნელი ღამე და ქარი დათარეშობდა ბრძოლის ველზე. ქარი ეძგერებოდა გაშავებულ ტყეს — აცახცახდებოდნენ აქა-იქ შერჩენილი ტოტე-

ბი. მერე სამხრეთიდან აედევნებოდა უჯიათი ქარი წყლით სავსე ხანდაკას, შეტეხავდა წვიმის წვეთებს, ლურსმანით შეერქობოდა ჯარისკაცებს სახეში და ხრიალებდა საროებში.

პოლკის მარჯვენა ფრთაზე ცეცხლი ბობოქრობდა, ცას სწვდებოდა აშოლტილი ლანდალი. ცეცხლოვანი სვეტები ეტმასნებოდნენ დაბლა, სულ დაბლა ტყეზე დამხობილ ლეგა ღრუბლებს.

კვამლის გრაგნილებს წყწავდა ქარი, ალაგალაგ ხანჯალივით დაეკიდებოდა ფთილი. ზოლებად იხაზებოდნენ წრეხვეულები ბენგალით განათებულ ველზე.

არტილერიის გრიგალისებური ცეცხლი შფოთავდა იქ, სადაც ცა დედაშიწას უერთდებოდა, ცეცხლი ღრეკდა პორიზონტს. მერე გამოეყოფოდა ხანდაკი სივრცეს და როდესაც სროლა შეწყდებოდა — ბნელით შეიმოსებოდა ეს თვალშეუვლები მიდამო.

II

— მე ვამბობდი, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ტანკები გადასხათ-მეთქი საბრძოლო დაცვის გასაძლიერებლად, მაგრამ არავინ დამიჯერა. ახლა კი საბრძოლო დაცვა მტერმა ჩაიგდო ხელში, — ისეთი ტონით ეუბნებოდა შტაბის უფროსი პოლკის მეთაურს, თითქოს არიშინიძე დამნაშავე ყოფილიყო.

— შენ ამბობდი, საბრძოლო დაცვა ტანკებით გავაძლიეროთო, მაგრამ იმაზე არ ფიქრობდი, რომ ეს არ იყო მიზანშეწონილი, — მიმართა შტაბის უფროსს კარაი-ბედამ, რომელიც თვალს არ აშორებდა მის გაპრიალებულ ჩექმებს.

შტაბის უფროსი იმით იყო შესანიშნავი, რომ არასოდეს ბრახდებოდა და საჭიროების დროს ყველაზე ბოლოს გამოთქვამდა აზრს, რომელიც მხოლოდ ინტონაციითა და მაღალფარდოვანი ფრაზებით განსხვავდებოდა პოლკის მეთაურის შეხედულებიდან.

პოდპოლკოვნიკ კარაი-ბედას ეგონა, ეს პედანტი ოფიცერი ახლაც თავდაჭე-

რილი იქნებოდა, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო კი აღმოჩნდა.

კურაკინი აენთო და კარაი-ბედამ შეაახსენა ვასული ბრძოლის შედეგი — ამ ბრძოლაში პოლკმა საგრძნობი დანაკლისითაც ვერ შეძლო რომელიღაც გამაგრებული პუნქტის ხელში ჩაგდება.

— თქვენ მოგვახსენეთ ახლანდელ მდგომარეობაზე. რაც მოხდა ერთ დროს — იმაზე ახლა არ ღირს ლაპარაკი, — უთხრა კურაკინს პოლკის მეთაურმა.

შტაბის უფროსმა კარგად გაიგო პოლკის მეთაურის სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი შეემჩნიოს, და დამშვიდებულის ხმით ილაპარაკა შექმნილ მდგომარეობაზე.

კარაი-ბედამ გამოუძინებელი თვალეზი მიაპყრო კურაკინის სუფთად ამოპარსულ ნიკაპს, რომელზედაც პაწაწინა ნაიარევი აჩნდა და პოლკის მეთაურს უთხრა:

— როგორც ჩანს, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, მდგომარეობა გამოუვალაია, არა? — კარაი-ბედამ ისეე თვალი გაუსწორა კურაკინს. მას გაახსენდა, რომ მაინც და მაინც ასე არ უთქვამს და ოდნავ სიწითლემ გადაურბინა ნაოჭებასხმულ სახეზე.

პოლკის მეთაური თავჩალუნული იჯდა და ღუმდა.

— რა ზომების მიღება შეგვიძლია? — იკითხა ბოლოს კურაკინმა და ქურდულად მზერა გააპარა არიშინიძისაკენ, — დივიზიის მეთაურისაგან ზომ არ დაველოდოთ ბრძანებას?

— ეშმაკმა იცის, რას არ იტყვიან, — თქვა ხანგრძლივი ღუმლის შემდეგ მაიორმა შერემეტევიმა და ხელი ისე ჩაიქნია, როგორც ამას შერებთან ადამიანები, როცა ხედავენ, თავიანთი ნათქვამით მიზანს ვერ აღწევენ.

— თქვენ რა გსურდათ ამით გეთქვათ? — ოდნავ ღვარძლიანი ხმით კითხა კურაკინმა სატანკო ბატალიონის მეთაურს.

— ის, რაც თქვენ გაიგონეთ!

— ეს სისულელეა, მაიორო.

— როგორ? — იციოხა შერემეტიევმა და თვალი შეაჩერა შტაბის უფროსის ახალ ქუდზე, — თქვენ ფიქრობთ, მე სისულელეს ვამბობ? მაშინ...

— მე ვამბობ იმას, რაც არის, — შეაწყვეტინა კურაკინმა შერემეტიევს, — მე, საერთოდ, არ ვოცნებობ, მაიორო. გირჩევდით უფრო თავაზიანად მოქცევას და ბრძოლაში მეტი სიმტკიცის გამოჩენას. და საერთოდ, კარგი იქნებოდა გკოდნოდათ, რომ სხვის საუბარში ჩარევა, არც ისე დიდი ზრდილობის მანივენებელია.

— მაიორო, ვგონებ, საჭიროება არ ითხოვს მორალის გაკვეთილს და მერე ისიც თქვენგან!

— თქვენ ასეთი გაკვეთილები გამოვადგებათ ცხოვრებაში.

— ვითომ?

— დიახ, მაიორო! — მკაცრი ხმით თქვა შტაბის უფროსმა და უფრო სწრაფად წამოდგა, ვიდრე ეს საერთოდ სჩვეოდა მას.

შერემეტიევს ჯერ ნიკაბი დაუგრძელდა, მერე უძილობით გამოღამებული თვალები გაუფართოვდა და ენის მოჩლექით მიმართა კურაკინს.

— ეშმაკმა დაგწყევლოს, მაიორო, — სატანკო ბატალიონის მეთაურმა კურაკინისაკენ წაწევა განიზრახა, მაგრამ უმაღლე გადაიფიქრა, — თქვენ მხოლოდ ბლინდაჟში ზიხართ! — თითქოს შტაბის უფროსი მუდამ მიწურში მჯდარიყოს, ან შერემეტიევს სხვა რამ არ ჰქონდეს სათქმელი, რომელიც კურაკინს შეურაცხყოფდა.

— ნუ ლაყბობ!

— მხდალო. მე შენ კარგად ვიცნობ. კურაკინმა არაფერი თქვა; თავისი ლამაზი თავი მორჩილების ნიშნად დაბლა დახარა — დამნაშავე არა ვარ, მაგრამ პირადი ღირსების დასაცავად ჩავედივარო ამას.

— ამისთანები არასოდეს არ იღუპებიან, — დამშვიდებულის ხმით თქვა შერემეტიევმა და სიძულვილით აღსავსე თვალით შეხედა შტაბის უფროსს.

— თქვენ ავად ხართ, მაიორო, — ისე მიუგო კურაკინმა, თითქოს [უქმით] იყო და ძალიან ნანობდა, რომ ~~შტაბის~~ შევეძლო ეს ავადმყოფი განეკურნა. არიშინიძეს აღარ შეეძლო დუმილით შეხვედროდა ამას და კურაკინისათვის ეპატივებინა. მან კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა ბრძოლებში მოქანცული ადამიანისათვის ასეთი სიტყვები.

განა ხშირად არ განუცდია ეს ავადმყოფობა თავად არიშინიძეს, რომელსაც გამუდმებული ბრძოლები, შიში, უძილობა და პასუხისმგებლობის გრძნობა იწვევდა ცეცხლის ხაზზე? ესეც არ იყოს, მაიორო შერემეტიევს, ამ სიბერეში გადამდგარ ოფიცერს, შტაბის უფროსი მაინც ასე არ უნდა მოქცეოდა.

— შტაბის უფროსს უფლება აქვს ისე მოქცეს შერემეტიევს, როგორც ეს მას მოესურვება, რადგან მისი მდგომარეობა ბრძოლის დროს გაცილებით უკეთესია, ვიდრე სატანკო ბატალიონის მეთაურისა, — კარაი-ბედამ თავის უძრავ სახეს მკაცრი გამომეტყველება მისცა, — ვგონებ, სწორად ვამბობ, არა, შტაბის უფროსო?

— დამოწმება თუ გპირდებით, მე გეტყვით, — შტაბის უფროსმა ქამრის ბალთა განზე მოაქცია, თითქოს ეს მის ნათქვამს მეტ მნიშვნელობას აძლევდა. — თქვენ ძალიან იშვიათად მსჯელობთ საღად...

— იციო, რა გითხრათ, მაიორო, — არიშინიძემ მწყურალად შეხედა კურაკინის სახეს, რომელზედაც ერთგვარი ირონია იხატებოდა კარაი-ბედას გაბრაზების გამო, — თქვენს საქმეს კარგად მოუარეთ, და თუ სხვებზე უფრო გვიან გახდებით ავად, მაშინ იმეღია, რომ ლაზარეთიდან პირდაპირ შინ წახვალთ.

— მე არც ისე სუსტი ნერვები მაქვს, როგორც თქვენ გგონიათ, პოდპოლკოვნიკო.

ყველასათვის მოულოდნელად ადგილიდან წამოიჭრა ეს ისედაც მოღუშული და არასასიამოვნო შესახედავი არიშინიძე, რომელიც ასე აღელვებული

კარგა ხანია არ უნახავთ თანამებრძოლებს.

— ეშმაკმა დალაზგროს! — თქვა ბოლოს, როგორც იქნა არიშინიძემ, მაგრამ გაახსენდა მიწურში ჯარისკაცები რომ იყვნენ, ხმას დაუწია და შტაბის უფროსს უბრძანა: პირველი ასეული გადაიყვანეთ მეორე ათასეულის მარჯვენა ფრთაზე!

— გისმენთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — მიუვო კურაქინმა და ოდნავ ქედმაღლურად გამოეჭიმა პოლკის მეთაურს.

— სართად მოცემული დივიზიონის საცეცხლე პოზიციები კი მესამე ათასეულის განლაგებაში მოაქციეთ, — არიშინიძე შეჩერდა, რადგან ეს საქმე მას თავად უნდა მოეგვარებინა.

— ბრძანება შესრულებული იქნება, — უბასუხა შტაბის უფროსმა, რომელსაც თავი უფრო ამაყად ეჭირა, ვიდრე ღირსეულად.

— ხვალ შეიძლება რომელიმე ჩვენთაგანი კიდევაც დაიღუპოს. რატომ ექცევით ასე უგულოდ ერთმანეთს, — პოლკის მეთაურმა ოფიცრებს გადახედა.

ფიზიკურად ძლიერი და ნიჭიერი ადამიანები ბევრ რამეში ზრდილობიან, ლამაზ ქალებს ჰკვანან: მათ შეუძლიათ თავის შეკავება იმ შემთხვევაშიც, როცა უსამართლოდ ექცევიან, — არიშინიძეს უფლება ჰქონდა შტაბის უფროსს მკაცრად მოქცეოდა და ეთქვა ის, რასაც ასე მოელოდნენ ოფიცრები.

ხანდაკედან მოჭრილმა ქარმა მიწურის კარი შეაღო და სინათლე ჩაქრა.

დაიგუგუნებდნენ ქვემეხები და ელვისებურ მიეჭრებოდა ხანდაკე აცახცახებულ ცას. კენტად და წყვილად ავარდებოდნენ შუშხუნები მალა, დაყინებით გამოეხაზებოდა სანგარი ცისქვეშეთს და ჯარისკაცთა ჩაჩქანები ისე გამოჩნდებოდნენ, ვით ცეცხლის გრძელ თოკზე დაკიდული ოქროს დიდრონი საყურეები.

ისევ მოაწყდებოდა ქარი ხანდაკე —

თითქოს მრავალ ქვემეხის გუგუნს/შორიდან მოედწიოს.

ოო, ეს შემოდგომის უღამოებელი ქარია.

თვალს მოიტყუებდა არიშინიძე, ისევე ამეტყველებდებოდნენ ტყვიამფრქვევები, მერე ამას ქვემეხებით მოუნაცვლებდნენ, და ძილი გაუკრთებოდა მას.

ძილფხიზლობაში არჩევდა მისი მახვილი სმენა, ფოთლებდაცვნილი ტოტებივით რომ ხმაურობდნენ მოწინააღმდეგის მხრიდან გასროლილი ნაღმები.

კვლავ შემოესმა გუგუნია — ეს არმიის არტილერია უნდა ყოფილიყო, რადგან ისეთი ხმა გაჰქონდა, როგორც გაუდის კავკასიონიდან ამდგარ ქუხილს. ისევე წამოეპარებოდა თვალს რული, კვლავ დაიბუხუნებდნენ ზარბაზნები, მიწურის თავზე გადაიდგაფუნებდა სამხრული და მიფანიერებით გაიბმებოდა უხილავი ძაფი ძილსა და ქარს შორის. მაგრამ ძილისპირს შეერკინებოდა თუ არა მართხელა ქვემეხის ხული, პოლკის მეთაურს ტანში გააყრყოლებდა და იღვიძებდა.

არიშინიძემ გვერდი იცვალა, მერე პირქვე დაწვა, არა, ძილი არ ეკარებოდა მას.

ქუთუთოებდასივებული აღიუტანტი შფოთავდა ძილფეძილში, გამუდმებით გვერდს იცვლიდა და მერე ისევე პირალმა წვეებოდა, როგორც ეს მეომრების უმრავლესობას სჩვევია ბრძოლის ველზე.

პოლკის მეთაურის გვერდით ვიდაცა ბებერი ჯარისკაცი ბოდავდა ძილში: „შეუტიეთ! უკან არ დაიხიოთ!“ — გაიძახოდა და ისევე აღერსიანი სიტყვებით იხსენიებდა არტილერისტებს, ტანკისტებს, ცოლს, მიწას, ცას და ყოველივე იმას, რასაც მისი დასიზმრული გონება სწვდებოდა.

ცეცხლის ენები ლოკავდნენ ცას. მრუმე, გაკვამლული ღრუბლები მიიწვედნენ იქითკენ, სადაც მენის ელვისებური ცეცხლი ანათებდა. მოწყდებოდა ელვის მოქნეული ღვეთა, გაჰკრავდა და დაგორგალავებულ ღრუბელს და

კვლავ ყრულ შემოესმოდა არიშინიძეს გრგვინვა.

„დასწყველოს ღმერთმა ეს უძილობა!“ — წაილაპარაკა არიშინიძემ, თითქოს სიზმარში დასამთავრებელ აზრს სიხალდეში ასრულებდა და ისე წამოდგა, როგორც ეს სხვევით გამოუძინებელ მებრძოლებს.

კარაი-ბედა პოლკის მეთაურის გვერდით ჩამოჯდა ნარზე — მას რაღაც ჯარისკაცული სიყვარული იზიდავდა ამ ადამიანისაკენ.

მკაცრ გამომეტყველებას ტოვებდა არიშინიძის უძრავი, მაგრამ უსწორმასწორო სახე ოდნავ დაგრძელებული ქვედა ყბით. არც ის იყო სასიამოვნო შესახედავი, შუბლდაჩეხილ პოდპოლკოვნიკს კისერზე მრავალი ნატყვიარი რომ აჩნდა. ისედაც წვრილი თვალები ამ უძილობის გამო მთლიანად დაწვრილებოდა არიშინიძეს და გეგონებოდა, ვერაფერს ამჩნევდნო. მაგრამ რაღაცა კეთილი, რაღაცა ახლობელი იგრძნობოდა მთელ მის მოქნილ გარეგნობაში.

— გადავსხათ მესამე ათასეულში პირველი სატანკო ასეული, — უთხრა კარაი-ბედამ არიშინიძეს.

— ეს მდგომარეობას როდი გამოასწორებს, — ჩაილაპარაკა შერემეტევიმა და წამოდგა.

— არ ვამბობ, მიინცდამიინც მდგომარეობა გამოსწორდება-მეთქი, მაგრამ ასე უმჯობესი იქნება, — თუ რატომ იქნებოდა უმჯობესი, კარაი-ბედას არ უთქვამს.

III

პოლკის მეთაურს ფიჭრი ვერაფერზე შეეჩერებინა. გაბრაზებული იყო კურაკინზე, თავისთავზე, ჯარისკაცზედაც, რომელიც მას მიჰყვებოდა და მზად იყო გასაქირში საკუთარი მკერდით დაეცვა იგი.

— სად ეშმაკებში მიდიხარ! — ისე დაუყვირა არიშინიძემ ჯარისკაცს, როცა წაიქცა, თითქოს ჯარისკაცს ბრალი მიუძღოდა.

ჯარისკაცმა მორიდებით დააგლო ხელი პოლკის მეთაურს. თანაც რცხვენოდა, პოდპოლკოვნიკს რომ ეხმარებოდა წამოდგომაში.

— თავად წამოვდგები, — თქვა არიშინიძემ, მაგრამ მებრძოლის ხელი მაინც არ მოუშორებია და სწრაფად წამოდგა.

მკვეთრად ესმოდა არიშინიძეს არტილერიის შეუსვენებელი გუგუნი. ბრძოლის ველის ეს თავისებურად უსიამოვნო და სულს მღრღნელი გრგვინვა ქანცავდა მას.

— მარჯვნივ შეუხვიეთ! — დაუძახა არიშინიძემ ჯარისკაცს, როცა საჭირო იყო პირდაპირ სიარული, თუ იგი პირველი ათასეულის განლაგებაში მიდიოდა.

— ჩვენ ხომ პირველ ათასეულში მივდივართ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო?

— არამზადები, — წაილაპარაკა არიშინიძემ, — დილიდან ისვრიან.

— რა თქვით, ამხანაგო პოლკის მეთაურო? — შეეკითხა ჯარისკაცი, თუმცა იგი მიუხედა, ეს სიტყვები მას არ ეხებოდა, მაგრამ სურდა არიშინიძეს გამოსაუბრებოდა.

— სამსონოვ, თქვენ რომელი ოლქიდან ხართ? — ჰკითხა მან და შეეცადა ჯარისკაცისთვის სახეში არ შეეხედა და, როდესაც ეს ვერ შეძლო, რატომღაც გაუხარდა.

— მე კალუგელი ვარ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — უპასუხა ჯარისკაცმა სიამაყით და გზა განაგრძო.

„კალუგა სადაა? ახ, მართლა კალუგაში არ დამჭრეს პირველად? — ფიქრობდა არიშინიძემ, — მაშინ ყველაფერი ცუდად იყო. ახლა კი?“ — მან ვერ უპასუხა თავისთავს, თუ რა იყო ახლა კარგად.

— ჰო, ვიცი კალუგა, — თქვა არიშინიძემ და უსიამოვნო გრძნობა აღუძრა იმ ადგილის შესხენებამ, სადაც ჭრილობა მიუღია. და, რათა ეს უსიამოვნო გახსენება ჯარისკაცზე არ გადაეტანა, დაწყნარებული ხმით უთხრა:

— სამსონოვ, იქ თხრილი უნდა იყოს, არ ჩავარდე.

ჯარისკაცმა იცოდა, რომ არიშინიძეს არ შეეძლო წინ თხრილის დანახვა, მაგრამ სიხარული ავრძნობინა პოლკის მეთაურის ზრუნვამ.

— არა, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, მე კარგად მიჭრის თვალი.

ისევ ამეტყველდნენ ტყვიამფრქვევები, რომელიდაც დივიზიონი ბათქზე გადადიოდა. კენტად და წყვილად, დასდასობით სკდებოდა ჭურვები.

შეშხუნები ავარდებოდა მაღლა, ბრძოლის მიდამოს დაატყდებოდა ბენგალის ცეცხლი, ისევ ჩამოვარდებოდა სიბნელე და რკინისებური ძაძგენი.

— აქ გასვლა არ შეიძლება. ვინ მოდის? — იკითხა ვიღაც ჯარისკაცმა.

— ხმაზე გიცანი, პეტროვ, როგორ ხარ? — შეეკითხა პოლკის მეთაური მეომარს, რომელიც თხრილში იდგა.

— მეც ხმაზე გიცანით, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — მიუგო მებრძოლმა. და გამხიარულებულმა იმით, რომ არიშინიძემ იცნო, — შეკითხვაზე ვერ უპასუხა.

კვლავ ამოვარდა ქარი და ხანდაკში ხრილებდა უმოწყალოდ.

— პირდაპირ მაიორთან შევიდეთ, თუ ასეულში წავიდეთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო? — იკითხა სამსონოვმა და მიწურში შესასვლელი გზა დაუთმო არიშინიძეს — იქნებ პოლკის მეთაური მიწურში შევიდეს და თავშესაფარი ვიშოვოთო.

სიცივე, ქარი, მიწისა და დენთის სუნითან შემოპყვეა არიშინიძეს მიწურში, სადაც რამდენიმე ოფიცერი და ჯარისკაცი იმყოფებოდა.

მეომრების სახის გამომეტყველება გულცივობას ამქლავებდა, მაგრამ ამასთან ერთად გაგრძობინებდა იმ იდუმალ იმედს, რომელიც მუდამ ძლიერია.

მკლავებშეხვეული კაპიტანი მსუბუქად დაყრდნობოდა ვახანების ცალიერ კოლოფს და დასიზმრული თვალებით შეჰყურებდა არიშინიძეს. იგი ისე იყო ვალურსული, როგორც მეომარი, რომე-

ლიც სიკვდილის წინათგრძნობას შეუპყრია ბრძოლის ველზე.

ტანკაწინააღმდეგო ბატარიის მეთაური პირაღმა იწევა, მაგრამ დაინახა თუ არა არიშინიძე, თვალი დახუჭა და მარჯვენა გვერდზე გადაბრუნდა — მიინახეს თორემ წამოვდგებოდიო.

მორგებულად შეკერილ მაზარაში ჩაცმულ მაღალ და გამხმარ ოფიცერს ლოყაზე ქუდი მოედო მარჯვენა ხელით და უგულოდ დასცქეროდა რუკას. ეს იყო პირველი ათასეულის მეთაური მიიორი ყურბანოვი. ყურბანოვი ოცდაათი წლის კაცი იქნებოდა. ამღვრეული წყლისფერი თვალები და ერთმანეთს შეზრდილი სქელი წარბები ჰქონდა მას. მისი ზედატუჩის ბოლო ძლივს ეხებოდა ქვედა, დაბლა ჩამოზიდულ ტუჩის კიდევებს. გვეგონებოდა, ორი სხვადასხვა ღიმილი უთამაშებსო პირზე ოდნავ თავხედურ და ჰკვიან გამოხედვასთან ერთად.

ყურბანოვმა შეხედა პოლკის მეთაურს და წამოძგა.

— ოთხზის ვთხოვეთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, სატანკო ოცეული და უარით მიპასუხეთ, — მისალმებისთანავე უთხრა უცმაყოფილო ყურბანოვმა მისთვის ჩვეული აზერბაიჯანული კილოთი, — თქვენ არ მაძლევთ დამხმარე ძალას, — დასძინა მან, თითქოს პოლკის მეთაურს ჰყავდა დამხმარე ძალა და არ მისცა.

არიშინიძემ არ უპასუხა ყურბანოვს და მხერა გადაიტანა მკლავებშეხვეულ კაპიტანზე, რომლის გამხდარი სახე უწყესრიგოდ იყო გარემოცული პატარა ქუდის ჩიხორით, და ქართულად ჰკითხა:

— თქვენ როდის დაგპრეს? დილით, არა?

— არა, ახლახან, — ქართულადვე უპასუხა კარგარეთელმა.

— მაშინ. თუმცა არაფერი, — თქვა არიშინიძემ, — ყურბანოვი წამომყვება მეწინავე ასეულში.

— არა, მე წავყვები, — უპასუხა კარგარეთელმა.

— არა! — მტკიცედ უთხრა არიშინიძემ, — თქვენ აქ დარჩით.

დავით კარგარეთელმა გასისხლიანებული მარჯვენას ერთგვარი შორიდებით დახედა, თითქოს ბოდნის იხილდა პოლკის მეთაურის წინაშე იმის გამო, რომ დასპრეს და კედელს მიეყრდნო.

ეს მესამე დღე იყო, რაც კარგარეთელს ბარათის გაგზავნა სურდა, მაგრამ არ იცოდა, რა მიეწერა დედისათვის.

ვაზნების ცალიერ კოლოფზე ქაღალდი იდო, რომელზედაც რამდენიმე სიტყვა ეწერა: დედა, მე კარგად ვარ. ჩემი ნუ გეშინიაო.

ვინ იცის, თუ რამდენი უძილო ღამე გაატარა დედამ ლიხში. უთუოდ, არც ახლა ჰქონდა დედის ძილი და მოსვენება. ალბათ, გამუდმებით თვალწინ ედგა ბრძოლის ველზე გაგზავნილი სამი შვილი.

ვინ იცის, იქნებ ბრძოლის გრიგალში არ დაეღუპოს შვილები დედას! კარგარეთელმა ბარათი დახია.

„დედას ხვალ მივწერ ბარათს“, — ამ ფიქრებში წათვლიმა კარგარეთელმა.

თვალს წაატანდა კარგარეთელი სიზმარში დედას, ისევ მიეძალებოდა ქარი მიწურის კარს, შემდეგ ერთბაშად შემოესმოდა გუგუნო, მაგრამ ძილი თავს მაინც არ ართმევდა.

მერე კანტიკუნტად შემოესმა დავით კარგარეთელს ლაპარაკი — ალბათ პოლკის მეთაური ესაუბრებოდა ყურბანოვს, მაგრამ საუბარი მისთვის გაურკვეველი იყო, ჯერ მუქარას ჰგავდა, მერე ძახილს.

— წავიდეთ მეწინავეთა ხაზზე!

ყურბანოვი ახლახან იყო გამობრუნებული მეწინავე ასეულიდან და არ სურდა წასვლა, მაგრამ უარის თქმის უფლება რაჟი არ ჰქონდა, არიშინიძეს მიმართა:

— მე ახლა ვიყავი ასეულში, — მან თავისი შტაბის უფროსს გადახედა, მაგრამ კარგარეთელი მთვლემარე დაინახა თუ არა, დასძინა, — თუ თქვენ გასურთ, მაშინ წავიდეთ.

ის იყო არიშინიძე და ყურბანოვი ცეცხლის ხაზზე წასვლას აპირებდნენ, ათა-

სეულის მეთაურები, კურაკინი, პოლკის არტილერიის უფროსი და შერემეტევი დაბარებულივით შემოვიდნენ მიწურში.

რამდენიმე წუთის განმავლობაში — სანამ ოფიცრები მიწურში მოთავსდებოდნენ, არიშინიძე უძრავად იდგა და იცდიდა; თუმცა იცოდა, მოცდა არ იყო საჭირო და არც არაფერს ელოდა ისეთს. რომელიც მის მდგომარეობას გააუმჯობესებდა.

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, მიღებული საიდუმლო ცნობის თანახმად მტერი კონტრშეტევისათვის ემზადება, — შტაბის უფროსმა კაბრა გახსნა და ქაღალდები ამოალაგა, — ცნობის თანახმად, მოწინააღმდეგეს დიდძალი მაშველი ძალები მოუვიდა

— ჩვენ თუ მოგვივა მაშველი ძალები, — იკითხა ყურბანოვმა.

— ვარშავის მისადგომებიდან მოხსნილია სატანკო კორპუსი, — თქვა შტაბის უფროსმა.

— დროზე მოაღწევს თუ არა, — საქმე ესაა.

— ამაზე მე ვერაფერს გეტყვით, ამხანაგო კაპიტანო, — უპასუხა კურაკინმა მესამე ათასეულის მეთაურს.

დაუძახეს პოლკის მეთაურის ადიუტანტს, რომელიც არიშინიძეს მუდამ თვალში ეჩხირებოდა, როცა საჭირო არ იყო, ხოლო როცა სჭირდებოდა, სანთლითაც ვერ მოძებნიდა.

რისი გაკეთება შეიძლებოდა საერთოდ?

არიშინიძემ, როგორც ყოველთვის, ახლაც დამშვიდებულად და სხარტად აღნიშნა პოლკის თავდაცვის მდგომარეობა.

შერემეტევი თავდახრილი იჯდა და უბის წიგნაკში ხატავდა კურაკინის პროფილს. მას საგრძნობლად უკანკალებდა გაქუქყიანებული გრძელი თითები.

— კაპიტანო, შეხედე, შენი უფროსი დაეხატე. გეგონება, ცოცხალიაო, — მიმართავდა იგი როზინოვს, რომელიც კეთილსინდისიერად უსმენდა პოლკის მეთაურს. არციშბაევის თავში, როგორც

გუშინ, ახლაც ყოველივე ერთმანეთში იყო არეული. მას კარგა არ ახსოვდა, თუ როდის დაიწყო ბრძოლა. ასე ეგონა: ეს მოხდა ოდესღაც და სადღაც. რალაქნაირი უსიამოვნებით იყო მთელი მისი არსება გაქვნილი და ეს უსიამოვნება სადღაც ყელის არეში მკაცრად უჭერდა, როგორც შემოგრაგნილი თოკი კისერზე. უფრო მეტიც: თავისთავით უკმაყოფილო გაურკვეველ სიძულვილს გრძობდა ვიღაცის მიმართ და, რომ ეს ვიღაცა კი არ ყოფილიყო, არამედ ვინმე აქ მყოფთავან, მან მაიორზე შეაჩერა მზერა, მაგრამ შერემეტიევი, თითქოს ამას მოუხვდაო, მისკენ გადაჯდა და მწვიდად შეავლო თვალი.

— დაურეკეთ ზურგის უფროსს. — ბრძანა პოლკის მეთაურმა ისე, რომ პირადად არავისათვის არ მიუმართავს, ღრმად დაწმუნებულს, რომ მის ბრძანებას შეასრულებდნენ.

— სძინავს მაიორს, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — მოახსენა ადიუტანტმა, როცა დარეკა და პასუხი მიიღო.

— გაღვიძონ! — თქვა პოლკის მეთაურმა ერთგვარი სიძულვილით, თითქოს მას ბრძოლის ველზე არასოდეს არ სძინებოდეს, ზურგის უფროსს კი ძილის მეტი არაფერი გაეკეთებინოს... — კარგი, არ მინდა, — დასძინა ბოლოს.

— მე წავალ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — თქვა ლმობიერი ტონით შტაბის უფროსმა.

არიშინიძემ არაფერი უპასუხა.

შტაბის უფროსმა ვერ მოახერხა გავგო პოლკის მეთაურის დუმისის მიზეზი, რადგან იგი უფრო გულგრილი ჩანდა, ვიდრე მდგომარეობას შეეფერებოდა.

«ყველგან დამკვიდრებულია უფროსისადმი დაქვემდებარების აუცილებლობა. მაშასადამე, უმჯობესია შენ იყო უფროსი, ყველგან გვხვდება ადამიანები, — ფიქრობდა მაიორი კურაკინი, — რომლებიც ბრძანებას იძლევიან, და ადამიანები, რომლებიც განუსჯელად ამ ბრძანებებს ასრულებენ».

კურაკინმა მიწურიდან გასვლის წინ

უსაყვედურა არციშბაევს იმის გამო, რომ პირველმა ათასეულმა დილით ცეცხლი დაუშინა მტერს და ამით საცეცხლო პოზიციები გამოაშკარავა.

ასე მოეჩვენებოდა კაცს: შტაბის უფროსმა იმიტომ უსაყვედურა არციშბაევს, მიწურიდან უნებართვოდ გასვლა რომ გაემართლებინა.

ახლა ესლა უნდოდა მაიორ არციშბაევს. მან იშოვა საკმაოდ სამართლიანი საბაზი, რათა თავს დასხმოდა არა მარტო შტაბის უფროსს, არამედ პოლკის მეთაურსაც.

არციშბაევი წამოდგა, თავისი შეწითლებული თვალები ნემსივით ჩაარტო შტაბის უფროსს და მტკიცე ხმით თქვა:

— მე იმას ვაკეთებ, რაც საჭიროა, და თუ ვინმეს ჰგონია, რომ სამშობლოს ჩემზე უკეთესად ემსახურება, მაგალითი გვიჩვენოს!

— თქვენ ხშირად იმას არ აკეთებთ, რაც საჭიროა და რასაც გიბრძანებენ, — თქვა არიშინიძემ.

— თქვენ ასე ფიქრობთ? — გაურკვეველი ხმით იკითხა არციშბაევმა.

— მე, სეერთოდ, იმას ვამბობ, რაც არის, ამხანაგო მაიორო!

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ მაიორი არციშბაევი მშიშარაა და ვერაფერს გააკეთებს? — იგი შეჩერდა, — პოდპოლკოვნიკო, თქვენ თუ გგონიათ, მე ცუდად ვემსახურები სამშობლოს, მაშინ, ეშმაკმა დასწყევლოს ყველა! — მან უსიამოვნო სიტყვებით მიმართა პოლკის მეთაურს და მიწურის კარი გამოაღო.

— შეჩერდით! — მიადახა ბრანზორეულმა პოლკის მეთაურმა და მუშტი დაჰკრა ყუთებისაგან შეჭვიდილ მაგიდას.

სინათლე ჩაქრა.

— მე ვიცი, რასაც ვაკეთებ, — მოისმობდა ბნელში მაიორი არციშბაევის გულიდან ამოხეთქილი სიტყვები, — პირდაპირ საველე სამსჯავროს გადაეცით ჩემი საქმე. მე არ მეშინია, — ყვიროდა იგი.

— რა მოგივიდა, მაიორო? — ჰკითხა



შერემეტივემა და ხელი წაატანა არციშ-
ბავეს მახარაზე.

არციშბავევი ვერ მიმხვდარყო, რა
ემართებოდა და ამიტომ ვერ უპასუხა
შერემეტივეს, მაგრამ შემობრუნდა და
თივაზე ჩამოჯდა ვიღაცა დაჭრილი სერ-
ჟანტის გვერდით, რომელიც მოუთმენ-
ლად ელოდა სანიტარის მოსვლას.

ურთიერთს მიყოლებით დაიგუგუნეს
ქვემეხებმა, ისევ ცას მიელანდნენ ხან-
დაკეები და თხრილები.

ღრმა ეკვი შეეპარა პოლკის მეთაურს:
ეს შეუწყნარებელი გუგუნი, ეს მშფო-
თვარე ქარი, ტყვიების წივილი, გარს
შემოეჯარა მას და ეუბნებოდა:

„არა, შენ ვერ გააკეთებ იმას, რაც სა-
ჭიროა, შენ მუდამ მონატრული იქნები
სიმშვიდეს“, მაგრამ შინაგანი ძალა
ჩასძახებდა: „არ უნდა დამორჩილდე!“

ახალი როდი იყო პოდპოლკოვნიკ
არიშინიძისათვის ისეთი მდგომარეობა,
როცა ბრძოლის დროს ნანახი ყველა სა-
ხე ერთ ჯოჯოხეთურ შთაბეჭდილებად
იწურება.

— მეგობრებო, როგორც ჩანს, ხვალ
გვექნება შეუპოვარი ბრძოლა. დროზე
მოაღწევს თუ არა სატანკო კორპუსი,
ძნელი სათქმელია, — პოლკის მეთაური
წამოღდა, — მძიმე და სასტიკი იქნება ეს
ბრძოლა. რანაირიც არ უნდა იყოს ჩვე-
ნი მდგომარეობა, გული არ უნდა გა-
გვიტყდეს, — ბრძოლაზე ხელი არ უნ-
და ავიღოთ, რადგან ჩვენ ჯარისკაცები
ვართ. ჯარისკაცი კი ვალდებულია იცო-
დეს, რომ ბრძოლის გარეშე არ არსე-
ბობს მისთვის არც ბედნიერება, არც
უბედურება!

„მართალია, ომი მოითხოვს მსხვე-
რპლს, — ფიქრობდა პოდპოლკოვნიკი
არიშინიძე, — მაგრამ მე უნდა განვიცა-
დო მთელი პოლკის შემადგენლობის სი-
ცოცხლე, — იგი მიუხვდა, რომ მსჯე-
ლობას ლოგიკურობა აკლდა, მაგრამ
სამართლიანი იყო, — ჩემი ცხოვრება შე-
უკავშირდა ამ ადამიანებს, სანამ მათ
შევხვდებოდი და შეკავშირებული დარ-
ჩება იმის შემდეგაც, როცა მათ დავ-
შორდები“.

სწორედ ამ აზრით გაართულ არიშინი-
ძეს კარაი-ბედამ არყით საცხვე მთაქრა
მიაწოდა.

— დალიე, ლევან ზურაბის-ძეე. ეს
ძალიან კარგია.

პოლკის მეთაურმა კარაი-ბედას შეხე-
და არა სახეში, არამედ საფეთქლების
იმ ნაწილზე, სადაც პოდპოლკოვნიკის
თმას უდროოდ დაეწყო გათეთრება.

„პოდპოლკოვნიკი ამ ორ დღეში და-
ბერდა“ — გაიფიქრა არიშინიძემ, — და-
ვლიოთ, — თქვა მან და ხელი წაატანა
მათარას. კარაი-ბედა დაამშვიდა პოლ-
კის მეთაურის უბრალო მოძრაობამ.

არიშინიძემ მათარიდან არაყი მოსვა
და კარაი-ბედას ჰკითხა:

— დალევ, მაქსიმ იგორის-ძეე?

კარაი-ბედამ ჯერ კიდევ მოსკოვის
მისიადგომებთან ჩათქვა, თუ იგი არ და-
ილუპებოდა იქ, არაყს არ დალევდა მა-
ნამ, სანამ ფრონტზე იქნებოდა. კარაი-
ბედას რატომღაც სჯეროდა, თუ თავის
ჩანათქვამს არ შეასრულებდა, ბრძოლა-
ში უთუოდ დაილუპებოდა.

— მე არ ვსვამ, — უპასუხა პოდპო-
ლკოვნიკმა და რატომღაც ინანა, რომ
თავს აღთქმა მისცა. ისევ დიხუვლეს
ზარბაზნებმა სადღაც შორს, მერე ახ-
ლოს გაისმა ტყვიამფრქვევების შენა-
ცვლებითი კაკანი.

— წავიძინოთ, ლევან ზურაბის-ძეე.
ხვალ, ვნახოთ, რა მოხდება.

არიშინიძემ არაფერი უპასუხა კა-
რაი-ბედას. მართლაც, იქნებ ხვალ ყო-
ველივე კარგად შეეწყოს ერთმანეთს და
არაფერი ცუდი არ მოხდეს?

იგი მიწურიდან გავიდა.

IV

ალარდენისფერით დაიბლონდა და-
ფონი (ცა უღრუბლო იყო და მალალი,
თვალი ვერ სწვდებოდა მას). მზე ამოი-
წვერა და ერთბაშად გაისმა გამაოგნე-
ბელი გუგუნი. ასობით და ათასობით
სკდებოდნენ ჭურვები და ნაღმები. კვა-
მლის, ცეცხლის, მტვერის, ნამსხვრე-

ვების ფარდა ჩამოეშვა მეწინავე ხაზზე. ორი საათი ტოკავდა გარემო. ცაში ავარდნილი ფოლადის რისხვა მზეს აბნელებდა.

გადიტანა თუ არა მოწინააღმდეგემ მძლავრი არტილერიის ცეცხლი, აბორგებულ ზღვის ტალღების დარად მოედნენ ტანკები ბრძოლის ველს. ტანკებს ქვეითი პოლკები მისდევდნენ უკან. დივიზიის მარჯვენა ფრთაზე მტრის ტანკების ბატალიონები ზედა ხიდისაკენ მიიწევდნენ. მარცხენა ფრთაზე დაჯავშნულთა სამ რიგად დარაზმული ტალღა გადმოდიოდა.

სიკვდილის ფერი დაედო სახეზე არიშინიძეს.

ნუთუ ყველაფერი დაიღუპა?

„როგორ უნდა ვიმოქმედო?“ — გაიფიქრა პოლკის მეთაურმა.

თავდავიწყება, რომელსაც მეომრები ხშირად მიმართავენ ბრძოლის ველზე, მას აღარ შეეძლო, არა როგორც არიშინიძეს, არამედ, როგორც პოლკის მეთაურს. ყოველ შემთხვევაში, რაიმე მტკიცე გადაწყვეტილების მიღებამდე შეუძლებელი იყო დამშვიდება და მდგომარეობაში გარკვევა.

— საჭიროება მოითხოვს მეორე ხაზის დაკავებას! დაღუპვასე ლაპარაკი ჯერ ადრეა! — მიუგო ადიუტანტს არიშინიძემ, თუმცა შეატყო, რომ მტერს ორივე ხიდის ხელში ჩაგდებათ მისი პოლკის რკალში მომწყვდევა ჰქონდა განზრახული. როგორც იქნა, პოლკმა თავდაცვის მეორე ხაზი დაიკავა, მაგრამ მოწინააღმდეგემ ძალუმად შემოუტია.

„რა მოხდება?“ — გაიფიქრა პოლკის მეთაურმა და თვალი მისდაუწებურად ცისაკენ გაექცა. ქვედა ყბა მარჯვნივ საგრძნობლად მოექცა. ბრძოლებში დაჩეხილი სხეული, როგორც იქნა, ხანდაკიდან ამოათრია და წინ წავიდა.

ვიდაცა ჯარისკაცმა მას ხელი წაუპოტინა, მაგრამ იგი არ შეჩერებულა, თუმცა გადახედა კი — სურდა ამ ჯარისკაცის სახე დამახსოვრებოდა.

დაიწყო ხელჩართული ბრძოლა.

მტრის ჯარისკაცი, რომელიც ძალზე

დაფეხილი ჩანდა, თითქოს საღდაცენახა.

მაღალი ოფიცერის მთავრის მსახვეც ეცნურა არიშინიძეს.

ყოველივე ეს იყო ნაცნობი და განცდილი.

ბრძოლის ველზე ყოველ წუთს მოსალოდნელია დაიღუპო, მაგრამ გჯერა, რომ ვერ მოგკლავენ, ყოველივე გარკვეულია ბრძოლის ქარცეცხლში და ამავე დროს ყველაფერი გაურკვეველია. არიშინიძეს გონება აემღვრა მოულოდნელად, გული შეეკუმშა; ერთი რამ რჩებოდა: — დაცემულიყო, მაგრამ არ დაცემულა, ავტომატის ტყვიებით დაცხრილულ მკლავს მარცხენა ხელის ნები გადაუსვა.

არიშინიძემ შეამჩნია მტრის ოფიცერი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ პოდპოლკოვნიკი მას ბრძოლას ვერ გაუმართავდა.

არიშინიძემ თავის პისტოლეტს მარცხენა ხელი წაატანა.

მტრის ოფიცერმა პარაბელუმის ჩახმახი შემართა და, როდესაც აზარმაცო გამოსწია, თვალი დახუჭა, რათა არ დაენახა, თუ როგორ დაეცემოდა პოდპოლკოვნიკი. ტყვია მიხანს ასცდა.

არიშინიძემ პისტოლეტი მტრის ოფიცერს დაუმიზნა, მაგრამ გაახსენდა, რომ მკდე ცალიერი იყო და ირგვლივ მიმოიხედა.

მან დაინახა, როგორ დააჭირა ვიდაცა ჯარისკაცმა თითი ავტომატის სასხლეტს. მტრის ოფიცერი ადგილზე შექანდა, მერე თვალი გაუსწორა პოდპოლკოვნიკს და, როდესაც პარაბელუმს ხელი უშვა, ნელი მოძრაობით ჩაიჩოქა, კიდევ ერთხელ აიხედა ცისაკენ და მსუბუქი მოძრაობით დაეცა წვიმისაგან დამდგარ ტლაპოში.

ცნობა მოიტანეს: დივიზიონის მეთაური დაჭრილა და ცეცხლის ხაზიდან გაუყვანიათ, ხოლო სატანკო ბატალიონი მარცხენა ფრთისაკენ გადაუსხამს გენერალს ისე, რომ არიშინიძისათვის არ უცნობებია.

რადგან ასეთი მდგომარეობა შეიქნა და დივიზიის მეთაურმა ხიდის შენარჩუნებისათვის სატანკო ბატალიონი მეზობელ პოლკს მიაშველა, არიშინიძემ არტილერიის ცეცხლი მოითხოვა, მაგრამ ესეც შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან არტილერია მარცხენა ფრთით იყო დაკავებული.

მდგომარეობა ისე მოულოდნელად შეიცვალა, როგორც ეს ხშირად ხდება ბრძოლის ველზე. მოწინააღმდეგე, ორივე ხიდისაკენ ტანკებით უტევდა, ხოლო ცენტრში მდგარი პოლკის წინააღმდეგ იერიშებზე გადაჰყავდა გაძალოვებულნი ათასეულები.

არიშინიძე წელში მოხრილი წავიდა პირველი ათასეულის განლაგებაში.

პირველი ათასეულის მეთაური სისხლში ამოსვრილი ფარაჯით პირაღმა ეგდო ხანდაკში. დაღებული პირი სისხლით ჰქონდა შეღებილი. წინ გამოწვდილი ხელებით თითქოს რაღაცას ითხოვდა. არიშინიძემ გაიფიქრა: „ვინ უხელმძღვანელებს ათასეულს? კაპიტანი კარგარეთელი. არა, ვგონებ, იგი მოკლეს. ჰო, კაპიტანი... წითური კაპიტანი“ — და აჩქარებული წავიდა წინ.

— სადაა ასეულის მეთაური? — ჰკითხა არიშინიძემ ჯარისკაცს, რომელიც დაჭრილ სერჟანტს მათარით ასმევდა წყალს.

ჯარისკაცს პასუხი არ გაუცია, თითქოს არიშინიძეს მიუძღოდა ბრალი იმაში, რაც აქ ხდებოდა.

არც არიშინიძეს გაუმეორებია შეკითხვა და პატენეზს აჰყვა.

მესამე შეტაკებისას პოლკმა საგრძნობი დანაკლისით უკან დაიხია. მოწინააღმდეგემ თავდაცვის მეორე ხაზი დაიკავა. ამას ხელი შეუწყო მტრის არტილერიის ძალუმმა ცეცხლმა, რომელმაც წყობილებიდან გამოიყვანა წინა ხაზის მეომრები, ხოლო შუაღლეზე დაეინებით მიეძალნენ ბრძოლებით მოქანცულ ათასეულებს. ამას ისიც დაემატა, რომ მარცხენა ფრთას მტერმა ზედა ხიდი გამუდმებული იერიშების შემდეგ წაართვა და მდინარე ნარეგს გაღმა გავიდ-

ნენ ქვეითი პოლკის მეწინავე ჯარისკაცები.

ამის შემდეგ პოლკის მარჯვენა ფრთას მოწინააღმდეგე თავს დაატყდა ტანკებიანად.

— პირველი ათასეული უკან იხევს! — წამოიძახა ადიუტანტმა და ხელით უჩვენა, თუმცა იგი დარწმუნებული იყო, რომ არიშინიძე ამას ხედავდა.

ტანკებს ქვეითი ათასეული მოსდევდა უკან. გულმოცემული ჯარისკაცები წელში გამართულნი მოდიოდნენ. მოწინააღმდეგეს გვერდულ დარტყმაზე გადაჰყავდა ტანკები. ათასეული ვერ უშკლავდებოდა და უკან იხევდა.

პოლკის მეთაურმა ირგვლივ მიმოიხედა. იგი კარაი-ბედას ეძებდა. მართლა, სად იყო პოდპოლკოვნიკი კარაი-ბედა?

— ამხანაგო პოლკის მეთაურო, კარაი-ბედა ვერ აკავებს ათასეულს, — მიიძახა არტილერიის უფროსმა და არიშინიძეს თვალთან ჭოგრი მიუტანა.

პოლკის მეთაურმა ჭოგრის ხელი ჰკრა.

— შენი პოლკი უკან იხევს! — ეუბნებოდა გაბრაზებული გენერალი ტელეფონით არიშინიძეს, — შეაჩერე პოლკი! მაშველ ათასეულს გიგზავნი!

არიშინიძემ დივიზიის მეთაურს არაფერი უპასუხა.

— კაპიტანო! — მიმართა მან არტილერიის უფროსს.

— კაპიტანო! — სამგზის გაიმეორა კიდევ პოლკის მეთაურმა — შეაჩერეთ ათასეული! შეაჩერეთ თორემ...

— რით შევაჩეროთ ათასეული, პოდპოლკოვნიკო? — ჰკითხა ფერწასულმა შტაბის უფროსმა.

— რა რიგად გაჭირდა დღეს! — წილაპარაკა პოლკის მეთაურმა ქართულად და წელში გამართული წავიდა ათასეულისაკენ. იგი მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: რაც შეიძლება ჩქარა მიესწრო ათასეულში, რას გააკეთებდა იქ, ახლა არ იცოდა.

მან შესძლო ჯარისკაცების შეჩერება, უკეთ რომ ითქვას, ამ თავდავიწყებაში მეომრებმა იგი შეამჩნიეს და წინ წავიდნენ. როცა იგი ჯარისკაცების

გვერდით მიდიოდა, ვიღაცა ახმახმა სერჯანტმა დაუყვირა:

— სად ჯანდაბაში მიდხხართ, პოდპოლკოვნიკო!

პოლკის მეთაურს ეს არ გაუგონია. მის თავში ირეოდნენ ურთიერთს მოწყვეტილი აზრები: „ეს დღევ მოვიდა. ეს იყო და ეს. მედგარად იბრძვიან“.

არტილერიის ცეცხლმა შესაძლებლობა მისცა ქვეითი ათასეულს მტერი უკუეჭია.

— ცოცხალი ხარ? — ჰკითხა პოლკის მეთაურმა, კაპიტან როზინოვს როცა თავზე წაადგა.

როზინოვი პურს ჭამდა და გადაფართოებული თვალებით ირგვლივ იხედებოდა.

— ჯერჯერობით კი, — მიუგო მან და მეთაურს მიმართა, — ჩამოგვქვით პური გჭამოთო.

— მომეცი. რა გაქვს? — იკითხა პოლკის მეთაურმა.

პოდპოლკოვნიკს ლუკმა არ გადასდიოდა ყელში. ჩანდა, როზინოვი პურს უფრო იმიტომ ჭამდა, რომ თავი დაემშვიდებინა, ვიდრე შიმშილი მოეკლა.

ორივე ოფიცერს შესამჩნევად უკანკალეზდა ხელები.

— დიდი გასაჭირი ადგათ მეზობელ პოლკებს, — თქვა არიშინიძემ.

— პო, — როზინოვმა კვლავ ირგვლივ მიმოიხედა, — ეს ტყვიამტრქვევი რომელი ოცეულისაა? მართლა, ეს თქვენ არ გეცოდინებათ. სერგეევის საქმეს სავლელ სამსჯავროს ნუ გადასცემთ ლევან ზურაბის-ძე, — თხოვნის კილოთი დაუმატა მან. თუმცა დილით პოლკის მეთაურს უთხრა, — სერგეევი ბრძანების შეუსრულებლობის გამო გაასამართლეთო.

— კარგი. რომელია ეს სერგეევი? ოცეულის მეთაურის მოადგილე რომ იყო, ის არის თუ სხვა?

— არ მახსოვს.

პოლკის მეთაურის აღიუტანტმა რადიოსადგური და ტელეფონის აპარატი დაადგმევინა თხრილში. იქ, სადაც არიშინიძე და როზინოვი ისხდნენ.

როზინოვმა უკმაყოფილო თვალბით შეხედა არიშინიძეს. მის თავისი სათვალთვალო პუნქტი სსხვანა უნდა გადაეტანა ახლა.

— დარჩი აქ, — უთხრა კაპიტანს პოლკის მეთაურმა.

— აქ მაინც არ უნდა გადმოგეტანათ სათვალთვალო პუნქტი. — თქვა როზინოვმა, — ძალიან ახლოსაა მტერი.

— რა განსხვავებაა, — მიუგო არიშინიძემ, თუმცა განსხვავება იგი იყო. კაპიტანი როზინოვი უფრო ახლოს უნდა ყოფილიყო თავის ათასეულთან, ხოლო პოლკის მეთაურს გაცილებით უკან უნდა ამოერჩია თავისი საკომანდო ადგილი.

— პოდპოლკოვნიკი კარაი-ბედა დაილუბა, — მიაძახა მეკავშირემ.

„ვინ დაილუბა? — გაიფიქრა კაპიტანმა როზინოვმა, — პო, კარაი-ბედა. ნუთუ იგი აქამდე არ მოუკლათ? რა სისულელეს! მე რაღაცა ცუდად ვგრძნობ თავს“ — წილაპარაკა თავისთვის და პურის ჭამა მიატოვა.

ამასობაში მაშველი ათასეული გამოვიდა ცეცხლის ხაზზე. ცალკე ათასეულს უკან თვითმავალი ქვემეხების ორი ასეული მოსდევდა. ათასეულის მეთაური სწრაფად გაერკვა მდგომარეობაში და თავისი დანაყოფები პირდაპირ გადაიყვანა გვერდულ დარტყმანზე.

პოლკის მეთაური, რომელიც ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა დაეშვა, კარგად გაერკვია შექმნილი მდგომარეობა და საჭირო გადაწყვეტილება დროზე მიეღო, მაშველი ათასეულის მოქმედებამ რატომღაც დააბნია. ახლა არიშინიძეს თავისი პოლკი წესრიგში უნდა მოეყვანა და მაშველი ათასეულის მიერ ხელში აღებული ინიციატივა უნდა განეხილათ.

დაბნეულობა დაეტყო შტაბის უფროსსაც. მხოლოდ მეორე ბატალიონის მეთაურმა არცთუბევნა შეძლო ცეცხლით და შეტევით მხარი დაეჭირა მაშველი ათასეულისათვის.

სრულიად მოულოდნელად მაიორი შერემეტევიც ჩაება ბრძოლაში — აღ-

ბათ დღივითის მეთაურმა გადმოიყვანა ამ მიმე წუთებში სატანკო ბატალიონი. შერემეტიევმა სატანკო ბატალიონს, რომელიც ახლა მწყობრში მხოლოდ შეიდ ტანკს ითვლიდა, უბრძანა, უკან დახეული პოლკის მარცხენა ფრთაზე გასულიყო და მერე, მიმართულების შეცვლით, მაშველ ათასეულს შეერთებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, პოლკის მეთაურმაც ადგილიდან დასძრა თავისი დანაყოფები.

მაშველმა ათასეულმა უეცარი თავდასხმით არეულობა შეიტანა მტრის განლაგებაში და ზედა ხილთან გამაგრდა. ამას ხელი შეუწყო მაიორ შერემეტიევის მოქმედებამ.

შერემეტიევმა საბრძოლო ბრძანება შეცვალა — იგი მაშველ ათასეულს კი არ შეუერთდა, არამედ შემოაბრუნა თავისი ბატალიონი და თავგამომეტებით მიეჭრა მტერს იქ, სადაც მოწინააღმდეგეს იერიში ყოველად შეუძლებლად უნდა სჩვენებოდა. მხოლოდ ეს იყო, რომ შერემეტიევმა ადგილზე გამაგრება ვერ შეძლო, რადგან მტრის კორპუსის არტილერიამ ტანკებს ცეცხლი წაახურა, მაგრამ ტანკისტებმა რამდენიმე ჯარისკაცი და ოფიცერი მაინც ტყვედ წამოასხეს.

V

— სად მივყავს! — დაიძახა პოლკის მეთაურის ადიუტანტმა, როცა დანახა დაპრილ სერჟანტს ტყვეები მიჰყავდა ზურგში, — მიახვრიტე ყველა! — დასძინა მან და მტრის ოფიცერს პისტოლუტი დაუმიწნა.

— ნუ მოკლავთ! — ბრძანა პოლკის მეთაურმა.

მიუხედავად იმისა, რომ ადიუტანტს ერთგვარი სიამოვნება აგრძნობინა პოლკის მეთაურის ბრძანებამ, მაინც მოღუშული სახით შეხედა მას.

აღბათ, ადიუტანტი კიდევ არ დაუშვებდა პისტოლეტს დაბლა, მოწინააღმდეგეს ცეცხლი რომ არ დაეშინა და ოფიცერები არ ჩამხტარიყვნენ თხრილ-

ში, სადაც პოლკის მეთაურს საკრამელო პუნქტი ჰქონდა.

— მედგრად იბრძვიან თქვენი გზარისკაცები, — თქვა გერმანელმა ოფიცერმა რუსულად. ეს შეიძლება მას მართლა სწამდა? ისიც მოსალოდნელია, რომ ამ სიტყვების თქმის გამო ლმობიერად მოქცევას მოელოდა.

თქვენი ძალები დღეს სამაგზის მეტია, ვიდრე ჩვენი, — უბასუხა პოდპოლკოვნიკმა არიშინიძემ გამართული გერმანულით, რომელიც თანამებრძოლებს მისგან არასოდეს სმენიათ.

— Товарищ полковник, майор Арцишбаев начисто расчитался, — მოახსენა პოლკის მეთაურს მეორე ათასეულიდან გამოგზავნილმა სერჟანტმა, — ვის უბრძანებთ ათასეულის ჩაბარებას. იქ მხოლოდ ორი ოფიცერი დარჩა. ერთი, რა გვარია? აი, პატარა ლეიტენანტი, თქვენ იცნობთ, და მეორე — ლეიტენანტი მუსიხინი, — კონტუზირებულ სერჟანტს კიდევ ჰქონდა რაღაცა სათქმელი, მაგრამ დაავიწყდა და ხელი ჩაიქნია.

— ადიუტანტო! — მიმართა პოლკის მეთაურმა ლეიტენანტს, — წადით მეორე ათასეულში, გამიგეთ მდგომარეობა და მაიორის გვამი ცეცხლის ხაზიდან გამოატანინეთ. დაურეკეთ სამსონოვს! — დასძინა მან და გაოფლიანებული შუბლი მაზარის სახელურით მოიწმინდა.

— სამსონოვი ხომ დაჭრილია, — უბასუხა პოლკის მეთაურს მეკავშირემ.

— გამოიძახეთ კორნეევი! — ბრძანა პოლკის მეთაურმა.

— კორნეევი გუშინ მოკლეს, ლევან ზურაბიძე-მეც, — შეახსენა როზინოვმა. ახ, მართლა ეს როგორ დაავიწყდა არიშინიძეს?

არიშინიძემ ქვედა ტუჩს კბილები დააკირა და მონისლული სახით გადახედა ბრძოლის ველს.

„პოლკის მეთაური გონებგაფანტულია. ამას მნიშვნელოვანი შედეგი ექნება, — გაიფიქრა როზინოვმა, — ომი

საოცრებაა, მას დიდი გაჭირვებით უნდა შეჩვევა“.

— ლევან ზურაბის-ძე, ნუ დგახართ. შეუძლიათ დაგჭრან, — უთხრა არიშინიძეს როზინოვმა. მას არ უთქვამს, შეუძლიათ მოგვლანო.

— ჩემზე ნუ ვილაპარაკებთ! სადაა ის, რა გვარია? — პოლკის მეთაურმა შეკავშირეს გადახედა — აი, პატარა უფროსი ლეიტენანტი. ეშმაკმა დაწყევლოს, გვარი დამაფიწყდა!

— სინიციანი? იგი ხომ... — შეკავშირე შეაჩერდა არიშინიძეს, რომლის სახე უძრავი და გამაოგნებელი იყო მტრის წინაშე ხელაწეული მეთომრის სახესავით.

— მიახვრიტეთ ეს ტყვეები ახლავე! — ბრახმორევით და ქვედა ყბის კანკალით წამოიძახა არიშინიძემ, — მუსიხინმა ჩაიბაროს ათასეული! — ტონის შეუცვლელად დაუმატა მან.

— ნუ დახვრეტთ, ლევან ზურაბის-ძე. გავგზავნათ ზურგში, — უთხრა კაპიტანმა როზინოვმა პოლკის მეთაურს. ხომ არ სურდა პოლკის მეთაურს ეს მტრის მეთომრები მაშინაც არ დაეხვრიტა, როცა მათი დახვრეტის ბრძანებას იძლეოდა? ესეც არ იყოს, ვინ დახვრეტდა მათ? პოდპოლკოვნიკ არიშინიძეს სახელდობრ არავისთვის არ უბრძანებია. რომ ებრძანა კიდევაც, მძიმე იყო ამის სისრულეში მოყვანა, რა თქმა უნდა, იმ მრავალგვარი მოსაზრებით, რომელიც ბრძოლის ველზე ებადება ადამიანს. — როგორც გინდოდეს! — მიუგო როზინოვს პოლკის მეთაურმა, მაგრამ მან მაინც იგემა სიტყვაში — „მიახვრიტეთ“ შურისძიების სიამოვნება.

წაიყვანეს თუ არა ტყვეები, იღაცა მათიორი თავზე წამოადგა ოფიცრებს და იკითხა, თუ ვინ იყო პოლკის მეთაური. მისი უზრუნველი ხმა, თითქმის გაქვავებული სახე, ძალზე გაფართოებული თვალის უბეები, რომლებშიაც უცნაური სითეთრე ელავდა, ამტკიცებდა, რომ ეს მათიორი ბრძოლის ველზე გამობრძმედილიყო და რაც აქ ხდებო-

და, მისთვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

არიშინიძემ შეხედა მათიორს, რომელიც წელში გამართული იდგა და არც აქცევდა ყურადღებას ჭურვების ნამსხვრევების ზუზუნს, თითქოს რკინის კაცი ყოფილიყოს და მისი მოკვლა აღარ შეეძლოთ.

— მე ვარ პოლკის მეთაური! — თქვა არიშინიძემ.

— ნება მიბოძეთ მოგახსენოთ. ცალკე ათასეულის მეთაური მათიორი არიშინიძე. ათასეული თქვენს განკარგულებაშია გენერლის ბრძანების თანახმად, — თქვა მათიორმა „ცალკეზე“ ხმის საგრძნობი აწვევით, რათა ყველას გაეგო და ამთავითვე სცოდნოდათ, რომ იგი პოლკის მეთაურის უფლებით სარგებლობდა. პოდპოლკოვნიკს სიტყვა „ცალკე“ არც კი გაუგონია, მაშინ, როდესაც დანარჩენების სმენაში სასიამოვნოდ გაისმა, რადგან თუ ცალკე ათასეული იყო, მასზე იმედის დამყარება შეიძლებოდა. პოლკის მეთაურს სიამოვნება აგრძნობინა მათიორის გვარმა.

— პოდპოლკოვნიკი არიშინიძე, — თქვა პოლკის მეთაურმა და ძმებმა ხელი ერთმანეთს ჩამოართვეს. ძლიერ მოტეხილიყო გურამ არიშინიძე. ეს ალვის ხესავით ამოღტილი ახალგაზრდა მხრებში მოხრილიყო და თმა მთლიანად გათეთრებოდა ოცდახუთი წლის კაცს. კისერზე ნატყვიარები აჩნდა. ერთ ღროს თეთრი, მიჯრილი კბილები ჭურვისა და ნაღმის კვამლს გაუფუჭებია და სიყვითლე გადაჰქარავდა.

პოდპოლკოვნიკმა მხარზე ხელი დაადო ძმას, სანდომიანად შეაელო მის სახეს თვალი და მკერდზე მიიხუტა.

— აი, გური, სად მოგვიხდა შეხვედრა.

— მე ძლიერ მიხარია, ლევან, — ძლიეს ამოილაპარაკა მათიორმა არიშინიძემ და თავისი დასიცხული შუბლი ღოყაზე მიადო ძმას, — ვინ მოელოდა, ამას, ლევან, — მან განზე გაიწია, მერე მიუახლოვდა პოდპოლკოვნიკს და გულში ჩაიკრა.

— შენ დაქრილი ხარ, ლევან, — როგორც იქნა თქვა ბოლოს მაიორმა და ძმის მარჯვენა სახესთან მიიტანა. უფროსმა ძმამ არ იცოდა, რა ეპასუხა.

— თქვენ, ძმები უნდა იყოთ, — როზინოვმა მაიორისაკენ წაიწია, — გმადლობთ, მაიორო, თქვენ დალუპვიდან იხსენით ჩვენი პოლკი.

არავის შეუნიშნავს, თუ როდის წამოიწყოთ ეჩინეკლა. სიტყვას არ ძრავდნენ იმის შესახებ, რაც მოხდა აქამდის. ყველა იმაზე ფიქრობდა, რა ელოდათ, მაგრამ არც ამის შესახებ ამბობდნენ რამეს.

უბედურებამ ათასჯერ გადაუარა დღეს მებრძოლებს თავზე და ბევრმა არც კი იცოდა ეს ყველაფერი როდის დაიწყო. დიდიდან შემოუტია მტერმა, მაგრამ ეს დილა, თითქოს საუკუნის წინ იყო. ალბათ, ეს მუდამ ასე ყოფილა, ალბათ ეს ყოველთვის ასე იქნებოდა და ამ დაუსრულებლობაში ყველაფერი შეიცვლებოდა ან ყოველივე ისე დარჩებოდა, როგორც იყო.

VI

— ადიუტანტო! — მიმართა არიშინიძემ ძირს დაცემულ ოფიცერს, რომელსაც გულ-მკერდი ჭურვის ნამსხვრევებით ჰქონდა დაგლეჯილი და ცას უსიტყვოდ შეჰყურებდა, — ადიუტანტო! — ისევ გაიმეორა პოლკის მეთაურმა და როდესაც პასუხი ვერ მიიღო, გაბრაზდა. მას სურდა ადიუტანტისათვის ეთქვა, სულელურად დაიღუპეო, მაგრამ რას ნიშნავდა სულელური დაღუპვა? — ეშმაკმა დაგწყევლოს, კაპიტანო! — წაილაპარაკა თავისთვის და მესამე ათასეულის მეთაურს გუნებაში სიკვდილით დაემუქრა იმის გამო, რომ ჯარისკაცები ცეცხლის ხაზიდან არ გამოჰყავდა.

პოლკის მეთაურმა ირგვლივ მიმოიხედა. მის გვერდით არავინ იყო. მას სრულიად უვნებლივ შეეძლო ამ ცეცხლის წარღვნაში შესვლა.

— როზინოვ! კაპიტანო! — დაუყვირა არიშინიძემ ათასეულის მეთაურს, რო-

მელიც წელში გამართული იდგა და მხოლოდ პირს აღებდა — კაპიტანი. ალბათ, რაღაც ბრძანებას უძღვებოდა გუნებაში. მას პირიდან და ყურებიდან სისხლი ჩამოუდრიოდა.

— კაპიტანო! ჩაწექი, კონტუზია მიგიღია! — შიდაძა პოლკის მეთაურმა და მარცხენა ხელის დარტყმით ჩააჩოქა ათასეულის მეთაური.

კაპიტანმა პოლკის მეთაურს შეხედა და ისე გაურკვეველად გაუღიმა, როგორც ეს იციან მთვრალმა ადამიანებმა.

— ჯარისკაცებო! სატანკო კორპუსი გამოვიდა პლაცდარმზე! ჯარისკაცებო! — გაჰყვიროდა პოლკის მეთაური და საყვედურის სიტყვებით იხსენიებდა მეომრებს იმის გამო, რომ ახლა ისინი უკან არ იხევენ.

გამოავგნებელი გუგუნი გაჰქონდათ ტანკებს.

ფოლადის ჯგლეფთა გაიმართა ბრძოლის ველზე.

სატანკო კორპუსის მეწინავე ტანკებმა დანდობილად შეუტეს მტერს, მერე მიეძალნენ და სოლივით შეიჭრნენ მედგარ წინააღმდეგობის გამწევ სატანკო დივიზიის მარჯვენა ფრთაში. არავის მიუტყვევია პოლკის მეთაურის ყვირლისათვის ყურადღება, მაგრამ ყველას, როგორც ერთს, სულის სიღრმეში გაუხარდა, რომ პოდპოლკოვნიკი არიშინიძე აქ იყო.

არიშინიძეს უფლება ჰქონდა უკან წასულიყო, თუ არ მოჰკლავდნენ, მაგრამ აღარ შეეძლო ჯარისკაცები აქ მიეტოვებინა, თუმცა იცოდა ამით არსებითად საქმეს ვერ უშველიდა და თავადაც დაიღუპებოდა.

პოლკის მეთაური გრძნობდა, რომ მოხდებოდა რაღაცა საშინელება, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, როგორ მოხდებოდა ეს. ამავე დროს იყო რაღაცა მიუხედელები მეცი, სადაც არიშინიძეს ეჩვენებოდა, რომ არაფერი მოხდებოდა.

არიშინიძეს ძილისმაგვარი უცნაური სიმშვიდე დაეუფლა. ამ უსიამოვნების მომგვრელმა სიმშვიდემ მას აღიქრებინა, რომ სატანკო კორპუსი თავის

დროზე მოვიდა და იგი კმაყოფილია, მაგრამ სინამდვილეში ნანობდა, რომ მაშველმა ძალებმა დაიგვიანეს და იგი კი აქ დარჩა სიკვდილის პირისპირ.

მაგრამ როდესაც გამსკდარი ნაღმის ნატეხმა მკერდი გაუპო, იგი მიხვდა, რომ ის სამყარო, რომლის მოტყუებას ცდილობდა და მას ბრძოლის დროს ხშირად ატყუებდა, თვალსა და ხელს შორის ისე უხმაუროდ დაიარღვა, როგორც მშვიდი ძილის დროს იფშენება თვალშეუღღამი კოშკი.

პოლკის მეთაური კარგა ხანი იდგა ფეხზე.

ასე გეჩვენებოდა: იგი თითქოს დაინტერესებული იყო ყოველივე იმით, რაც ახლა მიმდინარეობდა მის თვალწინ. როდესაც მან გასცა უკანასკნელი ბრძანება, რომელიც უფრო მუდარას მოგაუღდა, არსებითად არ მიუტყვევია ყურადღება — მოუსმინეს თუ არა ჯარისკაცებმა. იგი იყურებოდა სადღაც შორს, ალბათ იქითკენ, სადაც თეთრი ფერი ერწყმოდა ცეცხლისფერს. იგი იყურებოდა იქითკენ, სადაც უნდა ყოფილიყო, მისი აზრით, სიმშვიდე და მოსვენება. იგი, კიდევ ერთხელ შეტოტმანდა, თავის შეკაებების სურვილმა გააბა ძაფი, მაგრამ მყისვე გაუწყდა, არც ტკივილი უგრძნია, არც ნაღმის გასკდომის შემადრწუნებელი ხმა გაუგონია, ისე დაეცა პირაღმა მიწაყრილზე. მტრის მეომარმა, რომელიც არიშინიძეს თავზე წაადგა, ავტომატი მაღლა ამართა, რათა დუგლუგი ჩაერთყა თავში. არიშინიძემ თავლები დახუჭა არა იმიტომ, რომ ავტომატის კონდახის ჩარტყმის ძალა წინ-

დაწინ შეიგრძნო, არამედ იმიტომ, რომ მას არ სურდა ისევე დაბრუნებოდა ცხოვრების სიძლიერეს, მაშინ, როდესაც ყოველივე დასრულებულად მიაჩნდა. მას არ სურდა, უკეთ ითქვას, აღარ შეეძლო კვლავ მიბრუნებოდა იმ აზრს რომ, ის რაც ხდებოდა აქ, მასაც დააძალებდა მონაწილეობა მიეღო.

მტრის მეომარმა ავტომატი დაბლა დაუშვა.

— პოლპოლკოვნიკი მოჰკლეს! — შემოესმა პოლკის მეთაურის მისუსტებულ გონებას.

მართლა, რატომ არ ჰკლავენ მას? შეიძლება ეს სინამდვილე არ იყოს? მოსალოდნელია ასეთი რამ საერთოდ ახსოვდა არიშინიძეს? არა, ეს სინამდვილე იყო, მაგრამ საინტერესოა, არიშინიძეს რატომ გაუელვა იმ აზრმა, რომ ყოველივე ეს კარგად დასრულდებოდა?

„არა, ეს ჩემს თავს არაა“ — ესეც გაიფიქრა პოლკის მეთაურმა. მან თვალი გაახილა, კიდევ ერთხელ ახედა ცას, ხარბად ჩაისუნთქა ჰაერი, სახეზე ყველაფრისადმი განურჩევლობის იერი დედო და მშვიდად, უდრტვინველად წავიდა ამ ქვეყნიდან.

ზმორებით ეპოტინებოდა საღამო ბრძოლის ველს. დასავლეთის ქარმა ღრუბლები გადაარეკა. ცა გაისარკა. სამანს ჯერ ციავი გადაუვიდა, მერე ვარდისფერით დაიბლონდა. მხოლოდ აქაიქ შერჩნენ ჭურვებისა და ნაღმების კვამლის გახილფული ფთილები ტიტობოსფერ ცას. პორიზონტი ოღნავ, სულ ოღნავ ცახცახებდა.

კონა ნაღრამი



თუ ზოგჯერ ღამით,
სულ უმიზეზოდ,
აშლილი სახით
არ დამზობიხარ ბალიშს ცახცახით
და არ ქვეულხარ

ცრემლების სეტყვად,
რომ ლოცვა გეთქვა, —
არასდროს შენთვის ცა არ გახსნილა,
არ მოუხმხიარ მგონნად განგებას,
და ტყუის შენი კახშული სიტყვა!

ჩაფიქრებული გამოველ ღამით,
მთვარე ქვეყანას ეფრქვია ნამით.
ნამი ეფრქვია ქვეყანას მთვარის
და ვარსკვლავების ციმციმი წყნარი
შორს შლიდა ბაღეს აღმასებიანს.
ქართლის მთა-გორებს

ცისფერფრთებიანს
ტკბილად უმღერდა ნიავის ქნარი.
არ მახსოვს —

წარსულ წლებსა და წამებს,
ჩემს გულის ტოლებს,
ჩემი ცხოვრების წაგებულ ბრძოლებს,
თუ სულ სხვა რამეს
მე ვიგონებდი.

მაგრამ ვით მთვრალი,
ღამენათევი
ეწაფვის არაყს ვნებით,
ანთებით, —

მეც ისე ხარბად,
გამშრალი პირით,
დამსკლარ ტუჩებით
ვსვამდი, ვსვამდი იმ ღამეს...

შორს ჩალურჯებით
კიდური ცისა მოჩანდა ბინდად, —
ისეე ინახავს შენს სახეს წმინდად
უფსკრული ჩემი მეხსიერების.
მე მახსოვს ღამე ბედნიერების,
ყვავილთა სუნთქვის მსგავსი ფერების...
მე მახსოვს, მახსოვს ასეთი ღამე!
თითქოს ორივეს გვიხმობდნენ ციდან,
სერაფიმები ყოველი მხრიდან,
ფრთების შრიალით,

გალიმებულნი,
გარს გვეხვეოდნენ...
ჩუმად სუნთქვდა მდუმარე ველი,
და ყვავილები მოღერილ ყელით
სევამდნენ მთვარის და ვარსკვლავთა
ნამცვრევს...

ვით მარგალიტის მარცვლებს და
მძივებს,
მძივებს...
ვპვრეტდით მათს ყელში ჩამავალ
სხივებს...

მე მახსოვს, მახსოვს ასეთი ღამე!
მაგრამ შენ სად ხარ,
რომელ მხარეში?
სად დამეკარგე?
რად შეწყდა ცაში
ჩვენთვის სიმღერა —
სერაფიმების ხმა და საკრავი?
რატომ ვიღლები ამაზე ფიქრით,
რადა მაქვს გული მახვილნაკრავი,
ან ეგ მკლავები ძირს რად მეშვება
ჯვარგასაკრავი?

ჩაფიქრებული გამოველ ღამით,
მთვარე ქვეყანას ეფრქვევა ნამით
და მნათობების ციმციმი წყნარი
შორს აფენს ბაღეს აღმასებიანს...
მაგრამ, ვით მთვრალი,
ღამენათევი,
ეწაფვის არაყს უინით,
ანთებით, —
მეც ისე ხარბად,
გამშრალი პირით,
დამსკლარ ტუჩებით
ვსვამ, ვსვამ ამ ღამეს...



ღავით გარეჯის საგანგებო

ღავითის ლავრა

დილის ცვრით სველი
შუადღეს ველი,
შველს რძესა ვწველი,
კანკალებს შველი.
შველს რძესა ვწველი, —
ამ ლექსის მირონს,
და ხმა იღვრება,
ვითარცა ღვინო:
— ეპეი, შვილო,
ვინა ხარ, ვინო...
მოდლილი ამა
სოფელთან დავით,
ბუბუნებს მამა
გარეჯა დავით.

— როდი გიღვრიათ
ცრემლი ამოდ.
ჰა, მომიხრია
მუხლი, მამო, —

თქვენთა საფლავთა
ბალახი ვძოვო,
საუკუნეთა
ძუძუი ვწოვო,
რომ მარტვილობა
ვილოცო თქვენი!..
რომ გარჯილობა
ვილოცო თქვენი!..

...შველს რძესა ვწველი,
ცანცახებს შველი.
მოვარდა მწველი
კისკასი ქალის
და დაფრთხა შველი,
ვითარცა ქარი.
წამოვდექ ზეზე,
კვიციანებ მძლავრად. —
ძელებს ითბობს მზეზე
გარეჯის ლავრა.

მოყურება

მწუხრის ფრთა რომ მომეხურა,
ქებაში ლოცვა მომეყურა:
სუნთქავს მძიმედ ბნელი მღვიმე,
მოდო, შუქად გამეღიმე.
სისხლად წვეთავს ცრემლის წყარო,
გთხოვ მწყურვალე შემეწყალო.
დრომან ჰირხლი დამამძივა,
ბერის კაბამ დამამძივა,
დამიწყულულდა მუხლის თავი,
დამეღალა ლოცვით მკლავი.
ღამეა და მზეი მცხარალობს,
პოი, მე ვინ შემეწყალოს...

უღაბნოის საგანიდან
სამწუხროში გავლა მინდა.

მეც მელოდა ერთი ქალი,
მეც მეწერა მშობლის ვალი.
ვაჰ, დაბერდა ლოცვით უკვე
დაჩოქილი სიჭაბუკე.

ნოდო, შუქად გამეღიმე,
განმარიდე ამ ბნელ მღვიმეს.
დამიხსენი, მეტყვენ მწეოთა,
თვალთა ჩემთა ცრემლი წვეთავს.

ცრემლის წყარო



ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ბნელ მღვიმეში
ქვის ქერს სწყდება წვეთი
წყვილ-წყვილად.
ეგების არის შენი ცრემლი
წამწამთა ცვარი...
დაბლა დაჩოქილს
ხელში ბროლის ჭიქა მიბრწყინავს,
დასიცხულ ტუჩებს
გამისველებს ნაწვეთრის წყალი.
კაცს კაცისათვის
წვეთ-წვეთად რომ უწოდებია

ხალხს ამ წყალისთვის
ცრემლის წყარო უწოდებია.
...ბერის კაბაშიც
დღე ვერ ჰპოვე მყუდრო, უქარო,
საწუთროს მოთქმით
საუკუნეს აედევნები...
ამა ქვეყნიდან
არ წასულხარ მაინც უკვალოდ
ცხელ უდაბნოში
სულს გვიოკებს შენი ცრემლები.



ყურადღება, მოვლივარ!

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ ქალი ვარ. მთელი თავისი ავითა და კარგით. რასაკვირველია, როგორც ყველა ქალს, მეც ძალიან მიყვარს ბავშვები (სამაგიეროდ არ მიყვარს ყვავილები)...

რაც მთავარია არ მიყვარს ომი. მოხარული ვარ, რომ შემთხვევა მომეცა და ვთქვი.

მე ვერტყიმი ვარ. პირუტყვს რომ ენა ჰქონდეს, ალბათ ბევრი მათგანი მეტყუოდა მადლობას.

ახლა დასასვენებლად მივდივარ სოხუმში. წინ მხიარულება მელის.

ქუთაისის აეროსადგურში მანქანების გარშემო ფუსფუსებდნენ მგზავრები. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც შოფრებს თვალებითა და ხელებით ემუდარებოდნენ: ბილეთი არა გვაქვს, მაგრამ თუ წაგვიყვან, ჩვენზე იყოსო... ბოლოსდაბოლოს რა მოხდა, ჩემოდნებზე დაესხდებითო...

უცებ ყველას ყურადღება მიიპყრო ლამაზმა, ღიმილმა და კრიალა ავტობუსმა. მან მძიმედ შემოხაზა წრე და ჩუმად დადგა. მე სწორედ ამ ავტობუსით უნდა მემგზავრა. მართლაც ლამაზი იყო. ცისფერი, ნიკელით გაწყობილი. მის ფანჯრებში მზის გამოსახულება ელავდა და თვალსა სჭრიდა. მოკლედ, როგორც იტყვიან, ტექნიკისა და სილამაზის უკანასკნელი სიტყვის განსახიერებას წარმოადგენდა.

მგზავრებმა ადგილები დავიკავეთ და ჩუმად დავიწყეთ ერთმანეთისა და ავტობუსის თვალთვლება. ავტობუსის შესახებ ყველანი ერთიადიმავეს ვფიქრობდით, ხოლო ერთმანეთზე... ეს თვით-

ულის საიდუმლოება იყო და საიდუმლოებადვე დარჩა.

ჩვენ შორის ორი ბავშვი იყო. ორივე ბიჭი. ისინი წყნარად ისხდნენ და პირდაღებულები შეპყურებდნენ ავტობუსს. აშკარად ეტყობოდათ, რომ მოჯადოებულნი იყვნენ ამ საოცრად კარგი მანქანით და მხოლოდ შემთხვევას ელოდნენ, რომ ერთმანეთს გამოლაპარაკებოდნენ და თავიანთი აღფრთოვანება ხმამაღლა გამოეთქვათ.

ავტობუსი დაიძრა და ჩვენდა გასაკვირად ისეთი სისწრაფე აიღო, რომ ყველას შიშისაგან თვალები გაგვიფართოვდა. მოგეხსენებათ, ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და მალე ჩვენთვის ეს სისწრაფე საშიში კი არა, სასიამოვნო გახდა.

ფანჯრიდან ჩვენს თვალწინ მშვენიერი სანახაობა გადაიშალა. მწვანე მცენარეების დაუსრულებელ ზღვას აფერადებდნენ უამრავი ყვავილები და კიდევ უფრო ალამაზებდნენ ბუნებას. მთელი ეს არემარე ავტობუსის სწრაფი სვლის გამო ხრიალებდა, უკან მოგვდევდა და თავბრუს გვახვევდა.

ავტობუსის რწევამ და მშვიდმა განწყობილებამ ძილი მომგვარა (ჩემს გვერდით უკვე ისმოდა ვიღაც მოხუცის ფშვინვა). ის იყო ჩამთვლიმა, რომ რაღაც ხმაურმა გამომფხიზლა. შემგართალმა მივხედე ავტობუსის რადიოს, საიდანაც ისმოდა დიქტორის მკაცრი ხმა.

„ამერიკას სურს მსოფლიო ომის ზღვარზე იყოლიოს. ატომური ბომბი“...

საშინელ გუნებაზე დავდექი. რას ფიქრობენ ეს დალოცვილები. ნუთუ არ ესმით, რომ ატომური იარაღის გამოცდა თუ არ შეწყდა, ომის გარეშეც დაიღუპება კაცობრიობა.

ეს! უნდა შეაგროვო კაცმა ერთად ეს „მეომრები“ და უნდა გამოუცხადო, აბა, „მეგობრებო“, რადგან ასე ენერგიულად იცავთ თქვენს იდეას, მისთვის თავის გაწირვაც უნდა შესძლოთ. ახლა ჩვენ თქვენს თავზე გამოვცდით ერთ პატარა წყალბადის ბომბს, მერე ერთად შევიკრიბით და მშვიდად ვიმსჯელოთ შედეგებზე.

ყურადღეობა! ერთი... ორი... სამს, რასაკვირველია, არავენ არ მოუცდის და... წარმოვიდგინე თუ არა, როგორ მოკურცხლავდნენ თავიანთი ბუნაგებისავე, ხმაბალა გამეცინა.

ისევ კარგ გუნებაზე დავედქი. ჩემი ქართული პეიზაჟები უფრო ლამაზი მეჩვენა...

მანქანა რომელიღაც ბარაქიან სოფელში შედიოდა. ყველაფერს ემჩნეოდა გამარჯვ ხელის კვალი. მწვანე მოლზე თოვლის გუნდებივით თეთრი წიწილები მიმოფანტულიყვნენ და რაღაცას გამწარებით ეძებდნენ.

წინ ისევ გაქიშული იყო ურწყი შავი გზა. გეგონებოდათ ვიღაც ენაპარტალა გოლიათს ნაღველნაქამი, ხორკლიანი ენა გამოუგდია და მზეზე აშრობსო. უცებ ჩვენი მანქანა შეტორტმანდა და რჩევა დაიწყო. გაისმა საყვირის ხმა. მგზავრები წამოიშალნენ.

— არიქა, ბატები, გასრესს მაგ საცოდავებს...

ჩვენ არაფერი გვიგრძენია. მხოლოდ თვალეზმა დაინახეს ჩვენი მანქანით გასრესილი თეთრი ბატი, რომელიც, ახლა შორიდან რომ ვუყურებდით, ქვაზე დახატულსა გავდა.

ორივე ბავშვი „გაიტანა, გაიტანას“ ძახილით ადგილებიდან წამოვარდნენ და მძლოლთან მიიბრინეს (საკვირველია ამდენხანს როგორ მოითმინეს).

— ძია! ჩვენი მანქანა ყველაზე კარგია, არა? ყველაზე უფრო ღონიერია, არა?

ბავშვებმა მანქანის ნაწილების ჩამოთვლა იწყეს. თან შოფერს თვალეზში შესციცივებდნენ, ხომ არაფერი გვეშ-

ლებოა. აქვე არ დააყოვნა და თავი მჩინა ბავშვურმა ტრაზანმა:

— ბიძაჩემს ისეთი მანქანა უნდა...

— მე იმდენი მიტარებია, რომ შენ...

მანქანა მიდიოდა და ამ ორი მოუსვენარი ბავშვის ტიკტიკი საერთო ხმაურს უერთდებოდა. მე გულისყური ვერ მოვწყვიტე მათ ლაპარაკს. მანქანის სიმშვენიერემ ამ პატარებს ისეთი სურვილები აღუძრა, რომ არავითარ შემთხვევაში მისატყვევებელი არ იყო. ისინი მოუთმენლად ელოდნენ იმ ცხოველების გამოჩენას, რომლებიც ჩვენი მანქანის მსხვერპლნი გახდებოდნენ. გულიანად ხარხარებდნენ, როცა შემინებული კულაპრეხილი გოკები თხრილებში ცვიოდნენ. ბავშვების სურვილი ჩაუსაფრდა იმ ჭრელ ძროხებსაც, რომლებიც ზარმაცად იცოხნებოდნენ და ჭკვიანურ მხერას აყოლებდნენ ავტობუსის სწრაფ სვლას.

ბავშვების ლაპარაკს უკვე მოთმინებიდან გამოვეყვდი. ვგრძნობდი, რომ საჭირო იყო მათი სურვილების კეთილი გზით წარმართვა, მაგრამ ენა ვერ მომეტრიალებინა და მუნჯივით ვიჯექი ადგილზე. ხანდახან ვაგებდავდი ხოლმე ბავშვის დედას, რომელიც საყუთარი თავით იყო გართული და მხოლოდ ხანდახან წამოიძახებდა ხოლმე:

— გია! ნუ ყვირი, შოფერს ხელი ეშლება!

ღმერთო ჩემო! ამ ქალს ესმის, რომ გია ყვირის და რას ყვირის, ის კი არ ესმის.

უცებ ერთი ბავშვი შედგა (იმას არ ვიცი რა ერქვა), გაიას რაღაც სასიყვარულო ლექსი მიუმღერა და თავისი ანცობით მთელი მგზავრების მზიარულება გამოიწვია. აღარ მახსოვს, მე გამეცინათ თუ არა. ის კი ვიცი, რომ ბავშვებმა უცებ სიცილი შესწყვიტეს და ცქერა დაუწყეს წინ მიმავალ მანქანას, რომლიდანაც პატარა ბიჭი არასასიამოვნო ნიშნებს აძლევდა და თავმოყვარეობას უღიზიანებდა ჩემს გმირებს.

— ახ! ძია შოფერ! გავუსწროთ მათ, გენაცვალე! შენ, ეი! დაგვაცადე!

თუ დაგეგახეთ, ნახავ, შენი მანქანა სად დარჩება! — იძახდნენ გაბრაზებული ბავშვები და პატარა მუშტებს უღერებდნენ მახეზარს.

მეტის ატანა შეუძლებელი იყო. ის იყო რალაციის თქმა დავაპირე, რომ გაისმა ქალის ხმა:

— თენგიზ! მოემზადე, ჩავდივართ! (აი თურმე ამას რა ჰქვია). ავტობუსი გაჩერდა. დედამ შეილი ჩაიყვანა. გიამ ჩემოდნის გადაწოდებაში უშველა. ხელი კარებს ჩასჭიდა, ფეხები გაჩაჩხა და რის ვაი ვაგლახით გადააწოდა. კარები მოიხურა და გაისმა ბავშვის სუსტი კივილი. გია გაფითრებული იდგა. ბავშვს

ავტობუსის კარებში მოჰყოლოდა თითი. სუსტი თეთრი თითი.

შეწუხებულ ბავშვს ნატყენი დაუხილეს.

იჯდა გია თვალცრემლიანი. გაჰყურებდა გზას. მე თვალი არ მომიშორებია მისთვის. უცებ მაგრად ატირდა და ჩემდა სასიხარულოდ თქვა ის, რაც ამდენიხანია მისთვის მინდოდა მეთქვა.

— დედა! იმ ბატს ალბათ როგორ სტკიოდა ყველაფერი!

გიას გარდა ყველას გაგვეცინა. ჩვენი მანქანა კი მთელი თავისი სიღიადით მიქროდა და იძახდა:

— ყურადღება! მოვდივარ! სოხუმამდე ცოტაა დარჩა.



თანხმობის თხოვნა

მოთხოვნა ქალიშვილთათვის



ვალენტინ პეტროვიჩ პერედერკინი, სანდომიანი სახის ახალგაზრდა, ფრაკსა და წვრილცხვირიან ლაქის ფეხსაცმელებში გამოეწყო, ქუდი დაიხურა და თავადის ქალ ვერა ზაპისკინას ბინაზე გაემგზავრა.

ახ, რა სამწუხაროა, რომ თქვენ არ იცნობთ კნიაენა ვერას! იგი საყვარელი და მომხიბლავი არსებაა, აქვს წყნარი, ცისფერი თვალები და რბილი ტალღოვანი კულულები.

ტალღები ზღვისა იმსხვრევიან ფრიალო კლდეზე, მაგრამ მის თმათა ტალღებს ქვა რას დააკლებს, — დაიმსხვრევა და გაცამტვერდება. გულგრილად მხოლოდ რეგვენი თუ შეხედავს მის გალიმებს, ჩამოქნილი პატარა ტანის რხევას. ახ, რა ყუყუჩი უნდა იყო, რომ სიტკბოება ვერ იგრძნო მაშინ, როცა იგი ლაპარაკობს, კისკისებს და ქათქათა კბილებს აჩენს!

პერედერკინი მიიღეს...

იგი თავადის ქალის წინ დაჯდა და, ღელვისაგან არაქათგამოლეულმა, დაიწყო:

— კნიაენა, შეგიძლიათ მომისმინოთ?

— ო, როგორ არა!

— კნიაენა... მაპატიეთ, არ ვიცი, საიდან დავიწყო... თქვენთვის ეს ისე მოულოდნელია... ექსპრომტულია... თქვენ გაჯავრდებით...

პერედერკინი ოფლის მოსაწმენდად ჯიბიდან ცხვირსახოცს რომ იღებდა, თავადის ქალი კეთილად უღიმოდა და გაკვირვებით შესცქეროდა.

— კნიაენა! — განაგრძო მან. — რაც

თქვენ დაგინახეთ, გულში დაუძლეველი სურვილი ჩამივარდა... არც დღე მასვენებს და არც ღამე... თუ ის ვერ შევისრულე... უბედური ვიქნები.

თავადის ქალმა დაფიქრებით დახარა თავი. პერედერკინი გაჩუმდა. მერე განაგრძო:

— რა თქმა უნდა, გაგიკვირდებათ... თქვენ ყველა მიწიერზე მალა დგახართ, მაგრამ... ყველაზე უფრო მე თქვენ შემფერიით...

სიჩუმე ჩამოვარდა.

— მით უმეტეს, — ამოიხენეშა პერედერკინმა, — ჩემი მამული თქვენსას ესაზღვრება... მე მდიდარი ვარ...

— კი მაგრამ... რა გნებაეთ თქვენ? — წყნარად შეეკითხა თავადის ქალი.

— რა მინდა? კნიაენა! — გატაცებით განაგრძო პერედერკინმა და წამოდგა. — გეპუდარებით, ნუ მეტყვით უარს... ნუ ჩამიფუშავთ გეგმებს. ძვირფასო, ნება დამართეთ, ვთხოვოთ თანხმობა!

ვალენტინ პეტროვიჩი სწრაფად დაჯდა, თავადის ქალისაკენ დაიხარა და ჩასჩურჩულა:

— თქვენთვისაც ხელსაყრელია! წელიწადში მილიონ ფუთ ქონს გავყიდით! მოდი, ჩვენს მამულებში ქონის სადნობი ქარხანა ავაგოთ საერთო ხარჯზე!

თავადის ქალი ჩაფიქრდა. მერე მიუგო:

— დიდი სიამოვნებით...

მკითხველ ქალს კი, რომელიც მელოდრამატიულ დასასრულს ელოდა, შეუძლია დამწვიდღეს.

ერაგატურგი

ექიმის კაბინეტში შემოდის უღიმღამო სახის თვალმომღვრელი პიროვნება. ცხვირის ზომასა და ღრმა მელანქოლიურ გამომეტყველებაზე ვმჩნევა,

რომ ამ კაცისათვის უცხო არაა სპირტიანი სასმელები, ქრონიკული სურდო და ფილოსოფია.

ის ჯდება სავარძელში. უჩივის სუ-

ლის ზუთვას, ბოყინს, გულისწყვას, მელანქოლიასა და ცუდ პირისგემოს.

— რა ხელობისა ხართ? — ეკითხება ექიმი.

— დრამატურგი გახლავართ! — აცხადებს პიროვნება არც თუ ისე თავმდაბლად.

ექიმი პატივისცემით ეპყრობა პაციენტს და თავაზიანად უღიძობს.

— ახ, ეს ისეთი იშვიათი სპეციალობაა. — ბუზღუნებს იგი. — ისეთი ძარღვებამშლეული გონებრივი სამუშაოა!

— წარ-მოდ-გე-ნი-ლი მაქვს...

— მწერლები იშვიათი ხალხია... მათი სიცოცხლე როდი ჰგავს ჩვეულებრივი ადამიანებისას... ამიტომაც გთხოვთ ამიწეროთ თქვენი ცხოვრება, საქმიანობა, ჩვეულება, პირობები... რის ფასად გიჯდებით თქვენი მოღვაწეობა...

— კეთილი... — თანხმდება დრამატურგი. — მე, ჩემო ბატონო, ვდგები ასე თორმეტ საათზე, ზოგჯერ უფრო ადრე... ადგომისთანავე ვწევ პაპიროსს და გადავკრავ ორ ჭიქა არაყს, ხან სამს... ზოგჯერ ოთხსაც, გააჩნია, რამდენს დავლევ წინაღლით... პო... თუ არ დავლიე, თვალაბრწყვილა მემართება და თავში რაღაც მირახუნებს.

— საზოგადოდ ბევრს სევით ალბათ.

— ა-ა-რა, როგორ თუ ბერს? თუ უზმონზე ვსვამ, მე ვფიქრობ, ეს ნერვებზეა დამოკიდებული... მერე ჩაეიცვამ და მივდივარ ლოვორნოში ან სავრასენკოვთან, იქ ვსაუზმობ... მადა ცუდი მაქვს... საუზმედ ცოტას გეახლებით: კატლეტს ან ნახევარ პორცია ზუთხს, ზედ პირმუშას მივატან ხოლმე. მერე სამ-ოთხ ჭიქა არაყს გადავკრავ, მაგრამ მადა მაინც არ მომდის... ნასაუზმევს ლუდს ან ლენოს ვსვამ, ფინანსებს გააჩნია...

— მერე, მერე?

— მერე მივდივარ სადმე ლუდხანაში, იქიდან კი ისევ ლოვორნოსკენ ვაწევ ბილიარდის სათამაშოდ... ვრჩები ასე ექვს საათამდე და შემდეგ სასადილოდ მივდივარ... საძაგლად ვსადილობ... არ გჯერათ, ზოგჯერ ექვს-შვიდ ჭიქა არაყს დავლევ და მადის ნასახიცი

არა მაქვს მშურს ხალხს რომ ვუყურებ: ყველა სუბს სკამს, მე კი დასანახად მენარება და იმის მაგივრად, რომ სუპი ვქამო, ლუდს ვსვამ... სადილის შემდეგ თეატრში მივდივარ...

— ჰმ... თეატრი ალბათ გაღელვებით!

— საშინლად! მაღელვებს და მაღიზიანებს. ახლა იქ მეგობრები შემომხევევიან: დავლით და დავლითო! ერთთან არაყს დავლევ, მეორესთან ლენოს, მესამესთან — ლუდს და... მესამე მოქმედებისათვის ფეხზე ძლივს დავდგავარ... ეშმაკმა უწყის, ეს ნერვები... თეატრის შემდეგ მივდივარ სალონში ან მასკარაზე რაროდონთან... სალონს და მასკარაღს კი, თქვენც მოგეხსენებათ, თავს ადვილად ვერ დააღწევ... თუ დილას შინ გაშვლივია, იმაზეც მაღლობელი ვარ ხოლმე... ზოგჯერ მთელი კვირის განმავლობაში შინ არა ვარ...

— ჰმ... ცხოვრებას აკვირდებით?

— რა თქმა უნდა... ერთხელ ისე ამეშალა ნერვები, რომ მთელ თავს არ ვაეკარებე ვარ სახლს, საკუთარი მისამართიც კი დამავიწყდა... იძულებული ვაგზდი სამისამართო მაგიდისათვის მიმემართა... აი, როგორც ხედავთ, თითქმის ყოველდღე ასეა!

— მერედა პიესებს როდისღა სწერთ?

— პიესებს? როგორ ვითხრათ? —

დრამატურგი მხრებს იჩეჩავს. — ყველაფერი გარემოებაზეა დამოკიდებული.

— გაისარჯეთ და ამიწერეთ თქვენი მუშაობის პროცესი...

— უპირველეს ყოვლისა, ჩემო ბატონო, როცა შემთხვევით ან მეგობრის წყალობით (მე ძუნისათვის არა მცალია!) ხელში ჩამივარდება ფრანგული ან გერმანული რამ, თუკი ის ვარგა, მივუტან ჩემს დას ან სტუდენტს, რომელსაც ზუთ თუმნად ვჭირობ... ისინი მითარგმნიან, მე კი, ვესმით, რუსულ ყიღაზე გადმოვაკეთებ: უცხოური გვარების ნაცვლად რუსულს ჩავსვამ და... მორჩა... მაგრამ ძნელია! ოხ, რა ძნელია!

უღიმამო სახის თვალეზგადაკარგული პიროვნება ხუნეშის... ექიმი იწყებს ავადმყოფის გასინჯვას...

მადეა მჭედლიძე



ტაიგაში

გაიხეხება ხვალ ეს ტყეები,
ხვალ აქ სხვაგვარი მოვა მშენებმა,
ხვალ ახალგაზრდა ჩვენი ხელები,
აქ დიდ ქალაქებს გააშენებენ.

გაბრწყინდებიან აქ ჩირაღდნები,
დამავიწყდება ეს წამით დაღლა
და მეგონება: ხშირად მინახავს
ეს ქალაქები ალაზანს ვალმა...

ნუკრიანის გზაზე

აღბად აქ მოკლეს შველი ვაჟასი
და გულსაკლავად კენესოდა ნუკრი.
ალაზნის ველსაც იმ შველს ვამზგავსებ,
მზე რომ მწვერვალებს ნისლს
გადაუყრის!

და დიდი შუქი იბუდებს სულში,
როგორც არწივი კოშკის ქონგურზე,
იღუპილი და დიადი შუქი,
ფაქიზი თრთოლვა ფშავლის ჩონგურის!



თონეზე დამსხდარან პატარა
ბავშვები,
ნაზად მიღეულა ცეცხლი
ზღაპარივით,
სდუმან ბავშვები და ვარსკვლავებს
გასცქერენ

და ზღაპრულ თონეს ჰგავს თბილი ცა
აპრილის.
სდუმან ბავშვები და ვარსკვლავებს
გასცქერენ,
მათ ფეხთით გართხმულა ფერფლი და
ნაცარი.

ნანული ქაბუჩია



* *

*

ქარი, მაისის ქარი
ტოტებს სახეში მახლის,
მუხამ მომაყრდნო მხარი,
წვიმა მასველებს მალლით.

აღმა მივეყვები ყანებს,
გზაზე შემხედება წყარო,
— შენ უმზეობა გავნებს, —
მეტყვის, — პატარა ქალო...

მე უშენობაც მომკლავს,
ჩემო რქათეთრო წაბლავ,
მე გული ხელით მომაქვს, —
გამოგადგება წამლად.

შემომამაგებე ოღონდ
შენი ლელე და შუკა
ორლობეების ღამე —
დაღვრილი მთვარის შუქად.

ხევში გაქცეულ იფნებს
მისდევს ბილიკი ჩუმი,
ასე ვდგავარ და ვითმენ
სიმყუდროვეს და დუმილს.

გაყუჩებულან მთებიც,
ვაი, თუ ველარ მიცნეს,
ვაი, თუ ველარ მიცნეს,
ამ შეკრეპილი თმებით...



კოლა ბრონიონი

(კოლას ავტობიოგრაფი)

მირქმის ტაროლა

იკურთხოს წმინდა მარტენი საქმენი ჩახლართულია, ამაოა წელისწყვეტა. ცხოვრებაში საკმაოდ მიმუშავენია, მოდი და ცოტა დროც გავატაროთ.

აი, მეც ჩემს მაგიდასთან ვზივარ, ხელმარჯვნივ ხელადა ღვინო მიდგას, ხელმარცხნივ—სამელნე, წინ კი ახალი რვეული საწერად მეპატიეება.

შენი სადღეგრძელო იყოს, ჩემო ბიჭო, მოდი, ერთი ვიბაასოთ. ქვემოთ ცოლი ბუზღუნებს, გარეთ ჩრდილოეთის სუსხიანი ქარი ზუზუნებს და ომიც იმუქრება. დაე, იბობოქრონ. ეჰ! რა სიხარულია, ჩემო ჩაგოდრებულ გვრიტუნიავ, ჩვენი პირისპირ შეყრა (ეს, შენ გეუბნები, ჯიგრისფერო, ცნობის-მოყვარე და ხითხითა სიფათო, გრძელი ბურგუნდული ცხვირი ყურზე ჩამოფხატული ქუდივით რომ გაქვს დამყნილი). ერთი მითხარი, გეთაყვა, იცი, თუ როგორ სიამოვნებას განვიცდი, შენ რომ დაგინახავ? მოხუც პირისახეზე თავს რომ დავხრი, მის ნაოქებში მხიარულად რომ ვაივარ-გამოვიარ და როგორც ჰის სიღრმეში... რაო? (ჯაპნაბას ჰა) როგორც ჩემი მარნის სიღრმეში, ჩემი გულიდან ერთ ყლუბ ძველ მოგონებებს დავლევ? არა უშავს-რა, იოცნებო კაცმა, მაგრამ დასწერო ის, რასაც ოცნებობ!... რაო? ოცნებაო? რას ვროშავ? თვინიერი, დამცინავი, ნაოქებშემოვლებული თვალეები ხომ ფართოდ მაქვს გახელილი. ცარიელი ოცნება სხვებისათვის დაგვილოცავს, მე კი ვყვები იმას, რაც მინახავს, მითქვამს ან გამიყვთებია. მერე-და ეს დიდი სიგიჟე არ არის? რისთვის ვწერ? რასაკვირველია,

დიდებისათვის, არა, მაღლობა უფალს, ჩერჩეტი როდი ვარ, თავის ფასიც ვიცი... მაშ, შვილიშვილებისათვის? ჰუმ!... ათი წლის შემდეგ რაღა დარჩება ყველა ჩემი ნაჯღაბნიდან? ჩემს დედაბერს ჩემი ნაჯღაბნი ჰშურს და, რაც ხელში ჩაუვარდება, წვავს.

მაშ ვისთვის ვწერ? ეჰ! ჩემთვის. ჩვენი სიამოვნებისათვის. გულზე ვსკდები, თუ არა ვწერ. ტყვილად ხომ არა ვარ შვილიშვილი პაპაჩემისა, რომელიც მანამ ვერ დაიძინებდა, სანამ სასთუმლის ზღურბლთან არ ჩაწერდა ხელადების რაოდენობას, რომელიც დაელია და ამოენთხია. მოთხოვნილება მაქვს, ვილაპარაკო. ჩემს კლამსიში ენით პაექრობაზე ვერ ვძლები, ანგარიში მაკლია. მეფე მიდასის დალაქისა არ იყოს, რაც გამიგია, უნდა ვადმოვანთხო. ენაც ცოტათი გრძელი მაქვს. ჩემი ლაპარაკი რომ გაიგოს ვინმემ, კოცონი არ ამცდებია. ეხ, ჩემდა თავად მოხდეს, რაც მოსახდენია, კაცი რომ ყველაფერს მოერიდო, სევდისაგან გაიგულები. მიყვარს ისე, როგორც ჩვენს დიდ, თეთრ ხარებს დღისით ნაქამის საღამოთი ვადალაქა-ლუქება, მერე-და, რა კარგია შეხება, ცაცუნი, ფათური ყოველივე იმისა, რაც გიფიქრია, რასაც დაკვირვებინარ და დავიგროვებია; რა კარგია მათი გემოს ჩანისკარტება, მირთმევა, შექცევა, ენაზე დაღნობა, მოგონება და ნელა ჩახრამუნება ყოველივე იმისა, რისი მშვილად დაქაშნიკების დროც არ გქონია მაშინ, როდესაც გამალეებული სახელდახელოდ იჭერდი მას. რა კარგია, შემოუარო შენს პატარა სამყაროს და

შენს თავს უთხრა: რომ ეს ჩემია. ბატონ-პატრონი აქ მე ვარ. რომ მას ვერ აშინებს ვერც სესხი, ვერც შეფე, ვერც პაპი, ვერც ომები და ვერც ჩემი ბუზღუნა დედაბერი...

აბა ერთი ამ სამყაროს სუსხა შევადგინოთ!

პირველ რიგში მე მყავს ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემს ავლადიდებაში. ჩემივე მე, ესე იგი ჩემი თავი, კოლა ბრონიონი, ბურგინიონი, (ბურგუნდელი) ხათრიანი და დარდიმანდი ბიკი, ღიბიანი, ჩასუქებული, ჩაკურატებული, არც მთლად ქაბუჯი — ორმოცდაათ წელს გადასული, მაგრამ ჯანიანი, კარგად ჩასხმული, საღებობილიანი, ნაფოტასავით მკვირცხლოვალბიანი და კანზე ჯიგრიანად მიკრულ, ხშირ, თუმცა ცოტათი შევერცხლილთმიანი, ვერ გეტყვით, რომ არ მერჩიოს ქერა, იმაშიც გამოგიტყდებით, რომ მაინცდამაინც არ შევიპატიყებ, თუ ოცი ან ოცდაათი წლით უკან დახევას შემომთავაზებთ, მაგრამ ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ნახევარი საუკუნე დიდებული რამ არის.

იციანთ, ჯეველებო, იციანთ, ამ ასაკს ყველა როდი აღწევს. გგონიათ, რომ ეს არაფერია, შენი ტიტებო ორმოცდაათი წლის მანძილზე საფრანგეთის შარაგზებზე ასეირნო და ისიც ასეთ დროს?... ღმერთო! ჩემო ტურფავ, რამდენი მზისცხუნება და წვიმა დაგვატყდა ზურგზე! რამდენჯერ შევიბრაწეთ, გადავიბრაწეთ და გავირეცხეთ. ამ ძველ დათრიმლულ ქიშელაში რამდენი ჩაგვიწყვია დარდი და სიამოვნება, ოინბაზობა და ოხუნჯობა, გამოცდილება და სიანცე, ჩალა და თივა, ლეღვი და ყურძენი, კუხე და მწიფე ხილი, ვარდები და ასკილები, ამბები ნახული, წაკითხული, გაგონილი, შექმნილი და გადატანილი! ყველაფერი ეს ჩვენს სიანდირო ჩანთაშია დაგროვილი, არეულდარეული. ოხ! როგორი გართობაა ამ ჩანთაში ქექვა... აბა აქ შესდგე, ჩემო კოლა! ხვალ ვქექოთ, დღეს რომ დავიწყო, ვერ მოვრჩები... მოდი და ამჯერად ჩე-

მი ავლადიდების სუსხა შევადგინოთ.

მაქვს სახლი, მყავს ცოლი, ოთხი ბიჭი, ერთი ქალიშვილი, გათხოვილი (დღედება უფალს), სიმე (რა გაეწყობა, საჭიროა), თვრამეტი შვილიშვილი, ნაცრისფერი ვირი, ძაღლი, ექვსი ქათამი და ერთი ღორი.

ეპე! ბარაქალა! როგორი მდიდარი ვარ, აბა ერთი სათვალე მოვიმარჯვოთ და დაკვირვებით შევხედოთ ჩვენს საუნჯეებს. თუმცა, მართალი რომ ვითხრათ, უკანასკნელებზე მხოლოდ მოგონებისათვის ვლაპარაკობ, რადგან ომები გადავიტანეთ, ჯარისკაცებმა ჩაიარეს, მტრებმა და მეგობრებმაც... ღორი დამარილდა, ვირი, არაქათამოლეული, ოთხივე ფეხით კოკლობს, მარანი დაილია და ქათმები გაიპუტნენ, მაგრამ ცოლი მყავს. ჰაი, ჰაი, რომ ნამდვილად მყავს! ერთი უსმინეთ, როგორ ჩხავის, შეუძლებელია ჩემი ბედნიერების დავიწყება.

ის ჩემია, ჩემი, ის ტურფა ჩიტუნია, მე ვარ მისი მფლობელი. ჰა! შე ყალთაბანდო ბრონიონო! მთელი ქვეყანა შენ შემოგნატრის... ბატონებო, მხოლოდ ბრძანეთ, თუ ვინმეს გული გერჩით!...

ქალი ყაირათიანი, გამარჯელი, უშიშარი, პატიოსანი, ერთი სიტყვით, მაღლით საესე (თუმცა ეს მას არ აპურებს და მე, ცოდვილი, უნდა გამოეტყდე, რომ შვიდ მკლე მალს ერთი ფუნჩულა ცოდვა მირჩენია. ეხ! რა გაეწყობა, დავრჩეთ უცოდველი, რადგან, სხვა გზა არ არის, ასეთია ნება უფლისა. ჰაიტ! როგორ ბორგავს ჩვენი ფეთხუმი მარიკო, როგორ ძირისძირამდე ავსებს სახლს თავისი აწოწილი სხეულით და სარდაფიდან სხვენამდე იჩიჩქნება? დაძვრება, ანჩხლობს, წუწუნებს, ბუხუნებს და ბუზღუნებს, გვის მტვერსა და მყუდროებას.

თითქმის ოცდაათი წელია, რაც დავქორწილდით, ეშმაკმა იცის, რატომ. მე სხვა მიყვარდა, ის დამცინოდა, ამას მე ვუნდოდი, მე კი მასზე გული არ მიმდიოდა. იმ დროს ეგ ერთი ფერმიზილი შავგვრემანი გოგონა იყო. მისი მკაცრი

თვალეები მზად იყვნენ, ცოცხლად შევეპამეთ და ისე დავედაგეთ, როგორც ორი წვეთი წყალი რკინას დაქანგავს ზოლმე. ვუყვარდი ისეთი სიყვარულით, რომელსაც შეეძლო სამარის პირამდე მიეყვანა იგი, იმდენი მდია, იმდენი, რომ (რა ბრიყვი არიან მამაკაცები) ცოტა სიბრალულის გამო, ცოტა ზვიადობით, უფრო კი დაღლილობის გამო, ბოლოს და ბოლოს (კარგი ხერხი), მობეზრებისათვის თავი რომ დამეღწია, გავხდი (ვაის გავეყარე, უის შევეყარე) მისი ქმარი, ამ დღიდან მყავს ის, მყავს ოჯახში მადლი, და ნაზი ქმნილება ჯავრს იყრის, რაზე? იმაზე, რომ ვუყვარდი. მამბრაზებს; არა! ცდილობს გამამბრაზოს, მაგრამ ამოდ, სიმშვიდე მე მეტად მიყვარს, რომ სიტყვებისათვის თუნდაც ერთი გროშის სევდას მივეცე. როდესაც წვიმს, ხელს არ ვუშლი. დეე, იწვიმოს. როდესაც გუგუნებს, ვლულუნებს; თუ ყვირის, ვიციანი, რატომ არ უნდა იყვიროს? განზრახვა როდი მაქვს, ყვირილი დავეშალო, მისი სიკვდილი როდი მინდა, სადაც ქალია, მყუდროება ქარია. დაე, იგალობოს, მე ჩემს სიმღერას ვიტყვი. რატომ ვერ ბედავს, ჩარბები დამიმუწოს? (იცის, ძვირი დაუჯდება და მეტად ერიდება ამას). მისას ხომ შეუძლია პიკტიკი... ყველას თავისი მუსიკა აქვს.

ერთი სიტყვით, ჩვენი ჩონგურები შეწყობილია თუ არა, ჩვენ მაინც საკმაოდ საამური ნაწყვეტები შევასრულეთ; ერთი ქალიშვილი და ოთხი ვაჟკაცი, ყველანი ბრგე და ტანადი; ამისათვის არც ქსოვილი დამიზოგავს და არც ხელობა დამიკლია, თუმცა ამ გამონაჩეკში ერთადერთი, სადაც ჩემს თესლს ვცნობ, არის ჩემი შატრბაზი, ჩემი ოინბაზი მარტინა. რამდენი ჰაპანწყვეტა გადამხდა, სანამ ის ქორწინების ნავსადგურს უხიფათოდ მიადგებოდა. უჰ! აი ისიც დამშვიდებულნი!... არა ძალიან კი არ უნდა დაენდოთ, მაგრამ ეს უკვე ჩემი საქმე არ არის. მარტინამ საკმაოდ პატეზინა ღამეები. მაღუნცულა და მატუნცულა; ახლა ალავერდი ჩემს სიძეს-

თან, მისი ჯერია — ჩემი სიძის, ფლორიმონ მეფუნთუშისა, ვწმან ვუთვალთვალს თავის თონეს. *მეზღოროთქანა*

ყოველ ნახვზე მე და მარტინა ერთი ბასტი-ბუბუს აეტებთ ხოლმე, მაგრამ არავისთან ვართ ისე შემბატკბილებული, როგორც ერთმანეთთან. ვოგო ყოჩალი, თავის სიანცეშიც კი ფრთხილი და პატიოსანი, ოლონდ პატიოსნებამ იციონოს, ვინაიდან მარტინასათვის ყველაზე დიდი ზადია ის, რაც ადამიანს ადარდებს.

მას ჯადის არ ეშინია. ჯაფა ბრძოლაა, ბრძოლა კი სიამოვნებაა და მას უყვარს ცხოვრება, იცის, თუ რა არის კარგი, ისე როგორც მე, ის ჩემი სისხლია, მხოლოდ მის გაკეთებაში ვყოფილვარ მეტად გულუხვი. ბიჭები კი ეგრე კარგი ვერ გამოივიდნენ, დედამ თავისი საფუარი გაურია და ცომიც დამეკადა.

ოთხიდან ორი მოწმინდანოა, როგორც მათი დედა, და ისიც ერთმანეთის საწინააღმდეგო მოწმინდანეობის. ერთი გადაკიდებია შევანაფორიანებს, ხუცებს, ღვთისმსახურ ბალღინჯოებს და მეორე კი ჰუგენოტია. ვერ გამოიგია, თუ როგორ გამოეჩეკე ასეთი ბეიტები. მესამე ჯარისკაცია, ომობს, ღმერთმა იცის, თუ სად დაწაწალებს; რაც შეეხება მეოთხეს, ის არაფერია, არარაა, ერთი პატარა მეწვრილმანე, უმნიშვნელო სხვისი ფეხის ამყოლი. მის მოგონებაზე მამთქნარებს ხოლმე. ჩემს ჯილაგს მხოლოდ მაშინ ვცნობ, როდესაც დანა-ჩანგალი მომარჯვებული ექვსივე მაგიდას შემოვეუსხდებით, სუფრაზე არც ერთს არ გვძინავს, ყველანი შემბატკბილებული ვართ, მართლდაც საამური სანახაობაა და არაფერი სჯობს იმის ცქერას, თუ როგორ ვამოძრავებთ სახრამუნებელ მანქანებს, როგორ ჯიგრიანად ვილუქმებით და ლოთიანად გადაუქახებთ ხოლმე ნუნუას წიაღსა შინა სტომაქისასა.

მოდრავ ქონებას თავი გავანებოთ, ახლა სახლზე გადავიდეთ, ესეც ჩემი ქალიშვილია, ჩემი ხელით აშენებული,

აგური აგურზე თვითონვე დამიდგია, არათუ ერთხელ, სამჯერ ამიშენებია. ზანტი, ბინძური, მწვანე, ბალახებითა და ნეხვით უხვად ნაკვები ბოვრონის პირად. გარეუბნის შემოსავლითან, ხიდს გაღმა ჩაცუცქულა ეს დაბალფეხა ფინია, რომლის მუცელს წყალი ასველებს. ხუსტად მის პირდაპირ აღმართულან მდმალალი, პაეროვანი, ჩიხორამოქარგული წმინდა მარტენის კოშკი და ყვაფილებით ჩაჩქურთმებული პორტალი, რომლისკენაც, ისე როგორც სამოთხისაკენ, ძველი რომის შავი და ციცაბო საფეხურები მიიმართება. ჩემი ხელა, ჩემი ხეხულა გალაგანს გარეთ არის მოქცეული. ასე რომ, როდესაც კოშკიდან ბარში მტერს შენიშნავენ, ქალაქი გალაგანის კარებს კეტავს და მტერი მე შესტუმრება ხოლმე. მიუხედავად, იმისა, რომ მუსიაფი ძალიან მიყვარს, ასეთი სტუმრები არაფერში მეპიტნავენბიან და მეც უმეტეს შემთხვევაში სახლს ვტოვებ და გასაღებს კარების ქვეშ ვდებ, მაგრამ დაბრუნებისას არც კარია და არც გასაღები, ოთხი კედელი... და... ხელახლად ვაშენებ.

მეუბნებთან:

— გამოთავყანებულო! მტრისათვის მუშაობ, დაეხსენი მაგ თხუნელას, სოროს და გალაგანის კედელს შემოაფარე თავი, უშიშრად იქნები.

გუპასუხებ:

— ღმერთო ჩემო! კარგად ვარ, სადაცა ვარ. რა თქმა უნდა, სქელი კედლის უკან რას დავინახავ? კედელს. სეფდისაგან ჩამოვხმები. მე მინდა სილალე, მინდა, თუ ხოში მაქვს, ბოვრონის პირად წამოიწვე, და თუ ბალში არ ვმუშაობ, მშვიდად უმზირო წყალზე ამოხატულ ათინათებს, მის ზედაპირზე თევზების ბოყინით გამოწვეულ ბუშტულებს, წვერიან ბალახებს, წყლის სიღრმეში რომ ირხევიან, მინდა ანკესით ვითევზაო, იქ ჩემი ძონქები ვრეცხო და ღამის ჭოთან დავცალო.

არა, გეთაყვათ, ავად თუ კარგად, ნიდაგ აქა ვყოფილვარ, გამოცვლა გვიანაა, რაც მომსვლია, იმაზე ცუდი არა

მომივა რა. მეუბნებით: სახლს კიდევ დაგინგრევნო. შესაძლებელია, და... მე... რა? ხალხნო! მე ხომ ვარ... ვარ... მუდამამო რამ გავაშენო, მაგრამ სადაც ფესვი გამიდგამს, იქიდან ჩემი აღმოფხვრა, ჰაი დედასა, ადვილი როდია. სახლი-ორჯერ გამიშენებია, გავაშენებ ათჯერ, იმიტომ კი არა, რომ ეს მართობს, არამედ ათჯერ მეტს შევწუხდები, ადვილი რომ გამოცვალო, გატყაყებულ სხეულს, დავემსგავსები. სხვა სახლს მთავაზობთ? უფრო მშვენიერს, უფრო კარგს, უფრო ახალს? მე ის მომიხდება, როგორც ვირს უნავირი, ანდა თვითონვე დავანგრევ.

არა, გეთაყვა, ჩემი მირჩევნია, ჩემი.

— აბა გადავთვალთ: ცოლი, შვილები და სახლი. განა მთელი ჩემი ჭონება ჩამოვთვალე? არა! დამჩნა უკანასკნელი, ყველაზე უკეთესი, ის ყელის ჩასატკბარუნებლად შემოვინახე, დამჩნა ჩემი ხელობა. მე წმინდა ანას ამქარს ვეკუთვნი, ღურგალი ვარ. დაკრძალვებისა და პროცესიების დროს მე მიმაქვს კვერთხი, შემკული კომპასიანი ქნართი, რომელზედაც ქრისტეს ბეზია კითხვას ასწავლის თავის პაწაწინა ქალიშვილს, ცეროდენა გოგონა, კურთხეულ მარიაშს. მე ჩემს დაზგასთან ვდგავარ, ცულობთა და შალაშინით შეიარაღებული, კორძებიანი მუხის და გულკრიალა კაცლის მეფე ვარ. რას გავაკეთებ მათგან? დამოკიდებულია ჩემს ხოშზე... და მუშტრების ფულზე. რამდენ მიჩქმალულსა და მიმაღულ ფორმას სძინავს ამ ხეებში. რომ მზეთუნახავი გააღვიძოთ, საჭიროა, მისი შეყვარებულის მსგავსად, ხის სიღრმეში შეიკრათ. სილამაზე, რომელსაც შალაშინის ქვეშ ვპოულობ, პრანჭია როდია. იტალიელ ხელოვანთა რომელი-მე უმკერდო, უუკანალო და კაფანდარა დიანას მირჩევნია ბურგუნდიელი ავეჯი, ბრინჯაოსფერმოდებული, მკვრივი, დოვლათიანი, როგორც ნაყოფით დამძიმებული ვაზი ან მშვენიერი მუცელ-გამობერილი ზანდუკი ანდა კიდევ ოსტატ ჰიუგ საბენის მკაცრ ფანტაზიაში მოჩქურთმებული კარადა. მე ლირსით

და ჩუქურთმებით ემოსავ სახლებს. ვმლი ზრახნილი კიბეების რგოლებს და შპალერებზე ამოხატული ვაშლების მსგავსად კედლებიდან მძიმე და განიერი ავეჯი გამოამყავს, გაკეთებული ზუსტად იმ ადგილისათვის, სადაც დამიდგამს. მაგრამ ჩემი ყველაზე საამო მანა არის ფურცელზე გადატანა ყოველივე იმისა, რაც ჩემს ფანტაზიაში იცინის. რომელიმე მოძრაობა, ეესტი, ზურგი, რომელიც იზნიქება, მსუქანი ყელი, აყვავებული ხვია, გირლანდა, გროტესკი ანდა რომელიმე გამველელის სიფათი, რომელსაც სახელდახელოდ დავიჭერ და ჩემს დაფაზე მივაკრავ ხოლმე. მონრეალის ეკლესიის საგალობლის საჯდომებზე მე ამოვაქანდაკე, ჩემი და კიურეს სანეტაროდ (ეს ჩემი შედეგია), სუფრაზე ხელადასთან მიმჯდარი ორი ქალაქელი, ღზინში მზიარულად ქიქებს რომ ერთმანეთს უქახუნებენ, და ორი ღომი, ძვლისათვის ღრენით რომ ჩხუბობენ.

იმუშაო და გადაკრა, გადაკრა და იმუშაო — რა საამური ცხოვრებაა... ჩემს ირგვლივ უხაიკი ხალხი ჯუჯღუნებს. მეუბნებიან: შენც რაღა სიმღერი-სათვის მოგიცლიაო, ამჟამად ახირებული დროება არისო... არა, ვეთაყვა, არ არსებობს ახირებული დროება, არიან მხოლოდ ახირებული ადამიანები. მადლობა უფალს, იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი. ერთმანეთის ძარცვა? ერთიმეორის ქლეტა? ყოველთვის ასე ყოფილა, მუდამყამს ასე იქნება. თავი წამუერით, თუ ოთხასი წლის შემდეგ ჩვენი შთამომავალნი ისეთივე გააფთრებული არ იქნებიან, ერთმანეთი თმებით ათრიონ და ერთიმეორეს ცხვირები დაჭამონ, როგორც ჩვენ. იმას კი არ ვამბობ. რომ მათ ორმოციოდე ახალი საშუალება არ ექნებათ, რომ ეს ჩვენზე უკეთ მოიმოქმედონ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ სმის ახალ ილეთს ვერ მოიგონებენ, აბა, თუ ბიჭებია, ჩემზე უკეთ დალიონ... თანაც, ვინ იცის, თუ რას მოიმოქმედებენ ეს არამზადები ოთხასი წლის შემდეგ? შესაძლებელია, მედონის კიურეს ბალახის,

საოცარ პანტაგრუელონის წყალობით მთვარის სამყაროს, მესხის სანქლასნოს ან წვიმების სათავანს უწყვიონ, ჩეცაში დაბინავდნენ და ღმერთებთან ილოთონ... კეთილი, მეც მათთან ერთად წავალ. განა ისინი, ჩემი ხორცი და ნაშიერი არ არიან? იმრავლეთ, ჩემო ლამაზებო. მაგრამ ჩემი დრო უფრო სარწმუნოა. აბა ვინ მეტყვის, რომ ოთხი საუკუნის შემდეგ ღვინო ისევე კარგი იქნება, როგორც დღეს?

ქეიფი მეტად გიყვარსო, მაყვედრის ცოლი. მე არაფერს ვწუნობ, მიყვარს ყველაფერი, რაც კარგია, მიყვარს კარგი პურმარილი, კარგი ღვინო და უხვად ხორცშესმული, ნაზკანიანი, ხავერდოვანი და ჩაქვირითებული... ნეტარება, რომლითაც ოცნებაში სტკებები. ოცნება! ღვთიური უსაქმურობა, სადაც ამდენს საქმიანობ (ხარ სამყაროს მბრძანებელი, გესმის ბალახების ზრდა, ესაუბრები ხეებს, ცხოველებს და ღმერთებს). შენც მიყვარხარ, ჩემო ძველო თანამზავრო, შენ, რომლისთვისაც დალატი უცხოა, ჩემო მეგობარო, ჩემო აქატო, ჩემო შრომავ!... რა საამურია იარაღით ხელში დაზვასთან დგომა, გამოხარატება, შემოქრა, გამოთლა, ვალესვა, რანდვა. ქლიბვა, ხერხვა, ქექვა მშვენიერი და მკვრივი მასალისა, რომელიც ჯერ ურჩობს და შემდეგ ქედს იხრის, ნაზი და მსუქანი კაკლის ხისა, რომელიც ჩემი მარჯვენის ქვეშ ფერიას ტანივით თრთის, ყველა. ცულით სამოსელშემოძარცული, ჩვენი ტყეების ნიმფების ვარდისფერი, ქერა, შავგვრემანი და ოქროსფერი სხეულებისა, ღზენა ზუსტი ხელისა, გონიერი და მსუქანი თითებისა, რომელნიც ქმნიან ხელოვნების ფაფუკ ნიმუშებს, ღზენა გონებისა, რომელიც ბრძანებლობს მიწიერ ძალებზე და რომელიც ასახავს ხეზე, რკინაზე ან კიდევ ქვაზე თავისი კეთილშობილი ფანტაზიის დალაგებულ ყინს. ქიმერათა სამეფოს მბრძანებლად ვგრძნობ თავს. ჩემი მინდორი თავის ხორცს მაჭმევს და ვენახი თავის სისხლს მასმევს. შანარის სულები ჩემი ხელოვნებისათვის

ზრდიან, ასუქებენ, აგრძელებენ და აკრიალბენ ხეების ტანის მშვენიერ ნაწილებს, რომელთაც ვეაღერებები. ჩემი ხელები მორჩილი მუშებია, რომლითაც ხელმძღვანელობს ჩემი პირველი თანაშემწე — ჩემი მოხუცი ტვინი, რომელიც მემორჩილება რა, ჩემი ოცნებისათვის სასიამოვნო ტაშფანდურას მართავს. განა ოდესმე ვინმე ყოფილა ჩემზე უკეთ მომსახურებული? ხომ მაქვს უფლება, ჩემი სადღეგრძელო დავლიო, ისე როგორც (უმაღური როდი ვარ) სადღეგრძელო ჩემი ყოჩაღი ქვეშევრდომებისა? კურთხეულ იყოს ამქვეყნად ჩემი გაჩენის დღე. რამდენი რამ არის თვალწარმტაცი, საამური და ტკბილი ამ მრგვალ მანქანაზე. ღმერთო დიდებულო! რა საამურია ცხოვრება! რამდენიც არ უნდა ჩაცეცხლო, მაინც მშია, შიმშილისაგან დუქი მდის. უთუოდ ავადაც ვარ. რა დროც არ უნდა იყოს, მიწისა და მზის მიერ გაშლილ სუფრის დანახვაზე პირში ნერწყვი მომდის...

მაგრამ, ძმობილო, მგონი წავიტარაბახე, მზე ჩასვენებულია, ჩემს სამყაროში ყინავს. სათოკე ზამთარი ოთახში შემოპარულა. გათოშელ თითებში კალამი ბორძიკობს. უფალმა შემიწყალოს, კიქას ყინული ედება და ცხვირი გამფითრებია. წყეული ფერი, სასაფლაოს საშოსელის მსგავსი. მეზიზღება ფერი მკრთალი. ჰეი! რეკენ და გუგუნებენ წმინდა მარტენის ზარები. დღეს მირქ-

მაა... „ზამთარი ან სულს დაფავს ან ლონიერდება“... ავაზაკი ლონიერდება. კეთილი, შოდი, მივბაძოთ, დიდ შარავნაზე ვავიდეთ და პირისპირ შეგხედეთ... დიდებული სიცივე, ასიოდე ნემსი ლოყებს მჩხველტს, ქუჩის მისახვევში ჩასაფრებული ქარი დაწვებში მწვდება. გაეტბი, ვიწვი. იდიდოს უფალი, ადამიანის ფერი დამედო... მიყვარს ფეხქვეშ გამაგრებული მიწის ჭრიალი, თავს ჰაბუკად ვგრძნობ. რა ჩემი ცოდვა დაემართა ამ ხალხს, როგორი საბრალო და აბრუნული იერი აქვთ?

„აბა, აბა მხიარულად, მხიარულად, ტურფა მეზობელო, ვიზე ხართ გაჯავრებული? ამ ცუდლურ ქარზე, რომელიც კაბის კალთებს გიწევთ? კარგს შერება, ჰაბუკია. რატომ მეც ჯეელი არა ვარ? კარგ ადგილს კბენს ეგ სალახანა, კარგ ადგილს. იცნობს მსუნავი გემრიელ ლუქმას. მოთმინება, ნათლიდედავ, ყველამ უნდა იცხოვროს, მაში.. კი, მაგრამ სად ვარბიხარ ასე დაოთხებული, თითქოს უკანალზე ეშმაკი მოგკიდებოდეთ? წირვაზე? ვადიდოთ უფალი, ის ყოველთვის მოერევა ტარტაროსს. ვინც ტირის, იციენებს, გაყინული გათბება... კეთილი, თქვენ უკვე იცინით? მაშ ყველაფერი რიგზეა. სად გავარბივარ? როგორც თქვენ, წირვაზე, მაგრამ ხუცებისა კი არა, მინდვრების წირვაზე.

თარგმანი ფრანგულიდან
გიორგი გიგაულიანი.



ჭარისკაცი ღაბრუნდა შინ

კრებსი კანხასის მეთოდისტთა კოლეჯიდან წაყიდა ომში. იქაურ ამხანაგებთან სურათიც გადაიღო. სურათში საყვლოები ყველას ერთნაირი აქვთ.

ყმაწვილი საზღვაო ფლოტში ჩაირიცხა 1917 წელს და სამშობლოში მხოლოდ მაშინ დაბრუნდა, როდესაც მეორე დღეზია რაინიდან გამოიძახეს. ეს 1919 წლის ზაფხულზე მოხდა.

რაინზეც გადაიღო სურათი ორ გერმანელ ქალიშვილთან და ამერიკელ კაპრალთან ერთად. კრებსსა და იმ კაპრალს ვიწრო მუნდირები აცვიათ. გერმანელი ვოკონები არ არიან ლამაზები. რაინი არ მოჩანს.

როდესაც კრებსი მშობელ ქალაქში დაბრუნდა, ოკლამოში გმირებით ვატაცება უკვე მობეზრებული ჰქონდათ. ჯარისკაცს ჩამოსვლა დაუგვიანდა. თავის დროზე კრებსის თანამოქალაქეთ დიდი პატივით შეხვდნენ: ხალხი ზეიმობდა, საღამო საღამოზე იმართებოდა, წვეულება წვეულებას მოსდევდა: ბოლოს იჯერეს გული და დაშოშმინდნენ. სასაცილო არ იყო განა, რომ კრებსი დაბრუნდა ასე გვიან, როდესაც ომი უკვე კარგა ხნის დამთავრებული იყო.

კრებსს ბევრ ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა. იყო მელოსთან, სუასონში, შამპანში, სენტ-მიშელსა და არგონის ტყეში. თავდაპირველად, ოკლამოში რომ ჩამოვიდა, დუმდა. ომზე ხმას არ იღებდა, მერე, თითქოს გულში ვიდაცამ უბიძგა, მოუნდა ლაპარაკი, განცდილის მოყოლა, მაგრამ ყურს აღარაღიან უგდებდა; მის თანამემამულეთ ომზე იმდენი საშინელება მოესმინათ, რომ ნამდვილად განცდილი ჟრუანტელს უკვე აღარ ჰგერიდათ. ბოლოს მიხვდა კრებსი, თუ ვინდა მოვისმინონ, ტყუილი უნდა

სთქვა. ერთხელ თუ ორჯერ ესეც სცადა, მაგრამ ახლა თვითონ შეეკრა კრიკა: ბრძოლაში გატარებული წლები, ყოველივე, რაც იქ შეემთხვა, შესჭულდა, იმიტომ რომ ხალხს მართალი აღარ სჯეროდა და მხოლოდ ტყუილს უსმენდა სულგანაბული. სადღაა ის დრო, როდესაც ნათელი გულით იხდიდა ვალს და ეს ადამიანის წმინდა მოვალეობად მიიჩნდა? როდესაც ხელებში თითქოს ცეცხლი ეკიდა? მაშინ ყოველივე უადვილდებოდა, ყოველივეს ძალდაუტანებლად ასრულებდა, რადგან სჯეროდა. სჯეროდა ისიც, რომ ათჯერ, ასჯერ მეტსაც გააკეთებდა. ახლა კი — დიდი ხანია ამან დაკარგა გამაცოცხლებელი სურნელი და ტაქრა სამუდამოდ.

მისი ტყუილი ბავშვის ტიტინივით მიამიტური იყო. ხშირად მიაწერდა თავის ისეთ მოქმედებას, რომელიც სხვას ჩაუდენია ან სადღაც თვითონ უნახავს, ან სხვისაგან გაუგონია; ხან ნამდვილ ამბად აცხადებდა საყოველთაოდ ცნობილ „სასწაულს“, რომლითაც ჩვეულებრივ ყოველი ჯარისკაცი ტრაბახობს. მაგრამ მისი ტყუილიც აღარ ახდენდა სენსაციას საბილიარდოში. მის ნაცნობებს, რომელთაც მრავალჯერ დაწერილებით მონუსენიან არგონის ტყეში ჰქვემხზე მიჯაქვეული, შიმველი გერმანელი ქალეზის ამბავი, როდი-და აინტერესებდათ თავისუფლად მოსიარულე ქვემების მსროლელნი.

მობეზრდა კრებსს მოგონება, მობეზრდა განზვიადებაც. ახლა, როდესაც მოსაწევი ოთახში ჯარისკაცებს გადაეყრებოდა, უმაღლე გულს მოეშვებოდა — თანამომძეთა შორის კვლავ კაცად გრძნობდა თავს. მათ ზომ კარგად იცოდნენ, რომ ფრონტზე მხოლოდ ერთ რა-

მეს გრძნობს ადამიანი: შიშს — გაუყუჩებელს, საზარელს, გულისამაზრზენს.

ზაფხული იწურებოდა.

დილაობით კრებსი გვიან დგებოდა, ისაუზმებდა და მშვიდად გაპყვებოდა ქალაქის ქუჩას. ხანდახან ბიბლიოთეკაში შეივლიდა წიგნის ასაღებად; შინ მოზრუნებული, იქვე კარის წინ ჩამოჯდებოდა და კითხულობდა, მერე კვლავ ქალაქში გაისეირნებდა. პაპანაქება სიცხეში საბილიარდოს გრძელ თალებს მიაშურებდა. უყვარდა ბილიარდის თამაში.

სალამობით კლარენტზე დაკვრით ირთობდა თავს. კვლავ ქალაქში სეირნობდა, კვლავ კითხულობდა და იძინებდა, გმირად მას მხოლოდ ორი უმცროსი დაიკოდა თვლიდა. მეორე დედაც ასე ფიქრობდა: შვილს რომ ეთქვა, საუზმეს ლოგინში მოართმევდა, ხშირად შემოდინოდა მასთან, საწოლზე ჩამოუჯდებოდა და შეეხვეწებოდა — ომზე მომიყვით; მაგრამ ნაამბობს გულის-ყურს ვერ უდებდა, ფიქრები ეფანტებოდა, იქნებ არც ესმოდა.

მაპამისი კუშტი კაცი იყო, ენაძვირი.

ომში წასვლამდე მამას კრებისსათვის მანქანა არ უთხოვებია. იგი უძრავი ქონების გამსაღებელ აგენტად მუშაობდა და მანქანა ყოველ წამს სჭირდებოდა — მიწის ნაკვეთების საჩვენებლად კლიენტები უნდა ეტარებინა. ეს მანქანა მუდამ ეროვნული ბანკის წინ იდგა, რადგან მამის კანტორა იმავე შენობის მეორე სართულზე იყო. დამთავრდა ომი. მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ მამას ის მანქანა ყავდა ისევ.

ქალაქში არაფერი შეცვლილა, გოგონები წამოიზარდნენ მხოლოდ. ლამაზიც ბევრი იყო, ეშხიანიც, მაგრამ თითოეულს თითქოს სიყრმის მეგობრობის, ხანგრძლივი ამხანაგობისა და წუთიერი მტრობის გაღავანი ეკრა გარს. რთული იყო მიღმა სამყარო. კრებსს არც ძალა შესწევდა; არც სითამამე, გაერღვია გაღავანი, შიგ შეჭრილიყო. მაინც სიამოვნებდა ქალიშვილების დანახვა. უმრავლესობას ძალიან მოკლედ შეეჭრა

თმა. ვიდრე ომში წავიდოდა ასე შეკოვილი მხოლოდ სულ პატარა გოგონები დადიოდნენ ან ზოგიერთი უფროსი ამაში და ანცი ქალიშვილები. გოგონებს ჯემპრები ეცვათ, რომლის ქვემოდან ბლუზის მრგვალი საყელო მოუჩანდათ, ასეთი იყო მოდა.

როცა სახლის წინ იჯდა, სიამოვნებით აღევნებდა თვალს ქალიშვილებს, ქუჩის გადაღმა, ხეების ჩრდილში რომ დასეირნობდნენ. მოსწონდა მათი უდარდელი გოგმანი, ბიჭურად შეკრევილი თმა; მოსწონდა მრგვალი საყელოებიც — ჯემპრის ზემოდან გადმოფენილი; მოსწონდა აბრეშუმის წინდები, ვიწრო უქუსლო ფეხსაცმელები.

მაგრამ ქუჩებში ხეტიალისას გოგონები ასე ძალიან აღარ იზიდავდნენ; აღარც მაშინ მოსწონდა ისინი, როდესაც ბერძენის საკონდიტროში ან სანაყინეში მოკრავდა თვალს. არ სჭირდებოდა არც ერთი. მათი სამყარო მეტად რთული იყო. იქნებ სადღაც, გულის სიღრმეში, უნდოდა კიდევ, ქალი რომ ჰყოლოდა. მაგრამ ბრძოლის თავი არ ჰქონდა; არ სურდა არსიყობაზე დაეხარჯა დრო, მის ზელში ჩასაგდებად კვლავ ეშმაკობისათვის მიემართა, კვლავ ახალი ტყუილი მოგონებინა, არ ღირდა. არც ის უნდოდა, ვინმესთვის სიტყვა მიეცა, პირობა დაედო, მის შესრულებაზე ეფიქრა, ვინმე გადაჰკიდებოდა. თავის შებოჭვა არ სურდა და მართალი რომ ეთქვათ, არც ისე სჭირდებოდა ქალი. ჯარში ამასაც შეეჩვია. რა თქმა უნდა, ჯარში თითოეული ჯარისკაცი ტრახახობს უქალოდ სიცოცხლე არ შემოძლიაო. მაგრამ ეს არაა მართალი. იქ რომ ხარ, ქალი სულაც არ გჭირდება. სეირ: ისაა სწორედ. სულ ნორჩებს იმით მოაქვთ თავი — გოგონები რად გვინდა, არც გვადლევენ და არც გვინტერესებენ; მოწიფულნი კი, პირიქით, იმას იკვებინ — უქალებოდ ერთი ღამეც არ დაგვეძინებო.

სულ ტყუილია. ტყუილია ერთიც და მეორეც. იქ არ გჭირდება ქალი, თუ თვითონვე არ გაგახსენა თავი. ესეც რომ



არ იყოს, ადრე თუ გვიან ვისმე იშოვნე. კაცს თუ დრო დაუდგა, მუდამ შოულობს ქალს. რაზე უნდა იტყვოს თავი! მაინც იქნება... ადრე თუ გვიან ეს ჭეშმარიტება ჯარში შეივსო.

ქალზე ახლაც არ იტყოდა უარს; თვითონვე თუ მოვიდოდა და ბევრ ლაპარაკს არ გაუბამდა. მაგრამ აქ, შინ, ყოველივე მეტად გართულდა. თავად იცის, რომ ამდენი ლოლიაგის თავი აღარა აქვს. არ ღირს წვალეზად. აი, რითი სჯობდნენ ფრანგი და გერმანელი გოგონები. მათთან ადვილი იყო მორიგება. ჯერ-ერთი, ვერც შენ ლაპარაკობდი ბევრს და არც გვეჭირდებოდა ჩიჩინი. ყოველივე უბრალოდ ხდებოდა: გაიცნობდი, დამეგობრდებოდით, მარტოდარჩებოდით. ჯერ საფრანგეთი გაახსენდა, მერე გერმანიაზე დაიწყო ფიქრი. რომ ვთქვათ, გერმანია უფრო მოსწონს. აღარც კი უნდოდა იქიდან წამოსვლა, შინ დაბრუნება. მაინც დაბრუნდა. აგერ ახლაც კარის წინ ჩამომჯდარა, მზეზე თბება.

მოსწონს. გოგონები ქუჩის გადაღმა რომ მოგოგმანებენ. შესახედავად უფრო ლამაზებიც არიან, ვიდრე ფრანგები ან გერმანელები. სწორედ ასეთი ქალები იზიდავდა, აღლუვებდა მუდამ. ოღონდ მათი სამყარო უცხოა მისთვის, მეტად რთული, გაუგებარი. ახლაც სიამოვნებით იყოლიებდა ერთ-ერთ მათგანს, მაგრამ არ ღირს, ლაპარაკის თავი არა აქვს. მათი ყურება სიამოვნებს, მაგრამ არც ერთზე არ გიყვება. არ ღირს თავის ტეხად.

აგერ პარმალზე ჩამომჯდარა, წიგნს კითხულობს ომის შესახებ, ეს მისი ომის ისტორიაა და მან უკვე გადაიკითხა აღწერა ყველა იმ ბრძოლისა, რომლებშიც თვითონ მიუღია მონაწილეობა. ეს წიგნი ყველაზე საინტერესოა, რაც კი ოდესმე წაუკითხავს, ერთ რამეზე სწყყდება მხოლოდ გული — შიგ ცოტაა რუკა. მომავალში უეჭველად სიამოვნებით წაიკითხავს ახალ გამოცემას კარგი, დეტალური რუკებით რომ გამოქვეყნდება. მხოლოდ ახლა სწავლობს ომს,

თავის ომს. მიხვდა ბევრ რამეს; თურმე კარგი ჯარისკაცი ყოფილა. *გეზული მთა*

კრებსის ჩამოსვლიდან ერთი თვე გავიდა. ერთ დღიას მის ოთახში დედა შემოვიდა, საწოლზე ჩამოჯდა. მოკეცილი წინსაფარი გაისწორა.

— წუხელ მამაშენს ველაპარაკე, პაროლდ, — თქვა მან. — გინდა სალამოობით წაიყვანე მანქანა, ის თანახმაა.

— ნუთუ მართლა? — მძინარე ხმით წაიბურტყუნა კრებსმა, ჯერ კიდევ კარგად არ გამოფხიზლებულიყო, — სალამოობით შეიძლება მანქანა წაიყვანო?

— კი, გენაცვალე, ეტყობა, კარგა ხანია მიხვდა ამას, მაგრამ მხოლოდ წუხელის მითხრა.

— თავსა ვდებ, რომ ეგ შენ შთაგონე, დედა, — შენიშნა კრებსმა.

— არა, თვითონ დამიწყო ლაპარაკი.

— ასე იყოს. მაგრამ, ვფიქრობ, მაინც შენ დაიყოლიე, — თქვა კრებსმა და ლოგინში წამოჯდა.

— საუბრეზე ძირს ჩამოხვალ, პაროლდ? — შეეკითხა დედა.

— ამ წამს ჩავიცვამ და იქ გავჩნდები, — მიუგო კრებსმა.

დედა ოთახიდან გავიდა, ვიდრე ვაჟი სასადილო ოთახში ჩასასვლელად ემზადებოდა — პირს იბანდა, იპარსავდა და იცვამდა, — ქვევიდან შიშინის ხმა ისმოდა, ეტყობა, დედა რაღაცას წვავდა.

როდესაც საუბრეს მიუჯდა, დაიკომ დილის ფოსტა შემოუტანა.

— ჰელო, პარი! — მიესალმა მძას. — შე ძილისგუდა, შენა. ნეტავ რიღასთვის დგები, ღირს თუ?! კრებსმა დას გადახვდა. ეს დაიკო ყველაზე ძალიან უყვარდა.

— გაზეთი მოიტანე? — შეეკითხა.

გოგონამ უმაღლეს „კანზას-სიტი-სტარი“ გაუწოდა. კრებსმა ყავისფერი სახვევი შემოახია და სარჩევში სპორტის ფურცელი მონახა. გაზეთი გამალა, წყლის სურას მიაყრდნო და ფაფით საცხე თეფში მიადგა, რომ არ მოკეცილიყო. ჰამდა და კითხულობდა.

— ჰაროლდ, — სამზარეულოს კარებში დედა გამოჩნდა. — ჰაროლდ, გეთაყვა, ეგ ვაზეთი არ მოკეცო, დაქმუქნილს მამაშენი ვერ კითხულობს.

— არ დავეცავ, დედი, — თქვა კრებსმა.

დაიკო მაგიდასთან იჯდა და თვალს ადევნებდა ძმას.

— ნაშუადღევს სკოლაში ბეისბოლს ვითამაშებთ, — თქვა მან. — ბურთს მე ვაწოდებ.

ჩინებულია, — მოუწონა კრებსმა, — სხვა მოთამაშენი როგორი არიან?

— ბურთის მოწოდებაში ბევრ ბიჭს ვჯობნი. შენ როგორც მასწავლე, სულ ისე ვაწოდებ, გოგო კი არც ერთი არ ვარგა.

— ნუთუ მართლა? — ხმა ვასცა კრებსმა.

— ყველას ვეუბნები შენზე — ჩემი თაყვანისმცემელია-მეთქი, ხომ ხარ ჩემი თაყვანისმცემელი. ჰარი?

— რა თქმა უნდა.

— მითხარი, განა არ შეიძლება ძმა დის თაყვანისმცემელი იყოს, ჰარი?

— არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცი? მე რომ ახლა დიდი ვიყო, ხომ იქნებოდი ჩემი თაყვანისმცემელი?

— რა თქმა უნდა, მე ახლაც ვარ შენი თაყვანისმცემელი.

— მაშ, გიყვარვარ?

— რა თქმა უნდა.

— მუდამ გეყვარები?

— რა თქმა უნდა.

— მაშ, მოდი და მიყურე, დღეს როგორ ვითამაშებ. კარგი?

— ვნახოთ.

— არა, არა, არ გიყვარვარ. რომ გიყვარდე, მოხვიდოდი კიდეც.

სამზარეულოდან დედამ თეთვით ერბო-კვერცხი და დამდნარი ქონი შემოიტანა; მეორე ხელში პატარა საინზე ქვიშანას ხავიწები ეწყო.

— ადი მალა, ელენ, — თქვა მან. — ჰაროლდთან პატარა სალაპარაკო მაქვს.

დედამ ერბო-კვერცხი და ქონი ვაჭი-შვილს წინ დაუდგა, კვლავ სამზარეუ-

ლოში გაბრუნდა და ახლა ქოთნით გადაგი შემოიტანა ხავიწებზე მოსასმელად. შვილის პირდაპირ წამოგდა მაგიდასთან.

— მოეშვი მაგ ვაზეთს ცოტა ხანს, ჰაროლდ, — თქვა მან.

კრებსმა ვაზეთი დაკეცა და მაგიდაზე დადო.

— რას აპირებ, შვილო, ჯერ არაფერი გადაგიწყვეტია? — შეეკითხა დედა და სათვალე მოიხსნა.

— არა, — მიუგო კრებსმა.

— მერე დრო არ არის განა? — კი არ საყვედურობდა, ეტყობოდა, წუხდა.

— რა ვიცი, ჯერ არ მიფიქრია, — მიუგო კრებსმა.

— ღმერთმა ასე დააწესა, შვილო, რომ ყველამ რაღაც უნდა აკეთოს, — თქვა დედამ, — მის საბრძანებელში ზანტი ვერ იხეირებს.

— მე არ გახლავარ მის საბრძანებელში, — წამოსცდა კრებსს.

— მაგას ნუ იტყვი, შვილო, ჩვენ ყველანი მის ხელში ვართ, — მოესმა პასუხად.

რატომღაც უხერხულად იგრძნო კრებსმა თავი და გაბრაზდა.

— შენი ამბავი მაწუხებს, ჰაროლდ — წარმოთქვა დედამ. — ვიცი, განა არ ვიცი, ბევრი რამ გადაგხდა თავს. მამაკაცი ძნელად უძლებს განსაცდელს. ისიც მახსოვს, ბაბუაშენი — საწყალი მამაჩემი, რას არ გვიყვებოდა სამოქალაქო ომზე... სულ შენზე ვლოცულობდი, ახლაც ვლოცულობ.

კრებსმა თვალი ჰკიდა, როგორ გაილაბა მის თევშზე ქონი.

— მამაშენიც ვერ ისვენებს, — განაგრძო დედამ. — მაგას ჰგონია, რომ პატივმოყვარეობა დაკარგე, რომ ცხოვრებაში არაერთი მიზანი არა გაქვს... აგერ, თუნდაც, ჩარლი სიმონსი აიღე. შენი ხნისაა სწორედ. მშვენივრად მოეწყო. სადაცაა ცოლსაც მოიყვანს. ყველა ახალგაზრდა თვითონ უძღვება თავის ცხოვრებას, ყველა რალაციისაყენ მიისწრაფვის... ხომ ხედავ, ჩარლისთანა-

ყმაწვილები ისეთი სიკეთის გზას დასდგომიან, რომ სულ მალე ჩვენი საზოგადოების საამაყო შეილებად იქცევიან, პაროლდ.

კრებსი დუმდა.

— ნუ იბუზები, პაროლდ, — თქვა დედამ. — ხომ იცი, რომ ყველას გვიყვარსარ, ახლაც შენი ბედი მალაპარაკებს. მინდა იცოდე, ჩვენ რას ვფიქრობთ. მამაშენს როდი უნდა, თავისუფლება შეგიზღუდოს. აგერ, ნება დაგროთო, საღამოობით მანქანა გამოიყვანო. თუკი გასურს, ვინმე წესიერი, სანდომიანი გოგონა გაასეირნო, გაგვიხარდება გულით, გვინდა, რომ გაერთო, შეილო... მაგრამ სამუშაო მაინც უნდა ეძებო, პაროლდ. მამასთვის სულ ერთია, რა საქმესაც მოჰკიდებ ხელს, ოღონდ დაიწყე რამე. ყველა სამუშაო საბატოთა, ასე ამბობს მამაშენი. კიდევაც მთხოვა — დილით მოელაპარაკეო... იქნება კანტორაში გაუარო? რას იტყვი, შეილო?

— მორჩი? — შეეკითხა კრებსი.

— დიახ... ნუთუ არ გიყვარს დედაშენი, შეილო?

— არა, — გაისმა პასუხად.

დედა შეკრთა, მაგიდის გადაღმა შეიღს გადახედა. უცერად ტირილი წასკდა.

— მე არეინ არ მიყვარს, — ჯიუტად წარმოთქვა კრებსმა.

სისულელე იყო ამის თქმა, დედას გული ატკინა მხოლოდ. ის მაინც ვერ გაიგებს, სულ ერთია, ვერ გაიგებს, კრებსმა მაგიდას შემოუარა, დედას ნახად მოჰკიდა მკლავში ხელი. დედაბერს სახე ხელებში ჩაერგო და ქვითინებდა.

— არა, დედა, ამის თქმა კი არ მინდოდა, — თქვა კრებსმა. — რაღაცამ გამაღიზიანა. დამოჯერე, სულაც არ მინდოდა ამის თქმა, გესმის?

დედა ისევ ტიროდა. კრებსმა მხრებზე შემოხვია ხელი.

— არა გჯერა, დედა?

დედამ თავი გააქნია.

— დედიკო, ვეთაყვა, ^{გათხოვდაში-ჯერე, გთხოვ, გენაცვალე}

— კარგი... კარგი, — წამოილულულა დედამ და შეიღს შეხედა, — მეგერა... შეილო.

კრებსმა თმაზე აკოცა. დედა სახით მიეკრა შეიღის მკერდს.

— მე ხომ დედა ვარ შენი, გესმის, დედა, — თქვა მან. — პაწია რომ იყავი სულ ხელით გატარებდი, გარწევდი.

კვლავ აერია გული კრებსს, შეეზიზლა ყველაფერი.

— ვიცი, დედა, — წარმოთქვა ჩუმად. — ვეცდები კიდევ, კარგი შეილო ვიყო შენთვის.

— მოდი, პაროლდ, ჩემთან ერთად დაიხოქე დაილოცე, — შეეხეწა დედა. ორივემ მაგიდის წინ მუხლი მოიყარა და დედა ლოცვას შეუდგა.

— ახლა შენ ილოცე, შეილო, — თქვა დედამ.

— არ შემიძლია, — მიუგო კრებსმა.

— სცადე, შეილო,

— არ შემიძლია.

— გინდა შენ მაგივრად ვილოცო?

— ილოცე.

დედამ ილოცა შეიღის მაგივრად, მერე ორივენი წამოდგნენ. კრებსმა დედაბერი გადაკოცნა და სახლიდან გავიდა. რამდენი სცადა, ცხოვრება არ გაერთულებინა, მაგრამ არ გამოვიდა — არ მოუღბა გული. წელან დედა შეეცოდა და იმიტომ იცრუა, ...ისევ კანხას-სიტში წავა, სამუშაოს იშოვნის და დედაც დამშვიდდება. შესაძლოა წასვლაზე ერთი ამბავი აუტეხონ მშობლებმა, მაგრამ აიტანს... მამასთან მაინც არ მივა კანტორაში... გადაწყდა... ახლა სკოლაში მივა, უყურებს, როგორ ითამაშებს ელენი ბეისბოლს.



კავკასიური შთაბეჭდილება

„კავკასიონი“, გვიძნის სტიქარდესამ და, 17 საათის ფრენით მოქანცულებს, დაღლა სულ გადაგვიწყდა. ზეგნს წინ მზის სხივებში გაბეველი ტუეებთითა და მარადი თოვლით დაფარული მთები აღიმართნენ.

თვითმფრინავმა კურსი დასაქვლეთისკენ აიღო. ქვევით მიქ ლურჯად ირწყევა ურბეში წყნარად შეფარებული შავი ზღვა. ჯერ კიდევ ათასწლეული წლების წინათ ამ ზღვით მოდიოდნენ კობეზთი ბერძენი ვაჭრები. თქმულება მოგვითხრობს ოქროს საწმისზე და მისან მუდის ასულ მუდუაზე, რომელთა სამშობლოც ეს არანვეულებრივი ქვეყანა ყოფილა. პრომეთეს სასხლის წვეთებიდან აღმოხუთილი, სიციოცხლის ჯადოსნური ყვავილიც, ამბობენ, კავკასიაში ხარობსო. არისტოტელე დაწერილებით აღწერს პატარა, მაგრამ ხევისრული ჯიშის საქონელს. და როგორც, საერთოდ, ბერძენი ისტორიკოსების ცნობებიდან ჩანს, საქართველო ძველი და მაღალი კულტურის მქონე ქვეყანა ყოფილა.

თვითმფრინავს ისევ შორეულ წარსულში გადავუვართ, ჩვენ სვანეთის თავზე ვართ. ამ მიუვალ, ტყით დაბურულ მთებში ვერც ერთ დამპყრობს ვერ შეუღწევიო, მაშინ, როცა საქართველოს სხვა კუთხეები ბიზანტიელების, მონღოლების და ირანელების მიერ აობრებულ და განადგურებული იყო, სვანეთში ხელშეუხებლად ინახებოდა შეუღარებელი, უძვირფასესი კულტურის სავანძერი. პირველ უოელისა, ხელნაწერები. საბჭოთა მიტინგებში ფართო კვლევითს მუშაობას ვუყვიან სვანეთში, რადგან სვანებმა ენასა და კულტურაში უცვლელად შემორჩაბეს ძველი ზნე-ჩვეულებანი, რომლებიც ვასაღებს ძილვეიან საზოგადოების აღრიზდელი წუობის ვასარკვევად. ჯერ კიდევ ვასულ საუკუნეში სვანები ერთ ნაწილს პირველყოფილი თემური წუობა ჰქონდა და 1875 წელს მამაკაცების კრებამ (რაც დამახასიათებელია თემური წუობილებისათვის) გადაწყვიტა აჯანყება ცარიზმის მიმგერელების წინააღმდეგ.

მთები უკან დავერჩია. წინ ფართოდ გადაი-

შალა მტკვრის ხეობა და აი, ჩვენ უკვე თბილისის აეროდრომზე ვართ. აქ დიდი პარტიის-ცემით შეგუბდნენ სტალინის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

ჩვენ უნივერსიტეტში და პედაგოგურ ინსტიტუტში გაეცანით გერმანული ენის პედაგოგების მომზადების დონეს. ეხებოდა საუბარი გოთეს „ვემონტს“ თუ თომას მანის „ბუდენბროკებს“, სტუდენტები მათ შესახებ გერმანულად მოგვითხრობდნენ. ნამდვილად ბევრ გრამატიკოსს ესაიმოწენებოდა იმის მოსმენა, თუ როგორ ხმარობენ ისინი კონიუქციუს და იყენებენ დროებს, რომლებიც სრულიად განსხვავდებიან ქართულისაგან. ჩვენზე განსაყუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა გამოთქმის სრულყოფამ. აქ იყენებენ სანიმუშო მეთოდს, რომელიც ჯერ ჩვენთან, სამწუბაროდ, არ იხმარება. ეს არის ტექსტის ჩაწერა მავნიტოფონზე, როცა სტუდენტს თვითონ აქვს შესაძლებლობა, შეამოწმოს საკუთარი ვამოთქმა.

ზეგნ ზმირად უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდი, როცა შევამჩნევილი, რომ მანამოსაუბრები მშვენიერად ერკვევიან გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის პრობლემებში და მის მუტინერულ თუ კულტურულ მიღწევებსაც კარგად იცნობენ. მაშინვე გავიფიქრებდი, რა ცოტა ვიცი თ ჩვენ ამ ქვეყნის შესახებ, რომელია მდიდარი; უძველესი კულტურა სოციალიზმის ეპოქაში აყვავდა.

რა ვიცი თ ჩვენ ქართული ლიტერატურის შესახებ? მისასაღმებელია, რომ გერმანულ მკითხველს „ვეფხისტყაოსნის“ გაცნობის საშუალება აქვს, თუმცა ეს თარგმანიც თავისი მრავალმხრივი, ზოგჯერ ველფარული სტილისტური შეცდომებით არ შეიძლება ჩაითვალოს ორიგინალის შესატყვისად. ის ორი თუ სამი რომანი, რომელიც გერმანულ ენაზე გამოვიდა, ვერ ამოწერავს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას.

ეს თარგმანებიც ცოტას ამბობენ ორიგინალის ხარისზე, რადგან ცხადია, როცა თარგმანის თარგმანს აკეთებ, იქ დედნის თითქმის აღარაფერი რჩება.

ლიტერატურა ხალხში ცოცხლობს, ხალხი ცხოველ მონაწილეობას იღებს მისში, პოეტი და მკითხველი შესანიშნავ დამოკიდებულება-

ნარკვევი თარგმნილია გერმანული ფრენა-ლიდან „ფორუმში“. იმეძლება მუშოკლებით.

შეიკრძალებოდა. ერთ საღამოს თბილისის მოთავსებულ ქუჩაზე—რუსთაველის პარკსამდე მივდიოდით, ერთ-ერთ აღმინისტრაციულ შენობას ჩაეუარეთ გვერდით, კბეებზე უთვალავი ხალხი იდგა, მათ ბილეთი ვერ ეშვოდათ და რაზმში შესასვლელად. იქ კი, შევინთ, ახალ ისტორიულ რომანს საჯაროდ იხილავდნენ.

ქართველებს, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებს, განსაკუთრებულად უყვართ ცეკვა. ჩვენ ვნახეთ ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი გასტროლებზე იტალიაში გამგზავრების წინ. მაშაყაყაის ცეკვაში ეყვავებოდა და მამაცობა გასაოცარ ნახტომში და ხაოზარ მოძრაობაში უფრო მშვეობრად არის გამოხატული. ცეკვის იუმორიც თან ახლავს. მაგ. როგორცაა ცეკვა „ლელი“.

მხატვრული ცეკვის დროსაც მამაცობა ცენტრში და არა ქალი. ეს ეტყობა ცეკვის პრინციპის თანამიმდევრობის დაცვა, ალბათ ამიტომ შემთხვევითი არ არის ის ვარჯიშება, რომ თბილისი — ქაბუჯიანის, — საბჭოთა კავშირის ამ სახელმწიველი მოცეკვავის სამშობლო ქალაქია. ქაბუჯიანი ოტელოს ცეკვავს ისეთი შინაგანი განცდით, უშუალოდ და ოსტატური გამომეტყველებით, რომ მაყურებელი მთლიანად განიცდის დრამის ყოველ მოვლენას. შესრულებით უმაღლესი მწვერვალი კი შეეხებოდა რეციტებით დაჯილდოებული სიბერის ცეკვა, რომელმაც ოტელოს და დედემონას შეუღლებით გამოწვეული „მეორე იტალია“ ცეკვაში თავისი უმაღლესი გამოხატულება პოვა; ამ ცეკვაში წმინდა აფრიკანული ელემენტები შეერწყმის კლასიკური ბალეტის სიმეორეს.

შე-5 საუკუნეზედ ვიდრე თბილისი („თბილი წყაროების ქალაქი“) საქართველოს დედაქალაქი გახდებოდა, ქართველ მეფეთა რეზიდენცია მცხეთაში იყო. დღეს მცხეთა საბჭოთა კავშირში ოღიშის, თრიალეთის და სხვათა გვერდით მნიშვნელოვანი არქეოლოგიური გათხრების მიღიარ ადვილს წარმოადგენს.

ეკლესიის ხანიდან აღნიშნება აღამიანის არსებობა კავკასიაში. მცხეთის ნაგებობებიდან აღანიშნავია ძველი საყდარი. დღესაც იმაზე კამათობენ მეცნიერები, თუ ვის გავლენას უნდა უმაღლოდეს ქართული ხუროთმოძღვრება მის საოცარ პარამონას. ჩვენ კი ასეთი საკითხები არ გვადევნებდა — აღტყობებით შევეყურებდით ეკლესიის ძირითად შენობაზე დაშენებულ მაღალ კოშკებს. მოგვიგონდა კლანის წმინდა გერგონის ეკლესია, თუმცა უნდა ითქვას, რომ ქართულ ეკლესიებში უფრო მეტია სინათლე და მათი თავდაპირველი შესანიშნავი მღებარეობის და დანიშნულების გამო ისინი ახლაც ციხესიმაგ-

რის და კოშკის შთაბეჭდილებას სტრუქტურა. მცხეთაში ყოფნისას ერთხელ კიდევ დავრწმუნდით იმაში, თუ როგორც უკვე ვთქვამდით და ვაგებოთ უდგება საბჭოთა მოქალაქე მოსახლეობისთვის პარკებებს. ეკლესიის თიხის ქვეშ მხოლოდ სახლის ქალები იხსნდნენ და გულმოდგინედ აპირალებდნენ რკინის მანქანებს. ჩვენმა მთელმა მათთან საუბარი დაიწყო, საუბარი მთლიანად გაცხივებდა და ჩვენც ძალაუხერბოდა უფრო მივუგდეთ. ამხანაგი მძლოლი კამათობდა ქალეთთან ღმერთის და ეკლესიის შესახებ და ცდილობდა შთავგონებინა მათთვის, რომ მათი რწმენა უწინააღმდეგება გონების, აზროვნების. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ იქვე მხოლოდ მღებარე მეორე ეკლესია დაეთვლიერებოდა. ამჟამად სახელმწიფოს მიერ დაცული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, უწინ ქალთა მონასტრის ცენტრი იყო. აქ ახლაც არიან მოხუცი მონაზვნები, რომლებიც ეკლესიის უღიან. ჩვენი მძლოლი აქ სულ სხვანაირი გახდა, მეტად თავაზიანი იყო, იგი ერთი სიტყვითაც არ შეხებია მოხუცი ქალების რწმენას, რომლებიც თავის ლეგენდარულ ისტორიულ წარსულში ცხოვრობდნენ და თითქმის მხიარული ამეღვაცრებებით გვიამბობდნენ, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ არცერთი ახალგაზრდა ქალი არ მოსულა მათ ორდენში შესასვლელად.

თავდაპირველად ჩვენთვის ძნელი გახავები იყო რაინდელი ტრადიციების ძალა, რომელიც გამოიხატება არა მარტო ხელოვნებაში—მეგალითად ცეკვაში და ეროვნული ენობის გმირების ტრადიციის და ავთანდილის პატივსაცემად, არამედ ყოველდღიურ წერტილებშიც კი. მაგარმ ჩვენ მალე მივხვდით, რომ ერთნეული ხასიათი იქვლება ისტორიულ გამოცდილებებში.

ერთ კვირა დღეს ვავემგზავრეთ წინანდლისავე, აღექსანდრე ქაუკავაძის ყოფილ მამულში. ვხა მოვებით ვარშემორტყმულ ველს მიჰყვება, სადაც მისის მზით გამოთარ ვახს ყვავილობა დაეწყო. კობა სოფლები კვირადლის სიშვიდეს მოეცე, ახალგაზრდა გოგონები სიცილ-სიყისით მოჰყენოდნენ შარავს. ვხაში ხშირად ახალგაზრდებით სავეს ხატერით მანქანები და ავტობუსები გვხვდებოდა, როგორც ჩანს, რაღაც სპორტულ დონის მიხედვით მიეჩქარებოდათ. ჩვენს ყურადღებას მოხუცი გლეხები იპყრობდნენ, რომლებიც ღარბაისლურად ნიბიჯებდნენ შარავზე, პატარა ბარგით დატვირთულ სახედრების თანსლებით.

წყარი გვეყუროდა და ერთ გლბის საბლთან შეეჩერდით. მეგობრული პატივისცემით შემოგვაგებებს დოქი და ჭიქა. სტუმართმოყ-

ვარეობის ასეთი გამოვლინება გასაგები ხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ იცო, რომ საუკუნეთა მანძილზე აქ ცხარე ვედრება გაისმოდა წყალი ნუ მოგაკლოს ღმერთმა.

ვარდებს კონებათ ავადიხსენ ხელები. აქ, ამ შორეულ სოფლებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკიდან მოსული სტუდენტები ძვირფასი იყვნენ დამხდურთათვის.

წინანდლის მებატონის სახლის ოთახები ეცვლებოდა შენახული, ისევე მოწყობილი, როგორც მაშინ, როდესაც აქ აღუქანდრე ქავეკავებ ოჯისი ქვეყნის განთავსებულბანს და კლბრბრული განვითარების გეგმებს იმუშავებდა. ბევრი გერმანელი მებატონის სასახლე უფრო ბრწყინვალეა და იმპორანტრი, მაგრამ არცერთია ისე მყუდრო, როგორც ეს ვრძელად გაიმშენი, მომცრო სიმაღლის შენობა, რომელიც ძველი, კარგად მოვლილი ბაღის ჩრდილია განლაგებული.

წინანდლი ღვინის ერთერთ უდიდესი მუდრნობაა, რომელიც ჯერ კიდევ მის ყოფილ მფლობელბს 100.000 ბოთლ ღვინოს აძლევდა წელაწაღში. ღვინის მცოდნენი ქართულ ღვინოს ანიჭებენ უპირატესობას. ეს გასაგებია არ არის, რადგან ჯერ-კიდევ ანტიკურ ხანაში იყენობდნენ აქ უფროს 200-ზე მეტ ჯიშს. მცოდნეობა ქართულბს მეტად განვითარებული ქონდათ.

ღღეს აგრონომები ცდილობენ ახალი ჯიშები გამოიყენონ. სოციალისტური კვლევა-ძიებისათვის დამახასიათებელ სწრაფვაში დამოკიდებული უნდა იყოს წინააღმდეგობაც, სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის საკვლევი ნაკვეთები ისეთ ადგილებშიც კი გაუშენებიათ, რომლებიც განუწყვეტელი ქარის გამო აქამდე სრულიად გამოუსადეგარად იყო მიჩნეული. ქარსაცავი ტყის ზოლებით გარშემორტყმული აქ ვაზის ახალი ჯიშები ხარობენ, რომელთა მუშეობითაც ძველი ნარგავებიც უმჯობესდება.

თბილისის მახლობლად მდებარეობს საეფრამო, ილია ქავეკავების მამული. ერთგულნი ძველი იმ აღმანიის გენიის სამახსოვროდ, რომელიც თავის დროზე საქართველოს კულტურული და პოლიტიკური განვითარების სათავეში იდგა.

მაგრამ ჩვენს ნამდვილ სამშობლოდ პირველსავე საათებში უნივერსიტეტი იქცა. მთავარი შენობა, ყოფილი სათავადაზნაურო სასწავლებელი, რომლის თოვლივით თეთრი ფასადი დიწგი, დარბაზისლური პარპონით გამოირჩევა, გარშემორტყმულია მშენიერად მოვლილი ბაღით, სადაც ყველა კუთხეში სტუდენტები სხდნენ და ერთმანეთს კიდევ ერთხელ ამოწმებენ გამოცდის ნაბარების წინ, ორიოდღე წლის წინათ ბაღი კლდოვანი ხევით თავ-

ღებოდა, ვიდრე ქალაქის მცხოვრებნი — ინციდივით იგი არ ამოაგეს და ფართო კვილი-მოწყობილ ქუჩაზე არ გადაეკვიციხნენ.

თუმცა უნივერსიტეტი მხოლოდ მსწრაფად მის უკვე მნიშვნელოვანი მცენიერული ტრადიცია აქვს. ჩვენთვის გასაუთრებით კავასოლოგია იყო საინტერესო, პირველ რიგში ენათმეცნიერება და ავტრუფ ეს მეცნიერებანი, რომლებიც ქართული ხალხის ანტიკის და კულტურას სწავლობს.

უპირველესყოფისა ქართული ენის კამბენტს მივაღერეთ. ამ კამბენტის ხელმძღვანელი პროფესორი ა. შანიძეა. იგი უმთავრესად ძველი ქართული ენით არის დაინტერესებული და კანობილია, როგორც ძველი ტექსტების გამოცემელი. მეფის რუსეთის პირთბეში მრავალი ძვირფასი ხელნაწერი საზღვარგარეთ ვაზიდეს. იაბჭოთა ხელისუფლებამ რანდენიც კი შეიძლებოდა უკან შეისყიდა და აქამდე აქ 300-მდე ხელნაწერია თავმოყრილი — განუზომელი ღირებულების საგანძური. თავისთავად ვასაგებია, რომ რედაქტორი, რომელიც ასეთ ხელნაწერებს გამოსცემს, ენის ისტორიის საუცხოო მცოდნე უნდა იყოს. ნამდვილად სასამოვნო და საინტერესო იყო პროფესორ შანიძესთან საათობით ყოფნა და გრამატიკული პრობლემების ვარშემო სიტუაცია.

ცოცხალი, მეტყველი ენით ხსნიდა იგი შინაგან კავშირებს; ეს არ იყო ცალკეული წესების შეჯამება, არამედ მოხანდასებული ძიება შინაგანი კანონზომიერებისა, რომელიც ენის წყობის გაგების საშუალებას იძლევა. შანიძე აღიარებული ექსპერტია, მისი ნაწარმოებები ცნობილია საერთაშორისო მეცნიერებაში.

თორიულ კვლევა-ძიებასთან ერთად იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მუშაობის მეორე მხარეს — სიშუალო და უმძალესი სასწავლებლებისათვის გრამატიკული სახელმძღვანელოს შედგენას. ასევე იქცევიან მისი კოლეგებიც.

პროფესორი ჩიქობავა იბერიულ-კავკასიური ენების კათედრის გამგეა (სხე ეწოდება ქართული ენის მონათესავე ენების ერთობლიობას), გერმანულ მკითხველისათვის ის ნაწილობა უნდა იყოს, ვინაიდან 1950 წელს სწორედ მან წამოიწყო „პრაედის“ ფურცლებზე დისკუსია ენათმეცნიერებაში, რომელმაც მარის კონცეფცია უარყო. ენათა შედარებასთან ერთად, რომელიც მის მიერ გამოყენებული ანალიზის მეთოდით არის აღსანიშნავი, იგი დიდ ყურადღებას თვორიასაც აქცევს. მაგრამ საწუხაროდ ჩვენთვის ბევრი ძვირფასი შედეგი და მოსახრება ხელმისაწვდომი არ არის.

ენიადან ნაშრომთა უმრავლესობა ქართულად არის დაწერილი.

ეს თავისებურება საიდუმლოდ ზღას ჩვენთვის აგრეთვე უპროფ. გ. ახვლედიანის ნაშრომებსაც. დიდა საბჭოთა ენციკლოპედია მას თანამედროვეობის გამოჩენილ ენათმეცნიერთა რიგებში აყენებს, მაგრამ, ამა, ზოგადი ენათმეცნიერების რომელია გერმანელმა წარმომადგენელმა იცის, იმის შესახებ, რომ ახვლედიანმა, რომელიც თბილისში ზოგადი ენათმეცნიერების კათედრას ხელმძღვანელობს, ზოგად ფონეტიკაში მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომები გამოაქვეყნა? მისი მოსახრებანი ფილოლოგიის პრობლემებს აშუქებს.

ჩვენი სამწუხაროდ გერ კიდევ ღრმად აქვს გადგმული ფესვი წარსულისათვის დამახასიათებელი უღარდლობას. ერთხელ და სამუდამოდ გამაზღვრულია, თუ რა ენას უნდა ფლობდეს ამა თუ იმ დარგის წარმომადგენელი. ლიტერატურას, რომელიც ამ ენაზეა გამოსული, ესწავლებთ ღრმად და ყოველ მხრივ, დაუმჯობესებ მიგვანია გვერდს აუტაროთ საყოველთაოდ აღიარებულ ნაწარმოებს. ამავე დროს უყურადღებოდ ეტოვებთ იმ მეცნიერულ ნაშრომებს, რომლებიც ნაკლებ გავრცელებულ ენაზეა გამოქვეყნებული და ეს იმ დროს, როდესაც პატარა ერები, უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირში, უკვე კარგა ხანია, მეტად ნაყოფიერად ემსახურებიან მეცნიერებას წინსვლას.

დღეს საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში არსებობს აკადემიები, უნივერსიტეტები და სხვა მეცნიერული დაწესებულებანი, რომელთა მიერ გამოქვეყნებული შრომები რუსულ ენის მეშვეობითაც კი ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის.

შანიძე, ახვლედიანი და ჩიქობავა — კავკასიოლოგთა პირველი თაობაა. დღეს მათ გვერდით უდგანან ახალგაზრდა, ცნობილი, მათ სკოლაში აღზრდილი მეცნიერები. ამ ახალი თაობის მეცნიერთა შორის ქალბიძე არიან და პირველ ადგილზე — პროფ. ქ. ლომთათიძე.

საერთოდ ქართულ ენას როდღე ენად სთვლიან, მაგრამ აფხაზების ენა უფრო ძნელი უნდა იყოს, რადგან იქ სიტყვა მხოლოდ ერთი ხმოვნისგან შედგება, რომელიც გრამატიკული ათვისების სიმრავლისა და ჩვენი გამოთქმისთვის მიუჩვენებელი ბერძნების „ს“ და „შ“-ს გამო ხშირად სხვაში გვერდოდა და პირველ გადებისთანავე ძნელად გასარკვევი იყო. მაგრამ პროფესორ ლომთათიძის საუბარი აფხაზური ენის შესახებ არაჩვეულებრივად გვესიამოვნა — ფარდა ვხდებოდა აფხაზური ენის საიდუმლოებას.

აკადემია და უნივერსიტეტი ხელიხელ ჩაიკლებდნენ მუშაობენ.

საკითხის დაყენებაში მაინც ჩამს განსხვავება ამ ორ ორგანიზაციის შორის. უნივერსიტეტში ჩვენ ვხვდებით სწავლებლის შესაბამისად დისციპლინების ^{განსხვავებას} დემიაში კი პირიქით, ეს დარგები თავმოყრილია ერთად, იმ მიზნით, რომ მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საერთო ძალებით წარიმართოს. ეს საშუალებას იძლევა ვადაწყვეტს მნიშვნელოვანი პრობლემები განსაკუთრებული ძალების და სახსრების დახარჯვის გარეშე. ამ გვერდით თანამშრომლობის სარგებლობა და დადებითი მხარეები ამ დაწესებულებების საყურადღებო გამოცემებში ჩანს.

ცნობილია რომ დღესდღეობით თითქმის შეუძლებელია ლიბიკიკის ფოსტის ან „საერთაშორისო წიგნის“ მეშვეობით არასლავური ქვეყნების ხალხთა ლიტერატურის მიღება. ჩვენი ყოველგვარი ცდა ამ საქმეში უშედეგო აღმოჩნდა, და ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით გვედარაჩვენა, რომ ხშირად არ ვიცნობით ნაწარმოებს, რომლის შესახებაც მინდინარებობდა საუბარი. ყოველ ასეთ შემთხვევაში ჩვენ შეგობრული პასუხი გვაშვიდებდა: გამოვიგზავნით. და მართლაც მას შემდეგ ამანათი ამანათზე მოდის, როგორც აკადემიიდან, ისე უნივერსიტეტიდან. ზოგიერთ წიგნს ინსტიტუტის ბუკეტს ნაშანი ახლს. ეს იმის მნიშვნელობა, რომ ჩვენ ისეთ წიგნებსაც ვლუბულობთ, რომლებიც ამჟამად ბაზარზე აღარ იშოვება.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ (გოქშია) თვითონვე შემოკეთაება, ვიდრე ჩვენ ამ სურვილს გამოვთქვამდით, მუდამ ეყოფილიყავით საქართველოს კულტურის ცხოვრების კურსში, და სისტემატიურად ვეგზავნის კიდევ ხელაწვებისა და ლიტერატურის დარგებში მნიშვნელოვან გამოცემებს.

ჩვენს სიმდიდრეს თუ გადავხედავთ გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ბიბლიოთეკა ამ ორიოცი წლის განმავლობაში გამოცემული წიგნებით ყველაზე მდიდარი ბიბლიოთეკა მთელ დასავლეთ ევროპაში.

ამ დასვენას თან ახლავს უდიდესი მადლიერების გრძობა ჩვენი თბილისელი მეგობრების მიმართ. და ჩვენ ვვიწინა ეს მადლობა საქმით გადავხადოთ. — ვიყავთ შეამაგალი მომე სოციალისტური ქვეყნების ხალხთა, პარველყოფლის ჩვენი ერის, და ქართველ ხალხს შორის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

კავკასია სულ უფრო მზარდ ინტერესს იწვევს დასავლეთ ევროპაში. კავკასიური ენის შესწავლის ორი თვალსაზრისით უდგებიან.

ჯერ ერთი როდესაც საქმე ეხება ენათმეცნიერების საერთო თეორიული საკითხების გადაწყვეტას, არ შეიძლება გვერდით ავიდაროთ ენების ამ ჯგუფს. თუ უწინ ფიქტურად გვჩანდა, რომ გადაწყვეტა ინდო-ევროპეანობა, ახლა გაბატონებულია აზრი, რომ მართო ინდოევროპეანობა ვერ გაცემს პასუხს ყველაფერს და ამ აუცილებლად საქითა სხვა განსხვავებული სტრუქტურის ენების გათვალისწინებაც.

კათოლიციზმის გავლენის ქვეშ მყოფი მეცნიერება მუდამ დიდ ინტერესს იჩენდა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ქრისტიანული ტექსტებისადმი. ქართულ ძვირფას ხელნაწერებს მუდამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა სირიულ, კობტურ და სომხურ ენებთან შედარებით ნაკლებად შესწავლილი იყო, რადგან ამ ქართული ენის სპეციალისტების ნაკლებობა იყო მუდამ. ამჟამად ახლებურად შეუდგნენ ამ კომპლექსის შესწავლას. ამ სამუშაოში უნდა დადასტუროს, რომ, თითქოს შესაბამისი კულტურა იმთავითვე ქრისტიანობასთან იყო შერწყმული.

ესაღი, ძველი ქართული ხელნაწერების უმრავლესობას ბიბლიის თარგმანები და წმინდანთა შესახებ არსებული ლეგენდები შეადგენს, რადგან ყოველ ფეოდალურ ქვეყანაში ლიტერატურა მონასტრების მონოპოლია იყო. მაგრამ ეტყობა საქართველოში დამწერლობა ქრისტიანობამდეც არსებობდა, რის პირდაპირი დამტკიცებაც სამწუხაროდ შეუძლებელია. ვინაიდან პირველ ქრისტიან მეფეს, გურამს მფეე ლელუგიის მსგავსად, დიდი მონღოლებით გაუნადგურებია ყოველივე დამწერლობა, რაც ღმერთს ეწინააღმდეგებოდა და წარმართული იყო.

ეთნოგრაფიული წყაროები გვიდასტურებენ, რომ სირიისა და ბიზანტიის გზით კავკასიაში შემოჭრილი იდეები, იქნებოდა ეს ქრისტიანული თუ სხვა, ახალ რაიმეს კი არ ქმნიდნენ, არამედ აღმადრებდნენ და ავითარებდნენ ამ უკვე არსებულ კულტურას. რომელიც ქრისტიანობის საბერველ ქვეშაც არსებობდა. ქრისტიანობა კი, როგორც ცნობილია. უწინარესყოვლისა, გაბატონებულ კლასს ენახებოდა. ამიტომაც ეს კულტურა ფართოდ კოცხლობდა სოფლად. ზოგჯერ აღუგებვე ხელშეუხებელია და საბოლოოდ იგი კულტურის ახალი ფორმების საფუძველი გახდა. ამის მაგალითია შირი, რომელიც მხატვრული ოპერატორი დახვეწილობით გამოჩნდა დიდ ეპოსში „ფეხვანტყალისაში“.

ამ, ზოგჯერ უხილავ, მაგრამ მარად კოცხალ ხალხური კულტურის ნაქადის შესახებ გვიამბო პროფ. გ. ჩიტაიამ. როცა ჩვენ ეთნოგრაფიულ მუზეუმს ვათვლიერებდით, წარსული ათასწლეულები მისაწვდომი გახდა ამ

დარბაზებში განლაგებულმა გამოყენებულ იქნა, რომელი ხალხები სარგებლობდნენ ამ უძველესი ეტლით, რომლის პირდაპირი უკუხალხობისაგან არის გაკეთებული, უძველეს დროში ლავის დაუფარავს იგი და სრული განადგურებისაგან გადაურჩენია.

ამ წარმოდგენილია ყველაფერი, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს პირველყოფილი სენი გლეხის სახლი, მისთვის დამახასიათებელი ჩუქურთმებით, რომელიც უფრო კულტურული ხასიათისა უნდა იყოს; იქვეა შესასთუკნეობობი იოში. გვაკვირებს ოსტატთა ნახელავი და პირველ რიგში ქსოვილები და ნაქარგები. ვეცნობთ ღვინის დაწურვის უძველეს წესთა საიდუმლოებს. ამ დიდი ხალხით და სიყვარულით შეუვაროვებოთ ყველაფერის, რაც ეროვნული, ხალხური კულტურისათვის არის დამახასიათებელი.

მაგრამ ჩვენ საბჭოთა მუზეუმში ვიყოფებით, სადაც, კულტურის მასალების შევაროვების გარდა, დიდი მნიშვნელობა ექლევა მის შესწავლას და კვლევა-ძიებას. საბჭოთა ლიტერატურაში სმარად ვითხოვლობთ, რომ ღვინა ახია კავკასიონთან ერთად ერთობლივი კულტურის რიონს წარმოადგენს, მაგრამ მეცნიერული წყაროების ნაკლებობის გამო ჯერ კიდევ ვარკვეული არ არის, შოიყავდა თუ არა ეს კულტურული ურთიერთობა ავრთვე ენისა და ეთნოტი ელემენტს. ამ კულტურულ მარალელებს ჩვენ ახლა თვალწინადაც ეხედავთ. კავკასიური ნივთების გვერდით გამოყენილი ნახატები ძველი აღმოსავლურ, მეტწილად სუმერულ, შესატყვისებს წარმოგვიდგენენ.

მეტად საინტერესოდ არის წარმოდგენილი გადასვლა ძველი ხელოვნური მრეწველობიდან თანამედროვე ტექნიკით აღმუშავლ მრეწველობაზე, ჩვენში კიდევ კოცხლობს აზრი, რომ თითქოს ეთნოგრაფიამ მხოლოდ სოფლის კულტურა უნდა ასახოს. ჩვენ თბილისის მუზეუმში ძველი ქვევრების, სურების და დოჭების გვერდით ღვინის თანამედროვე წარმოების ხელნაწყოებიც ეხებოთ. უკანასკნელ დარბაზში ფეოდალურ ციხე-კოშკის ნაცვლად მარგანეციის ქარხნის მოდელი, რომელსაც შოიანი პირობების შესაბამისად მეტად რთული კონსტრუქცია აქვს.

პროფ. ჩიტაიამ ვაგვანდო ექსპონირების ახალი მეთოდების და პრინციპების საიდუმლოება. ამ ქვეყანაში კიდევ ბევრი მასალა მოსაძებნია, მაგრამ ეთნოგრაფი არასდროს არ არის მართო. ძიებაზე ყოველთვის კომპლექსური ბრძოლა იგზავნება, რომელშიც სულ კოცხა ექვსი სხედასსხვა სპეციალური მეცნიერება წარმოდგენილი. მათ შორის, რა თქმა უნდა, ენათმეცნიერებაცაა. ეს არის

შხოლოდ ერთი მაგალითი იმისა, თუ რა მოფიქრებულად და გვეწაზომიერად წარმოებს მეცნიერული კვლევა ასე მაგალითად, ენის სფეროში დედაენა. იბერულ-კავკასიური და რუსული ენების შესწავლა წინაპლანზეა წამოწეული.

ენათმეცნიერების და ლიტერატურის მეცნიერების კათედრებზე თავმოყრილია საუკეთესო სპეციალისტები. შეისწავლება სხვა ენებიც თურქული, ირანული და არაბული. აქ პირველთა შორის ახალგაზრდა მეცნიერებიც დგანან, რომლებიც ახალ ახალ სამაღლეებს იპყრობენ.


ახალ მიღწევათა შორის აღსანიშნავია ამ ბოლო დროს ჩამოყალიბებული დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. სადაც აგრეთვე გერმანისტიკაც შესწავლება. გავვაოცა იმ გარემოებამ, რომ ამ ფაკულტეტზე ზოგი ლექტორი ენას პრაქტიკულად ბრწყინვალედ ფლობს, მაგრამ არ არის გერმანული ენის კვლევითი კათედრა. ჩვენ გაგიშარტეს, რომ ის მასალა, რომელსაც უნდა დაეყრდნონ მეცნიერული კვლევისას, შესაძლებლობას იძლევა დამუშავდეს ენის მხოლოდ ადრეული პერიოდები. თუმცა უპირველესყოფლისა თანამედროვე გერმანული ენის ძიებაა საინტერესო; მაგრამ რადგან ჩვენგან საჭირო მასალები არ იგზავნება არავის გაიანია სათანადო ენთუზიაზმი ჯერ-ჯერობით უპერსპექტივო სამუშაოს მოკიდოს ხელი. ეს არაერთარ შემთხვევაში არ არის კრიტიკა. ეს უფრო სერვილია — საჭირო მეცნიერული მასალების მიღებისა, მაგრამ კრიტიკა უფრო ძლიერ ხასიათს იღებს, როცა ხელად, რომ

მასალა რაც ხელთ აქვთ აქაურ გერმანისტებს სამაგალითოდ არის დამუშავებული ნულზე ჩვენ ენახე თ ახლადგამოცემული კათედრული ლიტერატურის ისტორია, რომელიც მოიცავს უძველეს დროს კლასიკურ პერიოდამდე. წიგნის ავტორია პროფესორი გრიგოლ ხაფთასი, ასეთ უხერხულ მდგომარეობაში გერმანისტებს გარდა სხვებიც ვაყენებდნენ, მაგრამ ამ საუბრებს მუდამ თან ახლდა ურთიერთგაგების გაღრმავების და თანამშრომლობის გაფართოების სურვილი. თუმცა ჩვენი მეგობრები მაღალფარდოვან სიტყვებს გაუბობდნენ, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით, რომ მათ ჩვენი ხალხების მეგობრობა. თანამშრომლობა და მშვიდობის დასაცავად აღძრული გრძნობები გულოან ახლოს მიქონდათ. ზვირად მოკლე სიტყვა, ერთი ექსტრემარობა, რომ კიდევ ერთხელ დამტყიცებულყო ჩვენი ნებასურვილის და ბრძოლის ერთობლიობა.

განა შეიძლება მეცნიერება და პოლიტიკის დაცობა? ჩვენ შევხედდრთვართ დიდ მეცნიერებს, რომელთაც ძლიერებაც სწორედ იმაში იყო, რომ ისინი მეცნიერული შემოთბას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვიწეობას უთავსებდნენ.

თბილისელი მეგობრების მიმართ მეტად დავალებული ვართ. კავკასიური ენების და კავკასიის ხალხთა კულტურის ცოდნა უნდა გამოვიყენოთ ურთიერთგაგების, კეთილი ნების და მეგობრობის იმ ხიდის ასაშენებლად, რომელიც ხალხებს გააერთიანებს.

თარგმანი გერმანულიდან.
ლ. საღრაძისა, თ. ჩიქოვანის



ქ. ბაქრაძე



ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ეპირიტიკრიტიციზმი“ და მისი მნიშვნელობა თანამედროვე სუბიექტური იდეალიზმის კრიტიკისათვის

გავიდა 50 წელი ლენინის გენიალური შრომის „მატერიალიზმისა და ეპირიტიკრიტიციზმის“ გამოქვეყნებიდან, შრომისა, რომელიც ახალ ეტაპს წარმოადგენდა მარქსისტული ფილოსოფიის განვითარებაში. ეს შრომა მიმართული იყო არა მხოლოდ რუსი რევოლუციონისტების — სუბიექტური იდეალიზმისა და მათი მასწავლებლების მახისა და აგენარაიუსის წინააღმდეგ, არამედ მის მიზნად ჰქონდა უბიძგისი შეცნობების — ეგრძოდ ფიზიკის — სწრაფი განვითარების, ფიზიკაში ახალი აღმოჩენების ფილოსოფიური ანალიზი და აღმშენებელი მატერიალიზმის თვალსაზრისით.

რევოლუციონისტები, მისდევდნენ რა მახისა და აგენარაიუსის სუბიექტური იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის პრინციპებს, ცდილობდნენ იმის დამტკიცებას, რომ მარქსისტული ფილოსოფია, დიალექტიკური მატერიალიზმი მოძველდა, ის აღარ აკმაყოფილებს თანამედროვე შეცნობების განვითარების დონეს, რომ თანამედროვე ფიზიკის აღმოჩენები ახალ თვალსაზრისს მოითხოვენ, თანამედროვე შეცნობების შესაბამის.

რასაკვირველია, ფილოსოფია არ არის და არ შეიძლება იყოს მოწყვეტილი სპეციალურ შეცნობებას და მის განვითარებას, მის მიერ გაკეთებულ აღმოჩენებს ანგარიში უნდა გაუწიოს. დიალექტიკური მატერიალიზმი ფილოსოფიური მსოფლმხედველობაა და ამავე დროს შეცნობებათა მეთოდოლოგია. მარქსიზმის ფუძემდებლებმა ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ სპეციალურ შეცნობებათა განვითარებას და მის მიღწევებს. ამის გარეშე შექმნილი იყო მარქსისტული ფილოსოფიის შექმნა და განვითარება. აუციელ ეპოქალურ აღმოჩენასთან ერთად თუნდაც საბუნებისმეტყველო სფეროში* (კაობარობის ისტორიაზე ლამარაკო ზომ ზედმეტია) მატერია-

ლიზმმა ადვილმად თავისი ფორმა უნდა შეიცვალოს — მოჰყავს ლენინს ენგელსის ღებულება. ¹

ამით აიხსნება ის დიდი მუშაობა, რომელიც ჩაატარა ენგელსმა მისი დროის შეცნობებისა და ეგრძოდ ფიზიკის ფილოსოფიური ანალიზისას. ბუნებისმეტყველების ფილოსოფიური პრობლემების გადაწყვეტას ენგელსისათვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, მან ვერ დაამთავრა მუშაობა „ბუნების დიალექტიკაზე“, მაგრამ ძირითადი, სახელმძღვანელო პრინციპები ჩამოაყალიბა.

სწორედ ენგელსის სიკვდილის შემდეგ დაიწყო ძველი (კლასიკური) ფიზიკის საფუძვლების გარდაქმნა; ეს იყო დაეკვირვებული ახალ აღმოჩენებთან, რომლებმაც მთელი რევოლუციონიზმი მოახდინეს XX ს. ფიზიკაში. ბუნებისმეტყველებაში ახალი აღმოჩენების ფილოსოფიური მოახრება, ფიზიკაში მომხდარი რევოლუციის სწორი ფილოსოფიური ინტერპრეტაცია და ამის საფუძვლზე მარქსიზმის სუბიექტური იდეალიზმის რევოლუციური კრიტიკა — აი მის ამოცანა, რომლის გადაწყვეტას ემსახურება ვ. ლენინის „მატერიალიზმი და ეპირიტიკრიტიციზმი“.

ჩვენი წერილის მიზანია არა მხოლოდ იმის ჩვენება, თუ როგორ გადაწყვიტა ვ. ლენინმა ამ ბერიოლში (XX ს. დასაწყისი) შეცნობებათა განვითარებით დასმული ამოცანა, არამედ იმისიც, რომ ლენინის მიერ ამ წიგნში გამოყენებული პრინციპები უფრო ღრმა და ბასრ იარაღად გამოდიან თანამედროვე ბერეზნიული ფილოსოფიის კრიტიკისათვის.

1. გერმანული კლასიკური იდეალიზმის უკანასკნელი წარმომადგენლის — ჰეგელის — გრანდიოზული სისტემის წგრევის შემდეგ —

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 14, გვ. 318.

რომლის ნამდვილი დამტყვევებელი და მისი დაღვრებითი მხარეების გამოყენება მხოლოდ მარქსიზმის ფუძემდებლებმა შესძლეს — ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში ცენტრალურ პრობლემად შემეცნების პრობლემა გახდა.

როგორც ცნობილია ფილოსოფიის ძირითად საკითხს ორი მხარე აქვს: 1) ინტროდუქტორი, რომელიც სინამდვილეს როგორც ასეთს, მის არსებას ეხება, რომელიც არკვევს პრობლემას, თუ რა არის პირველადი, მატერიალური თუ სულიერი, რა რანჟად დამოკიდებული, რა რას განსაზღვრავს, და იმის მიხედვით, თუ როგორ ვადაწყვეტა იგი, შეიქმნება ან მატერიალისტური ანდა იდეალისტური ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. ფილოსოფიის ძირითადი საკითხის ამ მხარის შესახებ მოძღვრებას ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში მეტაფიზიკას უწოდებენ; ამ ტერმინოლოგიის მიხედვით ყოველივე ფილოსოფიური მოძღვრება სამყაროს არსებაზე, — მატერიალურია ის თუ სულიერია, — მეტაფიზიკას მიკვეთენ; მეტაფიზიკას წარმოადგენს ამ ვაკეებით როგორც მატერიალიზმი, ისე იდეალიზმი.

2) ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მეორე მხარე ეხება არა სინამდვილას არსებას ფიზიკურად, მის მატერიალობას, თუ იდეალობას, არამედ იმას, შეუძლია თუ არა ადამიანის გონებას და რამდენად შეუძლია სინამდვილის შემეცნება, ანუ სხვათადად, შეუძლია თუ არა ადამიანის ცნობიერებას ასახოს სინამდვილე ისე, როგორც ის არსებობს.

XIX ს. უკანასკნელი მესამედის და XX ს. ბურჟუაზიული ფილოსოფიის ძირითადი, წამყვანი, ყველაზე გაგრძელებული მიმართულებანი ცდილობენ ხელი აიღონ, უარსებონ ინტროდუქტორი (მეტაფიზიკური) პრობლემის დაუყენებლად და გადაწყვეტის როგორც მართებულობა, ისე მისი შესაძლებლობა: ფილოსოფია უნდა შემოიფარგლოს შემეცნების თეორიით. გნოსეოლოგიით ან როგორც უკანასკნელ პერიოდში მის უწოდებენ ინგლისში და ამერიკაში ეპისტემოლოგიით.

საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მართებული და შესაძლებელია გნოსეოლოგიური პრობლემის გადაწყვეტა ინტროდუქტორი საკითხების გადაწყვეტის გარეშე შემდეგ იქნება განხილული. აქ ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსული საუკუნის ბოლოს და ჩვენს დროში. 1

2. XIX და XX ს. ბურჟუაზიული ფილოსოფია, როგორც წესი, გნოსეოლოგიური სა-

კითხვებით არის დაინტერესებული. როგორც აღნიშნულია იყო, საკითხი სპეკულაციურად შესახებ და მისი გადაწყვეტა ინტროდუქტორი ან იდეალისტური გზით მეტაფიზიკად გამოიხატა — ან როგორც აღვნიშნული სუბიექტური იდეალისტური იტყვიან ეს პრობლემა „სპეკულაციური“ წარმოადგენს. შთავაზი, რაც უნდა გადაწყვეტოს ფილოსოფიამ, ეს არის მეცნიერების მეცნიერული ცოდნის პრობლემა: რას წარმოადგენს ის, რასაც ჩვენ მეცნიერებას, ცოდნას, კეშმარტებას ვუწოდებთ.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა კარგა ხანია გადაწყვეტეს ეს პრობლემა. ცოდნა, მეცნიერული ცოდნა არის ცოდნა სინამდვილეზე. შემეცნების პროცესში ადამიანი უბრუნდება შესაცნობ საგანს და ამ საგნის შესახებ აზროვნებით სურათს, სახეს ქმნის. ამ აზროვნებით სურათს ობიექტურ ობიექტის მსახიობი აქვს, ე. ი. სურათი არ არის დამოკიდებული ადამიანის სურვილებზე, მისწრაფებებზე, განწყობილებებზე. ეს რომ ასე ყოფილიყო ყველა ცალკეულ ადამიანს თავისებური „ცოდნა“, თავისებური წარმოდგენა ექნებოდა სამყაროზე და მის საგნებზე: მეცნიერული, საყოველთაო, ობიექტური ხასიათის ცოდნა სრულიად არ იარსებებდა.

მეტყე: ნამდვილი ცოდნა არ არის დამოკიდებული ადამიანურის თვისებებზე, მისი ცნობიერების სტრუქტურაზე, მის ბიოლოგიურ ორგანიზაციაზე. ასე რომ ყოფილიყო, სხვადასხვა ორგანიზაციის გონიერი არსებანი სხვადასხვა ცოდნას, სხვადასხვა დებულებებს მიიზნევენ კეშმარტებად. სამყაროს სურათი შედგენილი მეცნიერების მიერ დამოუკიდებელია არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდისაგან, რე უნდა იცნოს კეშმარტივ ყველამ, მარსის მცხოვრებლებმაც კი (ამისთანა მცხოვრებლები რომ არსებობდნენ). სამყარო უსასრულოა და გულტრყვილობა ექნებოდა გვეფიცრა, თითქმის მხოლოდ დეამიწაზე არსებობენ გონიერი არსებანი. მაგრამ, სადაც უნდა არსებობდნენ გონიერი არსება, ის, რაც კეშმარტია, კეშმარტია ექნება ყველა გონიერი არსებასათვის, ლენინი „მატერიალიზმი“ და ემპირიოკრიტიციზმი“ ასე განსაზღვრავს ობიექტური კეშმარტების ცნებას: ობიექტური კეშმარტება არის ადამიანის წარმოდგენების ისეთი შინაარსი, რომელიც დამოკიდებული არ არის სუბიექტზე, დამოკიდებული არ არის არც ადამიანსა და არც კაცობრიობაზე. 1

რასაკვირველია, სინამდვილის შემეცნების პროცესში სწორად შეუდომებს აქვს ადგილი. სინამდვილის სურათი, შედგენილი მეცნიერ-

1 უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ პერიოდში ისევე იღვიძებს ინტერესი ინტროდუქტორი პრობლემებისადმი.

ბის მიერ, ხშირად ცალმხრივია, მაგრამ ცოდნის განვითარების პროცესში შეცდომები სწორდება, ცალმხრივი სურათი წინსვლის პროცესში უფრო და უფრო სინამდვილის ადეკვატური ხდება და ასე დაუბრუნდება დედობის მკაცრი თეორია ცვლის მეორეს, მაგრამ ყოველ ამ მეცნიერულ თეორიაში არის მარცვლები აბსოლუტური კუთვნილების, რომლებიც თანდათან ვრცელდება და ასე იმპერატორად უახლოვდება მეცნიერული ცოდნის იმედოვნებს (ლენინი).

ლენინმა „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ დაასაბუთა კუთვნილება ცოდნის დიალექტიკური განვითარება: ჩვენი ცოდნა რელატიურია, ემოციის ჩარევებით განსაზღვრულია, მაგრამ ეს რელატიური აბსოლუტურის მარცვლების შინაშესაა. ცოდნა, კუთვნილების დიალექტიკური ხასიათისაა; ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი ობიექტურად, ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად და მის გარეშე არსებობს: ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად და მის გარეშე არსებობს მატერია, რომელიც მისი არსობის სხვადასხვა ფორმებში, კონკრეტულ საგნებში და სავანთა ვითარებაში ვლინდება. ცოდნას, კუთვნილებას ცნობიერება, ახრთვინება ქმნის, მაგრამ ცოდნის აგებაში ის დამოუკიდებელი კი არ არის, ის სავანთა ობიექტური ვითარებით არის განსაზღვრული. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცოდნის რელატიურობა (მისი შეფარდებითი ხასიათი) არის განსაზღვრული გარემოებით აიხსნება: 1) თვითონ სინამდვილის ცვლილებით, განვითარებით — მაგალითად, კუთვნილება დებულება სამრეწველო კაპიტალიზმის პირობებში შეიცვლება ახალი კუთვნილება დებულებით იმპერიალიზმის ხანაში, — და 2) თვითონ ცოდნის განვითარებით, რომელიც უფრო ღრმად იჭრება სავანთა არსებაში და ამით დებულებათა რიგს შეასწორებს და წინად მოპოვებულს ახალს დაუმატებს.

ასეთია სულ მოკლედ ის პრინციპები, რომლებიც განვითარება ლენინმა და რომლითაც ის შეუდგა თანამედროვე ბუნებისმეტყველების ფილოსოფიური პრობლემების გადაწყვეტას და ამავე დროს თანამედროვე სუბიექტური იდეალიზმის კრიტიკას.

3. რა მოხდა ბუნებისმეტყველებაში, ვერძოდ ფიზიკაში, რამაც გამოიწვია სუბიექტური იდეალიზმის აღორძინება და ვაგრცხლება XX ს. დასაწყისში, რომელიც ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში დღესაც გაბატონებულ მიმართულებას წარმოადგენს. ცნობილი ფიზიკოსი მ. პლანკი ახასიათებს რა ძველ ფიზიკას, აღნიშნავს, რომ ფიზიკოსები დაწინაურებული იყვნენ, რომ მათი მეცნიერება უკვე თითქმის დამთავრებულ მეცნიერებას წარმოადგენდა.

რომ შესაძლებელია შესწორებას მოახლოვდეს ფიზიკის შენობაში აქამდე ზოგიერთი წყაროდან.

ამას ემატებოდა ის საღი აზრი, რომ ფიზიკის საქმე იქნეს ობიექტურად არსებულ ფიზიკურ პროცესებთან და მისი მიზანი მდგომარეობდა ამ პროცესების შესწავლაში და მათი კანონების აღმოჩენაში. ასეთი იყო გაბატონებული სტიქიურ-მატერიალისტური თეორიის რისი, რომელიც ახასიათებდა ფიზიკას.

მაგრამ ეს სტიქიურ-მატერიალისტური თეორიის რისი, რომელიც არსებითად მეტაფიზიკური იყო, სრულიად მოუზღაბებელი, სრულიად უძლური აღმოჩნდა ფიზიკის შემდგომი განვითარების საფუძველზე ახალი აღმოჩენების წინაშე. XIX ს. მიწერულსა და XX ს. დასაწყისში იწყება ძველი ფიზიკის ძირითადი ცნებების გარდაქმნა და ახალი ფიზიკის საფუძველების ჩაყრა. ძველი ფიზიკის ამ გარდაქმნას ლენინი უწოდებს „უახლეს რევოლუციას ბუნებისმეტყველებაში“. ელექტრომაგნიტური თეორიის შექმნის შემდეგ ფიზიკამ აღმოაჩინა, რომ ატომების ბუნება ელექტრომაგნიტური ხასიათისაა და არა მექანიკური; აღმოჩნდა ატომის რთული სტრუქტურა. აღმოჩნდა ნივთიერების ახალი ნაწილაკები — ელექტრონი, პროტონი; დადგინდა, რომ მასა, რომელსაც განსაზღვრავდნენ როგორც ნივთიერების რაოდენობის სხვადასხვა, ცვალებადია და რომ იგი დამოკიდებულია ელექტრონის მოძრაობის სიჩქარეზე. ნიუტონის აბსოლუტური სივრცე და აბსოლუტური დრო, რასაც მისი მექანიკა ეყრდნობოდა, ფიზიკის განვითარებამ ფართობითობის თეორიით შეცვალა.

იცვლება ძველი ცნებები, რომლითაც ფიზიკა ხელმძღვანელობდა, მათ ადგილს ახალი ცნებები იკავებენ; იცვლება ძველი წარმოდგენა სამყაროზე, მის ადგილს ახალი წარმოდგენა იკავებს. რიგი ფიზიკოსების აღორძინება, რომ ფიზიკა კრიზისს განიცდის. ლენინი არ უარყოფს იმ ვარაუდებს, რომ ფიზიკა მართლაც განიცდის კრიზისს. ეს კრიზისი მდგომარეობს ძველი ცნებების, ძველი პრინციპებისა და კანონების წგრევაში, მაგრამ ასეთი კრიზისი დამახასიათებელია ყოველი განვითარებისათვის, ყოველდღე წინსვლისათვის, როგორც მოძრაობის პროცესის კრიზისი, რომლის შედეგად ახალი ჩნდება. იგი დამახასიათებელია მეცნიერული ცოდნის განვითარებისათვის. მაგრამ არსება ამ კრიზისისა მდგომარეობს სულ სხვაში: სტიქიურ-მატერიალისტური და არსებითად მეტაფიზიკური თეორიის რისი, რომელიც გაბატონებული იყო ძველ ფიზიკაში, როგორც აღნიშნეთ, სრულიად უძლური აღმოჩნდა ახალი აღმოჩენების წინაშე, მან ვერაზხნა ახალი მოვლენები, ახალი აღმოჩენები.

ბურჟუაზიული მეცნიერებისა და ფილოსოფი-
სებისათვის, — რომლებიც იცნობდნენ მხო-
ლოდ მეტაფიზიკურ მატერიალიზმსა და იდეა-
ლიზმს — პრობლემა „აღიღვად“ გადაწყდებ-
ოდა მატერიალიზმი (მეტაფიზიკური) აღარ
გამოდგა მეცნიერების ახალი აღმოჩენების
გასაგებად, დარჩა ერთი გზა — იდეალიზმი.
ახალი მეცნიერების, მისი განვითარების იდეა-
ლისტური ინტერპრეტაცია („ფიზიკური იდეა-
ლიზმი“) — აი რაში მდგომარეობს, ლენინის
ზრით, ფიზიკის კრიზისი. „მასმასაღამე, ფილო-
სოფიურად „თანამედროვე ფიზიკის კრიზისის“
დღიარის იმეში მდგომარეობს, რომ ძველი
ფიზიკა თავის თეორიებში „მატერიალური საფ-
ყაროს რეალურად შეცნობას“, ე. ი. ობიექტ-
ურად რეალობის ასახვას ხელდაუხა ფიზიკის
ახალი მიმდინარეობა კი თეორიაში ხელაის
მხოლოდ სიმბოლოებს, ნიშნებს, აღნიშვნებს
პრაქტიკისათვის, ე. ი. უარყოფს იმ ობიექტურ-
ად რეალობას არსებობას, რომელიც დამოუ-
კიდებელია ჩვენი ცნობიერებისაგან და ასახე-
ლია მის მიერ“. 1 „შემდგენების მატერიალის-
ტური თეორია, რომელსაც წინანდელი ფიზიკა
სტიქიურად აღიარებდა, შესცვალა იდეალის-
ტურში და აგნოსტიკურში.“

„ფიზიკური იდეალიზმი“, ე. ი. იდეალიზმი,
რომელიც წარმოიშვა ფიზიკის ახალი აღმოჩე-
ნების მეტაფიზიკურ ინტერპრეტაციის საფუძველზე,
აიხსნება, ლენინის აზრით, რამდენიმე მიზე-
ზით.

პირველ მიზეზად ლენინი ასახელებს ფიზი-
კის „მათემატიკისადაც“, „ფიზიკა მათემატიკის
სულშია შეიპყრო“. „რეაქციულ ზრახვებს
თვით მეცნიერებებს პროგრესი იწვევს. ბუნე-
ბასმეტყველებს დიდი წარმატება, მიხსლოვ-
ბა მატერიალურ ისეთ ერთგვარობას და მარტივ-
რეაქციურობას, რომელიც მოძრაობის კანონ-
ები შესაძლებლად ხდის მათემატიკურ დამუშა-
ვებას, იწვევს მატერიის დაფიქრებას მათემა-
ტიკისთვის მიერ. „მატერია კერძო“, რჩებო-
ბის მხოლოდ განტოლებანი“. 2 თუ ამას დამატებ-
ოდა იმ ვარაუდებს, რომ ძველ ფიზიკაში მისა
(„ნიუტონის რაოდენობა“) მატერიის ცნე-
ბასთან იყო გაიგივებული, ხოლო ახალი ფი-
ზიკაში იქნა წამოყენებული მისისა და ენერ-
გიის ექვივალენტობის პრინციპი, (E = mc)
რომელიც გაგებელი იქნა როგორც მათი
იგივობა, განსაზღვრავს იქნება ისიც, თუ რა
დასკვნამდ უნდა მსულთყენენ ფიზიკის ფი-
ლოსოფიური საკითხების ბურჟუაზიული მკე-
ლევარები: მატერია - მასა-ენერგია. ხოლო
ენერგია, რომელიც მოძრაობას გამოხატავს,
დამოუკიდებლად არსებობს იქცევა: არსებობს,

მასმასაღამე, მოძრაობა მატერიის გარეშე, გერ-
კიდევ XIX ს. დამლევს მახი წერდა, რომ
„თანასწორი მისის სხეულებს ჩვენ ისეთ სხე-
ულებს ვწოდებთ, რომლებიც, მოქმედებენ რა-
ერთმანეთზე, ერთმანეთს თანასწორსა და სა-
წინააღმდეგო აქტებებს აძლევენ“; მასა არის
რჩევი, რომელიც გამოხატავს აქტებებით
მიმართებას (პირსონი). ხოლო ეს მიმართებანი
მათემატიკურ ფორმულებით გამოიხატა. „პირ-
ვად, მატერია არ არის ობიექტური რეალობა,
რომელიც შედგენების პროცესში აისახება
ჩვენს ცნობიერებაში, არამედ ის დაყვანილია
მისაზე, მასა თავის მხრით დაყვანილია მიმარ-
თებაზე, ხოლო ეს უსაზღვრელი მათემატიკურ
განტოლებებზე. მატერია გაქრა, იგი იქნა დაყ-
ვანილი განტოლებებზე.“

„ფიზიკური იდეალიზმის“ მეორე მიზეზი
არის რელატივიზმი, „ჩვენი ცოდნის შეფარ-
დებითობის პრინციპი“. 1. ობიექტური კემე-
რატების ბუნებას გაგებისათვის ყველაზე მნი-
შელოვანია რელატივიზმის პრინციპის სწო-
რი გაგება: ამ პრინციპის ასეთ თუ ისეთ გა-
გებაზე არის დამოკიდებული, თუ რა თეორიის
ვიზიარებთ ჩვენ შემდგენების თეორიაში, დი-
ალექტიკურ-მატერიალისტურს თუ სუბიექტურ-
იდეალისტურსა და აგნოსტიკურს.

მარქსიზმის მხედველი ჩვენი კოდნა შეფარ-
დებითია; ეს იმას ნიშნავს, როგორც უკვე
აღნიშნული იყო, რომ ცოდნა განსაზღვრულია
ობიექტის ჩარჩოვებით; ერთი თეორია ცვლის
მეორე თეორიას და თვითონ ახალი თეორიით
იცვლება. თვითველი მათგანი სინამდვილის
გარკვეულს, დაახლოვებით სურათს გააძლევს.
ზოგიერთი მხარე ამ თეორიებისა სწორად
ასახავს სინამდვილეს, ზოგიერთი ცალმხრივად
და ამიტომ არა სწორად, და გარდა ამისა
რჩება სინამდვილის ისეთი მხარეები, რომლებ-
საც ეს თეორია სრულიადაც არ ასახავს. ახა-
ლი, შემდგომი თეორია, ახალი მონაცემის
ახალი ფაქტების, პრაქტიკის საფუძველზე, გა-
დაამუშავებს ძველ თეორიას; იმ მხარეებს,
რომლებიც ძველმა თეორიამ სწორად ასახა,
შესწორება არ სჭირდება — ისინი ხომ სწო-
რად ასახავენ სინამდვილეს; ამ მხარეებს,
რომლებიც საწყაროს ცალმხრივად და ამიტომ
არა სწორად ასახავენ, ახალი თეორია შეასწო-
რებს — შესაძლებელია ზოგიერთი მხარე
მთლად უარყოს —, ხოლო სინამდვილის ის
მხარეები; რომლებიც ძველი თეორიის მიერ
სრულად არ იყო ასახული, ახალ თეორიაში
ისევ დაახლოვებით იისახება და ისე უსასრუ-
ლოდ. ამისა სწორედ ცოდნის, მეცნიერების
განვითარება. არც ერთი მეცნიერული
თეორია აბსოლუტურად შემდგარი არ ყოფი-

1 ib. გვ. 324-5.

2 ib. გვ. 391.

1 ib. გვ. 392.

ლა, ყველა მათგანში იყო აბსოლუტური კუმ-
მარტივების ელემენტები, მარცვლები, ნაწილე-
ბი, წერის ლენინი. ყოველი ახალი მეცნიერუ-
ლ თეორია წინამძღოლ თეორიის მონაპოვარს
გამოიყენებს და მის შემდეგ განავითარებს,
ყოველი ახალი მეცნიერული თეორია წინა
თეორიის მხრებზე დგას და უფრო შორს
იყურება.

დიალექტიკური მატერიალიზმი აღიარებს
ცოდნის რეალატიურობას, რაკოროც მონენტს
შემეცნების თეორიაში, ე. ი. როგორც საფუ-
ნურს, გზას აბსოლუტური კუმმარტივებისაკენ.

რეალატივიზმი, რომელიც წარმოიშვა და
გაბატონდა ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში ბუ-
ნებისმეტყველების განვითარების საფუძველზე
მისი აღმოჩენების მცდარი ინტერპრეტაციის
შედეგად, პრინციპულად განსხვავებულია მარ-
ქსისტულ-ლენინური თეალსაზრისისაგან. რად-
გან ძველი ცნებები, პრინციპები, კანონები
ფიზიკის განვითარებამ შეცვალა, ბურჟუაზი-
ული ფილოსოფიის წარმომადგენლებმა დაას-
კვნეს, რომ ობიექტური კუმმარტივება საერ-
თოდ შეუძლებელია. „აღმოჩნდა, რომ ფიზი-
კის ყველა ძველი კუმმარტივება, თვით ისეთი,
რომელიც უცოდობლად და ურყევად ითლუ-
ბოდა, შედარებითი კუმმარტივება ყოფილა —
მ ა მ ა ს ა დ ა მ ე, შეუძლებელია რამე ობი-
ექტური კუმმარტივება, რომელიც დამოუკიდე-
ბელი იყოს აკობრიობისაგანო. ასე მსჯელობს
არა მხოლოდ მთელი მსოიში, არამედ მთელი
„ფიზიკური იდეალიზმი“ საზოგადოდ“. 1. უც-
ნაური, მეტრე, აბსურდული დღესწავა, რომე-
ლიც აქედან გამომდინარეობს შესანიშნავად
აქვს ნაჩვენები ლენინს. მართლაც, თუ 2 მეც-
ნიერული თეორია რეალატიური და მხოლოდ
რეალატიურია, არ შეიცავს აბსოლუტური კუმ-
მარტივების მარცვლებს, თუ მას არა აქვს ობი-
ექტური მნიშვნელობა, იგი მთლად სუბიექ-
ტური და ამდენად შემცდარი ყოფილა. მისი
შემცველი ახალი მეცნიერული თეორიაც ასე-
თია — რადგან ყველა მეცნიერული თეორია
მხოლოდ რეალატიურია — და ასე შემდეგ:
დაყოფა ხდება, რომ ნამდვილად ჩვენ ცოდნის,
მეცნიერების განვითარებისთან კი არ გვჭონია
საქმე, არამედ შეედომების ისტორიასთან. თუ
არცერთ მეცნიერულ თეორიაში არ არის აბ-
სოლუტური კუმმარტივების მარცვალი, რომელ-
საც შემდგომი თეორია გამოიყენებს და გაამ-
დიდრებს, თუ არცერთ მათგანს არა აქვს ობი-
ექტური კუმმარტივების ხასიათი, მათში ყველა
მცდარი და მხოლოდ მცდარი ყოფილა, ყველა
მხოლოდ სუბიექტური წარმონაქმნი ყოფილა,
რომელსაც არავითარი ობიექტური და აუცი-
ლებელი ხასიათი არ ჰქონია. ამგვარი თეორი-

ის სუბიექტურ-იდეალისტური და აგნოსტი-
კური ხასიათი აშკარაა.

მაგრამ თუ ეს ასეა, რით ინსწნება კუმ-
რიობის წინაგა, მისი ბუნებაზე დასადასნის-
ბით გაბატონება, მისი პრაქტიკული მოღვა-
წეობის ნაყოფიერი შედეგები. ეს გაუგებარი
იქნებოდა, ჩვენ რომ არ გვეცოდნოდა ის, რისი
გარდაქმნა ვესურს, რომ არ გვეცოდნოდა ბუნე-
ბისა და საზოგადოების განვითარების კანონე-
ბი. მხოლოდ მათი ცოდნის საფუძველზე —
ე. ი. კუმმარტივი მეცნიერების საფუძველზე —
შესაძლებელია ნაყოფიერი შემოქმედება სამ-
ყაროზე, მოვლენათა წინასწარ გათვალისწინე-
ბა მისი მოვლენების გარდაქმნა და აღაშინ-
თა მოთხოვნილებების დამაყოფილება.

ამ პრინციპული დებულებების განვითარე-
ბისა და დასაბუთების საფუძველზე ლენინი
საფუძველიანად ანადგურებს „ფიზიკური“ იდეა-
ლიზმის წარმომადგენელთა თეალსაზრისს და
გვიჩვენებს კრიზისიდან გამოსასვლელ ერთად-
ერთ სწორ გზას. „ერთი სიტყვით, დღევანდ-
ელი „ფიზიკური იდეალიზმი“... მხოლოდ იმას
ნიშნავს, რომ ბუნებისმეტყველთა ერთი სკო-
ლა ბუნებისმეტყველების ერთ დარგში რაჭ-
ციულ ფილოსოფიაში გადავარდა, რადგან ვერ
შესძლო პირდაპირ და ერთბაშად მეტაფიზიკუ-
რი მატერიალიზმიდან დიალექტიკურ მატერია-
ლიზმამდე ასულიყო. ამ ნაბიჯს თანამედროვე
ფიზიკა დგამს და კიდევ გადადგამს, მაგრამ
იგი ბუნებისმეტყველების ერთადერთი სწო-
რი მეთოდისა და ერთადერთი სწორი ფილო-
სოფიისაკენ მიდის არა პირდაპირ, არამედ
ზოგჯერებით, არა შეგნებულად, არამედ სტრქი-
ურად, ისე რომ თავის „საბოლოო მიზანს“
ნათლად კი ვერ ხედავს, არამედ მას ხელების
ცეცებით, მერყეობით, ხანდახან ზურგით უახ-
ლოვდება. თანამედროვე ფიზიკა მშობიარობას
განიცდის. იგი შობს დიალექტიკურ მატერია-
ლიზმს“. 1

4. ვ. ი. ლენინის კრიტიკა მიმართულია ბუ-
ნებისმეტყველების საფუძველზე აღმოცენებულ
სუბიექტური იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის
წარმომადგენელთა წინააღმდეგ, რომლებიც
მოღვაწეობდნენ XIX ს. მიწურულსა და XX ს.
დასაწყისში. ესენი იყვნენ მახი, აენაროუსი
და მათი რუსი მიმდევრები — რევიზიონის-
ტები — ბოგდანოვი, ზუზაროვი, იუშკევიჩი და
სხვ. შუბე (იმაშენტური ფილოსოფიის ლიდე-
რი), კოპენი (ნეოკანტიანური მიმართულების
წარმომადგენელი) და სხვ.

მაგრამ ამ კრიტიკის მნიშვნელობას დღევან-
დელი ბურჟუაზიული ფილოსოფიის პოზიტი-
ვისტური მიმართულებების წინააღმდეგ არა
თუ არ დაუკარგავს თავისი ღირებულება,

არამედ დღეს უფრო ნათელი ხდება, რომ იგი — ეს კრიტიკა — ძალაში რჩება. არა მხოლოდ მახიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის მიმართ, არამედ ყოველივე პოზიტივიზმის, სუბიექტური იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის მიმართ.

ჩვენ შევეხებით მოკლედ მახიზმის შემცველ ნების თეორიას და მის კრიტიკას, ხოლო შემდეგ ლენინის პრინციპებს გამოვიყენებთ თანამედროვე პოზიტივიზმისა და სუბიექტური იდეალიზმის კრიტიკისათვის.

მახიზმა და აგნოსტიციზმის შემცველის თეორიის მიხედვით შემცენება წარმოადგენს მოვლენების (შეგრძნებების) ეკონომიურ აღწერას და მისი ფუნქცია მდგომარეობს ადამიანის შეგუებაში გარემოსთან. ამ პრინციპს მახი ბიოლოგიურ-ეკონომიურს უწოდებს. მეცნიერების მიერ შექმნილი სტრასის სინამდვილის შესახებ ნამდვილად სინამდვილის სერათი, მისი ასახვა კი არ არის, არამედ ჩვენ მიერ შექმნილია, ჩვენი ბიოლოგიური ორგანიზაციის გამო. მსჯელობა ნამდვილ სინამდვილეზე, მის არსებობაზე, — მატერიალურია იგი თუ სულიერი — „მეცნიერულ ფილოსოფიას“ სცილდება, შეტყუებითაა.

ქვეშარჩიბა ის, რაც უსამოყენებს აგნოსციზმს. ტვინის მემოიბის დარღვეულ წონასწორობას აღადგენს და აღწნად ბიოლოგიურად სისარგებლოა; ქვეშარჩებმა ორგანიზმის რეაქცია გალიზიანებებზე: მავალითად, ბავშვში დაინახა, რომ ბუნებურ ფოთოლს მოძრაობს; დაისვა საკითბი (წონასწორობა დაირღვა); ყოველა პასუხი, რომელიც დააკმაყოფილებს მას (აღადგენს წონასწორობას) არის ქვეშარჩება. ბავშვის პასუხი ასეთია: ფოთოლს სცივა და კანკალებს. ეს პასუხი ისეთივე ქვეშარჩებაა, როგორც ნიუტონის მიერ აღმოჩენილი კანონი (აგნოსტიციზმი). ყველა დამაკმაყოფილებელი პასუხებიდან, ის უნდა მივიჩნიოთ ქვეშარჩებად, რომელიც უფრო ეკონომიურია, როგორც უფრო სისარგებლო.

შევეცნება უპასუხებს ლენინი, შეიძლება ბიოლოგიურად სისარგებლო იყოს, შეიძლება ადამიანი გამოადგეს პრაქტიკაში სიცოცხლის შენარჩუნებაში, სახის შენარჩუნებაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ასახავს ადამიანისაგან დამოუკიდებელ ქვეშარჩებებს“. 1

მახიზმი უირაზე სეაშს საკითხს: იმის მავიერ რომ ვაარკვიოს ქვეშარჩებების, ნამდვილი ცოლნის ბუნება. ის გამოლდის ადამიანის ბიოლოგიური ორგანიზაციის პრინციპიდან და დააკენის: ეს ორგანიზაცია ვანსაზღვრავს იმას, რასაც ცოლნა, ქვეშარჩება უნდა ეწოდებოდეს. ცნებები, პრინციპები, თეორიები

ცლიან ერთმანეთს მეცნიერების განვითარების პროცესში. რატომ ხდება ეს? არა, ამიტომ, ამტყუებს მახიზმი, რომ შევეცნება უფრო ღრმად იჭრება მოვლენათა არსებაში და ასწორებს. უფრო ადექვატურად ხდის წინამავალ თეორიებს, არამედ იმიტომ, რომ ახალი ცნებები, პრინციპები, თეორიები უფრო ეკონომიურია, უფრო ბიოლოგიურად შესაფერისია ვარემოსთან შეგუების პროცესში.

ლენინი არ უარყოფს არც ეკონომიურობისა და არც სისარგებლოს პრინციპს. ის შეიძლება ახსიათებდეს და ხმარად ახსიათებდეს კიდევ ჩვენს ცოლნას, ქვეშარჩებებს, მატრამ მის არსებას სრულიადაც არ წარმოადგენს.

ლენინი აღნიშნავდა, რომ იდეალიზმი არ არის უსაფუძვლო, რომ მას თავისი ვნოსეოლოგიური ფესვები აქვს. იდეალიზმი არის შევეცნების ერთი მხარის, ერთი ხაზის ცალმხრივი გაბრება. შევეცნების, ქვეშარჩებებს თუ აქვს ბიოლოგიური მნიშვნელობა, თუ ის ეკონომიურად ადექვარს და აგვისსნის სინამდვილას მოვლენებს — ეს მხოლოდ ერთი ხაზია, ერთი მხარეა, რომელიც მას ახსიათებს, მისი გაბრება და ქვეშარჩებების არსებად გამოცხადება სწორედ ქვეშარჩებების არსების დამახინჯებაა.

ეკონომიური უნდა იყოს საშუალება ვარკვეული მიზნის მისაღწევად; მიზანი განსაზღვრავს იმ საშუალებებს, რომლითაც ეს მიზანი უნდა იქნეს მიღწეული. შევეცნების მიზანია სინამდვილის სწორი, ადექვატური სურათის შექმნა; ამ მიზნისათვის გამოინახება საშუალებანი, და მათში ის უფრო სისარგებლო იქნება, რომელიც უფრო ეკონომიურია. აქედან როდი გამოიღინარეობს, რომ თვითონ მიზანი უნდა იყოს ეკონომიური, ე. ი. ჩვენი იზრი თითქოს მაშინ იქნება ქვეშარჩიტი, როდესაც ის ეკონომიურია.

მახიზმის მიერ წამოყენებული ქვეშარჩებების გაგება როგორც ბიოლოგიურ-ეკონომიურისა და არა ობიექტური სინამდვილის ასახვისა სუბიექტური-იდეალისტური და აგნოსტიკური, მას არ აინტერესებს თვითონ სინამდვილე და მისი ობიექტური კანონზომიერება; სინამდვილის „სურათის“, ე. ი. მეცნიერებას ჩვენ ექმნით ჩვენი ბიოლოგიური ორგანიზაციისა და მოთხოვნილებების მიხედვით. ამ პრინციპმა სხვადასხვა ვარიაციებით ფართო ვარცელება პპოვა თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფოსთა და მათილსოფოსთა ბუნებისმეტყველოთა შორის.

5. „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმში“ ლენინის მიერ წამოყენებული და განვითარებული შევეცნების თეორიის პრინციპები, რომელთა საფუძვალზე მან გაანადგურა იმდროინდელი სუბიექტური იდეალიზმი და აგ-

ნოსტიციზმი, მთელი თავისი ძალით გამოდგება თანამედროვე სულიერული იდეალიზმის კრიტიკისათვის. ერთ-ერთი უველაზე გაფრთხილებული ბურჟუაზიულ ქვეყნებში სულიერული იდეალისტური ფილოსოფიური თეორია არის პრაგმატიზმი. მართალია, ის წარმოიშვა ჯერ კიდევ XIX ს. მაგრამ განვითარება და გავრცელება პირადად XX ს. დღეს ის ნეოპოზიტივიზმთან ერთად უველაზე მძლავრი და გავრცელებული თეორიაა აშშ (თუმცა მას ბევრი მოწინააღმდეგე იწვევს, იტალიაში, საფრანგეთში და სხვა). დაწვრილებული ამერიკელი მათემატიკოსით პირადად, რომელიც პირველად შექმნა პრაგმატიკური თეორია, ეს თეორია განავითარებს ჯერმანი (ამერიკელი). შილერმა (ინგლისელი) და საბოლოო სახე მისცა მას ჯ. დევიდმა.

პრაგმატიზმის კრიტიკა ლენინური პრინციპების საფუძველზე მარქსისტ ფილოსოფოსების აუცილებელ ამოცანას წარმოადგენს ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი მარქსიზმის წინააღმდეგ არის მიმართული, მეორე იმიტომ, რომ პრაგმატიზმს ხშირად მარქსიზმის პრინციპებთან აიგივებენ¹ და აქედან გამოდინარე მარქსიზმის რევიზიის იხდენენ პრაგმატიზმის საფუძველზე.²

ლენინმა თავის დროზე შეაჩინა პრაგმატიზმის გავრცელება: „უბოლესი ამერიკელი ფილოსოფოსის „უკანასკნელ მოდის“ წარმოადგენს „პრაგმატიზმი (ზეპრინუდლად pragmatizm) საქმი, მოქმედება; მოქმედების ფილოსოფია). ლენინი ასე ახასიათებს პრაგმატიზმს: „განსხვავება მახიზმსა და პრაგმატიზმს შორის მატერიალისმის თვალსაზრისით ისეთივე უმნიშვნელო და შეათუბარისებოვანია, როგორც ემპირიოკრიტიციზმსა და ემპირიოკრიტიციზმს შორის“³. პრაგმატიზმი პირველ რიგში კემპარიტებს თეორიის წარმოადგენს; კემპარიტებს ის უკავ-

შირებს პრაქტიკას; პრაქტიკა განსაზღვრავს კემპარიტებს, ცოდნას, პრაქტიკა არის კემპარიტების საზომი. ეს ისეთი დიქტონიკებია, რომლებიც, თუ არ გაიარება აქ გამოყენებული ტერმინების წამლივი შინაარსი, მარქსისტულ-ლენინური დებულებებისაგან არ განსხვავდება. ვასაკვირვოთ არ არის, რომ მარქსიზმის როგორც ზოგიერთი მომხრე ისე მისი მოწინააღმდეგე ვერ ხედავს იმ არსებით განსხვავებას, რომელიც ამ ორ თეორიას შორის არსებული, ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი — დღეს მშვიდობის აქტიური მომხრე და მებრძოლი — რასელი უსაუვედრებებს პრაგმატიკებს, რომ ისინი პრაქტიკის მარქსისტულ პრინციპს იზიარებენ, ფილოსოფოსი ჯ. სიმერელი, რომელიც თავის თავს მარქსისტად თვლის და ამერიკაში მარქსიზმის მკვლევად ითვლება, ვერ არხებს მარქსიზმს პრაგმატიზმისაგან. „პრაგმატიციზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ ლენინი განავითარებს მარქსიზმის დებულებას პრაქტიკის პრინციპის შესახებ შეხვედრების თეორიაში. პრაქტიკა არის ადამიანთა წარმოებითი მოღვაწეობა, ადამიანთა ზემოქმედება ბუნებაზე და საზოგადოებაზე მათი გარდაქმნის მიზნით. პრაქტიკის ცნებაში იგულისხმება, რასაკვირველია, ცდებიც, ექსპერიმენტებიც, რომლებსაც აყენებენ ლაბორატორიაში და რომელნიც საბოლოოდ იმავე მიზანს ემსახურებიან, ამ პრაქტიკის პროცესში შეიცნობს ადამიანი სინამდვილეს. თუ რამდენად კემპარიტია ჩვენი აზრები სინამდვილეს, ამის შემოწმება ხდება პრაქტიკაში. აზრი გამოიქმნება სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს ან კემპარიტია ამ მცდარია; პრაქტიკა კი არ აძლევს ამ აზრებს კემპარიტების ხასიათს, ის მხოლოდ ამოწმებს მათ. აზრი, რომელიც პრაქტიკამ გაამართლა მთავითვე კემპარიტის ყოფილა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას პრაქტიკა არ გაამართლებდო, და, პირიქით, აზრი, რომელიც პრაქტიკაში არ გამართლდა, იმთავითვე მცდარი ყოფილა.

პრაგმატიზმის მიხედვით ჩვენი აზრები არც კემპარიტნი არიან და არც მცდარნი: მათ „ემართება“ კემპარიტება და მცდარობა ჩვენი ცხოვრების“ სხვადასხვა მომენტში; ის, რაც ერთ მომენტში კემპარიტია, მეორე მომენტში შეიძლება მცდარი იყოს; მთავარი აქ ის არის, თუ რა ხარგებლობას მომიტანს ეს აზრი, ეს თვალსაზრისით „ჩვენი ცხოვრების“ ან თუ იმ მომენტში, კემპარიტია ის, რაც პრაქტიკულად სასარგებლოა, რაც მოგვებს მომენტს, და არა ის, რაც საგანთა ვითარებას ასახავს. საგანთა ვითარებას, სამყაროს ჩვენ არ ვცნობთ, ჩვენ ვაქვს შეგარძნებები, ისინი ჩვენ თავს გვხვებენ, ჩვენ არ ვართ მათი წარმოშობის მიზეზი. ამ შეგარძნებებიდან ჩვენ

¹ დღეს მოწინააღმდეგე — ტროცკისტი — სიღნევი პუკი წერდა, რომ მარქსი იყო პრაგმატიკური მატერიალისტი, ხოლო თვითონ ს. პუკი არის მატერიალისტურ პრაგმატიკი და აფიქტი მარქსიზმსა და პრაგმატიზმს შორის არ არსებობს არსებითი განსხვავება. ასევე პრაგმატიკი კოკი 1950 წ. წერდა, რომ მარქსისტული და პრაგმატიკური ფილოსოფია არსებითად იგივეობრივია, განსხვავება ტერმინოლოგიაშია.

² ამერიკელი რევიზიონიზმი ცდილობს ამოიღოს კომუნისტური პარტიის პრაგმატიზმიდან სიტყვა „მარქსიზმ-ლენინიზმი“ და შეცვალოს იგი „მოქმედების თეორიით“, რომელსაც ამერიკელი მუშათა კლასი თვითონ შექმნის (მოქმედება — pragmatism).

³ ib., გვ 436.

ვაშენებთ სურათს, ისეთს, რომელიც ჩვენთვის სასარგებლოა, პრაქტიკულად გამოსადგება. ექვნით ატომის ცნებას, რადგან ის სასარგებლოა გარკვეული შეგარბნებების მოსაწესრიგებლად, ექვნით ლმერთისა და უკვდავების ცნებას, რადგან ის ჩვენითვის სასარგებლოა — ის გვაძლავს გარანტიას დაუბოლოებელი სიუცხლისა და სხვ.

ლენინის საბუთი მახინჯის წინააღმდეგ აქაც საუცხოოდ გამოდგება: კუჭმარიტება სასარგებლოა, რადგან სინამდვილის კანონზომიერებას ასახავს და ამ კანონზომიერების ცოდნით ჩვენ ნაყოფიერად ვარამოვბთ ზემოქმედებას ბუნებაზე მისი გარდაჭენის ზიზნით, ის გზას გვინათებს ჩვენს პრაქტიკულ მოღვაწეობაში. მაგრამ არსებითად მცდარია ამ დებულების შებრუნება: რადგან სასარგებლოა, ამიტომ კუჭმარიტია. სასარგებლოს, მოვების (ამ ტერმინს ხმარობს ზოირად ჯუშის) ნიშანი სრულად სხვა კატეგორიას ეკუთვნის, ვიდრე კუჭმარიტების.

რაც შეეხება პრაქტიკის ცნებას, პრაგმატიზმი აქ ამ ცნებაში ვიწრო პიროვნულ საქმიანობას გულისხმობს, იმდენი კუჭმარიტებაა, რომდენიც აღამიანია, ან უფრო სწორად, რამდენიც არსებობს განსხვავებული სასარგებლო, განსხვავებული მოვება სხვადასხვა აღამიანისათვის. შემთხვევითი როდია, რომ ინგლისელმა პრაგმატიტმა შილერმა პრაგმატიზმს სხვა სახელი უწოდა: ჰუმანიზმი ან ნეოპროტაგორეიზმი. ჰუმანიზმი ამის მიჩვენებელი უნდა ყოფილიყო, რომ კუჭმარიტება აღამიანია. სუბიექტიურობა, ხოლო ნეოპროტაგორეიზმი ბერძენი სოფისტის პროტაგორას დებულების გაზიარებას უნდა ნიშნავდეს: აღამიანი არის საზოში კუჭმარიტების. ამით მოხსნილია კუჭმარიტების ობიექტური ხასიათი, ე. ი. მოხსნილია კუჭმარიტება, ცოდნა საერთოდ. პრაგმატიზმი იმერტებს მახინჯის სუბიექტურ იდეალიზმსა და ანოსტიციზმს ლენინის მიერ გადაღვრებულს.

დიდის სახით პრაგმატიზმი უფრო შორს მიდის. ცოდნა, ჩვენ ი აზროთ, მსჯელობებში გამოიხატება, ისეთ მსჯელობებში, რომლებიც ასახვენ სინამდვილეს. დიდის აზრით მსჯელობის სრულიადი არა აქვს საქმე კუჭმარიტებასთან როგორც სინამდვილის ასახვასთან: მსჯელობა არის გარემოსთან შევტების საშეალება, ინსტრუმენტი, ხოლო საშეალება არც კუჭმარიტია და არც მცდარი; საშეალება, ინსტრუმენტი შეიძლება იყოს ეფექტური ან არა ეფექტური, გამოსადგება ან გამოუსადეგარი, ეკონომიური ან არა ეკონომიური. საშეალებას, რომელიც ეფექტურია, გამოსადგება, ეკონომიურია, ჩვენ კუჭმარიტებას ვუწოდებთ. ამბობს დიდი. ის, რაც დღეს

ეფექტურია, ხეალ შეიძლება ისეთი აღარ იყოს, ამიტომ კუჭმარიტება ყოველ წაქს ცვალებადია, ის დამოკიდებულია პიროვნების მოქმედებაზე და მოქმედების შედეგზე.

დიდი არც აქ ჩერდება. კუჭმარიტება აზრ ი აკ არ არის, რომელიც სინამდვილეს ასახავს და რომელიც პრაქტიკაში გამოყენებული სარგებლობას მომართავს, კუჭმარიტება თვითონ პრაქტიკაა, მოქმედება. კუჭმარიტების მოქმედებად გაღმეცვა სობს განსხვავებას კუჭმარიტებასა და მცდარობას შორის, ამროვნებასა და დიხიურ პიროცესებს შორის.

ჩვენი მოქმედება არის ჩვენი შემეცნება, ამში მდგომარეობს კუჭმარიტების აგება; და კუჭმარიტების აგება ამავე დროს არის რეალობის, სინამდვილის აგება. სინამდვილე იქმნება შემეცნების პროცესში. კუჭმარიტებით როგორც ინსტრუმენტით ვაგებთ ჩვენ ი მ ა ს, რ ა ს ა ც ს ი ნ ა მ დ ვ ი ე ე წ ო დ ე ბ ა .

ეს აზრი, სახელდობრ, რომ „კუჭმარიტების აგება“ იგივეა, რაც „სინამდვილის აგება“ გაჩევევას მოითხოვს. პრაგმატიზმის შესახებ არსებულ ჩვენს ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, თითქოს გამოთქმა „სინამდვილის აგება“ ნიშნავდეს მატერიალური სამყაროს საგნების შექმნას!

პრაგმატიზმი ბერეუაზიული, რეაქციული თეორიაა, ის დღეს იმპერიალიზმის სასახურში დგას, ის მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ იბრძვის, მის გაყალბებას ცდილობს; ამერიკული იმპერიალიზმის პოლიტიკა პრაგმატიზმით არის გამართლებული: ის არის კუჭმარიტი, რაც მისთვის სასარგებლოა, ის „სამყაროა“ მისთვის მისაღები, რომელსაც ის ააშენებს.

მაგრამ პრაგმატიზმის კრიტიკა მიზანს ვერ მიაღწევს, თუ ჩვენ მათ წარმომადგენლებს ბრალს დავებთ, თითქოს ისინი იმ აზრის არიან, რომ აღამიანი — კაობრიობა საერთოდ — ქმნის მატერიალურ სინამდვილეს, რომელიც აღამიანისაგან და აღამიანთაგან დამოუკიდებელია, აღამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელია. საქმე ეხება არა მატერიალური ბუნების აგებას, რომელიც დამოუკიდებლად არსებობს ცნობიერებისაგან — ის თუ დამოუკიდებლად არსებობს ცნობიერებისაგან, ის არ იწნებოდა აღამიანის ცნობიერების შექმნილი — საქმე ეხება ჩვენს ცოდნას

1 იხ. მაგალითად, 1958 წ. ტრსანოვის «Гносеология современного прагматизма», აქ ნათქვამია, რომ პრაგმატიზმის მიხედვით შემეცნების პროცესი არის «создание» объектов познания, т. е. (კ. ბ.) предметов самой материальной действительности существующих совершенно независимо от сознания субъекта». стр. 99.

ბუნების შესახებ, რომელიც, მართლაც, იდამიანის ცნობიერების (აზროვნების) საშუალებით შენდება. თუ ეს ასეა, რაღა განსხვავება არსებობს მარქსიზმსა და პრაგმატიზმს შორის ამ საკითხში? განსხვავება არსებითი და პრინციპულია: „მარქსიზმი“ და ემპირიოკრიტიციზმი“ გარკვეულად არის წინოყენებელი და დასაბუთებელი დებულება იმის შესახებ, რომ ბუნება არსებობს ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად და აისახება ჩვენს ცნობიერებაში; ჭეშმარიტია სინამდვილის ეს სურათი — სურათი ჩვენ მიერ შექმნილი —, თუ მისი სინამდვილე არის დამოუკიდებელია ჩვენგან, განსაზღვრულია ობიექტური სინამდვილეთი ისე, როგორც ეს სინამდვილე არსებობს.

პრაგმატიზმი არ უარყოფს ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ სინამდვილეს: ასეთი სინამდვილე არსებობს, მაგრამ იგი რაღაც „ბუნებია“, „გამოცნობია“: პრაგმატიზმის მიხედვით ჩვენ ვაგებთ შეგრძნებებიდან გარკვეულ სურათს და მის ეფუძვლებზე ბუნებას, სამყაროს; სხვა სამყაროს ჩვენ არ ვიცნობთ. მარქსიზმის სიმართლეა ის, რომ არის ჩვენ მიერ შექმნილი. არამედ გარკვეული სურათი ჩვენი მოთხოვნილებებისათვის აგებული, რომელიც გარემოსთან შევსაბუთებს, ჩვენ მოქმედების ეფუძვლად და ეკონომიკურად მოაწესრიგებს. რაც შეეხება ობიექტურად არსებულ სინამდვილეს, არც შეცნობისას, არც ფილოსოფიის მასთან საქმე არა აქვს. ეს არის წმინდა სუბიექტური სურათი, ცვალებადი სხვადასხვა სიტუაციაში, პრაქტიკისათვის სასარგებლო, ხელსაყრელი; ეს არის თვითონ პრაქტიკა, რომელიც ჭეშმარიტებაც არის და ისიც, რასაც სინამდვილე უნდა ეფუძვლოს.

პრაგმატიზმი სუბიექტურ-იდეალისტური თეორია: მახიზმის მსგავსად მას ჭეშმარიტება მიანიხსნა სუბიექტურ წარმართვად, რომელსაც იმეც არავითარი ობიექტური შინაარსი არ იგულისხმება. ამ მხრივ მახიზმის ლენინისეული კრიტიკა ძალაში რჩება პრაგმატიზმის მიმართაც. ლენინი აღნიშნავდა, რომ მახისტებიც მიმართავენ პრაქტიკის კრიტიკიზმს, მაგრამ იქვე განმარტავს, რომ „ამ კრიტიკიზმის ახსნა შეიძლება სუბიექტურად და ობიექტურად“¹ პრაგმატიზმისათვის ისევე როგორც მახიზმისათვის პრაქტიკის კრიტიკიზმი თავიდან ბოლომდე სუბიექტურია და ლენინის საბუთები მახიზმის წინააღმდეგ წამოყენებულ ამ შემთხვევაშიც საყვარებით სამართლიანია პრაგმატიზმის მიმართ. საქმე ის არის, რომ როდესაც პრაგმატიზმი ლამარკოზურ პრაქტიკაზე, რომელშიც უნდა გაიმართლოს იდეის ჭეშმარიტება, მათ მხედველობაში აქვთ

არა ჭეშმარიტება როგორც ასეთი, არამედ ის პრაქტიკული შედეგები, ის წარმართვები, რომელიც შეიძლება მიიღოს სუბიექტიზმიდან. ლენინი სწორედ აღნიშნავდა, როდესაც მახიზმს აკრიტიკებდა: „სოლიფისისტიკისათვის „წარმატება“ არის ყველაფერი ის, რაც შეგვირბა ბ ა კ ტ ბ კ ა შ ი...“¹.

დაბოლოს შეიძლება ასეთი საკითხი დავუსვათ პრაგმატიზმს: რა პირობებში მოვევითანს პრაქტიკა წარმატებას? რა უნდა იყოს შესრულებული, რომ პრაქტიკული მოქმედება სასარგებლო იყოს, წარმატებით დამთავრდეს? ხომ არ შეიძლება ყოველი პრაქტიკული მოქმედება სასარგებლო აღმოჩნდეს, წარმატებით დამთავრდეს? პრაქტიკული მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვევითანს წარმატებას, „სარგებლობას“, თუ იგი ჭეშმარიტი თეორიით ხელმძღვანელობს, როდესაც იგი ეყრდნობა ბუნებისა და საზოგადოების კანონების ცოდნას. პრაქტიკა თეორიის განსაზღვრებას; მხოლოდ ჭეშმარიტი თეორია განსაზღვრავს ნაყოფიერ, „წარმატებულ“ პრაქტიკულ მოღვაწეობას.

6. ის, რაც ობიექტივად, წინააღმდეგობებით საყვარ და ხშირად ძნელად გასაგებ გამოთქმაში (ლითე) ზამთარობის ამერიკელი-ინგლისელ პრაგმატიკებში, ყოველგვარი ობიექტივების გარეშე, ვულგარულად და პირდაპირ გამოთქვა გერმანულ კანტიანულ-პრაგმატიკაში პ. ფაიხინგერმა. თავის თეორიის ფაიხინგერის უყოფებს „კრიტიკულ პოზიტივიზმს“ ან „იდეალისტურ პოზიტივიზმს“ (თითქოს შეიძლება არსებობდეს არა იდეალისტური პოზიტივიზმი კ. ბ.).

ფაიხინგერი ფიქრობს, რომ ჭეშმარიტება — ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით — არის მსჯელობა, რომელიც სინამდვილეს ასახავს, მაგრამ ამგვარ ჭეშმარიტებაზე — ე. ი. „ჭეშმარიტებაზე“ ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით — თანამედროვე შემეცნების თვალსაზრისით შეუძლებელია ლამარკი: ამგვარი ჭეშმარიტება მთელსწველია იდეალიზმის გონებისათვის.

იდეალიზმის ორგანიზმი უპირისპირდება ვარც სამყაროს, საიდანაც ის იღებს მრავალ საწინააღმდეგო შეგრძნებებს; იმისათვის, რომ დაიცვას თავი, იდეალიზმი მიმართავს დამამარცხ საშუალებებს: იქ ქმნის ფიქციებს, რომელთა საშუალებით მოაწესრიგებს შეგრძნებას და რომელიც პრაქტიკულ მოღვაწეობაში მის გამოადგება. ატომი, ელექტრონი, მსოფლიო მიზიდულობა და სხვ. და სხვ. ყველაფერი ეს ფიქციებია, შექმნილი ჩვენი მიზანშეუწონილი მოქმედებისათვის. ამ ფიქციებს არავითარ შემეცნებითი ღირებულება არა აქვთ. შეგრძნებათა ქაოსში გასარკვევად, პრაქტიკული

¹ ib., გვ. 370.

¹ ib., გვ. 168.

მოქმედებისათვის ჩვენ ვქმნით საშუალებებს — ფიქციებს — რომლებსაც არაფერი საერთო არა აქვს ობიექტურ სამყაროსთან, ჩვენ წინასწარ ვიცით, ფიქცია მცდარობას (Irrium ვანდაკლენი წარმოადგენს, მაგრამ მას მივიჩნევთ ჭეშმარიტებად, რადგან ის გვეჩვენება პრაქტიკულ ცხოვრებაში, მოქმედებაში.

ამრიგად: ჭეშმარიტება, ამბობს ფაიხინგერი, არის მცდარობა, მიზანშეწონილი მცდარობა. ასეთია ვაშისფერადი სახით წარმოდგენილი სუბიექტური იდეალიზმი და აგნოსტიციზმი.

7. პრაქტიკული მართან ერთად ბუნებრივად ფილოსოფიაში მეორე ასეთივე გვირგვინი მნიშვნელობა არის ლოგიკური ემპირიზმი. წარმოშობილი აესტრიაში (ე. წ. „ვენის წრე“ მ. შლიკის მეთაურობით) და თავისებური ფორმით ინგლისში (რასელი და სხვ.) ეს მიმართულება ვერცეულა და მოყოლო ყველა კაბიტალისტურ ქვეყანას. ამ მიმართულების დამაარსებელი არ მალავენ თავის ფილოსოფიურ ნათესაობას მახის ფილოსოფიასთან. მართალია, მათ ბევრი რამ შეცვალეს, ამ მიმართულების დაყვანა ნახიზმზე აღარ შეიძლება, მაგრამ სუბიექტური იდეალიზმი, რელიგიაზმი და აგნოსტიციზმი რჩება მათი ნახარების ძირითად დამაბასიათებელ ნიშნებად. ჩვენ ვერ შევხვებით ამ „ვერსიას“, რომელიც განიცადა ლოგიკურ ემპირიზმა უკანასკნელი 35 წლის განმავლობაში (1922-დან დღევანდლამდე); ჩვენ მის დამაბასიათებელ პრინციპებს შევხვებით, რომლებიც ფიზიკური იდეალიზმის თავისებურ სახეობას გამოხატავენ.

ლოგიკური ემპირიზმი, როგორც ეს მისი სახელწოდებიდან ჩანს, ემპირიციზმისა და ლოგიციზმის თავისებურ შეერთებას წარმოადგენს.

ლოგიკური ემპირიზმი როგორც ყოველივე ემპირიზმი ამოსავალ წერტილად შეგარწმუნათა მონაცემებს თვლის. შეგარწმუნა არ წარმოადგენს მისი აზრით ობიექტურად საგნის სუბიექტურ სურათს. შეგარწმუნათა მონაცემი თავიდან ბოლომდე სუბიექტურია. რასელი ფიქრობს, რომ აღაშინა ამ პირად შეგარწმუნების გარეთ ვერ გავა, ის ჩაეტილია ამ შეგარწმუნათა წრეში. ლაკინების, ცდების საფუძველზე ჩვენ ამ შეგარწმუნების მონაცემს ვაკრეფული დებულებების სახით გამოვთქვამთ: ეს დებულებები „პორტოკოლური“ დებულებებია. მეცნიერების მიზანი მდგომარეობს ამ დებულებების ლოგიკურ დაზღვევაში, ლოგიკურ სისტემაში მოყვანაში. როგორია ეს ლოგიკური პრინციპები, რომელთა საშუალებით ხდება მოცემული დებულებები მთლიან სისტემაში მოყვანა? აქ იწყება ყველაზე „საინტერესო“ ამბავი: იწყება თანამედროვე მეცნიერების მიღწევების თავისებური გამოყენება.

საქმე ის არის, რომ მათემატიკის განვითარება შედეგად შეიქმნა არა „ვერსიული“ გეომეტრიები, გეომეტრია შენეხდა „სუბიექტური მეთოდით. ეველიდეს გეომეტრიის აქსიომებში იყო აქიომა, რომლის მიხედვით სწორი ხაზის გარეშე მდებარე წერტილზე შეიძლება გაყვანილ იქნას მხოლოდ ერთი სწორი მოცემული ხაზის პარალელი. კარგა ხნის განმავლობაში ეს გეომეტრია ითვლებოდა ერთადერთ ჭეშმარიტ გეომეტრიად. გენალურმა რუსმა მათემატიკოსმა ლობანეცკიმ ააგო გეომეტრია, რომლის აქსიომებში ეველიდეს აქიომის საწინააღმდეგო აქიომა დაუშვა: ამ წერტილზე შეიძლება მოცემული ხაზისაღმდეგ მრავალი პარალელი ხაზის გაყვანა. შეიქმნა თავისებური სახის ზუსტი ლოგიკური გეომეტრიული სისტემა. ამჟამად არსებობს მრავალი „გეომეტრიები“. თუ ერთ გეომეტრიაში, მავალი „თად, სამუთხედის შინაგანი კუთხეების ჯამი 2d-ს უდრის. მეორე გეომეტრიაში — 2d-ზე ნაკლებს, მესამეში 2d-ზე მეტს.

ყველა ეს გეომეტრია, როგორც აღვნიშნეთ, ზუსტ ლოგიკურ სისტემას წარმოადგენს. იბადება კიბხეა, რომელი მათგანია ნამდვილად ჭეშმარიტი, რომელი ასახავს სივრცის ნამდვილ, ობიექტურ თვისებას. ამ საკითხს ფიზიკური ექსპერიმენტი, პრაქტიკა წყვეტს. სივრცე მრავალმხრივია და ეს გეომეტრიები ასახავენ მის სხვადასხვა მხარეს. რასაკვირველია, შესაძლებელია ისეთი სისტემა ააგოს, რომელიც ობიექტური სინამდვილის არცერთ მხარეს არ ასახავს; ასეთი სისტემა თავიდან ბოლომდე ნებისმიერი იქნება. შესაძლებელია ისიც, რომ შეიძლება აღმოჩნდეს საგანთა ისეთი კლასი, რომელიც აქიოციზმებს ასე აგებულ გეომეტრიაში, მაშინაც ისიც სინამდვილის გარკვეული მხარის ამსახველი იქნება.

ლოგიკური ემპირიზმი „პარაზიტობს“ — როგორც ლენინი იტყობა — მეცნიერების განვითარებაზე, გეომეტრიის ასეთი განვითარების საფუძველზე ლოგიკურ ემპირიზმში ის დასკვნა გააკეთა, რომ სივრცეს კი არა აქვს მრავალმხრივობა ობიექტურ თვისება, რომლის სხვადასხვა მხარეს ასახავენ ეს გეომეტრიები; არამედ ჩვენ შეგონის ნებისმიერად მიაყვარო სივრცეს სხვადასხვა თვისებას და ამიტომ ეს გეომეტრიები არაფერს ობიექტურს არ გამოხატავენ: გეომეტრიის ყოველი სისტემა შედგება მეცნიერის ნებისმიერი შემოქმედების. დავადგინო აქიომათა ერთ სისტემას, მივიღებთ ერთ გეომეტრიას, დავადგინო მეორე სისტემას, მივიღებთ მეორე გეომეტრიას, არცერთ მათგანს არა აქვს ობიექტური მნიშვნელობა, მათგანია მხოლოდ სისტემის ლოგიკური ხასიათი.

ასეთი გაგება თანამედროვე გეომეტრიის 1 ლოგიკურ ემპირისტულმა გაავრცელებს ლოგიკაზე; ლოგიკის წესებიც ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენ მათ ნებისმიერად ვადგენთ. ჩვენ შევთანხმდებით გარკვეული წესების მიღებაში და მათი საშუალებით „პროტოკოლურ“ დებულებებს სისტემაში მოვიყვანოთ. ლოგიკური ემპირიზმის დღევანდელი ლიდერი კარნაპი წერდა: ლოგიკაში არ არსებობს მორალი, უფლას შეუძლია თავისი წესები დაადგინოს. „წესების არჩევანი ჩვენ სრულიად თავისუფალნი ვართ“. ლოგიკის კანონები ისეთივე ხასიათისაა, როგორც თამაშის წესები: ორივე ერთნაირად ნებისმიერია. საჭიარისა მხოლოდ შეთანხმება. შევთანხმდებით (კონვენციონალიზმი) ერთ წესებში და მათ საშუალებით მოვიყვანოთ სისტემაში შეგარბნებათა მონაცემს — მივიღებთ სამყაროს ერთ სურათს, შევთანხმდებით სხვა წესებში — მივიღებთ სამყაროს სხვა სურათს. სამყარო ასე აგებული — ჩვენი კონსტრუქციაა. რა არის კონსტრუქცია ამ თვალსაზრისით; არა სინამდვილის ასახვა, არამედ დებულებათა ერთმანეთთან ლოგიკური თანმიმდევრული დაკავშირების შეთანხმების საფუძველზე, წინასწარ მიღებულ „თამაშის წესებზე“. რასელი წერდა, რომ სამყარო ჩვენი კონსტრუქციაა; ვამსხვეთხვებ მატერიალურსა და სულიერს შორის თეოლოგიური წარმოდგინებისა. ის, რაც ჩვენ გვეძლევა შეგრძნებებში არც მატერიალურია და არც სულიერია (მისიზმი); უგარბნებების ლოგიკური ვადამშუალებით ჩვენ შექმნილ პირველად მატერიალურსა და სულიერს ცნებებს.

თუ სამყარო ჩვენი კონსტრუქციაა და იგი ნებისმიერად მიღებული წესების („თამაშის წესები“) საფუძველზეა აგებული, მაშინ სამყაროს იმდენი სურათი შეიქმნება, რამდენიც სხვადასხვა წესით, რომელსაც ჩვენ მივიღებთ შეთანხმების საფუძველზე.

ლოგიკური ემპირიზმის ერთ-ერთი ლიდერთაგანი პ. რაიხენბახი წერდა: უსართ კამათი იმის შესახებ, თუ რომელი სისტემა კონსტრუქციაა, პტოლომესი თუ კოპერნიკისი. ვაზიარება ერთი ან მეორე სისტემის დამოკიდებულია პირობით შეთანხმებაზე კოორდინატთა სისტემის შესახებ, და თუ დღეს კოპერნიკის სისტემას ვარჩევთ, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ის კონსტრუქციაა და პტოლომეს სისტემა მცდარია, არამედ იმიტომ, რომ ის უფრო ხელსაყრელია და ეკონომიურია.

რით ვამსხვეთხვება ეს თვალსაზრისი მახის ეკონომიის პრინციპისაგან? არაფრით. ლენინის კრიტიკა ეკონომიის პრინციპისა აქ ისევე

ძალაშია როგორც მახის მიმართ.

ფიზიკის განვითარებამ ბრწყინვალედ გაამართლა ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ ფიზიკა მშობიარობის პროცესს განიცდის და იგი დიალექტიკურ მატერიალიზმს შობს. თანამედროვე ფიზიკამ დაადგინა, რომ მიკროობიექტები საწინააღმდეგო თვისებების არიან: მიკროობიექტი ერთსა და იმავე დროს არის ნაწილაკიც და ტალღაც, წყვეტილიც და განუწყვეტელიც, პოზიტისტიც ფრანკი, ვერდნობა რა ლოგიკური ემპირიზმის პრინციპებს, ცდილობს დამატკიცოს, რომ ამგვარი რამ შეუძლებელია არსებობდეს: ეს ისეთივე ობიექტია, როგორც ენტაერია — ნახევრად აღამიანი, ნახევრად ცხენი. სინამდვილეში აქ ჩვენ სხვადასხვა წესებს გამოვიყენებთ და სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ: თუ წესების ერთ სისტემას მივიღებთ, უნდა ვილაპარაკოთ ტალღაზე, თუ მეორეს — ნაწილაკზე. მთავარია შეთანხმება გარკვეულ წესების სისტემაში.

თუ წესები ჩვენ მიერ შედგენილია, რომლითაც ჩვენ მოვაწესრიგებთ გრძნობად მონაცემს, ცხადია, სამყაროს სურათი ჩვენზე, ჩვენს ნებაყოფლობაზე დამოკიდებული, ის არ ასახავს ნაშვლი სამყაროს. ასეთ სურათს ვაგებთ ჩვენ, რადგან ის ხელსაყრელია. შესაძლებელია ფიზიკური პროცესების ნებისმიერი ინტერპრეტაცია, უნდა დავუღიოს მხოლოდ ჩვენ მიერ შექმნილი „თამაშის წესები“.

ლენინმა უკვე „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ გააკრიტიკა ასეთი თვალსაზრისი: ლენინმა აქ ეხებუდა მახისტ კლასიკურების თვალსაზრისს, რომელიც წერდა: „რომ ფაქტების ერთი და იმავე დარგის შესახებ მრავალი თეორიის მოცემა შეიძლება... ეს ფაქტი კარგად იციან ფიზიკოსმა... და ეს ფაქტი დაკავშირებულია ჩვენი აზროვნების ნებისმიერ ხასიათთან; მასთან იხატება ჩვენი ნების შეუღობ. უკულობა გარეგანი გარემოებით“.

როგორც ესედავთ, რა თავისებურებაც უნდა ახასიათებდეს ლოგიკურ ემპირიზმს, ძირითადად, არსებითში ის მისიზმის პრინციპებს ვერ გასცილებია. ამ პრინციპებზე აგებული სუბიექტური იდეალიზმისა და მასთან დაკავშირებული რელიგიოზიზმის და ავროსტიციზმის კრიტიკა მოკლებული აქვს ლენინს თავის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.

სამჭოთა ფილოსოფოსების ამოცანა თანამედროვე სუბიექტური იდეალიზმის კრიტიკის მიმართ მდგომარეობს ლენინის მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპების გამოყენებაში და ამ პრინციპებზე დაყრდნობით თანამედროვე ფიზიკური იდეალიზმის რეაქციონერი ბუნების მხილებაში.

1 სინარტიკისათვის ჩვენ მხოლოდ ერთ მხარეს მივაჭყევეთ ყურადღება; მეორე ჩვენი მიზნებისათვის ესეც საჭიარისაა.



კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ნატვრის თვალის“ გამომცემლობის

მეოცე საუკუნის ქართული პროზის მრავალ-სახიანობის შექმნაში თვალსაჩინო წილი მიუძღვის კონსტანტინე ლორთქიფანიძეს. მისი პირველი გახმაურებული ნაწარმოები „კოლხეთის ცისკარი“ საყოველთაოდაა აღიარებული, როგორც ზენი ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილება. მწერლის ახალი რომანის „ნატვრის თვალის“ გამოქვეყნებული ნაწილი მრავალი ლიტერატურული პრობლემის დაყენებისა და მათ ირგვლივ მსჯელობის საშუალებას იძლევა.

პირველყოფლისა „ნატვრის თვალის“ იდეის შესახებ.

ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორმაგი მნიშვნელობა გააჩნია. ყოველი ქმნილება ასახელებისადმი, მასალისადმი, რომლის ფორმაც იშლება კონფლიქტი და მტკიცდება იდეა. გარკვეულ მიმართებაში გვაყენებს, ყოველი ქმნილება გარკვეულად გაგვაჩვენებს სინამდვილის მიმართ, უფრო ზუსტად, გვაძლევს ან გვაყვარებს მის, შეგვემართავს ან მის წინააღმდეგ, ან მის გამამტკიცებლად. მხატვრული სახე, უწინარეს ყოვლისა, რომელიმე მოვლენის გარკვეული მხარით, გარკვეული კუთხით დანახვა და ათვისება; მოკლენათა მხატვრული ათვისების დროს ჩვენ განსაზღვრული ვართ ჩვენი სოციალურ-საზოგადოებრივი, კლასობრივი, ეროვნული, მატრიც, ყოფითი ურთიერთობებით. ამიტომ თანამედროვეთათვის ნაწარმოების კონკრეტული მასალისადმი იდეურ-ემოციური დამოკიდებულებაა გადაწყვეტი თვით ესთეტიკური აღქმის თვალსაზრისითაც. შილერის „ჟუანიტის“ შექმნის ეპოქაში ამ ტრადიციამი მათურებელს და მკითხველს აღუბუნიდა ბიურგერული გერმანიის ნეგაცია და მის წინააღმდეგ, სწორედ მის წინააღმდეგ, ბრძოლა. ასეთ ვითარებაში წინა პლანზეა ნაწარმოების კონკრეტული თემა, კონკრეტული კონფლიქტი, კონკრეტული პრობლემა, კონკრეტული იდეა. მომავალი ეპოქებისათვის აღნიშნული კონკრეტული მომენტები უმკვეთლად კარგავენ პირველად მნიშვნელობას: ჩვენ მათ მიმართ გარკვეულად ინდიფერენტულნი ვხდებით. შილერის „ჟუანიტის“ ბიურ-

გერული გერმანიის ნეგატურ ფერებში წარმოდგენა და მის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს მიერ დღეს აღარ აღიქმება ამ ნაწარმოების იდეად. ახალ ეპოქაში კონკრეტული უკვე მხოლოდ ფონია, სადაც კონკრეტულში დატეხილი ზოგადი იდეა უნდა გამოვლენდეს. ჩვენთვის „ჟუანიტის“ დღეს უკვე სხვაგვარი მნიშვნელობით, პირველბის თავისუფლებისა და ღირსებისათვის ბრძოლის მნიშვნელობით ელტრს. და აქედანაა სწორედ იმის შესაძლებლობა, რომ ყოველი თაობა დიად ქმნილებებს თავისებურად ეთხულონ.

თავისებურად დგას საკითხი ისტორიული ეპოქის ქმნილებათა მიმართ. ასეთი ნაწარმოების მნიშვნელობა იმთავითვეა დაფუძნებული ხელოვნების ქმნილებას იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც ჩვენ ზემოთ „მეორე“ მნიშვნელობა ვუწოდებთ. ისტორიული ეპოქაზე მომუშავე მწერლისათვის განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი კონკრეტულ მასალაში ზოგადის გამოთქმის აუცილებლობისა.

შეშასადავ, ხელოვნების ქმნილების კონკრეტული შინაარსი და კონკრეტული იდეა ყოველთვის იტყვის უფრო ზოგადს, რაც მისი, ამ ქმნილების, სიცოცხლისუნარიანობის უპირატესი პირობაა.

როგორ წარმოვიდგება ამ თვალსაზრისით „ნატვრის თვალის“ იდეა?

„ნატვრის თვალის“ ძირითადი მიზანდასახულება ჩვენი სინამდვილის მიმართ ბოზიტური დამოკიდებულების განმტკიცებაში მდგომარეობს. ეს რომანი შეგვემართავს სოციალისტური სინამდვილის დამკვიდრებისა და განვითარებისათვის საბრძოლველად. აღნიშნულ ნაწარმოებში იდეური თვალსაზრისით საბუთია ლიტერატურის მაგისტრალურ ხაზზე დგას. ესაა „ნატვრის თვალის“ კონკრეტული თემის ფონზე გამოთქმული კონკრეტული იდეა. მაგრამ ამ კონკრეტულში დატეხილი ის ზოგადიც, რომელიც მარადიული და საყოველთაო ესთეტიკური ღირებულებისა და რომელსაც შრომის პერტოია ეწოდება. ესადა, რომ ეს ზოგადიც ეპოქისეული კონკრეტული იდეური ბირთვით და თვით ასახული სინამდვილის ხასიათით არის ყოველთვის პირობადებული.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარსა“ და „ნატურის თვალს“ შედარება-ანალიზისას დადგინდება გამოსახვის ხერხების მხრით მათი როგორც განმასხვავებელი, ისე იდენტური ნიშნები. ამ ორი რომანის განმასხვავებელი თავისებურებების ანალიზი კონკრეტულ მასალაზე ცხადყოფდა ქართული პროზის მრავალსახიანობის საკითხს, აგრეთვე შექმნიდა მოხვედრა გარკვეული ლიტერატურული ეპოქის, რომანის ფარგლებში ასახვის განსხვავებული ხერხების გამოყენების საკითხს.

რომანის პრობლემა ეპოქის სფეროს განეკუთვნება. ყოველი ლიტერატურული ეპოქა ობიექტურად თვით ასახავს მასალითა პირობადებული. ასახავს მასალა ობიექტური აუცილებლობით ასახეთებს მოცემული ეპოქის ნიშანდობლივ თვისებებში. გამოსახავს მასალის რეაგირება ქმნის გარკვეულ ეპოქას, როგორც მისი ასახვით შექმნილი შინაარსის შესატყვის ფორმას.

რომანის სპეციფიკურ თავისებურებებს ქმნის ის, რომ რომანი გამოხატავს საზოგადოების მრავალფეროვან ცხოვრებას, აღებული მის მთლიანობაში. ესაა ამ შემთხვევაში უმოთხრესი, თვით ამ ეპოქის მიხედვით კი ძირითადი ამოცანის მიღწევა სხვადასხვა ხერხითა შესაძლებელი. ლიტერატურის ისტორია იცნობს ისეთ ნაწარმოებებს, სადაც მთლიანობაში აღებული საზოგადოებრივი ცხოვრების გამოსახვის ამოცანა ასრულებული ეპოქისთვის ძირითადი, წამყვანი, ტონის მიძღვენი მოვლენის გამოსახვითაა გადაწყვეტილი. ამ შემთხვევაში მთავარი ყურადღება ნაწარმოებში სწორედ ამ მოვლენაზე იქნება გამახვილებული, თხზულებაში ავანსცენაზე სწორედ ეს მოვლენა იქნება მთელი თავისი დოკუმენტით, პოზიტივით და ნეგატივით მხარეებით, მამოძრავებელი და ამოვრატქმეველი ძალით, მაგრამ სწორედ ამ ხერხის გამოყენებისას თვით გმირთა, პერსონაჟთა ხასიათის ყველა მხარეზე როდია თანაბრად განაწილებული ყურადღება. ისინი, ეს გმირები, სწორედ ამ ძირითადი მოვლენისადმი მიმართებაში არიან გაშქმენილნი.

ლიტერატურის ისტორია იცნობს მეორე ხერხსაც, როცა გმირი ყოველმხრივია დახასიათებული და მოვლენები, სიტუაციები სპეციალურადაა შერჩეული, რათა პერსონაჟის შინაგანი ბუნება ყოველმხრივ იქნეს დახატული.

ამ ხერხების გამოყენება ბოლომდე ნებისმიერი არაა. გამოსახვის ხერხი ასახავს თავისებურებებითაა განსაზღვრული. ასახავს მასალა, ეპოქის სოციალური პროფილი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მასალისადმი თავისებურ მიდგომაში და გამოხატავს მოთხოვნებს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებაში გამოსახვის ორივე ხერხია გამოყენებული.

„კოლხეთის ცისკარი“ საშემთხვევითად ლოს ისტორიის იმ პერიოდს ასახავს, როცა დიდი სოციალური რევოლუცია ძირფესვიანად ცვლიდა ძველ წარმოებითს ურთიერთობებს სოფლად. ძველი ჩვეულებებისა და ტრადიციების მსხვერპეა, ახალი ყოფის გამოცდები, ახალი აღმშენების ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება ძირითადში საცოტობისადმი და შრომისადმი დამოკიდებულებებში იხიენდა თავს. ნგრევისა და შენების, მოსპობისა და შექმნის ამ დიდ პროცესში საზოგადოების ყურადღების ცენტრში, და ამიტომ მწერლის ყურადღების ცენტრში, სწორედ სოციალური მოვლენების შეცვლისა და დადგენის მომენტი უნდა წარმოადგინდეს. ძველი ყოფის ამ ძირფესვიან შეცვლას სოფლად, მართალია, სხვადასხვა მიზეზით და სხვადასხვა სიძლიერით, მაგრამ არსებითად იქვეით ეკადებოდა საზოგადოების ერთი ნაწილი. სოფლის უღარიბეს გლეხობას ნაწილობრივ ამ გარდაქმნების მნიშვნელობაზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა და ტრადიციის ტვირთით დამძიმებული, ზოგჯერ იგი უხალისოდაც კი ებმებოდა ახალ ცხოვრებაში. ეს საეხებით ვასაგები შიშა ახლისათვის. საშელო გლეხობა, თავისი ორმაგი ბუნების გამო, როგორც შრომელი, ემართობოდა სოფლის მეურნეობის ვადასულს კონკრეტურ საწყისებზე, მაგრამ როგორც მესაქოთრეს, მას ეშინოდა საკეთარი მეურნეობის დაწვრთვისა და თავს ეკადებოდა ამ დიად გარდაქმნაში აქტიური მონაწილეობისაგან; მაგრამ ამ დიდი სოციალური ძვრის რევოლუციური გატარების სიმწველე მართო ეს რთული იყო. ძირითადი და არსებითი ძალა, რომელიც ამ გზაზე უდიდეს სიმწველესა და სოციალურ კოლიზიებს ქმნიდა, სოფლის ბურჟუა-კულაკობა იყო. მოკლედ რომ ვთქვათ, ახალი სოციალური ყოფის დადგენისათვის ზრძოლა უღრესად რთული და დამძნული იყო, მოვლენები ელვის უსწრაფესად ეთარღებოდა.

 ტაისანში ბრწყინვალედ აღასტურებს ამ დე-
 ბულებას. რუსთაველმა უკვდავი სიმღერა მიუ-
 ძღნა უკეთილშობილეს ადამიანურ გრძნობას,
 უმღერა ისეთ სამყაროს, როგორიც მას იდეალ-
 ში ესახებოდა და იგი სამყარო დასახლდა ისეთ
 საოცრად მშვენიერ ადამიანებით, როგო-
 რიცაა ნესტანი და თინათინი, ტარიელი, ავთან-
 დილი და ფრიდონი.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ნესტანი და
 ტარიელი, თინათინი და ავთანდილი უკვდავი
 სახეებია მსოფლიო ლიტერატურაში. თავისი
 ესთეტიკური თუ ეთიკური მონაცემებით ისინი
 ყველაზე მეტ მასალას იძლევიან, რათა რუსთა-
 ველი შეასაყვენთა უდიდეს ჰუმანისტად ვა-
 ლიაროთ.

როგორც მოსალოდნელია, ნაშრომში ეს
 საკითხი ცალკეა განიხილული. პროფ. ალ. ბა-
 რამიძე წლების მანძილზე მუშაობდა აღნიშ-
 ნულ პრობლემაზე და რამდენიმე სპეციალური
 ნარკვევი მოქმედნა ვეფხისტაისნის პერსონა-
 ჟების დახასიათებას. აქ ერთგვარად შეჯამებუ-
 ლია კვლევის შედეგები და, მართლაც, ეს
 თავი ერთ-ერთი საუკეთესოთაგანაა წინამდ-
 ბარე მონოგრაფიაში. პირველი დებულება,

რომელიც ყურადღებას იპყრობს ის არის, რომ თუმცა ვეფხისტყაოსნის ძირითადი პერსონაჟები იდეალიზებულ სახე-ხასიათებს წარმოადგენენ, მაგრამ ისინი მშრალ იდეალურ სქემებს როდი წარმოადგენენ და აქაც კარგად ხანს რუსთაველის ორიგინალურთან შესაბამისობაშია. ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები სორც-შესხმული სახეებია თავისი ადამიანური ვნებებითა და თვისებებით, ინდივიდუალური მსოფლმხედველობით და ემოციური წყობით. როგორც მის მიერ იღვალად დასაბუთა სიყვარულმა არ გააქვს რუსთაველს რეალობის სფეროდან, ასევე მისი საიდუმლო გმირებიც ადამიანურის ფარგლებში მოქმედებენ. ამ თვალსაზრისით რუსთაველი ადრეული რენესანსის ერთ-ერთი უდიდესი რეალისტია და ეს შეხედულება დღეს კამათს აღარ უნდა იწვევდეს. ამასვე მეტყველებს აგრეთვე გასაოცარი რეალისტური აღქმით შესრულებული სურათები ფაქტების საწყაროდან და ის მკაცრი გამოკვნიც საჩაინდო რომანების უმზინო ფანტასტიკიდან, რაც ვეფხისტყაოსნის კიდევ ერთ თვისებურებაზე მეტყველებს.

აქვე მინდა ორიოდე მოხაზრება გამოთქვა ვლ. ნორაკიძის ფრიად საინტერესო წერილზე „ადამიანობის იღვას დახასიათებისათვის ვეფხისტყაოსანში“ (ტურა, „მნათობი“, 1944 წ. № 3, 4, 5). პროფ. ალ. ბარამიძე მართებულად შენიშნავს, რომ აღნიშნულ წერილში ვლ. ნორაკიძე აშკარად წყვეტს სინამდვილიდან ვეფხისტყაოსნის პერსონაჟებს და მათ რაღაც ნაგვილებულ სიმბოლოებად წარმოგვიდგენს. ამასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 1948 წელს საგულისხმო მოხაზრებები აქვს გამოთქმული სიმონ ჩიქოვანს. იგი პირდაპირ შენიშნავს, რომ ყოვლად შეუძლებელია არ გათვალისწინოთ ვეფხისტყაოსნის სწორედ ქართველოლოგიური ხასიათი და ეს არის პოემის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა: „შოთა რუსთაველი არ ჰყავს სქოლასტიკურად მოაზროვნე და ფილოსოფიური ტრაქტატების გალექსავ პოეტებს“. მაგრამ, ამასთან მე ვფიქრობ, რომ ვლ. ნორაკიძის აღნიშნულ წერილს აქვს ერთი დადებითი მხარეც. ამის დაიწვევა არ იქნებოდა მართებული. წერილში სწორადაა ნათქვამი, რუსთაველის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა — დაეხატა იდეალური ადამიანის სახე ან ფილოსოფიური ცნებებით რომ გამოგზავტოთ, მოეცა ე. წ. ადამიანობის იდეა. ვეფხისტყაოსნის შთაგარი პერსონაჟები მართლაც მეტ-ნაკლები სრულყოფილობით გამოხატავენ ამ იდეას და ეს არის სწორედ რუსთაველის ერთ-ერთი ძირითადი კონცეფცია. მაგრამ ვლ. ნორაკიძის შეცდომის არსიც აქედანვე იწყება, რუსთაველი ფილოსოფოსის გზებით როდი მივიდა ამ კეთილშობი-

ლური იდეის აღიარებამდე. პოეტის „ტრაქტატულმა“ სამყარომ ამოხარდა ეს უწყველდუმდებელია და იგი ისეთივე ხორცშესხვეულ მრავალფეროვნებაში გამოვლინდა, ვით ეს „უთვალავი ფერით“ შემყვლი ქვეყანა წარმოედგინა რუსთაველს. ვეფხისტყაოსნის ყველა პერსონაჟი საკუთარი სულით სუნთქავს და მათი ნიველირება ერთ უნივერსალურ სახეობამდე მართლაც სერიოზული შეცდომაა.

როდესაც ვეფხისტყაოსნის დახასიათებაზე ვნერდებით, პირველ რიგში უნდა გავხსენოთ ილია ჭავჭავაძის შესანიშნავი წერილები ვეფხისტყაოსანზე. პოემაში მოქმედ ცოცხალ და ნაყოინალური სულით გამსჭვალულ ხასიათებულ ჯერ კიდევ თემურაზს ბატონიშვილმა და აჯარ წერეთელმა გაამხვილებს ყურადღება (ჩასაკვირველია, სხვადასხვა ასპექტით), მაგრამ დიდმა ილიამ პირველმა შენიშნა ის დიდი ფსიქოლოგიზმი, რომლითაც ვაღფუყვეტილია პოემის მთელი ტოპოსი პასაჟები. ეს იყო დიდი წვლილი ვეფხისტყაოსნის შესწავლის საქმეში. იგი მართა პერსონაჟების ხატვისას, არამედ პოემაში აღწერილ მოვლენათა ყოველ ნიუანსში რუსთაველი იჩენს გასაოცარ ფსიქოლოგიზმს¹. ამ თვალსაზრისით, რად ღირს თუნდაც ის სცენა, სადაც ავთანდილისა და ტარიელის მეორედ შეხვედრას აღწერილი (გველია ხერხული ამოიყვანს ენა ტბილად მოუბარო), ან კი ნესტანისა და ტარიელის პირველი სამიჯნურო პაემანი, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავი ინტერპრეტაცია მისცა: „აო, გულთამხილავი რუსთაველი რამაშიდიდე გრძნობას ჰხედავს ნესტან-ღარჯჯანის გულში და რა ხატით გვაჩვენებს ჩვენ მის ძლიერებას, სიბიდიდეს და ძლიერაშიბილებას: ქალმა ველარს სთქვა, სიტყვა შეეცარა. ეგ რატომ არ მოუვიდა თინათინს, როცა ავთანდილი დაიბარა პირველად სალაბარაყოფი? იმიტომ, რომ ღრმად კიკად — კაცის მცოდნე რუსთაველმა იცოდა, რომ თინათინი სხვა ზუნებისაა და ნესტან-ღარჯჯანის სხვა და ეს ზუნების სხვადასხვა ზემოქმედებასაც ექვემდებარება, ერთისა იმივე მიზნისაგან წარმომდგარსა“. აქვე და ნაწილობრივ მონოგრაფიის სხვა თავებშიც პროფ. ალ. ბარამიძე სწორედ ფსიქოლოგიზმის თვალსაზრისით განიხილავს როგორც ვეფხისტყაოსანს, ისევე მის თანამედროვე მსოფლიო ინტერპრეტრის სხვადასხვა ძეგლებს. ირკვევა, რომ რუსთაველი ამ შემთხვევაშიც სრულიად

¹ რაც შეეხება ილიასა და აჯარის საინტერესო პოლემიკას ვეფხისტყაოსნის საკითხებზეც ნაშრომში ამაზე ვერცლადანა საუბარი, მაგრამ ჩემი აზრით, აქ სწორად არაა დივერსიული ილიის პოზიცია ხასიათების შესახებ, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

განსაკუთრებულ ადგილს იჭერს, როგორც აღმოსავლურ, ისევე დასავლეთ-გეროპულ სამირო — სარაინდო ლიტერატურაში „ფსიქოლოგიზმი, პერსონაჟების სულიერი განცდების ღრმა ანალიზი, პერსონაჟების სულიერი ცხოვრების სრულყოფილად ჩვენება წარმოადგენს რუსთველის შემოქმედებითი ნოვატორობის ნიშნობადაც მხარეს (90 გვ.).

ვეფხისტყაოსანს აქვს შესანიშნავად დამუშავებული კომპოზიცია და სიუჟეტი, რაც აგრეთვე მჭიდროდ უკავშირდება პერსონაჟების შემთავლენს პრობლემას. იყო დრო როცა ამ საკითხებს მხოლოდ ერთი განზომილება ჰქონდა: ნათარქმია თუ რაიგინადღობა ვეფხისტყაოსანის სიუჟეტი ან რას ნიშნავს სიტყვები: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარქმანებო“.

უფრო მეტიც: არა მარტო სიუჟეტის სპეციალურ საკითხებს, არამედ ვეფხისტყაოსანის მთელ პრობლემატიკასაც კი ჩრდილავდა ეს შივის ხარისხამდე ატანოდა სხეულსწერო სიტყვები: ილია ჭავჭავაძემ და ვეფხისტყაოსანს სპეციალურად გააძიეს ეს ცრუ პრობლემა ვეფხისტყაოსანის კვლევის სურათთან და დღეს მხოლოდ ნოსენის მავალითად თუ განიხილავს მას თანამედროვე მეცნიერები. რაც შეეხება ვეფხისტყაოსანის კომპოზიციასა და სიუჟეტის პოეტის, ისინი უპირობოდ ერთ-ერთი ეპოქის საკითხებია პოემის მხატვრული ლიტერატურულ პრობლემატიკაში.

ავილით თუნდაც კომპოზიციის საკითხი. იგი საინტერესო მასალას იძლევა არა მარტო რუსთველის პოეტური ენის თავისებურებებზე, არამედ მის ღრმა კავშირზე ხალხურ სამყარო ეპოსთანაც. უცხო მოყვინს მოულოდნელი გამოჩენის მოტივი, ან მეგობართა წყვილების შემოყვანა აშკარად ხალხური ეპოსის სპეციფიკური კომპოზიციური ხერხებია, მაგრამ ამასთან ორი თავისთავად, თითქმის დამოუკიდებელი ამბის თვ ისტატურად ვადხებართვაც კი უპიკვლად მადლი ლიტერატურული ელტრების მსხვერპელია და რუსთველის ორგანიზატორ ახაროვნებზე მიუთითებს.

ასევე რუსთველის სასახლოდ უნდა აღინიშნოს, რომ, დასავლურ და განსაკუთრებით აღმოსავლურ სარაინდო რომანებისაგან განსხვავებით, ვეფხისტყაოსანის სიუჟეტს განაოცარი დინამიკა ახასიათებს. მკითხველი შეუნელებელი ინტერესით მიჰყვება ამბავთა სწრაფ და მოულოდნელ განვითარებას. ნიშნავს განჯელის პოემების განხილვასთან დაკავშირებით რუსი მეცნიერები ბოლდირევი საინტერესო მოხაზრებას გამოთქვამს: «В поэмах Низами фабула играет далеко не первостепенное значение. Действие в поэмах Низами очень замедленно, что дает возможность несложному

сюжету быть развитым на протяжении нескольких тысяч стихов... В форме фабулы наблюдается противоположная картина. Там сложный запутанный сюжет развивается в очень энергичном темпе на протяжении всей поэмы».

სიუჟეტის გამიზნული განვითარება და ზედმეტი შენაკადებიდან განტვირთვა ვეფხისტყაოსანის ერთ-ერთი ნიშნობადაც მხარეა, მაგრამ აქვე ზუნებრთვად იხადება ასეთი კითხვა: მაინც რა იწვევს ვეფხისტყაოსანის სიუჟეტის ასეთ დინამიკას? ეს საკითხი ამომწურავადია გაშეშებული მონოგრაფიაში: ვეფხისტყაოსანის სიუჟეტის საფუძვლად უდგის რეალური კონფლიქტი: აშკარად ჩამოჩენილ შეზღუდულობაში მჭირე ინდოეთის მეფე ფარსადანსა და მეორე მხრით მალალი, თავისუფალი სივარულის, იდეების მატარებელ ნესტამსა და ტარიელს შორის. სწორედ ეს წინააღმდეგობა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ინდოეთის რევოლუტონდების, იწვევს დროებით კატასტროფას და ქმნის იმ მძაფრ დრამატიზმს, რომლის გარეშე რუსთველის პოემა ვერ ამოღდებოდა შესაუქუნეთა ყოველგვარი ტიპის სათავგადასავლო თუ სამიჯნური რომანებზე. ამასთან ალ. ბარათის სრულიად მართებულია შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანის სიუჟეტის განვითარებაში შეიმჩნევა ერთიანი კავშირი, რომელიც ყველა ეპიზოდი თავისთავად დასრულებული ამბავია. მავალითისთვის ავილით პირველვე ეპიზოდი „როსტევეან მეფისაგან და აეთანდლისაგან ნადირისა“, რომელიც ცალკე აღებული მართლაც დასრულებული ამბავია. მას ყველა საკითხი სიუჟეტური კომპონენტი გააჩნია: 1. ექსპოზიცია (მეფე როსტევეანის დაღრეჯა და მასთან დაკავშირებული ვარემოებანი). 2. კონფლიქტი (ნადირის დადება) 3. კონფლიქტის განხილვა (ნადირობის აღწერილობა) 4. ფინალი (ნადირობის შედეგი — აეთანდლის გამარჯვება), ამასთან აღნიშნულ ეპიზოდს პირდაპირი კავშირი ახასიათებს პოემის სიუჟეტურ ქსოვილთან. აქ უნდა სჩინს აეთანდლის სახე, პატრონური დეტალები, აეთანდლის, როგორც მომავალი ფაქტური განწყობების მამოცური ზენი და, ბოლოს, ზუნებრთვი სიტუაციაში გაიკვლევს ახალი პერსონაჟი ტარიელის სახით — იწყება ახალი ეპიზოდი და ა. შ. როგორც ვედავთ, აღნიშნული დაკვირვება გარკვეულ შედეგებს იძლევა ვეფხისტყაოსანის სიუჟეტის თავისებურებათა დასადგენად. ვეფხისტყაოსანის სიუჟეტი საერთოდ ან უფრო სწორად მისი ოპტიმისტური გადაწყვეტა შენიშნავდა მეტყველებს რუსთველის ნათელ პოეტურ მარქსზე.

როგორც მოხლოდნელია, მონოგრაფიაში ცალკე განხილული ისეთი მნიშვნელოვანი

საკითხები, როგორცაა რუსთაველის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი და იგრძობა საკითხი რუსთაველის ჰუმანიტარული მოღვაწეობის შესახებ. მართალია, პოემის სოციალურა გარემო გაიჭრებოდა თავისი დროის საქართველოს სინამდვილით, მაგრამ რუსთაველის ჰუმანიტარული გეგმობა სწორედ ის არის, რომ იგი თავისი იდეალებით მოწინავე საზოგადოებაზე, ჰუმანურ საქონებზე აგებული სახელმწიფოზე, ქალთა ჰუმანიტარული ემანსიპაციაზე და ხალხთა უანგარო მეგობრობაზე გასაიყრად მალდებდა მის გარშემო არსებულ სინამდვილეზე. რაც შეეხება ისეთ კარდინალურ საკითხს, როგორცაა რუსთაველის მოღვაწეობა, ნათელია, რომ მისი ქვაკუთხედი არის ამაღლებული ჰუმანიზმი. იგი თავით ბოლომდე გადევს ევფისტიუოზის, მის მხატვრულ სისტემას, პერსონაჟებს, რომლებიც მოქმედებენ პოემაში და თავისი აშკარად რენესანსული სულით გასაიყრად მალდებენ შეასაუფლებთა წყვილითა ვაბატონებულ ქრისტიანულ-საეკლერა ჩარჩოებს. ავტორი გრძნობს, რომ, რასაკერაა, ჰუმანიზმი, როგორც აზროვნების გარკვეული წყობა, არ ფარავს მოღვაწეობის ცნებას. ნაშრომში გაკრიტიკებულია შეხედულებები, რომლებიც რუსთაველის მოღვაწეობის უკავშირებენ წარმართობას, მაჰმადიანობას, ათეიზმს: და სხვა ერთერთი გამომჩინებუ მიმდინარეობათ. ავტორი, მავალითა, საკითხი რუსთაველის მანიჭეობის შესახებ, რომელიც წამოაყენა ცნობილმა რუსთაველოლოგმა პაველ ინგოროვიჩმა. ამ შეხედულებას არ იწყინარებს წინამდებარე მონოგრაფიის ავტორი და ამასთან მოტანილია ცნობილი მკვლევარების (კ. კეკელიძე, ზ. ავალიშვილი, შ. ნუბუბიძე, მ. ვოიხვიჩი და სხვ.) მოსაზრებები, სადაც დიდძალი საბუთიანობით უარყოფილია აღნიშნული დებულება. საინტერესოა, რომ ამავე დასკვნამდე მისულა თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში ვ. ნოზაძეც: „თუ შოთა რუსთაველი „მანიჭეობი“ იყო და ისიც ორდენის მეთაური („შინის ფერი“ პ. ინგოროვიჩის კონკლუზიით, ს. კ.), იგი ვერავითარ შემთხვევაში ევფისტიუოზის ეერ დაწერდა, რადგან ევფისტიუოზის ზნეობა მანიჭეობის სრულეობით არ უღებება“ (ევფისტიუოზის შინ მტყველები, გვ. 183). სრულიად დამაჯერებელია გარტიკებული ზოგი სხვა „იხმეც“, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, სამწუხაროდ, მონოგრაფიის ავტორი ამ ნუგავის იქით აღარ მიდის და, როგორც ვთქვით, მხოლოდ ჰუმანიზმის საკითხის ვამბილით კმაყოფილდება. რასაკერაა, ეს მონოგრაფიის ერთ-ერთი სერიოზული ხარვეზია და მისმა ავტორმა იგი უნდა შეეცდოს მომავალ გამოცემაში. შოთა რუსთა-

ველის ჰუმანიზმის, როგორც სოციალ-პოლიტიკური, ისევე დილისოფიურე სახეულებების გარკვევის გარეშე ბევრი რამ უკვე აღაგებნარ დაგვირგება (სხვათაშორის, უკანასკნელ ხანებში ამ პრობლემებს საინტერესო ნაშრომები მიუძღვნა).

ქართული კულტურის განვითარება, ეს გამაყვარებოთ ჩვენ კლასიკურ ხანაზე იქმის, არ წარმოადგენება როგორც იზოლირებული პროცესი. ქართულმა კლასიკამ ბევრი რამ შეითვისა მეზობელ ხალხთა კულტურისაგან და ეს ყველაზე რელიეფურად ჩანს თუნდაც ევფისტიუოზის მავალითზე. შოთა რუსთაველმა უკვე აღაგებნა ბევრი ისეხა, მავალითა, სპარსული პოეზიის შესანიშნავი შედევრებისაგან, ასევე არ შეიძლება მთლიანად ვუარყოთ ნეოპლასტური მოღვაწეობების კვალი (განსაკუთრებით იდეალური სიყვარულის გააზრების ზოგიერთ ასპექტში). შედარებითი შესწავლის გარეშე რუსთაველოლოგის ამ ეტაპზე ჩვენ შორს ვეღარ წავალთ და სწორედ იგივე მეთოდი რელიეფურად აჩვენს ყველა ამ თავისებურებასა და მონაპოვარს, რომლებიც რუსთაველის სახელს უკავშირდება. ამ თვალსაზრისით ევფისტიუოზის განსაკუთრებული მოვლენაა შეასაუფლებოთა ლიტერატურაში. პროფ. ალ. ბარამიძე მიმოიხილავს რუსთაველის თანამედროვე მოფლიო ლიტერატურას და სრულიად მართებულია შენიშნავს, რომ ზოგიერთი საერთო მომენტთან ერთად, ბევრ საკითხში რუსთაველი გააჩნდა სრულიად ორიგინალური პოზიცია, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს ადრეული ქართული რენესანსის სახელი. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავად საინტერესო დასკვნებისა, მონოგრაფიის ეს თავი უბეველად მოითხოვს შემდგომ დახვეწასა და დამუშავებას. ავტორი რატომღაც იფარგლება მხოლოდ რუსთაველის თანამედროვეობით და ნაკლებ უფრადლებას უთმობს ანტიკურ მწერლობასთან შედარებით გამაზლავს. რენესანსის ყოველი შედევრი მეტ-ნაკლებად უკვე აღაგებნა დაავლებული ანტიკისაგან და ეს მთლიანად ვრცელდება ევფისტიუოზისაზე. ევფისტიუოზის ბევრი მხატვრული სახე უკვე აღაგებნა სრულიად ანტიკური მთლიანობითა და სრულყოფილებით. ამასთან სწორედ ანტიკისთან შედარებითი შესწავლა მოგვეცემს ბევრ მასალას იმ თავისებურებათა შესახებ, რაც რენესანსს, როგორც დიად კულტურულ მოძრაობას, ანიჭებს თავის საბატიო ადგილს მოფლიო აზრის განვითარების ისტორიაში.

ალ. ბარამიძის მონოგრაფია აღბრავს სხვა საინტერესო საკითხებსაც. მაგრამ აქ მათზე ვერ შევნიშნავთ. მხოლოდ დაესძენთ, რომ ეს წიგნი უკვე აღაგებნა სიყვარულე მოვლენა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში.



ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ილია ჭავჭავაძე

საზოგადოების დაარსების 80 წლისთავის გამო

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1879 წელს დაარსდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ეწოდებოდა, რუსეთში არსებულ „წერა-კითხვის“ კომიტეტების მსგავსად, თორემ ამ საზოგადოებას თავისი მოქმედების არც მარტო წერა-კითხვის ფერცელებით არ შემოუფარგლავს, თუმცა მის ძირითად ამოცანას ეს მეტად მნიშვნელოვანი და საპატიო საქმე შეადგენდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დებულებაში აღნიშნულია, რომ „საზოგადოება“ ხელს ვიწროთათვის დახმარებას სკოლებს, დაეხმარება ან თვითონ ვახსნის ახალ სკოლებს, გამართავს სახალხო კითხვას, დააარსებს ხალხსათვის სამკითხველოებს, დაბეჭდავს სახელმძღვანელოებს და საკითხვე წიგნებს, გამართავს სამწიგნობროს, წიგნების საწყობს, საიდანაც მეტად თუ ფსიქო მიწოდებს წიგნებს, გამართავს საბედაგოო კურსებს და მასწავლებელთა თავის მოყრას, მოამზადებს სახალხო მასწავლებლებს ან არსებულ სპეციალურ სასწავლებლებში ან თვითონ, თავის ხარჯთნ გამართავს ასეთ სასწავლებელს... „საზოგადოება თავის მიზანს ამითი მაღწევს, რომ სახალხო სკოლებში დასაწყის სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზე, რომელიც ესნით მოსწავლევას“.

მიუხედავად მრავალგვარი დაბრკოლებისა, წერა-კითხვის საზოგადოება თანდათანობით გადაიქცა ქართველი ხალხის კულტურის ცენტრად, რომელთანაც პირადად ან კოლექტიურად დაკავშირებულ იყო ყველა მოაზროვნე ქართველი, სადაც არ უნდა ყოფილიყო ის, ის გახდა ქართული კულტურის შტაბად, რომლის გარეშე არც ერთი ქართველი ერისათვის მნიშვნელოვანი კულტურული საქმე არ წუდებოდა. ამ ორგანიზაციის მესვეური და უშუალო ხელმძღვანელი მთელი 25 წლის მანძილზე ილია ჭავჭავაძე იყო.

1879 წლის 31 მარტს მთავრობამ დამატკიცა „საზოგადოების“ დებულება: ეს მოხერხდა უმთავრესად იმიტომ, რომ, როგორც ლენინი აღნიშნავს, 1878-81 წლებში რევოლუციონერი სიტუაციის ხანა იყო რუსეთში. დიდად შეუწყო ხელი წესდების დამტკიცებას მეფის ნაც-

ვლის მთავარსამმართველოს უფროსმა დიშ. სტაროსელსკიმ, რომელიც ქართული კულტურის წარმატებას თანაუფრმონბდა. მისი ვარდაცვალების გამო ვახ. „დროებამ“ ვრცელი ნეკროლოგი მოათავსა პირველ გვერდზე (იხ. „დროება“, 1884 წ. № 57), ხოლო აკაცი წერეთელმა ვრცელს მოეძაწე მისი ცხედრის წინაშე სიტყვა წარმოთქვა (იხ. „დროება“, 1884 წ. № 58). ქართველმა საზოგადოებამ ის პატივისცემით მიაცილა სოფ. საგურამოში დასაქრძალავად.

იმვე წლის 15 მაისს შესდგა „საზოგადოების“ წევრთა პირველი სხდომა, რომელმაც საზოგადოებისა და გამგეობის თავმჯდომარედ დიშ. ყიფიანი აირჩია, ხოლო გამგეობის წევრებად — ი. ჭავჭავაძე, ნიკო ცხევედაძე, ი. გოგებაშვილი, იე. მარაბული, რად. ერისთავი, ალ. სარაჯიშვილი. გამგეობამ თავმჯდომარის აზნაგად ი. ჭავჭავაძე აირჩია.

დიშ. ყიფიანმა 1882 წელს მოუტეულობის გამო თავმჯდომარეობას თავი დაანება და საერთო კრებად საზოგადოების თავმჯდომარედ იეანე კოსტანტინეს-მე ბაგრატიონ-მუხრანსკი მოიწვია. როგორც დიმიტრი ყიფიანის, ისე მუხრანსკის დროს საზოგადოების ფაქტობრივი ხელმძღვანელი ილია ჭავჭავაძე იყო, რადგან ერთად და მეორედ გამგეობის სხდომებს იშვიათად ესწრებოდნენ. 1885 წელს ილია საზოგადო კრების მიერ ერთხმად იქნა არჩეული საზოგადოების და გამგეობის თავმჯდომარედ და ამიერდღან სიცილიზამდე ი. ჭავჭავაძე არავის შეუტეული ამ თანამდებობაზე, თუმცა, 1895 წელს, გამგეობის წევრების ვიადარევისთან დაკავშირებულ ვიორკვი წერეთელი, წერდა „კვალში“: — „ბევრად სასარგებლო იქნებოდა საქმისათვის წ. — კითხვის გამგეობის სათავეში ჩამდგარიყო ისეთი ვინმე წარმომადგენელი ქართველებისა, რომელსაც უმაღლეს მთავრობის სფეროში საპატიო ადგილი უჭირავსო... და რომ სხვათა შორის გამგეობის წევრად მოგვეპატევიბინა თბილისის ოლქის სასამართლოს ერთი საუკეთესო საშისამართლო წევრთავანი“ (იხ. „კვალ“, 1895 წ. № 9, გვ. 1-2). გ. წერეთლის ეს წინადადება ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ არის მიმართული: სწორედ

წინა, 1894 წელს, თბილისის სემინარიის მოწოდება გამოცემისთან დაკავშირებით, თბილისის უნივერსიტეტის სამმართველო მოახსენებდა პოლიციის დეპარტამენტს: „...დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ იმ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი, რომლის მიზანი ეროვნული მოძრაობის გაღვივება არის, თავ. ილია ჭავჭავაძეა, თბილისის სათავადაზნაურო ბანკის განყოფილების თავმჯდომარე... თ. ილია ჭავჭავაძე არის თვალსაჩინო ჰუმან და მდგომარეობის პატრონი, დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში საერთოდ, და თავისუფლად მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით. დადის ხმები, რომ მასთან დროდადრო იმართება საიდუმლო კრებები, სადაც არკვევენ სხვადასხვა საზოგადო საზიარის სოციალურ საქონებს...“ (არქივული წიგნის მატარაე, 1925 წ., № 1, გვ. 89-90).

ილია ჭავჭავაძის შეცვლა ისეთი ხელმძღვანელით, რომელსაც მთავრობის სფეროში საპატრო ადგილი ეკონა, შეიძლება „ავტორიტეტის“ მოუპოვებდა წ.-ჯ. საზოგადოების მთავრობის თვალში, მაგრამ მაშინ თვით საზოგადოების ამოცანებიც ხომ უნდა შეცვლილიყო, ხოლო ქართველი ხალხის ინტერესების თვალსაზრისით ი. ჭავჭავაძეზე უფრო ავტორიტეტისანი საქართველოში არაფერ მოიპოვებოდა.

ცნობილია, რომ ილია ყოველწლიურად 20 აგვისტოს, ილიობას აღნიშნავდა სიფხ. საგურამოში. 1886 წლის 21 აგვისტოს, ე. ი. ლხინის შიორე დღესვე დაწერილ ოქმში ვკითხულობთ:

„1886 წელსა, აგვისტოს 21 დღეს: სიფხ. საგურამო. თავმჯდომარე პეტრე იოსების ძე უმიანვილი, დამსწრენი: ილია ჭავჭავაძე, ილია ოჭროშვილიშვილი. ილია წინამძღვარიშვილი, ილია ბატაძე, გრიგოლ ყიფშიძე, ალ. კუონია, გიორგი ქართველიშვილი, სოლოკო მისაბელი, მახვილ მანაბელი, დიმიტრი ბაქრაძე.“

საგანი მსჯელობისა იყო ორი: 1. ქართლის წიგნებისათვის საკუთარს სტამბის გამართვა, წ.-კის საზოგადოების სახელი დავრქვას; სტამბის ისე კარგად მოწყობა, რომ სტამბის მთავის თავი შეინახოს და მოგვხად იძლიოს. თანხაც რაც დაჯდება ამგვარი სტამბა 15.000 მან. და არა უმეტესი. ეს საქმე ერთს წლით გადაიდოს და ამ ერთს წლის განმავლობაში ყოველივე საქირო ცნობა ამ საგანზედ კარგად გაწყობის სტამბისა ყველა ჭეველიდან მოიკრიბოს. ამ სტამბის მოწყობისათვის ფულის შემოტანას ვებრძვიან ილია ოჭროშვილიშვილი და გიორგი ქართველიშვილი... წიგნების ბეჭდვის ახლავე შევიდგეთ რომელსამე სტამბაში“ (სტკია, ტ. 481, საქ. № 7102, ტ. 1).

ილიას სხვებზე უკეთესად ესმოდა, რომ წ.-ჯ. საზოგადოება უმოქმედო ორგანიზაციად დარჩებოდა, თუ მას სათანადო ნივთიერი სახ-

სრები არ გაუწინდებოდა. ამიტომ ილიამ და განგეობის წევრებმა აქეთენ დაამჯდომეს რაღდება. თბილისის სათავადაზნაურო მთავრობის თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე იყო, დასაწყისში 11 ათასი მანეთი გადაიღო ბანკის მოგებიდან წ.-კ-ის საზოგადოებისათვის. ეს ადვილი საქმე არ იყო, რადგან ბანკის დამატარებელთა შორის ბევრი თავადაზნაურო იყო რისით, რომელიც ვერც წოდებდათ თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა. ილია ხწერდა ამ შემთხვევის გამო:

„...თვალწინ გვიდგას ის აუღმეყალი, რაც წელს თავადაზნაურობის შეუღლა მის გამო, რომ ბანკმა ათას ასი თუმანი შესწირა ამ საზოგადოებას. „რათა და რისთვისაო“, — უფრო აღწერე წინდაუხედავად ზოგი სხვის წაქეზებით, ზოგი საკუთარის თაოსნობით. „განი ჩვენ კი შეილება არა გვეყვასო, თუ გავრდა საჭიროა, უკერ ისინი გავზარდოთო. შინ რომ შეილი გატიროდესო, ვარით ტაბლას რა უნდაო“ და სხვანი. ჩვენი უბედურება ის უფიქლა — განაგრძობს ილია, — არის და ღმერთმა ნუ ქნას, კიდევ იყოს, რომ ყველა ქართველი, გლეხია თუ თავადი, მძალ და შეილაღ არ მივიყინა. ზემოსხსენებულ საზოგადოების (წერა-კითხვისა ტ. ხ.) სახეში აქვს მთელი ქართველობა, თავადაზნაურობა კი გამოხელდა და იძიბის, მერ და არა სხვით. ბატონებო, თუ ყველანი ერთად არ ვიწმებით, თქვენი „მე“ თუნდ იყოს და თუნდა არა. თავს მაგისათვის ძალიან არაყენ შეიტყუებს...“ (ილია ჭავჭავაძე, ტ. 7, 1928 წ. გვ. 293—294).

ამგვარივე გერზაური ატება 1879 წელს ქუთაისის სააზნაურო ბანკის საერთო კრებაზე თავადაზნაურობის რეაქციონერმა ნწილმა, როდესაც დაიხსია საკითხი წერა-კითხვის საზოგადოების ქასარებლოდ თანხების გადადების შესახებ, მაგრამ კარილე ლორთქიფანიძის, ანტონ ლორთქიფანიძის, გ. წერეთლისა და სხვა პროგრესულად მოაზროვნე წევრების მეოხებით კრების უმრავლესობამ გადაიღო წ.-კ-ის საზოგადოებისათვის 11.000 მანეთი: აჭედან 8.000 მანეთი ქუთაისში ახლად დაარსებულ სააზნაურო სკოლის ვახსნას უნდა მოხმარებოდა, რომლის ხელმძღვანელობა წერა-კითხვის საზოგადოებას ჰქონდა მინდობილი.

აღნიშნული ბანკები წ.-კითხვის საზოგადოებას შემდგომე უწევდნენ დროგამოშვებით დახმარებას. მაგრამ ძირითადად ისევე ქართველ საზოგადოებაში უნდა გამოქმენა გამგეობას საჭირო სახარები, რადგან არ მოიძენა რაიმე მნიშვნელოვანი და მუდმივი ნივთიერი საზრდო წ.-კ-ის საზოგადოებისათვის. 1907 წლამდე საზოგადოებას არც ჰქონდა წესდებით უფლება უძრავი ქონების ვაჩენისა. ამა თუ იმ ქველმოქმედის შემოწირულება, საწვე-

როს აერება, საღამოების გამართვა, ყულაბებით ფულის შეგროვება და სხვა ასეთი შემთხვევითი ხასიათის შემოსავლით უნდა ვაეწიო წ.-ი. საზოგადოებას თავისი საქმიანობა კულტურის ასპარეზზე.

ილია ყოველთვის იმ კომისიის ხელმძღვანელობდა, რომელსაც გამგეობა სახსრების გაძლიერებას ავალუბდა. ასე, მაგალითად, 1888 წლის 10 აპრილს გამგეობა აღგნეს: საზოგადოების სახსრების გასაძლიერებლად გაიმართოს საბლტერატორი და სასიბღერო საღამო: წამკობიერებაზე მოწვეულ იქნენ: ი. ქავჭავაძე, ა. წერეთელი, რაფ. ერისთავი, დავით ერისთავი, გიორგი თუმანიშვილი, არისტო ქუთათელიძე, ბებურიშვილები, თამარ და ნოდარ ჯორჯაძეები. კახეთიდან საეკლესიო მომღერალთა მოწვევა მიენდოს ილია ქავჭავაძეს.

საზოგადოების სახსრების გასაძლიერებლად იმავე გამგეობამ დაადგინა ცირკში წარმოდგენისა და კიდაობის გამართვა და ილია ქავჭავაძეს დაევალა, მოეწვია გამოჩენილი მოკიდავე ენებელი, რომელსაც ათი თუმანი უნდა მისცემოდა ხარჯად გლდანელთან დაქიდავებისათვის. ი. ქავჭავაძე არ უკადრისობდა ასეთ დავალებათა შესრულებას, თუ ის საზოგადოებისათვის სასარგებლო იქნებოდა.

ილია ქავჭავაძის ავტორიტეტისა და მხრნეველობის შედეგი იყო, რომ მისი შეუღლის თლდა ქავჭავაძის ხელმძღვანელობით გამართულ ლაბარია-აღვებრიდან საზოგადოებას ყოველწლიურად 2-2,5 ათას მანეთი რაბიბდა წინდა შემოსავალი. ბაქოელი ქართველობაც ყოველწლიურად ასეთ საღამოებისაგან შემოსულ საგრძნობ თანხას უგზავნიდა საზოგადოებას.

ასეთი საშუალებით — წარმოდგენებისა და საღამოების გამართვიდან — შემოსული ფული საქართველოს დაბა-ქალაქებიდანაც მოდიოდა. გამართულ საღამო-წარმოდგენებს ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ საზოგადოებას კულტურულ გართობას აჩვევდა და საზოგადო საქმიანობა ინტერესს უნერგავდა.

საზოგადოებაში შეიქმნა სხვადასხვა ფონდები, მათ შორის მწერალთა ფონდი, საიდანაც დროგამოშვებით დაბმარება ეძლეოდა ხელმოკლე მწერლებს: აკაკის, რ. ერისთავს, ალ. ხაბიბეს, ვ. ნინოშვილს, ვეას, ევლიოვლის და სხვებს. შეიქმნა აგრეთვე ხელმოკლე სტუდენტთათვის სასტიპენდიო ფონდი. ერთდროული დაბმარება გაუწია საზოგადოებას ილია ოქროშვილიშვილმა, რომლის საფასურით გამოიცა „გენარამიანი“ (ილია ქავჭავაძის, ალ. სარჯიშვილისა და პეტრე უმიკაშვილის რედაქციით), გიორგი ქართველიშვილმა, ალ. როინიშვილმა, რომელმაც საზოგადოებას უანდერძა გაწყობილი ფორტოგრაფია თავისი იშ-

ვიათი მუხუდით, ძმებმა ზუბალაშვილებმა და სხვებმა. იაკობ გოგებაშვილმა მუხუდ შედევითან პირობებში მიიწყო დავისა, საეკლესიო-ნელოების ბეჭედა („დაღა-ენა“, „სტუდენტისა-რა“, „რუსული სლოვა“) წერა-კითხვის საზოგადოებას. შემდეგში ნიკო ღლომბერიძემ, ალ. ხახანაშვილმა, დავით სარჯიშვილმა, ილია ქავჭავაძემ მუხუდ უხვი შეწირულება დაუტოვეს წ.-ი. საზოგადოებას.

ილია დიდად უფრთხილდებოდა საზოგადოების სახსრებს: დიმიტრი ყიფიანი რომ გარდაიცვალა, მისი ცხედრის შესამკობად სიარგვიის საფასური 13 მან. საზოგადოების საღამოდან კი არ გაუღიათ, არამედ გამგეობის წევრებმა შეაგროვეს. 1882 წლიდან დ. ყიფიანს დასდებია წ.-ი. საზოგადოების ვალი. რომ ვისმეს დ. ყიფიანის სახელი არ შეებოდა და „საზოგადოებასაც“ ზარალი არ ენახა, ილია ქავჭავაძემ 1888 წლის 5 აპრილის სტომბაზე გამგეობას წარუდგინა დ. ყიფიანზე დარჩენილი ვალი 298 მან. 27 კაბ. „დ. ი. ყიფიანზე დარჩენილი ფული აწ შემოტანილით შეივსოს და განსვენებულ ყიფიანზედ ამას იქით აღარ არიხებოდეს რა“ — აღნიშნა ილიამ თავის ზელით სტომბის ოქმში და ზელით მოაწერა მსცია, ფ. 481, საქ. № 60, ფ. 240).

რომ ვისმეს დ. ყიფიანი აუგით არ ეხებებია, ილიამ სამას მანეთი გაიღო მისი ვალის დასაფარავად. მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში დ. ყიფიანი მწვევედ ებრძოდა ილიას ზანტეს გარშემო (იხ. ილია ქავჭავაძე, ტ. მე-ი. 1927 წ. გვ. 355).

აქვე აღენიშნავ შემდეგსაც: 1892 წელს გამოქვეყნდა ივანე მაჩაბლის ხელმოწერილი წიგნაკი — „თავ. ილია ქავჭავაძე და მისი მოღვაწეობა“, რომელიც მიმართული იყო ილია ქავჭავაძის საბანკო პოლიტიკისა, ცრუ-მოღვაწეობისა და მისი პიროვნების წინააღმდეგ საზოგადოებას.

ამ წიგნის გამოქვეყნების და, საერთოდ, ქავჭავაძისა და მაჩაბელს შორის ბრძოლის გამოწვევების შედეგი უნდა ყოფილიყო ივ. მაჩაბლის განცხადება, მოსმენილი 1892 წლის 10 მარტის სტომბაზე წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობის მიერ, რომ მას არ შეუძლია დარჩეს გამგეობის წევრად. გამგეობამ ყოველგვარი მსჯელობის გარეშე დაადგინა მოწვეული ყოფილიყო კანდიდატი წევრობისა — მისილ მაჩაბელი, რომელსაც მომდევნო სტომბაზე უარი განუცხადებია ვისსა გამგეობის წევრობა. უარი განაცხადა, აგრეთვე, შემდგენი კანდიდატაც — პაველ რ. ყიფიანი. მოწვეული იქნა დავით კარიშვილი. რომელიც ემე-თივე თაყაშვილთან ერთად დიდად ამავე დასდეს წ.-ი. საზოგადოების მუხუდმისა და წიგნსაკის გაფართოებასა და შესწავლას.

უნდა აღინიშნოს, რომ ივანე მახაბელი წ.-კ. საზოგადოების გაშვების ერთი აქტიური წევრ-თაგანი იყო. 1890-იან წლებში ბანკის ვარშემო ილიასა და მახაბლის ხელმძღვანელობით შექმნილმა დეკლარაციებმა და მათ შორის დაეს-რულებულმა ბაზალამ დიდი ზიანი მიადგინა ქართულ კულტურულ საქმიანობას, კერძოდ, წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებასაც, რასაც გულისტყვილით აღნიშნავენ თანამედროვე სა-ზოგადო მოღვაწეები. ამ წლებში ილია ჭავჭავაძე იწვევდა ესწრებოდა წ.-კ. საზოგადოე-ბის გამგეობის სხდომებს, თუმცა მასთან მო-თათბირებას ვერც კარგად ვხედავთ მნიშვნელოვანი საკითხი არ წყდება.

ილიამ წერა-კითხვის საზოგადოებას უანდე-რსა მთელი თავისი უძრავ-მომარევი ქონება.

თი ილიას ანდერძიც: „მე; თავ. ილია ვრიგო-ლის-ძე ქავჭავაძე, საღის გონებისა და მტკიცე მებსიერებისა, ვინიკობა მოგვლედ, ვაცხადებ შემდეგ ჩემს სურვილსა და ნებას: რაც ვი შევტუნის, მომარევი და უძრავი ქონება, რანაი-რიც უნდა იყოს იგი და სადაც უნდა აღმოჩნ-დეს, სულ ერთს სიტყვით, ყველაფერი სავ-სებით, რაც ჩემად იქნება მიჩნეული, ჩემის სიყვდილის შემდეგ, მიანდერძებია სსსარგებ-ლოდ ჩემს მფუღე კნენა ოღლა თადეოზის ასულის ქავჭავაძისათვის, ვიდრე იგი ცოცხა-ლია, იმ პირობით, რომ კნენას სიყვდილის შემდეგ მამამაველი ქონება გადავიდეს კანო-ნიერ შემკვიდრების ხელში, ხოლო კეთილშე-ყენილი ქონება, უძრავი და მოძრავი ვახდეს კავკასიის სანამესტრაციოს ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების საკუთრებად“ (სტია, ტ. 481, სპ. № 1087, ტ. 2, 16, 31). ეს ანდერძი შემოწმებულია ილია წინამძღვრიშვი-ლის სანოტარი კანტორაში 1905 წლის 5 ივ-ლისს.

ილია ჭავჭავაძემ წ.-კითხვის საზოგადოე-ბას გადასცა ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების უძალე არა მარტო ილიას საკუთარი მამული საკურამოში და სახლი თბილისში ანდრეევს ქუჩაზე, არამედ თავისი პირადი მამული საგუ-რამოში, ღირებული 40.000 მანეთად.

წერა-კითხვის საზოგადოება ვახდა აგრეთვე შემკვიდრე ილიასელი ყვარლის სახლისა და მამულის, ილიას ძვირფასი ბიბლიოთეკისა და საოჯახო ნივთებისა (სტია, ტ. 481, სპ. № 1087) აქვე აღინიშნავ, რომ ალ. ყიფშიძემ (ფრანკ-ლმა) წლების განმავლობაში წ.-კ. საზოგადოე-ბის დავალებით დიდი და უანგარო ამაგი დასა საგურამოს ილიასელი მამულის მოე-ლა-პატრონობას.

როგორც აღინიშნეთ, წ.-კ-ის საზოგადოების მთავარ ამოცანას დაწყებითი განათლების გავრცელება შეადგენდა ბავშვთა მშობლიურ ენაზე.

ილია ჭავჭავაძემ ახლად შემოერთებულ აჭარა-ქობულეთის მოსახლეობას რამდენიმე მხრით ვაღ და შინაარსიანი წერის რეკლამა მოუწოდა ქართველობას გაეღწათ თავისი წესი-ლი დაწვეულ ქობულეთელების დასახმარებლად. 1879 წლის აპრილის მიმოხილვაში ილია აჭა-რა-ქობულეთში ქართული სკოლების გახსნის საკითხს აყენებდა: ის წერდა: „თუ ჩვენი სხა-რული ქობულეთის შემოერთებაზედ პარმით-ნეობა არ იყო, თუ ჩვენგან წარმოთქმულ მხერ-ვაულ სიტყვებს მკეოდრი საფუძველი ქობულ-ეთსა უნდა გვედმართათ ხელი ახლად ამ დაბადებულს საზოგადოებას და ვაღად დაეს-დით, რომ აჭარაში და ქობულეთში რაც შეიძ-ლება მომეტებული შეკლება გამართოს ეს შეკლება სხვა ყოველს საშუალებად მტად სულთ და ვულთ შემოგვიერთებდ აჭარისა და ქობულეთის ერსა და ასეც იხე მშერს სიუ-ვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში, როგორც უწინ. იმათ ოსმალის ხელში ჩაყარდნის დრომდე ყოფილა...“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. მე-6, 1927 წ. გვ. 56, 57), ამრიგად ილია ჭავჭავაძე იყო პირველი, რომელმაც დაიწახა და დაიყენა სა-კითხი აჭარა-ქობულეთში ქართული სკოლის გახსნის აუცილებლობის შესახებ. წ.-კ. გამავრ-ცელებელმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძეს მიანდო სკოლის გახსნის ნებადართვის მოპოება, რაც ასე აღვილი არ იყო და სათანადო საშა-ღისის შემდეგ, 1881 წ. მარტში, ბათოში გახსნა ქართული სკოლა, რომელსაც ილია დაეწერა.

ბათუმის სკოლა, რომელიც ქართველ მამა-ღიან ბავშვთათვის იყო დაარსებული, დასაწყ-ისში თავის დანიშნულებას ვერ ამართლებდა თერქეთის აგენტების პროპაგანდის შედეგად, და ზშირად იმშებოდა საკითხი ამ სკოლის და-ხერვის შესახებ, მაგრამ ილია ჭავჭავაძე მედ-ვრად იცავდა მის საჭიროებას: სკოლამ მომ-ვედრო წელში მართლაც შემოიკრიბა თავის ვარშემო მამამაღიანი ქართველობა და ის ქარ-თული კულტურის გავრცელების კერად იქცა აჭარა-ქობულეთში.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ-ცელებელ საზოგადოების ძირითად ამოცანას — ქართული დაწყებითი სკოლების საშუალებით განათლება შეეტანათ ხალხში — ვაღად გადაე-ღობა წინ დაბრკოლება, გამოძლინარე ხელის-უფლებისაგან. ქართველი სახალხო მასწავლებ-ლობა და მოწინავე ინტელიგენცია, შეიარაღე-ბული ხალხი პედაგოგიურ მოსაზრებებით და რუს მოწინავე ადამიანების დებულებებით (ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, უშინსკი) იმ აზრისა იყენენ, რომ დაწყებით სკოლაში სწავ-ლა ბავშვთა დედაენაზე უნდა წარმართულყო და რუსული ენა უნდა ესწავლათ როგორც საგანი მესამე წლიდან. ამ გეგმებზე ეწყობოდა

სახალხო სკოლებაც სასწავლო ოქტის უფრო-სმა იანოვსკიმ შეფის მოადგილეს კავკ. იამში 1881 წლის იანვარში დაამტკიცებინა გეგმა, რომლითაც დაწყებით სკოლაში სწავლა უნდა წარმართულყო რუსულ ენაზე, რომლის შესწავლა ბავშვებს პირველი წლის მეორე ნახევრიდან უნდა დაეწყათ. ცნობილია, თუ როგორი თავდადებათა და სასისტემათი შეუბრძოლუნე ჭარბი ხალხის მოწინავე წარმომადგენელი — ილია ჭავჭავაძე, დი. ყიფიანი, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი, რ. ერისთავი და სხვანი „დროების“ საშუალებით — იანოვსკის, რომელმაც ამ გეგმის განხორციელება დაიწყო სამინისტროს დაწყებით სკოლებში. მაგრამ ამ ბრძოლაში გამარჯვებული დარჩა არა ის, ვის მხარეზე იყო სიმართლე და სალი მოსახრება, არამედ ის, ვისაც ძალა-უფლება ეჭირა: სწავლება სამინისტროს სახალხო სკოლებში რუსულ ენაზე იქნა შემოღებული. მაგრამ იანოვსკი ამით არ დაკმაყოფილდა: მან ეკრძა სკოლების შესახებ (წ.-ს სკოლებს ეკრძა სკოლებად ითვლებოდა, რომელშიც სავნების განლაგება და სწავლების ენა დამატრებისაგან იყო დამოკიდებული) არსებული კანონის დარღვევითა და ვეერდის ავლით, მოსთხოვა წ.-ს საზოგადოებას შემოეღო მის მიერ დამატრებული სკოლებში 1881 წლის გეგმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დახრებადა საზოგადოების სკოლებს. და როდესაც წ.-ს საზოგადოების გამგეობამ სასწავლო უწყებას ილია ჭავჭავაძის მიერ შედგენილ დასაბუთებულ მოხსენება წარუდგინა იმის შესახებ, რომ წ.-ს საზოგადოების სკოლებს მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე გახსნილი და სასწავლო უწყებას მათი დახრების უფლება არა აქვსო, სასწავლო უწყებამ გაუქმა წინარების სკოლა, იმუქრებოდა სხვა სკოლების დახრებით და უარს ამბობდა ახალი სკოლების გახსნის ნებართვაზე (თორემ, ზელოტბანში).

საქმის ის არი, რომ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრთა შორის შეიქმნა რაცა მთავრობის მოთხოვნის მიმართ. იაკობ გოგებაშვილი დამთბის ვსას ადგა. გამგეობამ კი ილია ჭავჭავაძის მოსახრება გაიზიარა და დაადგინა: „სამოსწავლო პლანისა და სწავლების ორგანიზაციის შესახებ არას გზით არ დაეთმოს რა დარეკების იმ უფლებადამ, რაც მე-3 მუსხლით ჩვენს წესდებისა მიინებულთ აქვს ჩვენს გამგეობას“. მე-3 მუსხლში კი ნათქვამია, რომ წ.-ს საზოგადოება „სახალხო სკოლებში დასაწყისის სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზედ...“ ბრძოლა გამგეობასა და სასწავლო უწყებას შორის ერთი მხრივ და თვით გამგეობაში მეორე მხრივ დღესანს ვაგრძელდა, სხვაც ილია თანმიმდევრულად იცავდა თავის

პოზიციას; მოვიყვანო ამის რამდენიმე მაგალითს: სასწავლო უწყებისათვის კვლავ მთავრ შედგენილ პასუხში, რომელიც ვაგმგეობამ მიიწონა 1882 წლის 15 აპრილის სხდომაზე, ვკითხვობთ: „საზოგადოება ვერ მიიღებს თვისგან გახსნილ სკოლაში მართის (ოქტის) მხრუნელებისაგან შედგენილ პლანს, რადგან იგი ეწინააღმდეგება საზოგადოებას წესდების მე-3 მუსხლს“ (სცია, ფ. 481, საქ. № 42, ფ. 18). მეორე სხდომაზე გამგეობა ადგენს ილია ჭავჭავაძის წინადადებათ: „მაწეროს (სახალხო სკოლათა დირექტორს ტ. 6), რომ ჩვენ ჩვენს საკუთარ წესდებსაც ვასრულეთ და საზოგადო კანონსაც, და ამის გამო ჩვენ ვერ ვავაღმებთ წინარების სკოლასო“ (იქვე, საქ. № 42, ფ. 101).

აღნიშნული საკითხის შესახებ 1883 წლის 3 ივნისს გამართული წ.-ს საზოგადოებას წევრთა საერთო კრებაზე, ილია ჭავჭავაძემ წარმოთქვა შეტად მნიშვნელოვანი სიტყვა, რომელშიც, სხვათა შორის აღნიშნა: „...თუ უკანონოდ გეპყვიან (მთავრობის წარმომადგენელი ტ. 6), როგორც დაუთმით, თუ კანონით მოქმედობს, რას დავითმობს? პაპებს რომ თავი მოარღვიო, ბოლომდის რღვევით წავა: თუ ვთხოვლ დაუთმეთ, მეორედაც მოვთხოვთ დათმობა... თუ კანონიერად თხოვს, რასაც თხოვს, მაგას ვერაიან დათმობინებს...“ ილია ჭავჭავაძემ შერჩა თავის პოზიციას ბოლომდე, მაშინაც, როდესაც გამგეობამ გადასწყვიტა — გაიხსნას სკოლა თორემ იმ პრიტრამით, როგორც ი. გოგებაშვილს წერილშია მოხსენებული“. ილია ჭავჭავაძემ ამ დადგინილბას ოქმში მიაწერა: „გადაწყდა ისე მმართველობისაგან (ი. ი. წ.-ს საზოგადოების გამგეობისაგან ტ. 6), მხოლოდ თავმჯდომარის ეხანავი არ დასთანმდა. ილია ჭავჭავაძე“ (სცია, ფ. 481, საქ. № 42, ფ. 161—163). ხოლო როდესაც გამგეობამ თხოვა ხელთბანში სკოლის გახსნა, ილია ჭავჭავაძემ მოითხოვა ამოღებული ყოფილი მიწერილობიდან „согласно официальному учебному плану“. როდესაც იმავე სკოლის მასწავლებელმა აცნობა გამგეობას დირექტორის მოთხოვნა იანვრიდან უსათუოდ რუსული დააწყებიანთ ბავშვებსაო. — ილიამ მასწავლებელს მისწერა: „სწავლა რუსულსა დააწყებინეთ მისწინ, როცა ყმაწვილებს შეეძლებათ რიგინად შესწავლა და არა მარტო ვაგპირება ორიოდ სიტყვისაო“ (სცია, ფ. 481, საქ. № 60, ფ. 31).

ნათქვამიდან ნათელი ზღუდა არა მარტო ის, რომ სახალხო ვანთოლებს საკითხებში, ისე როგორც სხვა დარგში, ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა ქართველი ხალხის ბრძოლას ეკრძმის გამარჯვებული პოლიტიკის წინააღმდეგ, არამედ ისიც, რომ ამ ბრძოლას ის

ეწეოდა თანმიმდევრულად, უკომპრომისოდ. მიზნის მისაღწევად მის ერთი პრაქტიკული ნაბიჯიც გადაიდგამს: არქივში შემონახულ საოფ. ვეჯეტის სკოლის მასწავლებლის ნიკ. ნათიძის (წ. მელანი) წერილი ილია ჭავჭავაძისადმი, 1883 წლით დათარიღებული. რომელიდანაც ირკვევა, რომ ილიას წინადადება მიუხედავად ნათიძისთვის შეგარებლობის კახეთის მასწავლებლები და გამოვლენით თავიანთი უარყოფითი შეხედულება 1881 წლის გეგმის შესახებ, თუ რა ზიანი მოაქვს მას ბავშვებისა და რუსულ ენის წარმოების საქმისათვის და მოხსენების სახით წარმოედგინათ **წ.-კ. საზოგადოებაში**; როდესაც ასეთი აზრი წ.-კ. საზოგადოების გამგეობას სხვა რაიონებიდანაც მოუვიდოდა, მათზე დამატებულ მოხსენებას წარუდგენდა ის მთავრობას. წ. ნათიძეს მხოლოდ ხელნაღის მიზრის სახალხო მასწავლებლების შეკრება მოუხერხებია, და ოქმიც წარმოუდგინათ იმის შესახებ, რომ მთავრობის მიერ დაწყებით სკოლაში შემოღებულმა 1881 წლის გეგმაში ამ სკოლებში სწავლის საქმე საზოგადოდ და რუსულსა ერთობლ დააქვეითათ (სიცო, ფ. 481, საქმე № 11, ფ. 51-54).

ქ. შ. წ.-კ. გამაერთიანებელი საზოგადოებამ ცარიზმის პოლიტიკის შედეგების შესწავლად დასაწყისში, ქუთაისის სახანაჯრო სკოლის პარალელური განყოფილებები გადაიტანა ქველ სენაქში, სადაც სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა ოთხივე განყოფილებაში. ამ სკოლის ინსპექტორად ილია ჭავჭავაძემ საშინო ყიდვიანი შეარჩია. ს. ყიდვიანი მხნე და განათლებული პედაგოგი იყო. პარტიოტი, რომელმაც ახალსენაქის სკოლა აკაიისა და ილიას დახმარებით ქართული ენაზე სწავლა დაიწყო და დააარსა. სასწავლო უწყების მოთხოვნა — ამ სკოლაშიც მჭიდროდ ენა უყოფილიყო შემოღებული ქართულის ნაცვლად — მარცხით დასრულდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის მხრითავე მოწოდება ნიკო დადიანის (მინდერელის) ძვირფასი წიგნსაცავის წ.-კ. საზოგადოების მიერ შექმნილი და დაბინავენის საქმეში. ნიკო მინდერელის თავისი სურვილი ეანდერძებია ეს განძი წ.-კ. საზოგადოებასათვის ილიას მეგობრის ვასილ მანაბლასათვის გაუზიარებია. დადიანი იწერებოდა 1885 წლის 28 თებერვლის თარიღით: „...თუ ამ ჩემს ბიბლიოთეკის შეწირვით „საზოგადოება“ მოუტანს რასმე სარგებლობას ჩვენს სამშობლო ქვეყანას, მით შევრაცხ ჩემს თავს ბედნიერად“. „ღროებამ“ მოწინავე უძღვნა ამ აქტს და აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა დადიანის ამ სახელქარს („ღროება“, 1885 № 60). როგორც „ღროება“ აღნიშნავდა, დადიანის დავალებით ამ ბიბლიოთეკის ბიბლიო-

გრაფია აკ. წერეთელს შეუდგენია რამდენიმე წლით ადრე. ბიბლიოთეკის სკოლებიდან მოკლესში ვადმოტანა იმდენად წინაშეუდგენად ნათელია ილია ჭავჭავაძის, რომ ამ საქმისათვის გორდში თვით ილია ჭავჭავაძე გამგებარებულა ვას. მანაბლის, იონა მენურარგისა და გრ. ყიდვიძის თანხლებით. სათანადო აქტში ვკითხულობთ: სულ ას სამოცდა ცხრა (169) წიგნი ხელნაწერი და ათი (10) დაბეჭდილი წიგნი ჩავიხარეთ ბ. თ. კოსტანტინე ნიფარაძისაგან (ის იყო რწმუნებული წ. დადიანისა) 3-სა აპრილს 1885 წელსა სოფ. გორდში. თავმჯდომარის ამხანაგ წ.-კ. გამაერთიანებელი საზოგადოებისა ი. ჭავჭავაძე მწიგნობრივ წევრნი საზოგადოებისა ვასილ მანაბელი და იონა მენურარგია, საზოგადოების საქმის მწარმოებელი ვრეგოლ ყიდვიძე. აქტს ხელს აწერს აგრეთვე კოსტ. ნიფარაძე (სიცო, ფ. 481, საქ. № 86, ფ. 1-4).

გამგეობას კომისიისათვის ასი მანეთი მიუცია ვასილმა, რომლის ანგარიშიდან ჩამს მგზავრობის მარშრუტი. სოფ. გორდიდან წიგნები გორდებზე ავიღებელი ჩამოტანიათ ბომბუას ხიდაში, იქიდან ხონაში ეტლით, ხონიდან სამტრედიამდე აგრეთვე ეტლით, შემდეგ თბილისამდე მატარებლით, წიგნების ჩამოტანაზე დასარჯულია სულ 66 მან. და 67 კაპ. დარჩენილი 33 მან. და 33 კაპ. მოღარებს უნდა დაბრუნებოდა: ილია ჭავჭავაძისაგან 21 მან. და 72 კაპ. ვრ. ყიდვიძისაგან — 11 მან. და 61 კაპ (სიცო, ფ. 481, საქ. № 60, ფ. 39). ამ ცნობით დასტურდება თუ რა უშეალო მონაწილეობას იღებდა ილია ჭავჭავაძე, აღნიშნული წიგნების ჩამოტანაში.

გრ. ყიდვიძის, რომელიც უშეალო მონაწილე იყო წ. დადიანის ბიბლიოთეკის ჩამოტანისა გორდიდან, დაბრუნებია მგზავრობის მარშრუტი და მონაწილენიც. ის წერს: „...ილია მეტად გახარებული იყო და თვითონ აკისრა წსვლა სამეგრელოში, სოფ. გორდს, საცა სამეგრელოს მთავართა საზახტულო სახალა და საცა იყო დაეული ის ბიბლიოთეკა. მასთან ერთად წაიღიენ: ვასილ მანაბელი, ამ საქმის მთავე და მომხერხებელი, ი. მენურარგია, იქაური მკვიდრი, დავით ერისთავი და სხვ. წიგნი და ხელნაწერები აღწესეს, ჩაიღვეს ყუთებში, აკიდეს გორდსა და ქუთაისამდე ისე ჩამოიტანეს რკინის ვზით თბილისში გასაზღვანად“ (იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. LXIII).

როგორც არქივში შემონახული მასალიდან ჩამს, დავით ერისთავი სრულად არ იხსენიება იმ პირთა შორის, რომლებმაც ს. გორდიდან ბიბლიოთეკა ჩამოიტანეს. გაწეული ხარჯის ანგარიში მოხსენებულა ს. გორდი, ნაქალ-

მეც, ზონი, სამტრედია; ქუთაისი კი სრულიად არ იხსენება.

ამ ანგარიშიდან ილიას მარშრუტი ასე წარმოგვიდგება: თბილისი — ახალსენაკი — ძველი სენაკი, — ნაქალაქები — ბანძი — ბოძბუხს (პომპეუსის ხიდი), გორი — ხონი — სამტრედია — თბილისი (სცია, ფ. 481, საქ. № 60, ფ. 39).

გამოვეყნებული ცნობების მიხედვით, ილია ქაუკაჟაძე სოფ. ბანძაში თავის მეგობარ მექი ფლავს ოჯახში წერებულა დასასვენებლად და სწორად აქ სადალზე უთქვამს მას, „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ენახეთ“. მექი ფლავს შვილის გაღმოცემით ილია ახლო მეგობარი ყოფილა მექი ფლავის, მათ აღბათ თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკებში შემოაბაძე ახლოებდა.

საქმე ის არის, რომ გრ. ყიფშიძის მიერ აღნიშნულა და სხვა შევლომებს იმეორებენ სხვებიც (იხ. პ. ინგოროყვა — ილია ქაუკაჟაძე — ნარკვევები, 1957 წ. გვ. 145), და დავით ერისთავის („სამშობლო“ ავტორი) მოხაველი ბიოგრაფიის ამით მკლარ ცნობებზე დურდნობით აღბათ მოატარებინებს მას ილიასთან ერთად ქუთაისისა და იმერეთ-სამეგრელოს.

მკლარი, აგრეთვე, გრ. ყიფშიძის ცნობა იმის შესახებ, თითქოს ილია წ.-ა. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეული ყოფილიყოს 1882 წლიდან, „როცა დ. ყიფიანი, პირველი თავმჯდომარე საზოგადოებისა, გუბერნიის მარშლობასა სწევდა ქუთაისში“. ნამდვილად კი ამ წლიდან წ.-ა. საზოგადოების თავმჯდომარედ ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი იქნა არჩეული. ილია კი თავმჯდომარედ 1885 წლიდან აირჩიეს ერთხმად. დიმი. ყიფიანი ქუთაისის გუბერნიის თავად-ახნაურთა მარშლად აირჩიეს არა 1882 წელს, არამედ 1885 წელს.

ს. გორდღიან ჩამოტანილი წიგნები 1885 წ. 16 აპრილს საზოგადოების მმართველობამ ჩაიბარა აქტით, რომელსაც ხელს აწერენ ი. ქაუკაჟაძე, ნ. ცხედაძე, დიმი. ჯანაშვილი, ივანე შიხაძე. შემონახულია სია ჩამოტანილი წიგნებისა. ეს სია ილია ქაუკაჟაძემ თავის ჟურნალ „ივერიაში“ გამოაქვეყნა (იხ. „ივერია“, 1885 წ. № 12).

დიმი. ბაქრაძემ სახელდახელოდ გასინჯვის შედეგად წერილი მოათავსა „დროებაში“ აღნიშნული წიგნების მნიშვნელობის შესახებ („დროება“, 1885 წ. № 85).

წერა-კითხვის საზოგადოებამ ამიერიდან განსაკუთრებით გაამაგებლა ყურადღება ძველი ხელნაწერების, სიგელ-გუჯარებისა და სპარსკოლონური განძის შეძენაზე და ამით ამ საზოგადოებამ დიდი ამაგი დადო ქართულ კულტურას. წ.-ა. საზოგადოების საქმიანობის ეს მხარე თავის დროზე სათანადოდ დააფასა

პროფ. ნიკო მარმა, რომელიც 1889 წლის 19 ოქტომბრის თარიღით სწერდა საზოგადოებას: „არა მნიშვნელობასათვის, არამედ მაღლობის ნიშნით და აგრეთვე საუწყებლად მცირედზე მანძი, თუ რა ძვირფასი განზიზღება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცემი, ავტორის ხსენებულ წიგნსაცემს უგზავნის ხუთ ცალს სპარსული სახარების აღწერილობისას, რომელი სახარება ითვლება მუნვე“ (სცია, ფ. 481, საქ. № 6929, გვ. 6).

სამწუხაროდ, წ. კ. საზოგადოების წევრთა შორის მოიპოვებოდნენ ისეთი პირებიც, რომელნიც ითვისებდნენ გამგეობის სახელზე გამოგზავნილ ძვირფას ხელნაწერებს და თავის საცავიდანაც ვაჭრონდათ ასეთები. ამის შესახებ რამდენიმე მაგალითებია წერილი დაბეჭდილი ჟურნალ-გაზეთებში (იხ. „კვალი“, 1893 წ. № 13, გვ. 10; 16, გვ. 7, № 17). 1894 წლის „ივერია“-ში № 66 აქაც წერეთელმა კვლავ აღძრა ეს საკითხი.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა 1894 წლის 23 მარტის სხდომაზე აღდგინა: „ნოტიარიუსის საშეღლებით მიემართოს თვლი ყორღანის წარმოადგენის საცავიდან წაღებულ ხელნაწერი წიგნები შუა აპრილამდე და თუ არ წარმოადგინა, მიემართოს სასამართლოს“ (სცია, ფ. 481, საქ. № 420, ფ. 57).

1893 წლის 25 აპრილს, წ.-ა. გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით, განჯიდან თბილისს ჩამოსვენეს და დიდუბეში დაკრძალეს პოეტის ნიკ. ბარათაშვილის ნეშტი. წ.-ა. საზოგადოების გამგეობამ ამ საქმის ხელმძღვანელად ალ. ჰუკონია და გიორგი იოსელიანი მიაგლინა. ეს დღე მთელ საქართველოში უდიდესი გლოვისა და ზეიმის დღედ გადაიქცა. წ.-ა. საზოგადოებასთან დაარსდა ნ. ბარათაშვილის სახელობის ფონდი.

წ.-ა. საზოგადოების ინიციატივით და ილია ქაუკაჟაძის უშუალო მონაწილეობით, დიდი ზემოთ აღნიშნა ქართველმა ხალხმა რაფ. ერისთავის 50 წლის მოღვაწეობის იუბილე. მთელი საქართველო გამოეხმებოდა ამ იუბილეს. წ.-ა. საზოგადოებასთან დაწესდა რაფ. ერისთავის სახელობის ირი ფონდი; საერთო და ქალთა.

1895 წლის 11 სექტემბერს ქართველმა საზოგადოებამ დიდის ზემოთ აღნიშნა კრწანისის ბრძოლის 100 წლისთავი. წერა-კითხვის საზოგადოებასთან ერეკლე მეორის ფონდი დაარსდა. აღნიშნულით იმის თქმა გვინდა, რომ წ.-ა. საზოგადოება ხელმძღვანელობდა ყველა ერეკლელი მნიშვნელობის საქმეს, აღნიშნული იუბილესი და მსგავსი მოვლენების შესახებ როცა ქართველი ხალხის ერეკლულად გათვითცნობიერების საქმეს. ილია ქაუ-

ქვეყნის სახელი და დიდი ავტორიტეტი ხელს უწყობდა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პოპულარიზაციას.

1896 წელს წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების საერთო კრებამ, ა. ვოგებაშვილის წინადადებით, ილია და აკაკი ამვე საზოგადოების საბატო წევრებად არჩინეს.

1898 წლისათვის განზრახული ილია ქვეყნისათვის იუბილეს გამართვა არ განხორციელდა ცარიზმის მიერ მისი აკრძალვის გამო.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება გახდა ჰინისუფალი გარდაცვლილი ილია ქვეყნისათვის.

მის უკუდასავსეობად, წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობის დადგენილებით, 1907—1909 წლებში გამოცემული იქნა ილიას მხატვრული და პუბლიცისტური ნაწერები ოც წიგნად ილია ქვეყნისათვის სახალხო ბიბლიოთეკის სერაიებით. თითოეულ მათგანს თან ერთობდა ავტორის ბიოგრაფია.

წ.-კითხვის საზოგადოებამ მიიღო და შეინარჩუნა ილიასეული მამული საგურამოში, სადაც ილიას სახელობის სკოლა დააარსა, და ილიას სახლი თბილისში, ანდრევეის ქუჩაზე, სადაც ამჟამად ილიას სახელობის მუზეუმი დაარსდა.

ძნელი ვასლა საგურამოსა და თბილისის ილასეული მამულის შენარჩუნება, რადგან ამ მამულებსა და ილიას პირადი ვალი დაახლოებით 30.000 მანეთს უდრიდა, და მხოლოდ მის შემდეგ, რა-რომ ოღლა ქვეყნისათვის თანხის პირადი მამული საგურამოში, ღირებულებით 40.000 მანეთად. ვადასცა საზოგადოებას, შესაძლებელი გახდა საგურამოს მამულისა და ილიას სახლის შენარჩუნება თბილისში და მათი მოვლა-პატრონობა.

1907 წლის 9 სექტემბერს, საღამოს, ილიას დაკრძალვის დღეს, ჩამოსულ დენიგატების კრებაზე გამოთქმული აზრი ილია ქვეყნისათვის ძველი ერევნის მოედანზე დადგომის, ნაადრევად იქნა აღიარებული სათანადო თანხების უქონლობისა და სხვა მიზეზების გამო, წ.-კითხვის საზოგადოებამ მიიღო იაკობ ნიკოლაძის წინადადება, რომ ის დაამზადებდა ილიას ძველს: „მწუხარე დედა ილიას ბიუსტის წინ“. კომისიამ, რომელშიც ხაკეიალისტებიც შედიოდნენ, ძველის მოდელი მოიწონა, მაგრამ შემდეგ ილიას ბიუსტი ზედმეტად იქნა ცნობილი და ის მოხსნა. ძველის გამზადება და დადგმა ვაკეანურდა. 1910 წლის 9 სექტემბერს ძველი

პარიზიდან ბათომში იყო მოტანილი, ამჟამად ღრის, მზადდებოდა ინი. მაშინათვის ხელმძღვანელობით ძველის არქიტექტურული ნაწილი პოეტის საფლავზე, ძველი თანხის არქიტექტურული ნაწილით დაედა სულ 12.482 მან. და 84 კაპ., რაც შეგროვებული იქნა დაწესებულებებისა და კერძო პირების შემოწირულებით.

1912 წლის 14 ივნისის სხდომაზე, ძველისა და არქიტექტურული ნაწილის დათვლიერების შემდეგ, კომისიამ არ მოიწონა არც ერთი და არც მეორე. ისევე შემოწინებდა განაცხადა:

«Все нужно уничтожить и дело начать сначала». კალგინმა თქვა: «Статуя производит впечатление чугуноватости...»

ი. კუდაბიშვილმა დაიწინა ძველის არქიტექტურული ნაწილი, ხოლო ქანდაკის შესახებ თქვა: «Памятник не так уж безграмотен, чтобы нельзя было ставить...»

ქანდაკე დაიწინა აგრეთვე კომისიის წევრებმა — ვაბაშვილმა, დედაბრიშვილმა, ქერდიანმა, გულუშვილმა. კომისიამ დაადგინა: „აღიარებულ იქნას პროექტის შესრულება მხოლოდ დამატებითი ღირებულებების და მისი დადგმა შესაძლებლად. მაგრამ კომისია იმედოვნებს, რომ შემდეგში ქართველი საზოგადოება თვით ქალაქ თბილისში, შესაფერ ადგილზე დაუდგამს ძველს უფრო შესაფერის ილია ქვეყნისათვის“ (სცია, ფ. 481, საქ. № 1077, ფ. 81-82).

ილიას ძველის გახსნა დანიშნულ იქნა 1913 წლის 5 მაისს. ის შესაფერი სიტყვით გახსნა აკაკი. შემდეგ მგაჩნობიარე სიტყვა წარმოთქვა ბელეტრისტმა დავით კლიაშვილმა, რომელმაც, სხვათა შორის, ასე მიმართა პოეტს:

„...როცა შენი ძვირფასი სამშობლოს ბეჩავე მღვთმარებით დამწუხრებული ეკითხებოდი მას: „მამულო საყვარელო, შენ როსა და აყვავდებიო?“ რას წარმოიადგენდი, რომ შენი მამულის ასაყვავებლად, თორმე, შენ უნდა შეწირულიყავი მსხვერპლად, და კიდევ შეგიწირა მამულმა... შენი უცნაური სიკვდილით შემარწუნებელი ქართველი, გონს მოსული, გამოფხიზლებული, ასაყვავებლად გამზადებული და იგი კიდევ აყვავდება და იმ ბედნიერს დღეს ქართველობა მოვა შენთან, მოგახარებს შენი საყვარელი მამულის აყვავებას“. (სახალხო გაზეთი, 1913 წ. № 888).



ა. გუხნიკაშვილი



სამტაშორისო გეოფიზიკური წლის ზოგიერთი საკითხი

1958 წლის 30 ივლისიდან 9 აგვისტომდე, ქ. მოსკოვში, მიმდინარეობდა საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ჩამტარებელი სპეციალური კომიტეტის მეხუთე ასამბლეა, რომელიც წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას საერთაშორისო მეცნიერულ საქმიანობაში. ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობდა 220 უცხოელი დელეგატი 40-ზე მეტი ქვეყნიდან და 181 დელეგატი საბჭოთა კავშირიდან. სტუმრების საბით ასამბლეის სხდომებს ესწრებოდა ასობით მეცნიერი უცხოეთიდან და საბჭოთა კავშირიდან. საქართველოდან ასამბლეის მუშაობაში, საბჭოთა დელეგაციის წევრების სახით, მონაწილეობას იღებდნენ: პროფ. ბ. ნოდია, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ვ. ქიბულაძე, ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ლ. ფიშკოვა, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის უფროსი მეცნ. თანამშრომელი, და ამ წერილის ავტორი. საქართველოდან ესწრებოდა აგრეთვე სტუმრად 7 მეცნიერი მუშაკა.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ჩამტარებელი სპეციალური კომიტეტის მეხუთე ასამბლეა შეიკრიბა იმ მიზნით, რომ შეეჯამებინა გეოფიზიკური წლის დაყირვებათა ერთი წლის შედეგები, განეხილა დაყირვებით მოპოვებულ მასალათა დამუშავების საკითხები და, ამასთან დაკავშირებით, გეოფიზიკური წლის მონაცემების ე. წ. მსოფლიო ცენტრების საქმიანობა, მასალებს გამოქვეყნების საკითხები, გეოფიზიკური წლის დაყირვებათა შემდგომი გეგმები. საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა წინადადება ერთი წლით (1959 წლის 31 დეკემბრამდე) გაგრძელებულიყო გეოფიზიკური წლის დაყირვებანი, რაც აგრეთვე ასამბლეის მსჯელობის საგანი იყო.

ასამბლეა გაიხსნა 1958 წ. 30 ივლისს პლენარული სხდომით რომელიც მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა. ასამბლეას მასპალმებელი სიტყვებით მიმართეს: საბჭოთა მთავრობის, მოსკოვის საბჭოს, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის, მოსკოვის უნივერსიტეტის, უმაღლესი გა-

ნათლების სამინისტროს, გეოფიზიკური წლის საბჭოთა კომიტეტის და სხვა უწყებათა მასუხისმგებელმა წარმომადგენლებმა. პლენარულ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სვწ.-ს სპეციალური კომიტეტის პრეზიდენტმა, ცნობილმა ინგლისელმა გეოფიზიკოსმა ს. ჩემპენმა. მან ხაზი გაუსვა გეოფიზიკური წლის დაყირვებათა დიდ მნიშვნელობას მეცნიერებისათვის და აღნიშნა საბჭოთა მეცნიერების დიდი როლი ამ საქმეში. ს. ჩემპენმა გეოფიზიკური წლის ვრცელი პროგრამიდან გამოყო ორი პრობლემა, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ დედამიწისა და მისი გარემო სივრცის შეცნობის საქმეში. ეს პრობლემებია: ანტარქტიკის შესწავლა, რომელიც დღემდე არანახული მასშტაბით წარმოებდა და დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაშვება სივრცეში, რომელიც არა მარტო გეოფიზიკური წლის, არამედ მთელი თანამედროვე მეცნიერების უდიდეს მიღწევას წარმოადგენს.

ასამბლეის დელეგატები განაწილდნენ 14 სამუშაო ჯგუფში, რომელნიც ჩამოყალიბდნენ გეოფიზიკური წლის პროგრამის განყოფილებების მიხედვით.

სამუშაო ჯგუფებმა ძირითადად შემდეგი საკითხები განიხილეს: გეოფიზიკური წლის დაყირვებათა გაგრძელების საკითხი მოცემულ დარგში და 1959 წლის მსოფლიო გეოფიზიკური კალენდარი. გეომეგნეტიზმის სამუშაო ჯგუფში განიხილულ იქნა საკითხი გეომეგნეტიკური სტანდარტების, ე. წ. გეომეგნეტიკური საუწყუნობრივი ვარიაციების დაყირვებათა ორგანიზაციისა და მსოფლიო მეგნეტიკური აგეგმვის ჩატარების შესახებ, რომელიც უნდა დაემთხვას მზის აქტიურობის მინიმუმს წლებს (1964-65 წ. წ.). რაკეტების და თანამგზავრების სამუშაო ჯგუფმა იმსჯელა დაყირვებათა პროგრამის ანალიზის და ამ მასალების გამოყენების, რაკეტებზე და თანამგზავრებზე მომავალი მეცნიერული დაყირვებების გეგმის საკითხების და სხვ. გარემო.

სამუშაო ჯგუფების უკრძალვად უმთავრესად მიქცეული იყო დაყირვებათა შემდგომი გეგმის, გეოფიზიკური წლის მონაცემების ე. წ. მსოფლიო ცენტრების მუშაობის ორგანიზაციის, აგრეთვე დაყირვებათა მასალების გამოქვეყნ-

ბის საკითხებისადმი. ამ მხრივ, როგორც დადებითი მოვლენა, აღინიშნული იყო, რომ უკვე გამოვიდა 10 ტომი, მიმდინილი გეოფიზიკური წლის მონაშადებისა და ზოგიერთი წინასწარი შედეგებისადმი. თითქმის ყველა სამუშაო გვეყვამა განიხილა მოხსენებები მოცემულ დარგში სეის- და აკვირებათა პროგრამის შესრულების შესახებ.

სამუშაო გვეყვამის სხდომებთან ერთად მიმდინარებდა სპეციალური კომიტეტის ბიუროს და საკონსულტაციო საბჭოს სხდომები, რომელნიც განიხილავდნენ სამუშაო გვეყვამის რეკომენდაციებს და ამუშავებდნენ რეზოლუციებს გეოფიზიკური წლის დაკვირვებათა საერთო პრობლემებზე. ასამბლეის მუშაობის პერიოდში სპეციალური კომიტეტის ბიურო შემდეგი შემადგენლობით იყრიებოდა: ს. ჩუპენი (პრეზიდენტი, ინგლისი), მ. ნიკოლე (გენერალური მდივანი, ბელგია), ვ. ბელაუსოვი (ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირი), შ. კულონი (სადრანგეთი) და ა. შებლი (აშშ).

მნიშვნელოვან იბტერესს შეიცავდა ნაციონალური კომიტეტების ანგარიშები საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამის შესრულების შესახებ. ამ ანგარიშებიდან ჩანს მთელი ის გრანდიოზული შეცნიერული დაკვირვებები, რომელნიც ამჟამად მთელ დედამიწის ზურგზე წარმოებს. ცხადია, რომ ცალკეული ქვეყნების მიხედვით წონა დაკვირვებათა ამ პროგრამის შესრულებაში ერთნაირი არ არის. მსოფლიოს ქვეყნებს შორის ყველაზე დიდ პროგრამას ასრულებს ორი ქვეყანა: ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი. მათ შორის როგორც მოცულობის, ისე პროგრამის მრავალფეროვნებისა და სირთულის მხრივ პირველი ადგილი მიეკუთვნება საბჭოთა კავშირს. საქმით ფართო მოცულობის პროგრამას ასრულებენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები: პოლონეთი, ბულგარეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რუმინეთი და სხვა. ფართო მოცულობისაა ინდოეთის დაკვირვებათა პროგრამაც. სიმუხზაროდ, საერთაშორისო გეოფიზიკური წლის დაკვირვებებიდან გამოითხოვია აღმოჩნდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც იბტლებული იყო უარი ეთქვა ამ დონისიხედაში მონაწილეობის მიღებაზე, რადგან სპეციალური კომიტეტის ზოგიერთი წევრის მოთხოვნით, გეოფიზიკური წლის მონაწილედ აღმეგობო იქნა კენჭილო ტაივანი.

შევეხოთ მოვლენად საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ორი მონაწილის — ამერიკის შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის დაკვირვებათა პროგრამას.

მეტეოროლოგიის დარგში აშშ დაკვირვებებს აწარმოებს როგორც ამერიკის ტერიტორიაზე, ისე ანტიკასა და ანტარქტიკაში. ეს დაკვირ-

ვებები წარმოებს ამერიკის ტერიტორიაში 128 სადგურზე, ალიასკის და არქტიკის 20 სადგურზე, 5 სადგურზე ანტარქტიკაში (18 სადგურზე წყნარი ოკეანის კენჭილოებზე 16 სადგურაზო გემებზე). გეომაგნიტურ დაკვირვებებს ამერიკელი მეცნიერები აწარმოებენ შეერთებული შტატების ტერიტორიის 17 ომსტრუვატორიაში, ალიასკის და არქტიკის რაიონებში განლაგებულ 11 სადგურში, ანტარქტიკის 4 პუნქტში, წყნარ ოკეანეზე 5 სადგურში და ცენტრალურ ამერიკის ორ პუნქტში. პოლარული და ლამის ცის ნათების შესწავლა წარმოებს როგორც ვიზუალური, ისე რადიოლოკაციური, სპექტროსკოპული და ფოტომეტრიული მეთოდებით — აშშ ტერიტორიის, ალიასკის და არქტიკის 34 სადგურში და აგრეთვე 14 სადგურში, რომელიც განლაგებული არიან კანადის, გრენლანდიის, შვეიცარიის, შვედეთის და ანტარქტიკის ტერიტორიაზე. იონოსფერული დაკვირვებები წარმოებს 25 პუნქტში ხოლო ანტარქტიკაში 5 პუნქტში, მზის აქტივობის დაკვირვებები 14 ომსტრუვატორიაში. ეს დაკვირვებანი მოიცავენ როგორც მზის წარმონაქმნების რეგისტრაციას, ისე მისი რადიოგამოსხივების შესწავლას და მზის ზედაპირის სინკმატური ფოტოგრაფირებას. კოსმოსური სხივების ინტენსივობის დაკვირვება წარმოებს ამერიკის და ალიასკის 22 და სხვა ქვეყნების 2 პუნქტში. გლაციოლოგიური დაკვირვებები წარმოებს ამერიკის, ალიასკის და არქტიკის (გრენლანდა) 11 მუნიციპალურ, ხოლო ოკეანოგრაფიული გამოკვლევები (გრძელი ტალღების ვაზომები, ოკეანის დონის დაკვირვებები და სხვ.) ამერიკის, ალიასკის, წყნარი და ატლანტიკის ოკეანის 42 პუნქტში. სეისმური დაკვირვებები წარმოებს 24 პუნქტში, რომელთაგან 3 ანტარქტიკაშია.

საერთაშორისო-გეოფიზიკური წლის პროგრამით აშშ-ში გათვალისწინებულია 200 რაკეტის გაშვება საკუთრივ აშშ-ს ტერიტორიაზე, კანადაში, გუამის კენჭილოზე (წყნარი ოკეანე) და სხვა ადგილებში. რაკეტების დაკვირვებათა პროგრამა ამ არის ფართო. ისინი ძირითადად იძლევიან ცნობებს ატმოსფეროს წნევის, ტემპერატურის, კოსმოსური სხივების ინტენსივობის, მაგნიტური და მზის ულტრაიისფერი გამოსხივების შესახებ.

რაც შეეხება დედამიწის ზელოვანი თანამგზავრის გაშვებას, მრავალრიცხოვანი უშედეგო ცდების შემდეგ აშშ-მა შესილო რამდენიმე მთავანის გაშვება სივრცეში. მოგვიანეს ზოგიერთი ცნობები აშშ-ის პირველი სამი თანამგზავრის შესახებ, რომელნიც გაშვებული იყენენ 1958 წლის 31 იანვარს, 17 მარტს და 26 მარტს. ეს ცნობები ამოღებულია აშშ-ს ნაციონალური კომიტეტის ანგარიშიდან.



		1-ლი თანამგზავრი	მე-2 თანამგზავრი	მე-3 თანამგზავრი
ზომა (დრუბებში)	სიგრძე—80 ღიამეტრი—6		ღიამეტრი—6,4	სიგრძე—80 ღიამეტრი—6
წონა (გრამაზეებში)		30,8	3,25	31,0
ენერჯის წყარო	სინდიფის ბატარეა		სინდიფის და შვის ბატარეა	სინდიფის ბატარეა
მანძილი დამბორდან (ბილმბში)	პერიოდიში	224	404	118
	აპოვიში	1573	2465	1740

როგორც უხედავთ, ამერიკელი თანამგზავრების მცირე წონის გამო ისინი საკმაოდ შორს არიან აპოვიში დაცულეული დედაშიწიდან, რაც ამერიკელს საფუძველს აძლევს სრულიად დაუსაბუთებლად ამტკიცონ, რომ პირველი თანამგზავრი იარსებებს 3-5 წელს, და მეორე — 200 წელსაც კი. მაგრამ ამერიკელი თანამგზავრების მეცნიერული ღირებულება დიდი არ არის, ვინაიდან მათი დაკვირვებების პროგრამა მეტად ვიწროა. მეორე თანამგზავრი მხოლოდ ტემპერატურულ გაზომვებს აწარმოებს, ხოლო პირველი და მესამე იმდენად ცნობებს კოსმოსური სხივების, მიკრომეტეორების და ტემპერატურის შესახებ. ცხადია, რომ ეს თანამგზავრები ვერაფერს შეშთხვევაში ვერ შეედრებიან საბჭოთა თანამგზავრებს, რომელნიც, როგორც ცნობილია, ნამდვილ კოსმოსურ ლაბორატორიებს წარმოადგენენ და დაკვირვებათა ვრცელ პროგრამას ასრულებენ. რა უფრო უნდა პქონდეს 3 ვიზუალური პერსონალის ტრაილს, დღეშიაჩის-გარშემო, თუნდაც ათეული და ასეული წლების განმავლობაში? ჩვენ აღარაფერს ვამბობთ კოსმოსური რაკეტის შესახებ, რომელიც ამერიკისათვის ჯერ მიღწეული აღმოჩნდა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ყველა მკვეყნაზე უფრო დიდ პროგრამას ასრულებს საბჭოთა კავშირი, სადაც საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამის შესრულებაში მონაწილეობს 86 სამეცნიერო დაწესებულება. მათ შორის ყველაზე დიდ პროგრამას ასრულებენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, პირობეტსამსახურის მთავარი სამმართველო, უმაღლესი განათლების სამინისტრო და სხვ. ეს დაკვირვებები წარმოებს როგორც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ისე მის ვარსკვლავ. სტაციონარული დაკვირვებანი (გარდა დროებითი პუნქტებისა) წარმოებს 547 სადგურზე და ობსერვატორიებში. დიდი მოცულობის სამუშაო „მნათობი“, № 5

ებს ასრულებენ ექსპედიციები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია კომპლექსური ანტარქტიკული ექსპედიცია, ოკეანოგრაფიული და გლაციოლოგიური ექსპედიციები, წყნარი ოკეანის ექსპედიცია, არამანტიტური გემის „ზარია“ ექსპედიცია და სხვა.

საბჭოთა კავშირში მოეწყო სგწ-ის მასალების შეგროვების და დამუშავების ერთ-ერთი მსოფლიო ცენტრი (ცენტრი B).

მეტეოროლოგიის დარგში საბჭოთა კავშირში სგწ-ის პროგრამით დაკვირვებები წარმოებს 296 სადგურზე. აქედან 2 არქტიკული სადგურია, ხოლო 4 მოწყობილია ანტარქტიკაში. მეტეოროლოგიური დაკვირვებები მოიცავენ მეცნიერების ამ დარგის პრობლემების ძალიან ფართო წრეს.

გეომანტიტური დაკვირვებები წარმოებს 32 სადგურზე, მათგან 10 მოწყობილია ახლად. მრავალ სადგურზე დადგმულია სრულიად ახალი აპარატურა, რომელიც, მაგალითად, საშუალებას აძლევს ვაწარმოოთ მანტიტური ველის სწრაფი და მეტად სწრაფი ვარაიციების ჩაწერა. მიწის დენების ჩაწერა წარმოებს 18 სადგურზე, რომელთაგან 13 მოწყობილია სპეციალურად სგწ-თან დაკავშირებით. საბჭოთა კავშირის გეომანტიტურ და გეოელემენტურ სადგურებზე დიდი ყურადღება ექცევა ე. წ. მოკლეპერიოდის ვარაიციების და პულსაციების რეგისტრაციას. ეს პრობლემა ასამბლავ ჩათვალა იმდენად აქტუალურად, რომ 1959 წლის სექტემბრისათვის გადაწყვეტილია პოლანდიაში მოწყვეტულ იქნას სიმპოზიუმი ამ საკითხის გასაშუქებლად. საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკვე გამოვლინებულია ისეთი შემთხვევები, როცა მოკლეპერიოდის პულსაციები ერთსა და იმავე დროს აღინიშნა არქტიკაში, ანტარქტიკაში და საშუალო სივანდელებზე. გეომანტიტურ დაკვირვებათა დარგში დიდი მოცულობის სამუშაოებს ასრულებს გემი „ზარია“, რომელიც არამანტიტური მასალისაგან გაკეთებული ერთ-

თადრთი გემია შოფლიოში. სგწის განმავლო-
ბაში „ზარიაშ“, რომელიც ნაოსნობაში ლენინ-
გრაძიდან გაიქცა, უკვე შეასრულა ატლანტის
ოკეანეს ექვსი გადაცემა. „ზარიაშ“ მიერ შეგრო-
ვული დაკვირვებებით მასალა საგრძნობლად ცვლის
გეომაგნიტური ველის დედამიწის ზედაპირზე
განაწილების ამჟამად არსებულ წარმოდგენას.
პოლარული ნათების დაკვირვებანი, წარმოებს
605 საღვურზე, ხოლო ღამის ცის ნათებისა —
9 საღვურზე, მოწყობილია დაკვირვება ე. წ.
ზოდიაკალის ნათებზე, რომელიც ერთსა და
იმევე დროს წარმოებს საშუალო სიგანეზე
(ალმა-აბა) და ეკვატორულ ზონაში (ეგვიპტე-
ლიბიის უღამნო, ასტანის მახლობლად).

იონოსფეროს ვერტიკალური ზონდირება წარ-
მოებს 22 საღვურში, რომელიც ახალი ავტომა-
ტური ხელსაწყოებით არიან აღტურვილი. ორი
მათგანი მოწყობილია ანტარქტიკაში.

მეტეორების კვლევა მიმდინარეობს 8 საღვურ-
ში, ძირითადად რადიოლოკაციური დაკვირვებ-
ების საშუალებით. საინტერესოა აღინაშნოს,
რომ გარდა ცნობილი პერიოდული მეტეორული
ნიაღვრებისა, რომლებიც დედამიწის ხედება,
რეგისტრირებულია ადრე უცნობი მეტეორების
ნიაღვრები (ზარკოვი, 9-15 მარტი 1958 წ.), აგრე-
თვე პიკარბოლური სისწრაფის მქონე (70 კმ/წამ-
ში და უფრო მეტიც) მცირე მეტეორები.

შის აქტიურობის დაკვირვებები საბჭოთა კავ-
შირში წარმოებს 17 ობსერვატორიაში. ოპტი-
კური დაკვირვებების გარდა, ხდება შის რადიო-
გამოსხივების გაზომვებიც, შის სამსახურს
სგწის განმავლობაში განსაკუთრებული მნიშე-
ნელობა ენიჭება, რადგან მასზე დაკვირვებანი
გამოიყენება სხვა გეოფიზიკური მოვლენების
(მაგნიტური დღეუა, პოლარული ნათება და
სხვ.) პროგნოზისა და ე. წ. შოფლიო ინტერ-
ეალბის (გაზიარებული დაკვირვებანი) დასად-
გვანად.

კოსმოსური სხივების ინტენსივობა შეისწავ-
ლება 14 საღვურში, რომელთაგან 7 ახლად არის
მოწყობილი. ყველა საღვური, გარდა საიონიზა-
ციო კამერებისა, აღტურვილია ახალი ხელსაწყო-
ებით — ნეიტრონული მონიტორებით და კენ-
ბური ტელესკოპებით. საბჭოთა ხელოვნური თა-
ნამშენებრიდან და რაკეტებიდან კოსმოსური
სხივების დაკვირვებებს მიძღვნა სსრ კავშირის
შეცნეირებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის
ს. ვერნიოვის და ა. ჩუდაკოვის 31 ივლისის
ლექცია, რომელშიც ანსამბლურ მონაწილეთა
დღი ინტერესი გამოიწვია.

სიგანედების და სავრძედების ცვლილებათა
გამოკვლევებისათვის საბჭოთა კავშირში მუ-
შაობს დროის 12 სამსახური და 7 სიგანედუ-
რი საღვური, რომლებიც სიგანედების ცვლი-
ლებებზე და დედამიწის პოლუსის მოძრაობაზე
წარმოებენ დაკვირვებს.

გლაციოლოგიური დაკვირვებები ხდება 15

პუნქტში, მათგან დიდი სამუშაოები წარმოებს
ანტარქტიკაში, რომლებშიც უკვე მნიშვნელოვანი
შედეგები მოგვცა კერძოდ, ანტარქტიკის ყი-
ნდლოვანი საფარის სისქის შესწავლამ სესიმურის
და სესიმოკაუსტიკური მეთოდების საშუალებ-
ებით, აგრეთვე გრავიმეტრიულ დაკვირვებებმა
დაადგინა, რომ, მაგალითად, აღმოსავლეთ
ანტარქტიკაში ყინვარის სისქე 2500 მეტრამდე
აღწევს, ამასთან ყინულის საცების დიდი უბნები
ოკეანის დონის ქვემოდაა განლაგებული. ამ და-
კვირვებებს შეუძლიათ სრულიად შეცვალონ ჩვე-
ნი წარმოდგენა ანტარქტიკაზე, რომელიც შეიძ-
ლება წარმოადგენს არა მთლიან კონტინენტს,
არამედ დიდი კუნძულების არქიპელაგს. გარდა
ამისა, მიღებულია საინტერესო შედეგები, რომ-
ლებიც მოწმობენ მეოცე საუკუნეში დედამიწის
ყველა ყინვარის ერთდროულ უკან დახევას, რაც
მიგვითავის დედამიწის კლიმატის სისტემატურ
ცვლილებაზე (გათბობის პროცესი). ეს დახვეა
ანტარქტიკაში გაიცლებით უფრო ნელა წარმო-
ებს, ვიდრე სხვა ადგილებში.

ოკეანოგრაფიულ გამოკვლევებში მონაწი-
ლებობს 14 გემი და 10 საანაბრო საღვური
(ზღვის დონის ცვლილებების დაკვირვება). გან-
საკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგები იქნა
მიღებული ოკეანოგრაფიული გემ „ვიტიაზის“
მიერ, რაზედაც 2 აგვისტოს ასამბლურის მონაწი-
ლებებს მიუთხრობს სსრ კავშირის აკადემიის
წევრ-კორესპოდენტ ლ. ზენკეინმა. 1957 წლის მეორე
ნახევრიდან 1958 წლის მარტამდე „ვიტიაზმა“
წყნარ ოკეანეზე განახორციელა ორი ექსპედი-
ცია (51 რეისი); გაიარა 34500-მდე მილი და
გააყვთა 278 დგომა — საღვური. გამოკვლევული
იქნა ოკეანის მდინარებანი, რომელთა სისწრა-
ფე 100 მეტრის სიღრმეზეც კი წაშში 10-12
სანტიმეტრს აღემატება. გამოკვლევულ იქნა
წყნარი ოკეანის ჩაღრმავებანი რომელთა სი-
ღრმეები საგრძნობლად იქნა დაზუსტებუ-
ლი. ასე მაგალითად, ცნობილი მარიაინის ჩა-
ღრმავება (რომელიც ჯერჯერობით ყველაზე
ღრმა უფსკრულია დედამიწაზე), აღმოჩნდა 10990
— მეტრი სიღრმისა, ტონგა — 10840 მეტრი,
კურილო — კამრატკია — 10382 მეტრი. აღ-
მოჩენილია ახალი ჩაღრმავება, რომელსაც დაე-
არტება „ვიტიაზი“ (დოჯის კუნძულთან). წყნარ
ოკეანის ფსკერზე აღმოჩენილია წელს-
ქვეში ქვიშა, რომელიც აღეუბნის კუნძულები-
დან ჰავაის კუნძულებამდე აღწევს. გამოკვ-
ლევულ იქნა წყნარი ოკეანის ფსკერის ნალე-
ქები. ოკეანის ფსკერზე ნალექების დაგროვი-
ების პროცესი წარმოადგენს გრანდიოზუ-
ლეს მასშტაბის ყვარის ნაწილავების ვადადგო-
ლების პროცესს. საყმარისია ითქვას, რომ ოკე-
ანეების ფსკერის ნალექების საერთო მასა რამ-
დენჯერამე აღემატება დედამიწის ზედაპირის
მთების საერთო მასას. ამ გამოკვლევების დროს

ექსპედიციამ შეძლო მიეღო კიბაბასალური ნალექების ფოტოსურათები 9500 მ სიღრმეზე. საზღვარგარეთის ზოგიერთ ევროპაში დაიბეჭდა წინადადებები იმის შესახებ, რომ ოკეანეს ეს ღრმა ადგილები გამოყენებულა უოფლიუო რადიოაქტიური დაშლის პროდუქტებისათვის. მაგრამ ლ. ზენკევიჩის მოხსენებაში ნათლად იყო ნაჩვენები, რომ ესეკრთან ოკეანის წყლების დინების გამო ეს რადიოაქტიური პროდუქტები საბოლოოდ ოკეანის ზედაპირზე აღმოჩნდებიან. აქვე შევნიშნოთ, რომ ამერიკის ზოგიერთმა წარმომადგენელმა შემდგომში წამოაყენა წინადადება რადიოაქტიური „ნარჩენების“ გადასაყრელად გამოყენებულ უოფლიუო... შავი ზღვა, რაზედაც, ცხადია, საბჭოთა მეცნიერები არ დათანხმდნენ.

ყველზე მნიშვნელოვანია საბჭოთა მეცნიერების მიღწევები რაკეტების და თანამგზავრების დანართის. საერთაშორისო გეოფიზიკური წლის დასაწყისიდან 1958 წლის 1 ივლისამდე საბჭოთა კავშირის მიერ გაშვებული იყო 3 თანამგზავრი. რაკეტები გაშვებულ იქნა არტიკიდან (ბუიის კუნძული), დახელოებულადიდან „ობი“ ანტარქტიდაში, და საშუალო სიგანეებზე. რაკეტა, რომელიც გაშვებულ იყო 1958 წლის 21 თებერვალს, სიმაღლის მხრივ სარეკორდოა. მან მიადგინა 473 კილომეტრს. საერთოდ, საბჭოთა რაკეტების ჩვეულებრივი „ჭერი“ 200 კმ. აღემატება, ამ მხრივ ამერიკული რაკეტები საგრძობლად ჩამორჩებიან. ჩვენი რაკეტების მეცნიერულ დაკვირვებათა პროგრამაც გაიცვლინით უფრო ფართოა. მათი საშუალებით წარმოებს დაკვირვებები იონოსფეროს შედგენილობაზე, ელექტრონების კონცენტრაციაზე იონიზირებულ შრეებში, ატმოსფერულ წნევაზე, ცოცხალ ორგანიზმებზე ატმოსფეროს ზედაფენებში და სხვა.

ჩვენ აქ არ შევხებით საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრების საკითხს და მეცნიერულ დაკვირვებათა ამ ვრცელ პროგრამას, რაც მათი შემწეობით ხორციელდება, რადგან ეს ცალკე სტატიის საგანს შეადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ასამბლეს სხდომების განმავლობაში საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრები და მათზე წარმოებული მეცნიერული დაკვირვებები ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 78 მედლივი ენერჯული სადგური და 27 ფოტო სადგური ადგენეს თვალყურს თანამგზავრების მოძრაობას.

სეისმური დაკვირვებების ძირითად ამოცანას წარმოადგენს არტიკისა და ანტარქტიკის სეისმურობის შესწავლა. ამ მიზნით დაკვირვებებს აწარმოებს 26 სპეციალური სეისმური სადგური. საინტერესოა ანტარქტიკული სადგურების („მირნი“ და „ოახისი“) დაკვირვებათა წინასწარი შედეგები: აქ უკვე რეესტრირებულია 600-მდე მიწისძვრა, რომელთა ეპიცენტრები

ანტარქტიკის გარეთაა. მიკროსეისმების დაკვირვებას აწარმოებს 25 სადგურიც.

სეისმურ დაკვირვებებთან ერთად საინტერესოა შირებელია წყნარი ოკეანის კომპლექსური გეოლოგიური-გეოფიზიკური ექსპედიციის შემოახალი ზონის აგებულების შესწავლა აზიის კონტინენტისა და წყნარი ოკეანის შორის. ამ ზონის უკავშირდება ოკეანის დიდი ჩაღრმავებული და მალალი სეისმურობის შემოე სარტყელი, რომელთა კიბოცენტრები განლაგებულია ზედაპირიდან დაწყებული 650 კმ. სიღრმემდე. ეს გარემოებანი მოწმობენ, რომ აქ არსებობს დეამიფის ზურგზე ყველაზე დიდი სიღრმისა ბზარი მიწის ქერქში. გეოლოგიური კვლევის გარდა, აქ წარმოებს დაკვირვებანი სეისმური, გრაჰვიმეტრიული და მაგნიტური გეოფიზიკური მეთოდებით. წინასწარი შედეგები აღსტურებენ მოსაზრებას ოკეანის ფსევრზე მიწის ქერქის მკვეთრად შემოიკრების შესახებ, ქერქის სისქე წყლის მასასთან ერთად აქ შეადგენს მხოლოდ 12-18 კმ.-ს.

გრაჰვიმეტრიის დარჯში საბჭოთა კავშირში წარმოებს სტაციონარული დაკვირვებანი მიწის ქერქის ე. წ. მოქცევის შესასწავლად მთავარის მიზიდულობის გამო, და ანტარქტიკაში ცალკეული პუნქტების დახვეწა.

დიდი მოცულობის სამეშაოები სრულდება არტიკაში და ანტარქტიკაში. ამ უკანასკნელში მოწყობილია 7 დაკვირვების სადგური „მირნი“, „პიონერსკაია“, „ოახისი“, „ესტოტო I“, „კოსმოს-მოსკოვა“ ავოსტოტო „სოვეტსკაია“ ამა. თგან არა უკანასკნელი 1400 კმ.-ზე მეტი მანძილით არის დაშორებული ოკეანის ნაპირიდან და წარმოადგენს ყველაზე შორეულს და ყველაზე დიდ სიმაღლეზე (3500-3700 მეტრი ზღვის დონედან) მოწყობილ სადგურებს ანტარქტიკაში. ეს ადგილები იმყოფება საშხრეთი გეომაგნიტური პოლუსის მიდამოებში და ცნობილია „შედარებითი მიულწველობის პოლუსის“ სახელით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აქ ჩაწერილი იქნა ყველაზე დაბალი ტემპერატურა, რომელიც დედამიწის ზურგზე ყოფილა ოდენიმე შემწნელი — 87, 4 C. პოლარული რიონებში დაკვირვებები მოიცავს შემდეგ დარჯებს: მეტეოროლოგია, აეროლოგია, აქტინომეტრია, მაგნიტური გაზომვები, მიწის დენები, პოლარული ნათება, იონოსფერი, კოსმოსური სხივები, გლაციოლოგია, სეისმოლოგია, გრაჰვიმეტრია, პიდროლოგია, ზოოლოგია, ბოტანიკა, ფიზიოლოგია.

დიდ ყურადღებას იმყრობდა გეოფიზიკური წლის პროგრამის ცალკე დარჯების მიხედვით მოწყობილი სიმპოზიუმები, რომლებიც მუხეთე ასამბლეს დროს გაიმართა.

მეტეოროლოგიის დარჯში მოსმენილ იქნა მოსხენებები: ვ. ბუზისის (ავსტრალია) ანტარქტიკაში სინოპტიკური მეტეოროლოგიის პრობლემა

ბის შესახებ, ხ. ვექსლერისა (აშშ) ანტარქტიკის სეზონური და მრავალწლიური ტემპერატურულ ცვლილებების შესახებ, ო. კრიანკისა — ატმოსფეროს ცირკულაცია ანტარქტიკის რაიონებში. სპეციალური სხდომა მიმდინა ე. წ. ვერცხლისებური ღრუბლების პრობლემას, რის შესახებაც წყაობხელი იყო საბჭოთა კავშირის, აშშ და ინგლისის სწავლულთა 7 მოხსენება, რომლებიც ძირითადად ამ ღრუბლების წარმოშობის საკითხს ეხებოდა. მეტეოროლოგიური მოვლენების პროგნოზის პრობლემებს ეხებოდა — სსრ კავშირის, საფრანგეთის, ინგლისის, შვეიცოიის, გერმანიის და სხვა ქვეყნის მეცნიერთა 13 მოხსენება.

გეომანეტროზის და იონოსფეროს ვაერთიანებულ სიმპოზიუმზე მოხმენილ იქნა 17-მდე მოხსენება, რომელნიც ძირითადად ეხებოდა მაგნიტურ დედნების საკითხებს და მათს კავშირს იონოსფერულ მოვლენებთან. საინტერესო იყო მოხსენება ს. ჩეპმენისა, რომელმაც მაგნიტური დედნების ანალიზის საფუძველზე გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ რომ მზის ატმოსფერო სცილდება მზის სისტემის ფარგლებს და დედამიწის ატმოსფერო — კი შეიძლება სწვდება მთავარმდე მანძილის ნახევარს. ინდოეთის მეცნიერმა კ. რამანატანმა მოხსენება გააკეთა იონოსფერული დედნების შესახებ, ცნობილმა გერმანელმა მაგნიტოლოგმა ი. ბარტელსმა მაგნიტური აქტივობის მსოფლიო ინდექსის შესახებ. საბჭოთა მეცნიერების ა. კალაშნიკოვის, ბ. იანოვსკის, ვ. ტროიკაიას, ა. იფანიონევის და სხვათა მოხსენებებში შეეხებოდა მაგნიტური და ელექტრული დედნების პრობლემებს, გეოფიზიკური წლის დაკვირვებათა მასალების მიხედვით.

პოლარული და ღამის ცის ნათების სიმპოზიუმში მოიხილნა საბჭოთა და უცხოელ მეცნიერთა (ს. პარტლენი, ვ. კრასოვსკი, კ. რამანატანი, ა. ნობედიანი და სხვ.) ათი მოხსენება, რომლებიც მივლინდა პოლარული ნათების კავშირს შიშვალურ ველთან, წყალბადის ემისიის საკითხებს, ღამის ცის ნათების რაგისტრაციას, ატმოსფეროს ზედაფენების ენერჯიის წყაროებს და სხა. მეტეორების დარგში გამართულ სიმპოზიუმზე მოხმენილ იქნა მოხსენებები მეტეორული ნეთეორების სფეროთა სიმკვრივის შესახებ დედამიწის ორბიტის მიდამოებში (ბ. ლევი), მეტეორული სხეულების დანაწევრება (ე. კრიხოვი), მეტეორული იონიზაციის მექანიზმი (ბ. მესსი, ინგლისი), მეტეორებზე რადიარული დაკვირვებანი (ი. აონო, იაპონია), მეტეორული ასტრონომია (ვ. გუტი, ჩეხოსლოვაკია) და სხვა. ვაკუუმოლოგიის სიმპოზიუმზე მოხსენებები ეხებოდა ძირითადად გრუნდანიდის და ანტარქტიკის უინვარებზე დაკვირვებებს.

ოკეანოგრაფიის სიმპოზიუმში დიდი ინტერესი

სით მოიხილნა საბჭოთა მეცლევარების — ვ. ბოგოროვის, ა. ლაქტონოვის, ა. კოლენსიკოვის და სხვ. მოხსენებები, რომლებიც ეხებოდა არქტიკაში წარმოებულ ოკეანოგრაფიულ ცვლილებას — ზღვის წყლების ტურბულენტური კვლის-ინტენსივობის საკითხს, საბჭოთა კავშირში ოკეანეების შესწავლის მეოლოგიის და სხ. აშშ-ის და ინგლისის სწავლულთა მოხსენებები გააკეთეს ოკეანეების სიღრმითი დინების და სხვა პრობლემების შესახებ.

25 მოხსენება იყო წარმოდგენილი სეისმოლოგიის სიმპოზიუმზე. ცნობილმა სეისმოლოგმა კ. ბულენმა (ავსტრალია) წაიკითხა მოხსენება მიწის ქერქის სისქის შესახებ ავსტრალიის კონტინენტზე, პასადენის ობსერვატორიის (აშშ, კალიფორნია) დირექტორმა ფ. პრესმა — დედამიწის ქერქის აგებულების შესახებ. რამდენიმე მოხსენება ჩატარდა ანტარქტიკის უინდლის საფიარის სისქის განსაზღვრის (ბ. იმბერი-საფრანგეთი, გ. რობინი — დიდი ბრიტანეთი, ლ. ვულსინგი-ავსტრალია) და მიკროსეისმების შესწავლის დარგში (ს. გერმანიის — არგენტინა, კ. ბულენი — ავსტრალია). საბჭოთა მეცნიერებმა (ე. სავარსკი, ნ. ლინდნი, ს. კოვანი, ვ. მონახოვი, ვ. კეილის-ბოროკი და სხვ.) გააკეთეს მოხსენებები საბჭოთა კავშირში სეის-პროგრამით წარმოებული სეისმური დაკვირვებების შესახებ, არქტიკის და ანტარქტიკის სეისმურობის საკითხებზე და სხვ.

ასამბლეის უფრადღების ცენტრში იდგა სიმპოზიუმი, მიძღვნილი რაკეტების და სატელიტების (თანამგზავრები) პრობლემებისადმი; საბჭოთა და უცხოელი მეცნიერების მიერ ამ დარგში გაკეთებული იყო 70-ზე მეტი მოხსენება. ეს მოხსენებები ეხებოდა თანამგზავრების ორბიტების გამოკვლევას, თანამგზავრების მოძრაობის დადგენას, ატმოსფეროს სტრუქტურულ პარამეტრებს, თანამგზავრებისა და რაკეტებზე წარმოებული დაკვირვებების საფუძველზე, თანამგზავრებზე რადიოდაკვირვებებს, ატმოსფეროს ზედა ფენების და კოსმოსური სხეულების კვლევას რაკეტებისა და თანამგზავრების საშუალებით.

საბჭოთა მეცნიერმა აკად. ლ. სედოვმა თავის მოხსენებაში „დედამიწის ზელოვანი თანამგზავრების მოძრაობის დინამიკური ეფექტები“, გააშუქა საკითხი თანამგზავრის მოძრაობის კოსმომოიერების შესახებ და ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ მის გზას კოსმოსურ სფეროში.

ასამბლეის დასკვნის პლენარულ სხდომაზე, რომელიც 9 აგვისტოს გაიმართა მოკლე მოხსენებით სამშაო ჯგუფების საქმიანობის, მათ მიერ მიღებული რეკომენდაციების შესახებ, გამოვიდნენ სამშაო ჯგუფების ზეღმლადანელები (შეპლი, ვან-მოგევი, ლაურსენი, ელვინი, ბენიონი, იმანი, სიმპსონი, ლეკლერევი, ფილ-

ლი, ნიუელი, ბელესოვი, ბულანე და ნი-
კოლე).

ძირითადი საკითხი, რომელიც საბჭოთა დელე-
გაციის მიერ იყო შეტანილი—სგწ-ის დაკვირვე-
ბათა ერთი წლით განგრძობის შესახებ, მიღე-
ბულ იქნა შემდეგი ფორმულირებით დაკვირვე-
ბები იწარმოებს იმავე პროგრამით, როგორც
1957-58 წლებში და იმ მოცულობით და იმ
დარგებში, რასაც შესაძლებლად ჩათვლის თი-
თოეული ნაციონალური კომიტეტი. 1959 წელს
ამ ღონისძიებას ეწოდება „1959 წლის საერთა-
შორისო გეოფიზიკური თანამშრომლობა“.

პლენარულ სხდომაზე გამოვიდა სპეციალური
კომიტეტის ბიუროს წევრი შ. კულონი, რომელ-

მაც მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას
და ყველა ორგანიზაციას ასამბლეის საუკეთესო
ორგანიზაციისათვის. საპასუხო სიტყვა წარმოთქ-
ვა სგწ-ის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ
აკად. ი. ბარდინმა.

ასამბლეის დახურვის წინ სპეციალური კო-
მიტეტის პრეზიდენტმა ს. ჩემპენმა წარმოთქვა
სიტყვა, სადაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ
არასდროს კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ
ჩატარებულა ასეთი დიდი მოცულობის მეც-
ნიერული დაკვირვებები საერთაშორისო მაშ-
ტაბით. ასეთი თანამშრომლობა შეიძლება რე-
კომენდებული იქნეს მეცნიერების სხვა დარ-
გებისთვისაც.



ახალგაზრდა მხატვრები

1922 წლიდან საბჭოთა მთავრობის ზრუნვით თბილისში შეიქმნა უმაღლესი სამხატვრო განათლების კერა — სამხატვრო აკადემია. ამ საქმის განხორციელებაში ქართველმა მხატვრებმა და ინტელიგენციამ განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშეს.

ჩვენი ეპოქის ქართველი მხატვრები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე კაცს, თითქმის ყველა თბილისის სამხატვრო აკადემიაში არიან აღზრდილები.

დღეს ჩვენ უკვე ვაქვს ნამდვილად თანადროული და მაღალ დონეზე მდგომი არქიტექტორი, ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა — მისი ორი სახეობით, კერამიკა და თეატრალურ-დეკორაციული ფერწერა. დღეს ქართული სახეობის ხელოვნების წამყვან და დასაყრდენ ძალას, წარმოადგენს თბილისის სამხატვრო აკადემიაში აღზრდილი მოღვაწენი.

თბილისის სამხატვრო აკადემიამ ჩვენი დედაქალაქის საიუბილეო წინა დღეებში გამოუშვა ნიჭიერი ახალგაზრდობა, საეცხებით მომწიფებულნი დამოუკიდებელი შემოქმედებითი შრომისათვის. აკადემიიდან გამოვიდნენ: არქიტექტორები, ფერმწერლები, მოქანდაკეები, გრაფიკოსები — ოსტატები დაზვერი და წიგნის გრაფიკისა, კერამიკოსები, თეატრალურ-დეკორაციული საქმის ოსტატები. თვით ეს მრავალფეროვანებაც კი მრავლის მერყეულია და იმ დიდ მუშაობაზე მიუთითებს რომელსაც სამხატვრო აკადემია ატარებს სპეციალური განათლების დანერგვის ხაზით.

ქართული სახეობითი კულტურის მუშაობა ოჯახს შეემატა — თორმეტი ფერმწერალი, აზღვნივე გრაფიკოსი, რვა მოქანდაკე, ათი კერამიკოსი და ცამეტი მხატვარი-არქიტექტორი. ფერწერაში ხუთმა მიიღო შეფასება ფრიადზე ხსებმა კი კარგზე. დასაცავად წარმოდგენილი იყო ხუთი საპორტრეტო, სამივე საყვარლო სურათი და ოთხი თეატრალურ-დეკორაციული გაფორმება.

ქანრით იყვნენ წარმოდგენილნი: ვ. ლ. ბერიანიშვილი, — „სამოქრებზე“, რომელიც შეცხვარების მიერ იაღალზე ცხვრების მოვლის

სურათს ხატავს, რ. ა. მაყაშვილი — „ყურძინი კრეფა კახეთში“; ც. ჯ. კანდელაკი — საყვარლო ხასიათის სურათით „ქართველი დედა“.

პორტრეტული ენარის ნაწარმოებები ჰქონდათ: ლ. რ. კაქარავას — „ავტოპორტრეტი“, ვ. პ. კეშელავას — „გ. ტაბიძის“, „ლ. გოთუას“ და „მის. მარგალიშვილის“ პორტრეტები, ე. ნ. კანდელაკს — „სახალხო მოქანდაკის ნ. პ. კანდელაკის“ პორტრეტი, ვ. ი. მუხამიშვილს „მეჩაიე გოგონას“ და ზ. კ. წერეთელს „ჩოგბურთელის“ პორტრეტი.

უსათუოდ საყურადღებო იყო თეატრალურ-დეკორაციული ფერწერა, ყურადღება მიიქცია და მაღალი შეფასება დიმიტრიანოვი ტ. რ. მირზაშვილის, ვ. იხენის „პიერ გენტის“, კ. ს. კეღლიძის უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტის“, ვ. რ. იუსტიკიას ბერნარდ შოუს „ცეზარის და კლეოპატრას“ მხატვრულ-დეკორატიულმა გაფორმებებმა.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ მიცემულ რამდენიმე მართებულ შეფასების მიუხედავად პირდაპირ უნდა ითქვას რომ წრევანდელი გამოშვება ფერმწერლებსა მათი სამდილობო შრომების მიხედვით ვერ იღვა სამწუხაროდ სასურველ მაღალ დონეზე, უფრო მეტიც, მათ ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ საეცხებით ეჩვენებინათ თავიანთი მონაცემები და შესაძლებლობანი. ამის მიუხედავად აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის საინტერესო მონაცემები, რაც აჩვენებს ფერმწერალმა დიდი მომანტებმა; ასე მაგალითად საყვარლო ხასიათის რამდენიმე დეკორატიულ სურათში რ. ა. მაყაშვილმა და დაზვერი სურათის ქანრული გაზრების მხრივ ბერიაშვილმა, ხოლო პორტრეტის კომპოზიციურ, ფერმწერულ თუ სხვა ხასიათის მხატვრულ ამოცანების გადაწყვეტის მხრივ დიდი მომანტებმა: კაქარავამ, კეშელავამ, კანდელაკმა, წერეთელმა, კანდელაკმა, მუხამიშვილმა.

სამხატვრო აკადემიას დიდი ღვაწლი მიუძღვის და ამავე აქვს დადებული ქართული გრაფიკის წარმატებაში. მაგრამ ჩვენ აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ როგორც ყოფილის ისე ახლანდელის საქართველოს მხატვართა კავში-

რის გულგრილობისა და დაუდევრობის შედეგად ქართული გრაფიკის განვითარება დიდად არის შეფერხებული.

მოუხედავად მხატვართა მესამე (1955) და მეოთხე ყრილობის (1958) დადგენილებებისა კვ-
შირის ხელშეწყობის მიზნით დღემდეც არ იზრუნა დაზვერი გრაფიკისათვის საჭირო საშუალო ბაზის შექმნისათვის. აკადემიიდან გამოსული შე-
სანიშნავი კადრები დაზვერი გრაფიკისა, სა-
თანადო ბაზის უქონლობის გამო, თავს ანე-
ბებენ ზოლში თავიანთ საქმეს, ვანა ცხადი არ
არის ასეთი მდგომარეობა ქართულ დაზ-
ვერი გრაფიკის განვითარებას დიდი საშიშროე-
ბას რომ უქმნის?

როგორც ცნობილია ქართული გრაფიკის, მადლი ეუბნება და შესაძლებლობანი ნათ-
ლად გამოქვლიანდა. უნდა ითქვას, რომ თანა-
დროული ქართული გრაფიკა, ნამდვილად არის პირში არა მარტო ჩვენი დროისა, არამედ იგი იმავე დროს შემუშავებულია ნამდვილად თბილისის სახატვერო აკადემიაში აღზრდილ მხატვართა შემოქმედებითი შრომითაც.

ქართული პლაკატის — პლაკატ-რეკლამის მა-
ღალი ევლტერა ჩვენი მამულია და მკვიდ-
რდა თბილისის სახატვერო აკადემიის პლაკა-
ტის სახელოსნოსა (ხელმძღვანელი ხელოვნე-
ბის დამსახურებული მოღვაწე ს. დ. ნადარეი-
შვილი) და გრაფიკის ფაკულტეტის სხვა მას-
წავლებელთა თავდადებული მუშაობით. წელს
დაცვაზე შესანიშნავად წამოვიდნენ პლაკატთა
და პლაკატ-რეკლამით: ი. ე. გორდელაძე, ც. ე.
მონიავა, ა. დ. ვანევეცი.

წინ გადადგმული ნაბიჯი აჩვენა დაცვაზე წარმოდგენილმა მეტად საინტერესო მაგკამ ჩვენში არც ისე დიდი ხნის დანერგულმა დარგმა უახლესი ქართული დაზვერი გრაფიკისა. დი-
ლომანტებმა: მ. კ. ვარდუღვიძლი, მ. ლ. თელიამ, თ. ს. ქოჩიაშვილმა, რ. ი. ჩხიკვიშვილმა დათას-
ტერეს არამცთუ სრული ძალით დაუფლება დაზვერი გრაფიკის ტექნოლოგიის თითქმის ყვე-
ლა სახეობისა და მათ სფეროში თავისუფალი მუშაობა, არამედ შესძლეს კიდევაც, მეტად სა-
ინტერესო, საბიზაო და საყოფაცხოვრებო ეანტრის კომპოზიციითა შექმნეს. ქართულმა დაზვერმა გრაფიკამ დილომების სახით შეი-
ძინა საყურადღებო ნაწარმოებები ზოლო დი-
ლომანტთა სახით კი მეტად ნიჭიერი და საქმის-
მოყვარული ახალგაზრდობა. ცხადია, რომ მათი მოვლა-პატრონობა და მათ შემოქმედებით შრომებზე ხელშეწყობა, ასევე მათი სათანადო ბაზით უზრუნველყოფა საჭიროებლის მხატ-
ვართა უჭირბის და ევლტერის სამინისტროს მესვეურთა საქმეა.

ძალზე საინტერესო იყო დილომები წიგნის გრაფიკის სფეროში. აშკარა და ნათელი ვახდა, რომ ქართული წიგნის დასურათებისა და გა-
ფორმების ხელოვნების საქმის ერთგულ დაწყე-

ბული განვითარება, ახალი საფეხურებზე მი-
მართება წინ, ჩანს რომ ქართული წიგნის და-
სურათებს მართლაცდა დიდი მოწოდება აქვს.

დილომანტებმა: ა. თ. ბუციშვილი, წერეთ-
ლის „პირველი ნაბიჯის“, გ. ა. ბუჩუკურმა —
მ. ლერსტიტვის „მწიროს“, ა. პ. გამყრელი-
ძემ — ა. წერეთლის „ბაშინაშვილს“ მ. მ. ლო-
ლუამ — ილღისა და პეტროვის „ოქროს ბოჩო-
ლის (Золотой теленок) და ნ. ბ. ყიფშიძემ —
კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“ დასურათებით არა მხოლოდ თავი ისახელეს, არა მხოლოდ აკადემია ასახელეს, არამედ შექმ-
ნეს კიდევაც ნამდვილად ისეთი ქართული ხასი-
ათის ილუსტრაციების ციკლი, რომლებიც სცილდებიან ეიწრო მნიშვნელობას: ამ ახალ-
გაზრდობამ საჯაროდ დაამტკიცა, რომ ისინი ნამდვილად დიდი ადლოთი და ერთდციით ვრძობდნენ ლიტერატურულ ტექსტს როგორც კვებტებს ვრათეველი ხელოვნებისათვის. მათ მოახერხეს სახეა და შერჩევა ისეთი პლასტი-
კური ენისა, რაც აუცილებელი იყო ნაგრძნობის გადმოსაცემად. მათი პლასტიკური ენა ესაა ვრათეველი მებტყველები ენა, ეს ენა უაღრ-
ესად გამომსახველი და პოეტური.

ახალგაზრდობამ „პირველი ნაბიჯის“, „მწი-
როს“, „ოქროს ბოჩოლას“, „დიდოსტატის მარ-
ჯვენას“ და „ბაშინაშვილს“ დასურათებით აჩვენა დიდი ევლტერა მხატვრისა, მაღალი დონე გა-
ნათლებისა, გრძნობა ლიტერატურული ტექს-
ტის გაგებზისა და რაც მთავარია ქართული მხატ-
ვრული ლიტერატურული ევლტერის დიდი სიყვარული.

დასახელებულ ნაწარმოებთა გაცნობა გვაჩ-
წმუნებს, რომ ახალგაზრდობას გააჩნია თემის პლასტიკური გრძნობის დიდი ევლტერა, რომ იგი მაღლი ოსტატობით ფლობს კომპოზიციურთ ამოცანების გამოსახვის საშუალებებს, რომ ფლობს ხაზისა და ლაქისა, ნახატისა და ფორმის მთლიანსა და მხატვრულ აზროვნების რეალს-
ტურ მეთოდისათვის აუცილებელ ცოდნას.

წელს დაცვაზე ქართული ქანდაკების მომ-
ვალი ოსტატების შემოქმედებაც იყო წარმოდ-
გენილი. აქ იყენენ ძირითადში აკადემიის ქან-
დაკების სამ სახელოსნოში აღზრდილი ახალ-
გაზრდები. სინამდვილის ასახვისადმი მასწავ-
ლებელთა განსხვავებული მიდგომა, მათი განს-
ხვავებული მუშაობის წესი ნაწილობრივ დი-
ლომებშიაც იგრძნობოდა და ჩანდა. მოუხედავად ამისა, ისიც ჩანდა, რომ ქართველი ახალგაზრდა მოქანდაკეი ისწრაფვიან დიდი და მო-
წინავე ქართული ქანდაკების ნაციო-
ნალური ფორმის ტრადიციითა ვაღრმავე-
ბისა, განმტკიცებისა და შემუშავებისაკენ თა-
ვიანთი ნაწარმოებებით დილომანტები მეტად საინტერესოდ იყენენ წარმოდგენილი. უპირვე-
ლეს ყოვლისა ნათლად იყო თავნაჩენი ბრძო-
ლა ქართულ ქანდაკებაში ფიგურული კომპო-
ზიციის დაქვიდრებისა და განმტკიცებისათვის.

ეს ეხება როგორც საპორტრეტო ფანის ასევე თავისუფალ კომპოზიციების სფეროსაც. წარმოდგენილ ნამუშევრებთან ნამდვილად მნიშვნელოვანი და საინტერესო იყვნენ: დ. ვ. ყიფშიძის — „ქართული ფალავანი“ და ვ. ს. ონიანის — „მხატვრული ვარჯიში“. ორივე ფიგურა მეტად საინტერესოდ ჩანდა კომპოზიციისა და პლასტიკური ძერწვის მხრივ. ისინი წარმოადგენდნენ ერთდროულად მხატვრული ვაზრებისა და გადაწყვეტის დასრულებულსა და სავსებით ინდივიდუალიზირებულ ხასიათის ნაწარმოებებს.

დიპლომანტებში: კ. კ. ტაბატაძემ — „გეტა ოპიზარის“ რ. გ. შელიჭინავილი — ვ. ვ. შაიაკოვსკის“, ა. ს. კაკაბაძემ — „სახალსულხან ორბელიანის“, ს. კ. ხანაძემ — „დ. არაფიშვილის“, ა. ს. კიკნაველიძემ — „აკაკი წერეთლის“, ვ. დ. ჭელგხსავემა ოსი პოეტის — „ც. გაღვივის“ სახით, თითქმის სრულყოფილი პორტრეტი მონუმენტები შექმნეს. და ნათლად დაადასტურეს, რომ წვეწმი ფიგურული კომპოზიციის ტრადიციის წინ მიდის. საჭიროა, რომ ეს კადრები სათანადოდ გამოიყენონ, საჭიროა რომ მათზე იზრუნოს საქართველოს მხატვართა კავშირმა, ევროპოდ კი ქანდაკების სექციამ.

ქართული სახეობი ხელოვნების ყველა დარგთა შორის ევროპული ხელოვნებაც იყო წარმოდგენილი დაცვაზე. მიუხედავად იმისა, რომ ევროპეა სხვა დარგებთან შედარებით უძველესი და ხანიერია ახალი დროის ქართული მხატვრულ ევროპეა ხელოვნების სხვა დარგთა შორის ნამდვილად ყველაზე ახალგაზრდა და გრავირი ჩვენში შეიქმნა და განვითარდა მხოლოდ და მხოლოდ თბილისის სახმატრო აკადემიის ბაზაზე.

დღეს ქართველ მხატვარ ევროპეოსთა შესაძლებლობა განუზომელად დიდია და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ იგი საკავშირო მასშტაბით არის სანიშნო და მისაზამბი. ამის მიუხედავად, ქართველ ევროპეოსთა შესაძლებლობასა და განვითარებას დღეისათვის საქართველოს ევროპეური წარმოების ბაზების მდგომარეობა და საერთოდ ევროპეული წარმოების განვითარებაც, საგრძნობლად ჩამორჩება.

ქართული მხატვრული ევროპეის დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი ჩვენს მიერ ყოველმხრივ და სათანადოდ უნდა იქნას გამოყენებული. ევროპეის საყოფაცხოვრებო და გამოყენებითი მნიშვნელობა თუ ხასიათი აქტიურად გამოჩნდა დიპლომანტთა შრომების მიჯაღითხედაც კი.

დაცვაზე წარმოდგენილი იყო თითქმის მხოლოდ გამოყენებითი ხასიათის, მგერამ იმავე დროს მაღალმხატვრული დარსების ნაწარმოებები. აღსანიშნავია, რომ ყოველი ამ ნივთთან, მათი გასაყიდი ფასის მხრივ ნამდვილად ხელმისაწვდომია მსოფლიო მომხმარებლისათვის, ნამდვილად იძლევა საშუალებას ამ ნივთების

მსოფლიო ხმარებაში გაშვებისათვის, რაც იქმნის მოსაწყვეტს, რომ ყოველი მათგანი შეიძლება იქნას შეტანილი წარმოებაში. დიპლომანტმა კერამიკისებში, მხატვრული საინტერესო და მაღალ მხატვრული ნივთი შექმნეს: რ. კ. მებრეველი — „წყლის სასმელი სვეტი“, გადაწყვეტილი დიდი მხატვრული აღლითი და ახრით. ზეენ ამ სვეტის ყოველდღიურობაში თბილისში დანერგვას უსაათოდ და იუცილებლად მივიჩნევთ, ეს იქნება მეტად საინტერესო სანახაობა და სახმარადაც საამო.

დიპლომანტთა ნამუშევრებს შორის იყო მეტად საინტერესოდ გადაწყვეტილი სახეობი ივითი დახასიათებული ტორშერები და რამდენიმე კამერული ხასიათისაც. წრგვანდელი ტორშერები და ლიუსტრები, ქართული ევროპეული ხელოვნების ისტორიაში ყოველთვის დასაინტერესო როგორც მებრად საინტერესო და საყურადღებო განვითარების სიეტაპო საფეხურები.

ე. ი. ფორჩხიძის, ა. გ. სპარსიაშვილის და შ. გ. ნარჩინაშვილის, სადღესასწაულო ხასიათის, მაღალდეკორატიული და პლასტიკურად სრულყოფილი ტორშერები ნამდვილად მისცემენ სათავეს ახალ საწყისებს არამც თუ ქართული მხატვრული ევროპეისა, არამედ ევროპოზ მოამბე. მოკავშირე რესპუბლიკის ევროპეის ოსტატებსაც. წარმოდგენილ ნაწარმოებებიდან საინტერესო იყო და ყურადღებას იმსახურებდა საოჯახო ხმარებისა და დეკორატიული დანიშნულების ნივთები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნ. ა. ნოეიკიას — „დეკორატიული პანოსი“ — კომპოზიციის მიმდინარეობის თბილისის 1500 წლისთვისადმი. ეს პანო ნამდვილად საინტერესოდ ხსნის თემას და ტექნიკის მხრივაც მებრად საყურადღებოა. აღსანიშნავია ასევე ი. ა. კოლხიდაშვილის და შ. ი. კვერნაძის — დეკორატიული ვაზები, ნ. დ. ლიპარტელიანის „სახლუ სერვიზი“ და რ. ფ. ევალძის „საღვივ კურქეი“.

ყოველ მათგანს ახასიათებს ჭერჭლისა თუ ნივთის ფორმის ნაციონალური ელფერი, გამოსახვის ესთეტიური დახვეწილობა და ძერწვის პლასტიკური უშუალოა. ყოველი ამ ნივთთანგანი ყოფაცხოვრების თვალსაზრისით არა მარტო ხელმისაწვდომია, არამედ მებრად მხატვრული, საინტერესო და საყურადღებოცაა.

დასასრულს რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას ასევე აკადემიის არქიტექტორ დიპლომანტთა მუშაობაზედაც.

საერთოდ, ყოველი ხალხის არქიტექტურა ნამდვილად, ყველა სხვა ხელოვნების მოვლენებზე უფრო სწორად და საშეიღობილოთ ასახავს ხოლმე ხალხის ეულტურის არა თუ მართოდენ დონესა და მდგომარეობას, არამედ ხალხის სულეერ ყოფისაც. არქიტექტურა ხალხის სულეერ ეულტურასა და მსოფლგაგებას საოცარი თვალნათლობით და მხატვრულობით გა-

დასცემს შთამომავლობას ერთგვარად, გაქვეყნებულია და უცვლელი ფორმების სახით. იგი ასახავს ხოლმე თეალისათვის მისაწვდომ ფარგლებში აღმზიანთა აზრებს და ეპოქისათვის დამახასიათებელ აღმზიანთა ესთეტიური ემოციების სპეციფიკურობასაც კი. საქართველოში სააღმშენებლო საქმის შესწავლის ორი კერა არსებობს; მათ შორის აკადემია მხატვარ-არქიტექტორებს ზრდის. წრეეაზღვლა გამოშვებამ ერთხელ კიდევ ზედმეტად დაადასტურა სამხატვრო აკადემიის დიდი როლი და მნიშვნელობა არქიტექტურის დარგში ნაციონალური პრობლემის დაყენებისა და გადაწყვეტის საკითხში.

არქიტექტურის განყოფილება წარმოდგენილი იყო ცამეტი დიპლომანტით. თუ რა დიდი ხანისათვის სამუშაოს ატარებს ეს განყოფილება აკადემიაში, ნათლად გამოჩნდა, არამც თუ მართოდენ დაეცაზე წარმოდგენილი სადიპლომო პროექტებით, არამედ დიპლომანტთა მიერ ჩატარებული დაცვისა და პაექრობის მიხედვითაც. გამოჩნდა, რომ ჩვენთან მოდის ახალგაზრდობა ფართო მხატვრული დიპაზონით და ეროვნული ფორმის დიდი გრძნობის უნარით დაჯილდოებული. თემატკის მხრივ პროექტები ფართოდ იყო წარმოდგენილი. აქ იყო მ. თ. ანთაძის „უნივერსალი“, ნ. ვ. ბაქრაძის — „სანატორიუმი“, გ. ი. ბათიაშვილის — „საცხოვრებელი სახ-

ლი“, პ. ტ. გაბელიას — „სანატორიუმი“, გ. პ. იობაშვილის — „სანატორიუმი“, გ. ვ. შანსვეტაშვილის — „პლანეტარიუმი“, კ. კ. მუსხელიშვილის — „სანატორიუმი“, ტ. გ. ნათიას — „სანატორიუმი“, გ. ვ. ქავთარაძის — „სტუდენტთა ქალაქი“, გ. ა. ქურდიანის — „უნივერსალი“, დ. ა. კენჭოშვილის — „სტუდენტთა ქალაქი“, მ. ვ. ცინცაძის — „საცხოვრებელი სახლი“ და გ. ვ. ჯაფარიძის — „სანატორიუმის პროექტი“.

აღნიშნული პროექტები, მხატვრული გადაწყვეტის სანიმუშო და სინტერესო ცდებს წარმოადგენენ. ისინი აჩვენებდნენ რომ მათ შემქმნელ ახალგაზრდობის სახით ჩვენ ქვეყანას მართლაც პუავეს მხატვრულად მოაზროვნე ახალგაზრდობა, ახალგაზრდობა, რომელსაც უველად ფერთან ერთად სპეციალური ცოდნაც აქვს მიღებული სათანადოდ.

დაცვამ, ჩატარებულმა თბილისის სამხატვრო აკადემიაში გვაჩვენა, რომ საქართველოში სახვითი ხელოვნების უველა დარგის მიხედვით, ნამდვილად მოდის ნიჭიერი, ცოდნას დაუფლებული ახალგაზრდობა, ახალგაზრდობა მოაზროვნე, საკეთარ თავზე მაღალი მოთხოვნილების წამყენებელი, ახალგაზრდობა აღკურველი მაღალი შეგნებით თავის ქვეყნისა და ხალხის წინაშე სამსახურის მოხდისათვის მზადყოფი, პატიოსანი მხატვარი.



შთაბრუნებელი შემოქმედრი

(ნ. კ. რერისის ნაწარმოებთა გამოფენაზე)

ზღაპრებისა და უძველესი თქმულებების რესურსით: საომრად მიიწვევენ ბილინების დევ-გმირები, ბრძოლის მოლოდინში ქრელ კარვებში დაბანაკებული ურიცხვი ლაშქარი, ოქროსფრად ელავენ თეთრი ქვისაგან ნაგები რუსული მონასტრების გუმბათები...

უძერად უველაფერი იცვლება. თქვენს წინაშე აღმოსავლეთი, თავისი ფანტასტიკით, თვალისმომკრები ფერადოვნებით, — მინდოლოთის ვადამწვარი უდაბნო, კერპებისა და უტყუარ ლეთაბების ქვეყანა, ჰიმალაების დიდებული ჩვენებანი...

შთაბრუნებულებისა და გამწვობალებების ამ მრავალფეროვან სამყაროში შევედვართ სახელოვანი რუსი მხატვრის ნიკოლოზ კონსტანტინენის ძე რერისის ტილოებს, რომელნიც გამოფენილი არიან საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დარბაზებში. შესვლისთანავე გატყვევებთ ჭეშმარიტი ხელოვანის მიერ შექმნილი ამ სამყაროს მომხიბლავი ძალა. უყურებთ ამ ფერწერას და გექმნებათ რაღაც სახეობა განწყობილება. იგი თან გდევთ დარბაზიდან დარბაზში, პირველი ნაწარმოებებიდან სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შექმნილ ტილოებამდე. ყოველი სურათი, ყოველი ეტიუდი იმდენად გულწრფელი, იმდენად თავისებურია, რომ ვერც ერთ მათგანს ვერ ჩაუვლით ვულგარულად. შეიძლება მხატვრის შევეამთოთ და არც დაეთანხმეთ ზოგ რამეში, მაგრამ ერთი რამ უხადია, თქვენს წინაშეა დიდი და თავისებური ხელოვანი.

გამოფენაზე წარმოდგენილი ორასზე მეტი ნამუშევრის მიხედვით, რომელნიც მხატვრის ნახევარსაუკუნოვანი ნაყოფიერი შემოქმედების მცირე ნაწილს წარმოადგენენ (მათი რიცხვი ხუთ ათასს აღწევს), შესაძლებელია თვალი გავადგენოთ ამ უნიკალურესი მხატვრის შემოქმედებით გზას.

ნიკოლოზ კონსტანტინენის-ძე რერი (1874 — 1947) საშხატერო ასპარეზზე გასული საუკუნის დასასრულს გამოვიდა, თავისი პირველი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებები მან შექმნა XIX ს-ის 90-იან წლებში. ამ სურათებში მხატვარი ედილობს რუსეთის სახელოვანი ისტორიის სახეების გაცოცხლებას. იწყება მისი ესტატიკა შრობილიერი წარსულის შესწავლით, არქეოლოგიით. იგი თბრის უძველეს ყორღანებს რუსეთის სხვადასხვა კუთხეში, სწავლობს ძველ ნატიანებს. ამ მიმართულებით მუშაობამ ძლიერ შეუწყო ხელი მას წარსულის სურათების უფ-

რო უშუალო, წმიდა აღქმამი. მეცნიერული სამუშაოები, სიყვარული არქეოლოგიისადმი მჭიდროდ დაუკავშირდა რერისის, როგორც მხატვრის, ზრდას.

რერისის პირველივე სურათებმა: „უცხო სტუმრები“, „აღბედითობა“, „კერპები“, „წითელი აფრები“ აიღამარაქეს ფართო საზოგადოებრიობა. უველაფერი ახალი და მოულოდნელიყო. საგანგებოდ მოფიქრებული, ოსტატური კომპოზიციები, სადაც არაფერი არ იყო თეატრალური ან ხელოვნური. ამ სურათებში რერისი უპირველესად უკვლისა ფერმწერია ეს წარსულის ქალი, „წმიდა გაზაფხული“ (ი. სტრაინსთი, ელვრადი დეკორაციულობა ოსტატურად არის შერწყმული დიდ სიმართლესთან და გულწრფელობასთან).

რერისმა შეისწავლა რუსეთის თითქმის ყველა ისტორიული ძეგლი. ამას შედეგად მოჰყვა ე. წ. „არქიტექტურული ეტიუდები“ მთელი ციკლი. აქაც იგივე დახვეწილი ოსტატობა, იგივე მხატვრული ამოცანები. აქ რერისი მარტო მხატვარი არ არის, იგი მოქალაქეა, რომელიც ხმას იმაღლებს რუსეთის ძველი კულტურის ნაციონალური საგანძურის დასაცავად. ძველ რუსულ არქიტექტურასთან ერთად მხატვარი ძალიან იყო გატაცებული ხალხური დეკორატიული, გამოყენებითი ხელოვნებით.

რერისი არაფრისადმი არ რჩება გულგრილი. მისთვის ახლობელი და ძვირფასია თეატრალური ხელოვნებაც. მან შექმნა ბრწყინვალე დადგმების მთელი რიგი — „თავადი იგორი“, „თოვლის ქალი“, „წმიდა გაზაფხული“ (ი. სტრაინსკის ამ ბალეტის დადგმაში რერისი მონაწილეობდა არა მარტო როგორც მხატვარი, არამედ როგორც ლიბრეტოს თანაავტორი), „პერ გიუნტი“ და სხვ. თეატრალურ დადგმებშიც მხატვარი არ ღალატობს თავის პრინციპებს. ამ დადგმებზე მუშაობისას მხატვარი გამოხდის უშუალოდ დრამატული ან მუსიკალური მასლის ხასიათიდან. იბნენის დრამის სამყაროს მთელი მრავალფეროვნება კონკრეტულ სახეებშია მოცემული — ჩრდილოეთის მღვმარება, გამმარტოებული ქობის მუედროება, მაროკოს უდაბური ველები. რუსული ხალხური ეპოსის სიღაღ და სიდიადე იგრძნობა „თავადი იგორის“ ესკიზებში. აქ რერისი ხალხური პოეზიის სულს დაეწვია. სწორედ „თავადი იგორის“ დეკორაციებში ჩნდება რერისის ფერწერაში ძლიერ მნიშვნელოვანი ახალი ელემენტი. მათში წმინდა აღმოსავლური

კოლორიტია. ეს ის ნიშანია, რომელიც შემდეგ არსებითი გახდება მხატვრის შემოქმედებაში.

IX საუკუნის პირველ ათეულ წლებს მიეკუთვნება რეჩინის მიერ, მის წინაშე გადაშლილი საყაროს მთელი მრავალფეროვნების გამოსახვისათვის, სულ ახალი, ახალი ფორმების ძიება. იხევეება სტილი, მარტივდება, სრულყოფილი ხდება ფორმა, ფერი იქცევა სიუჟეტის შინაგანი არსის გამოხატვის საუკეთესო საშუალებად.

რეჩინი ბევრს მოგზაურობს. ახალი ქვეყნები, ახალი შთაბეჭდილებები, ახალი, სულ უფრო სრულყოფილი ტილოები. ახალი, ძლიერ თავისებური ხასიათი, საოცარი, ჯადოსნური ფერები. რეჩინის ტილოებშიც ბევრი ქვეყანა მოიარეს — ფინეთი, შვედეთი, დანია, ნორვეგია, ინგლისი, ავსტრია, გერმანია, საფრანგეთი, ამერიკა... უველგან წარმატება, უველგან ტრიუმფი.

მოგზაურობის დროს მხატვარს უველგან ძლიერად აღმოსავლეთი იზიდავდა — მონღოლეთი, ჩინეთი, ინდოეთი მათი უძველესი ისტორიითა და კულტურით. აღმოსავლეთისადმი სიყვარული აღბათ მისი განსაკუთრებული მხატვრული მიდრეკილებებით, განსაკუთრებული მსოფლმხედველობით იყო გამოწვეული. ამიტომ ნახა რეჩინმა თავისი ადგილი ინდოეთში. იქ ცხოვრობდა იგი ოც წელზე მეტხანს და იქვე გარდაიცვალა.

რეჩინის ამ უკანასკნელი პერიოდის ნამუშევრებში ის არ ჩანს უცხოელი, რომელსაც მხოლოდ აღმოსავლური ბუნების გავლენობა იზიდავს. აქ არის ადამიანი, რომელიც შევისსისლბრია ამ თავისებურ, კამკამო ფერებით მოეღვარებუნებას. ღრმა შიზოზოფიკი და ნიჭიერი მხატვარი გაერთიანდნენ ამ დიდებული სურათების შესაქმნელად. საუცხოოა პეიზაჟები. საუცხოოა ის სახეები, რომელთაც მგზავრი ხვდება ამ ადგილებში.

პიმალაბი ბუნების მკაცრი და დიდებული ქმნილება. მხატვარი დაუტყვევებია მთების ამაყ ძალას. იგი ცდილობს მიწვდეს ზვიადი მწვერვლების მარადიული მწვერდების საიდუმლოებას და ამიტომ დაუღალავად აღბეჭდავს მათ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა განწყობით. თითოეულ სურათში აისახა წამიერი ჩვენება მთისა — ნარინჯისფერად ანთებულ ცაზე იისფერი უდაბური მწვერვალები, ქათქათა თეთრი, სილურჯე-გადაკრული ფანტასტიკური შეინარებელი, მთვარის ცივი შუქით ღრუბლები აელვარებულ ფერდობები, ნისლი ოღნავ გამოშინარებ მწვერვალთა მოშვენიარო სილუეტები, შალაშთიანი ტბის ფორტუნისფერი სარკეში მკრთომარე ქედები, მარგალიტის მწვერვალები, ხეობის ამჟოვისტოს,

ღრუბლი და ყავისფერი ტონები, რომელიც ზემოდან ვარდისფერი თოვლის სხივებით არიან გაბრწყინებული, მჭკმარე ღრუბრებს და თეთრის დიდებული ხმოვანება — სწორედ... ამ საოცარ მრავალფეროვნებაში, ფერთა და განწყობილებათა ფანტასტიკურ ცვალებადობაში ნახა რეჩინმა მთების იდეალური ძალა.

რეჩინის ფერწერის განსაკუთრებული ნიშანია თავისებური კოლორეტი. მის ტილოებზე ვხვდეთ დედამიწის ფერთა მთელ მრავალფეროვნებას. მაგრამ ეს სიჭრელე როდი არის. უველგან ფერთა განსაკუთრებული სიმეტრიაა, გარკვეული რიტმი, რომელთა წყალობით ყოველი სურათი არაჩვეულებრივი მთლიანობით ხასიათდება.

ფერი და სინათლე აქ განუყოფელია. შუქის ძალა ფერის სიმძლიერით განისაზღვრება. რეჩინის ფერები თითქოს შიგნიდან ანთებენ.

მხატვრის ყოველი ეტიუდი ნატურადან ძლიერი თავისთავადობითა და განწყობითაა აღბეჭდილი. ეს უფრო ძლიერად ჩანს დიდ სურათებში, სადაც ბუნების შთაბეჭდილებები გარკვეულად დასრულებულ სახეს იღებენ. მხატვარი იღებს ბუნების სურათიდან ძირითადს და ყოველგვარი დეტალიზაციის გარეშე ამოშავებს მის. ამგვარად, უველგან, ყოველ სურათში რეჩინი ამოღის ბუნებაზე უშუალო დაკვირვებულად. ფერთა ფანტასტიკური ხმოვანებაც კი მის ტილოებზე რეალურ მშვენიერებას ასახავს.

დიდ სურათსა და უმნიშვნელო ჩანახატში რეჩინი კომპოზიციის საინტერესო ოსტატად გვევლინება. უღელსი ტექნიკურად, დასრულებულობა. თითოეული სურათი გარკვეული შინაგანი ძალით არის შეკრული. ამიტომაც წარმოვიდგებინა მისი მხატვრული სახეები თავისებურ მწყობრ უბრალოებაში. განსაკუთრებით უყვანს მხატვარს უსასრულო სივრცეები. ეს ჩანს უველგან, რუსეთის ტრამალებიდან მოყოლებული ტიბეტის მთებამდე.

შალაი ტექნიკური სრულყოფა, შემოქმედების ემოციურ დაძაბულობასა და ფილოსოფიურ აზროვნებასთან ერთად ანიჭებენ რეჩინის ნაწარმოებებს უღელსი ძალასა და გამომსახველობას.

„ურაცხელია გზები, რომელთაც მივყავართ მშვენიერებისაკენ. განსაკუთრებით შთაბეჭდილია ნათელი, პირდაპირი * გზები...“ — წერდა ნ. რეჩინი, — „სანუკვარის, ძვირფასის შესახებ უნდა იძლეოთ თამამად, მთელის ხმით...“ მთელი მისი შემოქმედება სწორედ ასეთი გულწრფელი, გაბედული სიმღერაა, სიმღერა მშობლიური მიწის, მშობლიური წარსულის, ბუნების მშვენიერების სადიდებლად.



გიორგი ძონენიძე



ადექსანდრე ჰანელიძე

მიმდინარე წლის იანვრის 17-ს ჩვენმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა ალექსანდრე ჯანელიძის დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი.

ა. ჯანელიძე ეყუთენის ქართველ მოღვაწეთა იმ თაობას, რომელსაც მუშაობა მარტო ერთ გარკვეულ დარგში, მიღებული სპეციალური განათლების მიხედვით როდეს უხდებოდა. ამ თაობის წარმომადგენლების ზრუნვის საგანს შეადგენდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი მხარე. ამიტომ იყო მათი მოღვაწეობაც მრავალმხრივი და მრავალფეროვანი.

ბუნებრივია, ასეთი თაობის აღაშინის მოღვაწეობის მეტწილად სრული დახასიათება ძნელი საქმეა, მით უმეტეს — მოკლე წერილში. ასეთ ამოცანას მე არც ვისახავ და შევეცდები, მოკლედ მოვუთხრო შეიძველს ა. ჯანელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მხოლოდ ძირითადი მომენტები.

ა. ჯანელიძე დაიბადა 1867 წლის ოქტომბრის 23-ს (ძველი სტილით) სოფ. ნიკორწმინდაში (ამჟამად სინათლე) მამამისს, ილარიონს, დაუმთავრებელი საშუალო განათლება ჰქონდა მიღებული და დადბანს სასამართლო უწყებაში მუშაობდა კერძო მწერლად, შემდეგ — მდივნის მოადგიულად და ბოლოს — აღმასრულებელად. ალექსანდრეს დედა გიხაიშელი შალამბერიძის ქალი იყო.

საინტერესოა, როგორ ახასიათებს ხოლმე ალექსანდრე თავის მშობლებს მისთვის ჩვეული სიტყვათქმნით, მაგრამ მკაფიო შტრახებით: „დედა და მამა სულ სხვადასხვა ხალხი იყვნენ. მამა მუდამ ხელგამილი კაცი იყო. უპირისპირა მისგან შეეძლებოდა იყო, თუ მას მოაჯყებდნენ, ამას არ თვლიდა უფროსების დირსად. თავის მხრივ კი ასეთი რამ ვერც წარმოედგინა. არასოდეს ფიქრობდა, ხვალ რა მოხდებაო. თუ ვასაკირში ჩავარდებოდა, წამოწყებოდა ტახტზე და ხუნეშოდა გულსტიყვილით, ყველაფრის პატარნი დედაჩემი იყო. ზოგი ნაცნობი დედაჩემს ეუბნებოდა, სახელმწიფო ქალი

ხარო. სხვაგან რა მოგახსენოთ, მაგრამ სახლში კი ნამდვილად ხელმწიფე იყო. თადარიგისანი ქალი იყო, ხოლო თადარიგი კი საკირი იყო, რადგან მამაჩემს ხელდასა 50 მანეთი ჰქონდა, მაშინ როდესაც რუგაში უკვე 5 ბავშვი ვიყავით“.

7-8 წლის ასაკამდე ალექსანდრე ოჯახში იზრდებოდა. აქ გამოუმავდა მისი ხასიათის ძირითადი თვისებები, ალექსანდრესავე სიტყვებით რომ ეთქვით, „ძირითად აღზრდას აღაშინი ოჯახში იღებს. ეს აღზრდა შემდეგ შეიძლება შეამოს და შეეგოს აღაშინმა, მაგრამ ძირითად მას ვერ შეცვლის. თანაც აღზრდა, რომელსაც ოჯახში იღებს ბავშვი, ისეთი რამაა, რაზედაც არც აღსაზრდელი და არც აღმზრდელეები სავანებოდ არ ფიქრობენ. ის თავისთავად მიმდინარეობს: ბავშვი ითვისებს იმას, რაც ოჯახში ითვლება უღვალო. ჩემს აღზრდაშიაც, — ამბობს ალექსანდრე, — კარგი სწორედ ის იყო, რომ აღზრდაზე არ ფიქრობდნენ, მაგრამ მზრდიდნენ. ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ არ ყოფილა შემთხვევა ოჯახში ჭორები მომესმინა, შემეჩნია, რომ ჩემს მშობლებს არ გაზარებოდათ ვისიმე წარმატება, ჰქონოდათ ვისიმე მიმართ შერი ან მტრობა და სხვა ასეთი.“

ყველაზე უფრო მიმზიდველი ჩემთვის იყო სოფლად მეზობლებში სირბილი და ამდენად ბავშვებთან არა, რამდენადაც ყურის ვდება იმისა, თუ რას ამბობდნენ ხაშვი შესული ვლებები. ისინი ყველაში ახოვანი ტანისა იყვნენ, გრძელი ხანჯლის ოდენა დანებით ფეშტემაზე, ლაპარაკობდნენ ამინდის, მოსაგლის და სხვა მათთვის საინტერესო საგნების შესახებ. ზოგჯერ ძველსაც მოიგონებდნენ. მაგ. რამ ჩემთვის ზღაპრებს ვერაფერი შეედრებოდა. ვინც კი ზღაპარი იცოდა, მოსვენებას არ ვაძლევდი და აღმათ თავს ვაბეზრებდი ყველას, ვისაც თბრობა ებერებოდა. ეს ურთიერთობა იყო ჩემი ცხოვრებისა და აღზრდის ძირითადი მომენტი, ამჯერად მიხედობოდა

ზრდა ვარგისი, რომელშიც ქართველი ხალხი უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა. ამ საუბრებში ვითარებები ჩვეულებს და აზრებს, რომელიც ხალხს კანონად მიიჩნეოდა. ჩემთვისაც ეს ბუნებრივი და თავისთავად ცხადი რამ იყო, სხვა არც წარმომედგინა და, თუ ქართველი მეთქმის და ქართველად გაიზარდა, საფუძველი ეს არის. ჩემთვის რომ ვთქვათ, საქართველო და ქართველობა თუ ვიყვარსო, ვაძგვინებო, იქნებოდა, იგივე იქნებოდა, თვეზს რომ პკითხო, წყალი თუ ვიყვარსო“.

ამ მოკლე მოგონებებიდან კარგად ჩანს ის ვარგისი, სადაც ვაბატარა სკოლაში დღეობდა ასაკი ალექსანდრემ და სადაც მოხდა ძირითადი მისი ხასიათის ჩამოყალიბება.

8 წლის ალექსანდრე სკოლაში მიიბარეს საჩხერეში, სადაც ამ დროს მისი მშობლები ცხოვრობდნენ. ახლა საჩხერის რაიონის თითქმის ყოველ სოფელში არის სრული საშუალო სკოლა, ხოლო მაშინ, ალექსანდრეს თქმით, „მთელს საჩხერის რაიონში იყო ერთადერთი ოთახში მოთავსებული ერთადერთი დაწყებითი სკოლა, რომელსაც ერთადერთი მასწავლებელი ჰყავდა. ოთახში მერბების საში რიგი იდგა; თითო რიგი თითო განყოფილებას წარმოადგენდა. როდესაც მასწავლებელი ერთ განყოფილებას ასწავლიდა, დანარჩენებს სიჩუმე უნდა დაეცვათ. ეს ბავშვებისათვის, ცხადია, ადვილი საჭმე არ იყო, რაც მასწავლებლის მხრივ სათანადო რეაქციას იწვევდა“.

დადგა დროც, როდესაც ალექსანდრე გიმნაზიაში შესვლისათვის უნდა მოემზადებინათ. ამის გამო ოჯახი ახერხებს ქუთაისში გადასვლას და ალექსანდრე მიიბარეს ცნობილი პედაგოგის ოთხბე ოცხელის სკოლაში.

1897 წელს, გამოცდების წარმატებით ჩაბარების შედეგად, ის ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღეს. გიმნაზიაში სწავლის პერიოდში მისი სკოლის ამხანაგები იყვნენ შალვა ნუცუბიძე, ალექსანდრე წულუკაძე, ს. ღანელია, ნ. კვიციანი და სხვ.

გიმნაზიაში ქართულ ენის მეორე კლასის შემდეგ არ ასწავლიდნენ, მაგრამ ახალგაზრდობას მშობლიური ენის ძლიერა სიყვარული ჰქონდა და ცდილობდა როგორმე შეეცნო ამ მხრივ სკოლის ნაკლი. ამიტომ იყო, რომ გიმნაზიის მეხუთე კლასში ყოფნისას ქართული კულტურითა და ისტორიით გატაცებული მოწაფეებმა განიზრახეს არალეგალური ხელნაწერი ჟურნალის „განთიადის“ გამოცემა. „მასში შალვა ნუცუბიძე პოემებს და ღრამებს ათავსებდა, მე კი ლექსებსა და კრიტიკულ წერილებსო“, იგონებს ალექსანდრე.

როდესაც 1905 წლის რევოლუციის ცეცხლი მოედო დასავლეთ საქართველოს, მაშინ ალექსანდრე შეშვიდე კლასში იყო. რევოლუციურ

მოძრაობაში ფართოდ ჩაება მოწაფეობაც. ალექსანდრეს ამ პერიოდის შესახებ შემდეგი უამბობს: „ლოუნგი მოვიდა, მოწაფეებმა უნდა ვაიფიცინენ თვითმპყრობელობის დამშობამდე. ჩვენი კლასმა განიხილა ეს საკითხი და ყველამ გადაწყვიტა ვაიფიცოთო. მე წინადადება შევიტანე: ვაიფიცოთ, მაგრამ დავასახელოთ ის მოტივებიც, რომლებიც ზენ უშეაღწეველებმა: სკოლის გარდაქმნა, საღვთო სკუთლის გაქცევა და სხვ. თვითმპყრობელობის დამშობამდე ვერც ამას დაიწყებოდა, მაგრამ დასახელება უფრო ზენი შესაფერი იქნება-თქო. ჩემს კლასში ყველამ დამიჯერა, მაგრამ სხვა კლასები არ დათანხმდნენ. დაწყებული ვაიფიცა. მე ამ დროს წაქოხტული მქონდა ინგლისელი სმლის ნაწილები, რომლებიც უხემა ხასიათის, მისი ბუნების, ჩამოყალიბების და აღზრდის საკითხებს. განსაკუთრებით მაინტერესებდა ნებისყოფის თვითაღზრდა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ გატაცებული ვიყავი ტრალტრალის თხზულებებით და განსაკუთრებით ყურადღების ვაქციული თვითაღვირვებას. ამიტომ იყო, რომ ჩემს წინაშე დადგა საკითხი: მე რომ სხვა პოზიციას ვადევი, ხომ არ არის ამაში რაიმე ვადებრა ან შიში? და რომ ჩემი თავისთვის საწინააღმდეგო დამმტკიცებინა, გადაწყვიტე სასწავლებლიდან გასვლაო და მართლაც ვაიფიტანე საბუთები. გიმნაზიიდან გამოსვლის შემდეგ ვცხოვრობდი ჯერ ნიკორწმინდაში, ხოლო შემდეგ ცაგერში, სადაც ამ დროს მამაჩემი მსახურობდა. აქ ვეწუოდი გლეხებში ავიტაციასა და პარამაგინდას. აქ იყო, რომ ერთ დღეს ლაშქრულის ვეჯაყური გუგუნი მოსმა და 40-50 შეიარაღებული აკლი ვამორჩნდა, ეს სვანების რაზმი იყო, რომელიც ქუთაისში მიდიოდა, რადგან არსებობდა შეთანხმება, რათა ქუთაისის გარშემო ასეთი რაზმებისათვის თავი მოეყარათ და მათი საშუალებით ქალაქი აეღოთ. მე ვადაეწყვიტე ამ რაზმს შევერთებოდი და მეორე დღეს დავედევნე კიდევ. საყურადღებო ის არის, რომ ჩემთან ერთად წამოვიდა ცაგერის აფთიაქის პატრონი, ახალგაზრდა ფარმაცევტი ახვლედიანი, რომელსაც ორი წელი არ იქნებოდა, რაც ცოლი შეერთო და რვა თვის ბიჭი ჰყავდა: ასეთი იყო რევოლუციური ენთუზიაზმი. მე მამაჩემის ნაწიქარი კარბინი მქონდა, ხოლო ახვლედიანს სანადირო თოფი. სვანებსაც ზოგს „ბურღანა“ ჰქონდა, სხვებს კი კავიანი თოფები. რაზმს შექვემდებარე ვკითხე მათ: აქ რას აკეთებთ-მეთქო? მიმასუხეს: ჩვენ სვანეთში ვბრუნდებით, რადგან ქუთაისიდან ცნობა მოვიდა, მოსკოვში რევოლუცია დამარცხდა და უნდა დაიშალოთო. ჩვენ მაინც წავიდეთ ქუთაისში და იქ დავრწმუნდით, რომ ნათქვამი სიმართლე იყო, რომ თბილისიდან

ქუთაისის უკვე მოდიოდა დამსჯელი რაზმი ვენერალ აღიხანოვის მეთაურობით.

ერთი წლის შემდეგ, 1906 წელს, ალექსანდრემ, რომელიც გიმნაზიაში აღარ იყო, ექსტერნის წესით ჩააბარა გიმნაზიის დამთავრების გამოცდებში, ასე რომ, არსებითად, წელიწადი არ გასცდენია.

1906 წელს ალექსანდრე საზღვარგარეთ გაემგზავრა. პირველად ის ეწვია ენენვას, რომელიც ამ დროს პოლიტიკური ემიგრაციის ცენტრი იყო, და იქ რამდენიმე თვე დაჰყო. შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა გადასწყვიტა და გადავიდა მარჩბში, სადაც 1907 წელს შევიდა სორბონის მეცნიერებათა ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, რომელიც დამთავრა 1910 წელს. სწავლის 3 წლის მანძილზე მან მიიღო სამი მოწმობა (თითო წელს — თითო); ბოტანიკის, მეორე ფიზიკის, ქიმიის და ბუნებისმეტყველების (ზოოლოგია, ბოტანიკა, ისტორიის, სადაც მესამე ფიზიოლოგიის ჩაბარების შესახებ. ამ მოწმობათა საფუძველზე მას მიეცა ლიცენციის დიპლომი. მაგრამ უნივერსიტეტში მუშაობა ისევ განაგრძო 1911 წლის ზაფხულამდე და მიიღო მეოთხე მოწმობაც (ფიზიკურ გეოგრაფიაში).

საინტერესოა, როგორ იგონებს ალექსანდრე მარჩბის უნივერსიტეტში სწავლას. „კვირაში სამი საათი ლექცია გვექონდა; თითქოს რა უნდა მოეცა უნივერსიტეტს ამ სამ საათში, მაგრამ მათ არაჩვეულებრივ მნიშვნელობა ჰქონდათ. ყველა პროფესორი მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი და, მშვენიერი ლექტორი იყო. ყოველი მათი სიტყვა იმ დროს მეცნიერულ აზრს გამოხატავდა დახვეწილს. ბევრ რამეს იქნება არ ვაიზიარებდა კაცი, მაგრამ, სწორი თუ შეშველარი, ეს იყო მეცნიერული შემოქმედების ნიშნები. იმიტომ იქ მასალას კი არ ითვლებდა მსმენელი, არამედ მეცნიერულ აზროვნებას, ამ აზროვნების სტილს. მასალის შესწავლისათვის კი სახელმძღვანელოები არსებობდა. ლექციებზე იქნა იმას, რასაც წიგნში ვერ იპოვიდი: მეცნიერულ აღზრდას“.

1911 წელს ა. ჯანელიძე ბრტუნდება საქართველოში და იწყებს მუშაობას ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ფიზიკის მასწავლებლად. თვითდროულად ასწავლის მათემატიკას მ. უაზბეჩიშვილის ქალთა გიმნაზიაში. ქუთაისის უიფინისას ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა „ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუშაობაში. ასწავლიდა (უფასოდ) მუშათა საკვირაო სკოლაში და, ისევე კითხულობდა საჯარო ლექციებს სახალხო უნივერსიტეტში, რომლის გამკეთობის წევრი იყო.

საკვირაო სკოლის ამოცანა იყო ხალხში

განათლების შეტანა, სახალხო უნივერსიტეტი კი მიზნად ისახავდა მეცნიერულ უკუღმის პროპაგანდას. იმ დროს ქართულ ენაზე სპეციალებისმეტყველო მეცნიერული ლიტერატურა იშვიათი მოვლენა იყო და ქართულად ასეთ მეცნიერულ თემაზე ლექციის წაკითხვა ბევრს შეუძლებლად მიიჩნა. იმიტომ იყო, რომ ა. ჯანელიძის ლექციებში, რომლებიც მისთვის ჩვეული დახვეწილი ქართულით იყო წაკითხული, საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საინტერესოა, რომ ა. ჯანელიძე 1915 წელს თბილისშიც ჩამოვიდა ლექციის წასაკითხად. ამის შესახებ პოეტა-კომპოზიტორი ა. გრიმსევილი შემდეგი გვიამბო: „ქუთაისიდან დაეთით კლდიაშვილისაგან მივიღე წერილი, მწერდა, რომ თბილისში საღამო მინდა ვაემართო და მინდა, რომ შენ იყო მისი ორგანიზატორი და ხელმძღვანელიო. თან მატყობინებდა, რომ ქუთაისიდან მომუცა ახალგაზრდა ლექტორი ა. ჯანელიძეო. მე სიამოვნებით ვეცისრე საღამოს ორგანიზაცია, დავბეჭდე აფიშები. დ. კლდიაშვილის საღამო დაიწყო ა. ჯანელიძის მოხსენებით, რომელიც დამსწრე საზოგადოებაზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თურმე ა. ჯანელიძე მაშინ პირველად იყო თბილისში“.

რადგან უცხოეთის დიპლომს რუსეთში ძალა არ ჰქონდა, 1915 წლის შემოდგომაზე ა. ჯანელიძე გაემგზავრა ყაზანის უნივერსიტეტში, რათა უფლებებში გათანასწორობისათვის ჩაებარებინა გამოცდები ექსტერნის წესით. იქ მას 22 საგანში დასჭირდა გამოცდა. გამოცდის წარმატებით ჩააბარებისა და პირველი ხარისხის დიპლომის მიღების შემდეგ ა. ჯანელიძე დატოვეს „საპროფესოროდ მოსამზადებლად“ გეოლოგია-ბალნეოლოგიის კათედრასთან. საურადადებოა, რომ ყაზანის უნივერსიტეტში ბევრი იქნეს გამოთქვანი; რადგან ა. ჯანელიძე რუსი არ არის, შეიძლება საშინისტრომ არ დაამტკიცოს მისი დატოვებო; მაგრამ იმედოვნებდნენ, რომ მართლმადიდებელია და შეიძლება ამან უშველოს. საშინისტრომ მართლა არ დაამტკიცა ა. ჯანელიძის კანდიდატურა. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტში ის მაინც დატოვა. მაგრამ საშინისტრომ მიერ დამტკიცების გარეშე მას გაამაგროს ვერ მისცემდნენ. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი რომ ეპოვათ, ის ასისტენტად აირჩიეს, თუმცა ასისტენტის მოვალეობის შესრულება მისთვის არ დაუეცრებოთ.

როდესაც ყაზანის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო ა. ჯანელიძის დატოვების საკითხს იხილავდა, იქ გამოსულა დეკანი, ფიზიკის პროფესორი გოლდშამერი და განუცხადებია: „მე მეგონა ჯანელიძე ფიზიკაში მუშაობას აპირებდა და საჭმისათვის, ჩემი აზრით, ეს

კარგი იქნებოდაო". ა. ჯანელიძე გვიამბობს: მე რომ ეს თავის დროზე გამოვყო, უყოყმანოდ ფიზიკის ავირჩევდიო. როგორც სამართლიანად აღნიშნა ჭ. გამყრელიძემ საიუბილეო სხდომაზე წაქიბულ მოხსენებაში, ა. ჯანელიძეს რომ ფიზიკაში მუშაობა აერჩია, ამით დიდად მოიგებდა საქართველოში ფიზიკის განვითარებას, ხოლო, პირიქით, ძალზე დაზარალებულია გეოლოგიური მეცნიერება.

ა. ჯანელიძე მუდამ დიდ ყურადღებას უთმობდა მასწავლებლის პედაგოგიურ დაოსტატებას. ამიტომ იყო, რომ მან უახანში უოფნისას დაამთავრა ერთწლიანი უმაღლესი პედაგოგიური კურსები ფიზიკის სპეციალობით.

უახანში დიწყო ა. ჯანელიძემ მეცნიერული მუშაობა პალეონტოლოგიაში, თავდაპირველად ა. ჯანელიძემ პალეონტოლოგიას ხელი მოჰკიდა არა როგორც გეოლოგიის ერთერთი წამყვანი დარგის, სტრატეგრაფიის საფუძველს, არამედ როგორც ბიოლოგიურ მეცნიერებას, უმთავრესად შედარებითი ანატომიისა და ევოლუციური მოძღვრების ინტერესებიდან გამომდინარე.

უახანის უნივერსიტეტში დაკროვილი მიღიღარი კოლეციების, უპირატესად ფ. ზერინშვილის კოლექციის შესწავლამ ა. ჯანელიძეს საშუალება მისცა, აღწერა დეკონური ფაუნის მრავალი ოჯახი და დაედგინა არა ერთი ახალი სახე. ამ მუშაობის შედეგად მან 1917 წელსვე გადასცა დასამუშავებლად უახანის ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას ვანზრასტული ვრცელი მონოგრაფიის პირველი ნაკვეთი, რომელიც დასავლური ურალის დეკონურის ნაწლავალრუთანების შესწავლას შეეხებოდა.

1918 წლის თებერვალში ა. ჯანელიძე შეებრებულ საქართველოში მომგზავრებას, მაგრამ ამ უშუქნილ ვითარებაში უკან დაბრუნებას ელარ ახერხებს. ის იწყებს მუშაობას თბილისში ფიზიკის მასწავლებლად ქართულ გიმნაზიაში და წერს ფიზიკის სახელმძღვანელოს საშუალო სკოლისათვის. ამავე დროს აქტიურ მონაწილეობას იღებს სკოლებისათვის სასწავლო გეგმებისა და პროგრამების დამუშავებაში. 1918 წელსვე ა. ჯანელიძეს იწყევენ ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში სამუშაოდ და შემოდგომიდან ამღვეენ მეცნიერულ მიუღინებას სახლვარფარეთ, მაგრამ მშინდელ საერთაშორისო ვითარებაში გამგზავრება არ ხერხდება. ეს შოლოდ 1920 წელს გახდა შესაძლებელი. 1920 წლის იანვარში ა. ჯანელიძე უკვე პარიზშია და ეცნობა საშუალო სკოლის ორგანიზაციის საკითხებს.

1920 წლიდანვე ა. ჯანელიძე მუშაობას იწყებს ქ. ვრენობლში ცნობილი გეოლოგის ე. კილიანის ლაბორატორიაში, მისი ხელმძღვანელობით შეუდგა იგი ზედა იურისისა და

ქვედა ცარცის ამონიტების შესწავლას. 1921 წლის მაისისათვის მან უკვე გადასცა უახანბეჭდად სამი შრომა, რომელთაგან მონოგრაფია „სპატიოტაქსიების შესახებ გამოკვეყნდა 1922 წელს საფრანგეთის გეოლოგიური რუკის უწყების სერიაში. ამ ნაშრომის ღირებებასა და მის მეცნიერულ მნიშვნელობაზე მკვერმეტყველურად მოგვეთხრობს ის ფაქტები, რომ თვით ე. კილიანმა მას ვრცელი რეცენზია უძღვნა, ხოლო ბრილიმ ის ცნობილი სახელმძღვანელოს ქ. ციტელის „პალეონტოლოგიის საფუძვლებს“ შორივ გამოცემაში შეიტანა. ფრანგი პალეონტოლოგი მარსო თავისი კაბიტაღური მონოგრაფიის (1939 წ.) წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ „ამონიტების ცარცული გვარების მონოგრაფიული შესწავლის დიდი საქმე ჯანელიძის მშეცნიერი შრომით იწყებაო“.

ა. ჯანელიძის ეს ნაშრომი მაინტერესოა ამ მხრივაც, რომ მასში ღრმად არის გამოქუქებული აღწერილი ამონიტების ბიოლოგიის მრავალი საკითხი, რომელთაც სერიოზული მნიშვნელობა აქვთ პალეონტოლოგიური მეცნიერებისათვის.

1921-22 წლების მანძილზე ა. ჯანელიძე პარიზში მუშაობს სახელგანთქული მეცნიერის ე. ოგის ლაბორატორიაში. 1922 წელს კი გერმანიაში მიემგზავრება და იქ ქალაქ ჰალეში, პროფ. ი. ვალტერის გეოლოგიურ ინსტიტუტში აწარმოებს მეცნიერულ კვლევას.

1923 წლის ვახაფხვლში, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის წინადადებით, ა. ჯანელიძე ბრუნდება საქართველოში და ჩამოსვლისთანავე მუშაობას იწყებს ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის გეოლოგიის კათედრის გამგედ. ამავე წლის შემოდგომაზე მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მისაპოვებლად. ეს იყო რიგით მესამე დისერტაცია თბილისის ახალდაარბდა უნივერსიტეტში (1920 წ. დაიცვა ა. შანიძემ, ხოლო 1921 წ. მ. წინამძღვრის მიღმა) და პირველი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

1924 წელს ა. ჯანელიძეს ირჩევენ თბილისის უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის გამგედ. ამ დროს უნივერსიტეტში ასეთი კათედრა ფაქტობრივად არც არსებობდა და ა. ჯანელიძეს მოუხდა დიდი მუშაობა, რათა შეექმნა კარგად ორგანიზებული, მძლავრი კათედრა, იმის მსგავსი, რაც მას ენახა ევროპაში თავისი მუშაობის ხანგრძლივი დროის მანძილზე. ეს ამოცანა მან ბრწყინვალედ შეასრულა, და თუ თბილისის უნივერსიტეტს ახლა აქვს მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნილების შესაფერი, კარგად მოწყობილი გეოლოგიისა და პალეონტოლო-

გვის კათედრა, ეს მთლიანად ა. ჯანელიძის საქმისადმი უდიდესი სიყვარულის, დაუღალავი შრომის და დიდი გამოცდილების შედეგია.

ა. ჯანელიძის პირველი თანამშრომლები კათედრაზე იყვნენ: კონდრატე თათარაშვილი (კნობილი მწერალი „უბიარალს“ ფევედონინით) და ივანე კვიციანი, ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიოსი, რომელიც ჯანელიძის წარდგინით იქნა ასპირანტად დატოვებული და ახლაც დაუღალავად შრომობს კათედრის შემდგომი წარმატებისათვის.

1929 წელს უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სადაც ა. ჯანელიძე განაგრძობდა გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის ორგანიზაციას და მის ხელმძღვანელობას რიგი წლების მანძილზე.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების განმავლობაში საქართველოს მეზღუდნი არსებითად ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულება იყო, სადაც დიდი მუშაობა წარმოებდა არქეოლოგიის, გეოლოგიის, პეტროგრაფიისა და ზოოლოგიის დარგებში. ამ დაწესებულების ხელმძღვანელად საქმრო იყო ისეთი პირის შერჩევა, რომელიც შეძლებდა ამ კომპლექსური სამეცნიერო მუშაობის წარმატებით გაშლას. ამიტომ იყო, რომ ა. ჯანელიძე 1926 წლის თებერვალში დაინიშნა საქართველოს მეზღუდნის დირექტორად შეთავსებით და მისთვის ჩვეულებრივად იწოდებოდა მეზღუდნის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის 1929 წლის ბოლოშივე, როდესაც, მისივე დაჟინებით თბილისის საფუძველზე, ის გაათავისუფლეს მდლობის სივლით დიდად ნაყოფიერი მუშაობისათვის.

სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკა — პირობისადგურების მშენებლობა, სასარგებლო ნამარხების, პირველ რიგში ქვანახშირის საბადოთა შესწავლა და სხვ. მოითხოვდა ისეთი დაწესებულების არსებობას, რომელიც შეძლებდა ამ საკვლევებში კვალიფიციური დახმარება აღმოეჩინა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმადლესი საბჭოსათვის. ამ დროისათვის (1925 წ.) თბილისის უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრა უკვე ჩამოყალიბებული იყო როგორც სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია და სრულიად ბუნებრივად სწორედ ამ კათედრის ბაზაზე გადამყვდა საქართველოში პირველი სამეცნიერო ინსტიტუტის შექმნა გეოლოგიის დარგში, რომლის დირექტორად ა. ჯანელიძე დაინიშნა (უხელოვანოდ). თავდობირველად პეტარა დაწესებულება, ახლა წარმოადგენს მძლავრ სამეცნიერო ინსტიტუტს,

რომელსაც კარგად იცნობენ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ა. ჯანელიძე ამ ინსტიტუტის უცვლელი დირექტორი იყო 1955 წლამდე, როდესაც მან საჭიროდ ჩათვალა ეს მოვალეობა მისი მოწოდება — ა. გამარულიძისათვის დაევალებინა, თუმცა თითონ დღესაც არა ნაკლებ ზრუნვას იტენს ამ ინსტიტუტის წარმატებით მუშაობისათვის.

კათედრის არსებობის პირველ პერიოდში ა. ჯანელიძეს უხდებოდა კათედრაში შემავალი ყველა სიგნის ლექციების კურსის წაკითხვა: ასე, მაგ., სხვადასხვა დროს ის კითხულობდა პალეონტოლოგიის, დინამიური გეოლოგიის, ისტორიული გეოლოგიის, კავკასიის გეოლოგიის, გეომორფოლოგიისა და გეოტექნიკის, საბჭოთა კავშირის გეოლოგიის და გეოლოგიის ისტორიის კურსებს. ამ დროს შექმნა მან პირველი ქართული სახელმძღვანელო ისტორიულ გეოლოგიაში, რომელიც, როგორც მასალის ხასიათით, ისე სტრუქტურით სრულიად ორიგინალურია და დიდ სამსახურს უწევს ჩვენს სტუდენტობას.

ძნელია შეთხველთა ფართო წრისათვის განკუთვნილ წერილში დაახასიათოთ ა. ჯანელიძის მეცნიერული შრომები, რადგან ეს მოითხოვს მკითხველის მხრივ გეოლოგიური მეცნიერების ძირითადი ცნებების ცოდნას მაინც. ამიტომ მე მხოლოდ ზოგადად შევეხები ა. ჯანელიძის მეცნიერულ მოღვაწეობას, რომელიც ასე მრავალმხრივი და ღრმა შინაარსიანი, მუდამ ორიგინალური და ახალი იდეებით მდიდარი იყო და არის.

საფრანგეთში შესრულებული პირველი პალეონტოლოგიური შრომის შემდეგ ა. ჯანელიძემ საქართველოში აღწერა ცარცული ამონიტების სრულიად ახალი გვარი, რომელსაც „კოლიდიტუს“ უწოდა. ეს გვარი უკვე შევადარა მსოფლიოს პალეონტოლოგიურ ლიტერატურაში. მან პირველმა აღწერა საქართველოს (რაჭის) მდიდარი კალციფერული ფანა. შემდეგ რაჭაშივე შეაგროვა მდიდარი ფანა ე. წ. „ქორთის შრეებიდან“, რომელიც ადრე გ. აბიხის კოლექციის მიხედვით მონოგრაფიულად ჰქონდათ აღწერილი ავსტრიულ მეცნიერებს ნეიმიარს და ულიგს და მას ბაიოსურად თელიდნენ. ა. ჯანელიძემ მათ მიერ შესწავლილი რიგი ფორმების სრულიად ახალი განსაზღვრები მოგვცა და დაამტკიცა, რომ „ქორთის შრეები“ ბაიოსური კი არა, არამედ ოქსიგორდული ასაკისაა.

ა. ჯანელიძის მნიშვნელოვანი მუშაობა აქვს ჩატარებული აგრეთვე ბაიოსური ნამარხების, ლიასური ამონიტების და ცარცული ინოცერამების შესწავლისათვის.

სტრატეგია და დანალექი ქანებსა და წყებების განლაგების თანმიმდევრობას, მათ ურთიერთობას და შედარებით ასაკს შეისწავლის მიწის ქერქის გარკვეულ უბანზე. ა. ჯანელიძეს დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს სტრატეგიათმის მრავალი საკითხის გარკვევაში. მან პირველმა დაადგინა, რომ ძირულის მსივის ფარგლებში გავრცელებული ვარდისფერი და თეთრი კირქვები შეიცავენ ლიასის უველა ზონას დომერტილიდან ალუნდრამდე, დაადგინა, რომ ჩრდილოეთისაგან ლიასური კირქვები კავკასიონის ფიქლებს წყებში გადის. ა. ჯანელიძემ გვიჩვენა საქართველოში და მთელ ამერკავკასიაში ფართოდ გავრცელებული ე. წ. პორფირიტული წყების ერთიანი ბუნება, წინააღმდეგ მანამდე გავრცელებული აზრისა, რომლის მიხედვით მდგმურ ქანებს ცალკე გამოყოფდნენ და უფრო ახალგაზრდა ასაკისად თვლიდნენ, ვიდრე შემცველ შრეებს, მისი წარმოშობა ინტენსიური წყალქვეშა ვულკანური ამოფრქვევების შედეგად მიიჩნია და განსაზღვრა მისი ბიოსფერის ასაკი, რაც შემდგომში საყსებით დადასტურდა როგორც ა. ჯანელიძის, ისე, განსაკუთრებით, ა. კახაძის მიერ აღწერილი მდიდარი ფაუნით. ოკრიბაში და რაჭაში ფართოდ არის გავრცელებული ე. წ. „ფერადი წყება“, რომელსაც სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა ასაკს მიაწერდა, ა. ჯანელიძემ ვიარკვია, რომ წყების ასაკი კიმერიჯულით განსაზღვრება. კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი სტრატეგიათმული საკითხი აქვს ა. ჯანელიძის დამუშავებულ, მადრამ მითი აქ ჩამოთვლა შორის წაგვიყვანდა.

ასევე მოკლედ მინდა შევეხო ა. ჯანელიძის ლეწლს ტექტონიკის საკითხების კვლევაში. ტექტონიკა ანუ გეოტექტონიკა გეოლოგიის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული დარგი და შეეხება მიწის ქერქის მოძრაობის ფორმებს, ამ მოძრაობის შედეგებს და მათს მნიშვნელობას მიწის ისტორიაში. ა. ჯანელიძის მუშაობაში ტექტონიკურ კვლევებს უოველთვის წამყვანი ადგილი ეკიბა. მან, პირველმა, საქართველოს მაგალითზე დაადგინა ევრეთ წოდებული კიდური დანაოქება, რომელიც ფართოდ გავრცელებული აღმოჩნდა მრავალ მთიან მხარეში და ადვილად ხსნის ზოგ რთულ ტექტონიკურ სურათს, რომლის სხვა გზით ვაგება ხშირად შეუძლებელი არის. ა. ჯანელიძემ ხამეფერლოში და ვარე კახეთში დაადგინა ზეწრული ნაოქების არსებობა, ე. ი. ისეთი ნაოქებისა, რომლებიც ვანდა უკვე მყარ სუბსტრატზე განლაგებულ შედარებით პლასტიკურ დანალექ წყებებში. ამას დიდი

მნიშვნელობა აქვს საქართველოში ნაეთის საბადოთა კვლევისათვის.

დანაოქების პროცესის დათარიღებისათვის არსებობდა ცნობილი გერმანელი მეცნიერის შტილეს მეთოდი. როდესაც რომელიმე დანალექი წყება დანაოქდება და შემდეგ მას ზევიდან ახალი დანალექი წყება გადაფარება, ასეთ შემთხვევაში გეოლოგები ამბობენ, „უთანმში“ განლაგება არის, რადგან ზედა წყების შრეების განლაგება არ არის ისეთივე, როგორც ქვედა, დანაოქებულ წყების ახასიათებს. შტილეს აზრით, დანაოქება მოხდა მის შემდეგ, რაც ქვედა წყება დილექტა, და მანამდე სანამ ზედა წყება დილექტებოდა. ესე იგი, არსებითად, დანაოქება რაღაც უცნაური, ელვისებრი პროცესისა დროის ვარეშე და იგი არაფრით არის გამოხატული არც ქვედა, დანაოქებულ და არც ზედა წყებაში.

ა. ჯანელიძემ საქართველოში შტილეს მეთოდი ფაქტობრივად მასალის საფუძველზე ვიჩინა, რომ დანაოქების პროცესი საქმალ ხანგრძლივია და ის მკაფიო გამოხატულებას პოვებს იმ ნალექებში, რომლებიც დანაოქების დროს ჩნდება, ეს გვრეთწოდებული რეტრესიული წყება კარგად არის გამოხატული ოკრიბაში შუა იურულ ნალექებში, რომლებშიც განლაგებულია ტყიბულასა და გელათის ნახშირის საბადოები. ამის საბუთები საქართველოში მრავლადაა სხვა გეოლოგიურ ფორმაციებშიც.

ა. ჯანელიძე სერიოზულ ყურადღებას უთმობს ოროგენეტიკის (შთების წარმოშობის) თეორიების განვითარებას. მან დაასაბუთა შთების მფარაციისა და „ტელესკოპური“ განვითარების თეორია. მისი აზრით, ატლანტიკური ოკეანე ახალგაზრდა ოროგენი არის, ხოლო მის შუა ნაწილში არსებული წყალქვეშა ქედის-მდგვარი ამილდება გეოსინკლიონის წარმოადგენს. ოროგენეზისთან და გეოსინკლიონებთან კავშირში ა. ჯანელიძემ ფართოდ გააშუქა სილასის (შიწის სულ ვარეთა ვარსის) და კონტინენტების წარმოშობის, ავრეთზე, ვრანტიკული მთების საკითხები, ახალი ფაქტობრივი მასალის თეცნობილი ფაქტების ახლური ანალიზის საფუძველზე მან კონტინენტები წარმოადგინა როგორც ხანგრძლივი, რთული ოროგენეტული პროცესის შედეგი.

ამ თეორიულ პრინციპებზე დაყრდნობით ა. ჯანელიძემ მოგვცა კავკასიის ტერიტორიის გეოტექტონიკური დანაწილება, რაც ქართველი გეოლოგების მუშაობის საფუძველს წარმოადგენს.

ა. ჯანელიძემ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა თბილისის მიდამოებში შტყერის ტერასების დასადგენა. აქ მან 4 მთავარი ტერასის გამოკყა და მათ შორის ევრეთწოდებულ ტერასულ საფეხურებს აღნიშნა. ამის საფუძ-

ველზე ა. ჯანელიძე არჩევს „დიდტერასებს“, რომლებიც მდინარის ეროზიის ბაზისის შეცვლის ან აუზის ახეების შედეგად ჩნდებიან და ეროზულ საფეხურებს, რომლებიც ეროზიის უწყვეტი მხედლობის პირობებში შეიძლება წარმოიშვან დიფფაქციის შედეგად.

საქართველოს სხვადასხვა რაიონში მეწყურული მოვლენების შესწავლის შედეგად ა. ჯანელიძემ მოგვცა მეწყურების სრულად ახალი კლასიფიკაცია, მისი აზრით, უნდა გაეარჩიოთ დენითი და ცოცხითი მეწყურები; უკანასკნელები ვითარდებიან ძირითად ქანებში და სწორად ისეთ მოვლენებს იწვევენ, რომლებიც რთულ ტექტონიკურ სურათს ქმნიან და გეოლოგი შედარებაში შეჰყავთ.

ა. ჯანელიძემ თბილისის მიდამოებში აღწერა ერთი მდინარის მიერ მეორის წატაცების საინტერესო მოვლენა, ხოლო ოკრიბაში და რაპაში ტექტონიკურ მოძრაობათა შედეგად მდინარეთა დაგუბების (მდ. ტყიბულა) და ამის შედეგად ტბების გაჩენის თვალსაჩინო მაგალითები მოგვცა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა დიუბუა დე-მონპერემ საქართველოში იმოგზაურა და მრავალი გეოლოგიური მოვლენა აღწერა. სხვათაშორის, მან აღწერა, რომ ტირიფონისა და მუხრანის ველები ძველ ნატებურებს წარმოადგენენო. მის შემდეგ ეს ახსნა მტკიცედ დადგენილად ითვლებოდა. ა. ჯანელიძემ კი დაასაბუთა, რომ აქ საქმე გვაქვს არა ნატებურთან, არამედ მტკერის ძველ ზეობასთან, მისი აზრით, მოიპოვოთ (დაახლოებით 18-20 მილიონი წლის წინათ) მტკერა ტირიფონ-მუხრან-ციცხ-გომბორის ქედის ზოლს მიჰყვებოდა. ამ ზეობაში დაჯგოფილი კონტინენტური ნალექების დანაოშვებამ მტკერაი გადაადგილეს ახალ კალაბოტში, რომელშიაც ახლაც მიედინება. ტირიფონისა და მუხრანის ველების საბოლოო სახის გამოჩენაშიც კი ძირითადი როლი მტკერის მარცხენა შენაკადებმა ითამაშეს.

კიდევ უფრო ადრე მტკერაი შუა ქართლამდე არც აღწევდა, არამედ წალკაზე მიედინებოდა ბორჩლოსაკენ. ზედა მილიონში (20-25 მილიონი წლის წინათ) ეულკანებიდან ამოღენილი ლავის ნაკადებმა მტკერას ეს გზა გადაუკეტეს და აიძულეს იგი ბორჯომის ზეობით შუა ქართლისაკენ აეღო მიმართულება.

დიდ მეცნიერულ-მედაგოგიურ მუშაობასთან ერთად, ა. ჯანელიძე თავიდანვე ენერგიულად მონაწილეობდა სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული საქმიანობის გადაჭრისაში. ნატახტარისა და ბულაჩაურის წყაროების ჰიდროგეოლოგია, ახალი ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობა, ტყიბულის ნახშირის საბადოს გეოლოგია, ბორჯომისა და წყალტუბოს

მინერალური წყლების ჰიდროგეოლოგია, სამგორის სარწყავი სისტემის გეოლოგიურა, პირობები, საქართველოს ნავთობ მადების საკითხები და მრავალი სხვა, რომელთა აქ ჩამოთვლა შეუძლებელია, ნათლად გვიჩვენებს, რომ ა. ჯანელიძემ დიდი ამაგი გამოუყენებოთ გეოლოგიის განვითარებას ჩვენში და სერიოზულად შეუწყო ხელი სოციალისტური მშენებლობის რიგი აქტუალური პრობლემის წარმატებით გადაჭრას. მაგრამ აქ არა ნაყვებ საინტერესოა ამ საკითხის მეორე მხარე. ა. ჯანელიძის მუშაობა საუბრეთესო მავალთა იქონია, თუ რაოდენ ძვირფასია მასალის მიცემა შეუძლია პრაქტიკას მეცნიერებისათვის, თუ რამდენად აუცილებელი და სასარგებლოა მეცნიერული მუშაობის მჭიდროდ დაკავშირება სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. ა. ჯანელიძეს არ ჩაუტარებია არც ერთი პრაქტიკული გეოლოგიური სამუშაო ან კონსულტაცია, რომლის შედეგად მას არ მოეცეს რომელიმე ახალი გეოლოგიური მოვლენის აღწერა და მისი ახსნა, ან უკვე ცნობილი ფაქტების სრულად ახლერი ინტერპრეტაცია და, ამრიგად, არ გაემდიდრებინოს გეოლოგიური მეცნიერება. ამის დასადასტურებლად მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს.

რიონის მშენებლობის გეოლოგიური საკითხების შესწავლისას დაადგინა ა. ჯანელიძემ ცოცხითი მეწყურების არსებობას ფაქტი ძირითად ქანებში. ამავე მუშაობის შედეგი იყო, აგრეთვე, კარსტული გამოქვაბულების გაჩენისა და განვითარების კანონზომიერებათა ორიგინალური ახსნა.

თბილისის წყალმომარაგებისათვის ნატახტარის წყაროების კვლევისას ა. ჯანელიძემ დაადგინა, რომ ეს წყაროები არაგვის წყალია, რომელიც არაგვისავე ალუვიონში იფილტრება და შემდეგ გამოდის ზედაპირზე წყაროების სახით (ე. წ. ინფილტრაციული წყაროები); ამავე დროს, გვიჩვენა კალაბოტსკეში მდინარისა და მიწის ზედა მდინარის ურთიერთობის ზოგი თავისებურება და მოგვცა მისი ახსნა.

ტყიბულისა და გელათის ნახშირის საბადოთა გეოლოგიის შესწავლის შედეგად ა. ჯანელიძემ მოგვცა საინტერესო შრომა, რომელშიც არა მარტო ოკრიბისა და მისი შესაბუნველ რაიონების გეოლოგიური ისტორიის მრავალი საკითხი იქნა ახლად გამოქვეყნული, არამედ გეოლოგიური მეცნიერების რიგი თეორიული პრობლემების ახლად ან ახლებურად დამსისა და გადაჭრის არა ერთი მაგალითი გვიჩვენა. ძირითადად ამავე კვლევის შედეგად ზემოთ უკვე მოყვანილი კიდური ნაოქებისა და დანაოქების ხანიერებს-ს უღირესად საინტერესო თეორიების დამუშავება.

საქართველოს მინერალური წყლების (ბორჯ-

ში, წყალტუბო და სხვ.) და სამკურნალო მინერალური ტალახების შესწავლას ა. ჯანელიძემ სასტრუქტურ კონსულტაციის უწყველად ამის შედეგად მოგვცა დენაპერიოდული წყაროების მოქმედების ერთი შესაძლებელი მექანიზმის აღწერა, წყვეიანი და გაზიანი წყაროების რიგ თავისებურებათა გამოქვეყნება და ტალახის ეულკანების მოქმედების მარტივი ასხა.

ოკრაბის ოზოცერიტისა და რაქის ასფალტის ძიების შედეგად ა. ჯანელიძემ პირველი მდვიდა დასცენაშდ, რომ რაქაში ნაეთობი არა მესამეული ასაკისაა, როგორც მანამდე ფიქრობდნენ, არამედ იურულ (ლიასურ) ნალექებს უკუწირდნება.

თბილისის მილაძობეში საშენი მასალის ჭებნისათვის ჩატარებული მეშობის შედეგია ა. ჯანელიძის საინტერესო დასკვნები მდინარეთა წაატების, მტკვრის ტერასების განლაგების, ეგრეთწოდებული ჩაქარალი ეულკანების ნამდვილი ბუნების შესახებ, რომლებსაც ზემოთაც შევხებით.

ა. ჯანელიძემ როლი იფარგლებოდა მარტო გეოლოგიური მეცნიერებით. ის ღრმად სწელობდა მარტსისტრულ ფილოსოფიას და გეოლოგიის მოსაზრებ დარგებს, ბიოლოგიასა და გეოფიზიკას. ამ მხრივ აღსანიშნავია გეოლოგიური ინსტიტუტში მის მიერ წაითხულ მოხსენებათა ციკლები: 1) გეოლოგიის გეოფიზიკური შესავალი და 2) დარქინიზმი. უკანასკნელი ციკლი მან უკრ ოციანი წლების ბოლოს წაითხა, ხოლო ორმოციანი წლებში (1848 წ.) თითქმის უცვლელად გაიშვორა ბიოლოგიაში იმ დროს ვიანდებულ დისკუსიასთან დაკავშირებით, რადგან დასტურდებოდა, რომ ისინი ბიოლოგიური მეცნიერების ძირითად პრობლემებს მატერიალისტური დიალექტიკის თეოთახედვით ამუქებდნენ.

ბოლო წლებში ა. ჯანელიძეს მოუხდა წეეიანთა გეოლოგიის ისტორიის ახალი ორიგინალური კურსი, რომელიც ამჟამად იბეჭდება და მალე გამოვა.

თბილისის უნივერსიტეტში მეშობის დაწყების პირველი დღიდანვე აკირდებოდა ა. ჯანელიძემ სტუდენტებს და ცდილობდა, მათ შორის შეერჩია მომავალი მეცლენარები. ამ არჩევისათვის ის იყენებდა საველ მეშობისას, რომლის დროსაც განსაკუთრებით კარგად ჩელაუნდება მომავალი გეოლოგიისათვის საჭირო თვისებები.

ა. ჯანელიძემ ხშირად იტყვის, რომ ამა თუ იმ სტუდენტს თვალბში შემოქმედებითი ნაპერწკალი იმჩნევა და მისგან შეიძლება კარგი მეცნიერი მეშეი გამოვლდეს. მართლაც, მე პირადადაც არა ერთხელ მექონია საშუალბა დარწმუნებულეყავი, რომ ზოგჯერ

სტუდენტი საგნებს წარმეტებით აბარებს, ყოველ დავალებას პირნათლად ასრულებს, მაგრამ როდესაც სავიროა წათხულო ან მოსმენილი კრიტიკულად ილექვს, თეითონ დავბადოს რიიმე აბალი საყთობი, აბალი ახრი, ირყავდა მისი უუნარობა. ამიტომ არის, რომ ა. ჯანელიძისთვის არ ყბარა სტუდენტის "ფრიადოსნობა", რათა ის მეცნიერულ მეშობაში ჩაბას.

ამეთი სიფრთხილთ და დაკვირებით მეჩეული მეციერი აბლაზბრდობა შემოიყრბა მან თავის გატშეში და შექმნა, ძლიერი ორიგინალური აქვს ვანთქმული მეულ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც.

ამ სკოლას, ა. ჯანელიძის მზრუნველი ხელმძღვანელობის შედეგად, ჰყავს გეოლოგიური მეცნიერების არა ერთი დარგის თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელთა მეცნიერული შრომები ფართოდ არის ცნობილი და წარმოადგენენ მნიშვნელოვან წელილს საბჭოურ მეცნიერებაში.

ა. ჯანელიძის დიდი დამსახურება საბჭოური მეცნიერების წინაშე აღნიშნა მისი არჩევით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველ მეშმადგენლობაში. ა. ჯანელიძემ ენერგიულ მეშობას ეწევა საჭ მეცნიერებათა აკადემიაში მისი დარსების დღიდანვე, როგორც მისი პრეზიდენტის უცვლელი წეერი, მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე, ხოლო 1951—1955 წლებში — ეეე-პრეზიდენტი.

ა. ჯანელიძემ არის საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების დარსების ინიციატორი და მისი პრეზიდენტის უცვლელი თავმჯდომარე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წეერი-დამარსებელი, რუსეთის პალეონტოლოგიური საზოგადოების წეერი, საფრანგეთის გეოლოგიური საზოგადოების წეერი.

ა. ჯანელიძემ აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშობაში. ის არა ერთხელ იყო არჩეული უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მეშეათა პროფკავშირის პრეზიდენტის წეერად, ამავე კავშირის საქართველოს და საკავშირო ყრილობების დელეგატად.

1937 წელს ა. ჯანელიძემ არჩეული იყო საქართველოს საბჭოების მეშეიდ საეანგებო ყრილობის დელეგატად და საქართველოს სსრ კონსტრუქციის ტექსტის დამდგენი სარედაქციო კომისიის წეერად. ის არის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ზეთივე მოწევის დებუტატი და პრეზიდენტის წეერი.

საბჭოთა ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურებისათვის ა. ჯანელიძე დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

ა. ჯანელიძე ამჟამადაც მისთვის ჩვეული უნერგიით განაგრძობს თავისი საყვარელი საქმის — გეოლოგიური მეცნიერების განვითარების და ახალი კადრების აღზრდის ხელმძღვანელობას. ეს ადვილი ვასაგებია ვახდებდა, თუ მოეგონებოდა აღექვანდრე ჯანელიძის ბიოგრაფიის ერთ ეპიზოდს.

1936 წელს, საბჭოთა საქართველოს 15 წლისთაზე, მოსკოვს ეწვია საქართველოს მშრომელთა დელეგაცია. რომლის შემადგენლობაში ა. ჯანელიძეც შედიოდა. იქ წარმოთქმულ ზიტყვაში, რომლის ძირითადი აზრი მამინ „პრავდის“ მოწინავეშიც იყო მოყვანილი, მან

დაახლოებით შემდეგი თქვა: საბჭოთა წყობილებამ ჩვენს წინაშე შემოქმედების უცხო შესაძლებლობები გაშალა, ურამდენიმე ცხოვრება სწორედ ამ წყობილების დამყარების შემდეგ დაიწყო და ამიტომ ჩვენ ყველანი, მოხუცებიც და ახალგაზრდებიც, ჩვენს ასაკს აქედან ვანგარიშობთო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას ახლახან 38 წელი შეუსრულდა და, თუ ა. ჯანელიძის სიტყვას მივყავებით, ის ახლა 38 წლისად უნდა თვლიდეს თავის თავს.

მაშ, ევსურგოთ 70 წლის სიბრძნით აღბურთვით 38 წლის ჩვენს ძვირფას ალექსანდრეს კიდევ ხანგრძლივი სიცოცხლე და ნაყოფიერი მოღვაწეობა საბჭოთა მეცნიერებისა და ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

3. თოჟაიი



არნოლდ ჩიქობავა

ჩვენმა ფართო საზოგადოებრიობამ ამ რამდენიმე ხნის წინათ ზეიმით აღნიშნა სახელოვანი ქართველი მეცნიერის არნოლდ ჩიქობავას დაბადების 60 წლისა და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 35 წლისთავი.

არნოლდ ჩიქობავა გამოჩენილი მოაზროვნე ენათმეცნიერია.

ამ ზეიმზე ჩვენმა საზოგადოებრიობამ და ფართო სამეცნიერო წრეებმა სიტყვიერი და წერილობით გამოხატეს მადლიერების გრძნობა, ღრმა სიყვარული და განსაკუთრებული პატივისცემა თავისი დიდი მეცნიერისა და ქვეყნის მოქალაქისადმი. სხვადასხვა დარგის სახელმძღვანელო სპეციალისტებმა და საქვეყნოდ ცნობილმა ენათმეცნიერებმა ერთხელ კიდევ წერილობით აღიარეს არნოლდ ჩიქობავას ბრწყინვალე ტალანტი, ფართო ერუდიცია, ღრმა ცოდნა, აზროვნების ორიგინალურობა და მეცნიერული შემართება; მათ უჩვენეს მის თეორიულ შეხედულებათა და კვლევის პრინციპთა ზეგავლენის ძალა და მისი გამოკვლევების განსაკუთრებული ღირებულება; მათვე აღნიშნეს ქართული ენათმეცნიერების მეცნიერულ-თეორიული მძალი დონე და მის მონაპოვართა სიბჭლე და მნიშვნელობა ზოგადი ენათმეცნიერების განვითარებისათვის.

არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო მოღვაწეობის 35 წელი დაუცხრომელი შრომის, მწვავე შრომისა და უადრესად ნაყოფიერი შემოქმედების წლებია.

ჩვენი არა გვიქვს განზრახული, თუნდაც მოკლედი აღვსტხოთ ამ დიდი მეცნიერის ცხოვრებისა და შემოქმედების ეტაპები და ვიხვეწოთ მისი შრომების სიღრმე და მნიშვნელობა. ეს არცთუ აუცილებელია და თანაც შეუძლებელია. შეუძლებელია აქ თუნდაც იმიტომ, რომ სახელმძღვანელო მკვლევრის ცხოვრება და დაწერილი ერთი მთლიანია და განუყოფელი, მისი ბიოგრაფია თითქმის მთლოდ მეცნიერული შემოქმედებაა; ეს შემოქმედება კი ქართული ენათმეცნიერებაში ახალი ფურცელია, რომელიც ურეოდ წინადად აიკინება და ამ წიგნის სახელდახლოდ ვადაშლა არ არის სასურველი. ჩვენი სურვილია, რომ შემოქმედების მეორე

ნახევარიც ასეთივე ნაყოფიერი იყოს და ჩვენმა მეცნიერმა გამოაქვეყნოს კვლევა ახალი 140 ფუძემდებელი გამოკვლევა (მთვანა რვაზე მეტი წიგნი), რომლებიც დაწყებული ენათა და ზვერცხ დამთავრების პირზეა ეს მონოგრაფიებია: ქართული სინტაქსის პრობლემის II ტომი, ზოგადი ენათმეცნიერების III ტომი, სადაც კრიტიკულად იქნება გაშუქებული თანამედროვე ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები, იბერიულ-კავკასიური ენათა ურვატიული კონსტრუქცია II-V წიგნად, ამავე ენათა შესწავლის ისტორია, მათი შედარებით გრამატიკა და ლექსიკონი რამდენიმე ტომად, ქართველური ენათა სტრუქტურა და ისტორია— ასევე რამდენიმე ტომად და სხვადასხვა.

აღიარებელია, რომ არნოლდ ჩიქობავა ფართო პროფილის მეცნიერია. მისი ფუძემდებელი შრავალრიცხოვანი შრომებიდან ჩანს, რომ მის ამშვენებს მკვლევრის იშვიათი თვისებები: ენობრივი მოვლენის ღრმა ანალიზისა და თეორიული განზოგადების — სინთეზის განსაკუთრებული ნიჭი, იგი ყოველთვის სვამს და წყვეტს მეცნიერულად დიდი მნიშვნელობის პრობლემებს, ყოველთვის ეხმარება დღევანდლობის ამაღლდებელ საკითხებს, მაგრამ ეს პრობლემები და საკითხები ერთმანეთთან შინაგან კავშირში იმყოფებიან და თანამიმდევრულია, საკვანძო პრობლემებიდან იღებენ სათავეს და ერთი მთლიანი, მეთოდოლოგიურად სწორი თვალთახედვით არიან გაშუქებული. მის მიერ წამოყენებული დებულებები მის ზოგადს კონცეფციის უფარდება. ამით იხსნება, რომ არნოლდ ჩიქობავას ყოველი შრომა მწყობრია, გამოირჩევა თემის აქტუალობით, გადაწყვეტის სისწორით, არტუმენტაციის სიძლიერით, გადმოცემის სისადავითა და აზრის სინათლით. თითოეულ შრომაში საკითხის გაშუქებას თან სდევს ზოგადენათმეცნიერული დასკვნა — ენის ზოგადი კანონზომიერების გამოკვლევა. იმიტომაც არნოლდ ჩიქობავას გამოკვლევები იღებენ მდღიარი, სახვეწ ახალ-ახალ გზებს და შლიან კვლევის ფართო პერსპექტივებს. ეს შრომები საფუძვლად უქმნის ახალ გამოკვლევათა სერისს. ამდენად წარმოადგენენ დიდ მიღწევას მეცნიერებაში. მათ სამართლიანად მოუხვეჭეს ავტორის თეორეტიკოსი ენათმეცნიერიც სახელი.

ეს იშვიათი თვისება შენიშნული აქვთ სახელ-
განთქმულ მეცნიერებს, რასაც ლოზინოსოვის
სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორ-
რადი (აკად. ი. პეტროვიკი) ასე ნათლად ვა-
ზიხატავს: „ჩვენ მივესალმებით თქვენი სახით
გამორჩეულ საბჭოთა ენათმეცნიერ-თეორეტი-
კოსს, ბერიულ-კაცკასიური ენათმეცნიერ-
ების უდიდეს სპეციალისტს, შესანიშნავ პე-
დაგოგს — ფილოლოგოსთა არაერთი თაობის
აღმარადეს, საზოგადო მოღვაწეს, რომელიც
დაუღალავად იღვწის ჩვენი კულტურის სხვა-
დასხვა დარგში. ...თქვენ რასაც უნდა სწიე-
ლობდეთ, რა სპეციალური საკითხიც უნდა
ვაინტერესებდეთ, ყოველთვის უდგებით ამ
საკითხებს ვნის ზოგადი თეორიის პოზიციე-
ბიდან და აეთიარებთ მას ყოველთვის შემქ-
მელებითად, ყოველთვის საინტერესოდ. ...თქვენ
გამუდგებით მუშაობთ ზოგადი ენათმეცნიერე-
ბის თეორიულ პრობლემებზე და სასწავლო
კურსებზე“.

ამავე აზრს გამოთქვამენ მოსკოვის უნივერ-
სიტეტის რუსული ენის კათედრის მთელი შე-
მადგენლობა (ცნობილი სტავისტები: იაღ-
ე. ვინოგრადოვი, პროფესორები ა. ეფიმოვი,
პ. ჩერნიში, პ. კუზნეციკი, ტ. ლომიტოვი და
სხვ.), ენათმეცნიერების ინსტიტუტთა, ზოგადი
ენათმეცნიერების, რუსული ენის კათედრათა
სპეციალისტ-თანამშრომლები და სხვ.

არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო ინტერესთა
წრე ფართოა და ამისდა შესაბამისად საკულე-
ვი ობიექტებზეც მრავალია, თემატიკაც მრავალ-
ფეროვანი. მისი კვლევა-ძიება ოთხი მიმართუ-
ლებით წარმოებს. ესაა: ა) ქართულურ და
მთის კაცკასიურ ენათა *ჯგუფის ცალკეულ
ენათა და მათ დიალექტთა სტრუქტურის შეს-
წავლა განვითარების ისტორიის მანძილზე;
ბ) ამავე იბერიულ-კაცკასიურ ენათა გენე-
ზისისა და ნათესაობის ძირითად საკითხთა
კვლევა და მათი ისტორიულ-გენეტური
კავშირის ჩვენება ახლო აღმოსავლეთში და
ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე ძველი კულ-
ტურის შემქმნელ ხალხთა ენებთან (ხალდურ-
თან ანუ ურარტულთან, პროტოხეთურთან და
სხვ.); გ) ზოგადი ენათმეცნიერების ძირითადი
პრობლემები (და დ) ენობრივი მშენებლობა.
ყველა ამ დარგში მას მოწინავე პოზიციები
უჭირავს, იგი ზმირად კვლევის გამაღრმავე-
ბელია და უფრო მეტად სამიჯრის დამდები,
ფუნდამენტის ჩამყარალი.

არნოლდ ჩიქობავის მრავალმხრივს პრობლე-
მატიკაში, ბუნებრივად, მთავარი ადგილი ქარ-
თულსა და მის მახლობელ ენებსა და დიალექ-
ტებს უჭირავს.

ქართული ენა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი
შერჩეობის ენაა და მის ფაქტებს ისტორიული
საბუთის მნიშვნელობა აქვს, იგი თანაც საე-

მიოდ კარგად შესწავლილი ენაა, მაგრამ არ-
ნოლდ ჩიქობავა იკვლევს ქართული ენის სტრუ-
ქტურის ისტორიას, ამუშავებს გრამატიკის ძი-
რითად დარგებს — მორფოლოგიასა და სინ-
ტაქსს — ურთიერთმიმართებაში და მათი
მთავარი კატეგორიების წარმოშობასა და გან-
ვითარებას, და უნდა თქვას, რომ ყველგან
მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს. ამისათვის
იგი გასაოცარი გულშეოღვინებითა და სიღრმით
სწავლობს ძველი და ახალი ქართული ენის,
ქართულის დიალექტების, ზანურის, სვანურისა
და მთის კაცკასიურ ენათა უხვ მასალებს და
მათი უზადო ანალიზის საფუძველზე ნათელს
პყენს სახელის ბრუნვათა ფუნქციისა და წარ-
მოშობის საკითხებს, ხსნის ქართული მორფო-
ლოგიის ყველაზე რთული ნაწილის — ზმნის-
მექანიზმს, მის ძირითად კატეგორიათა გენე-
ზისს და მასზე დამყარებით აჩვენებს ქართუ-
ლი ენის სინტაქსის სპეციფიკურ თავისებურე-
ბებს. არნოლდ ჩიქობავა ახერხებს მახვილთ
თვლით ჩაიხედოს ვადამწვეტილ საკითხშიც
და იქ მოკლენის ჯერ შეუშინეველი ახალი
მხარეც დაინახოს.

ქართული ენისათვის მიძღვნილ მრავალ
ფუძემდებელ შრომაში, რომელთა დასახელე-
ბა შორს წავეყვანს, მთავარ საკითხთა ვადამ-
რასთან ერთად მოღებულაა შორსმავალი დას-
კენები. მათი ჩამოთვლაც კი შეუძლებელია.
გაკერით დადასახელებით მხოლოდ რამდენიმე
ვადამწვეტილ საკითხს, როგორცაა: ბრუნვი-
ბა და მრავლობითობის ნიშანთა გენეზისი,
პირი და მისი ნიშნების შედეგელობის ისტო-
რიული ცვლა, პოტენციალისისა და ასპექტის
კატეგორია, ზმნის ვარი და სხვ.

სპეციალისტთა შორის ცნობილია მათი ლი-
რებულება და მნიშვნელობა. იგი ვაზიარებულ-
ლია და მრავალ სხვათა შრომის უძვეეს საფუ-
ძელად.

ქართული ენის ისტორიისათვის არსებითი
მნიშვნელობა ენიჭება დიალექტთა მონაცემებს.
არნ. ჩიქობავა სწავლობს მთიულურს, კახურ-
სა და ძველი პერეთიდან შაპ-აბასის მიერ ხა-
მას ორმოცდასამი წლის წინათ სპარსეთის
პროვინციაში, ფერაიდანში, ფარასაბლებულ
ქართულთა მეტყველებას, ფერეიდნულთა,
რომელთაც რჯული შეუცვალეს, ტალავარი
გამოუცვალეს, მაგრამ შეენება, რომ იგი ქარ-
თულია და მისი დედაენა ქართულია, ვერ
აღმოუფხვრეს. მკვლევარი მოგვცა ამ კილოთა
სრული მიმოხილვა და მიუჩინა მათ ადგილი
ქართულ დიალექტთა შორის. მაგრამ არსებითი
ეს არის, რომ ამასთან დაკავშირებით ვაჩ-
კვია თეორიული საკითხებიც, როგორცაა:
დიალექტი უცხო ენის გარემოცვაში და სხვა
ენის ზეგავლენის ძალა, ფონეტიკურ პროცეს-
თა გავრცელებულობა მორფოლოგიის სფერო-

შიც, გრამატიკისა და ლოგიკის ურთიერთობა და მათი გამოყენება, ქართულ დიალექტებში მხვილის სახეობა და სხვ. ამით საფუძველი დაეკო თეორიულ დიალექტოლოგიასაც.

უარყოფილ დასავლ და ვაშტქა ქართული ლიტერატურული ენის პრობლემაც. ქართული ლიტერატურული ენა ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი სამწერლობო ენათგანია. მაგრამ მისი შესწავლა ხერხდება V საუკუნეიდან, რადროდნაჲ მოგვემოკვება წერილობითი ძეგლები. ბილოს ხანდამდე გაბატონებული პერიოდიზაციის თანახმად ქართულმა ენამ განვითარების სამი საფეხური განვლო და ამის შესაბამისად გვაქვს ძველი, საშუალო და ახალი ქართული.

არნ. ჩიქობავამ ლიტერატურული ენის ყველა საფეხურის გათვალისწინებით, ეპოქის შემქმნელ მწერალთა (მოთას, სულხან-საბა ორბელიანის, ილიას...) ენის შესწავლით გადმოშალა მისი ბუნება და ხასიათი, გვიჩვენა ქართული ლიტერატურული ენის ექსპრესიული შესაძლებლობა, მისი სიმდიდრე, წარმოშობის წყარო, ადგალა, დრო და პირობები და მოგვცა ახალი პერიოდიზაცია შრომამში „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“, რომელიც დართული აქვს განმარტებითი ლექსიკონის 1 ტომს. ამით მიმართულება მიეცა ქართული ლიტერატურული ენის ისტორიის ვრცელად შესწავლას.

სადოქტორო დისერტაციაში „მარტივ წინადადების პრობლემა“, რომელიც პირველად იყო დატული უნივერსიტეტიდამთავრებულთაგან, არნ. ჩიქობავამ წარმოადგინა ვრცელი კრიტიკული მიმოხილვა მარტივი წინადადებისა და მის წვერთა გაგებასთან დაკავშირებული სხვადასხვა მთავარი მიმართულებისა (როგორცია: ლოგიკისმი, ფსიქოლოგისმი, მორფოლოგისმი და სხვა) და მოგვცა თავისი კონკრეტული სინტაქსის სავნის, მიზანშეუიანათა და მეთოდის შესახებ, გამოავლინა სინტაქსის დამოკიდებულება მორფოლოგიასთან და ქართული ენის სინტაქსური თავისებურებანი. მომდევნო სხვა შრომამში მან ცხადყო წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები და ამის შედეგად ის ცვლილება, რომელიც მოხდა ქართულ ენაში განვითარების უძველეს საფეხურებზე. ეს სიტუალია ახალი ძეგბა, ენის სტრუქტურის შესწავლა ენათმეცნიერული თვალსაზრისით, მაშინ ბევრისათვის გაუგებარი და მთუღებლად გამოცხადებული, შემდეგში თანამედროვე ენათმეცნიერებამ საუბებით გაამართლა და დაადსტურტა. ამ შრომით დაიწყო ქართული ენის სინტაქსის მეცნიერული შესწავლა.

ქართული ენათა განვითარების ისტორიის კვლევა-შესწავლას ემსახურება ზანდრისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები „პუნდრის გრამატიკული ანალიზი“, „პუნდრ-მეგრულ-ქართული

შედარებითი ლექსიკონი“ და სხვ. სადაც ნახვევება ქანური და მეგრული დიალექტების ურთიერთმიმართება განვითარების დღევანდელ საფეხურზე და ქართულისაგან განსხვავებულ მოკლებულა წარმოშობის გზები და მიზეზები. დასახლებულ პირველ ვრცელ შედარებით ლექსიკონში გამოვლინებულია 650-მდე საერთო ძირი და მათი საწარმოებელი საშუალებები, გამოყოფილია დეტერმინანტი-აფიქსები. შესადარებლად აღებულია სახელები ნათესარი ურთიერთობისა, ცხოველთა, მცენარეთა, შენობათა, რიცხვისა, აგრეთვე ზედსართვი სახელი და ნაცვალსახელები, ზმნები. ეს ლექსიკონი დასაყრდენს იძლევა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შესამოწმებლად, ქართველურ ენათა ძირითადი ლექსიკური ფონდის გამოსაყოფად და ამ უკანასკნელის ლექსიკურ შემადგენლობასთან მიმართების დასამყარებლად. ეს ფასეული გამოკვლევა საფუძველია ქართველურ ენათა შედარებითი ლექსიკონის შესადგენად და ამავე ენათა ერთიანობის, მთლიანობის ნათელყოფა.

ქართველურ ენებისსადმი მიძღვნილ სხვა ფუნდამენტურ მონოგრაფიებსა და შრომებში გამოკვლულია ქართველურ (იბერიულ) და მთის კავკასიურ ენათა და ამავე დროს ზოგადი ენათმეცნიერების ორი კარდინალური პრობლემა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბევრი მეცნიერის მიერ აღიარებულია ქართული ენის ნათესაობა როგორც კავკასიურ ენებთან, ისე ბალკურთან (პირენეის ნახევარკუნძულზე) და ძველი აღმოსავლეთის მეკდარ ენებთან (ხეთურთან, ურარტულთან...), მაგრამ ნათესაობის მტკიცებას ხელს უშლიდა ის განსხვავებები, რომელნიც მათ თითმადენე ერთმანეთისაგან. არნ. ჩიქობავამ თავისი კვლევის მიზნად დაისახა შესწავლა ამ დამაშორებელი სტრუქტურის მთავარ პრობლემათა გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

პირველი — გრამატიკული კლასის — პრობლემა გაშუქებულია მონოგრაფიაში „სახელის ფუნქციონირების აგებულება ქართველურ ენებში“ და შრომებში „გრამატიკული კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში“ და სხვ. ამ გამოკვლევებში ეკვშირტანლად დადასტურებულია ქართველურ ენათა მორფოლოგიაში აღმამიანისა და ნივთის კატეგორიათა ანუ „ენი“ და „რა“ ჯგუფის სიტყვათა ისტორიული გარჩევა.

სახელის ფუნქციონირების გარკვევამ შესაძლებლობა მისცა ავტორს გამოეყო დეტერმინანტი (გამწმასზღვრელი) ბოლოსართები (აღ, ელ, ან, ენ...) და გრამატიკული კლასის აფიქსები, დღეს რომ სიტყვაწარმოქმნის (მიმდგობისა და სხვათა საწარმოებელ) ნიშნებად არის

მინწელი (მ. ს-ა, ნ-ა, დ-ა...), და დაედგინა, რომ ქართულში პირიანდელი ფუძე სრულ-ხმოვანი იყო და სუფიქსთა დართვა იწყებდა ფუძის ხმოვის ამოღებას და შედეგად თანხმოვანთა თაფიოყრას (მაგ. ტაბა მღებულა ტ ა ბ ა-საგან, შვრ. ტ ა ბ ა ბ მელა). მეორეც, ზმნის ფუძე სახელის ფუძისაგანაა წარმოშობილი.

წამოყენებულ დებულებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. წინა აზრის მკვდარი ენების (ურარტულის, ზეთურის...) ფუძე სრულხმოვანი, ქართული ფუძე კი თანხმოვანწყვილია. ეს მოვლენა ამოჩვენდა მათ. სრულხმოვანთა ფუძის აღდგენამ ქართულში ეს დამამორბეველი სხვაობა წაშალა და შესაძლებელი გახდა ამ ენათა ისტორიული სიახლოვის დანახვა.

ასევე გრამატიკული კლასის კატეგორიის ისტორიულ წარსულში არსებობის დადგენამ და ამ კატეგორიის ნიშანთა გამოვლენებამ ქართულურ ენებში მოხსნა ის დაბრტყლებები, რომლებიც ვეღაზე უფრო ხელის შეშლელად ითვლებოდა ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა ნათესაობის დასადასტურებლად.

მეორე მთავარი პრობლემა წარმოადგენილია ფუძემდებელ გამოკვლევაში „ერგატული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“ და წყება შრომებში: „ერგატული კონსტრუქციის პრობლემათვის კავკასიურ ენებში“, „პერმანისიეს (ხილველითისი) ისტორიული აღგარისათვის ქართული ზმნის უღელილების სასტემში“, „ერგატული კონსტრუქციის თეორიები“, „მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართულურ ენებში“ და სხვ. ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს ერგატული (მოთხრობითი ბრუნვის) კონსტრუქციის თეორიებს (შუხარდტი, უსლარი, მარი, უღენკეი და სხვ.) და ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა შიანკემების ღრმა ანალიზით აღადგენს სურათს, თუ როგორი იყო ზმნა და როგორ ყალიბდებოდა ქვემდებარის სხვადასხვა კონსტრუქცია ქართულში: რატომ არის, რომ I და II პირის ქვემდებარე (მე, შენ) ყოველთვის გაუფორმებელია, ხოლო მესამე პირის ქვემდებარე ხან სახელობითში (ბ ა ე შ ე რ წერს), ხან მოთხრობითში (ბ ა ე შ ე მ ა დაწერა) და ხან მიცემითში (ბ ა ე შ ე ს დაუწერია). მეტ-ნაკლებად შვავსი მფგომარეობა კავკასიურ ენებში და იგი საგანგებოდ შესწავლილი აქვს ავტორს. ამის გათვალისწინებით მკვლევარი შექსა ჰყენს ქართველურ ენათა განვითარების ისტორიის ძიებათ დაკითხვას: ბრუნვათა (სახელობითის, მოთხრობითის) გენეზისს, ზმნის გარდაამელობას, ასპექტის კატეგორიას, დროთა წარმოქმნას და სხვ. არნ. ჩიქობავას კონცეფცია იმდენად დამაჯერებელია, რომ იგი

გაზიარებულია სპეციალისტთა მიერ და დასტურდება ახალშესასწავლ ენათა კვლევისას. ამ პრობლემათა შესწავლას, გარდა დამატებულ ენათა გენეტიკური ნათესაობის დადგენისა, ზოგადფილოლოგიური მნიშვნელობაც აქვს. გამოიჩვენა, რომ ქართველურსა (იბერიულსა) და ზოგ მთის კავკასიურ ენაში თინდათინობითი განვითარების შედეგად გარდატეხა მოხდა: ენა ერთი თვისებრიობიდან გადავიდა მეორე თვისებრიობაში. სახელდობრ: გრამატიკული კლასის უღელილება იქცა პირის უღელილებად, გრამატიკული კლასის ბრუნვის ნაკვალად ჩამოყალიბდა ნაკვალასხელოვანი ბრუნვები, გარდაამეულ ზმნის მოთხრობითი ბრუნვის კონსტრუქციის გვერდით განვითარდა სახელობითი კონსტრუქცია და სხვ.

ამგვარი მივლევით ვაკეთდა ორი განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმე: ერთი — წარმოსახა ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა განვითარების კონსტრუქციები და მეორე — ამ ენათა ნათესაობის დადგენით ჩამოყალიბდა ენათმეცნიერების ახალი დარგი — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, რომლის ფუძემდებლად სამართლიანად არნოლდ ჩიქობავა ითვლება. ეს დიდი მიღწევა, მოპოვებული უმთავრესად არნ. ჩიქობავას მიერ, შეჯამებულია მისივე მიერ სამაგიდო წიგნში „ქართველური ენები, მათი ისტორიული შედგენილობა და დამახასიათებელი ძველ* ნიშან-თვისებები“.

მოვიყვანეთ რამდენიმე ძირითადი დებულება.

1. ზანური (მეგრულ-ქანური) მომდინარეობს ერთ-ერთი დიალექტისაგან, რომელიც შედის „ძველ ქართული სამწერლობო ენის შედგენილობაში“.

სვანური შვიკავს ზანურ ფენს, ქართული სამწერლო ენის ერთ-ერთ შემადგენელ დიალექტს და ადგილურ ელემენტებს.

2. ფონეტიკური სისტემა ჩამოყალიბებულია იგი მოიკავს დამახასიათებელ მკვეთრ ბგერებს (პ ტ კ...) და პარმონიულ ჯგუფებს (წყ, კუ, წბ, ჰ, ც, ცვ, ჩ, ს...), რომელთა მეორე კომპონენტი, უკანანისმიერი ბგერა მერმინდელია, განვითარებულია.

3. მახვილი ზოგ დიალექტში ძლიერია და მოძრავი. ეს იწყებს ფუძის ხმოვნის ამოღებას და თანხმოვნების თაფიოყრას (მაგალითად, ცხვარი, ნათესაობითში — ცხვრისა). ფუძის სრულხმოვნობა თავდაპირველია.

4. სიტყვის ძირი შედგება ერთი თანხმოვნისაგან.

5. სახელისა და ზმნის ფუძე გარჩეული არ იყო.

6. უღელილება ბრუნვაზე ადრე ჩამოყალიბდა. განვითარების ადრეულ საფეხურებზე ქარ-

ზობდა თავსართის გამოყენება. თავდაპირველად კლასი აღინიშნებოდა, შემდეგ კლასის ნაცვლად — პირი.

7. ღრვის კატეგორია უფრო გვიან ჩამოყალიბდა. მას უსწრებდა ასპექტის (სახის) კატეგორია.

8. ქვემდებარე გარდამავალ ზნებთან ყოველთვის მოთხრობითში იდგა (იყო ერგატიული კონსტრუქცია), გარდაუვალ ზნებთან — სახელობითში (ნომინატიური კონსტრუქცია). აწყოს ჩამოყალიბებისთან დაკავშირებით ქვემდებარე ჩნდება სახელობითში იმავე გარდამავალ ზნესთან (ვიღებთ ნომინატიურ კონსტრუქციას).

9. ნათესაობითი (მოქმედებითი) და მიცემითი (ვითარებითი) ძველი ბრუნვებია, სახელობითი და მოთხრობითი — შედარებით ახალი.

10. გარჩეული იყო გრამატიკული კლასები აჰაჰინისა (ეინ?) და ნივთისა (ჩაჰ). ორივე კლასი ვადმიოცემოდა სათანადო თავსართებით. ამგვარად, არს. ჩიქობავა პირველი მკვლევარია, რომელმაც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მომარჯვებით, მეცნიერული გონება-მახვილობით შეძლო აღედგინა ქართველურ ენათა სტრუქტურის სურათი მათი განვითარების ადრინდელ საფეხურზე.

ამასთან დაკავშირებით უნებლიეთ გვაგონდება მე-10 საუკუნის მოღვაწის ბოანე-ზოსიმეს „ქება და დიდება ქართლისა ენისაჲ“, რომლის ავტორი ვრძნობდა, რომ „ყოველი საიდუმლოა ამის ენისა შინა დამარბულ არს“. და დღეს ქართული ენის მკვლევართა და უმთავრესად არჩოლდ ჩიქობავას შრომათა წყალობით ენის ეს „საიდუმლო“ გაიხსნა. და გამოვლინდა ქართული ენის თვითმყოფობა, მისი სიმდიდრე და ძალი, შუქი მოგვინა მის წარმოქმნასა და თანდათან განვითარებით სრულყოფას.

მგერამ, როგორც ითქვას, ქართული ენა ცალკე არ დგას. მას ჰყავს ისტორიულად მომწე და მახლობელი ენები. ამას ვაჩვენებდნენ ქართველი მოღვაწენი ადრინდანვე. მაგალითად, იოანე მთაწმიდელი მგათე საუკუნის მეორე ნახევარში გამგზავრებას აპირებდა ესპანეთის ნახევარკუნძულზე, იქ მოსახლე პასკებთან, რადგანაც გაეგო, რომ „ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკვიდრ არიან მენ“.

მე-19 საუკუნეში, როდესაც ისტორიულ-შედარებითს ენათმეცნიერებას საფუძველი ჩაეყარა, ქართულს ნათესაობას ენათა სხვადასხვა ოჯახთან ამტკიცებდნენ ისეთი მსოფლიო სახელის მქონე ენათმეცნიერები და ისტორიკოსები, როგორც იყვნენ: ფ. ბოპი, მირი ბროსე, ჰაქს მიულერა, ნ. მარი და სხვები, მგერამ ეს ვერ დადარბრდა ან იმის გამო, რომ მასალა არ იყო დენენ. ან წამოყენებულ იყო წინასწარ მცდარი თეორია. ქართლის გენეტური

ნათესაობა მთის კავკასიურ ენებთან შემჩნეული და აღნიშნულიც იყო, მგერამ ფიქვდნ ვაჭოი-შველ სხეობას პოულობდნენ, რომ ვაჭოი-შველს არჩევდნენ, ვიღრე დამტკიცებას.

კავკასიურ ენათა შესწავლას დიდი ამაგი დასდო პეტრე უსლარმა, მგერამ ნათესაობის დასადგენად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭირო იყო მათი შესწავლა ქართული ენის თვალსაზრისით და პირიქით. ამ მხრივ ბევრი გააკეთა დიდმა მეცნიერმა იოანე ჯავახიშვილმა. გადამწყვეტი როლი შეასრულა არჩოლდ ჩიქობავას გადადგმულმა ნაბიჯმა. მან საფუძვლიანად შესწავლა ერთ-ერთი, ყველაზე უფრო გავრცელებული კავკასიურ ენათაგან — ხუნძური — თავასი დიალექტებითურთ, რომელთაგან ზოგი ცალკე ენადაც კი იყო მიჩნეული, და თავის მრავალ შრომაში აშკარადაც ამ ენის არა მარტო სტრუქტურა, არამედ მისი თავი-სახური მოუღვენის განვითარება და მათი კავშირი სხვა კავკასიურ და ქართველურ ენათა ფაქტებთან.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ქართველურ ენათა კვლევის მეთოდი გამოყენებულ იქნა კავკასიურ ენათა შესასწავლად და ამით ენის ზედპირული აღწერა შეიცვალა ენის ისტორიული კვლევა-ძიებით, რამაც შესაძლებელი გახადა კავკასიურ ენათა შინაგანი ურთიერთობისა და ენობრივ მოვლენათა კანონზომიერების დადგენა და ქართველურ ენებთან გენეტური კავშირის ნათელყოფა.

არს. ჩიქობავავე ინიციატივით განდო სასწავლო კერა ჩვენს უნივერსიტეტში — კავკასიურ ენათა კათედრა და განყოფილება (1933 წ.). ხოლო ენათმეცნიერებას, ინსტიტუტში — მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება (1935 წ.). მათი დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელია არს. ჩიქობავა. ამჟამად მისა თაოსნობითა და მისივე გაჩაღებული კერიდან გამოსული, უკვე სახელმწიფოებრივი მკვლევარების წყალობით ამ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში სასწავლად და საკვლევად წარმოდგენილია თითქმის ყველა მთის კავკასიური ენა: აფხაზური აბაზურიტურთ, ჩერქეზულ-ყაბარდული, ადიღური, ჩანურ-ინგუშური, ბაეტიური, ხუნძური, ლაქური, ლუზიური, დარგული, ტაბასარანული, არჩიული, ანღურ-დიღორი ჯგუფის ენები და სხვ. დამუშავებულია ძირითადი საკითხები, შესრულებულია ოთხ ასეთლზე მეტი შრომა, მათგან დატულია 4 სადოქტორო და ოცდაბუთამდე საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი ითულება იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევის ცენტრად და მისი შესაძირკვლე — კავკასიური ენათმეცნიერების თბილისური სკოლის შემქმნელად.

ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ეს

ზეიმი იბერულ-კავკასიურ ენათა და ენათმეცნიერების ზეიმადაც კცედილიყო. ეს გარძნობით გამოხატეს ყაბარდოს, ადიღეს, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, აფხაზეთისა და სხვა რესპუბლიკების დღევანდელმა და წარსულმა აღიარებს გამყვანი სამეცნიერო დამყვებულებების ხელმძღვანელებმა და სპეციალისტ-ენათმეცნიერებმა.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილება (აკადემიკოსები ვ. ვინოგრადოვი და ნ. კონრადი, წევრ-კორესპონდენტები დ. ბლაგოი, ვ. ბორკოსკი, რ. ავანესოვი, ვ. ერიმუნკი, მ. ხრაპჩენკო, დოქტორა ბ. გორუნგი და სხვები) ზეიშე მოსკოველი წარმომადგენლის დოქტორ ვეგბოკაროვიც მიერ წაყობულ ადრესში წერს: „განყოფილება თქვენი სახით უსაღებუა უდიდეს ლინგვისტ-თეორეტიკოსს და ქართულურ და მისი კავასიურ ენათა გამოწინილ მყოფენსა და მკვლევარს, თბილისის სამეცნიერო სკოლის დამაარსებელსა და ხელმძღვანელს, სკოლისა, რომელმაც გახსნა კავასიური ენათმეცნიერებზე განვითარების ახალი გზები...“

ასევე მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერებისა და რუსული ენის ინსტიტუტების, ენათმეცნიერების ინსტიტუტის კავასიურ ენათა სექტორის, დაღესტნისა და სხვა ავტონომიური რესპუბლიკების ინსტიტუტის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტების მეცნიერი თანამშრომლები და კავასიურ ენათა სპეციალისტები თვლიან არნ. ჩიქობავას კავასიური ენათმეცნიერების თბილისის სკოლის დამფუძნებლად და ხელმძღვანელად, რომლის შრომები ფართოდ ცნობილია და უდიდეს გავლენას ახდენენ კავასიური ენათმეცნიერების განვითარებაზე.

ეკრძო ენათმეცნიერებაში ნაყოფიერი შემოხიბისათვის, ცალკე ენის მეცნიერული შესწავლისათვის თუ ცილებულია ზოგადი ენათმეცნიერების მიღწევათა დაუფლება და მათი შემოქმედებითად გამოყენება, რამდენადაც ზოგადი ენათმეცნიერება თეორიულ საფუძველს წარმოადგენს. ამიტომ არნ. ჩიქობავას გაუნელებული ყურადღება ყოველთვის მიქცეული იყო და მიქცეულია ზოგადი ენათმეცნიერებისაკენ, მისი საკვანძო პრობლემების გაშუქებისაკენ. ამ მხრივ მას განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის.

ჯერ კიდევ იგი 1924 წელს გამოქვეყნებულ სამკრებლო შრომაში „ზოგადი თეორიისათვის“ ეხებოდა ენათმეცნიერების პრაქტიკულ საკითხებს და საზავდა კავასიური ენათმეცნიერების ამოცანებსა და მეთოდებს. მის მოსყვა რიგი გამოკვლევები, მგერამ მათ შორის მთავარი კაპიტალური შრომა „ზოგადი ენათმეცნიერება“, რომლის I ტომი გამოვიდა საბურჯ (1935, 1939 და 1946 წლებში), ხოლო

მეორე 1945 წელს, პირველი წიგნი სწავლულ-სახელმძღვანელო-გამოკვლევა, იგი შეიცავს ენათმეცნიერების ძირითად ცნებებს სინტაქსურ ტერმინოლოგიაში, ამ წიგნზე აღიზარდნენ მთელი რიგი თაობები...

მეორე წიგნი მატერიალისტური პოზიციებიდან გაშუქებულია ენათმეცნიერების კარდინალური პრობლემები — ზოგადი ენათმეცნიერების საფანი, მეთოდი, მიზანი და ამოცანები და სხვ. შემდეგ წარმოდგენილია ვრცელი კრიტიკული ანალიზი დასავლურ ენათმეცნიერებისა და ჩვენში არსებულ მთავარ მიმდინარეობათა, როგორცაა: ნატურალიზმი, ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიაში, ფსიქოლოგისტური სოციოლოგიაში, სტრუქტურალიზმი, ესთეტიზმი, მექანიკური მატერიალიზმი (ე. წ. „ახალი მოძღვრება“ ნ. მარისა), ავტორში ცხადი გახება მთელ რიგ ენათმეცნიერთა (მლახერის, პაულის, ლეივის, დე სოსიურის, ფოსტერისა და სხვათა) შეცდომები და ზოგჯერ იდეალისტური ბუნებაც.

აქვე სპეციალური მეთოდების ტანხილვასთან ერთად უჩვენა ნ. მარის თეორიისა და მისი პალეონტოლოგიური მეთოდის, როგორც ენათმეცნიერების განვითარების ხელის შემშლელი, ხასიათი და აუცილებლად სცნო მისი უყურადღებობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1940 წელს არნ. ჩიქობავა გამოვიდა ლენინგრადში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების სხდომაზე მოხსენებით „პრობლემა ენისა, როგორც ენათმეცნიერების საფანისა, საბჭოთა ენათმეცნიერების ძირითადი ამოცანების ასპექტში“. ავტორმა დასავლური ენათმეცნიერების წარმომადგენელთა შეხედულებების მკაცრ კრიტიკასთან ერთად ცხადყო ნ. მარის რიგ ძირითად დებულებათა ანტიმეცნიერული ბუნება. მოხსენებამ გარკვეული რაოდენი შესაძულა ნ. მარის თეორიის ქვეყნთმდის პალეონტოლოგიური მეთოდის შერყევამ.

ამ გამოსვლას ახლა იგონებს ენისა და ლიტერატურის განყოფილების შემადგენლობა და წერს: „თქვენ კრიტიკით გახედულად გამოდიოდა მარის ყველაზე უფრო მცდარი დებულებების წინააღმდეგ იმ წლებში, როცა მარისა და მისი მიმდევრების ველგარბახტორული თეორიები ბატონობდა ჩვენს მეცნიერებაში. თქვენმა უღონობელმა კრიტიკამ „ოთხელმეცნიერთა ანალიზის“ შესახებ ხელი შეუწყო ჩამოშორებოდნენ იმ წლებში ახალი მეთოდების მოშორების ყველაზე უფრო ფხიზელი ენათმეცნიერები“.

ცნობილი ირანისტი, აკად. წევრ-კორესპონდენტი ა. ფრეიშანი აღნიშნავს, რომ „მე მაგონდება ლენინგრადში ერთი თქვენი გამოსვლა,

რომელიც ჩვენ უკვლას ერთბაშად მოგვიტანა უდიდესი სარგებლობა. მან ნაწილობრივ მოგვხსნა ტვირთი, რომელიც ასე მძიმედ გვაწოდა და ხელს გვაშლიდა მუშაობაში.

ასევე მადლობით მომართავენ ენათმეცნიერები და სხვა სპეციალისტები.

1950 წელს გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე გამოართული დისკუსია არნოლდ ჩიქობავას წერილით დაიწყო. ამ დისკუსიით მიმართულა მთელ ენათმეცნიერებს. მარქსიზმის კლასიკოსი დებულებების საფუძველზე ჩამოყალიბდა მარქსისტული ენათმეცნიერება. მისზე დამყარებით არნ. ჩიქობავამ მრავალი შრომა გამოაქვეყნა.

ცნობილი ვახდა მისი სახელმძღვანელო „ენათმეცნიერების შესავალი“ (მე-4 შექმნილი გამოცემა), რომელიც დიდ როლს ასრულებს მარქსისტული ენათმეცნიერების პროპაგანდისა და დანერგვის საქმეში. ამ წიგნის ღირსებაზე შეტყვევებს მისი გავრცელება. იგი გამოვიდა ქართულად და ორგზის რუსულად (1952 და 1953 წ.) და მიღებულია უმაღლესი სასწავლებლებში სახელმძღვანელოდ, ითარგმნა დემოკრატიული ქვეყნების სამ ენაზე (ჩინურად, ჩეხურად და ბულგარულად) და დაიწერა რეცენზიები ჩებურ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

ბოლო ხანს გამოქვეყნებული შრომებიდან აღსანიშნავია „ენის რაობის ბიპევიორისტული გაგება“, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, მისი ზოგადენათმეცნიერული განწყობა და ძირითადი მოწვევები“, „იბერიულ-კავკასიური ენები და ზოგადი ენათმეცნიერება“ და სხვ. ავტორი პირველ შრომაში იძლევა ჩიქავოს უნივერსიტეტის ყოფ. პროფესორის ლეონარდ ბლუმფილდის შექმნილების კრიტიკულ ანალიზს და ფოსლერის ესთეტიზმთან დაბირისხობაზეთი უარყოფის ორივეს შეხედულებას როგორც მეცნიერულად უსაფუძვლოს. სხვა გამოკვლევებში ფაქტებით დასაბუთებულია, თუ რა მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებას ზოგადი ენათმეცნიერების ისეთი არსებითი საკითხების გადაჭრაში, როგორცაა: ფონემის გაგება, მებრველების ნაწილები, სქესი (გრამატიკული კლასი), ქვემდებარება და დამატების სინტაქსური ფუნქცია, ენათა დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესები და სხვ. უკრაინული ენათმეცნიერები ამ მნიშვნელოვან მხარსაც აღნიშნავენ ადრესში: „ოქვეყნა... ქართული ენის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის დრამა მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ და ქართველურ ენათა გრამატიკული წყობის წინაერთობრივულ გზებზე განვითარების შესახებ დასაბუთებულმა დასკვნებმა მოქმინდა ნამდვილი მეცნიერებისათვის ის ნიადაგი, რომელიც ვახდა

ოდესღაც ბორტსეიანი იაფეტურთი თეორიის გავრცელების კერა“.

არნ. ჩიქობავას სახელი ცნობადი სიმბოლოა კავშირისა და მის საზღვრებს გატეხვის. მისი შრომები დიდი მონაპოვარია ზოგად ენათმეცნიერებაში. მათ ეყარებოდა, მათ ხელმძღვანელობენ, არნოლდ ჩიქობავა დიდი ავტორიტეტი ზოგად ენათმეცნიერებაში.

იგი სარედაქციო კოლეგიის წევრია და აქტიური თანამშრომელი ორი თეორიული ჟურნალისა: მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალისა „Вопросы языкознания“ და უმაღლესი განათლების სამინისტროს ორგანოსი „Филологические науки“, ლურჯატიო ლომონოსოვის სახელობის პრემიისა, თანამშრომელია საკავშირო და რესპუბლიკურ აკადემიათა ენისა და ლიტერატურის განყოფილებათა და ენათმეცნიერების ინსტიტუტთა ორგანოებისა, მას ყოველთვის აწვევენ კონგრესებისა და სამეცნიერო სესიების მონაწილედ მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ერევანში, ბაქოსა და სხვა რესპუბლიკურ ქალაქებში და მათ მუშაობაში ცხოველ მონაწილეობას იღებს. მისი მრავალი წერილი დაბეჭდილია საენათმეცნიერო ცნებათა შესახებ დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში. აქვეა მოთავსებული მისი დიდი სტატია „ქართული ენა“.

მის გულმხუტვანულ ულოცავენ სახელოვან იუბილეს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ნესმეიანოვი, ვიცე-პრეზიდენტი ა. თოფჩიევი, ლიტერატურისა და ენის განყოფილების თავმჯდომარე ე. ვინოგრადოვი, ლენინის პრემიის ლურჯატი ცნობილი ლიტერული ენათმეცნიერი ბან ენელინი, უკრაინის აკადემიის აკადემიკოსი ა. ბელუცკი და სხვა მრავალი სახელგანთქმული მეცნიერი, სხვადასხვა დარგის ენათმეცნიერები, მწერლები და საზოგადო მოღვაწენი; საკავშირო მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (დირექტორი ბ. დამურაივი), უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, შუა აზიის რესპუბლიკათა აკადემიები და მათი საზოგადოებათმეცნიერების განყოფილებები და ენისა თუ ენათმეცნიერების ინსტიტუტები, მრავალი ქალაქის (კიევის, ვილნიუსის, რიგის, ტარტუს, ხარკოვის, თდენის, დნიპროპეტროვსკის, როსტოვის, ერევნის, ბაქოს, აშხაბადის, სტალინაბადის და სხვ.) უნივერსიტეტები, მათი ფილოლოგიის ფაკულტეტები და კათედრები, სხვადასხვა ქალაქისა და რესპუბლიკის (მოსკოვის I უცხო ენათა, ერევნის, დაღესტნის, ჩაჩნეთ-თბევითის, უბარდობაღყარეთის, უარაზი-ჩრქვეითის, ადღეს, ჩრდილო ოსეთის და სხვ.) სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური ინსტიტუტები, ფაკულ-

ტეტები, კათედრები და სტუდენტობა, ვერნახ-
ლების რედაქციები და სხვები.

ისინი აჯანყებენ არნ. ჩიქობავას მოღვაწეობის
შრავალმხრივობას, მისი შრომების მაღალ ღირ-
სებას, შეცინებულ კუწარობებსისათვის ბრძო-
ლას და პრინციპულობას. ნაც, სავაჭრო არა აკა-
დემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის კავკა-
სიურ ენათა სექტორი (დოქტორები ა. დემე-
რევი, ლ. ყირკოვი, ვ. ბოკარიოვი და სხვ.)
წერენ, რომ ...არ შეიძლება არ აღინიშნოს
ის განსაკუთრებული როლი, რომელიც თქვენ
შეასრულეთ ისტორიულ-მედიკინის ენათ-
მეცნიერების განვითარებაში, დივიციით რა
მისი პრინციპები ამ წლებში, როცა მარის
ახალი მოძღვრება უარყოფდა მის მართლზო-
ბიერებას“.

უკრაინის ა. პოტემნის სახელობის ენათ-
მეცნიერების ინსტიტუტის მთელი კოლექტივი
მივსალმება „საბჭოთა ენათმეცნიერების გამო-
ჩენილ მოღვაწეს, ენათმეცნიერების თეორიისა
და მეთოდოლოგიის სიწინდისათვის ნედვარ
და შეუტრეგებელ მებრძოლს, ...უკრაინულ
ენათმეცნიერთა გულწრფელსა და მტრად საყ-
ვარელ მეგობარს,

თქვენი განსაკუთრებული პრინციპულობა
სამეცნიერო მეთოდოლოგიის საფუძვლებში, თქვე-
ნი შეუღრკველობა ერთ და მეცნიერებისათვის
დამღებულ განწყობათა წინააღმდეგ ბრძოლა-
ში, რამაც საყოველთაო პატივისცემა და აღ-
ტაცება გამოიწვია, შეიქნა პირველი გადაუ-
ლახავი დაბრკოლება ენის ბუნებისა და განვი-
თარების ვაკებაში ახლა უკვე აღმოფხვრილ
დამახინჯებათა გავრცელების გზაზე“.

საკავშირო მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონ-
დენტი და უკრაინის აკადემიის აკადემიოსი
ცნობილი ენათმეცნიერი ა. ბულახოვსკი მო-
მართავს, რომ ...თქვენ ბრწყინვალედ, თქვენი
ტალღი დამახასიათებელი დიდი მეცნიერული
ტრანსტი პატიოსნად და მტკიცედ გამოაშკა-
რავთ მთელი მანებლობა იმისა, რაც ...აღი-
არებელი იყო ენის შესახებ მეცნიერებად, და
უჩვენეთ თქვენს შრავალრიცხოვან შრომებში,
როგორი უნდა იყოს ნამდვილი მეცნიერება,
პედაგოგი და პრინციპული, მარქსისტული მე-
თოდოლოგიის ერთგული და დიდი კვლევითი
გამოცდილებით შეარჩეულნი“.

ვორონეჟის უნივერსიტეტის რუსული ენის
კათედრის წევრები, ვორონეჟისა, სადაც გა-
მოდიოდა ცნობილი „ფილოლოგიური წერილე-
ბა“ და „ეთნოგრაფიის კრებულები“, წერენ: „ჩვენ
თქვენი სხივთ ვხედვით არა მარტო ენის ფაქ-
ტების დიდ მკვლევარს, არამედ ენათმეცნიერე-
ბაში მარქსიზმისათვის თანამიმდევრულ მებრ-
ძოლსაც, არა მარტო მეცნიერს, არამედ მას-
წავლელსაც, რომელიც არასოდეს არ იფიქ-
ვებს, რომ სწორი სიტყვა მეცნიერებაში შეიძ-

ლება ითქვას სხვადასხვაგვარად, ხოლო თქვე-
ნი სიტყვა ყოველთვის გასაგებია დამწევი
ენათმეცნიერებისთვისაც კი. თქვენი ღრმა კულ-
ნა, შეხამებული აზრის სიტყვადსთან და გარ-
მოკეთების სისადავისთან, წარმოადგენს ჩვენ-
თვის მაგალითს სამეცნიერო და პედაგოგიურ
მუშაობაში“.

ლატვიელი სწავლული ენათმეცნიერები აც-
ხალებენ, რომ ...ყოველთვის ვამაყობდით და
გამაყობთ თქვენით, როგორც გამოჩენილი საბ-
ჭოთა ენათმეცნიერთ, თქვენი თავდადებული
დაწვლით საბჭოთა ენათმეცნიერების აყვავი-
სათვის, თქვენი დიდი მეცნიერული და პედა-
გოგიური შემოქმედებით“.

სომხეთის, ისტონეთის, ყირგიზეთისა და სხვ.
სამეცნიერო წრეები არნ. ჩიქობავას სახელმძღ-
ვანოსა და შრომებს თვლიან სამაგიდო
წიგნებად და აღნიშნავენ, რომ მით სწავლობს
ენათმეცნიერებას საბჭოთა ახალგაზრდობა.

უკრაინის სსრ განათლების მინისტრი უკრაი-
ნის მეცნ. აკადემიის აკადემიოსი ცნობილი
ენათმეცნიერი ა. ბელოდევი წერს ...როგორც
უკრაინის ენათმეცნიერებისა და განათლების
მუშაუ, მოგვალენებით თქვენ, როგორც ღირ-
სებულ წარმომადგენელს ლინგვისტიკის მეც-
ნიერებისას და ფართო ვაკებით — ჩვენი მოძ-
მე ქართული ხალხის კულტურისას, ზალხისა,
რომელიც თავისი შემოქმედებით გენის მაღალ
მეცნიერულ ტრადიციათა ერთ-ერთი საუკეთეს-
ი მატარებელთაგანია“.

სომხეთის მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონ-
დენტი ისტორიკოსი ს. ერემიანი აღნიშნავს:
...თქვენ თქვენი სიციცხლე უძღვენით ერთ-
ერთი უძველესი მსოფლიო ცივილიზაციის —
ქართული ცივილიზაციის — შესწავლას და
ჩვენ, ასევე უძველესი მოძმე სომხური ცივი-
ლიზაციის წარმომადგენლებს, არ შეგვიძლია
არ ვყოფთ აღტაცებით თქვენი მიღწევებით“.

სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზი-
დენტი და ენათმეცნიერების ინსტიტუტი მო-
მართავენ: „თქვენი შრომები, ისევე როგორც
თქვენი ზრუნვა ანიერკაცების მოძმე ხალხთა
ლინგვისტიკურ მეცნიერებაზე, გზდით თქვენ
მოძმე რესპუბლიკათა მეცნიერებისა და მეც-
ნიერთა მეგობრად“, ხოლო ერენის უნივერ-
სიტეტის რექტორატი დასძენს: „ღიდალ გაფა-
სებთ და პატივს გაცემთ თქვენი... თქვენი
მომზაბულელი, გრძობიერი ბუნებისათვის, სო-
მეხი ზალხის გულწრფელი სიყვარულისა და
მეგობრობისათვის, სომეხ ენათმეცნიერთა მძუ-
რი და მამობრივი მოპყრობისათვის. ბევრი
ამ მეცნიერთაგანი კანონიერად გყოლით თქვენ
თავის მსაწავლელად“.

ასევე აზერბაიჯანელი ენათმეცნიერები უწო-
დებენ მას თავიანთ მახლობელ და გულწრფელ
მეგობარს.



გულთბილად ულოცავენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის სახელით და აგრეთვე თავის სახელით ვიცე-პრეზიდენტი აკად. ნიკაჯოვი, პრადოს (ჩეხოსლოვაკია) უნივერსიტეტის ფილოლოგის ფაქულტეტის დეკანი პროფ. ი. დოლანსკა და სოფიის (ბულგარეთი) უნივერსიტეტის რექტორი აკად. დ. იორდანიოვი. სოფიის უნივერსიტეტის მომართვაში წერია: „...ჩვენ, თქვენი შორეული მეგობრები და კოლეგები, ...ვისურვებთ თქვენ თქვენი მუშაობით კვლავაც სახელი გაუთქვამთ თქვენს მშვენიერ სამშობლოს შორს თავის საზღვრებს გარეთ“.

დიდა და ფასეული არნოლდ ჩიქობავის მუშაობა ენობრივ მშენებლობაშიც. საბჭოთა პერიოდში ქართულ ენას განვითარებისა და გამდიდრების განსაკუთრებული პირობები შეექმნა. იგი ერთნაირი მეცნიერებასა და კულტურის განვითარების საფუძველი გახდა, სახელმწიფო ენად იქცა. საბჭოთა შეიქმნა სახელმწიფოს ზრუნვა მის ფართო მასებში დამკვიდრებასთან ერთად გამდიდრება-დამხვეწისათვის: ნორმების დადგენა, ტერმინოლოგიის შექმნა. ლექსიკონების შედგენა და სხვ.

არნ. ჩიქობავა მეთაურთის ქართული განმარტებითი ლექსიკონის კომისიის, მთავარი რედაქტორია ყველა რვა ტომისა და რედაქტორია I და IV ტომებისა, ავტორია „განმარტებითი ლექსიკონის შედგენის ძირითადი პრინციპებისა“, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ ლექსიკონს და რომლებიც განაარტებულ იქნა სხვაგანაც. ლექსიკონი ასახავს ქართული ლიტერატურული ენის მდიდარ სიტყვიერ მარაგს და მოიცავს აგრეთვე იმ სარეზერვო მასალასაც, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ქართული ლიტერატურული ენის გამდიდრებასა და სრულყოფას.

ამ კოლექტიურ შრომას, რომლის მე-6 ტომი იბეჭდება და უკანასკნელი ორი ტომი მზადაა გამოსაქვეყნებლად, მაღალ შეფასებას აძლევენ ენათმეცნიერებისა და რუსული ენის ინსტიტუტების სპეციალისტები — ს. ოვეჯოვი, ვ. ვიროგრადოვი, რ. ავანესოვი, პ. კუზნეცოვი, რ. ბუდაგოვი და სხვები, რომელთაც ლექსიკონის შედგენის დიდ ტრადიციას და გამოცდილებას აქვთ. ისინი წერენ: „...დიდა თქვენი როლი, როგორც ერთ-ერთი ინიციატორთაგანისა და მთავარი რედაქტორისა ქართული ენის რვატომიანი ლექსიკონის შექმნაში, რომელიც წარმოადგენს დიდ მოვლენას არა მარტო ქართული ენათმეცნიერების ისტორიაში, არამედ ქართული ხალხის კულტურის განვითარებაში“.

ლექსიკონთან დაკავშირებით მომზადდა ლექსიკოლოგთა კადრები, დაიწერა რამდენიმე

ლექსიკოგრაფიული შრომა, — და ეს არნ. ჩიქობავის დაუღალავი შრომისა და განუწყვეტელი ზრუნვის შედეგია. **გ. ი. ზ. ლ. ი. მ. ი. მ.**

იგი რუსულ-ქართული ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის წევრია და სამივე ტომის ერთ-ერთი რედაქტორთაგანი.

დიდი მუშაობა აქვს გაწეული არნ. ჩიქობავის სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენისა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციისათვის. მისი უშუალო მონაწილეობით გამოქვეყნდა რამდენიმე დარგის ტერმინოლოგია, მის მიერ შემუშავებული „ნორმათა დადგენის პრინციპები“ საფუძვლად არის გამოყენებული სადავო საკითხთა ვადწყვეტილსა, მიღებულია და გამოქვეყნებული მისი რამდენიმე შრომა ნორმების შესახებ.

სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ფართოდადებულ მუშაობას ეწევა სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად. დღეს რომ მთის იმერეთულ-კავკასიურ ენათა სწავლება და კვლევა ფართოდ არის ვაშლილი, ეს ნაყოფია მისი ინიციატივისა და განუწყვეტელი შრომისა. თბილისის უნივერსიტეტში მისი ხელმძღვანელობით აღზრდილები ნაყოფიერად მუშაობენ სამეცნიერო და პედაგოგიურ ასპარეზზე საქართველოს გარდა მოსკოვში, დაღესტანში, ადიღეში, ყაბარღოში და სხვაგან. ამისათვის იგი თხოულობს წამყვან დისციპლინებს, ხელმძღვანელობს თავის დაარსებულ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს, რედაქტორობს მათ შრომებს. სტუდენტებს აწევს შრომას, უნერგავს საქმის სიყვარულს და უეთობურს კვლევა-ძიების უნარს. იგი სტუდენტთა საუკეთესო მეგობარია. ამიტომ იყო, რომ სტუდენტებმა ასე დღევით მიიღეს მონაწილეობა ზემოში.

არნ. ჩიქობავის დაუფასებელი თვისება როგორც მასწავლებლისა მრავალგზის აღნიშნულა და მასზე ზემოხედავ ითქვა.

უმაღლესი განათლების სამინისტრო (მინისტრის მოადგილე მ. პროკოლივი) „მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ და აღნიშნავს თქვენს მეცნიერულ დამსახურებას კავკასიურ ენათა და ზოგადი ენათმეცნიერების საკითხთა შესწავლას დარგში, უმაღლეს სასწავლებელთათვის ზოგადი ენათმეცნიერების მთელ რიგ სახელმძღვანელოთა დაწერისა და სამეცნიერო კადრების აღზრდისა და მომზადების საქმეში“.

ეს თვალსაზრისი დამსახურება მადლობის გრძნობით გამოხატეს ადიღესა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტების პირველმა მდივნებმა, რესპუბლიკათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა და განსაკუთრებით ერევნის უნივერსიტეტმა (პრორექტორი ვ. ნალბანდიანი), სადაც არნ. ჩიქობავამ ლექსიკონთა ციკლი ჩაატარა, და სომხეთისა და აზერბაიჯანის სამეცნიერო წრეებმა.

როგორც ჩვენი ახალგაზრდობის მზრუნველი და აღმზრდელი, არს. ჩიქობავა დაწყებითა და საშუალო სკოლასაც გულმოდგინედ ემსახურება. მისი სასწავლო ხასიათის შრომები „რა თავისებურება ახასიათებს ქართული ენის აგებულებას“, სახელისა და ზმნის ანალიზის პრინციპები და სხვა ფართოდ არის გამოყენებული ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში და დიდ დახმარებას უწევს ჩვენს მასწავლებლობასა და სტუდენტობას. იგი კომსულტანტია ჩვენი განათლების სამინისტროსი და მონაწილეობას იღებს ქართული ენის სახელმძღვანელოთა რედაქტირებაში. სამშულო ომის პერიოდში, როდესაც ბარბაროსი მტერი კარზე იყო მომდგარი, არს. ჩიქობავა თავდაცვისა და სამეცნიერო-საზოგადოებრივი საქმიანობის პარალელურად განსაკუთრებული მონღომებით მუშაობდა კომისიასთან ერთად „ღედა ენის“ პირველ და მეორე წიგნზე იმ დროს რწმენით, რომ მალე გაიმარჯვებდა ჩვენი ქვეყანა და ჩვენს ბავშვებს ექნებოდა იაკობ გოგებაშვილის სახელის ღირსი, მშობლიური ენის პირველი საყვარელი წიგნი. იგი ამ წიგნის ერთ-ერთი უცვლელი რედაქტორთაგანია. განათლების სამინისტრომ მადლობით აღნიშნა ეს ღვაწლი და ზეიმიზე „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა.

იგი წევრია მთელი რიგი სამეცნიერო საბჭოებისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, რამდენჯერმე იყო არჩეული მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატად. დეპუტატია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევისა.

არნოდ ჩიქობავას ვგოდენ მრავალმხრივი ღვაწლი უკუროვნად დაღასებულნი! მას მინიჭებული აქვს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია საქართველოს სსრ ცაკის სიგელით, ლენინის, შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედალებით.

გამსაუთრებელი სიხარული ედგა ჩვენს უნივერსიტეტს, მის ფილოლოგიის ფაკულტეტს, სადაც ის იყო პირველი გამოშვების სტუდენტი, ქართული ენის კათედრის (გამგე აკად. ა. შანიძე) ასპირანტი, შემდეგ ლექტორი, დოცენტი და 1933 წლიდან არის კაციალურ ენათა კათედრის გამგე, ამავე ენათა განყოფილების ხელმძღვანელი და პროფესორი აქ დაიწერა და დაიბეჭდა მისი პირველი მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და აქვე მზადდება ახალი გამოცვლევებიც.

ამიტომ იყო, მთელი აკადემია და უნივერსიტეტი, მათი განყოფილებები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, უნივერსიტეტის ნაუბარი პედაგოგიური ინსტიტუტები, სამეცნიერო დაწესებულებები, საბჭოთა მწერლების კავშირი, კულტურის სამინისტრო, საზოგადო მოღვაწეები ასე გულით, სიყვარულითა და პატივისცემით ელოცავდნენ ამ ღირსსახსოვარ დღეს.

ვუსურვით ამ რკინის ნებისყოფის, ნათელი გონების, დიდი შემოქმედებისა და დაუმრეტელი ენერჯიის პატრონს, არნოდ ჩიქობავას, კვლავ 35 წელიწადს იმოღვაწოს მისთვის ჩვეული გამაღილი გეგმით ჩვენი ენათმეცნიერების პრობლემების, ჩვენი დედაენის საყვარელ და ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის წარსამაჩებლად.



პეტო. თაყაიშვილი



მოგონებები*

ამისთანავე, არისტო ქუთათელაძემ გამოსცა კარგი სასკოლო სახელმძღვანელოები ქართული ენისა და გეოგრაფიისა. ამზადებდა მისაღებს აგრეთვე „სამშობლოსმცოდნეობის“ (მაშინ მიღებული იყო ასეთი სახელწოდება — „Родноеведение“) გამოსაცემად, მაგრამ აღარ დასცალდა. ენერგიულად აგრძელებდა სიველვეუტრებს და მოქონდა ჩემთან, ჯერ წერა-კითხვის საზოგადოებაში და მერე კი — საისტორიო-საფილოლოგიური საზოგადოებაში.

არქეოლოგიურ ექსპედიციებში რომ დაედიოდი (პორჩალოს მახარაში და სხვაგანაც), არისტო თან დამყავდა და დიდ დახმარებასაც მიწევდა, მაგალითად, წარწერებისა თუ სხვა ტექსტების გადმოწერაში, რაც ძალიან ემარჯვებოდა.

ჩვენი კულტურის ძეგლთა დაცვის მზრივ არისტო ქუთათელაძის ღვაწლში ორი რამაა განსაკუთრებით აღსანიშნავი. უპირველეს ყოვლისა, უმთავრესად მისი წყალობითაა, ბუთაინის ტაძარი თუ გადაურჩა განადგურებას: თაოსნობა მისა იყო და მერე შეე შეაწუწუხელი. მოიწვია ერთი ხონელი ბერი და დაიხსნა ბუთაინაში. სარჩო ფულს ჩვენ ვუბრუნებდით. იმ ბერმა გაწმინდა და მილაგამოალაგა ყველაფერი და ჩვენივე საფასით შეუკეთა სახურავი, ისე რომ თამარ მეფისა და მისი ოჯახის წევრთა ფრესკული პორტრეტების ჩამორყეცხვა და წახდენაც შეწყდა. მარჯვე და უმაჩლი კაცო გამოდგა ის ბერი, მგონი, კეთილად იყო გვარად.

გარდა ამისა, არისტო, როგორც გალობის კარგად გამგები და დამფასებელი, იყო ერთ-ერთი მთავარი გურიაში მუსიკოს ფილიმონ ქორძის გაგზავნისა. იმ დროს ოზურგეთში იყვნენ კარგად ცნობილი გურული საეკლესიო მუსიკერები, ამ საქმის ერთადერთი ნამდვილი სპეციალისტები იმდროინდელ საქართველოში. მათ შორის მთავარი იყვნენ გურიის ეპისკოპოსის მგალობელთა ხელმძღვანელი, მილიციის პრაპორშჩიკი (არა სასულიერო პირი)

დუმბაძე და მისი შვილი, ღვებანოზი დავით დუმბაძე (სხვათაშორის, ამ დავითის ძმა იყო ილიას გენერალ-გუბერნატორი ივანე დუმბაძე, ბოლო შვილი — ვასო დუმბაძე, ცნობილი ავანტიურისტი და თავისებური აღამიანი, პირველი მსოფლიო ომის დროს რომ სუბომლინოვთან ერთად მაჭინციელებ ეწეოდა და გამდიდრდა; ამ ბოლო დროს გარდაიცვალა ამერიკაში; ფანტაზიის მიმდევარი კაცი იყო და ამეგებზე ხარკავდა ფულს, თვითონ კი უბრალოდ ცხოვრობდა). ამ საქმეში, არისტოს გარდა, ვერცხვ მე და მესტამბე მაქსიმე შარაძის ძმა (ილია ჭავჭავაძის მოურავი), ღვთისნიერი აღამიანი. შეეგაროვეთ ფული და გაგზავნეთ ფილიმონ ქორძე გურიაში. წელიწადზე მეტაბს დარჩა იქ და 12 ვრცელი ალბომი შეაგანა ძველი ქართული გალობისა. ძალიან დიდი საქმე. გაეკეთდა და პირდაპირ სულზე მოეწერო, თორემ ცოტა ხანს შემდეგ უკვე ვეღარ მოხერხდებოდა და იმ ბეჯად კიდევ შემორჩენილ მგალობლებთან ერთად დაგვეკარგებოდა ძველისძველი, შესანიშნავი რთული საგალობლები... ბოლოს ის ნოტების ალბომები ჩვენმა საისტორიო — საფილოლოგიური საზოგადოების მუზეუმმა შეიძინა (მანამდე ამხანაგები რაღაც ვეღარ მორიგდნენ ერთიმეორეში და გაიყვეს ალბომები).

არისტო ქუთათელაძე 70-ილდე წლისა გარდაიცვალა, პირველი მსოფლიო ომის წინ, 1910 თუ 1911 წელს. პროგრესული სიღამბლოთ. საერთოდ, შესანიშნავი ჯანმრთელობა ჰქონდა, მაგრამ როგორღაც შეკურნოდა ის სენი, სათაქოლად რომ ითვლება, სიმორცხვით მართლვერ გაემხილა და ვერც ემკურნალა რიგაანდ. მე და ის ძალიან დაახლოებული ვიყავით, მაგრამ ჩემიც კი მოერბოდა და არ მიბოხრა, თორემ ვგებ მეშველა რაიმე.

ძალიან კარგი კაცი იყო. დედა გურული ქალი ჰყავდა და ხასიათიც ნამდვილი გურული გამოიყოლოდა: ერთ წამში აინთებოდა ხოლმე. იმავე დროს დიდი გულჩვილობა მოსდგამდა: ექსკერსიებზე ტყე-ტყე სპარულს დროს მოქრილ ხეს რომ დანახავდა, მანმწვე მოჰყუებო-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 4.

და გლოვას და მომჭრელის ღანძლავს. ყარგი ურთიერთობა ჰქონდა სათავადანართო გიმნაზიის მასწავლებელ სეთ იაშვილთან (რომელიც, აგრეთვე, ჰქონდა, მოგვიანებით, გეოგრაფიის სახელმძღვანელოება) და ამ უკანასკნელს ბევრი რამ ეხსოვება მის შესახებ.

დავით ქუთათელაძე ყველაზე უმცროსი იყო ძმებში. მე რომ ვსწავლობდი პეტერბურგის უნივერსიტეტში, ისიც მაშინ სწავლობდა იმავე უნივერსიტეტის მათემატიკურ ფაკულტეტზე, რომელიც დამთავრა. ბინად ნიკო მარსთან ერთად ცხოვრობდა, ძალიან დამეგობრებულნი იყო მასთან და ღიადაც უწყობდა ხელს ყოველდღიური პრაქტიკული საქმეების (კვება, ბანაობა, რეცხვა, წმენდა და სხვ.) მოვარებაში, რაც ნიკო მარს სრულიად არ ეხერხებოდა; მაშველით უმწერო იყო ამისთანებში. დათიკო ზემზე და ნიკო მარსზე უმცროსი იყო. მას, პირიქით, ემარჯვებოდა პრაქტიკული საქმიანობა, ასე რომ ნამდვილად ღიად სანასახური გაუწია ნიკო მარს, სანამ იგი სწავლობდა და ოჯახს ჯერ არ იყო მოკიდებული. თანაც დათიკო, როგორც ბევრი სხვა ზონელიც, ენამახვილი და მზიარული კაცი იყო და ართობდა ხოლმე მეშინაობასა და ღიად მარს. ნიკო მარს ერთი ჩვეულება ჰქონდა: რაზედაც მუშაობდა, ისე ვაიტაცებდა, რომ უთუოდ უნდა ეცნობებინა ფარგლო მყოფთათვის ყველაფერი. შინ რომ ბრუნდებოდა, მთელ ლექციას წუჯითხვდა ხოლმე დათიკოს. იმ ხანებში ნიკო მარს ძველ ქართულ მებობებზე მუშაობდა და დათიკოზე მათი ლექსები ზეპირად იცოდა, მარსს გაუთავებელი ჩიზინის წყალობით. ასე რომ, თუმცა მათემატიკას სწავლობდა, ქართულ ფილოლოგიასა და საქართველოს ისტორიაშიც კარგად ერკვეოდა და ღიად ინტერესიც ჰქონდა მათადამი — უმოთარესად, რათქმა უნდა, ნიკო მარსს ვაეღუნიო. თვითონაც ნიქიერი კაცი იყო. ნიკო მარს ძალიან პატივისცემით ეკიდებოდა დათიკოს და ყველა თავის სამეცნიერო საქმეშიც კი ეკითხებოდა ხოლმე რჩევას.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დათიკო ქუთათელაძე თბილისში ჩამოვიდა და ერთხანს ჩემთან იყო ბინაზე. მე მაშინ სათავადანართო სკოლაში ემუშაობდი მასწავლებლად. დათიკოს ძალიან უნდადა თბილისში დარჩენა და ჩემთან მუშაობა ძველებზე და ხელნაწერებზე, ერთი სიტყვით, ისტორია-არქეოლოგიაზე. სხვათაშორის, ღრანგული ენა იცოდა და „Chronique Armenienne“ ეთარგმნა (მერე ჩემთან იყო ის ხელნაწერი). მეც ავიღე და ახალ ჩამოსულს მივანდე იმ ვაზარის შეთვალურება, რომელიც მცხეთაში, ბაგინეთის კოშკზე წამოიწყო, დ. ბაქრაძის და ღიად (იხ. ქვემოთ). ამ საქმეს მან რიგია-

ნად გაართვა თვი. სამსახურის შოვნა გაუქარდა და მე დაეუთმე ყარგი ვაკეობილება საგანაშვილის ოჯახში, სადაც თვეში 50 მანეთს მაძლეოდნენ. დათიკო იმდენად თამბაძალი იყო და უბრალოდ ცხოვრობდა, რომ ამბობდა, 50 მანეთი თუ მექნა, მეტი არც იმინდა. მეყოფიო. სამსახური კი მერეც ვერა და ვერ იშოვნა. ერთხანს თელავში წაიდა და იქაც გეგვარებდა ქართულ ხელნაწერებს. მერე საგანაშახლო ინსპექტორი გახდა და ოლოთისს ოკრუგში გააწესეს. იქიდან მწერდა, ჩამოიღი, აქაურთ ძველები ნახეო, მაგრამ სანამ ის იქ მსახურობდა, ვერ მოვახერხე, მხოლოდ მას შემდეგ ჩავედი და შევიწაღე ის ძველები. დათიკომ შეიღვინა ოლოთისის ოკრუგის რუკა, ქართულად, აღნიშნა ზედ ძველები და გამოიგზავნა (ის რუკა მერე, საფრანგეთში უოფნისას, გადაეახავინე ინიწიერ ციციშვილს სტეფანად). ამას გარდა, დ. ქუთათელაძემ თავისი ხარჯით გამოიგზავნა ოლოთისის ციხის ეკლესიის ტრაპეზის ქვა, რომელსაც ქართული წარწერა ჰქონდა. ის ქვა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში ინახებოდა და ახლა კი ს. ჯანაშვიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში უნდა იყოს.

ოლოთიდან დავით ქუთათელაძე ბაქოს გადაიყვანეს სამსახურში. რევიოლუციის შემდეგ იქ ქართველმა კომერსანტმა ზოშტარიაშ დააარსა ე. წ. „ამიერკავკასიის ბანკი“ და იმის თავმჯდომარედ იყო ლორთქიფანიძე, ხოლო ერთერთ დირექტორად — დავით ქუთათელაძე (მერე — დათიკოვე იყო). თანდათანობით რომ მისწყდა საზოგადოებრივ საქმიანობას, დათიკომ მიჰყო ხელი ქალაღის თამაშსა და სმას. სიერთოდ, უსაბურზობისა გამო იმ დროს გველტებოდა ბევრი სასარგებლო, ნიქიერი და პატიოსანი აღამიანი, რომლებიც დიღხანს ემიისწრაფვიოდნენ, სულთ და გულთ, საზოგადოებრივი მოღვაწეობისავე, მაგრამ მერე ლექმბურთის მოსამაოიარ საქმეს კვიდებდნენ ხელს და ბოლომდე ვეღარ გასდევდათ ხოლმე ეს მიღრეკილება თუ ნებისყოფა. ყერპოღ, დავით ქუთათელაძე, პირიბებს რომ ხელი შეეწყო, შესანიშნავი მოღვაწე და მუშაკი დადებოდა... საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ის თბილისში გაღმოვიდა და მღე გარდაცვლიდა კიდევაც აქ.

ყარგი კაცი და ყარგი პატრონიც იყო კიდეც ანტონ ნატროშვილი (ნატროვიცი), რომელსაც მეტსახელად „ყინტრას“ ეძახდნენ, რადგან ცალ მხარეზე ჰქონდა მოქცეული კისერი. მისი ნაშრომები, ცალკე წიგნებად გამოსული, სეპტიცოვიელის შესახებ და ათონის ქართველთა მონასტრის შესახებ (ორივე რუსულად) გულმოდგინე ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევის შედეგადაა დაწერილი და ღიადმდე

ინარჩუნებენ მნიშვნელობას. სასულიერო უწყებაში მსახურებდა და კარგად იყენებდა ამ თანამდებობას ასეთი პატრიოტული საქმიანობისათვის (მასალაზე და წყაროებზე ხელი მიუყვებოდა).

ნიკო მარსი დახასიათებისადმი სპეციალური ნარკვევები და წიგნებია მიძღვნილი, მაგრამ მე, როგორც ბავშვობიდანვე და ევროპაში ჩემ წასვლამდე მის მახლობელ აღმზიანს, ბევრი ჩამ მახსენდება მის შესახებ ისეთი, რომელიც შეიძლება სხვამ არ იცოდეს ან ვერ შეეშინოს და ინტერესს ან ითვის მოკლებული მისი პარაფენებისა და მუშაობის შესახებ წარმოდგენის შექმნის თვალსაზრისით. ზოგი ჩამ ზემოთ უკვე აღვნიშნე, სხვა საკითხებთან თუ სხვა პირებთან დაკავშირებით, ზოგსაც ახლა ვაგონებ.

ნიკოს ჯერ კიდევ რუსეთში წასვლამდე ძალიან მოსწონდა, უყვარდა ერთი ქართული ქალი, მაგრამ ეს უქანასკნელი ძალიან შორს იქვრდა და არ თანაუგრძობდა, ეგებ სულაც მისი ამკარად უცნაური ხასიათის გამო.

ნიკო ვაუბრდები იყო აიუვარულში და ვულ-მოკლული გაემგზავრა პეტერბურგს. სწავლა რომ დაასრულა და მეცნიერულ მუშაობას მიჰყო ხელი, ვადაწყვიტა დაოჯახება და მომწერა: „შენ კი იცი, ვინც მიყვარდა და მიუვარს, მაგრამ მე მას არაფრად მივაჩნევარ და ახლა რა ვქნა? შევირთავ ამ რუსის ქალს, მომივლის მაინც და მუშაობაში მაინც შემიწყობს ხელსა!“ თითქოს მეზოღიშებოდა. ცოლი იმ მხარე მართლაც გამოადგა. მერე იყო ვაჟიშვილი ვყოლათ, ორივე ნიჭიერი იზრდებოდა, მაგრამ ერთი სულ უმაწეილი მოკვდა. მეორე კი, როგორც ცნობილია, თვალანინო ირანისტი შეიქნა, თუმცა ქლეკმა იმასაც ნაადრევად მოუწრაფა დღე—

ვინ არ იცის, თუ რამდენი ნამდვილი გაცვაობა შემოიტანა ბოლო წლებში ნიკო მარსა ენათმეცნიერებაში, მაგრამ მაინც არ შეიძლებოდა მის წინააღმდეგ ასე მეკახე ტონით წერა და ისე დაუზოგავად ამხედრება, რაც ჯერ კიდევ ილაიმ დაიწყა... ნამდვილად უღარესად ნიჭიერი კაცი იყო და აღრე მაინც ამდენი და ამგვარი შესანიშნავი, სრულიად ახალი მხრის გამოუთქვამს და ისეთი ბრწყინვალე გამოკვლევები დაუწერია, რომ ბოლოდროინდელ ყოველგვარ ახივებულობა აპატიებს კაცი. — ყოველ შემთხვევაში, უნდა ვაპატიოთ! რამდენიც არ უნდა შემცდარიყო, გენიალური წყობის მეცნიერი იყო... ერთ-ერთი მისი ახირება იყო ისიც, ქართული დამწერლობის ლათინურ ანბანზე გადაქცევის რომ ლაშობდა... ბოლო ხანებში, სავითოდ, მასთან კირვეული ვახდა, რაკი საბოლოოდ მოსწყდა საქართვე-

ლს და სულ სხვა წრეში მოექცა, სულაც ვეუბნებდით შეეცალა. გიმნაზიურ დრუფდელი თავდადასული პატრიოტის... აღვნიშნე ზოგი რამე და ახლა ისიც მახსენდება, რომ ასეთი ვაწყობილებით ვაღვლნითოლ ხელნაწერ ვერნალს უშეზღვეო გიმნაზიაში მავიერ სხვა შეხედულება შემუშავდა. ამის ძირითადი მიზეზიც ის ააოცარი მერულობა იყო მისა ხასიათისა, რაზედაც აღრე მქონდა საუბარი.

მე რომ „ოსმალეთის საქართველოში“ დავიწიე არქეოლოგიური მოგზაურობა, აველი კუხთი მოვიარე, გარდა სწორედ შემთხვევით-მეორეხევისა და ბათუმის მხარისა. ე. ი. კორახის აუზია, რადგან ის მხარე ვულდავულ ჰქონდა დაეილი ნიკო მარს და. — ახა, ვისთვისაა საუკუო, — მისი საუკეთესო, ყოველმხარე და ნამდვილი მეცნიერული აღწერილობაც დაგვიტარა, ხანძთელის ცხოვრების გამოვლმასთან დაკავშირებით. შესანიშნავი წიგნია და მაგის მეტი რომ არაფერი ვაეკუთვინა ქართული კულტურის ისტორიისათვის (მაგრამ რამდენი კიდევ სხვა ვაყეთა!), ისიც კმაროდა იმისათვის, რომ მუდამ მისი მაღლიერი ვყოფილიყავით. მხოლოდ მარს შემდეგ რომ დავგლენის ისე გამოკვმა. თან რომ იმერხელი იმამლორა ზემარისისცივირება თუ სხვა ტექსტებოც აქვს დართული! საოცარი ვაქანებისა და გამჭრიახობის მეცნიერი იყო, იმხანებში მაინც! რამდენი ისეთივე კარგი რამის ვაყეთება შეეძლო ჩვენთვის, პოლოდროინდელ ფანტაზიებს რომ არ ვადაპყოლოდა?! იმ „იაფეტრუმთა თერაპია“ შთანქმა მისი მეცნიერობაცა და საღი აზრთვინებაც.

მასსთვის, პარიზში რომ ვიყავი, იქ ჩამოვიდა და წაიკითხა მოხსენება თავისი ახალი თეორიის შესახებ. ხალხი, რა თქმა უნდა, ბევრი დაეწრო. მაგრამ მეტი წილი, ცხადია, უძმყოფო დარჩა. მოხსენების შემდეგ ვარს შემოეკრუნენ ინდოევროპისტი ლინგვისტებოცა კეთილები: „ერთი, ღვთის ვულმასათვის, ავიხსენით, ბოლოს და ბოლოს, საღლა იწყება და საღლა თავდება ვე თქვენი იაფეტრუნი ვენბო?“ ამაზე მან ვნახებელიობით უმასუხა: „ჯერ თქვენ ამხსენით, საღ იწყება და თავდება წრეთ?“ მერე პრთფესორმა ნიკოლოზ ადონცმა კეთობა: „Куда ты сейчас направляешься, Николай?“ როც იმან უთხრა, აფრიალმა მივდივარ და პოტენტატების ენა მინდა შევიესწავლო, ადონცმა წამოიძახა — „Нутыные уже там будут, наверное, пун земли не так ли?“... თავის დროზე მასსთვის, მარსაძიან სწიყინდა ის ამბავი, რომ ივანე ჯავახიშვილმა არ დაიცავა პეტერბურგში საღოქტროო დისერტაცია, როცა ადონცმა დაიცვა („Армения в эпоху Юстиниана“), სწიყე

კი ის იყო, რომ გავიხივებულს არ მიუღიოდა გული ასეთი ნაშრომების არაქართულად წერაზე...

ჯერ კიდევ სტუდენტობისას რომ შექმნა ნიკო მარმა ერთი თავისი ჟურნალზე აღნიშნული „სენსაციური“ თეორია — ქართული ენა სემიტურ ენებს ენათესავებაო („ივერიაშიც“ კი დაბეჭდა), მუტუანია ის თავისი წყაროს როზენთან და წუთიბახვას მისთვის. როზენს საერთოდ, ძალიან დიდ ანგარიშს უწევდნენ ყველანი: ერთადერთი პროფესორი იყო აღმოსავლურ ფაკულტეტზე, რომელიც ნამდვილ ლექციებს უკითხავდა სტუდენტებს. იმას ეთქვა მარმისათვის (თითონ მიამბო მერე ნიკომ): «Что вы, ведь это всё ерунда! Это же еще надо доказать! Если бы было так легко строить подобные теории, не ждали бы Вашего приезда в Петербург, а давно написали бы другие!»

ის იყო და მარმაც თანდათან მიატოვა თავისი „სემიტური თეორია“, ისე რომ მერე აღარც კი ვახსენებია...

კიდევ კარგი, რომ როგორც უკვე აღნიშნული მაქვს, მარმა დაგვიტყრა ამხანაგებს და მეცნიერულ მუშაობას მოჰკიდა ხელი და არა ეურნალისა და სახალხო წიგნების გამოცემლობას, რასაც სრულიად სერიოზულად ფიქრობდა ერთხანს, რომ გაიხიზოდა: „ხალხი გვყავს გაუნათლებელი და გაუანათლოთ!“ თავდაპირველად ხომ სწორედ ნიკო მარმა და მისმა პეტერბურგელმა მოწაფე ქართველებმა დააწინაურეს დიდად ქართული კულტურისა და კერძოდ, ენის მეცნიერული შესწავლის საქმე!

მასსოვს, პეტრე მელიქიშვილს უამბია ერთხელ ჩემთვის, ავსტრიელი ლინგვისტი რომ იყო პეტრა შეხარდტი, ქართული ენა რომ შეისწავლა, იმის შესახებ. იგი მეგობარი ყოფილა მელიქიშვილისა და თურმე ხშირად ეტყოდა ხოლმე: „ქიმიკოსები ევროპაში მრავლად გვყავს, თითო ქალაქში თითო მინცია გამოჩენილი მეცნიერი და რაღა მაგ სივანს მოჰკიდე ხელი ამ ნიჭიერმა კაცმა, ვინ უნდა ვააკვიროთ ჭიმიითაო? ის არა სჯობდა, რომ შენი ღდეფიან გვეყოლიაო? მივსთანა თავისიო-შური, მდიდარი, საინტერესო და მსოფლიო მეცნიერებისათვის საყურადღებო ენა გაქვთ, იგი რაც შეიძლება მალე უნდა გაიციოს მთელმა ჭკუენიერებამ და მისი შესწავლა კი ყველაზე უკეთესად ქართველებს შეეძლიათო!“ — მერე ჩავკვირვდა შეხარდტი, ავიხიე ნიჭიერი ახალგაზრდა გამოიმჯაზუნეთ ვენაში, რომ მოეშინადოს და მერე ქართული ენის შესწავლაზე იმუშაოსო!“ ჩვენც ვაგუგზავნეთ ერთი მართალი ნიჭიერი უმაწიელი, გვირად

ბეშვენაძე. სტაპენდიაც კი დაუენიშნეთ, მაგრამ ის თურმე ჩასვლესთანავე გაიტყუა ვეროპულმა ფილოსოფიამ და დეტენტურა და ლინგვისტიკას აღარ ვასდევნებია... ასე რომ, საბოლოოდ ქართული ენათმეცნიერების შექმნა პეტერბურგის სკოლის დამსახურებია, გავიხივებოდა, ვიფიქროს და შინაბისა, ამეუდროს ახლევლიანისა (რომელსაც პეტერბურგში არ უსწავლია) თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, ახალდაარსებულ ქართულ უნივერსიტეტში.

მინდა ირიოდე სიტყვით გაიხსენო, აგრეთვე, არქიტექტორი ანატოლ კალგინი. რომელსაც თვალსაზრისი წვლილი მიუძღვის ჩვენი კულტურის წინაშე. იგი ძალიან ნიჭიერი არქიტექტორიც იყო, საერთოდ, სერიოზული მუშაიც და, კერძოდ, ძველი ძეგლების შესწავლა-გამოკვამიაც ნაყოფიერად მონაწილეობდა. ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი, რომელიც ვედრებისეულს ფსევდონიმით მწერლობა (გონი საბავშვო ეურნალეში ბეჭდავდა; თუ არ ეუღლები, სოფ. უნიცვისადან იყო). საერთოდ, საქართველოსა და მისი კულტურისადმი დიდი, საქმიანი პატივისცემით იყო გამსჭვალული და ეს არ უნდა დავივიწყოთ.

1917 წელს რომ წავიდი ტაო-თორთუმისპირში, გქსვედიაში, სებათაშორის, მხატვრებად წავიყვანე ლადო გუდიაშვილი და მიხეილ ქიაურელი, ხოლო არქიტექტორად — კალგინი. საერთოდ, ხომ თავისი საქმის ოსტატი იყო და იქაც ისე კარგად იმუშავა. ოღონდ ხასიათი მძიმე გამოჩნდა. ქამა-სმაც უყვარდა გაღმეტებით. მანამდე ჯერ კიდევ პ. უფაროვის დაგვლდით ვიყავით მე და ის, ბორჯომთან რომ დავბა და იქ ერთი კარგი ძველი ეკლესია, იმის გაღმოსაღებად...

ჩვენი საადგილმამულო ბანკი რომ გაიზარდა და ნეთიერად მოლონებდა, გამგეობამ გადაწყვიტა, საკუთარი შენობა აეგო მისთვის. მეც ეთბულეთ დრო და შევიტანე წინადადება, რომ ქართული სტილის ნაგებობა აეშენებინათ: თბილისში არც ერთი ქართული შენობა არ იღვა და ასეთ შემთხვევას კიდევ რაღისიღა ეიშვნენდით? ისიც ვუთხარა, რომ ბანკის ხარჯით ვაგვეზაუნა მხატვარი და ხუროთმოძღვარი, რათა მათ შესწავლიათ საქართველოს თვალსაზრისი ძეგლები. ჩახატათ საუკეთესო გეგმისა და ორნამენტის ნიმუშები და მერე ამის მიხედვით აშენებულყო სახლი. ამ აზრს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს — თავმჯდომარეები გრუზინიკომ, ერთ-ერთმა დირექტორმა (გვირად აღარ მავიწყდება; ის მერე ილიამ გაავლო ბანკიდან) და სხვებმაც; დიდი დავიდარბა შექმნა, მაგრამ ბოლოს მიინც ვავიტანე ჩემი.

მომცეს 3.000 მანეთი და გავზაუნე კალვინი და კიდევ ერთი მხატვარი. მივუთითე, თუ რომელი ძეგლები უნდა მოგნახლებინათ. მით შორის იყო ბოლნისი, რომელიც მე აღრევე მქონდა ნახული (პირველად 1896 წელს და შემდეგ კიდევ ორჯინს — ერთხელ მაშინ, როცა ცხენით შემოვიარე ჩათბინა და მისი მიღამოვას; ბოლნისის შესახებ არაფერი დამიბეჭდას; რადგან დავით ეპისკოპოსის წარწერაში, რომელიც ვაღმოწერილი მქონდა, მამული იხსენიებოდა და ეს გარემოება მე შეუსაბამობად მამანდა: ბევრი ვეძიე ისტორიულ წყაროებში და გამოკვლევებში, მაგრამ ახსნა ვერსად ვიპოვე: ვიფიქრებ, ალბათ სომხის დამწერალია — იმ დროს ხომ ქართული და სომხური ეკლესიები ჯერ გათიშული არ იყო — და იმდროშა არეული-მეტი). გავზაუნელებმა კეთილსინდისიერად დაიარეს და ვაღმობატეს ძეგლები და ჩამოიტანეს მშვენიერი მასალი, რომელიც შემდეგ კალვინმა მარჯვედ და ნიჭიერად გამოიყენა, ქართული ბანის შენობის პროექტი რომ შეადგანა, ერთ-ერთ ფასადზე დავით აღმაშენებლის სახეც ვაეკეთებინეთ, რელიეფურად. ამრიგად, გამოკვავიდა ნამდვილი ქართული იერის შენობა, რომელიც დღემდე რჩება თბილისის არქიტექტურის ნამდვილ მშენებელად, თუმცა კი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბევრი აშენებულია კარგი ნაგებობა და ბევრი მათგანი აგრეთვე ერთგული სტილითაა ნაშენი. ამჟამად ხომ ბანის შენობაში სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა მოთავსებული!

ბოლნისზე ასე ვერცად იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ავად. გ. ჩუბინაშვილის საფუძვლიან და დიად მნაშენელოვან გამოკვლევაში, (ბოლნისის სიონის შესახებ) რამდენიმე არა-ზუსტი ცნობაა შეპარული: ჯერ-ერთი, ატორი წერს, ბოლნისის ტაძარი არც დ. ბაქრაძეს უნახავს და არც ე. თაყაიშვილსო (მე კი ზემოთ ვანემარტე, თუ რის გამო ელარ გამოვამყუყუე ბოლნისში ჩემ მიერ ჩატარებულ ექსკურსიათა შედეგები, თორემ ისეთი ძველი როგორ დამჩიებოდა უნახავია?); მეორეც, მას პკონებია, რომ კალვინი და მხატვარი საყუთარი თაოსნობით წავეიდნენ ძველუბის ვაღმოსალებად, ჩამოიტანეს ნახაზები და ნახატები და მერე შევიძინე მე ისინი მათგან: ამ საქმის ნამდვილი ვითარება კი, ახლა რომ ვანემარტე, დამწერილებითაა მოთხრობილი მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასური განყოფილების სხდომათა ოქმებში, მაგრამ, ეტყობა, გ. ჩუბინაშვილმა არ იფიქრა, რომ შეიძლება, იქ ყოფილიყო ამ საკითხზე მსჯელობა.

ზოგიერთი მოგონება არქეოლოგიური ვაობრიო მუშაობის შესახებ:

მე რომ უნივერსიტეტი დაემყარებოდა თბილისში ჩამოვედი (1887 წელს), თითქმის სრულიად მიმეკვდარი დამხვდა ზევი ერთ დროს (1870-იან წლებში და 1880-იანი წლების დასაწყისში) საკმაო ვაიყვავებული მიმდინარე არქეოლოგიური თბრა, რასაც მაშინ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლისას ვადევნებდი თვალყურს, შორიდან. როგორც ცნობილია, თბრა წარმოებდა უმთავრესად მცხეთაში, სამთავროს მიწოდრზე, სადაც ძველი ქალაქის სასაფლაო აღმოჩნდა გზის ვაკრისას და კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებამ დააფუძნა უცხოეთიდან თბილისში ჩამოსული ფრიდრიხ ბაიერნი სამარხების თბრაზე, რაც 1871 წლიდან 10-ზე მეტი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და ნაყოფიერიც გამოდგა. ჩემს დროს აღარც ის მოყვარულთა საზოგადოება არსებობდა და აღარც მის ნაცვლად დ. ბაქრაძის მიერ დაარსებული „კავკასიის ისტორია-არქეოლოგიის საზოგადოება“, რადგან, რევოლუციური მოძრაობის ვამლიერების გამო, მთავრობას უკვე აკრძალული მქონდა სამეცნიერო საზოგადოებანი. როგორც აღენიშნე, იმანად ბოვინობდა მხოლოდ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებული საზოგადოება“, სადაც უნდა მოეძებნა, ძალაუბებურად, ბინა ჩვენს სიძველეთმცოდნეობასაც. მალე დაარსებულ საეკლესიო მეზუემთან ერთად. ამ ორ საზოგადოებას ხელნაწერთა საკმაოდ მდიდარი კოლექციები კი მოეპოვებოდათ, მაგრამ თითქმის სრულიად არა მქონდათ მიწიდან ამონათხარი ნეტობი, გარდა წ.-კ. საზ-ბის ბიბლიოთეკა-მეზუემში დაყოფილი თითოერთი, შემთხვევით ნაპოვნი და ასევე მოტანილი ბრინჯაოს თუ სხვა მასალის საგნისა. შედარებით მეტი იყო იქ ნუმიზმატიკური მონაპოვარი. მაგალითად, დილომში. თავად მუხრანისკის მამულში ეპოვნათ ქოთნით დაფლული ფულები თამარისა და თავადს შემოეწიარა წ.-კ. საზ-ბისათვის. საერთოდ, იმ ხანებში არქეოლოგიური მონაპოვარი (მით უმეტეს, მეცნიერულად განათხარი) ჩვენში უმთავრესად იმნახებოდა და თავს იყრიდა „კავკასიის მეზუემში“, რომელიც რევილუციამდე სულ არა-ქართველთა ხელში იყო და რომელიც შეგნებულად არც იღებდნენ ქართველ მუშაკებს თანამშრომლებად. იქ ინახებოდა, მაგალითად,

1 ზოგი რომ ჩაწერილია კარნახით (გ. ლომთაიძის თბოენით), ზოგი კი ნაწყვეტ-ნაწყვეტ. სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებითაა ვახსენებული, 1948 — 1952 წ. წ. რედ.

მცხეთაში ბაიერნის მიერ ამონახორის მნიშვნელოვანი ნაწილი (დანარჩენი ერთბაშად და მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში იყო წაღებული), ყაზბეგში სხვადასხვა არქეოლოგიის ამონახორის ნაწილი (დანარჩენი — იქვე).

ბაიერნის შემდეგ ახალი, ისეთივე მნიშვნელოვანი მასშტაბის გათხრა კარგა ხანს არასად ჩატარებულა.

1881 წელს, როგორც ცნობილია, თბილისში მოეწყო რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობა, რომელზედაც რატომღაც არც ბაიერნი გამოსულა, არც მისი მცხეთის ნამუშევარი გამოჩენილა და, საერთოდ, არც ჩვენში წარმოებული თხრის შედეგები. მაშინ მე ვიშინახიხი VII კლასში ვიყავი და, როგორც აღრეც აღვნიშნე, პოლკოვნიკ ალექსანდრე მუსხელიშვილის ოჯახში ეცხოვრობდი და ვრეპეტორიობდი (მათ ორ შვილობილს, ქალაქებს ვამეცადინებდი). ალ. მუსხელიშვილიცა და მისი ცოლიც, ანეტა ლოლობერიძის ასული (საზოგადო მოღვაწე ქალი ქეთისძე), ისევე როგორც ბევრი სხვა მოწინავე ქართველი, წამოვიდნენ თბილისში, ესწრებოდნენ V არქეოლოგიური ყრილობის სტუმრებს და შინ რომ დაბრუნდნენ, ბევრი რამ გვაიმეხს იმ ყრილობას შესახებ.

ზემოთ, უკვე გაიხსენე ინციდენტი პროფ. ხეოლსონის შემცდარი სიტყვის გამო. შემდეგ ის ხეოლსონი გამოკამათებია პროფ. დ. ჩუბინაშვილს, რომელსაც პონტოს წელთაღივხვის შესახებ ჰქონია მოხსენება და, სხვათა შორის, სამართლიანად იღვინშა, რომ მათრიდატ პონტოელი ქართველი იყო, მის ვაჟიშვილს მებარე ერქვაო. ეს უკანასკნელი ყრილობის შრომათა კრებულში არ დაბეჭდილა, მაგრამ მერე გამოვაჭყუყუეთ ცალკე ქართველმა სტუდენტებმა პეტერბურგში. ხეოლსონის გამოკამათებაზე ჩუბინაშვილსაც გული მოსვლოდა: „იმისათვის კი არ ჩამოვსულვარ აქ, რომ ასე მხატვრულ მოტყუნენ ჩემს მოხსენებასო!“ (კი უნდა ითქვას, რომ ჩუბინაშვილი არ იყო მართალი იმ პონტოს წელთაღივხვის საკითხში). დ. ბაქრაძეს უნდა წავეთხი მოხსენება ტაო-კლარჯეთში თავისი მოგზაურობის შესახებ, მაგრამ ქუთაისის სადგურში ფეხი იღრპო, გამოსულა ვეღარ შეძლო და მის მაგიერ ის მოხსენება წაიკითხა ვლადიმერ (პროკოდი) მიქელაძემ, თბილისის რეალური გიმნაზიის ისტორიის მასწავლებელმა, რომელიც, საერთოდ, კვიიანი, განვითარებული და მიხედვრილი კაცი იყო და თან სიტყვიც ერჩიოდა. იმას ეთქვა, არაა სწორი, თითქმის ტაო-კლარჯეთში სომხური ოლქები იყო, და ამაზე ა. ერიწოვი გამოკამათებოდა, როგორც ყოველთვის, როცა კი ასეთ საკითხზე ჩამოვარდებოდა სიტყვა.

სხვათაშორის, ის ვლადიმერ მიქელაძე, ერთ ხანს ლუქსემბურგში წერდა, (არტურ ლასტისევი აქვს ისინი გერმანულად ნათარგმნი). 1896-97 წლებში მან მიატოვა მასწავლებლობა და სამეურნეო ბანკი რომ დაეარსებო, იმის უკონკრეტო დირექტორი გახდა. 1905 წ. ის ბანკი გაშარცვეს, ერთი სამსახურიდან გადამდგარი ოფიცერი იყო; გვიანდ ვიპოველმ, ოფიცრის გიორგის ჯერით დაჯილდოებული. ის არ ანებებდა გამარცხებს და შეაკვდა. ძირს რომ ჩავიდნენ მშარცველები, კიდევ ერთხელ ისტორიულს ბოძში, ბანკი სარაჯიშვილის სახლში იყო (კარგი შენობა ჰქონდა, ქარვალის პირდაპირ, — ახლა აღებულია). ვლადიმერ მიქელაძე სახელმწიფო სათათბაროს დეპუტატად ვასვლას ლამობდა, მენშევიცებს ებრძოდა სამისოლდ. მაგრამ ვერ ვავიდა.

საერთოდ, როგორც ვთქვი, გათხრითი არქეოლოგია ძალიან მცირედ იყო წარმოდგენილი თბილისის ყრილობაზე. ქართველ მწერალთაგან მის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, რაფიელ ერისთავი; პროფესორთაგან: ბაქრაძე, ჩუბინაშვილი, ცაგარული, ოქროშვილიშვილი. ხახანაშვილი ჯერ კიდევ არ იყო მამის და მოსკოვს უნივერსიტეტში ქართული სიტყვიერების პროფესორად ილია ოქროშვილიშვილი ანუ სერგებიაკოვი იყო. მან, საერთოდ, საინტერესო მოხსენება წაიკითხა ყრილობაზე ქართული ანბანის შესახებ, თუმცა ზოგი რამ მცდარი ჰქონდა. სხვათაშორის, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი მისი საფასით იყო გამოკუმული; იცოდა ხოლმე ასეთი საქმეებისათვის ფულს გაღება, თუმცა საქმიოდ ხელმოკერილი კაცი იყო. ჩვენთაგან საუკეთესო გამომდგარიყო გ. წერეთლის მოხსენება. ის, საერთოდ, ერთბაშით იყო ჩვენს მაშინდელ ინტელიგენტებში, რომელიც სწორედ კითხულობდა და გებულობდა ზეჟურს, თუმცა ფანტაზიებიც უწყარადა ზოგჯერ.

ყრილობის წინა ხანებში ქუთაისის გიმნაზიის დირექტორს სტოიანოვს შინდობილი ჰქონდა ბავარტის ტარის ნანგრევთა გათხრა და იმასაც მიუყვებით ხოლმე იქ მასწავლებლებშიცა და მოწაფეებშიც და გეოზიდვიანებაც ქუბს. კაცმა რომ ითქვას, ნამდვილი გათხრა თითქმის არც ჩატარებულა, უფრო ზერევე გაშენდა და ნანგრევი ქუბის შეგროვება წარმოებდა.

ეს სტოიანოვი, ჩამომავლობით ბულგარელი, ძალიან განათლებული კაცი და მოწაფეებისთვის კარგი დირექტორი იყო, მაგრამ მასწავლებლებს ძალიან უყვიროდა და სულ „მე, მეო“, გაიძახოდა. პატრემოყვარებობა მოსდგამდა ამაკარად. მასწავლებლები მტრსახელად „სტოიანოვას“ ეძახდნენ. ერთხელ სეანეთში იმოგზაურა და დაბეჭდა მოგზაურობის აღწერილობა,

რომელიც შეგეგ და ბაქრაძემ გაუცრიტკა. მცირეოდენი გათხარა-ფაქმენდითი მუშაობა ვანოც ჩაატარა, იქაც ეკლესიის ნანგრევებზე-შესანიშნავი მონადირე იყო. ქალაქის თამაშისა ეტანებოდა თურმე და, როგორც ამბობდნენ, ისეთი დაძაბული ყურადღებით თამაშობდა, რომ იშვიათად თუ მოუვდიოდა მკრედილი. ვაი მისი პატარაობის ბრალი, თუ ყურად ვერ ჩამოვიდოდა ქალაქს, ერთ ამბავს აუტეხდაო! სხვათაშორის, მის დროს გინებასთან არსებულ „შეუძლებელ“ მისწავლეთა დამხმარე კომიტეტს ვაბრიელ ეპისკოპოსი განაგებდა.

ყრილობის მონაწილენი ჯერ მცხეთაში წაიყვანეს. იქური ძეგლები და სამთავროს ვინაობარი აჩვენეს (ფ. ბაიერნის თამბლით). ზოლო მერე ქუთაისში ჩამოიყვანეს. აქ ექსკურსიას სტოიანოვი წაუძღვა. ჯერ ის აჩვენა, თუ რა ვაკეთა ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებზე, ზოლო მერე გელათში აიყვანა. ამ უკანასკნულსა და მერტლდე მისმა ადგილმდებარეობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზე. პროფ. კოსტომაროვმა უსაყვედურა ალ. ცაგარელს: „ვერ მითხარი, თუ ასეთი შესანიშნავი ადგილი გქონდათ? ერთ ზახუელს ჩამოვიდოდი და აქ ვავატარებდიო!“ იქამად კოსტომაროვი უკვე ხანში შესული იყო და აღარ მსახურობდა.

რადგან სასტუმროებში ვერ სცემდნენ ჯეროვან პატივს ყრილობის მონაწილეებს, ქუთაისის მოწინავე ოჯახებში იყიარეს მათი მისპინძლობა და დაინაწილეს სტუმრები. მესხელიშვილი იოჯახს ვრგო ჩუბინაშვილი, ცაგარელი და კოსტომაროვი.

აჲ, ესაა, რაც მავონდება თბილისის არქეოლოგიური ყრილობის შესახებ.

რაც შეეხება საერთოე გათხარითს საქმიანობას, მე მასში, ასე ვთქვათ, „ფები შეედეგ“, როდესაც, ერთი შემთხვევითი აღმოჩენის შედეგად, მცხეთის ძეგლებმა (ოღონდ უკვე ბაგრატიონი და არა ისევ სამთავროში) კვლავ მიიპყრეს ჩვენი მოწინავე მიღწეუების ყურადღება და, რაკი სპეციალისტი არაიენ ვაშლავობდათ, მეც მომიხდა მონაწილეობა.

საქმე ასე იყო: იმხანად ილიასთან, როგორც გაზეთის რედაქტორთან, მისულიყო ერთი ბერძენი, მიუტანა იატაკის ლიგატურთან ქვები და ვთქვა, რომ ცოტა გაუთხარე მცხეთის მიღამებში, ერთ ძველ კოშკში, და ესენი ვაბოვეო — სწორედ იქ, სადაც ახლა მცხეთის ექსპედიციის თხრის, ბავიენთში. ის ბერძენი უბრალო, არაინტელიგენტი კაცი იყო, ჩანს, განძეულობის ეძებდა და, უპირველეს ყოვლისა, ძველ კოშკს მისდგომოდა. ილიას რომ შეატყობინა, თავისთვისაც გამოელოდა რამე ხეიარს, თუ

„ვანი“ აღმოჩნდებოდა. ილიამ სთორეა დომიტრი ბაქრაძეს, გათხარეთ ის ადგილიო. დომიტრის პქონდა თხრის ნებართვა, სამკერატორო არქეოლოგიური კომისიისაგან „საქმიანი ფურცელს“ რომ უწოდებენ. გათხარისათვის ფული ილიას მისცა ჩვენმა მოსკოველმა პროფესორმა ილია ოჭარომჭედარშვილმა. 100 მანეთი მიეცა მეტი არა (როგორც ვთქვი, ხელმოკერილი კაცი იყო და თან არცათ ძალიან დიდ ჯამაგირს იღებდა). ბაქრაძემ უთხრა, მე არ შემიძლია გათხარის წარმოება, მაგრამ თუ სხვა ვინმე იყისრება, ნებას დაგართავ, ჩემი სახელით, ჩემი „ღლი ფურცლით“ თხარისო. ბაქრაძე მასინ უკვე ხანში შესული კაცი იყო და მართლაც გაუქრადებოდა ველზე ყოფნა და თხრის შეთვალყურება. ასეთი რამ მხოლოდ ახალგაზრდებს არ უძნელდებოთ. მერე მე მთხოვა ბაქრაძემ, როგორც უკვე მის თანამშრომლობაში საგაოდ ნაცადს, გათხარეო. მე მაშინ მასწავლებელი ვიყავი, გავეთილეს ვერ მინატრებდები და რამდენიმე საათობით მცხეთაში სიარული კი საქმეს ვერ უშველიდა. მაშინ ჩემთან იყო და ჯერ არსად არ მუშაობდა დათიყო ქუთათელაქე, რომლის შესახებაც ზემოთ დაწვარლებით მქონდა საუბარი. მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში, წათესაკი მლოზანი ჰყავდა და შეველო მასთან დავედი ბინა. უთხოვე და იყისრა გათხარის ხელმძღვანელობა. აიყვანა ორი-სამი მუშა (მეტე ვერც გაიმართებოდა იმ კოშკის ნანგრევში) და დაიწყო მუშაობა. ბაქრაძე ერთხელ იყო ადგილზე, მე კი დღეგამოშეებით ავდიოდი ზოლმე. დ. ქუთათელაქე, ბროსეს მიზაქეთ, მიგზავნიდა „რაპორტებს“ იმის შესახებ, თუ რა ვაკეთობს რაპორტები დანიშნული პქონდა: № 1, № 2 და ა. შ. მუშაობა, მგონი, სულ სამ კვირას გაგრძელდა და, რაკი ფული დაილია, შეწყდა. ამ მცირე მუშაობამ გამოარკვია, რომ ძველი სინავერე — კოშკის ქვედა ხართელი ორად იყო გაყოფილი: რომ იატაკი ყველგან ლიგატურის ქვებით იყო შედგენილი; რომ კედლები მობატული იყო, ასე ვთქვათ, რომელი ტიპის სურათებობთ, წითელ-ყითელი წაშლებობთ. ერთი ინსტრუქტორი, ქალ-დმირთის მინიატურული თეი, კარგად შენახული აღმოჩნდა: დათიკომ მოჭრა იგი და წამოილო. მერე წერაკითხვის საზოგადოების მუხეუქში ინახებოდა, ახლა ხელოვნების მუხეუქში უნდა იყოს, „მეტეცს“ რომ ეძახიან, იმის ფონდებში. ვარდა ამისა, დათიკოს ეპოვნე: ისრისპირები, მგონია, რკინისა, შიიეუბი, სხვადასხვა ფერის მინის ნატეხები, ერთი მინის პატარა „საიკრული“, რომელი ტიპის, თიხის პატარა კოჭობში შენახული ქაშინის ძველი და სხვა, — ყველაფერი აღარ მახსენდება. ესენიც იქვე უნდა ინახებოდეს.

(ვაგრძელება იქნება)



ქართული კლასიკური მწერლობის ქვლი



„იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართლის ენისა, იგი იყო შეუფე ჩვენის სიტყვიერების ძალ-ლონისა და სიმდიდრისა, იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცხებელი, იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ—სასოებით მისი მსწერელი“ — ასე მიმართა ილია ქავჭავაძემ საზოგადოებას, რომელიც 1883 წლის 25 მარტს ქაშვეთის ეკლესიაში მივიდა გრიგოლ ორბელიანის ხსოვნის პატივსაცემად, პოეტის ახლადგა-თხრილ საფლავთან.

გრიგოლ ორბელიანი იყო ერთ-ერთი უდიდესი აღამიანი მე-19 საუკუნისა, პოპულარული სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე და უფრო მეტად მნიშვნელოვანი პოეტი. მიუხედავად ამისა, მიუხედავად მისი „მეუფებისა“ ქართულ ლიტერატურაში, დღემდე მისი ნაწერების სრული კრებული არ დაბეჭდილა. შეფის რევიზის დროს გრ. ორბელიანის ნაწერების სრული კრებულის გამოცემა ვერ მოხერხდებოდა, რადგან პოეტის ბევრი და მნიშვნელოვანი თხზულება ცენზურისა და არქივების ცხრაკლიტულში იყო მოქცეული, შემდეგ კი მხოლოდ ლექსები იბეჭდებოდა. ახლა კი, აკაცი გაწერელის და ჯუმბერ ჭუმბურიძის თაოსნობით „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა გრიგოლ ორბელიანის „თხზულებათა სრული კრებული“, რომელშიც გარდა ლექსებისა, დაბეჭდილია პოეტის პროზაული თხზულებებიც — ორიგინალური და ნათარგმნი.

გრ. ორბელიანის თხზულებათა სრული კრების გამოცემით შევსებულია დიდი ხარვეზი; ამით შეითხველს შექმნიება სრული წარმოდგენა მწერალზე, რომელიც 50 წელზე მეტაწინ ქართული ლიტერატურის სათავეებში იდგა, მკვლევარებს კი ხელში გქნებათ მეცნიერულად დამუშავებული, პირველწყაროებსა და პირველნაბეჭდებთან შეჯერებული სანდო ტექსტები პოეტის ლექსათი და პროზაული თხზულებებისა. „საბჭოთა მწერალმა“ ამ წიგნის გამოცემით თვა-

ლსაინო საქმე გააკეთა, ამდენად ამ გამოცემე-ლობის ხელმძღვანელი და, კერძოდ, გრ. ორბელიანის თხზულებათა გამოცემის დამმართველი და ხელისშემწყობნი იტყვილებლად იმსახურებენ მკითხველის მადლობას.

გრ. ორბელიანის თხზულებებს წამძღვარებულ ი აქვს აკაცი გაწერელის ვრცელი წერილი — „გრიგოლ ორბელიანი“ და ჯუმბერ ჭუმბურიძისა — „გრიგოლ ორბელიანის პროზა“. პოეტის ლირიკული ლექსები, ეპოსი, ლექსითი მიზამეები, თარგმანები და საერთოდ ვარიანტები შეითხველისათვის ცნობილია ორბელიანის წინა გამოცემით (1951 წლისა). წიგნის მეორე ნაწილი არის პროზის განყოფილება, რომელიც რამდენიმე თავად არის გაყოფილი. პირველი უქირაეს დღიურებს („მგზავრობა ჩემი ტფილისილამ პეტერბურგში“, „დღიური 1836 წლისა“, „დღიური 1839 წლისა“); მეორე დათმობილი აქვს მხატვრულ ესეებს („ან-დში“, „ზამთრისა ქარი ვრიალებს“, „ნ. ე. მ.“, „ანბავი რიგის ლოშიტალში ნათქვამი“); მესამე-შენიშვნები და ჩანაწერებია („ცნობები ლექების შესახებ“, „საქართველო ჩემის დროისა“, „პაზრნი მსწავლელთა ჩვენის პლანეტის შექმნისათვის ანუ მიწისა“, „სხვადასხვა შენიშვნა“, „სიტყვა წარმოთქმული 1863 წელს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე“, „ჩემი პაზრი ბატონ-ყუმობის საქმეზე“, „ვანთავისუფლებისათვის გლახთისა მებატონეთ ყუმობისაგან და სამჯობინარად მათის მდგომარეობისა“, „შენიშვნები თბილისის ამქართა მღელვარების შესახებ“); მეოთხე უქირაეს გრ. ორბელიანის კრიტიკულ მიმოხილვას ვიორჯი წერეთლის „იყო-ლიკა, ჩიყოლიკი და კუდაბზიკისი“, ხოლო მეხუთეში მოქცეულია გრ. ორბელიანისაგან შესრულებული პროზაული თხზულებათა თარგმანები („ილღედორია“, „სამნი მეგობარნი“, „მაცთუნებელი“, „სალამოს ჩაიხედ“). გრ. ორბელიანის პროზით დაწერილი თხზულებების ერთი ნაწილი უკვე გამოქვეყნებული იყო აქამდე. ამრიგად, ეს წიგნი წარმოადგენს გრ. ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრისათვის ცნობილ და უცნობ თხზულებათა კრებულს (წიგნში ცხადია, შეტანილი არაა აქამდე ცალკე ორ-

გრიგოლ ორბელიანი. თხზულებათა სრული კრებული. „საბჭოთა მწერალი“. 1969. აკაცი გაწერელისა და ჯუმბერ ჭუმბურიძის შესავალი წერალებით, რედაქციითა და შენიშვნებით.

ტომად გამოცემული „წერილები“. უნდა აღინშინოს რომ გრ. ორბელიანის კერძო წერილების გამოცემა, რაც ავ. ვაწერელმა დაიწყო 1936 წელს, აგერ იც წელზე მეტია ბოლომდე მიტანილი არაა. გრ. ორბელიანის კერძო წერილები საქართველოს ახალი ისტორიისა და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის უძვირფასესი საბუთებია).

მკითხველს არ უნდა ეგონოს, რომ გრ. ორბელიანის ყველა ნაწერი, ამ მისი ხელიდან გამოსული ყველა მასალა მთლიანადაა შესული ამ წიგნში. ჩვენს სიძველეთა საცავებში ჯერ კიდევ ბევრია პოეტის არა ლიტერატურული, მაგრამ თავისთავად მნიშვნელოვანი ნაწერები ქართულ და რუსულ ენაზე. მათი თავმოყრა, სათანადოდ კომენტარება და გამოქვეყნება, მთლიანად წარმოუვლადგენდა ვრ. ორბელიანს, არა მხოლოდ როგორც პოეტსა და ქართული მხატვრული სიტყვის „მეფეს“, არამედ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწესაც. მაგ. 1832 წლის შეთქმულების მასალებში საკმაო რაოდენობითაა გრ. ორბელიანის ხელით თავმოყრა ჩვენებები, ქართული ხელნაწერების ინსტიტუტის ხელნაწერთა ვანყოფინებაშიც აგრეთვე ბევრია გრ. ორბელიანის რუსული ნაწერები. ყველაფერი ეს ქართველი ხალხის ისტორიის სხვადასხვა საკითხებს მოიცავს. რასაკვირველია, სასურველია და აუცილებელიც მათი გამოქვეყნება, თუმცა, ამჟერად ავ. ვაწერელასა და ჯ. კუმბურჩიძეს აინტერესებდათ ვრ. ორბელიანი — პოეტი და მწერალი.

გრ. ორბელიანის ლექსებისა, პოემის, თარგმნილი ლექსებისა და ვარიანტების ეს გამოცემა გამეორებია, ოღონდ ორიოდ გასწორებითა და დახუსტებით, იმ გამოცემისა, რომელსაც ავ. ვაწერელმა უხელმძღვანელო 1951 წელს. ამ ნაწილის შესახებ მკითხველმა უკვე იცის გამოთქმული აზრი. ჩვენ არაფერს არ შევნიშნავდით, გარდა იმისა, რომ 32-33-ე გვერდებზე დაბეჭდილი სატრფიალო ლექსებისათვის ჯობდა „კუპლეტების“ და „ორტაეუდების“ მიჯერ სხვა სახელი გამოიხატულიყო. ვრ. ორბელიანის ლექსს „ალბომში“ (რის ვარდამღლდე...) ორმაგი თარიღი უწერია: 1831-1832. შენიშვნებში კი წერია (გვ. 441), რომ პოეტს ეს ლექსი დაუწერია 1832 წელს ქ. ელდსოი, 471-ე გვერდზე კი ასეთი ცნობაა: ორი თარიღი მივიღეთ, რადგან დღორის მიხედვით ლექსი დაწერილია 1831 წელს, ხოლო მელნის მიხედვით 1832 წელს დაწერილად ჩანსო. ცხადია, პოეტის მოწმობაა მთავარი, რომ ლექსი დაწერილია 1831 წელს.

გრ. ორბელიანის პროზაზე პირველი ადგილი უკირავს „დღიურებს“, რომელშიც გაერთიანებულია სამი სხვადასხვა დროს დაწერილი თხზულება—დღიური, პირველია „მგზავრობა...“ და მეორეხედი დღიურები 1836 და 1839 წელსა.

მათი გაერთიანება კარგია, რადგან ეწინააღმდეგება მისი ერთხანის არიან. მართალია ამ სამ ნაწარმოებს შორის ეკუთვნის არ არსებობს, ისინი სხვადასხვა დროსაა დაწერილი, მაგრამ მაინც ერთერთის ვაგრძელებას წარმოადგენენ და მკითხველიც ერთ ნაწარმოებზე ათთვისებს, რომლის ნაწილები სხვადასხვა დროსა და პირობების გამოა დაწერილი.

მხატვრული ესკიზები შესანიშნავი ფურცლებია არა მხოლოდ ვრ. ორბელიანის შემოქმედებისა, არამედ ქართული რომანტიზმისაც. ესკიზები სანტერესონი არიან ქართული რომანტიკული ლიტერატურის ეწინააღმდეგე სხვადასხვა გვარობის თვალსაზრისითაც. ქართულმა რომანტიზმმა, მართალია, ძირითადად ლირიკა განავითარა, მაგრამ მას ვააჩნდა სხვა სახეობანიც (პოემა, მოთხრობა, დღიური, ესკიზი, დრამა) და იგი სრულიადაც არაა ისე ერთფეროვანი და ღარიბი, როგორც ზოგიერთ მკვლევარს ეჩვენებოდა (თუნდაც ა. ოსტროვსკისა და ა. ფედოროვის წიგნში „ქართული რომანტიკისებო“ რუსულ ენაზე, ლენინგრადი. 1940 წ.) „ან. დმი“, „ზამთრისა ქაბა გრიალებს“ თუ „ნ. ე. მ.“ თავისი მგრანობელობითა და პოეტურობით სრულიადაც არ ჩამოუვარდებიან პოეტის მიერ ლექსად გამოთქმულ გრანობებს.

„შენიშვნები და ჩანაწერები“ ნაკლებ შეფერება წიგნის ხასიათსა და შედგენილობის. სტატისტიკური ცნობები ლეკთა მოსახლეობაზე, სხვადასხვა ცნობები დედაიმიწის წარმოშობისა, სახელმწიფოებზე და სხვანი იმითაა საინტერესო, რომ გრ. ორბელიანის ხელითაა ნაწერი. მათგან აუცილებლად გამოირჩევა „საქართველო ჩემის დროსა“ თხზულების გეგმა, რომლის ხორცსხმა ვრ. ორბელიანს არ მოუხდენია. ამ გეგმის ტექსტის პირველად გამოქვეყნებულ შემთხვევა ჰქონდათ ეთქვათ, რომ თუ ვრ. ორბელიანი მას განახორციელებდა, ქართული ლიტერატურასა და ისტორიის მდიდარი და მნიშვნელოვანი მასალა დაუგროვდებოდაო. მნიშვნელოვანია ვრ. ორბელიანის მოსაზრებანი ბატონყმობის ვადეარდნაზე, შენიშვნები თბილისის ამჟართა „ბუნტზე“. 1873 წელს დაწერილი კრიტიკული წერილი, მიმართული გ. წერეთლის ერთი თხზულების წინააღმდეგ უშუალო კავშირშია ვრ. ორბელიანის „პასუხი შეილა“—სა და „დროების ათი წლის იუბილე“—სთან. 70-იან წლებში, ორი თაობის კრიტიკული დამოკიდებულების მეორედ ვაცხოველებს ხანს ვრ. ორბელიანმა სერიოზული მონაწილეობა მიიღო პოლემიკაში. ამ კრიტიკულ წერილში იგი სალიტერატურო ქართული წერამებს ეხება და ბეველის დამკველად ვამოდის, თუმცა, ხშირ შემთხვევაში სრულიად მართალია, ვანსაკუთრებით როცა ვიორგი წერეთლის ნაწერის აშკარა ენობრივ შეუსაბამობას აღნიშნავს. „ნეთუ ეს არის ჩვენი ენა, რომელიც ესრეთ მდიდრად, ესრეთ ლამაზად და დიდებულად მპრინიანეს

ჩვენს სამართოს წერილში, გვფხის-ტყაოსანში, ძველთა და ახალთა ლექსებში და თვით სვანის სამღერაშიცა, რომელიცა ამ მოთხრობაში აგლი ვითარცა მარგარიტ ნახარზე? რასგან მოხდა, რომ „საქართველოს ისტორია“ და „აკაცია იდამიანი“ რამდენჯერმე წავეთხოვ დიდს სიამოვნებით და ციკლიკის მგზავრობა შეჩვენა ერთი სახელად — წერს გრ. ორბელიანი. ეს წერილი სანტერესო ვტაპია ქართული ლიტერატურული კრიტიკისა, ფვი აწვევებს გრ. ორბელიანის გამამტიკულ განსწავლულობასაც და შესანიშნავ ლიტერატურულ გემოვნებას.

პროზული თარგმანების განყოფილებაში წარმოდგენილია ოთხი თხზულება. ამთგან მხოლოდ ორი მჭევრდება პირველად სარეცეზიო წიგნში — „მაცთუებელი“ და „სადამოს ჩაიზედ“. ამ თარგმანებს დიდი და გარდაუვალ ლიტერატურული მნიშვნელობა არ გააჩნიათ, ამიტომ ზედმეტადაა მისახნევი მათი ტექსტების შეწყინრული აპარატი დატვირთვა, წამილი ფრაზებისა თუ სიტყვების მითითება. საერთოდ კი, ცხადია, პოეტისგან სხვა ლექსითი თარგმანებთან ერთად მათი შეტანა ამ კრებულში სრულიად მიზანშეწონილია.

გრ. ორბელიანის ტექსტს წინ უძღვის ორი გამოკვლევა — აკაცი ვაწერელიასი და ჯუძმერ კუმბორძისა, ტექსტის შემდგ კი — „შენიშვნები“, რომელთა მასშტაბი და მიზანი უკუთვის სურვილს აღარ ბადებს. რედაქტორ-კომენტატორებს, რომელთაც მესამე რედაქტორის ჩარევა აღარ ესაქიროებოდათ, ძლიერ დიდი საქმე აქეთ გაკეთებული პოეტის ტექსტის გამიფრ.

ვამი, ტექსტში დასახელებულ პიროვნებათა და ამბავთა ამოცნობაში. ეს „შენიშვნები“ სანიშნუი უნდა იყოს აკადემიური გამოცემისათვის. მათში მრავალი ისტორიულ-ლიტერატურული ექსკურსი არის გაკეთებული იმისათვის, რომ პოეტის ტექსტი გასაგები გახდეს; შენიშვნები აღსაცხა მდიდარი და ზმირად ამოწურავი ბიბლიოგრაფიით, რაცწითველს უზმარება საქითხის ისტორიის შესწავლაში. შენიშვნებისათვის გამოყენებულია მრავალი ბეჭდური და საარქივო-სამეწეუმი წყარო, მითითებულია გრ. ორბელიანის ვადმოკეთებათა და თარგმანთა დედნები და სხვა მრავალი. გამოკვლევა იდამიანის იცის, თუ რას ნიშნავს ასეთი სამეშაოს შესრულება, თუ როგორ დასებულ შრომის და რაოდენ დიდ დროს მოითხოვს ზოგჯერ ერთი ფაქტის განმარტება. რედაქტორ-კომენტატორებს „შენიშვნები“ კეთილსინდისიერად აქვთ გაკეთებული. ზოგიერთი უმნიშვნელო მცდარობა, მაგ., ორლოვის გუბერნია ორიოლის გუბერნიის ნაცვლად, ვამოფრეა სტავროპოლისა, ყაზანისა, ასტრახანისა, ვარონეისა (რატომ პეტერბურგი და მოსკოვი არაა განმარტებელი?), ფეროზა დედევანის ნაცვლად ფეროზა დიუბენი და სხვა ამგვარები სრულიად არ უშლის ხელს, რომ

ეს შენიშვნები ათვისებული იყოს, როგორც მნიშვნელოვანი და სეროზული გეოგრაფულ-ტექსტოლოგიური ნაკვეთი.

„შენიშვნებში“ 551-ე გვერდზე ამ სტრუქტურების ფეროზი ვერ ხედავს კომენტატორის მისახარების სიმტიეცს, ვერძოდ, ვინ იგულისხმებთან იმ ინიციალში, რომელიც გრ. ორბელიანს დაუსვამს თავისი ერთ-ერთი მხატვრული ესკიზის სათაურში („ნ. ე. მ.“), ეს მ-მანანა ორბელიანია თუ მაიკო ორბელიანი. კომენტარებში მოტანილი საბუთი, რომ ტრადიციული შეხედულების უარსაყოფად საფუძველი არ არსებობსო, სწორედ ამ საბუთთანობით შეიძლება დარღვეული იქნეს. სრულიად თავისუფლად მანანას მაგიერ შეიძლება მაიკო იგულისხმებოდეს. მანანას ვარდა ნინო და ეკატერინე ჰეპავაძეებთან მაიკო დაახლოებული იყო.

გამოკვლევაში დაყენებულ საკითხთა შესახებ შეიძლება გამოთქვას რამდენიმე მოსახრება. გრ. ორბელიანის პოეტური შემოქმედება დაყოფილია სამ პერიოდად (1824 — 1832; 1833 — 1851; 1860 — 1883). ვარდა იმისა, რომ გრ. ორბელიანის ცხოვრებიდან 9 წელიწადი გამოარჩენილი (1851 — 1860), არავფრია ნათქვამი იმ პრინციპებზე, რაც საფუძველი გამხდარა ამგვარი პერიოდიზაციისა. ამით უარყოფილია არსებული პერიოდიზაცია — ორ ნაწილად გაყოფა გრ. ორბელიანის შემოქმედებისა, რსაც საფუძვლად უდევს პოეტის განწყობილება და პოეტური ტონი ლექსებისა, რომელთაც შეაზე ჰყოფს 1833 წელი.

„ტოლებაშისა“ და „სადღეგრძელოს“ შესახებ მსჯელობისას აცილებლად გასახსენებული იყო (მიუხედავად პოეტის მიერ განცხადებულისა — „მიბაძეა ეუკოსესისო“) ის ქართული ორთვი-ნიჭი ოთხთხელები, რომელთაც შეეძლოთ ბაჭი მიეცათ გრ. ორბელიანისათვის.

გრ. ორბელიანის ურვისა და ჩივლის შეუფერებლად ხედება ყურს ფრახა, რომ პოეტი „სენტონენტალურ ვულწივლობას ამვლენებს რომელიმე ხანადასული კენიანს ვარდაცვალები ვამო...“ (გვ. 071). ეს „ხანადასული კენიენბი“ პოეტის სულაერი ცხოვრების ნაწილები იყვენ და მათ „ამ სოფლით ვასელაში“ გრ. ორბელიანი საკეთარი სიციცხლის დანაკლულუბას ხედავდა. ეს „კენიენბი“ იყვენ ნინო ჰეპავაძე, ეკატერინე ჰეპავაძე, მანანა ორბელიანი, ეფემია ბარათაშვილი. საერთოდ „კენიენბი“ არ გლოვობდა პოეტი...

კრებულში ე. წ. „სადამო ლექსები“ აღარაა შეტანილი. მიზეზი საქმოდაა დასაბუთებული შენიშვნებში (გვ. 498-502), რომ სადამო ლექსების პოეტური ენა, ფრაზები, სახეები არაა გრივოლიკული, ვაუმართავნი და სუსტნი არიანო. მაგრამ, სწორედ ასეთვე მსჯელობა მიმდინარეობს პოეტის უდავო თხზულებათა შესახებ 079-ე გვერდზე, რომ „სადღეგრძელოს“ „თან

ახლავს ზოგიერთი თვალსაზრისით ნაკლებ. ესაა: ალაგ-ალაგ სტილისტიკად დახვეწილი სტრიქონები, ჭუსტი რითმები (რაც პოეტის ლირიკულ ლექსებშიც ხშირია)“... სადაღო ლექსების შეტანა კრებულში იმით იქნებოდა კარგი, რომ მკვლევარი ყოველთვის თვალწინ იქონიებდა მათ, რაც ძიებას შეუწყობდა ხელს.

მუშა ბოქვლაძე გამოკვლევის 082-ე გვერდზე პროლეტარად არის გამოცხადებული. ლექსის ამ პერსონაჟის ასეთი დახასიათება შეიძლება მთლად ზუსტი არ იყოს.

სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ წიგნი ილუსტრირებული არაა. მასში მოთავსებულია მხოლოდ პოეტის ლექსების 1873 წლის გამოცემის ვარეკანის კლიშე. წიგნში გრ. ორბელიანის სურათიც კი არაა ჩართული. ამ შემთხვევაში გამოკვლევას უნდა ეხელმძღვანელოს ბარათაშვილის თხზულებების 1922 წლის გამოცემით, რომელშიც საშინო ფირცხალავამ, სტამბური ხელოვნების ადრეულ ვტაბზე, მოახერხა ძვირფასი ილუსტრაციებით გაეცოცხლებინა ნ. ბარათაშვილის დროინდელი თბილისი, პოეტის ნაცნობთა წრე და გარემო.

ყველაფერი ის, რაც ამ მცირე შენიშვნებს იწვევს, შედარებით იმ ფაქტთან, რომ მკითხველს ხელში უჭირავს ქართული მრეხინის ერთ-ერთი ბუმბერაზი წარმომადგენლის თხზულებათა ასეთივე სრული კრებული, სრულიად უმნიშვნელოა. ქართული კლასიკური მწერლობა თანდათან მდიდრდება ასეთი ბრწყინვალე გამოცემით. ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკო ბარათაშვილის აკადემიური გამოცემის შემდეგ, გრ. ორბელიანის თხზულებების ამ კრებულით იცვლება რკალი, რომელშიც უნდა შევიდეს ვახტანგ ორბელიანიც და ქართული რომანტიკული ლიტერატურის სხვა, მეორე ხარისხოვანი წარმომადგენლების (სალომონ რაჭმავაძის, მიხეილ თუმანიშვილის, დავით მაჩაბლის, ალექსანდრე ორბელიანის, გრ. რჩეულაშვილისა და სხვათა) თხზულებების ასეთივე გულმოდგინებითა და სიყვარულით დამუშავებული ტექსტები, რომ ქართული რომანტიკის მრავალმხრივობაზე და ღრმა იდეურ-მხატვრულ ღირებულებაზე სრული წარმოდგენა შეეძენს ქართული ლიტერატურის მოსიყვარულე მკითხველს.

ს. ხატიშვილი

ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები



ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიას კარგა ხანია იკვლევნ როგორც ქართული, ისე აზერბაიჯანული მეცნიერები. სპეციალურად ამ თემას ეხება აკად. ბ. კვეციანის, პროფ. ა. ბარამიძის, პროფ. ბ. არასლის, მ. დადამაშაძის და სხვათა ნაშრომები. ახლანან ბაქოში გამოქვეყნდა ახალგაზრდა მკვლევარის დილარა ალიევის შემეჯამებელი ხასიათის მონოგრაფია.

ნაშრომი ძირითადად ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი, უფრო მეტივე მონაცემთა მოიკავს აზერბაიჯანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ფაქტებს უძველესი დროიდან მე-19 საუკუნემდე. იგი უფრო რეფერატურულ ხასიათს ატარებს, რადგან აქ უმთავრესად თამოყრბილია სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი და შესწავლილი მოვლენები. მთხუცდავად ამისა, ავტორი ზოგან იძლევა ვინაობისაგან დაკვირვებებს. მეორე, უფრო ვრცელი ნაწილი დათმობილი აქვს ქარ-

თული და აზერბაიჯანული ხალხების მკვებობის ასახვის საკითხს მე-19 საუკუნის ლიტერატურულ ცხოვრებაში. რიგი საიარქეო და სამეზუეუმო მასალების გამოყენებამ როგორც აზერბაიჯანულ, ისე ქართულ ენებზე შესაძლებლობა მისცა დ. ალიევის წარმოდგინა საუერადღებო გამოკვლევა.

მე-12 საუკუნეში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გამოიკვეთა რამდენიმე დამოუკიდებელი სამთავრო. მათ შორის თავისი ინტენსიური ლიტერატურული ცხოვრებითა და საქართველოსთან მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიური კავშირით გამოირჩეოდა შარვანი (შირვანი). ამდენად, გასაკვირი როდია, რომ სწორედ შარვანელი პოეტების შემოქმედებაში იმსახოსაქართველოს სინამდვილე, ხოლო მათი პოეტური თხზულებანი კარგად ნაცნობი უოფილა ქართველი პოეტებისათვის.

ავტორმა სამართლიანად გამოაყო ქვეთაეები „ხაყანი და საქართველო“ და „ნინამი და საქართველო“. სათანადო მაგალითები მშვენიერად ადსტურებენ საერთოეერთო ლიტერატურულ ნაცნობობას. ხაყანი არა მარტო ახსენებს ქართველებსა და საქართველოს გეოგრაფიულ პუნქტებს (მუხრანი, ნაქარმაგვიცი),

აბამედ იგონებს შარვაშვსთან ერთად თბილისში სტუმრობას. ნიშანი თავის პოეზიაში ალგორითულად აღწერს თამარისა და დავითის მშობის ხანას (აბხაზთა მელიქი დევალი და დედოფალი ნუშაზე „ისქანდერნამეში“, შამიჩამპინ და შირინი „ხოსროშირინიანიში“). ფიჭრობენ, რომ იგი სხვა წყაროებთან ერთად ქართულსაც იყენებდა.

ამავე დროს შეათვლიან, ჩახრუხაძესა და რუსთაველთან ნიშანის გმირების ხშირი სხეულება სხვადასხვა კონტექსტში მოწმობს, რომ ქართველი მკითხველი კარგად იცნობდა მის თხზულებებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კლასიკური ხანის თარგმანებს ჩვენ დრომდე არ მოუღწევია. ზოგჯერ მე-17-18 საუკუნეებში გაჩენილ ქართულ ვერსიებს „ლეილმჟანუნისა“, „ხოსროშირინიანისა“, „ბარამგურიანისა“ ნიშანის უკეთესობენ, რაც სწორი არ არის. დ. ალიევა ყურადღებას აქცევს ამ გარემოებას, თუმცე ხანდახან მისი მსჯელობა ბუნდოვანია და მკითხველი შეიძლება დააბნოს. ასე მაგალითად, 23-ე გვერდზე ნათქვამია, რომ მე-17-18 სს. ვახნდა აღნიშნული პოემების სხვადასხვა ვერსიები. შემდეგ აბზაკუი კი ვკითხულობთ: „18 ს. ქართველმა პოეტმა ნოდარ ციციშვილმა კვლავ გარდასთქვა პოემა „შვიდი მთიები“. გამოდის, რომ ამ საუკუნეებში რამდენჯერმე დაიწერა „ბარამგურიანი“, არაა ზუსტი, თითქოს ნოდარი თავის წინასიტყვაობაში იხსენიებს ყველა პოეტს, რომელსაც ამ თემაზე უწერია (იგი ჩამოთვლის მხოლოდ ოთხს).

ამავე ნაწილშია მოთავსებული ქვეთავი „ლიტერატურული ურთიერთობანი 17-18 ს. ს. (ვაკაფი, ვიდადი და საქართველო)“. ზაერთო მტერთან ბრძოლამ დააკავშირა ამ ეპოქაშიც ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხი. წლებში განმეორებაში ცხოვრობდნენ საქართველოში და მას უმღერობდნენ ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტები მოლა თანამ ვაკაფი და ვიდადი. თავის შირივ, საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ აზერბაიჯანელი ლექსები და სიმღერები, ამ დროს ვითარდება აშუღური პოეზია. შრომაში დასმულია მეტად მნიშვნელოვანი საკითხი საერთო ხალკესო ფორმებისა და მათი სახეცვლილებების შესახებ (მეგ. მუხამბაზის საკითხი). ავტორის ამოცანას არ შეადგენდა ამ რთული საკითხების გარკვევა, რომელიც აუცილებლად საქართველს ეკლავას (დ. ალიევას გამოუყენებია პროფ. დ. კობიძის ხელნაწერი შრომა „ქართულ-ირანული პოეტების ისტორიიდან“).

ტონოგრაფიის მეორე ნაწილს ავტორი იწყებს მე-19 ს. ამიერკავკასიის ისტორიული და სოციალ-პოლიტიკური მიმოხილვით. რუსეთთან

შეერთების საერთო შედეგებმა როგორც ქართველი, ისე აზერბაიჯანელი ხალხებისათვის ხელი შეუწყო მათ კიდევ უფრო დაახლოვებას. ამ დროის თბილისი იქნა კულტურული ცხოვრების ცენტრად, სადაც თავს იყრიდნენ ქართველი, რუსი, ვეროპოელი, აზერბაიჯანელი და სომეხი მოღვაწენი.

დ. ალიევა ვაკერით, მაგრამ საინტერესოდ მიმოხილავს ამ მემკობრობის ასახვას უპირველესად ფოლკლორში. ხალხური შემოქმედების აქტიური სახალკოე ხომ საფუძველს უქმნიდა ლიტერატურულ ურთიერთობას. აშუღური და მესტიურიული პოეზიის განვითარებას მოწმობს როგორც პირიველი რაოდენობის გამრავლება (ორმოცდაათზე მეტი აშუღი), ისე საერთო ფოლკლორული პროდუქციის გაჩენა. ქართული ფოლკლორი იცნობს ქორილის ორ დასთან (თქმულებას), სადაც პროზაულს გვერდით გვაქვს ლექსნარკვი ვერსიაც, ამასთან ეს ლექსები აზერბაიჯანულ ენაზეა დატული. შრომის ავტორმა გამოიყენა საქ. სსრ მიცნეირებათა აკადემიის რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების მასალები.

ამ მცირე შესავალ ნაწილს მოსდევს ძირითადი ქვეთავები: ალ. კვაკვაძე, გრ. ორბელიანი, ბარათაშვილი და აზერბაიჯანელი ხალხური შემოქმედება, „მ. ფ. ახუნდოვი თბილისში“ და „აკაი წერეთელი და მისი კავშირი აზერბაიჯანთან“.

მე-19 საუკუნის დიდ ქართველ პოეტთან ბარათაშვილის, ალ. კვაკვაძის, გრ. ორბელიანის, აკაი წერეთლისა და ილია კვაკვაძის ცალკეული ნაწარმოებები გარკვეულად უკეთესობა აღმოსავლურ, სპარსულ-აზერბაიჯანულ გარემოს, ამავე დროს, როგორც ითქვას, თბილისში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი აზერბაიჯანელი მწერლები, როგორცაა ა. ბაკიხანოვი, შირზა შაფი, შირზა ფატილი ახუნდოვი, ზაქირი და სხვ. სარეცენზიო შრომაში მდიდარი მასალის ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია აღნიშნული საკითხების ვრცელი მიმოხილვა.

ნაშრომს დართული აქვს დამატება და გამოკვთებული ლიტერატურის სია. ორიოდ სიტყვით გასურს აღნიშნოთ დამატებაში გამოქვეყნებული მასალის დიდი მნიშვნელობა. თვით გამოკვლევაში გამოთქმული მსჯელობიდან ირკვევა, რომ დ. ალიევას საქართველოს ხელთაწეროსაცავებში აღმოუჩენია ქართული ასოებით ჩაწერილი აზერბაიჯანული პოეზიის ნიმუშები. ფიზულის, ვაკაფის და სხვადასხვა აშუღოა ლექსები ხშირ შემთხვევაში ახალ ვარიანტულ წყაობებებს იძლევა უკვე ცნობილ ტექსტებთან შედარებით. ზოგი მათგანი დღემ-

დე საერთოდ უცნობს წარმოადგენდა. ავტორმა ეს ნაშრომები აზერბაიჯანულ ჟიურტზე გადაიყვანა და ამით ახალი ფურცელი გადღეწა აზერბაიჯანულ მკვლევარებს. ამავე დროს საგულისხმო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა ქართული ასოებით მათი ჩაწერისა და ქართულებს შორის მათი გავრცელების ფაქტი.

დ. ალიევის ნაშრომი „აზერბაიჯანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“ კარგი შენაძენია როგორც აზერბაი-

ჯანული, ისე ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის. სასურველია ავტორმა მრავალშრიც განაგრძოს მუშაობა ამ სახით. უფრო ფაქტი ამ ნაშრომის მიზნადებსა ქართულ ლიტერატურათმცოდნეთა აქტიური დაამარჯებით ქართული და აზერბაიჯანული ხალხების მეგობრობის მკაფიო გამოვლენას წარმოადგენს.

ალ. გვახარია

ნ. კრუპსკაიას შეხედულებანი აღზრდის შესახებ



კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ნ. კ. კრუპსკაიას მდიდარი და მრავალმხრივი პედაგოგიური ლიტერატურული მემკვიდრეობა მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიის ძირითად ფონდში შედის და საბჭოთა სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს.

სარეცენზიო შრომის ავტორს — თ. გელაშვილს, მიზნად დაესახავს ბავშვებსა და მოზარდებში კოლექტივიზმის აღზრდის შესახებ ნ. კ. კრუპსკაიას შეხედულებათა მონოგრაფიული განხილვა და ერთიან სისტემაში მოყვანა.

ამ აქტუალური ამოცანის განსახორციელებლად ავტორს საფუძვლიანად შეუწავლია ნ. კ. კრუპსკაიას პედაგოგიური ნაშრომი, წერილები და გამოსვლები, რსტსრ-ის განათლების სამინისტროსა და პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიის თეორიისა და ისტორიის ინსტიტუტში დაცული საარქივო მასალები და ის სპეციალური ლიტერატურა, რომელიც ნ. კ. კრუპსკაიას შესახებ არსებობს. ამ სერიოზული მუშაობის ნაყოფიერ შედეგს წარმოადგენს სარეცენზიო ნაშრომი.

წიგნის პირველ თავში (გვ. 3-16) ავტორი ნ. კ. კრუპსკაიას პედაგოგიური მოღვაწეობისა და თეორიულ-პედაგოგიური მოძღვრება-შეხედულებათა ზოგად დახასიათებას იძლევა და იმ ნიშანს აჩვენებს, რომელმაც დიდი საბჭოთა პედაგოგი, „კოლექტივიზმის სულისკვეთებით ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმის გადამტარის“ დაყენებამდე მიიყვანა.

ნაშრომის მეორე თავში (გვ. 17-41) ავტორი

არკვევს კოლექტივიზმის აღზრდის ამოცანებსა და შინაარსს. მესამე თავში (42-112) ავტორი განიხილავს მოსწავლეებში კოლექტივიზმის აღზრდის ძირითად საშუალებებს: შრომისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობას, თამაშს, ხელოვნებას, წრეობრივ მუშაობას და მოსწავლეთა საზოგადოებრივ აზრს.

შემდეგ ავტორი არკვევს ნ. კ. კრუპსკაიას შეხედულებებს თამაშობის მნიშვნელობის შესახებ ბავშვთა აღზრდაში და, ყრძოდ, კოლექტივიზმის აღზრდისათვის საბავშვო ბაღებსა და სკოლებში და სამართლიანად ისყენის: „მასწავლებელმა და პიონერხელმძღვანელმა საქმე ისე უნდა წარმართოს, რომ თამაშის პროცესში შექმნილი ორგანიზაციული ჩვევები შემდეგ შრომით ჩვევებში გადაიზარდოს“ (გვ. 87), „ძირითადი მიზანი კი მასწავლებლებისათვის უნდა იყოს თამაშის საშუალებით კოლექტიურად ცხოვრებისა და კოლექტიურად მუშაობის უნარის აღზრდა ბავშვებში“ (გვ. 92).

ნაშრომის უკანასკნელ თავში (გვ. 112-140) ავტორი დაწვრილებით განიხილავს ნ. კ. კრუპსკაიას შეხედულებებს კომპაქვიზისა და პიონერული ორგანიზაციის როლის შესახებ კოლექტივიზმის აღზრდაში.

როგორც ჩანს, სარეცენზიო ნაშრომი ერთ-ერთ სერიოზულ და, შეიძლება ითქვას, პირველ ცდას წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა კოლექტივისტური აღზრდის საკითხებზე ნ. კ. კრუპსკაიას პედაგოგიური მოძღვრების შესწავლა-განალიზების დარგში. ავტორი ნაშრომში მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მომარჯვებით ძირითადად სწორად და მართებულად გადმოსცემს გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგის მიერ დასმულ საკითხებზე სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ნაშრომებში გამოთქმულ და განვითარებულ იდეებს და ზოგჯერ კიდევ

იყენებს მათ ჩვენს სკოლაში სასწავლო-სააღმწერდლო მუშაობას სადღესობა აქტუალური ამოცანების გადასაწყვეტად. ამდენად ეს ნაშრომი უსათუოდ ვარკვევს სარგებლობას მოუტანს სკოლის ხელმძღვანელ მუშაებსა და მასწავლებლებს.

სარეცენზო ნაშრომში გვხვდება ზოგი სადავო საკითხი, ცალკეული მცდარი დებულება, აზრობრივი და სტილისტური უსწორობანი.

აღნიშნით უმთავრესი მათგანი.

ნაშრომის მეორე თავის „კოლექტივიზმის შინაარსი და ამოცანები“ ფორმულირება არ მივჯანბნა მართებულად. კოლექტივიზმის შინაარსისა და ამოცანების განსაზღვრა-დადგენა პედაგოგიურ მეცნიერებათა კომპეტენციას არ შეადგენს, ნაშრომი კი თავისი დანიშნულებით პედაგოგიურია. არც ნაშრომის ამ თავის შინაარსი უნასუბეხს ფაქტობრივად და არსებითად ამ ამოცანას.

ნაშრომის მესამე თავში კოლექტივიზმის აღზრდის ძირითად საშუალებათაგან ავტორი პირველ რიგში განიხილავს ნ. კ. კრუპსკაიას შეხედულებებს შრომის და საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობის, ხოლო შემდეგ თამაშობის შესახებ, მაშინ, როდესაც თვით ავტორისათვისაც წაუთვლია, რომ თამაშობა ბავშვის ქცევის აღრინდელი ფორმაა და რომ „ამ საფეხურზე მთავარია, თამაშის პროცესში შექმნილი ორგანიზაციულად მოქმედების ჩვევები შრომით ჩვევებში გადავზარდოთ“ (გვ. 88). ამიტომ სრულიად ლოგიური იქნებოდა ავტორი, რომ ნაშრომში ნ. კ. კრუპსკაიას შეხედულებების დასაჯებისას კოლექტივიზმის აღზრდის საშუალებათაგან უპირველესად ყოვლისა თამაშობის შესახებ პერსონადა მსჯელობა. ამას მოითხოვდა ბავშვის ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინება კოლექტივიზმის აღზრდის და ასაკობრივი პედაგოგიის პრინციპებით.

მართალია, ავტორი წიგნის მოკლე წინასიტყვაობაში („ავტორისაგან“) წერს — „წინამდებარე შრომას, რა თქმა უნდა, საკითხის მთლიანად ამოწურვის პრეტენზია არა აქვს“, მაგრამ ზევნ მანაც ნაშრომის სერიოზულ ნაკლად მივგანისხივს, რომ ავტორის სპეციალურად არ განიხილავს ნ. კ. კრუპსკაიას შეხედულებების სწავლების პროცესში კოლექტივიზმის აღზრდის საკითხებზე და არც მიუხედავად საპირად ცალკე ქვეთავი მიუძღვნა მისთვის „კოლექტივიზმის აღზრდის საშუალებებში“ (ნაშრომის მესამე თავი). ეს მით უმეტეს გაუგებარია, როცა ავტორი ნაშრომის მეორე თავში „კოლექტივიზმის შინაარსი და ამოცანები“, თუმცა უადვილოდ, მაგრამ სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ნ. კრუპსკაიამ არა მარტო კოლექტივიზმის შინაარსსა და მნიშვნელობაზე მიუთითა, არამედ მისი აღზრდის კონკრეტული გზები და ღონისძიებანი დასახა“.

საჭირო იყო ავტორის დაწერილებით განიხილა ნაშრომის მესამე თავში („თამაშის“ შემდეგ) ნ. კ. კრუპსკაიას შეხედულებებზე სწავლების პროცესში მოსწავლეებში კოლექტივიზმის აღზრდის შესახებ, რადგანაც სწავლა მოსწავლეთა ქცევის ძირითადი ფორმაა და მათი კომუნისტური, კოლექტივისტური აღზრდის ძირითადი საშუალება. მხოლოდ ამ საკითხების (თამაშობა, სწავლება) გარკვევის შემდეგ და მათთან კავშირში უნდა განეხილა ავტორს ნ. კ. კრუპსკაიას იდეები შრომისა და საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობის პროცესში მოსწავლეებში კოლექტივიზმის აღზრდის შესახებ.

ნაშრომში არ არის სრულყოფილად გარკვეული სკოლაში მოსწავლეთა კოლექტივისტის ორგანიზაციისა და აღზრდის საკითხები, რაშიც ავტორის დიდად დაეხმარებოდა ა. ს. შაჰარენკოს პრაქტიკულ-პედაგოგიური გამოცდილება და თეორიული შეხედულებანი.

ნაშრომის მესამე თავის ქვეთავში „ხელოვნება“ მეტად ზოგადად და მოკლედ არის განხილული ხელოვნების როლი მოსწავლეებში კოლექტივიზმის აღზრდის დარგში. ამ ქვეთავის მხოლოდ დასკვნაშია მოცემული, რაც წიგნის წინა გვერდებზე დასაბუთებული და გაანალიზებული უნდა იყოს. დასკვნაში სწერია: „გადამწყვეტი როლი ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდაობაში კოლექტივიზმის გრძნობის აღზრდის თვალსაზრისით, ნ. კ. კრუპსკაიას შეხედულებით, შეიძლება თამაშის მხოლოდ ე. წ. მასობრივ მოქმედებად, რომელიც იწვევს ძლიერ კოლექტიურ განცლებს. ხოლო ის, რაც ძლიერ კოლექტიურ განცლებს გამოიწვევს შეიძლება იყოს: 1. მასობრივი, გასაგები შინაარსის ლექსის სიმღერა, 2. ერთად კითხვა, 3. კოლექტიური მოძრაობანი — თამაში, 4) კოლექტიური დეკლამაცია, 5. კოლექტიური შრომა, რომელსაც თან ახლავს სიმღერა, 6) სკოლაში შესვენების ორგანიზაცია, 7) საეტიკო გასივრებანი“ (გვ. 99). მაგრამ ეს ღონისძიებანი ნაშრომში არ არის განხილული, ყოველ შემთხვევაში — კოლექტივიზმის აღზრდის თვალსაზრისით.

წიგნის ამავე თავში ზოგადად, მეტად მოკლედ და საბჭოთა სკოლის თანამედროვე ცხოვრებასთან დაუკავშირებლად არის განხილული ნ. კ. კრუპსკაიას შეხედულებანი მასობრივ-წრეობრივი მუშაობის მნიშვნელობის შესახებ მოსწავლეებში კოლექტივიზმის აღზრდაში. აქაც დასკვნაში რაც სწერია, ის ღონისძიებანი ნაშრომის ამ ქვეთავში სრულიად არ არის გაანალიზებული. დასკვნაში სწერია: „ამრიგად, სკოლა და პიონერული ორგანიზაცია ჩვენს მოსწავლეებში კოლექტიური მოქმედებისა და კოლექტიური ცხოვრების უნარის განვითარების თვალსაზრისით, ხელს უნდა უწყობდეს ისეთი წრეების ორგანიზებასა და მუშაობას, როგორცაა: სანიტარული წრე, მეთევზეთა,

მხატვართა წრე, ღერგლობის შემსწავლელი, მხატვრული კითხვის, წერა-კითხვის წრე, გახეთის შეგობართა, ნორან ნატურალისტთა წრე (უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის); პედაგოგიური და ტექნიკური წრეები, „ბიბლიოთეკის ნორან შეგობართა“ წრე, ისტორიის, ლიტერატურის, ბუნების შემსწავლელი წრე, ხელსაქმის წრე, და სხვ. (მოზრდილთათვის)“ (გვ. 103). ვიმეორებთ, ამ საკითხებზე ნაშრომში არაფერია ნათქვამი.

ჩვენ უხერხულად გვეჩვენება წიგნის ავტორის ასეთი კატეგორიული დებულებანი: „ნ. კ. კრუჟსკაია ამუშავებს თითქმის ყველა სასწავლო საგნის სწავლების მეთოდებს, პიონერული და კომპაგნიტორული ორგანიზაციების მუშაობის, კლასიკურ და სკოლის გარეშე მუშაობის მეთოდებს“ (გვ. 9); „მან (კრუჟსკაიამ ვ. ჯ.) დაამუშავა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის მეთოდი“ (გვ. 59); „ნ. კ. კრუჟსკაია ამუშავებს თამაშის მეთოდებს“ (გვ. 84); „ნ. კ. კრუჟსკაია იძლევა ბავშვისათვის საკითხავი წიგნების შერჩევის მეთოდებს“ (გვ. 132) და ა. შ.

ეს დებულებანი არ მივყავართ ზუსტად იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, მეთოდთა მუშაობა და ცხადია, არ ვარაგა გამოთქმა: „მეთოდის ამუშავებს, მეთოდთა დაამუშავა“ (მეცნიერების „დაამუშავება“ უხერხული გამოთქმა); მეორეც, ნაშრომში ავტორი არც ედილობს ამ დებულებათა დასაბუთებას; და, მესამეც, რაც მთავარია, ნ. კ. კრუჟსკაიამ ავტორის მიერ დასახელებული სასწავლო საგნების, სასკოლო მუშაობის დარგებისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციების მუშაობის მეთოდიც კი არ შექმნა, არამედ მათი ზოგადპედაგოგიურ-მეთოდური საფუძვლები და სახელმძღვანელო პრინციპები დაადგინა.

ნაშრომში გვხვდება ცალკეული მცდარი დებულებანი და აზრობრივ-სტილისტური უსწორობანი. ასე, მაგალითად, ავტორი წერს: „ჩვენს მიზანს არ შეადგენს ნ. კ. კრუჟსკაიას შესულებულებების განხილვა ზეგობრივი შორალის აღზრდის შესახებ საერთოდ“ (გვ. 14). გუგუზბარია, თუ რას ნიშნავს „ზეგობრივი შორალის აღზრდა“?! წიგნში სწერია: „საჭიროა საზოგადოების (სოციალისტური) დაწყობა“ (გვ. 29). უნდა იყოს: სოციალისტური საზოგადოების დაწყობა. „ცხოვრებასთან სკოლის დაკავშირების ერთ-ერთი საშუალებად მან (კრუჟსკაიამ ვ. ჯ.) სცნო პროგრამების აგების კომპლექტური სისტემა და პროექტების მეთოდი“ (გვ. 52). უნდა იყოს: კომპლექსური სისტემა და პროექტების მეთოდი. ავტორი წერს: „ნ. კ. კრუჟსკაიას აზრით, პიონერულმძღვანელი სკოლაში წარმოადგენს ორგანიზატორს, ხოლო პედაგოგი — მსწავლელს. მუშადადამე, პიონერულმძღვანელის საქმიანობის მთავარი უბანი მინც აღზრდელობითი მუშაობა“ (გვ. 118). ეს დე-

ბულება არსებითად არ არის სწორი. პედაგოგ-სკოლაში არა მხოლოდ მსწავლებელი, არამედ ორგანიზატორი და აღზრდელიც... მსწავლებელია და პიონერულმძღვანელის ფუნქციები ერთმანეთში არ უნდა ავროთ. წიგნში სწერია: „პიონერული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენების უნარის გამომუშავება ახალგაზრდობას შეუძლია ისეთი ღონისძიებათა გატარების გზით, როგორცია: მოსახლეობას შორის (!) უცოდინარობის ლიკვიდაცია“... (გვ. 61). უნდა იყოს: წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. „ნ. კ. კრუჟსკაია ერთხელ კიდევ მოაგონებს განათლების მუშაობის საკ. კ. (ბ) ც. კის 5 სექტემბრის დადგენილებას“ (გვ. 52). არ ჩანს, რომელი წლისა ეს დადგენილება და რას ეხება. „ნ. კ. კრუჟსკაია 1930 წლის 24 ნოემბერს გააოვიდა მოსკვნებით ბავშვთა შრომის შესახებ პედაგოგ-მარქსისტთა საბჭოს სხდომაზე“ (გვ. 52). უნდა იყოს: პედაგოგ-მარქსისტთა საზოგადოების საბჭოს სხდომაზე. სწერია: „ნ. კ. კრუჟსკაიას არქივში, რომელიც განათლების სამინისტროს სამართლებრივ არქივში ინახება“... (გვ. 81). უნდა იყოს აღნიშნული, რომ ეს არქივი ინახება რუსურ-ის განათლების სამინისტროში და იპიც, თუ რომელ სამმართველოშია, ასეთვე მდგომარეობაა წიგნის 138-ე გვერდზეც. ნაშრომში სწერია: „1931 წლის გაზაფხულზე სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს სამეცნიერო პედაგოგიური სექციის კონფერენციის დასასრულს“... (გვ. 96). უნდა იყოს: რუსურ-ის განათლების სახალხო კომსარიატის სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს სამეცნიერო-პედაგოგიური სექციის კონფერენციის დასასრულს. „ამარად არა სწორია ავტორის დებულება, რომ თითქმის: „დაამინები, რომლებიც გავრთიანებული შრომის შედეგად აღწევენ წარმატებას, თითქმის ერთნაირად იწყებენ აზროვნებას“ (გვ. 106). ავტორი წერს: „ნ. კრუჟსკაია ეთანხმება კეის, რომ თანამედროვე საბავშვო ბავები და ბავები ბავშვის სულიერ დასავარობას უსესებთ ანადგურებს“ (გვ. 30). ამ დებულებიდან არ ჩანს, თუ რომელ (ბურჟუაზიულ თუ საბჭოთა) საბავშვო ბავებსა და ბავებსა აქ ლაპარაკი. სწორია ავტორის დებულება, რომ „ადრეული ასაკის ბავშვი თამაშის სინამდვილეში ცხოვრობს“ (გვ. 83), მაგრამ არ შეიძლება დავუთანებოთ ავტორს იმასში, რომ „თამაშისაყენ სწრაფვა მასში არც სკოლაში შესვლის შემდეგ ნელდება“ (იქვე). არ არის ზუსტი და, ამდენად, სწორიც ავტორის დებულება: „ბავშვებს მრტყველებს განვითარებამდე, ისევე განიხილთ ძლიერი განცდები, გრძობები, ვარკველი აზრები და მათი გამოხატვის მოთხოვნილება, როგორც მისი განვითარების მომდევნ“ (გვ. 94). აქ უგულებელყოფილია მრტყველების როლი ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში. ავტორი თითქმის ერთხა და იმავე გვერდზე ხმარობს პარალელურ გამოთქმებს: „პედაგოგიური მემვიდრეობა“ (გვ. 2) და „პედაგო-

გური მეგვიდრობა" (გვ. 3), „პედაგოგიური ლიტერატურა" (გვ. 4) და „პედაგოგიური ლიტერატურა" (გვ. 8) და ა. შ. ტერმინთა ტრანსკრიპციის ასეთი აღრევა დაუშვებელია.

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, თ. გელაშვილის წიგნი უთუოდ სასარგებლო ნაშრომია. იგი პირველ სპეციალურ ნარკვევს წარმოადგენს

ქართულ ენაზე გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგის მდიდარი პედაგოგიური მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლის დარგში და შეიქცეს მის პედაგოგიურ შეხედულება-ნააზრეთთა სისტემატურ დალაგება-გადმოცემას.

პარლან ძაჯანია

ლუ სინის მოთხრობები ქართულად



ლუ სინი ახალი ჩინური ლიტერატურის ერთ-ერთი შემქმნელი და მისი უდიდესი წარმომადგენელია. იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ზენი საუენის იოიანი წლების დასასრულს. მწერლის ცხოვრება და მოღვაწეობა დაემთხვა დიდ ისტორიულ მოვლენებს: 1911 წლის ბურჟუაზიულ რევოლუციას და ჩინეთიდან მანჯურელი დამპყრობლების განდევნას, 1919 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას და იოიანი წლების რევოლუციურ შიძრაობას. ამ ისტორიულმა მოვლენებმა თავისებური ასახვა პოევის ლუ სინის შემოქმედებაში.

მოთხრობა „კუნ ი-ძი" პროტესტია უღანაშაულო ადამიანთა საზოგადოებისაგან განაპირების წინააღმდეგ. როგორც არ უნდა გამოვყენოთ ანალიტიკური მეთოდი, საზოგადოების და პიროვნების ურთიერთობაში ყოველთვის არსებობს ისეთი გაუთვალისწინებელი შედეგი, რომელიც არ დაიყვანება კონკრეტულ მიზეზებზე. ცალკეული ადამიანი თავის სიმპატიებით და ანტიპატიებით იყარება საზოგადოებაში, რომელიც ადამიანის სუსტი მხარეებისადმი ყოველთვის უფრო მკაცრია ვიდრე თვითიველი მისი წიერი. პიროვნება მთლიანად კარგავს თავისთავადობას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

მწერალი მოგვიხატობს მალალ, ფერმკრთალ, ნაპირლობევი ხაზის მიმაცეცის შეხატება. იგი დროდადრო სირაჯხანაში შემოღის და ნანქარევიდ ჯემს ლინის დახლთან. სირაჯხანაში მყოფნი ვამილაგი სიცილით ხედებთან კუნ ი-ძის. ისინი უბოდიშოდ ეტებთან კუნ ი-ძის პირად მოუწყისრიგებულ ცხოვრებას, მის სხაცილო თვისებებს. ეს უყანასკნელი თავს იცავს დემილით ან ხალხისათვის გაუგებარი მწიგნობრული გამოთქმებით.

მწერალი ჩამდენიმე სტრიქონით გვამცნობს კუნ ი-ძის წარსულ ცხოვრებას. იგი ოდესღაც სწავლობდა, მაგრამ მალე გული აიყარა სწავლაზე და ლოთობას მიუყ ხელი. აღსანიშნავია, რომ ავტორი თავისი გმირის ცხოვრების ამ სამწიგნობრო დეტალს შეთხვევს აწვდის კითხვის ნიშნის ქვეშ. იგი აღნიშნავს, რომ მას ასე მკითხნა გაგონილი კუნ ი-ძის შესახებ. მწერლის ეს

ორაზროვნე მინიშნება გაუბედურებული ადამიანის წარსულზე ღრმა ჰეტექსტის ხასიათს ღებულობს. შეთხვეული კუნ ი-ძის ცხოვრების ტრაგიკულ მრავალ მისგან დამოუკიდებელ მიზეზებში ხედავს, რომლის თავიდან აცილება პიროვნების ძალეებს აღემატებოდა.

და იი ახლა კლარაშერეული, კუნ ი-ძი იძულებულია არსებობის საშუალება ქურდობაში ეძიოს. მწერალი დამაჯერებლად გვინტენებს თუ რამდენად არა ორგანულია ამ ადამიანის სულიერი ცხოვრებისათვის სხვისი ნაფთების მიტაცება, მაგრამ მას არა აქვს სხვა გამოსავალი.

ერთხელ ზანგრაღი დროს შემდეგ სირაჯხანაში მიწაზე ფორთხებით მოღის კუნ ი-ძი. ზამთარი აბლოვდება და სიცივე საგრძნობი არის, მაგრამ კუნ ი-ძი შეიშველ ხელეებს ყაფარჯებელ იყვანს. იგი ტალახში მოფორთხავს. თურმე ის ქურდობაზე დიქირეს და ფეხები გადამტკრიეს. ვატანჯული ადამიანი ყურადღებას არ აქცევს გამჭირდავ შენიშვნებს და ერთ ფინჯან ლეინოს მოითხოვს. იგი ლამობს თავისი დაღუბული ცხოვრების და მოახლოებული სიცივლის მწარე განცდა აღუკობლოთ მიაძინოს. ლეინოს დაღუბის შემდეგ კუნ ი-ძი ვაშორდება შეუბრალებელ ადამიანებს. ტალახში, სიცივეში, ხელეზე დაყარდნობით მიფორთხავს იგი. მიისწრაფის სადღაც ნისლიან უგზობაში. არავინ იცის სად მიღის, რადგან არსად არ ელოდებიან. კლავ ორაზროვანი მინიშნებით მწერალი გვახუდრებს, რომ კუნ ი-ძი გარდაიცვალა, გარდაიცვალა მტრულ გარემოში, მას არასოდეს არ მიუღია თანავარდნობა საზოგადოებისაგან, თუმცა შეიძლება ამ საზოგადოებაში ბევრი კეთილი ადამიანიც იყო. მაგრამ საკუთარ თავზე ფიქრნი ჩაიძირულ ადამიანს არ შესწევს ძალა სხვისი ტყვიებით განიცადოს.

მოთხრობის „ა-კიუს ნამდვილი ისტორია" მთავარი გმირი უბრალო წარწომობია. სწორედ ეს ხდება მის უბედურების მიზეზად. ა-კიუ მტარსობიარე, შთაბეჭდილობიანი ადამიანია. მას, სწორად შეურაცყოფენ მალალი ფენის წარმომადგენლები. ა-კიუს არ შეუძლია უყურადღებოდ დატოვოს ეს დაუმხ-

ბურბული დამცირება. მაგრამ მის არ გაანია თავის დაცვის საშუალება. იგი იძულებულია მიმართოს სიტყვიერ პაქრობას, რაც მის სასაცილოდ ზღის და სწირად იძულებულია თავი წაღონოს სხვისი მუშტების წინაშე.

ასეთი მდგომარეობა აკისრებს აბორიტებს. იგი ზღება ღვარძლიანი. რამდენადაც საზოგადოება ახდენს მის განაბრებას იმდენადვე აკისრებს იძულებს საზოგადოებას და ცდილობს საკუთარ თავში მიინახოს ღირსებები. მწერალი საუცხოოდ გვიხატავს აკისრებს წინააღმდეგ სტლიერ უძღურობას. ნაცვლად იმისა, რომ მისი აღმფრთხილება მწავრელი საზოგადოების მიმართ ქმედითი იყოს აკისრებს ცდილობს ზნეობრივი გამართლება მოუხსნოს თავის უბადრუკ ყოფას. აკისრებს გამოემუშავება თვითგვიმის ჩვევები. როცა რომელიღაც უჭნარა ცემს იგი თავს იმწვიდებს თავისი დიდსულოვნების ცრურწმენით.

ყოველი მომდევნო დღე აკისრებს და საზოგადოებას შორის უფსკრულს აღრმავებს. ბოლოს სოფელში მომხდარ ქურდობას აკისრებს დაბრალდებენ და მას სიყვდილით დასჯიან. მწერალი იშვიათი ჰუმორით აღწერს მართლმსაჯულების უსამართლობას და ზურტობას. უღანაშუალო ადამიანს, რომელიც ბრალდების ხასიათში ვერ გარკვეულა, სიციოცხლებს უსაბუნ, ხოლო ნაშფილ ქურდებს ქვლავ ეძლევათ თარეშის შესაძლებლობა.

ლუ სინი შესანიშნავად გვიხატავს დაკარგული იმედების და უპერსპექტივო მომავლის აღმანიებას. მოთხრობა „სირაჯხანაში“ ევერფე ახალგაზრდობაში საუცუთესო იდეალებს ეტრფოდა და ოცნებობდა იმ დროზე, როცა შესაძლებლობა შეექმნებოდა, თავისი სიციოცხლე გავლო სამართლიანობის დასაცავად. მაგრამ ამით გამოდგა მისი ნატვრა: ევერფე ვერ მიინახა შესაძლებლობა გამოეყენებინა თავისი უნარი და გაბედულება მშობლიური ხალხის უცუთესი მერმისისათვის საბრძოლველად. იგი ზედმეტი ადამიანი დარჩა ცხოვრებაში და ვინც ახალ ცხოვრებაზე ფიქრობდა იძულებულია კონფუციუს ძველი მოძღვრება ასწავლოს ჩინელ ახალგაზრდობას. ასე გამოხატა ლუ სინმა 1919 წლის ბერეუბიულ-დემოკრატიული რევოლუციის შეზღუდულობა და ფრთაშეკვეცილობა.

ლუ სინი პოეტური პროზის საუცუო ოსტატია. მისი მოთხრობების მნიშვნელოვანი ნაწილი დაწერილია პირველ პიროში. მწერალი იმდენად ძლიერად და უშუალოდ აღიქვამს სინამდვილეს, რომ მისი გამოხატვის უცუთეს ფორმად ავტორისეული თხრობა მიიჩნის. ლუ სინის მოთხრობებში თვითვე სტრიქონს და სიტყვებს ემოციური დატვირთვა აქვს. მწერალი თანმიმდევრულად ჰქმნის ნაწარმოების წინააღიქრის შესაბამის განწყობას.

პოეტური პროზის კარგ ნიმუშად შეიძლება დავსახოთ მოთხრობა „მშობლიური სოფელი“. მწერალი ოცი წლის შემდეგ პირველად ბრუნდება მშობლიურ სოფელში მდინარის ნაპირებზე შეყვანილი სოფლის პეიზაჟი სვედიანად გამოიყურება. სოფელში არაფერ არ მოიხანს. მოწყენილი დღილი, რომელიც ასე ძლიერ დაუფლებია სოფელს ცუდად ეგუება ავტორის მოგონებას მასზე. „ნუთუ ეს არის ჩემი მშობლიური მხარე, რომლის ხსოვნას ოცი წელი გულით ვატარებდი?“ სადაა არის მშობლიური სოფელი? სად არის ის თავდავიწყება რომელსაც წინათ ეს მხარე აღძრავდა ადამიანებში? თურმე სოფელი არ შეცვლილა, ეს თვით ადამიანი შეიცვალა. იგი უცუთესად ხედავს ამ მხარის ცხოვრების უსიხარულობას და აღარ შეუძლია აღტაცებული იყოს.

ავტორი იგონებს სოფელში გატარებულ დღეებთან დაკავშირებულ ტყილ განცდას მუზობლის ბიჭთან მეგობრობის შესახებ და სასოებით მოელის მასთან შეხვედრას.

ფუნ-ტუც მოდის, მაგრამ ეს არ არის ის, ვისაც მწერალი ელოდა. ცუდი ცხოვრებით ილაგაწყვეტილი მამაკაცი მორჩილად დგას მის წინაშე. მას აღარ აქვს პაექური უშუალობა და გულთთაობა. მწერალი იშვიათი ძალით განგაცდევინებს მოლოდინის გაცრუების მთელ სიღრმეს.

ფუნ-ტუც მოთხრობაში დაკარგული ოცნებების, დამახინჯებულ ცხოვრების განსახიერებაა, პაექრობის და ახალგაზრდობის დაუცხრომელი სწრაფვა მიაღიხსა და ზნეობრივობისაგან განადგურებულა არსებობისათვის ბრძოლის საჭიროებით. ადამიანური გრძნობები შეზღუდული და დათრგუნულია ცხოვრების მიერ.

ასე დავმო ლუ სინმა ოციანი წლების ზინეთის ცხოვრება.

სიყვარულის, მეგობრობის, ოჯახის საციოთებისადმი მიძღვნილი ლუ სინის ერთერთი საუცუთესო მოთხრობა „ჰუმუნა წარსულზე“. ამ ნაწარმოებში მწერალმა გვიჩვენა, რომ შეუძლებელია ნამდვილი სიყვარული იმ საზოგადოებაში, სადაც ადამიანი ლეკმა პურზე ფიქრობს. მეგრძობიარე, ნახი ქალიშვილი ძი-ძიუნე და ახალგაზრდა კაცი ძიუნე-შენი წრფელი სიყვარულის საფუძველზე შეუღლდნენ. პირველ ხანებში უსაზღვრო იყო მათი ბედნიერება და ღრმად ჯეროდათ, რომ სამუდამოდ ერთმანეთის მოსიყვარულე მეგობრებად დარჩებოდნენ. მაგრამ არ გამოთლდა მათი ოცნება. ძი-ძიუნე სიხამილი ზის და იძულებულია ოჯახური წყარღმანებზე ფიქრის შესწიროს თავისი ნიქი, იგი ვერ ახერხებს საკუთარი უნარის გამოყენებას. ძიუნე-შენს სამსახურიდან ითხოვენ. აქედან იწყება მათი ოჯახური ტრაგედია:

ორივე ადამიანი შრომის და ქარგი საქმისათვის ბრძოლის სურვილით აღსავსეა, მაგრამ მათ არ აქვთ სამუშაო და ვერ ხედავენ ცხოვრებაში ბრძოლის ველს.

ლუ სინი დამაჯერებლად ვეხიბატებს ძიუან-შენის წინააღმდეგობრივ ხასიათს. ეს ადამიანი წერილბურთეობითი ინტელიგენციის ტიპური წარმომადგენელია. მას არ აქვია პატიოსნება, მაგრამ ეს პატიოსნება სტიქიური ხასიათისაა. ძიუან-შენს არა აქვს შეგნებული და გათვალისწინებული ის პრინციპები, რომელსაც ადამიანის ზნეობა უნდა ემყარებოდეს ამიტომ იგი პირველსავე კრიტიკულ მომენტში იწყებს მერყეობას.

ძიუან-შენი ოცნებობს ყოველ გზაზე, რომელიც მატერიალური კეთილდღეობისაკენ მიდის. იგი ერთსა და იმავე დროს ოცნებობს სანგრებზე, სპეკულიანტს ბიჭვანზე, პროფესორის კათედრაზე, ბნელ ღამეზე, რაბა ქურდობა შესწავლას და სხვა, ცხოვრებისასვე შეფიქრობებული ავადმყოფურად ფიქრობს დიდებაზე, მაგრამ რადგან მას ძალია არ გააჩნია მიიღწიოს დიდებას ყველაფერს ძი-ძიუნს გადააბრალენს. იგი ცხოვრებაში ხელმოკარული ადამიანის გაბოროტებით განუცხადებს ძი-ძიუნს, რომ მას უყვე აღარ უყვარს ცოლი. მწერალი საოცარი სელაფი სინაზის ადამიანად ვეხიბატებს ძი-ძიუნს. თავზარდაცემული ქალი არ ამბობს არც ერთ სიტყვას, მხოლოდ ანთებული მკვდრებელი თვალებით გასცქერის სიერტეს, ასევე მდუმარედ და უხმაუროდ ტოვებს ქმრის ოთახს და მის უტოვებს სასოებით მოგრავილ უკანასკნელ გრომებს.

და საბოლოოდ მარტო რჩება ძიუან-შენი. მას არ ამბობენ ცოლის „ტვირთი“ და შეუძლია იპროს ახალი გზით: იყოს ცნობილი პროფესორი, გახდეს შამაიი ჯარისკაცი, მოხერხებულად ქურდობდეს ბნელ ღამეში. მაგრამ ძიუან-შენს ვლავ ტანჯავს უღონობის მტკივნეული შეგრძობა. ახალი გზა მას სამგლოვიარო ფერებში ეხმანება.

დასასრულს ძიუან-შენი გებულობს ყოფილი ცოლის გარდაცვალებას და იგი განიცდის უშიშვლეს დანაშაულს მის წინაშე. მკითხველს გრძობს, რომ ძიუან-შენი ვერასოდეს ვერ დასრულდეს ოცნებას და სამუდამო საინებლად გაუხდება მოსიყვარულე მეგობრის დაკარგვა.

ოჯახის საციობისადმი აგრეთვე მიძღვნი-

ლი მოთხრობები „ბედნიერი ოჯახი“ და „სამონი“.

საქართველო

ლუ სინი მალე დაწმუნდა 1913 წლის რევოლუციამ ვერ გაამართლა იმედები. ადამიანებს შორის კვლავ მკაცრი ურთიერთობა დარჩა. ამ საციობის ეძლეება მოთხრობა „შეშლილის დღიურები“.

მოთხრობის მთავარი გმირს ეხევენება, რომ იგი გარშემოტყვევებულია კაცობრივებით. თვითველი ადამიანი ცდილობს სხვისი მწუხარების თავის საკეთილდღეოდ გამოყენებას. ადამიანების სულში მტკიცეა და დამკვიდრებულ მტრული გრძობა ერთმანეთისადმი. მაგრამ მწერალი გამოსავალს ბავშვებში ხედავს, რომლებშიც კარ კიდევ არ გაურყვნია ცხოვრებას. მოთხრობა მრავალმნიშვნელოვანი სიტუციებით მთავრდება: „იქნებ კიდევ არიან ბავშვები, რომლებსაც ადამიანები არ უშინაი?“

ლუ სინი თავიდანვე გაემიჯნა ბურჟუაზიას. მწერალმა მრავალ მოთხრობაში აშხილა ბურჟუაზიული საზოგადოების უარყოფითი მხარეები. მაგრამ უნდა ითქვას, რომ თუკი ლუ სინის გმირები უარყოფენ ბურჟუაზიული საზოგადოების შირალს, ვერ ახერხებენ მას რაიმე განსხვავებულ და უპირობ პირობ. ამხრეე საყურადღებოა მოთხრობა „ზადულის დღესასწაული“. მოთხრობის გმირი ფან ციუან-ჩო პატიოსანი და ღირსეული ადამიანია. მას აღმფიქრებს სახელმწიფო მოხელეების მოქმედება, მაგრამ საქიროდ არ მიანია მათ წინააღმდეგ ბრძოლა. იგი ინერტული და უინიციატიუო ადამიანია.

ლუ სინის მოთხრობების ახალ კრებულში შეტანილია რამდენიმე ნაწარმოები, რომლებშიც ნაჩვენებია თუ როგორ აწიოყებენ და ამცირებენ მანჯურელი დამპყრობლები დიდ ჩინელ ხალხს და რა დიდი სიხარული იყო მათი განდევნა ჩინეთიდან. ასეთი მოთხრობებია „ამბავი ომების შესახებ“, „მღელვარება“.

ლუ სინის ახლად გამოცემული მოთხრობების თარგმანი ვარჯად არის შესრულებული ე. კოდუას, ვ. ხოშტარისას და თ. სულაშვილის მიერ. კრებულს თან დართული აქვს ლუ სინის ბიოგრაფიული ცნობები შოთა სულაბერიძის ავტორობით. წიგნის დასასრულს ვამარტებულა ჩინელი ხალხისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურება.

ჯიშალ შარაშიძე.





სახელმწიფო გამომცემლობა „საგმომთა საპარტიო“

- ფეო-ფშაველა — რჩეული ლექსები. რედ. ვ. ჯავახიძე, გვ. 386, ფასი 9 მან. 50 კაბ.
- ვალაკიონ ტაბაძე — რჩეული. რედ. ვ. ჯავახიძე, გვ. 614, ფასი 13 მან. 25 კაბ.
- კონსტანტინე გამახურდია — რჩეული თხზულებანი ტ. II, სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბა-შიძე, სერგი ბილაია, გიორგი ნატროშვილი. რედ. პლ. ბუბია, გვ. 816, ფასი 14 მან.
- კონსტანტინე სიმონოვი — ლექსები და პოემები. რედ. ბ. მიტცხელიაძე, გვ. 156, ფასი 5 მან.
- პოლიკარბე კვაბაძე — დრამატული თხზულებები. რედ. მ. ბაკურაძე, გვ. 544, ფასი 16 მან. 50 კაბ.
- ალასი სიმონიძე აივაზიანი — წიგმა. ნოველების კრებული (სომხურ ენაზე) რედ. არჩილ დავითიანი, გვ. 120, ფასი 1 მან. 25 კაბ.
- შირაქ სუმბათის ძე შირაკიანი — ხმა გულისა (სომხურ ენაზე) რედ. არჩილ დავითიანი გვ. 134, ფასი 2 მან.
- ვ. ოქროშიძე, პ. შიქელაძე — სატრაქტორო დიზენების საწვავ-მომწოდებელი აპარატურა, რედ. თ. ჯინჯიბაშვილი, გვ. 262, ფასი 8 მან. 55 კაბ.
- პროფ. ვ. ვ. მახალაია, დოც. პ. ვ. შიქელაძე, ვ. ა. ოქროშიძე, გ. ა. ხანთაძე და ი. მ. ზოხლოვი — ტრაქტორისტის ცნობარი. რედ. ვ. მახალაია, გვ. 320, ფასი 10 მან. 20 კაბ.
- დოც. ხანთაძე გ. ა., დოც. ხანთაძე ზ. ა., დოც. ზოხლოვი ი. მ., დოც. თუშინიძე ა. ი., დოც. შალამბერიძე გ. ა. — სოფლის მეურნეობის მექანიკოსის ცნობარი. რედ. ი. ზოხლოვი, გვ. 334, ფასი 15 მან.
- საქ. ხსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო — ინსტრუქცია: ხეხილის ბაღებში მავნებლებისა და ავადმყოფობების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. რედ. ა. მ. ოდიშარია, გვ. 16, უფასო (რუსულ და ქართულ ენებზე).

საბლიბრაში

- სილოვან ახვლედიანი — ჯალაქი ნაქალაქარზე. რედ. ვ. გვეტაძე, გვ. 36, ფასი 70 კაბ.
- გიორგი კაჭახიძე — მღვანეობისთვის რაც მიმღერია. რედ. ვ. ძიძიგური, გვ. 290, ფასი 5 მან. 80 კაბ.
- მ. გორკი — ბავშვობა. თარგ. მ. ლორთქიფანიძისა, რედ. ვ. ძიძიგური, გვ. 240, ფასი 6 მან. 20 კაბ.
- ნიკოლოზ ატაროვი — ამბავი პირველი სიყვარულისა თარგ. ნ. ლასხიშვილისა. რედ. ვ. გოგოლაშვილი, გვ. 254, ფასი 6 მან. 50 კაბ.

84

3360 8 8.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕЛО»